ავთანდილ კახნიაშვილი

რეალური სასამართლო რეფორმისთვის

ანალიზი
შენიშვნები
წინადადებები

თბილისი
2016

UDC (უაკ) 347.99.021.8 (479.22)
უ-37

ავთანდილ კახნიაშვილი, „რეალური სასამართლო რეფორმისთვის (ანალიზი, შენიშვნები, წინადადებები)“, თბილისი, 2016, 288 გვერდი

კრებულში შევიდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს პარლამენტისა და იუსტიციის სამინისტროს მესვეურების, აგრეთვე, საქართველოს პრეზიდენტისთვის გაგზავნილი წინადადებები, რომელთა მიზანია საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის ქმედითი გარანტის - რეალურად დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო ხელისუფლების - ფორმირება. კრებულს თან ერთვის ადრე გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები კომენტარებით, რომლებშიც ასახული საკითხები მიმდინარე სასამართლო რეფორმისთვისაც არის აქტუალური, ვინაიდან კრიტიკულად გაანალიზებულია წინა წლებში სასამართლოებში განხორციელებული ნაუცბადევი ცვლილებები და შესაბამისი სამართლებრივი ბაზა, აგრეთვე, მოცემულია წინადადებები ადამიანის უფლებების ეფექტურად დაცვის მიზნით კანონმდებლობისა და სამართალწარმოების პრაქტიკის შესაცვლელად.

კრებული განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისთვის, პირველ რიგში კი მათთვის, ვინც დაინტერესებულია, საქართველო ევროპული ტიპის სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდეს და სასამართლო ხელისუფლების ისეთი რეალური რეფორმა გატარდეს, რომელიც არსებულ პრობლემებსაც მოაგვარებდა და მოსამართლეებისადმი ნდობასაც გაზრდიდა. გარდა სამართალდამცავ ორგანოებში დასაქმებული იურისტებისა, კრებული დაეხმარება პოლიტიკური და საზოგადოებრივი გაერთიანებების, აგრეთვე, ჟურნალისტთა კორპუსის იმ წარმომადგენლებს, რომლებსაც სურთ სასამართლო ხელისუფლებაში შექმნილ ვითარებაში გარკვევა და ადამიანის უფლებების ხელყოფის ფაქტების აღკვეთა. გარდა ამისა, კრებული ხელს შეუწყობს სტუდენტებს, შეარჩიონ ის პრობლემური საკითხები, რომელთა გონივრულ გადაწყვეტას საკურსო, საბაკალავრო, სამაგისტრო, სასემინარო ან სადისერტაციო ნაშრომებზე მუშაობის პროცესში შეეცდებიან, რითაც საკუთარ წვლილს შეიტანენ ზოგადსაკაცობრიოდ აღიარებული დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრებასა და ადამიანის უფლებების დაცვის სამართლებრივი საშუალებების ეფექტურობის ამაღლებაში.

ISBN 978-9941-0-8945-9
© ავთანდილ კახნიაშვილი

წინასიტყვაობა

აღიარებულია, რომ დემოკრატიულ ფასეულობებზე ორიენტირებულ სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა დაცვის ყველაზე ეფექტურ გარანტს, აგრეთვე, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების თვითნებობის შემაკავებელს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო წარმოადგენს. ამასთან, საქართველოში მართლმსაჯულების განმახორციელებელი სისტემის რეალური რეფორმირებისთვის და „სამართლიანობის აღსადგენად", უპირველეს ყოვლისა, პარლამენტის „პოლიტიკური ნება" და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებია საჭირო.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ პირველი „სასამართლო რეფორმა" საქართველოში 1991 წელს განხორციელდა და მოსამართლეები 10 წლით გამწესდნენ თანამდებობებზე. 1997-1999 წლებში „მოქკავშირის ახალგაზრდული ფრთის" მიერ ნაუცბადევად განხორციელებულმა და უცხოელი ექსპერტების მიერ მოწონებულმა „რევოლუციურმა რეფორმამ", რომელიც 10 წელიწადზე იყო გათვლილი, შედეგი არ გამოიღო. ფაქტია ისიც, რომ „ვარდების რევოლუციის" შემდეგ „ნაციონალური მოძრაობის" მიერ სასამართლოების მორიგი „რეფორმირების" შედეგად ტოტალიტარიზმის დროინდელივით, მმართველი პარტიის მიერ სრულად კონტროლირებადი მოსამართლეთა კორპუსი მივიღეთ. იმის გამო, რომ საქართველოში არ არსებობდა რეალურად დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო, „ქართულ ოცნებას", ფაქტობრივად, უკვე მე-4 „სასამართლო რეფორმის" დაწყება მოუხდა...

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ახალი თავმჯდომარის პრესკონფერენციიდან ცნობილი გახდა, რომ იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით საერთო სასამართლოების სისტემაში მიმდინარე რეფორმის მესამე ეტაპთან („მესამე ტალღასთან") დაკავშირებით დიალოგი დაიწყო მოსამართლეებსა და დაინტერესებულ საზოგადოებასთან. ვინაიდან, როგორც მოქალაქე, დაინტერესებული ვარ, საქართველო სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდეს და ქვეყანაში რეალური რეფორმები გატარდეს, ამასთან, სასამართლოც იქცეს რეალურად დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ ხელისუფლებად, ნინო გვენეტაძეს 2015 წლის 12 ივნისს წარვუდგინე წინადადებები საქართველოში რეალური სასამართლო რეფორმის განსახორციელებლად აუცილებელი ღონისძიებების თაობაზე. თან დავურთე ადრე გამოქვეყნებული პუბლიკაციები, რომლებშიც ასახული საკითხები მიმდინარე სასამართლო რეფორმისთვისაც უნდა ყოფილიყო აქტუალური. მოგვიანებით იგივე წინადადებები საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, იუსტიციის მინისტრს და პრეზიდენტსაც გავუგზავნე. თავი ვალდებულად ჩავთვალე

ხელისუფლების სამივე შტოს მესვეურებისთვის მეცნობებინა, რომ ადრე განსორციელებულ და სამომავლოდ დაგეგმილ ცვლილებებს კრიტიკულად ვუყურებ, ნამდვილად არ მინდა სასამართლო ხელისუფლებაში მხოლოდ მორიგი კოსმეტიკური ცვლილებები განხორციელდეს და ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვა ისევ არაეფექტურად გაგრძელდეს.

იუსტიციის უმაღლეს საბჭოში განვითარებულმა მოვლენებმა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის განცხადებებმა, პირდაპირმა ტელეტრანსლაციებმა სასამართლო დარბაზებიდან და საკონსტიტუციო სასამართლოს „ოპერატიულმა რეაგირებამ“ პოლიტიკურ პროცესებზე, დამარწმუნა, რომ საქართველოს სასამართლოებში ვითარება იმაზე მეტად საგანგაშოა, ვიდრე მეგონა, რამაც გადამაწყვეტინა ჩემი თვალსაზრისი საზოგადოებისთვისაც გამეცნო. მით უმეტეს, რომ ქვეყანაში მიმდინარე სამართლებრივ რეფორმებს, ფაქტობრივად, დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდანვე ვადევნებდი თვალს, პოლიტიკური ამბიციები არ გამაჩნია და თავს ისეთ აქტიურ იურისტად მივიჩნევ, რომელიც თავადაც ცდილობს დაიცვას კანონი და სხვისგანაც ითხოვს კანონმორჩილებას.

ამდენად, თუ სასამართლო რეფორმის მესამე ან თუნდაც მისი მომდევნო ეტაპები მაინც გამოიღებს შედეგს და სასამართლო რეალურად გახდება დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, კიდევ მექნება იმედი, რომ სამართლებრივი წყვდიადიდან გამოვალთ და ნიჰილიზმსაც დავძლევთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია, ისევ ის, სააკაშვილის დანატოვარი - სასამართლოს ბუტაფორიულ ფასადს ამოფარებული პლუტოკრატიული ტირანია (ძალადობასა და თვითნებობაზე დაფუძნებული რეჟიმი) - შეგვრჩეს ხელში, რომლისთვისაც ადამიანის უფლებების ნაცვლად, პრიორიტეტული ისევ სახელმწიფოს, მმართველი პარტიის ან, კიდევ უარესი, რომელიმე ერთი „მოქალაქის“ ინტერესები იქნება. ყველა შემთხვევაში, თუ საერთო სასამართლოების სისტემაში ვითარება არსებითად არ გამოსწორდა, ევროკავშირს ვინ ჩივის, ევრაზიულშიც აღარავინ გაგვიკარებს, ხოლო თუ კონკურსებისა და არჩევნების გონივრულად ჩატარება ვერ ვისწავლეთ, შეიძლება, ათას ჭირვარამგამოვლილი და ტოტალიტარიზმის წლებს გადარჩენილი ერთიანი ქართული სახელმწიფო ვერ შევინარჩუნოთ...

კრებული IV იქნება სერიაში „უფლებათა დამცველის ბიბლიოთეკა“ (I - „ნომენკლატურული პრივატიზაცია“, II – „საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან“, III - „სამართლიანი სასამართლოსთვის“), რომელსაც 2001 წლიდან საკუთარი სახსრებით გამოვცემ და ვცდილობ მოკრძალებული წვლილი შევიტანო საქართველოს ევროპული ტიპის სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში.

21 ივნისი, 2016 წელი

სარჩევი

წინადადებები საქართველოში რეალური სასამართლო რეფორმის განსახორციელებლად 7
რეალურად დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლო ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტი (ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა", 1998, №2) 64
ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიები სისხლის სამართალწარმოებაში (ჟურნალი „სამართლებრივი რეფორმა", 1998, №1) 76
საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის შესახებ (ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია", 1998, №1) 85
კორუფციასთან ბრძოლის საერთაშორისო გამოცდილება და „ქართული" მოდელი (ჟურნალი „საერთაშორისო სამართალი", 1998, №3-4) 96
სადავო „ნოვაცია" სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (ჟურნალი „მართლმსაჯულების მაცნე", 1998, №1) 107
ტელევიზია სასამართლო პროცესზე და უდანაშაულობის პრეზუმფცია (ჟურნალი „მართლმსაჯულების მაცნე", 1998, №4) 114
უდანაშაულობის პრეზუმფცია, ზეწოლა სასამართლოზე და სიტყვის თავისუფლება (ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია", 1998, №4) 123
ადამიანის უფლებათა ევროკონვენციის მე-13 მუხლი და მისი ქართული ვარიანტები (ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია", 2000, №3) 138
მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესის სრულყოფისათვის (ჟურნალი „სამართალი", 2001, №3) 148
„სამართლებრივი სახელმწიფო" „სამართლიანი სასამართლოს" მოლოდინში (ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა", 2004, №10) 158
საკონსტიტუციო სასამართლო: ბუტაფორიული ფასადი თუ ადამიანის უფლებათა ეფექტური დამცველი?! (ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა", 2005, №1) 173
სისხლის სამართლის პროცესის „საქვეყნოობის" შესახებ (ჟურნალი „იურიდიული მეგზური", 2005, №1) 188
განაჩენის ხელმისაწვდომობის პრობლემა საქართველოში („სამხრეთ კავკასიის იურიდიული ჟურნალი", 2015, №6) 203
პლუტოკრატიული ტირანია თუ სამართლებრივი სახელმწიფო (გაზეთი „პრემიერი", 16.10.2014) 220
ამონარიდი საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2014 წლის 04 დეკემბერს შეტანილი საკასაციო საჩივრიდან 237
საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება 275

ვუძღვნი იოანე კახნიაშვილს
იმედი მაქვს, სანამ წინამდებარე კრებულის წაკითხვას შეძლებს, სასამართლო რეფორმა დასრულებული იქნება...

„მთავარი ბევრის ცოდნა კი არა, არამედ გონივრული ცოდნაა.“
დემოკრიტე, ძველი წელთაღრიცხვით მე-3 საუკუნე

„სამართალი და განათლების საქმე ისეთი უაღრესნი არსებითნი საჭიროებანი არიან სახელმწიფო კეთილდღეობისათვის, რომ აქ ფულის გაფრთხილება, ფულის დაზოგვა, ხარჯვის შიში, მეტად მავნებელი რამ არის, როგორც საზოგადოებისათვის, ისე სახელმწიფოსათვის. სამართლის ურიგოდ მოწყობილობა სვავია, რომელიც სნთქავს ხალხის სიმდიდრესა, მახვილია, რომელიც ჰკვეთს ფრთებსა ხალხის ხელთმოქმედებას და ეკონომიკურს წარმოებას...

სამართალი უნდა იყოს იმისთანა კაცის ხელში, რომელსაც ხალხი იცნობს, ხალხი ენდობა და ხალხი პატივსა სცემს და რომელსაც თვითონაც გული უნდა შესტკიოდეს, რომ უწესობა, ურიგობა არ იყოს, რომ დანაშაულობა, ბრალი, დაუსჯელად არ ჩაივლის, წანახედი, ზიანი უზღვევლად არ დარჩება... ამ ნდობის მოსაპოვებლად ისე კანონების ცოდნა არ არის საჭირო, როგორც ცოდნა ხალხის აზროვნებისა, ხალხის ზნისა, ჩვეულებისა და, ამასთანავე, საჭიროა საკუთრივ კაცსა ჰქონდეს გამჭრიახი გონიერება, პატიოსანი ხასიათი და უჩირქო ყოფა-ცხოვრება... უფრო საჭიროა ჰქონდეს შინაკაცის საქმიანი სიბრძნე, ვიდრე კანონიერების ცოდნა და მოსამართლეობის გამოცდილება...

ჩვენდა სამწუხაროდ, ამასვე ვერ ვიტყვით იმ გასამართლების წეს-ზედ, რომელიც ჩვენში გადაასხვაფერეს, ვითომ შეუსწორეს აქაურ გარე-მოებას და ისე დაადგინეს...“

ილია ჭავჭავაძე, „ცხოვრება და კანონი“, ჟურნალი „ივერია“, 1879

„ის უწმინდესი და უმაღლესი დანიშნულება განკითხვისა, რომელსაც ჩვენ მართლიერებას, სამართალს ვეძახით, მთელი ერის განწმენდილი სინდისი და ნამუსია... მსაჯული ის რჩეული კაცია, რომელსაც აბარია ჩვენი ქონება, ჩვენი ღირსება, ჩვენი სული და ხორცი, ერთი სიტყვით, ჩვენი კაცური კაცობა, ჩვენი ადამიანობა.“

ილია ჭავჭავაძე, „სამართალი და ზღვევა“, გაზეთი „ივერია“, 1889

„საერთოდ, უფრო მეტად გვმართებს ანალიტიკური აზროვნების უნარის გამოვლენა, ვიდრე გულის კარნახით სიარული. ჩვენი ყოველი ნაბიჯი აწონილი და გამართლებული უნდა იყოს!“

ილია II, საშობაო ეპისტოლე, 2010

წინადადებები

საქართველოში რეალური სასამართლო რეფორმის განსახორციელებლად

საქართველოს მოქალაქეებმა, ჩვენი „ურყევი ნება სამართლებრივი სახელმწიფო დაგვემკვიდრებინა" კონსტიტუციის პრეამბულაში ავსახეთ, ანუ, ფაქტობრივად, ხელისუფლებათა დანაწილების პრინციპიც ერთხმად ვაღიარეთ და ადამიანის უფლებების დაცვაც პრიორიტეტულად მივიჩნიეთ. ამდენად, ვინაიდან საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების თვითნებობის ყველაზე ეფექტურ შემაკავებელს, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა დაცვის ერთადერთ ქმედით გარანტს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო წარმოადგენს, ქვეყანა რომ სწორი მიმართულებით განვითარდეს, პირველ რიგში, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოების გამართული სისტემაა ჩამოსაყალიბებელი.

სამწუხაროდ, 1991, 1999 და 2004 წლების „რევოლუციური", ხოლო 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ ჩატარებული „ხავერდოვანი" რეფორმების და რამდენიმე განხილულ საქმეზე „მართლმსაჯულების ზეიმის" მიუხედავად, სასამართლო ხელისუფლებამ საზოგადოების ნდობა ჯერ ვერ მოიპოვა და ძირითადად ისევ დაშინებული და ხელისუფლების კონტროლს დაქვემდებარებული მოსამართლეთა კორპუსი გვყავს. დღევანდელი მოსამართლეების მნიშვნელოვანი ნაწილი ისეთივე „დამოუკიდებელი და მიუკერძოებელია", როგორც კომუნისტების მმართველობის დროს, ხოლო საქმეთა განხილვის გაჭიანურების ვადებით ან/და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების რიცხვით ტოტალიტარიზმის დროინდელებს ნამდვილად აჭარბებენ... ფაქტია ისიც, რომ, მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში საგანგაშო მდგომარეობაა შექმნილი და თითოეულ მოსამართლეზე 400-დან 700-მდე განუხილველი საქმე მოდის, ხოლო მიღებული გადაწყვეტილებების უმრავლესობა ზემდგომ ინსტანციებში საჩივრდება...

არ უნდა იყოს სადავო, რომ საქართველოში რეალურად დამოუკიდებელი სასამართლოს ფორმირებისთვის, პირველ რიგში, „პოლიტიკური ნებაა" აუცილებელი, ხოლო თუ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მესვეურებს რეალურად სურთ ევროინტეგრაცია, რეალური სასამართლო რეფორმის განხორციელება და სასამართლო ხელისუფლებისთვის სახელმწიფო მექანიზმში

სათანადო ადგილის მიჩენა, უპირველეს ყოვლისა, სასამართლოებს უნდა გამოუყონ შესაფერისი შენობები და არა ე. წ. ძალოვან სტრუქტურებს. ამასთან, არანაკლებ მნიშვნელოვანია სასამართლო რეფორმის შინაარსობრივ მხარეს მიექცეს მნიშვნელობა და არა - გარეგნულს.

სამწუხაროდ, წლების განმავლობაში სიტყვით თითქოს სამართლებრივ სახელმწიფოს და დემოკრატიულ ინსტიტუტებს ვამკვიდრებდით (ძირითადად, „უცხოელი მეგობრების“ გასაგონად...), მიღებული კანონებით და რეალური ქმედებებით კი პოლიციური სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი ბუტაფორიულფასადიანი სასამართლო მივიღეთ, რომელიც პრიორიტეტულად არა მარტო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, არამედ ცალკეული პირების ინტერესებს მიიჩნევს (მათ შორის, სახელმწიფოს ბიუჯეტის შევსებას და „ელიტური“ ბანკების შემოსავლების ზრდას...) და არა ადამიანის ძირითადი უფლებების ეფექტურ დაცვას. არცთუ იშვიათად, მოსამართლეები უშუალო ხელმძღვანელებისა და მაკონტროლებლების მითითებით მოქმედებენ (მათ შორის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების და სასამართლოს თავმჯდომარეების...) და ცალკეული მაღალჩინოსნების, პოლიტიკური გაერთიანებების ან იურიდიული პირების სასარგებლოდ იღებენ გადაწყვეტილებებს (პოლიციელები, პროკურორები და ბანკირები 99 %-ით მართლები არიან...). ფაქტია, რომ დღევანდელი სასამართლო ეფექტურად ვერც ხელისუფლების თვითნებობისგან იცავს მოქალაქეებს და ვერც საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების გაყალბებისას ახერხებს „სამართლიანობის აღდგენას“.

ამდენად, თუ რეალურად გვინდა დემოკრატია და ევროინტეგრაცია, პირველ რიგში, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ ნაუცბადევად განხორციელებული „სასამართლო რეფორმებისას“ დაშვებული არსებითი შეცდომები უნდა გამოვასწოროთ, რისთვისაც კანონმდებლობისა და მოსამართლეების საკადრო შემადგენლობის გადასინჯვასთან ერთად სასამართლოებისთვის ისეთი შენობები უნდა გამოვყოთ, რომ ადამიანი შესვლისთანავე სახელმწიფოს სახელით მოქმედი მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოსადმი განსაკუთრებული პატივისცემითა და ნდობით განიმსჭვალოს. მით უმეტეს, რომ სახელმწიფოს განვითარების დონესა და პოლიტიკური სისტემის დემოკრატიულობის ხარისხზე პოლიციის შენობების იერსახის მიხედვით კი არ მსჯელობენ, არამედ სასამართლოების...

საქართველოში ამ მხრივ რა ვითარებაა, მკაფიოდ ჩანს, აეროპორტიდან მომავალ ავტომაგისტრალზე თვალსაჩინოდ აღმართული თბილისის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის რეზიდენციისა

და დიღმის ტრასაზე ავეჯის სალონის უკან განთავსებული თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობის თუნდაც მხოლოდ გარეგნული მხარის შედარებითაც... ფაქტია, რომ 2005 წლის მე-5 თვის მე-5 დღეს ნაუცბადევად გახსნილი თბილისის საქალაქო სასამართლო განთავსებულია ქალაქის განაპირას მდებარე ყოფილი პროფესიული სასწავლებლის 5 - სართულიან შენობაში, რომლის ბუტაფორიული ფასადი რამდენიმე წელიწადში იმდენად ჩამოიშალა, რომ სასამართლოს თავმჯდომარემ, ფაქტობრივად, მისი ფოტო და ვიდეოგადაღება (სასამართლოს ეზოში მობილურების შეტანაც...) აკრძალა... აშკარად დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია დღემდე სხდომებს ამ 5 - სართულიანი შენობის სხვენში („მანსარდაში“) ატარებს, ე. წ. სხდომათა დარბაზებში (რამდენიმე ოთახი 10 კვ. მეტრს არ აღემატება...) მოსახვედრად „ლაბირინთებია“ გასავლელი და მათში სინათლის სხივიც კი ვერ აღწევს. არც იმის გამართლება შეიძლება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლო დიღომში ცენტრალური გზის პირას მდგარი პროკურატურა-პოლიციის შთამბეჭდავი შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, სკოლისთვის გათვალისწინებულ მეტად უსახურ ნაგებობაშია განთავსებული. სამაგიეროდ, თბილისის პროკურატურისთვის აიგო ორიგინალური დიზაინის ახალი შენობა (თუმცა გარე იერსახისა და ინტერიერის მხოლოდ შავ ფერში გადაწყვეტა არ უნდა იყოს გამართლებული...) და ისიც თვალსაჩინო ადგილზე განთავსდა.

ამდენად, უპირველეს ყოვლისა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიისთვის უნდა მოიძებნოს შესაფერისი ფართი. თუ მეტეხის პლატოზე აღმართული სასახლე, რომელშიც ამჟამად საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია საქმიანობს, იძლევა საშუალებას, გამართლებულად მიმაჩნია, მასში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია და სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა ერთად („ადმინისტრაციული იუსტიცია“) ან თუნდაც მხოლოდ სააპელაციო სასამართლო გაგვეთავსებინა (ამ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს შენობაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია გადავიდოდა).

თუ ეს ვერ მოხერხდება, გონივრული იქნებოდა, ავლაბრის რეზიდენცია „მართლმსაჯულების სასახლედ“ გვექცია ან უზენაესი სასამართლოსთვის გადაგვეცა და მასში საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა საქმეთა პალატა გაგვეთავსებინა, რომელიც დღევანდელი საკონსტიტუციო სასამართლოს ბაზაზე შეიქმნებოდა. ცხადია, აღნიშნული წინადადება განმარტებას საჭიროებს: მართალია,

2014 წელს თბილისში, ლუბლიანის ქუჩის მიმდებარედ, გაიხსნა ერთსართულიანი „მართლმსაჯულების სახლი", მაგრამ თუ მართლაც გვინდა ე. წ. ევროინტეგრაცია, კარგი იქნებოდა, თუნდაც რუმინეთისგან მაინც აგვეღო მაგალითი, სადაც ქვეყნის ღირშესანიშნაობათა ჩამონათვალში „მართლმსაჯულების სასახლე" პირველ ნომრად არის დასახელებული (მერე მოდის მეფის სასახლე და მსოფლიოში უდიდესი მთავრობის სახლი, ხოლო ესპანეთში 2005 წელს გამართულ საერთაშორისო კონკურსში ქართველმა არქიტექტორებმაც მიიღეს მონაწილეობა და 330 000 კვადრატულ მეტრზე განთავსებული „მართლმსაჯულების სასახლის" პროექტი წარადგინეს ...)

ფაქტია ისიც, რომ ისევე, როგორც საერთო სასამართლოები, უაღრესად არაეფექტურად მუშაობს და დანიშნულებას ვერ ასრულებს „ნაციონალური" პარლამენტის მიერ ბათუმში „გადასახლებული" საკონსტიტუციო სასამართლოც, რომელიც, ფაქტობრივად, პოლიტიკური ნიშნით არის დაკომპლექტებული და ქვეყნისთვის დემოკრატიული ბუტაფორიული ფასადის როლს ასრულებს. შედეგად, გაუმართავი სამართლებრივი ბაზის გამო დაფუძნების დღიდან საკონსტიტუციო სასამართლო ადამიანის უფლებებზე მეტად, ფაქტობრივად, მმართველი პარტიისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ინტერესების დაცვაზე ზრუნავს. კონსტიტუციასა და კანონმდებლობაში „ვარდების რევოლუციის" შემდგომ შეტანილმა ცვლილება-დამატებებმა კი კიდევ უფრო გააუარესა მანამდე არსებული ვითარება და საკონსტიტუციო სასამართლო სამართლიანი არჩევნების პრინციპის აშკარა იგნორირებაზეც კი არ რეაგირებს და გადაწყვეტილებებსაც ისე იღებს, როგორც ეს პოლიტიკურ ელიტას აძლევს ხელს. კერძოდ, თუ „ნაციონალურ ინტერესებს" ეხება, საქმე რამდენიმე კვირასა ან თვეში იხილება, სხვა საქმეების განხილვა კი წლობით ჭიანურდება (აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან შეთანხმებული ერთი გადაწყვეტილება ნახევარი წლის დაგვიანებითაც კი გამოაცხადეს...). ამდენად, ისევე როგორც საერთო სასამართლოების შემთხვევაში, მხოლოდ კოსმეტიკური შელამაზებით საქმეს არაფერი ეშველება და საკონსტიტუციო სასამართლოს როგორც სტრუქტურა, ასევე საკადრო შემადგენლობაც ძირეულად უნდა შეიცვალოს.

დღეს, როდესაც უკვე აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაზე (არადა, უმჯობესი იქნებოდა, ჯერ კონსტიტუციის ხელყოფით 2004 წლის 6 თებერვალს „უზენაეს კანონში" შეტანილი ცვლილება-დამატებები გაგვეუქმებინა და „ვარდების რევოლუციამდე" არსებული მდგომარეობა აღგვედგინა), შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, გამართლებულად მიმაჩნია,

საკონსტიტუციო სასამართლოზე საერთოდ უარის თქმა და მისი მიერთება უზენაეს სასამართლოსთან (ამაზე ადრეც იყო ლაპარაკი). სხვათა შორის, იმავე აშშ-ში, რომელიც დღეს სამაგალითოდ არის მიჩნეული, საკონსტიტუციო სასამართლო არ არსებობს და მის ფუნქციას 9 - კაციანი უზენაესი სასამართლო ასრულებს.

კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიღებამდეც შეიძლებოდა მასში შესაბამისი ცვლილებები შეგვეტანა. ამის შემდეგ საერთო სასამართლოების და საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონების ნაცვლად პარლამენტი მიიღებდა ორგანულ კანონს „სასამართლოების შესახებ", რომლითაც უზენაესი სასამართლოს შემადგენლობაში სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეთა პალატების გარდა, გათვალისწინებული იქნებოდა საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა საქმეთა ახალი პალატა. აღნიშნულ პალატაში დასაქმდებოდა დღევანდელი საკონსტიტუციო სასამართლოს 9-ვე წევრი, მათ 6 ან 9 მოსამართლე დაემატებოდა და საჩივრებს 3-3 მოსამართლისგან შედგენილი კოლეგიები განიხილავდნენ (დღეს კონსტიტუციურ სარჩელებს 4 მოსამართლე იხილავს, რაც უაღრესად არაგონივრულია, მით უმეტეს, როდესაც ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში სარჩელი არ კმაყოფილდება...). ამასთან, აღნიშნულ პალატას, საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი საქმების განხილვის გარდა, დაემატებოდა არჩევნების კონსტიტუციურობის შემოწმების, კომპეტენციების თაობაზე დავების გადაწყვეტის, აგრეთვე, მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე, უზენაესი სასამართლოს მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებების კონსტიტუციის მეორე თავთან შესაბამისობის შემოწმების ან/და ახლად აღმოჩენილ (გამოვლენილ) გარემოებათა გამო ნებისმიერი კანონიერ ძალაში შესული ადრე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის ფუნქცია.

გარდა ამისა, ამავე პალატაში, რიგითობის მიხედვით გადაიხედებოდა საქართველოს მოქალაქეების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაგზავნილი საჩივრები და მათი საფუძვლიანად მიჩნევის შემთხვევაში მთავრობას მიეცემოდა სავალდებულო ხასიათის მქონე დირექტივა ან რეკომენდაცია დაზარალებულისთვის სათანადო კომპენსაციის გაცემის თაობაზე (მით უმეტეს, სტრასბურგის სასამართლო, ფაქტობრივად, გადაივსო საქმეებით და მხოლოდ საქართველოდან 2014 წელს 2000-მდე საქმეა შესული. შედეგად, განმცხადებლების აბსოლუტური უმრავლესობა იღებს სრულიად დაუსაბუთებელ „ტრაფარეტულ" პასუხს, რომ მათი საჩივრები არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს და არ განიხილება, ხოლო თუ ევროპული სასამართლო საქართველოდან შესულ საქმეს იხილავს,

მაღალი ალბათობით შეიძლება ვარაუდი, რომ ის პოლიტიკური შინაარსის მატარებელია...).

ამასთან, არ იქნებოდა ურიგო, ამავე პალატას საკუთარი ძალებით, სათანადო ანაზღაურებით მოწვეული ექსპერტებისა ან/და ე. წ. სასამართლოს მეგობრების დახმარებით მოემზადებინა დასკვნები კანონპროექტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზეც. სამომავლოდ, როდესაც სტრასბურგში განსახილველი საჩივრების რიცხვიც გონივრულამდე შემცირდებოდა და უზენაესი სასამართლოს მიერ ადრე მიღებული სადავო გადაწყვეტილებებიც გადაიხედებოდა, აღნიშნულ პალატაში მოსამართლეთა რიცხვიც შესაბამისად შემცირდებოდა.

რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს, ფაქტია, რომ მან დღემდე ვერც კონსტიტუცია დაიცვა თვითნებური „გადასხვაფერებისგან“ და ვერც არჩევნების ტოტალური გაყალბების ფაქტებზე გაბედა ხმის ამოღება (გავიხსენოთ, უკრაინაში „ნარინჯისფერი კრიზისი“ საკონსტიტუციო სასამართლომ აღმოფხვრა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კი არც 2003 წლის „ვარდების რევოლუციისას” დაიცვა კონსტიტუცია და არც 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების შემაჯამებელი ოქმის გაყალბების თაობაზე შეტანილი სარჩელი განიხილა). ან როგორ უნდა დაიცვას სხვა ადამიანის უფლებები, როდესაც თავად საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეები ვერ ახერხებდნენ თავის დაცვას და „ზემოდან” მითითებისთანავე ვადამდე ტოვებდნენ თანამდებობებს...

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცედურა იმდენად არაგონივრულია, რომ მოსამართლეებს შეუძლიათ დასაშვებობის საკითხის განხილვაზე არ მიიწვიონ სარჩელის ავტორი, საქმის განხილვის დასრულების შემდეგ წლობით გააჭიანურონ გადაწყვეტილების გამოცხადება, ხოლო თუ გადაწყვეტილების გამოტანისას მოსამართლეთა ხმები გაიყო, სარჩელი არ კმაყოფილდება... ისიც საინტერესოა, ვის მოუვიდა თავში კოლეგიის 4 მოსამართლით დაკომპლექტება, როდესაც ანტიკურ ხანაშიც კი იცოდნენ, რომ კოლეგიური ორგანოს წევრთა რიცხვი უმჯობესია კენტი ყოფილიყო (გამოდის, თუ ინტელექტუალთა პაექრობისას მსაჯების ხმები გაიყო, რიგითი მოქალაქე მხოლოდ იმიტომ გამოცხადდება წაგებულად, რომ მარტო ეჯიბრებოდა 150 პარლამენტარს?!). ამდენად, ვინაიდან საქმე ადამიანის უფლებებს ეხება, გაცილებით გონივრული იქნებოდა მოსამართლეთა ხმების გაყოფის შემთხვევაში კონსტიტუციური სარჩელი დაკმაყოფილებულიყო ან პლენუმს გადასცემოდა საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

ისიც ფაქტია, რომ ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლო

გადაწყვეტილების მიღებამდე მომხდარი ანტიკონსტიტუციური ქმედებების გამოსწორებას ვერ ახერხებს და ზიანის ანაზღაურების მექანიზმიც არ გააჩნია, ცალკეული პირები დასახმარებლად მას ძალზე იშვიათად მიმართავენ. ამდენად, ვინაიდან ბათუმში გადატანის შემდეგ ძირითადად მხოლოდ ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პოლიტიკოსებს შეაქვთ სარჩელები, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს არ გავაუქმებთ, გამართლებული იქნებოდა, ის დედაქალაქში დაგვებრუნებინა და თუნდაც ე. წ. ავლაბრის რეზიდენციაში განგვეთავსებინა. ამით მოსარჩელეებს და მედიის წარმომადგენლებს მოეხსნებოდათ მგზავრობასთან დაკავშირებული პრობლემები და მოსამართლე-პროფესორებსაც მიეცემოდათ ნორმალური მუშაობისა და ცხოვრების საშუალება...

ყველა შემთხვევაში, სრულიად მიუღებელია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა გამწესების დღეს მოქმედი წესი. 9 წევრიდან 3-ს უშუალოდ პრეზიდენტი ნიშნავს, 3-ს პარლამენტი ირჩევს, ხოლო 3-ს - უზენაესი სასამართლო ნიშნავს. ერთი შეხედვით, თითქოს ამერიკულის მსგავსი მოდელი დავნერგეთ და მასთან შედარებით დემოკრატიულობის უფრო მაღალი ხარისხიც შევძინეთ (აშშ-ში ხომ ცხრავე წევრის დანიშვნის უფლება აქვს პრეზიდენტს, ჩვენთან კი მხოლოდ სამის...), მაგრამ არსი, ჩვეულებისამებრ, ისე დავამახინჯეთ („გადავასხვაფერეთ"...), რომ როგორც ილია ჭავჭავაძე იტყოდა: ამ სახით, სრულიად ტყუილუბრალოდ ჩვენი ხალხი გამოაკლეს იმ სიკეთეს, რაც მოსამართლედ გამწესების წესმა ამერიკას, ცოტად თუ ბევრად, მიანიჭა...

აშშ-ში მოსამართლე უვადოდ, ანუ სიცოცხლის ბოლომდეა დანიშნული. ამდენად, თუ უზენაეს სასამართლოში ვაკანსია გაჩნდა, პრეზიდენტს შესაბამის კანდიდატურას იუსტიციის დეპარტამენტი (სამინისტრო) შეურჩევს, ისიც მხოლოდ ამერიკის იურისტთა (ადვოკატთა) ასოციაციიდან დასკვნის მიღების შემდეგ. სახელმწიფო და საზოგადოებრივ (ე. წ. არასამთავრობო) სტრუქტურებთან შეთანხმებით შერჩეულ კანდიდატს აშშ-ის პრეზიდენტი პირადად შეეხმიანება (ტელეფონით), საპატიო თანამდებობას შესთავაზებს და თანხმობის მიღების შემთხვევაში მას სენატის იურიდიულ კომიტეტს წარუდგენს. როგორც კი მოსამართლეობის კანდიდატის შესახებ საჯაროდ ხდება ცნობილი, მასმედია მის შესახებ ყოველგვარი ცნობების შეგროვებას იწყებს და ძირითად აქცენტს მორალურ მხარეზე (რეპუტაციაზე) აკეთებს. იურიდიულ კომიტეტში მოწონებულ კანდიდატურას, შემდგომ უკვე სენატორები, სრული შემადგენლობით უყრიან კენჭს და მხოლოდ ხმების უმრავლესობით გასული პიროვნება ინიშნება პრეზიდენტის მიერ სამუდამოდ. როგორც ვხედავთ, რამდენიმე

პრეზიდენტს უფლებამოსილების ვადა შესაძლოა ისე ამოეწუროს, რომ აშშ-ის უზენაეს სასამართლოში ერთი წევრიც კი არ შეიცვალოს (სწორედ უზენაესი სასამართლოს დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხის გამო აქვს მასვე მინიჭებული კონსტიტუციის დაცვისა და მისი განმარტების უფლებამოსილებაც).

საქართველოში პირველი საკონსტიტუციო სასამართლო მხოლოდ ედუარდ შევარდნაძის გაპრეზიდენტების შემდეგ, ფაქტობრივად, მის მიერვე და იმავე 10 - წლიანი ვადით შეიქმნა, რომლის განმავლობაშიც თავად იქნებოდა უფლებამოსილი ემეთაურა სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის.

სამწუხაროდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრობის კანდიდატების თაობაზე არავითარი საჯარო მსჯელობა არ გამართულა და კონკრეტულ პირთა გამოსამართლების შესახებ საზოგადოებამ მხოლოდ თანამდებობებზე მათი გამწესების შემდეგ შეიტყო. ამასთან, თუ 3 წევრი შევარდნაძემ ერთპიროვნულად დანიშნა, ამდენივე მისი („მოქალაქეთა") პარტიის წევრებმა „აირჩიეს", რომლებიც პარლამენტში უმრავლესობას წარმოადგენდნენ (ლოგიკურია, მხოლოდ პრეზიდენტთან შეთანხმებით იმოქმედებდნენ). ხოლო იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ 1996 წელს უზენაესი სასამართლო, ფაქტობრივად, ისევ ტოტალიტარიზმის დროინდელი კადრებით იყო დაკომპლექტებული, ცხადი უნდა იყოს, რომ მათ მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილი მოსამართლეები არც „მოქალაქეთა კავშირის" პარტიული ლიდერისთვის იქნებოდნენ მიუღებელნი. შესაბამისად, „ნაციონალად გარდაქმნილმა" სააკაშვილმაც საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო საკუთარი გუნდით დააკომპლექტა, რისთვისაც თვით „უზენაესი კანონის" ცვლილებასაც კი არ მოერიდა და საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად გამწესებისთვის 30 წელი საკმარისად ჩათვალა (მაგ., იტალიაში 50 წელია...). შედეგად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სახელმწიფოსა და მისი უზენაესი კანონით გარანტირებულ ადამიანის ძირითად უფლებებზე მეტად მმართველი პოლიტიკური ძალის ინტერესებს იცავს. საგულისხმოა, რომ მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლო 2007 წელს ბათუმში გადავიდა, შენობის ცენტრალურ შესასვლელთან წლების განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო გერბის 2004 წლის ვერსია იყო გამოსახული, მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტმა ის 2005 წელს შეცვალა და სადევიზე ბაფთაზე წითელი ჯვრები მიამატა... როგორც ჩანს, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები ვერც იმას ამჩნევენ, რომ ხელისუფლების წყაროს - ხალხის - ნაცვლად, ფაქტობრივად, მხოლოდ რამდენიმე ადამიანს („ბიზნესმენს") ემსახურებიან, როდესაც საქმის განხილვისას მაგიდაზე ბოთლებს

წარწერებით ტელეკამერებისკენ ამწკრივებენ...

ისევე, როგორც საპატრულო პოლიციის ავტომობილებზე სანომრე ნიშნების ნაცვლად, კერძო სამართლის იურიდიული პირის ფირნიშების განთავსებაა დაუშვებელი („ვარდების რევოლუციის" შემდეგ ჯერ „ჯეოსელი" ეწერა, შემდეგ „ირაო"...), ასევე სრულიად მიუღებელია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ რომელიმე ერთი საწარმოს პროდუქციის რეკლამირება. უბრალო ან მინერალური წყალი მოსამართლეებისთვის შეიძლება სხვა ჭურჭლით დაიდგას...

სრულიად გამართლებულად მიმაჩნია, აგრეთვე, ავლაბრის ე. წ. საპრეზიდენტო რეზიდენციაში გადავიდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომელიც დაუყოვნებლივ საჭიროებს რეფორმირებას. უპირველისა ყოვლისა, საკანონმდებლო დონეზე უნდა გადაიხედოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კომპეტენცია და დაკომპლექტების წესი, ხოლო მანამდე გამართლებული იქნებოდა, საერთოდ შეჩერებულიყო ამ ორგანოს საქმიანობა. ფაქტია, იუსტიციის უმაღლესი საბჭო დღეს ვერც მოსამართლეების დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს და ვერც მათ საქმიანობას აკონტროლებს ეფექტურად (მიუხედავად იმისა, რომ ათასობით საჩივარია შესული, ბოლო ორი წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, არ განხორციელებულა დისციპლინური დევნა). შესაძლებელია, იუსტიციის საბჭოს გაეზარდოს უფლებამოსილება და გარკვეულ გარდამავალ ეტაპზე, მან, ფაქტობრივად, შეასრულოს „მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის" ფუნქციაც იმ ათასობით საქმეზე, რომლებიც პარლამენტსა ან პროკურატურაშია გასაჩივრებული. მოქალაქეთა საჩივრების საფუძველზე, 3-3 - კაციან კოლეგიებში, ღია სხდომებზე, შესაძლებელია, გადაისინჯოს სასამართლოების მიერ ადრე მიღებული სადავო გადაწყვეტილებებიც მათი კანონიერებისა და დასაბუთებულობის თვალსაზრისით. ამისთვის იუსტიციის უმაღლესი საბჭო უნდა დაკომპლექტდეს არა ცალკეული მაღალჩინოსნების ან მმართველი პარტიისთვის სანდო პირებით („პერსპექტიული ახალგაზრდებით"), როგორც ეს დღემდე ხდებოდა, არამედ პიროვნული თვისებებით გამორჩეული და გამოცდილი პროფესიონალებით („სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტებით"). შესაბამისად, უნდა გაიზარდოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატიც (ძირითადად, თანაშემწეებისა და სპეციალისტების ხარჯზე).

იმ შემთხვევაში, თუ სადღესიოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ძირეული რეფორმირება არ ან ვერ განხორციელდება, გონივრულად მივიჩნევ, ე. წ. მართლმსაჯულების (დამოუკიდებელი) ინსპექტორის (სპეციალისტის, აუდიტორის) ინსტიტუტის შემოღებასაც და ამ თანამდებობაზე პიროვნული თვისებებით გამორჩეული იმ „სამართლის

დარგის აღიარებული სპეციალისტების“ გამწესებას (კონკურსის წესით), რომლებიც მოქმედი მოსამართლეების მიერ დაშვებული ეთიკური ან დისციპლინური გადაცდომების გამოვლენის, აგრეთვე, ადრე მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერებასა და დასაბუთებაში ეჭვის შეტანის შემთხვევაში, შესაბამის საქმეებს შეისწავლიან და თუ არსებით დარღვევებს შენიშნავენ, საკმარისად დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე, ულებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ან/და პარლამენტის წინაშე დააყენებენ.

მეტრო „300 არაგველის“ სიახლოვეს მდებარე შენობაში კი, რომელიც ამჟამად იუსტიციის უმაღლეს საბჭოს უკავია, გონივრული იქნებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მე-2 ადმინისტრაციული კოლეგია განთავსებულიყო, რომელიც დედაქალაქის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილს მოემსახურებოდა. ამასთან, მიზანშეწონილად მიმაჩნია, დედაქალაქის განაპირა უბნებში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ ან/და სისხლის სამართლის საქმეთა დამატებითი კოლეგიების (ან სპეციალიზებული რაიონული სასამართლოების) განთავსება (ბუნებრივია, თბილისში მოსამართლეების რიცხვი საგრძნობლად უნდა გაიზარდოს), რაც გამორიცხავს სამართალდამცავთა დროისა და საბიუჯეტო სახსრების ფუჭად ფლანგვას. ცხადია, სრულიად გაუმართლებელია, რომ სადღეისოდ, მაგ., ვარკეთილის, ლილოს ან ფონიჭალაში დაკავებული სავარაუდო სამართალდამრღვევის დიდ დიღომში გადასაყვანად პოლიციელები რამდენიმე საათს და 10-15 ლარის საწვავს მაინც ხარჯავენ... (მით უმეტეს, როდესაც მძლავრი ძრავებით აღჭურვილ მუქსახურავიან ამერიკულ მანქანებში ზაფხულში კონდიციონერის ჩართვის გარეშე ვერ გაჩერდები...).

ცხადია, ზემოაღნიშნული წინადადებების თაობაზე მსჯელობაა საჭირო, მაგრამ არ უნდა იყოს სადავო, რომ სასამართლო ხელისუფლების მტკვრის მეორე მხარეს, მით უმეტეს, სამების ტაძრის სიახლოვეს განთავსება, სიმბოლურადაც გაუსვამდა ხაზს მის დამოუკიდებლობას ხელისუფლების დანარჩენი შტოებისგან. ყველა შემთხვევაში, ავლაბრის რეზიდენციაში საკონსტიტუციო სასამართლოს, უზენაესი სასამართლოს ან უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა და საკონსტიტუციო საქმეთა პალატის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, „მართლმსაჯულების სასახლის“ ან „ადმინისტრაციული იუსტიციის“ განთავსებით სასამართლო ხელისუფლება შესამჩნევად აიმაღლებდა შელახულ ავტორიტეტს და ამ შთამბეჭდავი შენობის ფასადზე ამოკვეთილი შეგონება („ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!“) სიმბოლურ შინაარსს შეიძენდა, თორემ დღეს ნამდვილად

ცინიკურად ჟღერს. ამასთან, საქართველოს პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციაში სასამართლო ხელისუფლებაში შემავალი რომელიმე ინსტიტუტის განთავსება იმითაც იქნებოდა გამართლებული, რომ შენობის წინ არსებული ტერიტორია საჯარო სივრცეს დაუბრუნდებოდა და ადამიანებს თავისუფლად გადაადგილების საშუალება მიეცემოდათ.

სახელმწიფოში არსებული ვითარებიდან გამომდინარე და მიმდინარე რეფორმასთან მიმართებით, გონივრულად მიმაჩნია, რომ საქართველოში მართლმსაჯულების განმახორციელებელ უმაღლეს ინსტანციას ისევ ძველი დასახელება „უმაღლესი სასამართლო“ დაუბრუნდეს, ხოლო კონსტიტუციას ისევ „ძირითადი კანონი“ ეწოდოს. როდესაც საკასაციო საჩივრების 95 პროცენტის დაუშვებლად ცნობა ხდება და მიღებული გადაწყვეტილებებიც არასაკმარისად არის დასაბუთებული, ხოლო კონსტიტუციაში, როგორც ჯიხურის „ნისიების“ რვეულში, ისე შედის ცვლილება-დამატებები, ზემოაღნიშნულ ინსტიტუტებთან მიმართებით „უზენაესის“ გამოყენება, რბილად რომ ვთქვა, არაკორექტულია... სამართალდამცავებში ყველაზე მაღლა მდგომ ორგანოს „უზენაესი“ მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება ეწოდოს, როცა საქართველო სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდება და სასამართლო ხელისუფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით განსაზღვრულ სტანდარტებს დააკმაყოფილებს ან საზოგადოების მხრიდან ისეთივე ნდობას დაიმსახურებს, როგორსაც ეკლესია.

სასამართლო ხელისუფლებაში შექმნილი სისტემური კრიზისის დასაძლევად, უპირველეს ყოვლისა, საკანონმდებლო ბაზა და სამართალწარმოების პროცედურები უნდა მოწესრიგდეს, რასაც მოსამართლეთა კორპუსის ძირეული და გონივრული ცვლილება უნდა მოჰყვეს. ამ მიზნით უნდა გადაიხედოს დღევანდელ მოსამართლეთა, ფაქტობრივად, მთელი შემადგენლობაც, ვინაიდან ისინი არა მარტო ხელისუფლების მაღალჩინოსნების მიერ მიღებული თვითნებური გადაწყვეტილებების ბათილად ცნობას, არამედ რიგითი პოლიციელების და შპს „სი-ტი პარკის“ ინსპექტორების მიერ კანონდარღვევით გამოწერილი 10 - ლარიანი საჯარიმო ქვითრების გაუქმებასაც ვერ ბედავდნენ, ხოლო სისხლის სამართლის საქმეების 99 %-ზე გამამტყუნებელი განაჩენი დგებოდა, რომელიც პროკურორების მიერ წარდგენილი ბრალდებებიდან, ფაქტობრივად, „ქოფი-ფეისთირების“ გზით მიიღებოდა. ამასთან, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებზე მოსამართლეების მიერ მიღებული შუალედური და საბოლოო გადაწყვეტილებების დიდი ნაწილი არასაკმარისად არის დასაბუთებული. გაცილებით უკეთესი

ვითარებაა სამოქალაქო საქმეების განხილვისას, მაგრამ მაინც აუცილებლობას წარმოადგენს იმ გადაწყვეტილებების კანონიერებისა და დასაბუთებულობის გადასინჯვა, რომლებიც საკასაციო წესით ან/და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში იქნა გასაჩივრებული. ფაქტია, რომ იმ ქონებრივ დავებზე, რომელშიც მხარეს სახელმწიფო ან ხელისუფლებასთან დაახლოებული პირი წარმოადგენდა, არცთუ იშვიათად მიკერძოებული გადაწყვეტილებები მიიღებოდა.

მოსამართლეთა შემადგენლობის ცვლა ეტაპობრივად და კანონმდებლობით განსაზღვრული წესით უნდა განხორციელდეს, მით უმეტეს, რომ ჯერჯერობით ისინი თანამდებობებზე მხოლოდ 10 - წლიანი ვადით არიან გამწესებული. ვადამდე უნდა განთავისუფლდნენ მხოლოდ ის მოსამართლეები, რომლებიც კანონმდებლობის ან სამოსამართლეო ეთიკის ნორმების დარღვევაში იქნებიან მხილებულნი და მათ მიმართ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ან პარლამენტის მიერ იქნება მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილება. ყველა შემთხვევაში, სასამართლო ხელისუფლება, პირველ რიგში, პროკურატურიდან „პორტირებული“ რეპუტაციაშელახული კადრებისგან უნდა განთავისუფლდეს (გონივრული იქნებოდა, საკუთარი ნებით წასულიყვნენ...), ხოლო იმ მოსამართლეებს, რომლებიც „ვარდების რევოლუციის“ მერე, ფაქტობრივად, აიძულეს თანამდებობები დაეტოვებინათ, უნდა მიეცეთ საშუალება მონაწილეობა მიიღონ მოსამართლეთა შესარჩევ კონკურსებში. ამასთან, უნდა მოიშალოს ის მანკიერი პრაქტიკა, როდესაც სხვებთან შედარებით დამოუკიდებელ („დაუმორჩილებელ“) მოსამართლეებს თბილისის სააპელაციო და საქალაქო სასამართლოებიდან რაიონულ სასამართლოებში „მიავლენდნენ“. თანამდებობაზე გამწესებული მოსამართლის სხვა ქალაქში გადაყვანა მხოლოდ მისი თანხმობით უნდა იყოს შესაძლებელი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს სასამართლოებში შექმნილი არანორმალური ვითარებისთვის (თუნდაც მიკერძოებული დამოკიდებულებისთვის აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი და 99%-იანი გამამტყუნებელი განაჩენებისთვის...) პასუხისმგებლობა სასამართლოების თავმჯდომარეებსაც უნდა დაეკისროთ, მათი მხრიდან გონივრული იქნებოდა, როგორც კი უზენაესი სასამართლოს ახალი თავმჯდომარე შეუდგა უფლებამოსილების განხორციელებას, დაკავებული თანამდებობები ნებაყოფლობით დაეტოვებინათ. მით უმეტეს, რომ არავინ ხელყოფდა მათი სამოსამართლეო უფლებამოსილების ვადას (როგორც ეს მოხდა 1998-1999 წლებში განხორციელებული „რევოლუციური რეფორმისას“, როდესაც 1991 წელს 10 წლით

თანამდებობებზე გამწესებულ მოსამართლეებს ვადაზე ადრე შეუწყვიტეს უფლებამოსილება) და მოსასამართლეებს ეძლეოდათ საშუალება თავად აერჩიათ ხელმძღვანელები. ამასთან, ისიც სრულიად ლოგიკურია, რომ ფარული კენჭისყრით სასამართლოს თავმჯდომარედ არჩეული მოსამართლე ისევე უნდა იხილავდეს საქმეებს, როგორც იურიდიული ფაკულტეტის დეკანი კითხულობს ლექციებს, ხოლო ორგანიზაციულ-სამეურნეო საქმეები, უმჯობესია, მისი დავალებით, სასამართლოს მენეჯერმა წარმართოს. სასამართლოს თავმჯდომარე მოსამართლეების „ზედამხედველად ან მაკონტროლებლად“ კი არ უნდა იყოს „ზემოდან მიჩენილი“, არამედ, ფაქტობრივად, მათი ნდობით აღჭურვილი და პიროვნული თვისებებით გამორჩეული პროფესიონალი უნდა იყოს, რომელსაც მოსამართლეები საკუთარი ინტერესების დასაცავად, ფაქტობრივად, წარმომადგენლად ისევე უნდა ირჩევდნენ, როგორც ბინათმესაკუთრეები ამხანაგობის თავმჯდომარეებს.

სასამართლო ხელისუფლებისადმი ნდობის ასამაღლებლად და ადამიანის უფლებათა ეფექტურად დასაცავად უნდა შეიცვალოს მოსამართლეთა დღევანდელი შემადგენლობა, რითვისაც უნდა გადაიხედოს მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმები. მართლაც, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი მართლმსაჯულების გარეშე ვერ განხორციელდება „ის უწმინდესი და უმაღლესი დანიშნულება განკითხვისა, რომელსაც ჩვენ მართლიერებას, სამართალს ვეძახით“. ამასთან, ილია ჭავჭავაძე „მართლიერებას, სამართალს“ მთელი ერის განწმენდილ სინდისს და ნამუსს ეძახდა, ხოლო მსაჯულად ის „რჩეული კაცი მიაჩნდა, რომელსაც ქონებასთან ერთად ჩვენი სული და ხორცი, ერთი სიტყვით, ჩვენი კაცური კაცობა, ჩვენი ადამიანობა აბარია“ („სამართალი და ზღვევა“, გაზეთი „ივერია“, 25.10.1889).

მორიგმა რეფორმამ, რომ რეალურად ხელშესახები შედეგი მოგვცეს და მოსამართლეების ავტორიტეტის ამაღლებასთან ერთად მართლმსაჯულების განხორციელების ხარისხზეც დადებითად აისახოს, პირველ რიგში, უარი უნდა ვთქვათ მოსამართლეთა ე. წ. ტესტებით შერჩევის მანკიერ პრაქტიკაზეც, მით უმეტეს, რომ არა მარტო კოდექსებში, არამედ კონსტიტუციაშიც კი მრავალი შეცდომა და არაგონივრული ნორმაა, რომელთა ზეპირად ცოდნა სრულებით არ მეტყველებს იურისტის მაღალპროფესიონალიზმზე.

ილია ჭავჭავაძეც ბრძანებდა, რომ მოსამართლეობისთვის მთავარი კანონების ცოდნა არ არის... ამდენად, უკიდურეს შემთხვევაში, დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, გარკვეულ გარდამავალ ეტაპზე, გონივრული იქნებოდა, მხოლოდ ე.წ. ზოგად უნარებში ჩაგვეტარებინა გამოცდა, რაც მოსამართლეობის კანდიდატის ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე (ანალიტიკური აზროვნების

უნარზე) შეგვიქმნიდა წარმოდგენას. ასევე, თუ საკვალიფიკაციო გამოცდებზე ჯერჯერობით უარს ვერ ვიტყვით, გამართლებულად მიმაჩნია, მოსამართლეობის კანდიდატებს ე. წ. სიტუაციური კაზუსების ამოხსნა დაევალოთ. ამ შემთხვევაში, გამოსაცდელებს საშუალება ექნებათ გამოიყენონ როგორც ნორმატიული აქტები, ასევე იურიდიული ლიტერატურა, რეკომენდაციები და სასამართლოების გადაწყვეტილებები (მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს) და ვრცელ ტესტში მოცემული გარემოებების ანალიზის საფუძველზე ჩამოაყალიბონ დასაბუთებული დასკვნა კაზუსში მოცემული კანონდარღვევების და მორალური გადაცდომების თაობაზე.

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო რეფორმის მესვეურები მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის დღევანდელ პროცედურაზე უარს არ იტყვიან, აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ, რომ „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი“ იმდენად ნაუცბადევად და ხარვეზებით არის შედგენილი, რომ საგამოცდო საკითხების შერჩევისა და შეფასების ბუნდოვანი კრიტერიუმების გამო არც დღეს არის გამორიცხული გამოსაცდელი პირი არაობიექტურად შეფასდეს (ა. კახნიაშვილი, „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო წესის სრულყოფისთვის“, ჟურნალი „სამართალი“, 2000, N 5). მით უმეტეს იმ ვითარებაში, როდესაც თავად ტესტებისა და კაზუსების შემდგენლებისა და წერითი გამოცდის შემფასებელთა კვალიფიკაციაც სადავოა და იმ საკანონმდებლო აქტებშიც, რომელთა ცოდნა მოეთხოვებათ მოსამართლეობის კანდიდატებს მრავლად არის შეცდომები და რიგ შემთხვევებში, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან შეუსაბამო დებულებები.

მოსამართლეები მხოლოდ პიროვნული თვისებებით გამორჩეული და წარმატებული ადვოკატებიდან, პროკურორებიდან ან მეცნიერებიდან („სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტებიდან“) უნდა შევარჩიოთ და მოსამართლეების „რეზერვი“ ჩამოვაყალიბოთ. თანამდებობაზე გამწესებამდე მოსამართლეობის თითოეული კანდიდატის თაობაზე წინასწარ (არანაკლებ 2-3 თვით ადრე) უნდა ვაცნობოთ საზოგადოებას და მათ შესახებ, სპეციალისტების გარდა, მოქალაქეების აზრიც მოვისმინოთ, ხოლო შესაბამისმა სამსახურებმა კანდიდატის თაობაზე ყველა საეჭვო ინფორმაცია (მათ შორის, დაუსაბუთებელი ქონების ფლობის და მორალური გადაცდომების თაობაზე...) უნდა გადაამოწმონ. ამასთან, პრეზიდენტის მიერ ნებისმიერი დონის მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნა მხოლოდ პარლამენტის მიერ მისი კანდიდატურის განხილვისა და ხმების აბსოლუტური უმრავლესობით არჩევის შემდეგ უნდა ხდებოდეს, ხოლო არანაკლებ 3 წლის მუშაობის შემდეგ, თუ მოსამართლედ დანიშნული პირი

წარმატებით გაართმევს თავს მოვალეობების შესრულებას და უახლოესი საპრეზიდენტო, საპარლამენტო ან ადგილობრივი არჩევნების ჩატარებისას, ამომრჩეველთა მხარდაჭერასაც მოიპოვებს, ის უვადოდ გამწესდება მოსამართლის თანამდებობაზე (საქალაქო და სააპელაციო ინსტანციის მოსამართლეებს შესაბამის საარჩევნო ოლქებში არჩევნებში მონაწილეთა უმრავლესობის მხარდაჭერა დასჭირდებათ, ხოლო უზენაესი სასამართლოს წევრს, მთელი ქვეყნის მასშტაბით არჩევნებში მონაწილეთა უმრავლესობის). ბუნებრივია, მანამდე საარჩევნო სიებიც უნდა მოვაწესრიგოთ, საარჩევნო კომისიებიც რეალურად დამოუკიდებელი გავხადოთ და რეალურად ევროსტანდარტების შესაბამისი სამართლიანი არჩევნების ჩატარება უზრუნველვყოთ, რისთვისაც მოქალაქეებს, სანამ არჩევანს გააკეთებენ, პირველ რიგში, ისიც უნდა ავუხსნათ, თუ რა ფუნქციები აკისრია პარლამენტის წევრს ან მოსამართლეს დემოკრატიულ სახელმწიფოში. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ საქართველოში არჩევნებისა და კონკურსების ჩატარება ვერ ვისწავლეთ, ყოველგვარი რეფორმა ფუჭი იქნება (ფაქტია, რომ ჯერჯერობით ამომრჩეველთა ზუსტი რიცხვიც არ არის განსაზღვრული, ამომრჩევლის ნების ფორმირება, ფაქტობრივად, ერთი პოლიტიკური ძალის მიერ მონოპოლიზებული „რეიტინგული“ ტელევიზიების გავლენით ყალიბდება, ხოლო მოსყიდვა და გაყალბება არა მარტო უბნების, არამედ ცენტრალური საარჩევნო კომისიის დონეზეც ხდება).

ზემოაღნიშნული პროცედურა იმის გარანტი იქნება, რომ თანამდებობაზე ცხოვრების ბოლომდე გამწესების შემდეგაც მოსამართლე ხელისუფლების რომელიმე მაღალჩინოსნის ნების გამტარებელი კი არ იქნება, არამედ რეალურად დაიცავს სახელმწიფო ინტერესებსა და ადამიანის უფლებებს. თუმცა მოსამართლეებისადმი ნდობის ასამაღლებლად და მათი დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად აუცილებლობას წარმოადგენს საკანონმდებლო დონეზე განმტკიცდეს გარანტიები მათ საქმიანობაში ჩარევის გამოსარიცხად და მოსამართლეებზე თუნდაც არაპირდაპირი ზემოქმედების მოსახდენად. კერძოდ, უნდა გაიზარდოს სანქციები იმ პირთა პასუხისგებაში მისაცემად, რომლებიც თუნდაც ტელეფონის მეშვეობით ან პირადი შეხვედრისას შეეცდებიან მოსამართლე სასურველი გადაწყვეტილების მიღებაზე დაიყოლიონ, ხოლო მოსამართლეზე ზემოქმედების მცდელობისთვის ბრალდების წარსადგენად მოსამართლის საჯარო განცხადებაც უნდა იყოს საკმარისი. აღნიშნულ შემთხვევაში, გამართლებულად მიმაჩნია, მტკიცების ტვირთი ბრალდებულს დაეკისროს და სასამართლოში თავად ამტკიცოს, რომ მიზნად არ ჰქონდა მართლმსაჯულების

განხორციელების პროცესში ჩარევა (ისევე, როგორც დაუსაბუთებელი ქონების ფლობაში ბრალდებულს თავად უწევს ამტკიცოს, რომ ქონება კანონიერი გზით აქვს შეძენილი).

მოსამართლეებთან შეთანხმებით, მათი სატელეფონო საუბრები (გარდა ოჯახის წევრებისა და ახლობლებისა) მუდმივ რეჟიმში უნდა იწერებოდეს. ამასთან, მოსამართლეების ან მათი ოჯახის წევრების სიცოცხლის, თავისუფლებისა და ქონების დასაცავად სახელმწიფომ განსაკუთრებული ღონისძიებები უნდა გაატაროს, ხოლო ხელყოფისთვის უმკაცრესი სასჯელები დაადგინოს. ვერავინ უნდა ბედავდეს, მოსამართლეს განსახილველი საქმის თაობაზე არაოფიციალურად განმარტება მოსთხოვოს ან მითითებები მისცეს. თუმცა, ისიც ბუნებრივია, რომ ყველას აქვს უფლება ნებისმიერი საქმის თაობაზე საკუთარი აზრი ღიად დააფიქსიროს და მოსამართლე საჯაროდ გააკრიტიკოს. არ შეიძლება მოქალაქის მიერ სიტყვის თავისუფლების ან აზრის გამოხატვის კონსტიტუციური უფლების გამოყენების ფაქტი (შესაბამისი კანონით „აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით"...) სასამართლოს საქმიანობაში ჩარევად შეფასდეს, ხოლო რაც შეეხებათ მაღალჩინოსან საჯარო მოსამსახურეებს, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე თავი უნდა შეიკავონ კონკრეტულ საქმეებზე პოზიციის გამოთქმისგან, განსაკუთრებით კი „უტყუარი მტკიცებულებების" მოშველიებით ან ბრალდებულების დამნაშავეებად მოხსენიებით (ამას მხოლოდ სასამართლო დაადგენს). საკმარისია, მომხდარი ფაქტის, წარმოქმნილი დავის ან სავარაუდო დანაშაულის თაობაზე მათ ხელთ არსებული ინფორმაცია გააცნონ საზოგადოებას, ხოლო რეაგირებისთვის სამართალდამცავ ორგანოებს მიმართონ.

სასამართლოების რეალური დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობისთვის მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლეებს შეძლებისდაგვარად მაღალი ხელფასები დაენიშნოთ და განხორციელდეს მათი (აგრეთვე, მათი ოჯახის წევრების) საცხოვრებელი ბინით და ჯანმრთელობის დაზღვევის სრული პაკეტით უზრუნველყოფა. აგრეთვე, აუცილებელია თითოეული მოსამართლე უზრუნველყოფილი იყოს პერსონალური ავტომობილით და აუცილებლობის შემთხვევაში, პირადი დაცვით. ამასთან, მოსამართლეების საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორია უნდა კონტროლდებოდეს ვიდეოკამერებით, რომლებიც დაკავშირებული იქნებიან პოლიციის განყოფილებებთან ან დაცვის სამსახურებთან. საეჭვო ვითარების შექმნის ან შეტყობინების მიღების შემთხვევაში სამართალდამცველებს უნდა შეეძლოთ მოსამართლის ან/და მისი ოჯახის წევრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

დღევანდელ ვითარებაში, გონივრულად მიმაჩნია, დაუყოვნებლივ უარი ვთქვათ „იუსტიციის სკოლაზე" (უპირველეს ყოვლისა, ხარვეზებიანი კანონმდებლობის, აგრეთვე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და იუსტიციის სკოლის ლექტორთა შემადგენლობიდან გამომდინარე), რომელიც, ფაქტობრივად, გადაულახავ ბარიერს წარმოადგენს რეალურად დამოუკიდებელი და პრინციპული პროფესიონალების გამოსამართლებისთვის და, პირველ რიგში, ხელისუფლების მორჩილი კადრების მოძიება-გამოზრდას ემსახურება (ფაქტობრივად, თავიდანვე, „მოქკავშირის" ე. წ. ასალგაზრდული ფრთის მხარდამჭერი მოსამართლეების შესარჩევად ახალგაზრდა იურისტებისთვის შეიქმნა „პატრიოტთა ბანაკი", რომლის ხელმძღვანელობა „სასამართლო რეფორმის მამამ" მიშა სააკაშვილმა მხოლოდ საკუთარ ძმას ანდო...).

არაგონივრულია, როდესაც უნივერსიტეტის დამთავრების და არანაკლებ 10-15 - წლიანი წარმატებული პროფესიული საქმიანობის შემდეგ კვალიფიციურმა იურისტმა, თუ მოსამართლეობას გადაწყვეტს, ამისთვის ისევ „სკოლაში" უნდა გააგრძელოს „სწავლა" და ის სტანდარტული შაბლონები (ფაქტობრივად, სავალდებულო „დედლაინები" დაიზუთხოს, რომელთა მიხედვით უნდა წეროს გადაწყვეტილებები...). ბუნებრივია, რომ დამოუკიდებელი მოსამართლე სხვისი დირექტივებით კი არა, არამედ მხოლოდ კანონმდებლობით (მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციით უშუალო სამართლად აღირებული ადამიანის ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით) და შინაგანი რწმენით უნდა ხელმძღვანელობდეს, ხოლო მოსამართლეობისთვის აუცილებელი ე. წ. ზოგადი უნარ-ჩვევების გამომუშავება პროფესიული საქმიანობის პროცესში (ძირითადად, საუნივერსიტეტო იურიდიულ კლინიკებსა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან საადვოკატო საქმიანობისას) უნდა ხდებოდეს. ამასთან, რაც შეეხება მოსამართლეობის კანდიდატების ან უკვე მოსამართლეებად გამწესებული „სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტების" პროფესიულ დახელოვნებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, ეს სხვადასხვა სახის სწავლების ფორმით უნდა ხდებოდეს (მაგ., ტრენინგებზე, თეორიულ და პრაქტიკულ კონფერენციებზე, სემინარებზე, ე. წ. მრგვალი მაგიდის გარშემო შეხვედრებსა და სხვა სამეცნიერო-მეთოდურ ღონისძიებებზე). ცხადია, მოსამართლეები ხელმძღვანელი, საკონსულტაციო და მეთოდური ორგანოების რჩევა-რეკომენდაციებსაც უნდა ითვალისწინებდნენ, მაგრამ არ უნდა ეშინოდეთ, რომ მათი შეუსრულებლობისთვის პასუხი მოეთხოვებათ.

თუ მორიგი სასამართლო რეფორმის პრიორიტეტად მართლაც

ადამიანის უფლებების დაცვის ეფექტურობის ამაღლებას მივიჩნევთ, აუცილებელია განხორციელდეს ღონისძიებები სასამართლოში შესული სარჩელ-საჩივრების რაოდენობის არსებითი მატების ტენდენციის შესაკავებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ მოსამართლეთა რიცხვის ზრდა სასურველ შედეგს არ მოგვცემს. ბუნებრივია, მომდინარე ეტაპზე, საქართველოში იმდენი მოსამართლე გვჭირდება, რამდენიც დღემდე შემოსული საქმეების გონივრულ ვადაში განხილვას უზრუნველყოფს, მაგრამ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოქალაქეები ძირითადად აღმასრულებელი და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ ხელყოფილი უფლებების აღდგენას ითხოვენ, პირველ რიგში, გონივრული იქნებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-13 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის ისეთი ეფექტური მექანიზმები შეგვემუშავებინა, რომლებიც მოქალაქეებს მისცემდნენ საშუალებას სამართლიანობა სასამართლოს გარეშე აღედგინათ.

სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ მიუხედავად გარეგნული სახეცვლილებისა, სახელმწიფო მექანიზმი გაუმართავად მუშაობს (ფაქტობრივად, მოშლილია...). ამის მკაფიო დადასტურებაა თბილისის „იუსტიციის სახლი“, რომელშიც გაუმართავი საკანონმდებლო ბაზის ან კორუფციული გარიგებების გამო მასობრივად ხდება უძრავ-მოძრავი ქონების თვითნებური გადანაწილება-გადაფორმება, მათ შორის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ყალბი ოქმების და მეწილეების უსაფუძვლო განცხადებების საფუძველზე. აგრეთვე, ე. წ. წითელი ხაზების „გადაფარვა“ მერიის არქიტექტურის სამსახურის და ე. წ. ამზომველების თანამონაწილეობით, რომლის თაობაზეც დავები ბოლოს სასამართლოებამდე აღწევს, თუმცა მოსამართლეები არცთუ იშვიათად ხელს აფარებენ აღმასრულებელი ხელისუფლებისა და თვითმმართველი ორგანოების წარმომადგენლების მიერ ჩადენილ უკანონობას. თუნდაც ის ფაქტი, რომ მსგავსი დავების გაჭიანურების შედეგად, რიგ შემთხვევებში, ფაქტობრივად, შეუძლებელი ხდება „სამართლიანობის აღდგენა“ (მაგ., თუ მესაკუთრე ვეღარ ახერხებს თავისი ქონების რეალიზაციას ან სანამ დავა გრძელდება, მოსარჩელის კუთვნილი მიწის ნაკვეთის ნაწილზე მოპასუხე საცხოვრებელ კორპუსს ან კომერციული ობიექტს აშენებს), მნიშვნელოვნად ულახავს ავტორიტეტს სასამართლოს.

ცალკე მსჯელობის თემაა, ე. წ. კეთილსინდისიერ შემძენთან დაკავშირე-ბული პრობლემა, როდესაც სასამართლო სადავო ქონებას მესამე პირს აკუთვნებს, ხოლო ყოფილ მესაკუთრეს ურჩევს ზარალი არაკეთილსინდისიერი გამსხვისებლისგან (მაგ., თაღლითისგან) აინაზღაუროს, რაც ადამიანებს უნდობლობით განაწყობს სასამართლო

ხელისუფლებისადმი. გაცილებით გონივრულად (სამართლიანად) მიმაჩნია, კანონმდებლობაში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები და თუ ნივთი კანონიერი მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ აღმოჩნდა სხვა პირის ხელში, მისი მოთხოვნისთანვე უნდა დაუბრუნდეს მფლობელობაში, ხოლო კეთილსინდისიერ შემძენს ზარალი მან უნდა აუნაზღაუროს, ვინც არამართლზომიერი ქმედება ჩაიდინა ან შეცდომა დაუშვა, ხოლო თუ სამართალდამრღვევის (ან დამნაშავის) დადგენას სამართალდამცავი ორგანოები ვერ მოახერხებენ, კეთილსინდისიერ შემძენს ზარალს სახელმწიფო უნდა უნაზღაურებდეს, როგორც ეს ჯერ კიდევ 1997 წელს მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით იყო გათვალისწინებული, თუმცა „სამართლიანობის აღდგენის“ ამ ეფექტური მექანიზმის ამოქმედება პარლამენტმა რამდენჯერმე გადაავადა...

რიგ შემთხვევებში, გამოიყენება კორუფციული სქემები, რომლებითაც აღმასრულებელი ხელისუფლება ან თვითმმართველობის ორგანოები, თითქოს ე. წ. სახელმწიფო ინტერესებში გამოსცემენ ნორმატიულ აქტებს (მაგ., დედაქალაქში აკრძალავენ ბენზოგასამართი სადგურების მშენებლობას ან პარკებში საცხოვრებელი კორპუსების ჩადგმას), შემდეგ დაინტერესებულ პირებს „კანონიერად“ უარს ეუბნებიან გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, მაგრამ თავადვე ურჩევენ გასაჩივრებას და მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე აძლევენ ნებართვებს (ქრთამს იმაში იღებენ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებებს ზემდგომ ინსტანციებში არ ასაჩივრებენ), რაც ულახავს ავტორიტეტს სასამართლო ხელისუფლებას, რომელიც, თუნდაც უნებურად, კორუფციული სქემის შემადგენელ ნაწილად მოიაზრება. მაგ., ამ სახით სასამართლო ხელისუფლების დისკრედიტირება მოხდა ბენზოგასამართი სადგურის მთაწმინდის კალთაზე განთავსებისას, როდესაც თბილისის მერიამ უარი უთხრა მეწარმეებს მთის ძირის გამოჭრაზე, მაგრამ სასამართლომ „მოქალაქე მეწარმეებს“ ამის ნება დართო. შედეგად კი, გარემოზე ზემოქმედების რისკების გაუთვალისწინებლად და მოსახლეობის პროტესტის მიუხედავად, მჭიდროდ დასახლებული ძველი თბილისის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული უბნის თავზე საწვავის რეზერვუარები განთავსდა, ხოლო საყრდენგამოცლილი ქანების დაცურებამ რამდენიმე ადამიანი იმსხვერპლა... ცხადია, ამ შემთხვევაში, პასუხისმგებლობა მერიის მაღალჩინოსნებთან ერთად სასამართლო ხელისუფლებასაც ეკისრება, რომელმაც, ფაქტობრივად, ხელი შეუწყო უსამართლობის დამკვიდრებას და განაპირობა მოქალაქეთა სიცოცხლის ხელყოფა...

ისიც ფაქტია, რომ იძულებით დადებული გარიგებების თაობაზე

და უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნების მოთხოვნით სამართალდამცავ ორგანოებში ათეულობით ათასობით განუხილველი საჩივარი დაგროვდა, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოები ხშირად მოქალაქეების განცხადება-საჩივრებზე საერთოდ აღარ რეაგირებენ (მაგ., საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და მთავარი პროკურატურა...), ხოლო ზოგიერთები მოქალაქეთა განცხადებებს საერთოდ არ იღებენ (მაგ., საქართველოს შსს-ს სტრუქტურული ერთეული - ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო - უარს ეუბნება მოქალაქეებს განცხადებების მიღებაზე და ძებნილი მანქანების თაობაზეც კი ასაიდუმლოებს ინფორმაციას...), რაც მოქალაქეებს იძულებულს ხდის დარღვეული უფლებების აღსადგენად სასამართლოებს მიმართონ. დღევანდელ ვითარებაში კი აშკარაა, რომ მოსამართლეების არასათანადო დამოუკიდებლობა, ხელისუფლებისადმი მიკერძოება და სასამართლოების საქმეებით გადატვირთულობის გამო დავების არაგონივრული ვადით გაჭიანურება აშკარად კიდევ უფრო შეულახავს სასამართლო ხელისუფლებას რეპუტაციას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაუყოვნებლივ უნდა მოწესრიგდეს კანონმდებლობა და გატარდეს ღონისძიებები ისეთი სამართლებრივი მექანიზმების დასამკვიდრებლად, რომლებიც ადამიანის დარღვეული უფლებების აღდგენას სასამართლოსადმი მიმართვის გარეშე უზრუნველყოფდნენ. ამისთვის, პირველ რიგში, მიზანშეწონილად მიმაჩნია, ადმინისტრაციულ ორგანოებში ზოგან აღდგეს, ხოლო ზოგან შეიქმნას საჩივრების სავალდებულო წესით განხილვის არანაკლებ ორსაფეხურიანი სისტემა. მაგ., ე. წ. პირველადი საპრეტენზიო ორგანოები (კომისიები) სამმართველოების, დეპარტამენტების, სამსახურების, კომიტეტების ან სხვა ქვემდგომი სტრუქტურული ერთეულების დონეზე, რომელთა გადაწყვეტილებების გასაჩივრება შესაძლებელი იქნება ადმინისტრაციული ორგანოს ხელმღვანელთან. ფაქტია, რომ მაგ., საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო („იუსტიციის სახლი"), რომლის მიმართაც მოქალაქეებს საკმაოდ ხშირად აქვთ პრეტენზიები (თუნდაც, უძრავი ქონების ან წილების რეგისტრაციის პროცესში დაშვებული უნებლიე შეცდომების გამო...) საჩივრებს მხოლოდ იმ შემთხვევაში იხილავს, თუ ამას თვითონ ჩათვლის საჭიროდ, ხოლო მაგ., შინაგან საქმეთა სამინისტროში, თუ ადრე საჩივრებს ჯერ საპატრულო პოლიციის თბილისის სამმართველო იხილავდა, ხოლო მისი გადაწყვეტილება ჯერ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში საჩივრდებოდა, ხოლო შემდეგ შსს-ს მინისტრთან და დავის განხილვა, ორივე შემთხვევაში, საჩივრის ავტორის თანდასწრებით („ღიად") ხდებოდა, ამჯერად, პატრულ-ინსპექტორთა მიმართ შეტანილ ადმინისტრაციულ

საჩივრებს მხოლოდ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი და ისიც „ზეპირი მოსმენის გარეშე" (ანუ, საჩივრის ავტორის დაუსწრებლად) იხილავს და, როგორც წესი, არ აკმაყოფილებს. ამასთან, თბილისის მერიის დასუფთავების სამსახურის ან თუნდაც შპს „ყაზტრანსგაზის" ან სს „თელასის" თანამშრომლების მიერ შედგენილი ადმინისტრაციულ ოქმები პირდაპირ სასამართლოში საჩივრდება, რაც სასამართლოს გაუმართლებელ გადატვირთვას იწვევს. ამდენად, გონივრული იქნებოდა დავები ჯერ თავად ადმინისტრაციული ორგანოების იურიდიულ სამსახურებში ან სპეციალიზებულ საპრეტენზიო კომისიებში განხილულიყო, ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელის მიერ (მოადგილეების, თანაშემწეების და მოწვეული სპეციალისტების დახმარებით) გადასინჯულიყო და მხოლოდ ამის შემდეგ, თუ პასუხი არ დააკმაყოფილებდა, მოქალაქე დასახმარებლად სასამართლოს მიმართავდა.

ამასთან, აუცილებლობად მივიჩნევ საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას, რომელთა ძალით ადმინისტრაციულ ორგანოებსაც მოუწევდათ სასამართლოში საქმის განხილვისთვის აუცილებელი ბაჟის გადახდა, ხოლო თუ სასამართლო მოქალაქის სასარგებლოდ მიიღებდა გადაწყვეტილებას, ზიანის ანაზღაურება და მოქალაქის მიერ საქმის განხილვისთვის გადახდილი ბაჟის დაბრუნება სასამართლოში დავაწაგებულ ადმინისტრაციულ ორგანოს მოუწევდა. რის შემდეგაც, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება ექნებოდა აღნიშნული თანხა ან მისი ნაწილი იმ საჯარო მოსამსახურეებისთვის დაეკისრებინა, რომლებმაც მოქალაქეს დაუსაბუთებლად უთხრეს უარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვინაიდან დარღვეულია მოდავე მხარეთა სასამართლოს წინაშე თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპი და ადმინისტრაციული ორგანოები განთავისუფლებული არიან სასამართლო ბაჟის გადახდისგან, ხოლო გამარჯვებულ პირს საქმის განხილვისთვის გადახდილ ფულს სახელმწიფო ხაზინა უბრუნებს, ადმინისტრაციული ორგანოები, ფაქტობრივად, ყველა წაგებულ საქმეს სრულიად დაუსაბუთებლად ასაჩივრებენ ზემდგომ ინსტანციებში, რაც იწვევს სასამართლოების გაუმართლებელ გადატვირთვას, მოსამართლეების დროის ფუჭად ფლანგვას და დავის არაგონივრული ვადით გაჭიანურებას (მაგ., საპატრულო პოლიციასთან 2008 წელს დაწყებულ დავაზე უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილება მესამე წელს მიიღო, ხოლო 2006 წელს საგადასახადო ორგანოსთვის პირველი ინსტანციის სასამართლოში მოგებულ საქმეზე გადაწყვეტილება მხოლოდ 2015 წელს შევიდა ძალაში...).

სასამართლოებში საქმეების შემცირებას, აგრეთვე, ხელს შეუწყობს საკანონმდებლო ცვლილება, რომლითაც აღსრულების ეროვნულ

ბიუროს მიეცემა უფლებამოსილება ფულადი თანხის დავალიანების თაობაზე სააღსრულებო წარმოების პროცესში მოვალისთვის განცხადების ჩაუბარებლობის შემთხვევაში, ისევე როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხის ადგილსამყოფელის დაუდგენლობისას, განახორციელოს საჯარო გამოცხადება და განცხადების ჩაბარება ამ გზით უზრუნველყოს. დღევანდელი პრაქტიკით, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მოვალისთვის განცხადების ჩაუბარებლობის შემთხვევაში, განმცხადებელი იძულებულია გამოიხმოს საქმე სააღსრულებო ბიუროდან და სარჩელით მიმართოს სასამართლოს, შემდეგ საკუთარი ხარჯით ორჯერ გაუგზავნოს სარჩელის ასლი მოპასუხეს მის იურიდიულ მისამართზე (თუნდაც არ იცოდეს მისი ადგილსამყოფელი ან იცოდეს, რომ მოპასუხე საზღვარგარეთ იმყოფება...) და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაელოდოს სასამართლოს მიერ ე. წ. საჯარო გამოცხადების გზით მოპასუხისთვის სარჩელის ჩაბარებას და სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემდეგ (ამას თვეები სჭირდება) თავიდან მიმართოს სააღსრულებო ბიუროს, რაც ბუნებრივია, როგორც მოსარჩელეს, ასევე სასამართლოს ფუჭად აკარგვინებს დროს და სახსრებს.

სასამართლოების განტვირთვის და საქმეების განხილვის დაჩქარების მიზნით, აუცილებლობად მივიჩნევ, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მიეცეს უფლებამოსილება, მოთხოვნის შემთხვევაში, გასცეს ცნობები მოქალაქეთა რეგისტრაციის ადგილის თაობაზე, როგორც ამას ადრე „სამისამართო ბიურო“ აკეთებდა (დღეს ეს ინფორმაცია ე. წ. პერსონალურ მონაცემად ითვლება და არ საჯაროვდება), ან თუნდაც იმ მოქალაქეების თაობაზე გასცეს ცნობები, რომლებიც არსად არ არიან რეგისტრირებულნი ან საერთოდ არ აქვთ აღებული პირადობის მოწმობა. ცხადია, თუ მოქალაქე სასამართლოს ან აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარუდგენს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემულ ცნობას, რომ მოვალეს არ აქვს რეგისტრაციის ადგილი ან პირადობის მოწმობა (ანუ, მისი ადგილსამყოფელი უცნობია), აღარ დასჭირდება საკუთარი ხარჯით ფოსტის მეშვეობით აგზავნოს საბუთები მოპასუხის ადრინდელ მისამართზე და საჯარო გამოცხადებაც გაუმართლებლად არ გაჭიანურდება. კიდევ უფრო გონივრული იქნებოდა, თუ სამოქალაქო რეესტრში დაცული აღნიშნული ინფორმაცია ელექტრონულ რეჟიმში ხელმისაწვდომი იქნებოდა აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის, რაც კიდევ უფრო გაამარტივებდა სააღსრულებო წარმოებას და სასამართლოებსაც შესამჩნევად განტვირთავდა, ვინაიდან ხშირად საწარმოები სასამართლოებს ვალის ამოსაღებად კი არ მიმართავენ, არამედ მხოლოდ ოფიციალური დოკუმენტი სჭირდებათ მოპასუხის ვალაუვალობის (გადახდის უუნარობის) შესახებ, რაც თავიდან

აცილებდათ საგადასახადო ორგანოებისთვის დამატებით გადასახადების გადახდას (მოვალისგან ამოსაღები თანხა საწარმოს აქტივში ერიცხება და გადასახადით იბეგრება).

თუ გავითვალისწინებთ, რომ სადღესიოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს თითოეულ მოსამართლეს ასეულობით საქმე აქვს წარმოებაში, ადამიანის უფლებების ეფექტურად დასაცავად და მართლმსაჯულების გონივრულ ვადებში განსახორციელებლად საგანგებო ღონისძიებებია გასატარებელი.

დედაქალაქის სასამართლოსთვის დამატებითი ფართის გამოყოფას და მოსამართლეების რიცხოვნობის ზრდას გარკვეული დრო და სოლიდური დაფინანსება სჭირდება. ამასთან, სამომავლოდ, სასამართლოსადმი მიმართვების გონივრულ ფარგლებში მოქცევისთანავე, პრობლემა შეიქმნება დამატებულ მოსამართლეებთან დაკავშირებითაც, მით უმეტეს, თუ ისინი უვადოდ გამწესდებიან თანამდებობებზე. ამდენად, გონივრული იქნებოდა გარკვეული დროებითი სქემის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობდა დღევანდელი, ფაქტობრივად, კატასტროფული ვითარების განმუხტვას და თბილისის საქალაქო სასამართლოში დაგროვილი საქმეების დროულ განხილვას.

ამ მიზნით, შესაძლებლად მიმაჩნია ე. წ. მედიაციის ინსტიტუტის მაქსიმალურად გაფართოება და დედაქალაქში მოქმედი იურიდიული კომპანიების (ფირმების) და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან არსებული იურიდიული კლინიკების ჩართვა მოდავე მხარეების მორიგების პროცესში.

ვინაიდან სასამართლოში დაგროვილი საქმეების დიდი ნაწილი ეხება დავებს ადმინისტრაციულ ორგანოებთან მათ მიერ დაკისრებული სანქციების ან რეგისტრაციისას დაშვებული შცდომების გამო ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწებებულებებთან კლიენტების ურთიერთობების გარკვევას, აგრეთვე, სამეზობლო და ქონებრივ დავებს, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებისა და საინფორმაციო-სარეკლამო კამპანიის შედეგად დაინტერესებული პირები საკუთარი ინიციატივით მიმართავდნენ მათთვის ავტორიტეტულ სამედიაციო ორგანოებს (ან გადაიტანდნენ საქმეებს სასამართლოებიდან) ან სასამართლო თავად გადაუგზავნიდა ნაკლებად რთულ საქმეებს მედიატორებს, რომელთა შემადგენლობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ იქნებოდა განსაზღვრული. ამით მხარეებს საშუალება მიეცემოდათ დავები პროფესიონალების („სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტების") დახმარებით და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე მორიგებით (შეთანხმებით) დაესრულებინათ. ამასთან, მედიაციის განხორციელებაში

ნებაყოფლობით მონაწილე პირები გაწეული მომსახურებისთვის მიიღებდნენ დავის საგნის ღირებულების 2-3 პროცენტს, ხოლო ადმინისტრაციული საჩივრების განმხილველი მედიატორები, მხარეების მორიგების შემთხვევაში, სახელმწიფოსგან მიიღებდნენ დადგენილი ოდენობის ანაზღაურებას.

ბუნებრივია, ყველას აქვს კონსტიტუციური უფლება „თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს". შესაბამისად, მედიაციის შედეგით უკმაყოფილო მხარეს უფლება ექნებოდა სააპელაციო სასამართლოსთვის მიემართა. ამასთან, იმისთვის, რომ ადმინისტრაციული ორგანოები დაინტერესებულნი იყვნენ, დავა მორიგებით დაამთავრონ და საჯარო მოსამსახურეების თუნდაც უნებლიე შეცდომები მედიაციის ეტაპზევე აღიარონ, აუცილებლობად მიმაჩნია, სასამართლოში დავის მოსარჩელეს (მომჩივანის) სასარგებლოდ დასრულების შემთხვევაში გარკვეული ფინანსური სანქციები სამედიაციო ორგანოში დავის განხილვაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელსაც დაჰკისრებოდა. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო პირველი ინსტანციის სასამართლოს ან მედიაციის ორგანოს გადაწყვეტილების სააპელაციო ან საკასაციო წესით გასაჩივრების შემთხვევაში, ისევე უნდა იხდიდეს სახელმწიფო ბაჟს, როგორც ამას დაინტერესებული მოქალაქე ან იურიდიული პირი აკეთებს, რაც შესამჩნევად შეამცირებდა ზემდგომ ინსტანციებში უსაფუძვლოდ გასაჩივრებული საქმეების რაოდენობას.

შეიძლება არბიტრაჟის შესახებ კანონშიც შევიდეს შესაბამისი ცვლილებები და ეს აპრობირებული ინსტიტუტიც ეფექტურად იქნეს გამოყენებული სასამართლოების განსატვირთად. კერძოდ, მისაღებად მიმაჩნია, გარკვეულ გარდამავალ ეტაპზე არბიტრებმა არა მარტო საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე განიხილონ დავები, არამედ სასამართლომ საკუთარი ინიციატივითაც გადასცეს გარკვეული კატეგორიის საქმეები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კონკურსის წესით შერჩეულ არბიტრებს, რომლებიც დადგენილი რიგითობით განიხილავენ საქმეებს და მიიღებენ შესაბამის გადაწყვეტილებებს, ხოლო გაწეული მომსახურება კანონით განსაზღვრული წესით აუნაზღაურდებათ (სავარაუდოდ, მოსარჩელის მიერ შეტანილი სახელმწიფოს ბაჟის 2-3 პროცენტამდე). ანუ, გარკვეულ გარდამავალ პერიოდში, არბიტრები (არბიტრაჟები) და მედიატორები (სამედიაციო ორგანოები), ფაქტობრივად, ილია ჭავჭავაძის დროინდელი „მომრიგებელი მოსამართლეების" ფუნქციას შეასრულებდნენ, ხოლო მათ რაოდენობასა და პერსონალურ შემადგენლობაზე მოდავე მხარეები თავად შეთანხმდებოდნენ.

მორიგი რეფორმის განხორციელებისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვჩრეს, რომ ადრე დაშვებული შეცდომების გამო არცთუ იშვიათად სწორედ იმ ადამიანების ინტერესები დაზარალდა, რომლებისთვისაც დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ თითქოს სასამართლო სისტემაც შეიცვალა და მოსამართლეთა კორპუსიც, თუმცა სამართლიანობის აღდგენა კვლავ უაღრესად პრობლემატურია. ამაში კი არა მარტო საკანონმდებლო „ნოვაციები" უშლის ხელს...

გამართლებულად მიმაჩნია, აღდგეს ის გონივრული წესი, რომლითაც მოპასუხეს სარჩელის ასლს თავად სასამართლო უგზავნიდა. სადღეისოდ მოსარჩელეს, თუ ის იურიდიულ პირია, ან მის წარმომადგენელს, თბილისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიაშივე უბრუნებენ კონვერტში ჩადებულ სარჩელის ასლს და უშვებენ ფოსტაში, ხოლო გზავნილის მოპასუხისთვის ჩაბარების შემდეგ მოსარჩელე კიდევ ერთხელ უნდა მივიდეს სასამართლოში და მოსამართლეს წარუდგინოს სარჩელის მოპასუხისთვის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი. თუ გავითვალისწინებთ, რომ შპს „საქართველოს ფოსტა" სასამართლოს ხელშეკრულების საფუძველზე ემსახურება, ხოლო მოქალაქეს სარჩელის ასლის გადაგზავნა მინიმუმ ორჯერ ძვირი უჯდება, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ნოვაცია" კორუფციული გარიგების შედეგია და, აშკარად, ფოსტის მესვეურთა ინტერესებშია დანერგილი...

სასამართლოებისა და ფოსტის ურთიერთობებთან დაკავშირებით აუცილებლობად მიმაჩნია, აგრეთვე, სასამართლოდან გაგზავნილი დოკუმენტების ადრესატისთვის ჩაბარებისას კურიერმა საფოსტო კონვერტზეც აღნიშნოს გზავნილის გადაცემის თარიღი, რაც მისცემს საშუალებას ადრესატს არ გადააცილოს გასაჩივრების ვადა (ფოსტის ბეჭედზე გამოსახული თარიღი შეიძლება არ დაემთხვეს გზავნილის ჩაბარების დღეს და დაინტერესებული პირი შეცდომაში შევიდეს), ხოლო სასამართლოდან მობილური ტელეფონით სხდომის დანიშვნის თაობაზე ზეპირი შეტყობინებისას, აუცილებლობად მივიჩნევ ადრესატს შესაბამისი ე.წ ტექსტური შეტყობინებაც გაეგზავნოს, ვინაიდან შესაძლებელია ტელეფონით მიღებული ინფორმაცია სწორად ვერ გაიგოს ან მისი ჩანიშვნა ვერ მოახერხოს (მაგ., სატელეფონო კომუნიკაციისას ქუჩაში ან საზოგადოებრივ ტრანსპორტში იმყოფებოდეს).

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ სასამართლოსადმი ნდობის ამაღლება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელები სცემენ პატივს და მათ დაუყოვნებლივ შეასრულებენ. სამწუხაროდ, შემიძლია მოვიშველიო კონკრეტული მაგალითები, როდესაც

თბილისის საკრებულომ, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ დღემდე არ შეასრულეს 2003-2010 წლებში კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებები, ხოლო ფინანსთა სამინისტრომ 2006 წელს მიღებული და ზემდგომ ინსტანციებში გასაჩივრების გამო 2008 წელს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მხოლოდ 4 წლის შემდეგ შეასრულა და ისიც მას შემდეგ, რაც სასამართლომ, ფაქტობრივად, მეორედ დაავალა იმავე ქმედების განხორციელება... მიმაჩნია, რომ მსგავს ფაქტებზე პროკურატურამ უნდა მოახდინოს ოპერატიული რეაგირება და სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობისთვის კანონის მთელი სიმკაცრით უნდა აგებინოს პასუხი იმ თანამდებობის პირებს, რომლებსაც ამაში ბრალი მიუძღვით, რაც შესამჩნევად აამაღლებს სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტს.

სასამართლოების რეალური დამოუკიდებლობის მისაღწევად და მოსამართლეებისადმი ნდობის ამაღლებისთვის მეტად პრინციპული მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული საქმის „ღია“ („საქვეყნო“, „საჯარო”) განხილვის უფლების სრული მოცულობით რეალიზაციას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციითაც ერთმნიშვნელოვნად არის განსაზღვრული და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც მკაფიოდ განმარტავს, რომ სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში თავიდანვე შევიდა კონსტიტუციასთან შეუსაბამო და რედაქციულად გაუმართავი ნორმა, რომლის თანახმად, საკასაციო ინსტანციაში დამკვიდრდა საქმეების „ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის” უაღრესად მანკიერი პრაქტიკა (თუმცა 408-ე მუხლი დასათაურებული იყო, როგორც „საქმის ზეპირი განხილვა...“). შედეგად, განსაკუთრებით „ვარდების რევოლუციის” შემდეგ უზენაესი სასამართლო მოსამართლეთა „ცეკას” (ცენტრალურ კომიტეტს) დაემსგავსა. თავმჯდომარე და მოადგილეები („პოლიტბიურო”) საქმეებზე, ფაქტობრივად, პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს „დახურულ სხდომებზე“ იღებდნენ და დანარჩენ მოსამართლეებს „სახელმღვანელო დირექტივებს” უგზავნიდნენ. ფაქტია, რომ უზენაესი სასამართლო საჩივრების აბსოლუტურ უმრავლესობას (90-95 %-მდე!) „ზეპირი განხილვის გარეშე” (მხარეთა დაუსწრებლად) სრულიად დაუსაბუთებლად „დაუშვებლად ცნობდა” და სახელმწიფო ბაჟის 30 %-ს, ფაქტობრივად, არაფრის კეთებისთვის იტოვებდა.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული უკანონობა (ფაქტობრივად, სრული განუკითხაობა...) საკონსტიტუციო სასამართლოს ხელშეწყობით დამკვიდრდა უზენაეს სასამართლოსა და შემდგომ სააპელაციო

ინსტანციებშიც გავრცელდა. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციური სარჩელის განხილვისას მოსამართლეთა ხმები თანაბრად გაიყო, საკონსტიტუციო სასამართლომ 2004 წელს ჩათვალა, რომ თუ კასატორი საკუთარი საჩივრის „ღია" განხილვას არ დაესწრება (თუნდაც ერთადერთი საცხოვრებელი ბინიდან თაღლითები ასახლებდნენ...), მისი კონსტიტუციური უფლებები არ შეილახება... ამის შემდეგ კი 2007 წელს პარლამენტმა სააპელაციო საჩივრის განხილვის პროცედურაშიც დააკანონა „საქმის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე..." და საპროცესო კოდექსში კონსტიტუციასთან შეუსაბამო კიდევ ერთი მუხლი ჩაამატა (მუხლი 256.1). ამდენად, თუ რეალურად გვინდა ადამიანის უფლების ეფექტურად დაცვა და სამართლიანობის აღდგენა, პარლამენტმა დაუყოვნებლივ უნდა თქვას უარი ზემოაღნიშნულ „ნოვაციაზე" და უნდა გააუქმოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, როგორც 256.1 („საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა"), ასევე 408-ე მუხლიც („საქმის ზეპირი განხილვა"). საკმარისი იქნება, თუ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლს („სამოქალაქო პროცესის საქვეყნოობა") დაემატება ნორმა, რომლის თანახმად, სარჩელის ან საჩივრის ავტორის დაუსწრებლად (ანუ განხილვაში მისი მონაწილეობის გარეშე) საქმის (სარჩელის, საჩივრის) განხილვა, მხოლოდ მისი თანხმობით არის შესაძლებელი.

ვინაიდან, მიუხედავად წინა წლებში რეფორმის განხორციელების მცდელობისა, დამოუკიდებელი სასამართლოს ფორმირება საქართველოში, ფაქტობრივად, მხოლოდ ახლა იწყება და არ შეიძლება იმ გერმანიას შევედაროთ, სადაც დამოუკიდებელი სასამართლო საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა და მოსამართლეები ნდობით სარგებლობენ, აუცილებლობად მივიჩნევ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში გაუქმდეს საკასაციო საჩივრის ე. წ. დასაშვებად მიჩნევისთვის აუცილებელი, 2007 წელს შეტანილი, მეტად „არაგანჭვრეტადი" მოთხოვნები, რომლებიც აშკარად ქმნიან საფუძველს სასამართლოსადმი უნდობლობის გასაჩენად და მოსამართლეებთან კორუფციული გარიგებისთვის. ფაქტია, რომ ახლახან უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად („სამართლის განვითარებისთვის უმნიშვნელოდ") ცნო საკასაციო საჩივარი საქმეზე, რომელიც ეხებოდა პარლამენტის მიერ მიღებული ბუნდოვანი ნორმის საფუძველზე საქართველოს პრეზიდენტის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის დანიშვნის კანონიერებას და, რომელშიც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის ერთდროულად რამოდენიმე კანდიდატი ფიგურირებდა, ხოლო პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე სადავო სამართლის ნორმას კასატორის სასარგებლოდ განმარტავდა... ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ

იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სადღეისოდ უზენაესი სასამართლო საჩივრების, თითქმის 95 პროცენტამდე დაუშვებლად თვლის, მიმაჩნია, რომ მიმდინარე ეტაპზე, უნდა აღდგეს კოდექსის თავდაპირველი რედაქცია და უზენაესმა სასამართლომ ღია (საქვეყნო) სხდომაზე („ზეპირი მოსმენით“) უნდა განიხილოს დადგენილი ფორმით შესული ყველა საჩივარი, რომელზეც სახელმწიფო ბაჟია გადახდილი (ცხადია, იმ საჩივრების გარდა, რომელთა ავტორები განხილვის პროცესში მონაწილეობას არ ითხოვენ) და თუ მოსამართლეები კასატორს უარს ეტყვიან მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ეს სათანადოდ უნდა დაუსაბუთონ.

სასამართლოებისადმი ნდობის აღსადგენად და ადამიანის უფლებების ეფექტურად დასაცავად უმნიშვნელოვანესია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებების გასაჩივრების ვადების ათვლა მხოლოდ დაინტერესებული მხარისთვის მათი ჩაბარების დღიდან იწყებოდეს, როგორც ეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით არის განსაზღვრული. სამწუხაროდ, სისხლის სამართლის საქმეებზე და ადმინისტრაციულ საჩივრებთან დაკავშირებულ სამართალწარმოებაში, რიგ შემთხვევებში, გასაჩივრების ვადების ათვლა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან იწყება, რაც მოსამართლეს აძლევს საშუალებას დააგვიანოს გადაწყვეტილების წერილობითი სახით ჩამოყალიბება და დაინტერესებულ პირს ხელი შეუშალოს საჩივრის საკმარისად დასაბუთებაში.

ამ კუთხით არსებითად უნდა გადაისინჯოს საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-9 თავიც, რომელშიც საარჩევნო დავების განხილვის მექანიზმია განსაზღვრული. დღევანდელი რედაქცია მხარეებს აშკარად უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს და შესაძლებელია აპელანტმა დასაბუთებული გადაწყვეტილება მისი გასაჩივრების ვადის ამოწურვამდე, თეორიულად, მხოლოდ 6 საათით ადრე მიიღოს, თუმცა პრაქტიკულად შეიძლება ერთი საათით ადრეც ჩააბარონ, ვინაიდან ხელზე არ აძლევენ, ხოლო კურიერს დიდი დიღმიდან, მაგ., ვარკეთილამდე მისასვლელად ავტომობილის გაუმართაობის ან ე. წ. სატრანსპორტო საცობების გამო შეიძლება რამდენიმე საათი დასჭირდეს... ამდენად, გონივრულად მიმაჩნია, თუ ადრესატი თანახმაა, სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე გადაეგზავნოს, ხოლო თუ ადრესატმა სასამართლოდან გაგზავნილი დოკუმენტის ელექტრონული ვერსიის მიღება არ დაადასტურა, არც სასამართლოს მიაკითხა ხელზე მისაღებად და საცხოვრებელ მისამართზე გაგზავნა მოითხოვა, მხოლოდ ამის შემდეგ გაეგზავნოს კურიერის ან ფოსტის მეშვეობით.

ვინაიდან ადამიანის უფლებათა ევროპულმა კონვენციამ

სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოს სამართლიანი არჩევნების მეშვეობით ფორმირების ვალდებულება დააკისრა, ხოლო საქართველოს სასამართლოები არჩევნებს ტოტალური გაყალბებისგან დაცვასაც კი ვერ უზრუნველყოფენ, აუცილებლობად მიმაჩნია, შეიცვალოს ის მანკიერი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც საქართველოში არჩევნების გასაჩივრების პროცედურას და საბოლოო გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს განსაზღვრავს. კერძოდ, თუ უკრაინაში არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებული კრიზისი („ნარინჯისფერი რევოლუცია") საკონსტიტუციო სასამართლომ განმუხტა, საქართველოში 2003 წლის 2 ნოემბერს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების კანონიერება, უზენაესი სასამართლოს, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთმა მოსამართლემ გადაწყვიტა (გვერდზე კონსტიტუციით გაუთვალისწინებელი ორი „სახალხო მსაჯული" ედგა...).

დღევანდელი საარჩევნო კოდექსის თანახმად, საარჩევნო დავა სააპელაციო სასამართლოს დონეზე სრულდება მაშინ, როდესაც საპატრულო პოლიციასთან 10 - ლარიანი საჯარიმო ქვითრის, ხოლო საგადასახადო ორგანოებთან რამდენიმე ათასლარიანი დავის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება, სარჩელით მიმართვის შემთხვევაში, შეიძლება უზენაესმა სასამართლომ მიიღოს. ამასთან, ფაქტია, რომ 2008 წელს ჩატარებული არჩევნების კონსტიტუციურობის თაობაზე საარჩევნო სუბიექტის მიერ შეტანილი სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლომ „ზეპირი მოსმენით" არც წარმოებაში მიიღო და არც საარჩევნო კოდექსის ცალკეული მუხლების კონსტიტუციის მე-2 თავთან შესაბამისობის საკითხი განიხილა. აღნიშნულიდან გამომდინარე, გონივრულად და სამართლიანად მიმაჩნია, რომ საარჩევნო დავების (განსაკუთრებით, ცესკო-ს შემაჯამებელი ოქმის კანონიერების) თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას საერთო სასამართლოების სისტემაში უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა იღებდეს, ხოლო მხარეებს უფლება უნდა ჰქონდეთ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრონ. თუმცა დღევანდელ ვითარებაში, მისაღებად მიმაჩნია ის ვარიანტიც, როდესაც საბოლოო გადაწყვეტილებას უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისა და საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები ერთობლივ სხდომაზე, ხმების აბსოლუტური ან კვალიფიციური უმრავლესობით (არანაკლებ 2/3-ით) მიიღებენ.

ხაზი იმ გარემოებასაც უნდა გაესვას, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსის კონსტიტუციასთან შეუსაბამობის გამო ყოვლად მიუღებელი ვითარება მაშინ იქმნება, როდესაც პარლამენტი არ ელოდება სასამართლო გადაწყვეტილებას და სხდომას იმ დროს მართავს, როდესაც საარჩევნო დავა ჯერ დასრულებული არ არის, რაც არსებითად ლახავს

სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტს (ფაქტობრივად, გამოდის, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება მმართველი პოლიტიკური ძალის ნებაზეა დამოკიდებული). სწორედ ასე მოხდა 2003 და 2008 წლების საპარლამენტო არჩევნების შემდეგ: პირველ შემთხვევაში, პარლამენტის შენობაში „რევოლუციონერები" ძალით შეცვივდნენ, ხოლო მეორე დღეს უზენაესმა სასამართლომ, ფაქტობრივად, მათი დანაშაული დააკანონა (კონსტიტუციის მე-5 მუხლის თანახმად, არავის აქვს უფლება მიითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება...), ხოლო 2008 წელს, მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების გაყალბების გამო შემაჯამებელი ოქმის პირველ და მეორე გვერდზე არსებული მონაცემები არ დაჯამდა (სხვაობამ არჩევნებში მონაწილეთა საერთო რიცხვსა და ოლქების მიხედვით ხმის მიცემაში მონაწილეთა შორის 30 000-ზე მეტი ამომრჩეველი შეადგინა) პარლამენტი მაინც შეიკრიბა, ხოლო სააპელაციო სასამართლომ მხოლოდ მეორე დღეს გამოიტანა საბოლოო გადაწყვეტილება და გაყალბებულ შემაჯამებელ ოქმში აშკარა შეცდომები ვერ აღმოაჩინა... ამდენად, საარჩევნო კოდექსი შესაბამისობაში უნდა მოვიდეს სახელმწიფოს „უზენაეს კანონთან" და არჩევნების გასაჩივრების პროცედურამ უნდა უზრუნველყოს ევროსტანდარტების შესაბამისი სამართლიანი არჩევნების ჩატარება. ყველა შემთხვევაში, თუ მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანო არჩევნების პროცესში ეფექტურად ვერ დაიცავს მოქალაქეთა ძირითად უფლებებს ან საკანონმდებლო ორგანო საარჩევნო დავის თაობაზე სასამართლო ხელისუფლების პოზიციის საბოლოდ ჩამოყალიბებამდე შეიკრიბება, ყოველგვარი მცდელობა სასამართლომ საზოგადოების ნდობა მოიპოვოს, უშედეგო იქნება.

აუცილებლობად მიმაჩნია, აგრეთვე, რომ სამოქალაქო და ადმინისტრაცი-ული სარჩელები სასამართლოების ადმინისტრაციების მიმართ, ზემდგომმა ინსტანციის სასამართლოებმა განიხილონ, ხოლო უზენაესი სასამართლოს წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი - იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ან საკონსტიტუციო სასამართლომ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შექმნილია აბსურდული ვითარება, როდესაც მაგ., თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილების კანონიერების თაობაზე დავა იმავე სასამართლოს მოსამართლემ განიხილა (თავმჯდომარემ საჯარო ინფორმაცია არ გასცა), ხოლო უზენაესი სასამართლოს (ფაქტობრივად, სასამართლოს თავმჯდომარის) წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე თავიდან საქალაქო სასამართლომ განიხილა, მერე სააპელაციომ და ბოლოს, ცხადია, საკასაციო ინსტანციამაც (თავად „უზენაესმა") არ დააკმაყოფილა მოქალაქის სრულიად სამართლიანი მოთხოვნა... (აღნიშნულ შემთხვევაში, მოქალაქეს აშკარად შეეზღუდა

დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოში მისი საქმის განხილვის უფლება, რის გამოც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართა).

ვინაიდან სასამართლოს ადმინისტრაცია თავად წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს და, გარდა იმისა, რომ შეიძლება ქმედების განხორციელება ან ზიანის ანაზღაურება დაევალოს, საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებაც აქვს, გონივრულად მიმაჩნია, სასამართლოს ადმინისტრაციასთან პირის დავის დროსაც იყოს უზრუნველყოფილი საქმის განმხილველი ორგანოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, ხოლო სამართალწარმოებისას მხარეები კონსტიტუციით გარანტირებულ თანასწორ პირობებში იყვნენ ჩაყენებულნი. სავსებით შესაძლებლად მიმაჩნია, ზემოაღნიშნული სახის კონკრეტული საქმეების განსახილველად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ცნობილი ადვოკატები ან მეცნიერები („სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტები“) მოსამართლის მოვალეობის დროებით შემსრულებლებად მოეწვია (სასურველია სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ან უნივერსიტეტების წარდგინების საფუძველზე), რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, სამივე ინსტანციის სასამართლოში ღია სხდომებზე უზრუნველყოფდნენ ასეთ საქმეებზე სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანას, რაც სავალდებულო გახდებოდა სასამართლო ხელისუფლებისთვის და უზრუნველყოფდა ადამიანის უფლებების ეფექტურად დაცვას. ბუნებრივია, მსგავსი პრეცედენტული და სამართლის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი საქმეების განხილვისას მოპასუხეს (მოწინააღმდეგე მხარეს) შესაბამისი ინსტანციის სასამართლოს ადმინისტრაცია წარმოადგენს, რომელსაც საკუთარი პოზიციის გასამყარებლად შეუძლია მოსამართლეთა კორპუსის ინტელექტუალური პოტენციალი გამოიყენოს. დღევანდელ ვითარებაში, სასამართლოს ადმინისტრაცია, ბუნებრივია, ყველა შემთხვევაში, საქმეს იგებს (აბა, რომელი მოსამართლე გაბედავს სასამართლოს ადმინისტრაციის ან უშუალო ხელმძღვანელის წინააღმდეგ გადაწყვეტილება გამოიტანოს?!), რითაც ადამიანის უფლებების ან კანონიერი ინტერესების ხელყოფის რისკი განუსაზღვრელად იმატებს, ხოლო სასამართლოს ავტორიტეტი აშკარად ელახება.

სასამართლოსადმი ნდობის ასამაღლებლად და ადამიანის უფლებათა ეფექტურად დასაცავად არსებითად უნდა გადაიხედოს ზოგადი ადმინისტრაციული, სისხლის სამართლის საპროცესო, სამოქალაქო საპროცესო და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსები, აგრეთვე, კანონი საერთო სასამართლოების შესახებ. უპირველეს ყოვლისა, მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ტერმინების „ღიაობა“,

„საქვეყნოობა“ და „საჯაროობის“ მნიშვნელობა და თითოეული მათგანი შესაბამისად უნდა იქნეს გამოყენებული. ამასთან, პარლამენტმა სასწრაფოდ უნდა თქვას უარი იმ უაღრესად არაგონივრულ (ე. წ. პოპულისტურ) გადაწყვეტილებაზე, რომლითაც სასამართლო სხდომებზე ფოტო-ვიდეოგადაღება და ტელეტრანსლაციები სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროსაც დაუშვა. ფაქტია, რომ ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავვარდით და საქართველოში აშშ-ს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლის (პროფესიით ჟურნალისტის, ბარბარა სვანის) რეკომენდაციით ჯერ 1999 წელს დავნერგეთ „ნოვაცია“ და ბრალდებულები სასამართლოს სხდომათა დარბაზებში დამონტაჟებულ რკინის „გალიაში“ გამომწყვდეულები ვაჩვენეთ მსოფლიოს, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ კი არა მარტო სასამართლოს შენობებში, არამედ თბილისის საქალაქო სასამართლოს ეზოშიც ავკრძალეთ ჯერ ფოტოგადაღება, ბოლოს კი მობილურების შეტანაც (ბრძანება N32 სასამართლოს თავმჯდომარემ 2012 წლის 19 ივნისს გამოსცა და სასამართლოს კარებშივე რიგდებოდა ...).

ახალმა ხელისუფლებამ, როგორც ჩანს, „რეფორმატორი მოქკავშირელებივით“ მოინდომა ქვეყანასა და სასამართლოში მიმდინარე დემოკრატიული პროცესების „გამჭვირვალობის“ უცხოელი მეგობრებისთვის დემონსტრირება, რისთვისაც ისევ დაუშვა ფოტო, ვიდეო და ტელეკამერები სასამართლო სხდომათა დარბაზებში. ამით კი არა მარტო ხელყო ბრალდებულების უფლებები, არამედ თავად სასამართლოს შეუშალა ხელი საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაში (ავთანდილ კახნიაშვილი „ტელევიზია სასამართლო სხდომაზე და უდანაშაულობის პრეზუმფცია“, ჟურნალი „მართლმსაჯულების მაცნე“, 1998, N 4). ამასთან, ამ გაუაზრებელმა საკანონმდებლო ცვლილებამ საზოგადოებას აშკარად დაანახვა საქართველოს სასამართლოებში არსებული საგანგაშო ვითარება და შეძლო სისხლის სამართალწარმოების სრული დისკრედიტაცია. ფაქტია, რომ აშკარად მიკერძოებული (უცხოელი ექსპერტების შეფასებით „ნახევრად დამოუკიდებელი“...) ტელეკომპანიების საინფორმაციო გამოშვებებში, განსასჯელის სკამზე მსხდომ უდანაშაულო ადამიანებთან (სავარაუდო დამნაშავეებთან) ერთად საკმაოდ ხშირად ვუყურებთ მოსამართლეებს, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ წესრიგს სასამართლო დარბაზებში (სასამართლოს უპატივმცემლობისთვისაც იშვიათად და „შერჩევით“ სჯიან...), მოწმეებს, რომლებიც „ვიდეოკონტროლის“ გამო იძულებულნი ხდებიან დამნაშავეებს ხელი დააფარონ (აბა, საჯაროდ ხომ არ „ჩაუშვებენ“...) და ბრალდებულებს („კრიმინალურ ავტორიტეტებს“) რომლებიც მხარდამჭერებს ანიშნებენ, რომ „სიტუაციას აკონტროლებენ“, ხოლო მოწმეებს და ნაფიც

მსაჯულებს ანგარიშსწორებით ემუქრებიან... რიგ შემთხვევებში კი „ავტორიტეტული" მოწმეები მოსამართლეებსაც ღიად (საქვეყნოდ, საჯაროდ) შეურაცხყოფენ (გამახსენდა, ყოფილი შსს მინისტრის საქმეზე მოწმედ დაკითხული პირი უკრაინიდან...).

გარდა ამისა, პოლიტიკური ამბიციების მქონე იმ ბრალდებულების მხრიდან, რომლებსაც პროკურორები თვეების განმავლობაში ვერაფრით უმტკიცებენ წარდგენილ ბრალდებებს ტელეეთერით სისტემატურად ვისმენთ პოლიტიკურ განცხადებებს და შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ... სამწუხაროდ, იმასაც ვხედავთ, რომ ჩვენი, ჯერჯერობით ისევ არასაკმარისად დამოუკიდებელი („ნახევრად თავისუფალი"...) მედიასაშუალებებით, სასამართლო სხდომათა დარბაზიდან, ძირითადად, ის ინფორმაცია ვრცელდება, რომელიც ე. წ. ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებს აძლევთ ხელს და, რიგ შემთხვევებში, ბადრაგი მოსამართლის მითითებით კი არ ხელმძღვანელობს, არამედ „ელიტური" ბრალდებულის...

გონივრულად მივიჩნევ, რომ ადმინისტრაციულ საქმეებში (რომლებშიც მეორე მხარე სახელმწიფოა) ფოტო-ვიდეოგადაღებისთვის მხოლოდ საჩივრის ავტორის ან მოსარჩელის თანხმობა იყოს საჭირო, სამოქალაქო საქმეებში მოდავე მხარეებიდან რომელიმე ერთის, ხოლო სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას ფოტო-კინო-ვიდეოგადაღება და ტელეტრანსლაციები კატეგორიულად უნდა აიკრძალოს (შესაბამისად, სასამართლო სხდომის ამსახველი ფოტოების და ვიდეოსიუჟეტების გამოქვეყნება), როგორც ეს აშშ-ში, ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთსა და სხვა განვითარებულ ქვეყნებშია დაწესებული. გამონაკლისი მხოლოდ ისეთ შემთხვევაში შეიძლება დაიშვას, თუ განსასჯელის სკამზე კორუმპირებული ან ჰუმანიტარული სამართლის ნორმების (ომის წარმოების წესების) დარღვევაში მხილებული ქვეყნის საკანონმდებლო, აღმასრულებელი ან სასამართლო ხელისუფლების პირველი პირები აღმოჩნდებიან. ამასთან, სხდომის ფოტო ან ვიდეოგადაღება მხოლოდ შეზღუდული დროის განმავლობაში უნდა განხორციელდეს (მაგ., სხდომის დაწყებისას ან განაჩენის გამოცხადებისას, ხოლო ბრალდებულებისა და მოწმეების დაკითხვა, აგრეთვე, მტკიცებულებების გამოკლევის პროცედურა არ უნდა გადაიღონ).

სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვის პროცესის ვიდეოგადაღებას მხოლოდ სასამართლო უნდა ახორციელებდეს. მხარეთა მოთხოვნის შემთხვევაში, მათ საშუალება ექნებოდათ გასცნობოდნენ ამ ჩანაწერებს, ხოლო განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ნებისმიერ მსურველს ექნებოდა უფლება მიეღო

სასამართლო სხდომის ვიდეოჩანაწერის ასლი სასამართლოსთვის მისი დამზადების ხარჯების ანაზღაურების პირობით. ამასთან, ცხადია, პროცესის აუდიოჩანაწერის უხმაუროდ გაკეთება ნებისმიერ მსურველს უნდა შეეძლოს, სოლო სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვის პროცესში ფარულად გაკეთებული ფოტოს ან ვიდეოჩანაწერის მედიასაშუალებით გავრცელებისთვის უმკაცრესი სანქციები უნდა იყოს დაწესებული.

რაც შეეხება ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა განხილვას, სასამართლო დარბაზში მყოფ ნებისმიერ პირს, მოსამართლის თანხმობის გარეშე უნდა შეეძლოს სხდომის მიმდინარეობის უხმაუროდ და გამანათებელი საშუალებების გამოყენების გარეშე აუდიოჩაწერა ან/და ფოტო-ვიდეოგადაღება. მოსამართლეს, მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება პირისთვის შენიშვნის მიცემის ან უპატივმცემლობისთვის სანქციების გამოყენების უფლება, თუ სხდომის მსვლელობის ფიქსირების პროცესში ხელს შეუშლის სხდომის მიმდინარეობას. სადღეისოდ მოსამართლეები, ფაქტობრივად, საკუთარი შეხედულებისამებრ წყვეტენ, თუ ვის მისცემენ სხდომის მიმდინარეობის გადაღების უფლებას და ვის - არა. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებელმა დაუშვა სხდომების ვიდეოგადაღება, ვინაიდან ეს მკაფიოდ არ ჩამოაყალიბა, რამდენჯერმე თავად შევესწარი, რომ ადნისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას, როგორც კი მოსამართლეებმა შენიშნეს, რომ მათთვის არასასურველი პირები სხდომას მობილური ტელეფონით და პორტატიული ფოტოაპარატით იღებდნენ, ამის გაკეთება დაუყოვნებლივ აუკრძალეს იმ მოტივით, რომ წინასწარ არ ჰქონდათ მოსამართლისგან ნებართვა აღებული. თუმცა როდესაც საქმის თბილისის საქალაქო სასამართლოში განხილვისას ერთ-ერთი „ელიტური" ბანკის იურისტმა ჯერ ტელეფონით სასაუბროდ დატოვა სხდომის დარბაზი, შემდეგ დაბრუნდა და მეორე შემოსულ ზარს უკვე უშუალოდ მოპასუხის ადგილიდან უპასუხა, სანამ მოსამართლეს (მამაკაცს) არ შევახსენე, რომ სხდომათა დარბაზში წესრიგი უნდა დაეცვა, როგორც ჩანს, ბანკის წარმომადგენლისთვის შენიშვნის მიცემასაც კი არ აპირებდა... სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას კი ერთ-ერთი ცნობილი სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენელი მოსამართლეს (ქალბატონს, რომელმაც სხდომის მიმდინარეობისას თვითონ ისარგებლა მობილური ტელეფონით) პირად საკითხებზე იმ დროს ესაუბრებოდა, როდესაც აპელანტი ავტოსაგზაო შემთხვევაში დაღუპული ახალგაზრდის ოჯახისთვის კუთვნილი თანხის გადახდას ითხოვდა ...

სასამართლოსადმინდობისასამაღლებლადდაადამიანისუფლებათა ეფექტურადდასაცავადუნდაგადაისინჯოსე.წ.საპროცესოშეთანხმებისა

და განრიდების ინსტიტუტი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ასახულ „საპროცესო შეთანხმების“ ინსტიტუტს არაფერი აქვს საერთო ცნობილ ამერიკულ მოდელთან და არსით მართლაც „გარიგებითი (კორუფციული) მართლმსაჯულებაა“, რომელიც, ფაქტობრივად, მიზნად ისახავს ფიზიკური და ფსიქიკური ზემოქმედების გზით ბრალდებულისგან (ფაქტობრივად, ციხეში მყოფი პირისგან, ვინაიდან კანონმდებელმა შინაპატიმრობასა და გაუსვლელობის ხელწერილზე დაუსაბუთებლად თქვა უარი, ხოლო სასამართლო თავდებობას და გირაოს იშვიათად იყენებს) ბიუჯეტის სასარგებლოდ თანხების ამოღებას, ხოლო მოსამართლეს, ფაქტობრივად, ნოტარიუსად აქცევს. მართალია, ამ გზით ბიუჯეტში ყოველწლიურად მხოლოდ ე.წ. ნარკომომხმარებლებისგან 60-80 მილიონამდე ლარი შედის, მაგრამ იმ ვითარებაში, როდესაც პოლიციელებს, ფაქტობრივად, ნებისმიერი პირის უსაფუძვლოდ გადამოწმების უფლება მიეცათ, ხოლო კანონმდებელმა პასუხისმგებლობის დასაკისრებლად აუცილებელი ნარკოტიკული საშუალებების მინიმალური ოდენობებიც აღარ დაადგინა, რეალური საფრთხე იქმნება ამ სფეროში არსებული განუკითხაობისთვის საზოგადოებამ პასუხისმგებლობა სასამართლო ხელისუფლებას დააკისროს, რომელიც მშვიდად უყურებს როგორ ილახება ყოველდღიურად ასეულობით მოქალაქის უფლებები. მოსამართლეები კი პოლიციელების მიერ წარდგენილ პირებს ასეულობით (ვისაც მოხმარება არ დაუდგინდებათ, ხულიგნობისა და დაუმორჩილებლობისათვის...) და ათასობით ლარით (ვისაც მოხმარება დაუდგინდებათ) აჯარიმებენ და, ფაქტობრივად, მხოლოდ ბიუჯეტის შევსებაზე ზრუნავენ. პირადად მოვისმინე, როდესაც სასამართლოში წარდგენილმა ახალგაზრდა ბრალდებულმა პროტესტი გამოთქვა საკუთარი სახლის ეზოში თითქმის ყოველდღიურ დაკავებაზე, როგორ „განუმარტა“ მოსამართლემ, რომ მიუხედავად იმისა, რომ არც ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებაში ყოფილა ოდესმე შემჩნეული და სიგარეტსაც კი არ ეწეოდა, პოლიციას მისი გაჩერებისა და ნარკოლოგიურში გადამოწმების უფლება ნებისმიერ დროს და ყოველგვარი საფუძვლის გარეშე შეეძლო...

სრულიად სხვაგვარი მიდგომაა აშშ-ში. იქ სასამართლოში საქმის განხილვამდე, ხშირად ხდება შეთანხმება ბრალდებისა და დაცვის მხარეებს შორის, რის შედეგადაც სახელმწიფოს (პროკურორისა და მოსამართლის) მხრიდან გარკვეული დათმობების სანაცვლოდ (მაგ., დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლა (ბრალდების შემსუბუქება), მინიმალური სასჯელის დაკისრება ან სასჯელისგან საერთოდ განთავისუფლება) ბრალდებული აღიარებს დანაშაულს ან/და აცხადებს თანხმობას სამართალდამცავებთან თანამშრომლობაზე.

ამასთან, „დანაშაულის (ბრალის) აღიარების“ თაობაზე შეთანხმებისას („შეთანხმება ბრალზე“) ბრალდებული, მისი გამამართლებელი მტკიცებულებების არარსებობის ან მათი არასაკმარისობისას, ადვოკატის რჩევით, ამჯობინებს აღიაროს დანაშაული და მოიხადოს მინიმალური სასჯელი იმის ნაცვლად, რომ წარდგეს სასამართლოს წინაშე, სადაც დიდი შანსია გაცილებით მკაცრად დაისაჯოს (მით უმეტეს, რომ საკმარისი სამხილების გარეშე აშშ-ში იშვიათად წარუდგენენ ბრალდებას). რიგ შემთხვევებში კი ბრალდებული (სავარაუდო დამნაშავე) იძენს გარკვეულ იმუნიტეტს და ხელს უწყობს სამართალდამცავებს გაცილებით მძიმე დანაშაულის გამოვლენაში. მისი დახმარებით, საჭირო მტკიცებულებების შეგროვების შემდეგ ის უკვე სრულიად სხვა საქმეში, ძირითადი მოწმის სტატუსით წარდგება სასამართლოს წინაშე, ხოლო მასთან მიღწეული კომპრომისი აისახება შესაბამის საპროცესო დოკუმენტში („შეთანხმება თანამშრომლობაზე“), რომლის საფუძველზე სასამართლო ამ პირს გაათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან ან შეუმსუბუქებს სასჯელს იმისდა მიხედვით, რამდენად დაეხმარა სამართალდამცავებს და რამდენად მნიშვნელოვანი ზიანი აარიდა საზოგადოებას (ა. კახნიაშვილი, „როგორ ვებრძოლოთ კორუფციას“, თბილისი, 2001).

ამდენად, შეიძლება „საპროცესო შეთანხმება“ დარჩეს სისხლის სამართალწარმოებაში, მაგრამ არსებითად უნდა შეიცვალოს მისი შინაარსი. მართებულად მიმაჩნია, მოხდეს ამ ინსტიტუტის დიფერენციაცია იმავე ამერიკული გამოცდილების გათვალისწინებით. კერძოდ, სისხლის სამართლის პროცესში „ბრალზე შეთანხმებისა“ და „თანამშრომლობაზე შეთანხმების“ ფორმების გარდა, შესაძლებელია, პროკურორის მიერ წარდგენილი ბრალდების ბრალდებულის მიერ აღიარების (ან თუნდაც არაღიარების შემთხვევაში), სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ, გარკვეული ფულადი ჯარიმის სანაცვლოდ, მოხდეს „სასჯელზე შეთანხმებაც“, მაგრამ კანონით დადგენილი წესით დამნაშავედ ცნობილმა პირმა დაკისრებული სასჯელის ნახევარი (ან მესამედი მაინც) უნდა მოიხადოს სრულად. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ ნებისმიერი პირი, რომელსაც დანაშაულებრივი გზით აქვს ნაშოვნი უბრავ-მოძრავი ქონება, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გარკვეული თანხის გადახდის შემდეგ არც სასჯელს მოიხდის და მითვისებულიც შერჩება...

შესაბამისად, მორიგი რეფორმის პროცესში არც დაზარალებული უნდა დაგვავიწყდეს და საზოგადოების მხრიდან სასამართლოსადმი ნდობა რომ გაიზარდოს, მხარეებს შორის მიღწეული საპროცესო შეთანხმება მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დაამტკიცოს მოსამართლემ, თუ ბრალდებული სხვებისთვის მიყენებულ ზიანს სრულად

აანაზღაურებს, ხოლო თუ ეს შეუძლებელი იქნება, სასურველია, დაზარალებულს გონივრული ოდენობის კომპენსაცია სახელმწიფომ გადაუხადოს.

ამასთან დაკავშირებით, აუცილებლობად მივიჩნევ, დაზარალებულს ისევ აღუდგეს სისხლის სამართლის პროცესში მხარის სტატუსი და დანაშაულის შედეგად მისთვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის წესი სასამართლოს განაჩენში ჩამოყალიბდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში დღევანდელი პროცედურით გამოდის, რომ სასამართლო მხოლოდ ბიუჯეტის შევსებაზე ფიქრობს და დაზარალებულის ბედი არ აღელვებს, რაც სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტს აკნინებს და მისდამი საზოგადოების უნდობლობას განაპირობებს. ფაქტია, რომ დღეს დაზარალებულს გამოძიების მასალებსაც არ აცნობენ და ზიანის ასანაზღაურებლად სამოქალაქო დავის დაწყებას ურჩევენ (თანაც იმ ვითარებაში, როდესაც განაჩენის ასლს მხოლოდ „დაშტრიხული" სახით აძლევენ...), მაშინ, როდესაც ბრალდებული „საპროცესო შეთანხმების" პირობის შესრულების შემდეგ შეიძლება უძრავ-მოძრავი ქონების გარეშე დარჩეს ან საერთოდ მიიმალოს. ხოლო თუ ზიანი მცირემნიშვნელოვანია, შეიძლება დაზარალებულს არც უღირდეს სასამართლოსთვის მიმართვა. მაგ., 2011 წელს განხილულ ერთ-ერთ საქმეზე 10 000 დაზარალებული იყო, რომლებსაც ასოციაციაში გასაწევრიანებლად 3-3 ლარი ჰქონდათ გადახდილი, ამასთან, სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატამ თაღლითობის ორგანიზატორს, რომელმაც თანამოქალაქეების ფული მიითვისა, პატიმრობის ვადაც გაუნახევრა და 30 - ათასლარიანი ჯარიმა, 5 000-ზე ჩამოუყვანა, რაც იმით გაამართლა, რომ მითვისებულ 30 000 ლარს გამოძიებამ ვერ მიაგნო, ხოლო დამნაშავემ 5 000 ლარის გადახდის პირობა დადო... შედეგად, აშკარად უსამართლო „სამართლიანობის აღდგენის" პროცედურის გამო თაღლითს თანხის დიდი ნაწილი შერჩა, სამართლდამცავები კი დღემდე არც მითვისებული ფულის მოძიებით დაინტერესებულან და არც დაზარალებულებისთვის ზიანის ანაზღაურებით... აქედან გამომდინარე, ძნელია, ათასობით დაზარალებულს, რომლებსაც დამნაშავის დასჯის შემდეგ ზიანი არ აუნაზღაურდათ, ასეთი აშკარად უსამართლო განაჩენის გამომტანი სასამართლოსადმი ნდობა შეუნარჩუნდეთ.

არსებით რეფორმირებას მოითხოვს ე. წ. განრიდების ინსტიტუტიც, რომლითაც მართლმსაჯულების განხორციელების ფუნქცია კანონმდებელმა ბრალდების მხარეს გადასცა, ხოლო მოსამართლე, ფაქტობრივად, კანცელარიის მუშაკივით მხოლოდ ბეჭედს ურტყამს პროკურორის მიერ გამოტანილ „გამამტყუნებელ განაჩენს" ბრალდებულისთვის ფულადი ჯარიმის დაკისრების ან „დანაშაულის

იარაღის“ ბედის თაობაზე. ფაქტია, რომ კონსტიტუციის თანახმად, დაუშვებელია, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ქმედება დანაშაულად ჩაითვალოს, ხოლო მისი ჩამდენი პირი დამნაშავედ. შესაბამისად, სასამართლოს გარეშე არც დანაშაულის იარაღზე შეიძლება ლაპარაკი...

სამწუხაროდ, ამ უაღრესად მანკიერ „ნოვაციას“ მოწონებით შეხვდნენ ადვოკატებიც, რომლებსაც საშუალება მიეცათ დასაცავი პირები მოკლე დროში და მინიმალური ფინანსური დანახარჯებით გამოეხსნათ სამართალდამცავებისგან ისე, რომ ნასამართლევი პირის სტატუსიც არ მინიჭებოდათ... (თუმცა, ალბათ, პირველებს უნდა გაეპროტესტებინათ სასამართლო ხელისუფლების მორიგი დისკრედიტაციის მცდელობა). აღნიშნულიდან გამომდინარე, გონივრულად მიმაჩნია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ე. წ. განრიდების ისეთი მექანიზმის ჩადება, რომლითაც ბრალდების ან დაცვის მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე მოსამართლე თუ მიზანშეწონილად მიიჩნევდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან ბრალდებულის განრიდებას, ფაქტობრივად, „მოარიგებდა“ მხარეებს და თუ პროკურორი დასთანხმდებოდა უარი ეთქვა ბრალდებაზე მოსამართლე მხარეების პოზიციების გათვალისწინებით, მაგრამ სრულიად დამოუკიდებლად მიიღებდა გადაწყვეტილებას „განრიდების“ და სავარაუდო დამნაშავის მიმართ ადეკვატური (მინიმალურად აუცილებელი და გონივრული) სანქციების გამოყენების თაობაზე, რისი ერთჯერადი გასაჩივრების უფლება მხარეებს ზემდგომ სასამართლოში ექნებოდათ. ანუ, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან პირის განრიდებას პროკურორი კი არ განახორციელებდა, არამედ მოსამართლე (შესაბამისად, მხოლოდ მოსამართლე გადაწყვეტდა სავარაუდო დანაშულის დროს გამოყენებული იარაღის ბედსაც).

აგრეთვე, სრულიად მიუღებელი ვითარებაა, როდესაც, ერთი მხრივ, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია ავალდებულებს სახელმწიფოს ბრალდების საქმე „გონივრულ ვადაში“ იქნას განხილული და, მეორე მხრივ, კანონმდებლებმა ახალ საპროცესო კოდექსში შეიტანეს „სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპი“, თუმცა კოდექსის ამოქმედებამდე ერთი კვირით ადრე 169-ე მუხლის მე-8 ნაწილში „შეაპარეს“ ცვლილება, რომლითაც ადამიანი, ფაქტობრივად, განუსაზღვრელი ვადით შეიძლება იყოს ბრალდებული და მისი საქმის განხილვა წლობით გაგრძელდეს... (კოდექსის თავდაპირველ რედაქციაში ბრალდებულად ყოფნის მაქსიმალური ვადა ერთ წელიწადს შეადგენდა!). ამდენად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დაუყოვნებლივ უნდა აღდგეს თავდაპირველი ფორმულირება ან ერთი დანაშაულისთვის

ბრალდებულად ყოფნის ხანგრძლივობა 18 თვით შემოიფარგლოს, რის საფუძველზეც ყველა არაგონივრული ვადით და ხელოვნურად გაჭიანურებულ საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდება და ბრალდებულებს აღუდგებათ დარღვეული უფლებები. დღევანდელი ვითარება კი, როდესაც პროკურატურა ბრალმდებლების პერმანენტული ცვლით და მოწმეების წარდგენის ვერუზრუნველყოფის მიზეზით ახერხებს საქმეთა განხილვის გაუმართლებელ გაჭიანურებას, ხოლო მოსამართლეს არ აქვს სამართლებრივი ბერკეტები ბრალდების მსარის აშკარა თვითნებობის ასალაგმავად და სამართლიანობის აღსადგენად, ფაქტობრივად, ულახავს რეპუტაციას მთლიანად სასამართო ხელისუფლებას, ვინაიდან მას მოქალაქეები ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტად აღიქვამენ (ერთ-ერთი ბრალდებული, სანამ სასამართლო გაამართლებდა, თითქმის 4 წელი ატარეს სასამართლოში, 8 პროკურორი ცდილობდა ბრალდების დამტკიცებას და წლების განმავლობაში სულ 10-მდე მოწმის მოყვანა მოახერხეს, ხოლო საქმემ 3 მოსამართლის ხელში გაიარა...).

ფაქტია, რომ ბრალდების წარდგენიდან 9 თვის გასვლამდე სასამართლოსთვის გადაცემული საქმის სასამართლოში განხილვის პროცესის დაუსაბუთებელ გაჭიანურებას ბრალდების მხარე ადამიანებზე (მათ შორის, ხელისუფლების პოლიტიკურ ოპონენტებზე) ფიზიკური და ფსიქიკური ზემოქმედების საშუალებად იყენებს. აღნიშნულის გამო სასამართლო ხელისუფლებას არცთუ იშვიათად ადანაშაულებენ პოლიტიკური ანგარიშსწორების იარაღად გამოყენებაში, რაც აშკარად ვნებს სასამართლოს ავტორიტეტს. ამასთან, დაუშვებელია მოსამართლემ, თუნდაც რამდენიმე ათეულ საქმეზე ერთდროულად იფიქროს, მით უმეტეს, როდესაც თითოეულით ადამიანის ბედი წყდება. ხაზი უნდა გაესვას იმ კატასტროფულ ვითარებასაც, როდესაც თბილისის საქალაქო სასამართლოში თითოეულ მოსამართლეზე რამდენიმე ასეული სისხლის სამართლის საქმე მოდის...

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებლობაში დაუყოვნებლივ უნდა შევიდეს ისეთი ცვლილებები, რომლებიც მაქსიმალურად გამორიცხავენ უსაფუძვლო ბრალდებებს, აგრეთვე, სასამართლოში საქმის განხილვის გაუმართლებელ და დაუსაბუთებელ გაჭიანურებას. ამ მიზნით, აუცილებლობად მიმაჩნია, პირველ რიგში, განხორციელდეს ნარკოტიკულ საშუალებათა მცირე ოდენობით შენახვისა და მოხმარების დეკრიმინალიზაცია, ხოლო სისხლის სამართალწარმოებაში აღდგეს სასამართლოში საქმის განხილვის უწყვეტობის პრინციპი, რომლის თანახმად საქმის განხილვის გადადება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში იქნება შესაძლებელი (მაგ., ავადმყოფობა, სამუშო დღის დასრულება და სხვა) და გამორიცხავს

საქმის განხილვის უსაფუძვლოდ გადადებას. ამასთან, აუცილებელია კანონმდებელმა მოსამართლეს მისცეს უფლებამოსილება ბრალდების მხარეს განუსაზღვროს გონივრული ვადა მოწმეების წარმოსადგენად, რაც აღკვეთს საქმის განხილვის გაუმართლებელ (ხელოვნურ) გაჭიანურებას და მოსამართლესაც მისცემს საშუალებას ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილება გამოიტანოს. ამასთან, აღარც ისეთი აბსურდული ვითარება შეიქმნება, როდესაც საზოგადოებისთვის აშკარად საშიში პირი სასამართლო დარბაზიდან უნდა განთავისუფლდეს, ვინაიდან პატიმრობის 9 - თვიანი კონსტიტუციური ვადა ისე ამოიწურა ნაფიცმა მსაჯულებმა ვერდიქტის მიღება ან სასამართლომ განაჩენის გამოტანა ვერ მოახერხა.

სასამართლოსადმინდობისასამაღლებლადდაადამიანისუფლებათა ეფექტურად დასაცავად დაუყოვნებლივ უნდა აღდგეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან პოლიციისა და პროკურატურის ინტერესებში ამოღებული აღკვეთის ისეთი სახეები, როგორებიც არის „შინაპატიმრობა" და კონკრეტული დასახლებული პუნქტიდან „გაუსვლელობის ხელწერილი", რაც საშუალებას მისცემს მოსამართლეს გაცილებით ხშირად გამოიყენოს აღკვეთის არასაპატიმრო სახეები და ბრალდებულები დაიცვას ადამიანის უფლებების გაუმართლებელი ხელყოფისგან სასჯელაღსრულების სისტემის დაწესებულებებში, რომლებიც ჯერ კიდევ საკმაოდ შორს დგანან ევროსტანდარტებისგან.

ამასთან, სასამართლოს ავტორიტეტის ასამაღლებლად უნდა აღდგეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ადრე არსებული ნორმა, რომელიც დაინტერესებულ პირს პროკურორის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების უფლებას აძლევდა. ლოგიკურია, რომ ოპერატიულ-საგამოძიებო ორგანოებისა და პროკურატურის საქმიანობა სასამართლო ხელისუფლებამ უნდა აკონტროლოს (თავიდან კონსტიტუციაში პროკურატურა სასამართლო ხელისუფლების დაწესებულებადაც კი იყო მოხსენიებული...) და მოსამართლის გადაწყვეტილება სავალდებულო უნდა იყოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლებისა და რაიონულ პროკურორებისთვისაც. დღეს პროკურორის არამართლზომიერი მოქმედება ან გადაცდომა მხოლოდ ზემდგომ პროკურორთან საჩივრდება, რაც ვერც სამართლიანობის აღდგენას უზრუნველყოფს და ვერც სასამართლოს მხრიდან ეფექტურ კონტროლს. მით უმეტეს, დღევანდელ ვითარებაში, როდესაც საქართველოს მთავარ პროკურატურაში მოქალაქეების შეტანილ განცხადება-საჩივრებზე პასუხები, ფაქტობრივად, აღარ მოდის და იმ პროკურორებიდანაც კი არავის დაჰკისრებია პასუხისმგებლობა, რომლებიც წლების განმავლობაში მონაწილეობდნენ ბრალდებულების მიმართ არაადამიანურ მოპ-

ყრობასა ან ქონების უკანონო ჩამორთმევის პროცესში.

ვინაიდან საქართველოში, ფაქტობრივად, მოშლილია საშემსრულებლო დისციპლინა და განცხადებებზე პასუხებს არცთუ იშვიათად არა მარტო მთავარი პროკურატურა, არამედ შსს-ს, პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციაც არ იძლევა, მხოლოდ სასამართლო ხელისუფლებას შესწევს ძალა უმაღლეს თანამდებობებზე დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეებს კონსტიტუციის 44-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოვალეობის შესრულება აიძულოს („კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვა“) და პასუხისმგებლობა დააკისროს იმ პირებს, რომლებიც თუნდაც საქმისწარმოების ისეთ ელემენტარული წესებს დაარღვევენ, როგორიც არის ადმინისტრაციულ ორგანოში შეტანილ განცხადებაზე კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში პასუხის გაუცემლობა. ამ მიზნით კანონმდებლობაში გათვალისწინებულ უნდა იქნას საკმაოდ მკაცრი ადმინისტრაციული სანქციები. გარდა ამისა, ადმინისტრაციული ორგანოების შინაგანაწესებით ან ეთიკის კოდექსებით გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოქალაქეებისთვის კანონით დადგენილ ვადაში პასუხის საპატიო მიზეზის გარეშე ან განზრახ გაუცემლობაში ბრალეული პირების დაუყოვნებლივ განთავისუფლება დაკავებული თანამდებობებიდან (ისევე, როგორც ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებასა ან ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილის მართვისთვის ადმინისტრაციული წესით დასჯილ პირებს უნდა ითხოვდნენ საჯარო სამსახურიდან).

სასამართლოსადმი ნდობის ასამაღლებლად და ადამიანის უფლებათა ეფექტურად დასაცავად საქართველოს კონსტიტუციასა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დაუყოვნებლივ უნდა შევიდეს ცვლილებები და დაზუსტდეს ის ბუნდოვანი ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სისხლის სამართალწარმოებაში მხარეთა რეალურ თანასწორობასა და შეჯიბრებითობას, აგრეთვე, ბრალდებულის უფლებების ეფექტურ დაცვას, საქმის განხილვის „ღიაობას“ და სამართლიანობის გონივრულ ვადაში აღდგენას. ამ მიზნით, პირველ რიგში, უნდა გასწორდეს კონსტიტუციის მე-40 მუხლი („უდანაშაულობის პრეზუმფცია“), რომელიც ახალ საპროცესო კოდექსში კიდევ უფრო გაუარესებული სახით არის „იმპლემენტირებული“ და, ფაქტობრივად, პროკურატურის ინტერესებზეა მორგებული (ა.კახნიაშვილი, „კონსტიტუციის მე-40 მუხლის შესახებ“, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1998, N 1 და „სადავო „ნოვაცია“ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“, ჟურნალი „მართლმსაჯულების მაცნე“, 1998, №1).

ფაქტია ისიც, თუ ბრალდება შესაბამისი ნორმების ბუნდოვანობის

გამო არასაკმარისად აქვთ დასაბუთებული, პროკურორები, ფაქტობრივად, არასოდეს არ ამბობენ უარს ბრალდებაზე, ხოლო პროკურორების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ფაქტობრივად, სავალდებულოა მოსამართლეებისთვის. ამასთან, სამწუხარო რეალობაა, რომ ხარვეზებიანი კანონმდებლობის გამო მოსამართლეები ვერც ბრალდების მხარის მხრიდან საქმის განხილვის გაუმართლებელი გაჭიანურების აღკვეთას ახერხებენ და არც დაცვის მხარეს აძლევენ იმის საშუალებას, რომ სასამართლო სხდომაზე, მაგ., კითხვები მაინც დაუსვან პროკურორებს (ერთ-ერთი საქმის განხილვისას მოსამართლემ დაცვის მხარეს „განუმარტა", რომ კოდექსი ამის უფლებას არ აძლევდა...). ამდენად, სასამართლოს ავტორიტეტის ასამაღლებლად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილება-დამატებები, რომლებიც საშუალებას მისცემდნენ მოსამართლეს არ დაუშვას ბრალდების მხარის მიერ საქმის განხილვის გაუმართლებელი გაჭიანურება და მხარეების რეალური თანასწორობა უზრუნველყოს.

აბსურდულია კანონმდებლის მიერ განსაზღვრული სამართლებრივი რეგულირების მექანიზმი, რომლითაც განაჩენის სრული („დაუშტრიხავი") ვერსიის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა სასამართლოს ბრალდებისა და დაცვის მხარის წერილობითი თანხმობები უნდა წარუდგინოს. აღნიშნული პროცედურა კანონმდებლობაში აშკარად პროკურატურის ინტერესებში ჩაიდო და, ფაქტობრივად, მიზნად ისახავს პროკურატურის „კარნახით" შედგენილი დაუსაბუთებელი განაჩენების „გასაიდუმლოებას", თუმცა არსებითად ეწინააღმდეგება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნას, რომლის თანახმად, დაუშვებელია ისეთი დოკუმენტის გასაიდუმლოება, რომელშიც ერთი მხარე სახელმწიფოა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებებს იმის თაობაზე, რომ საქმის განხილვის „ღიაობა" არა მარტო სასამართლოში გამართულ სხდომებზე თავისუფალ დასწრებას და სასამართლოს გადაწყვეტილების ღიად გამოცხადებას ნიშნავს, არამედ იმასაც, რომ სახელმწიფოს სახელით გამოტანილი განაჩენი ყველა მსურველისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი, მით უმეტეს, რომ განაჩენის ანონიმურობის დაცვა პრაქტიკულად შეუძლებელია.

სამწუხაროდ, სადღეისოდ სასამართლო ხელისუფლება მიიჩნევს, რომ დაინტერესებული პირისთვის კონკრეტულ საქმეზე დამდგარი განაჩენის სრული სახით გადაცემა და დამნაშავედ ცნობილი პირის საიდენტიფიკაციო მონაცემების „დაუშტრიხაობა" ხელყოფს ამ პირის უფლებას მისი თანხმობის გარეშე არ გამჟღავნდეს ე. წ. პერსონალური მონაცემები (აღნიშნულ საკითხზე თბილისის საქალაქო სასამართლოს

ადმინისტრაციის წინააღმდეგ სარჩელი იყო შეტანილი, მაგრამ, ლოგიკურია, რომ არც ერთ ინსტანციაში არ დაკმაყოფილდა...). არადა სასამართლოს მიერ დანიშნულმა სასჯელმა ე. წ. ზოგადი პრევენციის ფუნქციაც რომ შეასრულოს, ყველამ უნდა იცოდეს, რომ დანაშაული დაუსჯელი არ დარჩა და კონკრეტულმა პირმა აგო პასუხი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მართლაც სრულიად ულოგიკოა, როდესაც ჩვენი სამართალდამცავები, არცთუ იშვიათად, ბრალდებულებს, ფაქტობრივად, დაკავებისთანავე წარუდგენენ ტელეეთერით საზოგადოებას (სავარაუდო დამნაშავეების სახესაც გვიჩვენებენ და გვარ-სახელითაც გვაცნობენ, რაც მიუღებელია დემოკრატიული სამართალწარმოებისთვის), ხოლო კანონით დადგენილი წესით მათი დამნაშავედ ცნობის შემდეგ კი, თუ ბრალდების მხარე თანახმა არ არის, სასამართლო მათი ვინაობის „გასაჯაროობაზეც“ კი უარს ამბობს, რაც დაზარალებულსაც უშლის ხელს ზიანის ანაზღაურებაში. ფაქტია, რომ კანონმდებელმა, ამ შემთხვევაშიც, ძირითადად პროკურატურის ინტერესები გაითვალისწინა და საშუალება მისცა დაუსაბუთებელი ბრალდებები დამათი „კოფი-ფეისთირების“ გზით მიღებული გაანაჩენები საზოგადოებისთვის ხელმიუწვდომელი გაეხადა... (ა. კახნიაშვილი, „განაჩენის ხელმისაწვდომობის პრობლემა საქართველოში“, „სამხრეთ კავკასიის იურიდიული ჟურნალი“, 2015, N 6).

სამწუხაროდ, არსებითი და რედაქციული ხასიათის ხარვეზები სისხლის სამართლის კოდექსშიც არის გაპარული და ბუნდოვან (არაგანჭვრეტად) დისპოზიციებსა და არაადეკვატურ სანქციებთან ერთად არცთუ იშვიათად გვხვდება ტერმინოლოგიური შეუსაბამობები აშკარად პოლიცია-პროკურატურის ინტერესებზე მორგებულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ასახულ სამართლის ნორმებთან, რაც იმ გარემოებამ განაპირობა, რომ ამ კოდექსების მომზადებისას დამოუკიდებელი კომისიები ცალ-ცალკე მუშაობდნენ, ხოლო საპროცესო კოდექსის ბოლო რედაქციის შემუშავებაში საერთოდ არ მიუღიათ მონაწილეობა მეცნიერებს და ადვოკატებს. ამდენად, თუ რეალურად გვინდა საქართველოში სასამართლოების რეფორმირება, მათ მიმართ საზოგადოების ნდობის გაჩენა და ადამიანის უფლებების ეფექტურად დაცვა, აუცილებლად მიმაჩნია, დაუყოვნებლივ შეიქმნას სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ახალი რედაქციის შემმუშავებელი კომისია (თუნდაც უზენაესი სასამართლოს „საკონსულტაციო საბჭოს“ ბაზაზე), რომელიც ჯერ სისხლის სამართლის ახალ საპროცესო კოდექსს მოამზადებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებების („სამოსამართლეო სამართლის“) გათვალისწინებით (იხ. შტეფან ტრექსელი, „ადამიანის

უფლებები სისხლის სამართლის პროცესში", თბილისი, 2009), ხოლო ამის შემდეგ, უკვე, მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის დახვეწას შეეცდება.

ფაქტია, რომ სისხლის სამართლის ბუნდოვან („არაგანჭვრეტად") ნორმებზე და საპროცესო კოდექსის შინაარსობრივად ბოლომდე გაუაზრებელ პრინციპებზე (მაგ., „სწრაფი მართლმსაჯულება", „თავისუფლების პრეზუმფცია"...) რომ არაფერი ვთქვათ, თანამედროვე ქართულ სისხლის სამართალში (სისხლის სამართლის მიმართულებაში) „სამართლიანი განაჩენის" ცნებაც კი მცდარი სახით არის ფორმულირებული და ისეთ განაჩენს ნიშნავს, რომლითაც „დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს" (სსსკ, მუხლი 259.4). ამდენად, ვინაიდან „კანონიერი განაჩენი" და „დასაბუთებული განაჩენი" კოდექსში ცალკეა განმარტებული, ლოგიკურად გამოდის, რომ სამართლიანი განაჩენი, შეიძლება, იმავდროულად უკანონო და დაუსაბუთებელი აღმოჩნდეს. არადა, სწორედ სამართლიანი განაჩენი უნდა იყოს ერთდროულად კანონიერიც, დასაბუთებულიც და დანაშაულის შესაბამისიც (თანაზომიერი, ადეკვატური).

ცალკე მსჯელობის თემაა, რამდენად გონივრული იყო საქართველოს კონსტიტუციიდან და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში გამოყენებული „ეჭვმიტანილის" ცნების ამოღება (გამოდის, რომ პოლიციელის მიერ შემოწმების მიზნით დროებით დაკავებული პირი „ბრალდებულია", თუმცა პროკურორს მისთვის ბრალდება არ წარუდგენია...), ბრალდებულად ყოფნის ან გამოძიების ვადაზე შეზღუდვების მოხსნა, ან თუნდაც სახელმწიფოს მხრიდან ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაზე უარის თქმა, იმ შემთხვევაში, თუ სამართალდამცავები დამნაშავეს ვერ დაადგენდნენ, მაგრამ, ფაქტია, რომ საკანონმდებლო ხარვეზები, არსებითად უშლიან ხელს ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის და იმ სასამართლო ხელისუფლებისადმი ნდობის ამაღლების პროცესს, რომელსაც მოუწესრიგებელი („უსამართლო") კანონმდებლობით უწევს ხელმძღვანელობა... ამასთან, ფაქტია, ნაცვლად იმისა, რომ მოსამართლეებმა პარლამენტის მიერ ნაუცბადევად მიღებული ბუნდოვანი ნორმები ადამიანის უფლებების დაცვის ინტერესებში განმარტონ (ცნებების შინაარსი გააფართოონ...) და კონსტიტუციასთან შესაბამობის თაობაზე ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართონ, როგორც წესი, ამას არ აკეთებენ და ისეთი, ზოგჯერ მეტად საეჭვო ხასიათის ზეპირი მითითებებით ან ბეჭდური წესით შესრულებული რეკომენდაციებით („გაიდლაინებით") ხელმძღვანელობენ, რომლებიც აშკარად ხელყოფენ

ადამიანის ძირითად უფლებებს და კანონიერ ინტერესებს.

ამდენად, ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტურობის ამაღლებაზე ორიენტირებული სასამართლო რეფორმის ძირითადი მიზანი უნდა იყოს მოსამართლეების თანამდებობებზე ღირსეული პიროვნებების გამწესება და მათთვის რეალური დამოუკიდებლობის მინიჭება, ანუ, ფაქტობრივად, მოსამართლეების განთავისუფლება, პირველ რიგში, სწორედ სასამართლოების თავმჯდომარეების (მით უმეტეს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეების) ან იუსტიციის საბჭოს წევრების „მავნე ზეგავლენებისგან".

დაუშვებელია, რეალურად დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ მოსამართლეს, სამართლის ნორმის განმარტების ან შეფარდების პროცესში, რომელიმე „ავტორიტეტისგან" შენიშვნის ან საყვედურის მიღების ეშინოდეს, თუ მისი მიზანი კანონის უზენაესობის პრინციპისა და ადამიანის უფლებების დაცვაა, ხოლო დასაბუთებული გადაწყვეტილება მხოლოდ შინაგანი რწმენის საფუძველზე აქვს მიღებული. ამასთან, სამართლიანობის აღსადგენად, მოსამართლეს ბუნდოვანი სამართლის ნორმების დაზუსტება ან/და იურიდიული ტერმინების შინაარსის გაფართოებაც უნდა შეეძლოს, ხოლო თუ საკონსტიტუციო სასამართლოს დახმარება დასჭირდება, მას დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს.

სამწუხარო რეალობაა, მაგრამ სასამართლოებისადმი ნდობის ასამაღლებლად გადახედვას საჭიროებს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონიც, რომლის ბუნდოვანი ნორმები განაპირობებენ არა მარტო ხარვეზებს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცესში და არაეფექტურ კონტროლს მოსამართლეების საქმიანობაზე, არამედ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების კანონის მოთხოვნათა იგნორირებით შერჩევას. მაგ., 47-ე მუხლის შესაბამის ნორმაში აშკარა ხარვეზის გამო საქართველოს პრეზიდენტმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად ისე დანიშნა პირი, რომ არ მოსთხოვა მას წარმომადგენლის სტატუსით სასამართლოებში საქმეების წარმოებაში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ვინაიდან პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ჩათვალა, რომ სასამართლოებში საქმიანობის პრაქტიკული გამოცდილების ქონა, თავად იუსტიციის საბჭოს წევრობის კანდიდატს კი არ მოეთხოვებოდა, არამედ მის წარმდგენ იურიდიულ პირს (არადა, საქართველოს კანონმდებლობით იურიდიული პირი ვერ იქნება წარმომადგენელი...). ბუნებრივია, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხარვეზებით (მით უმეტეს, კანონის ხელყოფით) დაკომპლექტება და პრეზიდენტის რეზიდენციაში გამართულ კონკურსთან დაკავშირებით სამივე ინსტანციის სასამართლოებში „სამართლიანობის აღდგენის" უშედეგო მცდელობა,

უარყოფითად აისახება სასამართლო რეფორმის ეფექტურობაზე და კიდევ უფრო გაზრდის უნდობლობას მთლიანად სასამართლო ხელისუფლებისადმი, რომელმაც, ფაქტობრივად, თვალი დახუჭა პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული კონკურსის პირობების აშკარა დარღვევაზე.

სასამართლოსადმი ნდობის ასამაღლებლად და ადამიანის უფლებათა ეფექტურად დასაცავად არსებითად უნდა გადაიხედოს სამოქალაქო, ადმინისტრაციულ სამართალდარვევათა, ზოგადი ადმინისტრაციული და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსები და მეწარმეთა შესახებ კანონიც. ფაქტია, მაგალითად, ის გარემოება, რომ იძულებით დადებული გარიგების გასაჩივრების ვადა მხოლოდ ერთი წელია (დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით მინიმუმ 10 წლით უნდა განისაზღვროს), სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გასაჩივრების მიუხედავად, მაგ., შსს არ აჩერებს გასაჩივრებული აქტის მოქმედებას (ტერმინების „ძალაში შესვლა" და „ამოქმედება" იურიდიული შინაარსის მკაფიოდ დაუდგენლობის გამო), ხოლო სააქციო საზოგადოებაში 5 %-ზე ნაკლები აქციების მფლობელებს სასამართლო, მათი ნების საწინააღმდეგოდ, „იძულებითი გამოსყიდვის" წესით ართმევს აქციებს და დომინანტ („მაჟორიტარ") აქციონერებს გადასცემს[1], ვერაფრით აღუდგენს საზოგადოებას სასამართლოსადმი ნდობას, ვინაიდან მსგავს შემთხვევებში სასამართლო ან არ ცდილობს მოსარჩელეთა ინტერესებში დააზუსტოს სადავო ტერმინების მნიშვნელობა ან პარლამენტის არაგონივრული (რიგ შემთხვევაში კორუფციული) ინიციატივების მიზეზით, ფაქტობრივად, ხელს უწყობს (თუნდაც, უნებურად), ან უკეთეს შემთხვევაში, ვერ აღკვეთს აშკარა უსამართლობას. ეს კი, ბუნებრივია, მკვეთრად უარყოფითად აისახება სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტზე და ვერაფრით შეუწყობს ხელს სამართლიანობის აღდგენის პროცესს (მით უმეტეს, როდესაც მაგ., აქციების ე.წ. იძულებით გამოსყიდვასთან დაკავშირებული დავა სააპელაციო ინსტანციაში თავდება...)

ამდენად, რეალური რეფორმის გასატარებლად და სასამართლოებისდამი ნდობის ასამაღლებლად კომპლექსური საკანონმდებლო ცვლილებებია საჭირო, რომლებიც ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ მეტად მნიშვნელოვან ურთიერთობებს სხვაგვარად (გაცილებით გონივრულად და განვითარებული

[1] ეს „ნოვაცია" კახა ბენდუქიძის ინიციატივით დაამკვიდრა პარლამენტმა და, მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ ცნო, კანონმდებელმა მაინც თავისი გაიტანა... არადა, უმჯობესი იქნებოდა „მისორიტარების" ინტერესები დაეცვათ და მხოლოდ 5 %-ზე ნაკლები აქციების მესაკუთრეების მოთხოვნის შემთხვევაში, გასაყიდად გამიზნული აქციები, სააქციო საზოგადოების საკონტროლო პაკეტის მფლობელს „იძულებით გამოესყიდა".

ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით) მოაწესრიგებენ და სასამართლოებში საქმის განხილვის პროცედურებსაც უფრო სამართლიანს გახდიან. ამ კუთხით, არსებითად უნდა შეიცვალოს ე. წ. დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის ინსტიტუტიც, რომელიც ნაცვლად იმისა, რომ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებით რეგულირდებოდეს, პარლამენტის მიერ ადმინისტრაციული სამართლის სფეროში იქნა გადატანილი და საშუალებას აძლევს პროკურატურას, ნებისმიერი პირი, ფაქტობრივად, ისე ცნოს დამნაშავედ და ქონებაც ჩამოართვას (მასთან „დაკავშირებულ“ პირსაც...), რომ სისხლის სამართალწარმოებაში გარანტირებული უფლებებით სარგებლობის საშუალება არ მისცეს, რაც აშკარად ხელყოფს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს და უარყოფითად მოქმედებს სასამართლოს ავტორიტეტზე.

სასამართლოსადმი ნდობის ასამაღლებლად და ადამიანის უფლებათა ეფექტურად დასაცავად დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ შემოღებული ე. წ. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტიც, რომელიც უკვე იმ განვითარებულ ქვეყნებშიც იშვიათად გამოიყენება, რომლებშიც საუკუნეების განმავლობაში მოქმედებდა (მაგ., ნაფიცი მსაჯულების სამშობლოში, ინგლისშიც კი 1993 წლიდან თქვეს უარი მის გამოყენებაზე, ხოლო აშშ-ში ნაფიცი მსაჯულების მოსამართლეებით ჩანაცვლებაა დაწყებული...). აღნიშნული ინსტიტუტი საქართველოში, ფაქტობრივად, თავიდანვე საერთო სასამართლოებში მორიგი რეფორმის ილუზიის შესაქმნელად და უცხოეთიდან მორიგი გრანტების „ასათვისებლად“ იყო შემოტანილი. ამჟამად კი მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში რეალურად არაფერს ცვლის და მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის სრულიად გაუმართლებელ ხარჯვას იწვევს.

არ მეგულება დამოუკიდებელი ექსპერტი, რომელიც ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის შემოღებას ურჩევდა ისეთ „განვითარებად“ და სპეციფიკურ ქვეყანას, რომელშიც, ფაქტობრივად, შეუძლებელია მიუკერძოებელი ნაფიცი მსაჯულების შერჩევა და მათი დაცვა ბრალდებულის „ახლობლების“ მხრიდან ზემოქმედებისა ან თუნდაც მოსყიდვისგან, მით უმეტეს, გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოტანას ისეთი წესით, რომლითაც არ არის გამორიცხული, რამდენიმე მსაჯულს განსხვავებული პოზიცია გააჩნდეს და ბრალდებულის გამართლებას ითხოვდეს. არადა, ცივილიზებულ ქვეყნებში აღიარებულია, რომ თუ ნაფიცი მსაჯულები გადაწყვეტილებას ერთსულოვნად ვერ მიიღებენ და ერთი მაინც ბოლომდე ვერ დარწმუნდება ბრალდების საფუძვლიანობაში, რჩება საფრთხე, რომ დამნაშავედ სრულიად უდანაშაულო პირი იქნეს ცნობილი..

რამდენიმე წლის წინ შემოღებულმა ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტმა საქართველოში რომ არ გაამართლა, დაადასტურა მათი მონაწილეობით ბოლოს განხილულმა საქმემ, როდესაც განსასჯელმა თავისი იერით და გამონათქვამებით იმდენად დააშინა ნაფიცი მსაჯულების ნაწილი (მგონი, ტელემაყურებელიც...), რომ მათ ვერ გაბედეს გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოტანა და დიდი ალბათობაა, ასეთ ვითარებაში, ნაფიცი მსაჯულების ახალმა შემადგენლობამაც ვერ მოახერხოს „სამართლიანობის აღდგენა“, რაც ბრალდებულის გამართლებას გამოიწვევს (აბა, ვის უნდა, რომ მას ან მისი ოჯახის წევრების სიცოცხლეს რეალური საფრთხე დღეს ან თუნდაც მსჯავრდებულის ციხიდან გამოსვლის შემდეგ დაემუქროს...). ამდენად, მიმაჩნია, რომ კანონმდებელმა დაუყოვნებლივ უნდა თქვას უარი ხარვეზებიანი სახით შემოღებულ ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტზე, ხოლო განსაკუთრებით რთულ საქმეებზე, როგორც ეს სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განხილვის პროცედურით არის გათვალისწინებული, სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, შესაძლებელი უნდა იყოს პირველ ინსტანციაშივე საქმე სამმა მოსამართლემ განიხილოს, რაც მეტ შანს მოგვცემდა ბრალდებულის მიმართ სამართლიანი განაჩენი დამდგარიყო. შესაძლებლად მიმაჩნია, აგრეთვე, ის საქმეები, რომლებიც სადღესიოდ ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით იხილება, პირდაპირ სააპელაციო სასამართლოს 3 მოსამართლისგან შემდგარმა პალატამ განიხილოს, ხოლო განაჩენი უზენაეს სასამართლოში გასაჩივრდეს (მსგავსი წესი ადრეც მოქმედებდა, როდესაც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების თაობაზე საქმეებს პირველი ინსტანციით უზენაესი სასამართლოს ერთი მოსამართლე იხილავდა, რაც სრულიად მიუღებელი იყო, რადგან გასაჩივრება, მხოლოდ იმავე სასამართლოში იყო შესაძლებელი).

ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ იმავე აშშ-ში, რიგ შემთხვევებში, როდესაც სისხლის სამართლის საქმის გამოძიების სტადიაზე მოპოვებული მტკიცებულებების სასამართლომდე შენარჩუნებას რეალური საფრთხე ემუქრება, განაჩენის გამოსატანად განსაკუთრებით მნიშვნელოვანი (ძირითადი) მოწმეების დაკითხვა, სასამართლოში საქმის განხილვის დაწყებამდე და უშუალოდ ნაფიც მსაჯულთა დიდი ჟიურის წინაშე ხდება, ამდენად, საქართველოში არსებული რეალობიდან გამომდინარე, გონივრულად მიმაჩნია, მოგვეხდინა ნაფიცი მაჯულების ინსტიტუტის ტრანსფორმირება და ნაფიც მსაჯულთა სადღეისოდ შერჩეული შემადგენლობა ზემოაღნიშნული მიზნით გამოგვეყენებინა. კერძოდ, პირველი ან/და მეორე ინსტანციის სასამართლოებთან შეიქმნებოდა არანაკლებ 3-კაციანი ე. წ. ნაფიც მსაჯულთა კოლეგიები (მაგ., თბილისში,

ბათუმსა და ქუთაისში მუდმივმოქმედი, ხოლო სხვა ქალაქებში შეიძლებოდა საჭიროებისამებრ შეკრებილიყვნენ). ბრალდების ან დაცვის მხარის მოთხოვნით „ნაფიც მსაჯულთა კოლეგიების“ წინაშე ის ბრალდებულები ან მოწმეები წარდგებოდნენ, რომელთა ჩვენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებოდა სამართლიანი განაჩენის გამოსატანად, თუმცა მათზე ფიზიკური ან ფსიკიქური ზემოქმედების, აგრეთვე, ამ პირთა მიმალვის, მკვლელობის ან გარდაცვალების გამო (თუნდაც ავადმყოფობის შედეგად ან ასაკით...), შეიძლება, სასამართლოში საქმის განსილვის მომენტისთვის ეს ძირითადი მტკიცებულება აღარ არსებობდეს. მით უმეტეს, რომ საქართველოში გამოძიებაც და სასამართლოში საქმის განხილვაც, არცთუ იშვიათად, გაუმართლებლად ჭიანურდება.

იმ ვითარებაში, როდესაც პირი ნაფიცი მსაჯულების წინაშე ნებაყოფლობით, წერილობით ჩამოაყალიბებდა საკუთარ თვალსაზრისს მომხდართან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებების თაობაზე ან ზეპირად მისცემდა ჩვენებას (მხარეებისა და ნაფიც მსაჯულთა კითხვებზეც გასცემდა პასუხებს), მისგან მიღებული ინფორმაცია კანონით დადგენილი წესით მოპოვებულ მტკიცებულებად ჩაითვლებოდა (დაფიქსირდებოდა ვიდეოკამერითაც), რომელიც შემდგომში გამოყენებული იქნებოდა სასამართლოში საქმის განხილვისას და მოხსნიდა ბრალდებულის ან მოწმის ჩვენების შეცვლასთან დაკავშირებულ პრობლემას. ამასთან, აუცილებლობად მიმაჩნია, დამკვიდრდეს ნაფიც მსაჯულთა თანდასწრებით ჩვენების საკუთარი ხელით დაწერის ან აკრეფის პრაქტიკა, რაც მაქსიმალურად გამორიცხავს საქმის ფაქტობრივი გარემოებების არაობიექტურ ასახვას. ფაქტია, რომ დღეს გამომძიებელ-ინსპექტორები და პროკურორები ბრალდებულის, მოწმის ან დაზარალებულის ჩვენებებს საკუთარი ხელით კრეფენ, როგორც წესი, ვითარებას ისე წარმოაჩენენ, როგორც თავად მიიჩნევენ საჭიროდ, ბოლოს კი ახსნა-განმარტება ჩამორთმეულ ან დაკითხულ პირს დოკუმენტზე ხელს აწერინებენ და საკუთარი ხელით მხოლოდ იმის დადასტურებას სთხოვენ, თითქოს სამართალდამცავებმა მისი სიტყვები უცვლელად გადაიტანეს ფურცელზე.

კანონმდებლობაში ცვლილებების გარდა, საერთო სასამართლოების სისტემაში რეალური რეფორმის ჩასატარებლად და მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოებისადმი საზოგადოების ნდობის ასამაღლებ-ლად ყურადღება უნდა დაეთმოს ერთი შეხედვით არაარსებით, მაგრამ სინამდვილეში ისეთ მეტად პრინციპულ საკითხსაც, როგორიც არის სასამართლოში შესული საქმეების მოსამართლეებზე განაწილების წესი. ამჟამად დამკვიდრებული

პრაქტიკა, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს და საშუალებას აძლევს სასამართლოების თავმჯდომარეებს, მათ ინტერესთა სფეროში მოხვედრილი საქმეები, ფაქტობრივად, საკუთარი შეხედულებისამებრ გადასცენ იმ მოსამართლეებს, რომლებიც უპრობლემოდ უზრუნველყოფენ სასურველი გადაწყვეტილების გამოტანას. ამასთან, პირადად მქონდა შემთხვევა, როდესაც უზენაეს სასამართლოში შეტანილი რამდენიმე საკასაციო საჩივარი სწორედ იმ მოსამართლეს გადაეცა, რომლის აცილებას საკასაციო საჩივარშივე ვითხოვდი. შედეგად ყველა, ფაქტობრივად, წაუკითხავად ცნო დაუშვებლად...

მისასალმებელია ინიციატივა საქმეების განაწილების ელექტრონულ სისტემაზე გადაყვანის შესახებ, თუმცა თუ თავად მოსამართლეებმა არ გამოავლინეს სათანადო ნებისყოფა და არ შეეწინაღმდეგნენ კოლეგების (განსაკუთრებით, სასამართლოს თავმჯდომარეების ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების) მხრიდან ზემოქმედების მცდელობებს, შესაძლოა, ამ ნოვაციამ ისეთივე შედეგი გამოიღოს, როგორც თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე „სამართალმცოდნეობაში" მისაღები გამოცდებისას შესრულებული წერითი ნაშრომების „დაშიფვრის" შემთხვევაში. მართალია, საგამოცდო კომისიის წევრმა პროფესორმა თავიდან არ იცოდა ვისი ნაშრომი გადაეცა შესაფასებლად, მაგრამ სულ მოკლე დროში დაინტერესებული კოლეგები თავად მოაკითხავდნენ და იოლად პოულობდნენ „ახლობლების" ნაშრომებს და შემფასებელს „მეგობრულად" სთხოვდნენ სასურველი ნიშნის დაწერას, თან თავადაც გამოთქვამდნენ მზადყოფნას „ვალში არ დარჩენილიყვნენ"... ამდენად, პირველ რიგში, თავად მოსამართლეების შერჩევის პროცედურამ და თითოეული მოსამართლის პიროვნულმა თვისებებმა უნდა უზრუნველყოს განსახილველი საქმის მიმართ მათი რეალური დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა. ხოლო თუ მართლმსაჯულების განხორციელებას ისევ მათ ვანდობთ, ვინც წლების განმავლობაში სხვისი კარნახით იღებდა გადაწყვეტილებებს, რეალურად დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს ფორმირება ვერ მოხდება.

სასამართლოსადმი ნდობის ასამაღლებლად და ადამიანის უფლებათა ეფექტურად დასაცავად დაუყოვნებლივ უნდა მოწესრიგდეს სასამართლოების კანცელარიების საქმიანობაც. ფაქტია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მისაღებში რიგითი ნომრის აღმნიშვნელ ბარათზე ნაწილი წარწერისა არასახელმწიფო ენაზე იყო შესრულებული, ხოლო ქართული სიტყვები - ლათინური ასოებით. სამწუხაროდ, მისაღებში გამოკრულ საინფორმაციო ფირნიშებზე დღემდეა რედაქციული შეცდომები. ამასთან, უზენაესი სასამართლოს მიერ გამოცემულ საინფორმაციო ფურცლებში, რომელიც რიგდებოდა

მისაღებში, შეცდომით იყო მითითებული სისხლის სამართლის საქმეების განხილვის ვადა. აგრეთვე, არაგონივრულად მიმაჩნია თბილისის საქალაქო სასამართლოს შესასვლელში თანამშრომლების პიროვნული მახასიათებლების სპეციალურ აბრაზე „აფიშირება“ (კომუნისტების დროინდელ ლოზუნგს „დიდება პარტიას!“ მაგონებს...), მით უმეტეს, რომ თვისებების ვრცელ ჩამონათვალში „სამართლიანობა“ აშკარად გამორჩენილია... ისიც გაუგებარია, რატომ უნდა ჩამომართვან მანდატურებმა პირადობის მოწმობა სააპელაციო სასამართლოში შესვლისას, როდესაც საქალაქო სასამართლოში ამას არ აკეთებენ. ამასთან, მიზანშეწონილად მიმაჩნია, სასამართლოს მანდატურებსაც გადაეცეთ ისეთივე ე. წ. ალკოტესტი, როგორიც აქვთ საპატრულო პოლიციელებს, რაც თავიდან აარიდებდათ კონფლიქტურ სიტუაციებს სასამართლოს შენობაში (დარბაზში) შეშვებისას მოქალაქეების ნასვამობის ხარისხთან დაკავშირებით (პირადად შევესწარი, როდესაც საქმის განხილვაზე ბრალდებულის მამა არ შეუშვეს, ვინაიდან მანდატურის აზრით, მას ზომაზე მეტი ალკოჰოლი ჰქონდა მიღებული...).

სასამართლოსადმი ნდობის ასამაღლებლად და ადამიანის უფლებათა ეფექტურად დასაცავად მთელი რიგი არსებითი საკითხების გარდა (მაგალითად, საუნივერსიტეტო იურიდიული განათლების პრობლემა, კანონმდებლობის ხარვეზები, მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმები, პროკურორების დაუსაბუთებელი შუამდგომლობების დაკმაყოფილება, სასამართლოს გადაწყვეტილებების არასაკმარისი დასაბუთება და სხვა), სასამართლოებთან დაკავშირებით მოსაწესრიგებელია ერთი შეხედვით შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანი, მაგრამ მიმდინარე რეფორმის პროცესში აუცილებლად გასათვალისწინებელი სხვა საკითხებიც. მაგალითისთვის რამდენიმეს ვახსენებ:

ა) სამოქალაქო საქმეებზე დაუყოვნებლივ უნდა აღდგეს შეტანილ სარჩელზე ე. წ. ხარვეზის დადგენის და მოსარჩელისთვის მისი გონივრულ ვადაში გამოსწორების შესაძლებლობის მიცემის ინსტიტუტი, ვინაიდან მოსამართლები, არცთუ იშვიათად, არაარსებითი ხასიათის ხარვეზების გამო (მაგ., ბაჟის არასათანადო ოდენობის გადახდა, სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერის დაურთველობა, სადავო ქონებაზე მესაკუთრეობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობა, დავის საგნის ან მოპასუხეთა წრის დაუზუსტებლობა და სხვა) სრულიად დაუსაბუთებლად ამბობენ უარს სარჩელის მიღებაზე, რაც მოსარჩელის დროის დაკარგვას და განხილვის ვადების გაუმართლებლად გაჭიანურებას იწვევს. რიგ შემთხვევებში, მოსამართლეები მხოლოდ საქმეებით გადატვირთვის

გამო ამბობენ უარს სარჩელის მიღებაზე და მათ „ახარვეზებენ“, მაშინ როდესაც ე.წ. ხარვეზების აღმოფხვრა მოსამართლის თანაშემწის მიერ განხორციელებული ერთი სატელეფონო ზარით (ან ე. წ. მოკლე ტესტური შეტყობინებით) იქნებოდა შესაძლებელი, ხოლო მოსარჩელის მოთხოვნათა ან მოპასუხეთა წრე მოსამზადებელ სხდომაზე დაზუსტდებოდა და საქმის არსებითი განხილვაც გონივრულ ვადაში მოესწრებოდა;

ბ) აშკარად არაგონივრულია სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის გასაჩივრების მექანიზმიც, როდესაც მოსამართლის მიერ ერთ დღეში მიღებული განჩინების თაობაზე შეტანილი საჩივრის განსახილველად კანონმდებელი 20-დღიან ვადას აწესებს, ხოლო მოქმედი პრაქტიკით საჩივარი იმავე მოსამართლეს გადაეცემა, რომელმაც უარი თქვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე. ამის შემდეგ, თუ საჩივარი არ დაკმაყოფილდება (ძნელი წარმოსადგენია, მოსამართლემ პოზიცია შეცვალოს), ის სააპელაციო სასამართლოს გადაეცემა და განმცხადებელი, ფაქტობრივად, თვეების განმავლობაში უნდა ელოდოს ზემდგომი ინსტანციიდან პასუხს.

ასეთ პირობებში, თუ განმცხადებელი სარჩელის უზრუნველყოფას სარჩელის შეტანამდე ითხოვს, სასამართლოს მიერ უარის თქმის შემთხვევაში, გასაჩივრებას ყოველგვარი აზრი ეკარგება, ვინაიდან სარჩელი 10 - დღიან ვადაშია შესატანი. ამასთან, მოსამართლეებიც (სავარაუდოდ, საქმეებით გადატვირთის გამო), ფაქტობრივად, უარს ამბობენ სარჩელის შეტანამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე, რის გამოც, ქონებრივი ინტერესების დაცვის ეს უაღრესად ეფექტური ინსტიტუტი საქართველოში პრაქტიკულად არ გამოიყენება.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქმეების სიმრავლის გამო თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეები ვერც ახერხებენ სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების თაობაზე სამუშაო დღის ბოლოს კანცელარიაში შესული განცხადება-შუამდგომლობების მეორე დღის 18 საათამდე განხილვას, რის შედეგად სრულიად დაუსაბუთებლად უარს ამბობენ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე („არ უჩნდებათ მისი გამოყენების აუცილებლობის დასაბუთებული ვარაუდი“...), რაც სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პრობლემურს ხდის გადაწყვეტილების აღსრულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, გამართლებულად მიმაჩნია, სამუშაო დღის მეორე ნახევარში (14 საათის შემდეგ) შეტანილი განცხადებები, არა უგვიანეს 2 სამუშაო დღეში იყოს განხილული, ხოლო უარის თქმის შემთხვევაში საჩივარი არა უგვიანეს 2 სამუშაო დღეში ან სხვა მოსამართლემ უნდა განიხილოს, ან პირდაპირ სააპელაციო

სასამართლოს უნდა გადაეცეს (მით უმეტეს, რომ საჩივრის გადაგზავნა ელექტრონული წესით არის შესაძლებელი), საიდანაც მაქსიმუმ ორ დღეში უნდა იქნეს პასუხი მიღებული;

გ) რიგ შემთხვევებში, როდესაც იურიდიული პირის სახელით სარჩელი შეტანილია წარმომადგენლის მიერ და თან ერთვის ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი რწმუნებულება, მოსამართლეები (მაგ., გიორგი სულაკაძე და ტარიელ ტაბატაძე თბილისის საქალაქო სასამართლოში) უარს ამბობენ სარჩელის განსახილველად მიღებაზე იმ მოტივით, რომ „სასარჩელო განცხადებას თან არ ერთვოდა ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან", რაც იწვევს საქმის განხილვის გაუმართლებელ გაჭიანურებას.

თუ გავითვალისწინებთ, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის „დაჩქარებისთვის" შესაბამისი თანხის გადახდის შემთხვევაში ნებისმიერი საწარმოს დირექტორის სხვა პირით ჩანაცვლება სამუშაო დღის ბოლომდეა შესაძლებელი, ხოლო 100 ლარად ახალი დირექტორის რეგისტრაცია მაქსიმუმ ერთ დღეში ხორციელდება, ყველა შემთხვევაში, თუ სასამართლოს უშუალოდ სარჩელის შეტანის დღეს „განახლებული" ამონაწერი წარედგინება, გამორიცხული არ არის, სანამ სარჩელი მოსამართლემდე მიაღწევს, საწარმოს დირექტორად უკვე სხვა პირი იყოს გამწესებული. ამასთან, ვინაიდან ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან აღარ წარმოადგენს სახელმწიფო სტრუქტურების მიერ მხოლოდ ერთ ცალად გაცემულ ოფიციალურ საბუთს და მისი ამობეჭდვა უკვე ყველას შეუძლია (90-იან წლებში მხოლოდ სასამართლოები გასცემდნენ „ბეჭედდასმულ" ამონაწერებს ...), უაღრესად არაგონივრულია, სასამართლო არ ენდოს მოსარჩელის მიერ წარდგენილ ხელმოწერილ დოკუმენტებს და სარჩელის მიღების საკითხი პრინტერიდან ამობეჭდილ ფურცელზე გახადოს დამოკიდებული... მით უმეტეს იმ ვითარებაში, როდესაც სამოქალაქო საქმეებზე, რატომღაც აღარ დგინდება ხარვეზები, რის გამოც მოსამართლემ განჩინების წერაზე უნდა დაკარგოს დრო, შემდეგ მოსარჩელემ კანცელარიას ჯერ განცხადება უნდა ჩააბაროს, მერე საქმის გასატანად უნდა მივიდეს სასამართლოში და ამონაწერს რომ მოიპოვებს, თავიდან უნდა შეიტანოს სარჩელი...

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითხოვს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენას, მაგრამ, სრულიად ლოგიკურად, არსად არის მოთხოვნა იურიდიული პირის მიერ სარჩელის შეტანისას სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერის წარდგენის აუცილებლობის თაობაზე. ამდენად, თუ მოსამართლეს ეჭვი ეპარება მოსარჩელე იურიდიული პირის ხელმძღვანელის ან წარმომადგენლის

უფლებამოსილებაში, გონივრული იქნებოდა, საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე თავად გადაემოწმებინა სარეგისტრაციო მონაცემები ან ამის გაკეთება თანაშემწისთვის დაევალებინა. ხოლო თუ სასამართლოს ინტერნეტით სარგებლობის საშუალება არ გააჩნია, გამართლებული იქნებოდა მოსარჩელისთვის სათანადო დოკუმენტის წარმოდგენა მოეთხოვა და არა სარჩელის განუხილველად დატოვების თაობაზე განჩინების წერასა და დოკუმენტების მოსარჩელისთვის უკან დაბრუნებაზე დაეხარჯა დრო. შესაბამისად, თუ სარჩელში მითითებულია საწარმოს საიდენტიფიკაციო მონაცემები და თან ერთვის დირექტორის მიერ ხელმოწერილი რწმუნებულება, სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერის წარდგენა აუცილებელი არ უნდა იყოს;

დ) არაგონივრულად მიმაჩნია, როდესაც მოსამართლეები წარმომადგენ-ლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტის (რწმუნებულების) წარმოდგენას იმ ვითარებაშიც ითხოვენ, როდესაც თავად მარწმუნებელი და მისი წარმომადგენელი სასამართლო სხდომათა დარბაზში იმყოფებიან და მოსარჩელე (განმცხადებელი) პირადად მიმართავს მოსამართლეს თხოვნით, რომ მისი ინტერესები მისმა თანმხლებმა პირმა დაიცვას. გამოდის, რომ თუ ხანდაზმული მოქალაქე შპს „სი-ტი პარკის" მიერ გამოწერილ 10 - ლარიან ჯარიმას ასაჩივრებს და საკუთარი ინტერესების დასაცავად შვილს ან მეზობლად მცხოვრებ სამართლის დოქტორს სასამართლოში მიიყვანს, ჯერ სანოტარო ბიუროში უნდა შეიაროს და 10 ლარზე მეტი გადაიხადოს, რომ ნოტარიუსმა მისი ნების გამოხატვის ფაქტი წერილობით დოკუმენტში ასახოს?! რა, თავად მოსამართლე ვერ დაადგენს ვინ დგას მის წინაშე და ვის ანდობს საკუთარი ინტერესების დაცვას?! ლოგიკური იქნებოდა, მოსარჩელეს (განმცხადებლის) წარმომადგენელმა მინდობილობა (რწმუნებულება) მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოადგინოს, თუ მარწმუნებელს არ სურს ან არ შეუძლია სასამართლოში მისვლა;

ე) იმ შემთხვევაში, როდესაც მოსამართლე სარჩელს ხარვეზიანად მიიჩნევს და მის გასასწორებლად მოსარჩელეს გარკვეულ ვადას მის-ცემს, გონივრული იქნებოდა, თუ აღნიშნული ვადის გასვლის გამო სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის თაობაზე შესაბამისი განჩინების გამოტანამდე მოსამართლე კანცელარიიდან მიიღებდა სარჩელის ხარვე-ზებშესწორებულ (დაზუსტებულ) ვარიანტს, საქმე დადგენილი წესით განეხილა.

მივიჩნევ, რომ თუ მოსარჩელემ ხარვეზი შეავსო, გარკვეული მიზეზის გამო სასამართლოში წარდგენა რამდენიმე წუთით, საათით ან თუნდაც ერთი დღით დაიგვიანა (მით უმეტეს, როდესაც ქალაქის ბოლოში განთავსებული სასამართლოს კანცელარია 18 საათზე იკეტება,

ხოლო „საქართველოს ფოსტა“ მხოლოდ 17 საათამდე მუშაობს...), მაგრამ მოსამართლემაც ვერ მოასწრო სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის თაობაზე შესაბამისი წერილობითი დოკუმენტის შედგენა (რაც საქმეებით გადატვირთვის გამო საკმაოდ ხშირად ხდება), სარჩელი უკან არ უნდა დააბრუნოს. მართლაც, აბსურდული ვითარება იქმნება, როდესაც მოსამართლე განჩინებაში წერს, რომ მართალია, მოსარჩელემ განცხადება ხარვეზის შევსების თაობაზე მას უკვე წარუდგინა, მაგრამ სარჩელის განხილვაზე უარი ეთქვა, ვინაიდან ვადაში ვერ ჩაეტია... (მაგ., თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის მირანდა ირემაძის 2015 წლის 13 ივლისის განჩინება საქმეზე №3/2778-15, რომელშიც მკაფიოდ აღნიშნულია, რომ განცხადება ხარვეზის შევსების თაობაზე სასამართლოს 2015 წლის 13 ივლისს წარედგინა...).

ამდენად, გამართლებულად მიმაჩნია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შევიდეს შესაბამისი ცვლილება, რომლითაც გამოირიცხებოდა საქმის განხილვის არაგონივრული გაჭიანურების ისეთი შემთხვევები, როდესაც მოსარჩელის სურვილი აქვს საქმე სასამართლომ განიხილოს, ამასთან, მან მოასწრო ხარვეზის შევსება მანამდე, სანამ მოსამართლემ უარი უთხრა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. ცხადია, თუ შესაბამისი განჩინების გამოტანამდე განცხადებამ ხარვეზის შევსების თაობაზე მოსამართლემდე ვერ მიაღწია, მოსარჩელეს მოუწევს სასამართლოს თავიდან მიმართოს;

ვ) იმ ვითარებაში, როდესაც სასამართლოებში საქმის განხილვა საკმაოდ ჭიანურდება, ხოლო მოსამართლეები ხარვეზის შესავსებად მოსარჩელეებს საკმაოდ მცირე ვადებს უდგენენ და მათ დაცვას განუხრელად სთხოვენ, სრულიად მიუღებელია, როდესაც თავად მოსამართლეები არღვევენ კანონით დადგენილ ვადებს და შესაბამის დოკუმენტებზე (გადაწყვეტილებებზე, განჩინებებზე, დადგენილებებზე), ფაქტობრივად, ფიქტიურ („კანონით განსაზღვრულ”) თარიღს უთითებენ... შესაბამისად, დოკუმენტები დაგვიანებით ეგზავნებათ მოსარჩელეებს (მაგ., 2015 წლის 16 ოქტომბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოდან გამომიგზავნეს მოსამართლე ნათია ქუთათელაძის დადგენილება, რომელიც, თითქოს 2015 წლის 15 მაისს მიიღო...). ვინაიდან, რიგ შემთხვევებში, მსგავსი ქმედებები განპირობებულია საქმეების სიმრავლით, გაცილებით გონივრული იქნებოდა, მოსამართლეებს დოკუმენტებზე მათი შედგენის ფაქტობრივი თარიღი მიეთითებინათ, ხოლო გასაჩივრების შემთხვევაში, საჩივრის განმხილველი პირი ან ორგანო გაითვალისწინებდა ობიექტურ გარემოებას და ვადაგადაცილებას საპატიოდ ჩათვლიდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, როდესაც მოსარჩელე (განმცხადებელი)

კანონით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ აკითხავს სასამართლოს და შესაბამის დოკუმენტს ვერ იღებს (გადაწყვეტილებას ან თუნდაც განჩინებას სარჩელის გამოხმობის მოთხოვნაზე შუამდგომლობის დაკმაყოფილების თაობაზე), ხოლო მოგვიანებით სახლში უგზავნიან მოსამართლის მიერ ძველი რიცხვით დათარიღებულ (ფაქტობრივად, გაყალბებულ...) დოკუმენტს, უნდობლობა უჩნდება მთლიანად სასამართლო ხელისუფლებისადმი;

ზ) როდესაც საქმის განხილვის დაწყებამდე მოსამართლე აკმაყოფილებს მოსარჩელის განცხადებას სარჩელის გამოხმობის თაობაზე, არა მგონია გონივრული იყოს 12-დღიანი გასაჩივრების ვადის დაწესება და კანონიერ ძალაში შესული განჩინების მისაღებად, მერე კი სასამართლოში წარდგენილი დოკუმენტების უკან დასაბრუნებლად მოსარჩელის სასამართლოში რამდენჯერმე მიყვანა... დღეს მოსარჩელე ჯერ კანცელარიაში ტოვებს შესაბამის განცხადებას, მას შემდეგ კი რაც რამდენიმე დღეში სასამართლოს განჩინებას ჩააბარებენ, წერს ახალ განცხადებას, რომ განჩინებას არ ასაჩივრებს და დადგენილი ფორმით უკან ითხოვს დოკუმენტებს, რის შემდეგ დოკუმენტების გამოსატანად ისევ უნდა მიაკითხოს სასამართლოს (გონივრული იქნებოდა მოსარჩელეს ერთ განცხადებაში მოეთხოვა სარჩელის გამოხმობაც და სასამართლოში წარდგენილი დოკუმენტების დაბრუნებაც);

თ) სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მოსარჩელეებს მხოლოდ სარჩელზე თანდართული დოკუმენტების ორიგინალები უბრუნდებათ, ხოლო სარჩელი და მასზე თანდართული დოკუმენტების ასლები რჩება სასამართლოში. მიმაჩნია, რომ შეიძლებოდა მოსარჩელეებს სარჩელიც და თანდართული დოკუმენტები სრულად დაჰბრუნებოდათ, ხოლო თუ განუხილველი სარჩელის სასამართლოში დატოვება აუცილებლობას წარმოადგენს, თანდართული დოკუმენტების ორიგინალებიც და ასლებიც, რომელთა რაოდენობა შეიძლება რამდენიმე ათეულ ან ასეულ ფურცელს შეადგენდეს სრულად დაჰბრუნებოდათ მოსარჩელეებს, რაც თავიდან აიცილებდათ მათ დამზადებებაზე დროის ფუჭად ფლანგვას (თუ სარჩელის თავიდან შეტანას გადაწყვეტდნენ), ხოლო სასამართლოს არქივს არსებითად განტვირთავდა;

ი) კონკრეტული საბანკო ანგარიშიდან გადარიცხვის გზით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სასამართლოს გადაწყვეტილებით უკან დაბრუნებისთვის არ უნდა იყოს აუცილებელი ჯერ სასამართლოში, შემდეგ კი ფინანსთა სამინისტროს შენობაში მისვლა და სასამართლოს ბეჭედდასმული დოკუმენტების (გადაწყვეტილების, განჩინების, სააღსრულებო ფურცლის) წარდგენა. სასამართლოს შეუძლია შესაბამისი დოკუმენტი ელექტრონული წესით გადააგზავნოს და შემოსავლების სამსახური (ხაზინა) ავტომატურად უზრუნველყოფდა მის შესრულებას (თუ მოსარჩელე სხვა ანგარიშს არ მიუთითებდა თანხა

დაჰბრუნდებოდა იმ ანგარიშზე, საიდანაც ჩაირიცხა).

ბუნებრივია, მოხარული ვიქნები, თუ ზემოაღნიშნული წინადადებები გათვალისწინებული იქნება სასამართლო რეფორმის მიმდინარე ან შემდეგ ეტაპზე, მაგრამ იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს რეალური დამოუკიდებლობა თუ ეღირსა, სასამართლო რეფორმის თაობაზე სპეციალისტებსაც და საზოგადოებასაც კიდევ მოუწევთ სერიოზული სჯა-ბაასი. ამასთან, მოქალაქეებს სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრების „ურყევი ნებაც“ თუ შეგვრჩა, როგორც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II გვირჩევს, ქმედებები „ანალიტიკურ აზროვნებაზე“ უნდა დავაფუძნოთ და არა ემოციებზე ან, კიდევ უარესი „რევოლუციურ მიზანშეწონილობაზე“. ფაქტია, რომ სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტისას, ხშირად ნაუცბადევად ვმოქმედებთ, რის გამოც, საერთო ჯამში, ძალზე ვაგვიანებთ და ერთხელ აშენებულის მრავალგზის გადაკეთება გვიწევს... ამასთან, ქვეყანაში შექმნილი მეტად სპეციფიკური ვითარებიდან გამომდინარე, სრულიად ლოგიკურად მიმაჩნია, რომ სამართლიანი არჩევნების გზით ფორმირებული პარლამენტის „პოლიტიკური ნების“, რეალურად დამოუკიდებელი მასობრივი საინფორმაციო საშუალებებისა (ძირითადად, ტელევიზიების) და ანალიტიკურად მოაზროვნე მეცნიერების გარეშე, შეუძლებელი იქნება რეალურად დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო ხელისუფლების ფორმირება, რის გარეშე ადამიანის უფლებების ევროსტანდარტებზე ორიენტირებული დემოკრატიული რესპუბლიკის ნაცვლად პლუტოკრატიული ტირანია (ტყუილებზე, ძალადობასა და თვითნებობაზე დაფუძნებული რეჟიმი) შეგვრჩება ხელში და ევროკავშირში კი არა, ევრაზიულშიც აღარავინ მიგვიღებს...

ამდენად, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების მესვეურებს ვურჩევდი, ისევ ნუ აჩქარდებიან და წარსულში დაშვებული შეცდომებიდან გამომდინარე, ის დასკვნა მაინც გამოიტანონ, რომ კონსტიტუციის შემუშავებას, კანონების მიღებას და სამართლებრივი რეფორმების გატარებას გაცილებით სერიოზული მიდგომა და მეტი პასუხისმგებლობა სჭირდება, ხოლო კანონმდებლობაში მორიგი ცვლილება-დამატებების შეტანისას პროექტები, პირველ რიგში, უცხოელ ექსპერტებს კი არ უნდა გავუგზავნოთ შესაფასებლად, არამედ ჯერ შესაბამისი დარგის ადგილობრივი სპეციალისტების აზრით უნდა დავინტერესდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამართლებრივი სახელმწიფოც აუხდენელ ოცნებად დაგვრჩება, დამოუკიდებელი სასამართლოც და ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის ელემენტარული გარანტიებიც არ იარსებებს.

12 ივნისი, 2015 წელი

რეალურად დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლო ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტი (ჟურნალი „ძართული სამართლის მიმოხილვა", 1998, №2)

საქართველოში დღემდე განხორციელებული რეფორმებისა და მიღებული სამართლებრივი ბაზის ხარისხობრივი მხარე ცალკე მსჯელობის თემაა, მაგრამ არანაკლებ აქტუალურ საკითხად რჩება ამოქმედებული კანონების რეალიზაციის მექანიზმის არაეფექტიანობა.

სამართლებრივი სახელმწიფო - კონსტიტუციით განმტკიცებული სამომავლო ორიენტირია, ჯერჯერობით კი ქვეყანაში გამართულად მომუშავე სახელმწიფო მექანიზმია შესაქმნელი. კანონის უზენაესობის პრინციპისა და ადამიანის უფლებების უპირველეს დამცველებად სწორედ ხელისუფლების წარმომადგენლები უნდა გვევლინებოდნენ, აღმასრულებელი ორგანოები ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ ფარგლებში უნდა მოქმედებდნენ, ხოლო კანონიერი უფლებებისა და ინტერესების ხელყოფისას მოქალაქეებს რეალურად დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლოსათვის მიმართვის საშუალება უნდა გააჩნდეთ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საბაზრო ურთიერთობებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების რეალურად დამკვიდრების ტემპებიარადამაკმაყოფილებლადმიმაჩნია,ხოლოკანონშემოქმედებითი პროცესი სერიოზული ხარვეზებით მიმდინარეობს, ვფიქრობ, რიგ შემთხვევებში, მიღებული შედეგები მაინც სასურველ რეალობად აღვიქვით, პრიორიტეტები გადავანაცვლეთ და ზოგიერთი კანონით მოვლენათა ლოგიკურ მსვლელობას წინაც კი გავუსწარით.

ამის მკაფიო მაგალითს სამი წლის წინ ძალაში შესული მეწარმეთა შესახებ კანონის ის ნორმაც უნდა წარმოადგენდეს, რომლითაც მოსამართლეებს მიენიჭათ უფლებამოსილება, დაადგინონ, თუ როგორ „უძღვებიან" და „ეპყრობიან" თავიანთ საქმეს დირექტორები ან მოქმედებენ თუ არა „ნამდვილი კომერსანტის გულისხმიერებით და კეთილსინდისიერებით" (მუხლი 9.7 და 14.1.3). ამდენად, მოსამართლეებს ერთობ სპეციფიკური ურთიერთობების განსჯისა და დამრღვევი მხარისათვის ქონებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების უფლება მივანიჭეთ, მაგრამ მხედველობიდან გამოგვრჩა, რომ საქართველოში სასამართლო რეფორმა ჯერ არ განხორციელებულა, სასამართლო რეალურად დამოუკიდებელ ხელისუფლებად არ ქცეულა და არც მოსამართლეების სამეწარმეო საქმიანობის თავისებურებებში კომპეტენტურობაა უდავო, რომ აღარაფერი ვთქვათ მინდობილი მისიისადმი თავად მათ „გულისხმიერ და კეთილსინდისიერ" დამოკიდებულებაზე. ვფიქრობ, მოსამართლეთა უმრავლესობა კომერსანტის „ნამდვილობას"

დღემდე მისი ჩაცმულობისა და „ზემოდან“ დარეკილი ზარების მეშვეობით საზღვრავს. შედეგად, მეწარმეები სასამართლოს აშკარა უნდობლობით უყურებენ და დავების გადასაწყვეტად საკმაოდ იშვიათად აკითხავენ.

ამგვარი ვითარება 1997 წლის შემოდგომაზეც შეიქმნა, როდესაც ადამიანის თავისუფლების შეზღუდვაზე სანქციის გაცემის უფლებამოსილება პროკურორს კი ჩამოერთვა, მაგრამ დღევანდელ პირობებში, მოსამართლეთათვის ამ ფუნქციის გადაცემით სრულიად საწინააღმდეგო ეფექტი მივიღეთ და სისხლის სამართალწარმოებაში აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მასობრივად გამოყენება კვლავაც გაგრძელდა. ამასთან, სასამართლო რეფორმის შეფერხების შედეგად, გასულ წელს დანაშაულთა რიცხვის რამდენიმე ასეულით მატებასთან ერთად, თითქმის მეხუთედით შემცირდა დაკავებულთა რაოდენობა. გამომძიებლები და პროკურორები „თავს იკავებენ“ მოსამართლეებთან ვიზიტისაგან, რადგან პირად ინტერესებთან ერთად, არც იმის გარანტია აქვთ, რომ „ძველი სისტემიდან“ შემორჩენილი მოსამართლე აღკვეთის ღონისძიებას სწორად შეარჩევს ან საერთოდ არ „გააპარებს“ სავარაუდო დამნაშავეს.

სხვათა შორის, სასამართლო რეფორმა დროზე რომ გაგვეხორციელებინა, ალბათ, პრივატიზაციის პროცესშიც გაცილებით ნაკლები დარღვევები იქნებოდა და სადღეისოდ ფასიანი ქაღალდების ბაზარიც იარსებებდა.

ამ ათიოდე წლისწინ, ტოტალიტარიზმისაგან განთავისუფლებული სახელმწიფოები რომ არ აღმოჩენილიყვნენ ასეთივე მდგომარეობაში, გარდაქმნები სწორედ სასამართლო რეფორმით დაიწყეს. მაგალითად, თუ ყოფილ აღმოსავლეთ გერმანიაში მოსამართლეთა კორპუსი, ფაქტობრივად, მთლიანად შეიცვალა განსხვავებული მენტალიტეტის მქონე დასავლეთგერმანელი იურისტებით, ჩეხეთში სოციალისტურ სისტემაში ნამსახურები მოსამართლეების მხოლოდ დათხოვნას არ დასჯერდნენ და მათ სახელისუფლებო დაწესებულებებში მუშაობაც აუკრძალეს.

ამდენად, უდავოდ მისასალმებელი ფაქტია, რომ ბოლოსდაბოლოს, საქართველოშიც გამოიკვეთა სასამართლო რეფორმის კონტურები. მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეთა შერჩევისა და მათი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის სადღეისოდ შემოთავაზებულ მექანიზმში ზოგიერთ არსებით ნაკლოვანებას ვხედავ, მიმაჩნია, რომ ისედაც ძალზე დავიგვიანეთ, გადადება აღარ შეიძლება და რეფორმების პროცესი სასამართლოში, გარკვეული კორექტივებით, მაგრამ მაინც უნდა გაგრძელდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანაში მიმდინარე ყოველგვარმა დემოკრატიულმა გარდაქმნებმა და სამართლებრივმა რეფორმებმა, რომლებიც ისედაც ძლივს იდგამენ ფეხს, შესაძლოა

სრული დისკრედიტაცია განიცადონ და საზოგადოებაში კიდევ უფრო განმტკიცდეს ისედაც ფესვგადგმული სამართლებრივი ნაჰილიზმი.

თუნდაც ე. წ. ევროსტანდარტების დონეზე შემუშავებული და იდეალური სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა რომ გვქონდეს, დაუშვებელია, თვალი დავხუჭოთ და არ გავითვალისწინოთ საქართველოში ამჟამად არსებული რეალური ვითარება. რეფორმების განხორციელების პროცესში დარღვეული უფლებების დაცვის რომელ მექანიზმზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც საქართველოში დღემდე არ განხორციელებულა სასამართლო რეფორმა და მოსამართლე - დამოუკიდებელი, მიუკერძოებული და კომპეტენტური მსაჯულის ნაცვლად, ძველებურად, აღმასრულებელი ხელისუფლების მორჩილ და უუფლებო მსახურად გვევლინება. ეს არც უნდა გაგვიკვირდეს, რადგან მიუხედავად წარსულში მდიდარი სამართლებრივი კულტურისა, უკანასკნელ საუკუნეებში ქართული სამართალი და მართლმსაჯულება რუსეთის (ბოლო 70 წელი საბჭოთა კავშირის) „მზრუნველობით“ (თუ „მეურვეობით“) ყალიბდებოდა. თავად „გამზრდელი“ კი, ცნობილი ფრანგი სამართალმცოდნის რენე დავიდის აზრით, გამოირჩეოდა „იურიდიული ტრადიციების სისუსტითა და განვითარებული მართლშეგნების უქონლობით, იურისტები უფრო მეფისა და სახელმწიფოს მსახურები იყვნენ, ვიდრე ხალხისა, მათ საერთო პროფესიული სულისკვეთება არ ყოფნიდათ“.[1]

ფრანგ მეცნიერს თუ მიკერძოებულად მივიჩნევთ, მაშინ იქნებ რამდენიმე საუკუნის წინათ რუსეთში ელჩად ნამუშევარ ინგლისელ სამართალმცოდნეს ჯონ ფლეთჩერს მოვუსმინოთ, რომელიც „სამხარეო (საოლქო) მმართველობის მოსკოვურ სისტემაზე“ შემდეგ ცნობებს გვაწვდის: „მხარეთა მმართველები მეფის ბრძანებულებით ერთი ან რამდენიმე წლის ვადით ინიშნებოდნენ. ხალხისათვის უცხონი იყვნენ და არც ნდობითა და სიყვარულით სარგებლობდნენ. ახლად დანიშნულები ჩადიოდნენ რა ამა თუ იმ მხარეში მშივრები, იწყებდნენ მოსახლეობის ტანჯვასა და ყვლეფას, ცდილობდნენ მმართველობის პერიოდში იმდენის დაგროვება მოესწროთ, რომ თავადაც ყოფნოდათ და იმ შემმოწმებლებისთვისაც გაენაწილებინათ, რომლებიც ძღვენის მოლოდინში მათ თვითნებობას გულგრილად უყურებდნენ. სასამართლო ადმინისტრაციისაგან გამოყოფილი არ იყო, ორივე ერთი და იმავე პირის მიერ იმართებოდა. ამდენად, სასამართლოსაც, უპირველეს ყოვლისა, როგორც შემოსავლის წყაროს უყურებდნენ. ამიტომ, ხალხს სძულდა მეფისწარმომადგენლები, რომლებიც მართლმსაჯულების განხორციელების ნაცვლად, ფაქტობრივად, მათ საღლეტად იყვნენ დანიშნულნი... ეს ყველაფერი მიგვითითებს

[1] რენე დავიდი - თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, თბილისი. 1993, გვ. 146

უბადრუკ მდგომარეობაზე ხალხისა, რომელიც იძულებულია კანონის დამდგენებად და სამართლის დაცველებად აღიაროს სწორედ ისინი, რომელთა უსამართლობის წინააღმდეგ მრავალი კარგი და მკაცრი კანონი უნდა ჰქონოდა".

ფეოდალური რუსეთის სასამართლოების კორუმპირებულობაზე სხვა უცხოელებიც მიუთითებდნენ. მაგალითად, გერმანელი გერბერშტეინი ადასტურებს, რომ „უსამართლობისადმი მეფის მკაცრი დამოკიდებულების" მიუხედავად, მოსამართლეები ქრთამს აშკარად იღებდნენ და მოჰყავს მაგალითი, რომელიც იმდროინდელ „მოსკოვურ საზოგადოებას ახასიათებს". ერთ-ერთმა მოსამართლე-მთავარმა (Судья из Бояр) ქრთამი ორივე მხარეს გამოართვა და დავა იმის სასარგებლოდ გადაწყვიტა, ვინც მეტი გაიღო. ამასთან, არც ქრთამის აღების ფაქტი დაუმალავს, რადგან მიაჩნდა, რომ „მდიდარი კაცი მეტი ნდობითა და პატივისცემით უნდა სარგებლობდეს სასამართლოს მხრიდან, ვიდრე ღარიბი".

სხვათა შორის ყურადღება იმ გარემოებასაც მინდა მივაქციო, რომ მეფისადმი ერთგულად ნამსახური სამხედრო პირები მმართველობით თანამდებობებზე დანიშვნის თხოვნაში დაუფარავად წერდნენ: „გთხოვთ, გამიშვათ თავის სარჩენად"... მაშინდელი ხელისუფალი კი განცხადების ასეთ ფორმას სრულიად ბუნებრივად მიიჩნევდა და, მმართველობის ხასიათიდან გამომდინარე, მიუღებელს ვერაფერს ხედავდა.

ყოველივე ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია ცნობილი რუსი რევოლუციამდელი ისტორიკოსის ვასილი კლიუჩევსკის მიერ მოსკოვის სახელმწიფოში მმართველობისა და სამართალწარმოების თაობაზე უცხოელთა ნაამბობის მიხედვით დაწერილ წიგნში მოვიძიე.[2] ხოლო ძველი, უახლესი წარსულისა და თანამედროვე რუსეთის მმართველობის და სასამართლო სისტემებს შორის პარალელების გავლება, შემდგომ კი ჩრდილოელ მეზობელთან საქართველოს კავშირურთიერთობების ანალიზი და ჭეშმარიტად დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში თითოეული მათგანის მიღწევებისა და ძველი მანკიერებისაგან განთავისუფლების ხარისხის შეფასება თავად მკითხველისათვის მიმინდვია.

დღევანდელ საქართველოში მართლმსაჯულების განმახორციელებელი საერთო სასამართლოების სისტემის „ეფექტურობის" მკაფიოდ წარმოსადგენად, სხვას რომ აღარ დავესესხო, წლობით გაჭიანურებულ ფაქტებზე, ვფიქრობ, თუნდაც პირადი პრაქტიკის ყველაზე „უწყინარი" მაგალითიც იკმარებოდა, როდესაც მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს

[2] В.В. Ключевский. Сказание Иностранцев о Московском Государстве, Управление и государство. Журнал „Наше Наследие», 1988, N1

არამართლზომიერი მოქმედების თაობაზე შეტანილი საჩივარი კანონით დადგენილი ათ დღიანი ვადის ნაცვლად უკვე სამ წელიწადზე მეტია არ განხილულა...ეს მაშინ, როდესაც სათანადო კანონის გარდა არსებობს უზენაესი სასამართლოს პლე-ნუმის სპეციალური დადგენილება, რომელიც სასამართლოს „შეახსენებს“ რომ „...დარღვეული უფლებების აღდგენა, რიგ შემთხვევაში, რეალურია მხოლოდ მაშინ, თუ ეს დაუყოვნებლივ მოხდა და ამიტომ, ასეთ შემთხვევებში, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს მაქსიმალურად შესაძლო ვადაში საქმის განხილვა და მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება“.

თუმცა, იმის მაგალითებიც მრავლად მოიძებნება, როდესაც სასამართლო შესაშური ოპერატიულობით მოქმედებს. მაგალითად, აგარის შაქრის კომბინატის საქმესთან დაკავშირებით, რომელშიც მოდავე მხარეებად „საკმაოდ მოზრდილი წილის მფლობელი“ - პარლამენტარი და უცხოელი ინვესტორი (რომელსაც აქციათა საკონტროლო პაკეტი სახელმწიფომ ისე მიჰყიდა, შრომითმა კოლექტივმა ვერაფერი გაიგო) მოგვევლინენ. უზენაესმა სასამართლომ ათი დღის მანძილზე სამი აბსოლუტურად ურთიერთგამომრიცხავი გადაწყვეტილება გამოიტანა...

როგორც ჩანს, ამ ბოლო წლებში ვითარება არსებითად არ შეცვლილა და ჟურნალ „სამართლის“ ყოფილი პასუხისმგებელი მდივნის, ბატონი ანგი არსენიშვილის სიტყვები, სამწუხაროდ, დღევანდელობასაც სავსებით მიესადაგება: „სულ უბრალოდ რომ გადავავლოთ თვალი სისხლის სამართლისა თუ სამოქალაქო საქმეებს, შევისწავლოთ უკვე კანონიერ ძალაში შესული განაჩენები და გადაწყვეტილებები, ყურადღება გავამახვილოთ საქმის წარმოებისა და წერის კულტურაზე, ერთობ სავალალო სურათს წავაწყდებით. დღეს იმის განჭვრეტაც კი ჭირს, თუ რას იტყვიან მომავალში მეისტორიენი დღევანდელი იურისპრუდენციის შესახებ, როდესაც ჩვენს მიერ წარმოებულ საქმეებს შეისწავლიან. ასეთი რამ, უპირველესად, სამოქალაქო საქმეთა შესახებ ითქმის, რომელთა განხილვა-გადაწყვეტა ისე დიდხანს გრძელდება, რომ საამისოდ ზოგჯერ მომჩივანისა და მოპასუხის სიცოცხლეც არ კმარა. თუმცა სავალალო მარტო საქმის ფორმალური გაჭიანურება როდია, უფრო სამწუხარო ის არის, როდესაც საქმეში უხვად მოიპოვება ერთი და იმავე ინსტანციის სასამართლოთა სრულიად საპირისპირო გადაწყვეტილებები, ხან ერთი და ხან მეორე დასაბუთებით“.[3]

მაგალითისათვის ერთ გახმაურებულ შემთხვევას მოვიშველიებ. ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ „ზემოდან“ ჩარევის შემდეგ, ხელმეორედ განიხილა საქმე და თავდაპირველის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება გამოიტანა. ამასთან, შეზღუდული პასუხისმგებ-

[3] ა. არსენიშვილი. „მართლაცდა რა ვუთხრა ასეთ სამართალს?!“ ჟურნალი „სამართალი“. 1992, N 8-9

ლობის საზოგადოების პატნიორთა შორის წილების გადაწყვეტილების თაობაზე წამოჭრილი დავა მოსამართლემ ისე განიხილა, რომ კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული საწარმოს წესდებაში საერთოდ არ ჩაუხედავს და არც 1995 წლიდან ამოქმედებული „მეწარმეთა შესახებ“ კანონი გახსენებია (გადაწყვეტილებაში აღნიშნული კანონის არცერთი მუხლი არ არის ნახსენები). სამაგიეროდ, რამდენიმე წლის წინ ლიკვიდირებული დროებითი ამხანაგობის წესდება, რატომღაც, ძირითად მტკიცებულებად გამოიყენა და არც იმ გარემოებას გაუწია ანგარიში, რომ კანონი პარტნიორთა გადაწყვეტილების გასაჩივრებას კრების ოქმის შედგენიდან ორი თვის გასვლის შემდეგ დაუშვებლად მიიჩნევს, ხოლო მოცემულ შემთხვევაში ორ წელზე მეტი იყო გასული...

დღევანდელ მოსამართლეთა კორპუსის „დამოუკიდებლობისა“ და „კომპეტენტურობის“ ნათლად წარმოსაჩენად მსგავსი სავალალო ფაქტები საგაზეთო პუბლიკაციებში სხვაც ბევრი მოიძებნება, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს არსებული ვითარების ძირეული შეცვლის საჭიროებაზე.

ამდენად, უკიდურეს აუცილებლობად და სავსებით გამართლებულად მივიჩნევ მოსამართლეთა კორპუსის შეცვლის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებას, თუმცა ისიც ბუნებრივია, რომ ამ საკითხებზე განსხვავებული თვალსაზრისიც არსებობს და ზოგიერთები 1999 წლის 30 აპრილიდან მოსამართლეთა უფლებამოსილების შეწყვეტას ჯერ კიდევ ნაადრევად მიიჩნევენ (თავიდან 1998 წლის 1 მაისისათვის იყო დაგეგმილი, შემდეგ 1 აგვისტოსათვის, მერე 1999 წლის 20 იანვრისათვის, ახლახან კი გაზაფხულისათვის გადაიდო).

1991 წელს თანამდებობებზე 10 წლით გამწესებულმა იმ მოსამართლეებმა, რომლებიც თავიანთ უფლებებს, როგორც ჩანს, ბოლო დრომდე დაცულად მიიჩნევდნენ, ან მათ დასაცავად აქამდე დამოუკიდებლად მოქმედებდნენ, ამჯერად გაერთიანება გადაწყვიტეს და, სრულიად ლოგიკურად, სამუშაო ადგილებზე დარჩენა 2001 წლამდე მოითხოვეს. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში, კანონმდებლობაც და მოსამართლეთა პირადი ინტერესები აშკარად წინააღმდეგობაში მოვიდა, როგორც მოქალაქეთა უმრავლესობის, ასევე მთლიანად სახელმწიფოს ინტერესებთან.

საქართველოს მოსამართლეთა კავშირის (ასოციაციის) შექმნა, თავად დამფუძნებლებმა, „სასამართლო რეფორმის შემადგენელ ნაწილად“ და იმის დამადასტურებელ მოვლენად მიიჩნიეს, რომ „საქართველო მყარად ადგას დემოკრატიულ-სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის გზას“.

თავისთავად მისასალმებელი ფაქტია კიდევ ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის დაარსება და ადამიანის, ამ შემთხვევაში მოსამართლის, უფლებების დასაცავად საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ

აღიარებული პრინციპებისა და ნორმების მოშველიება. გაჩნდა იმედი, რომ ეს მეთოდი დანარჩენი მოქალაქეების მიმართაც ფართოდ დაინერგება სამართალწარმოების პრაქტიკაში... ამასთან, გაეროს კონგრესის მიერ სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების შესახებ მიღებული დადგენილების შესაბამისად, სასამართლოს რეალური დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად მოსამართლის უფლებამოსილების ვადის წინასწარ განსაზღვრის გარდა, სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი, გარანტიებია შესაქმნელი.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციები თავიანთი რეზოლუციით დაუშვებლად მიიჩნევენ მოსამართლის უფლებამოსილების ვადაზე ადრე ხელოვნურად შეწყვეტას, ისინი თავისთავად გულისხმობენ, რომ დანიშნული ან არჩეული მოსამართლეები უაღრესად საპასუხიმგებლო პოსტებს დემოკრატიული პროცედურების დაცვით იკავებენ და საქმიანობას დამოუკიდებლობისათვის მინიმალურად აუცილებელი გარანტიებით უზრუნველყოფილნი იწყებენ.

თუ განვითარებულ ქვეყნებში მოსამართლედ გამწესების მექანიზმებსაც გავეცნობით და საქართველოში 1991 წლის დასაწყისში მოსამართლეების დანიშვნის წესს შევადარებთ, გარკვეული დასკვნების გაკეთება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლება. ყოველ შემთხვევაში, ასოციაციის განცხადება, რომ „მოსამართლეთა კორპუსი კანონიერადაა დანიშნული“, მოქმედ ნორმებთან წინააღმდეგობაში, შესაძლოა, მართლაც არ იყოს, მაგრამ სწორედ საყოველთაოდ აღიარებული შეხედულების თვალსაზრისით ყოვლად უსამართლოდ მიმაჩნია. იმ პერიოდში მოქმედი მოსამართლეების დამოუკიდებლობის ხარისხის შესაფასებლად კი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, ბატონ თენგიზ ლოლუაშვილის თვალსაზრისს მოვიშველიებ: „სასამართლო - ესაა სხვა ორგანოებისაგან სრულიად დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც კანონს ემორჩილება. ჩვენში დღეს მოქმედი სასამართლო ამ მოთხოვნას არ პასუხობს. კანონით აღიარებული პრინციპი, რომლის თანახმად მოსამართლენი დამოუკიდებლები არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან - არის დეკლარაციული ხასიათის და არაფრით არაა უზრუნველყოფილი. სასამართლო თავიდანვე ჩამოყალიბდა როგორც სახელმწიფო ორგანოების ერთ-ერთი რიგითი და ჩვეულებრივი რგოლი. ეს გასაგებიცაა, სასამართლო ხელისუფლება, როგორც დამოუკიდებელი ხელისუფლება, სრულიად შეუთავსებელი და მიუღებელი იყო სახელმწიფოს მართვის ადმინისტრაციულ-საკომანდო სისტემასთან. ნამდვილი მართლმსაჯულების ერთ-ერთი ფუნდამენტური მახასიათებელი - სასამართლოს ხელისუფლების დამოუკიდებლობა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან - არ

გაგვაჩნია. ამიტომ არ გაგვაჩნია ნამდვილი მართლმსაჯულებაც".[1] აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ მოსამართლეთა ასოციაციის დამფუძნებლები თავიანთ საქმიანობაზე უკეთესი წარმოდგენის არიან და, ფაქტობრივად, სასამართლოებში არსებულივითარების შენარჩუნებას ითხოვენ - მათი ნებაა, მაგრამ ჩემი აზრით, ასე გაგრძელება ყოვლად დაუშვებელია.

კარგი იქნებოდა, პროფესიული გაერთიანების დაფუძნებისას დღევანდელ მოსამართლეებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტიც გაეხსენებინათ, რომელშიც ხაზი აქვს გასმული ადამიანის უფლებას „უმოკლეს დროში („გონივრულ ვადაში") იქნას გასამართლებული ან განთავისუფლებული", ამასთან, „ყველა ადამიანი თანასწორი უნდა იყოს სასამართლოს წინაშე" და ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს უფლება, მისი საქმე „მოსმენილ იქნას კანონის საფუძველზე შექმნილი კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ". ამის შემდეგ, იქნებ დაინტერესებულიყვნენ, თუ რამდენად არის დაცული ეს უფლებები ჩვენს სასამართლოებში, ან მოსამართლეთა დღევანდელი კორპუსის დანიშვნის დღიდან რა შეიცვალა ამ მიმართულებით?! ამის შემდეგ, ურიგო არ იქნებოდა, ასოციაციის თითოეულ წევრს და დანარჩენ მოსამართლეებსაც თვალი გადაევლოთ იმ გაპარტახებული შენობებისათვის, რომლებშიც სამწუხაროდ, დღესდღეობით „აღსრულდება" (სიტყვის ორივე მნიშვნელობით) მართლმსაჯულება. არც კონკრეტულ საქმეებზე სასურველი გადაწყვეტილების გამოტანის მოთხოვნით განხორციელებული მაღალჩინოსანთა სატელეფონო ზარები და ახლობელ-მეგობრების ვიზიტები უნდა დაივიწყონ, არც რაიონის (მხარის) „აქტივთან" ერთად ჩატარებული „ღონისძიებები" და, არც ის, თუ რამდენისაგან თვლიან თავს „დავალებულად". ბოლოს, მხედველობიდან ნურც შრომის ანაზღაურების ოფიციალური განაკვეთები და ჩვენში ერთობ პოპულარული „პატივისცემის" მექანიზმი გამორჩებათ. ამის მერე განაცხადონ, აქვთ თუ არა მორალური უფლება, ამგვარ ვითარებაში თავს „დამოუკიდებელი" უწოდონ და უფლებამოსილების გაგრძელების ან, თუნდაც ხელფასის მომატების შემთხვევაში, იმავე შემადგენლობით გააგრძელონ მუშაობა?!

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან პარალელების გავლება არ გამოდგება, რადგან მოსამართლეთა კორპუსის შეცვლით და სასამართლოს დამოუკიდებლობის მიღწევით ქვეყანაში შანსი გაჩნდება ხელისუფლების სხვა შტოებში მოკალათებული უღირსი პირების მოცილებისა და მთლიანობაში მდგომარეობის გამოსწორებისა.

[1] ი. ლილუაშვილი. სასამართლო დამოუკიდებელი უნდა იყოს. ჟურნალი „სამართალი", 1992, N3

წინააღმდეგ შემთხვევაში, არა მარტო ადამიანის უფლებების დაცვა, არამედ ყოველგვარი ეკონომიკური რეფორმები, ბიუჯეტის გაჯანსაღება და კორუფციასთან ბრძოლა უპერსპექტივო საქმედ მიმაჩნია.

ფაქტია, რომ საქართველოში მიმდინარე მორიგი „სასამართლო რეფორმა" მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო უაღრესად მანკიერად (არადამაკმაყოფილებლად) წარიმართა. საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ მოქმედ მოსამართლეთა კორპუსისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ, რომელიც ერთერთი მოსამართლის (ავთანდილ ჭაჭუას) სარჩელის-საფუძველზე იქნა გამოტანილი. მართალია, აღნიშნულ გადაწყვეტილებას მცდარად მივიჩნევ და საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის მიერ მოყვანილი მოტივაცია დაუსაბუთებლად და არადამაჯერებლად მიმაჩნია, მაგრამ „რეფორმატორებმა" არ უნდა დაივიწყონ, რომ გადაწყვეტილება გამოტანილია საქართველოს სახელით, იგი საბოლოოა და მისი შეუსრულებლობა ისჯება კანონით.

ამდენად, სასამართლო რეფორმა შეფერხდა, მაგრამ ეს ჩიხი არ არის. ხელისუფლებისა თუ ზოგიერთ რეფორმატორის მიერ დაშვებული შეცდომებიდან გარკვეული დასკვნები უნდა გამოვიტანოთ და სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ გზა მეტი დაკვირვებით გავაგრძელოთ. შექმნილი ვითარების გათვალისწინებით კანონში „საერთო სასამართლოების შესახებ" შესატანია დამატებითი ცვლილებები. არსებითი ცვლილება-დამატებები უნდა შევიდეს, აგრეთვე მოსამართლეების საკვალიფიკაციო გამოცდების წესებშიც და პროგრამაშიც. ამასთან, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს საზოგადოებრივი აზრი, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა მოახდინოს მოსამართლეთა კორპუსის განახლების ეფექტურობაზე. მოსამართლეთა შეცვლა უნდა გაგრძელდეს, ეტაპობრივად განხორციელდეს და უპირველესი მნიშვნელობა კანდიდატურების შერჩევის საკითხს უნდა დაეთმოს. ამაში კი ნამდვილად არ გვმართებს აჩქარება და ცივილიზებული პროცედურის ნაუცბათევ კამპანიად გადაქცევა. არაფერი გამოვა, თუ დღევანდელი მოსამართლის ადგილზე, თუნდაც მასზე მცოდნე და ინფორმირებული („ღრმად განსწავლული ინტელექტუალი"), მაგრამ, ამასთან, კორუმპირებული, თაღლითი, უზნეო ან უპრინციპო იურისტი მოვა. მოსამართლეებად, როგორც წესი, პიროვნული თვისებებით გამორჩეული „სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტები" უნდა განვამწესოდ, რომლებიც, პირველ რიგში, ცნობილი ადვოკატებიდან და მეცნიერებიდან უნდა შევარჩიოთ.

მოსამართლეთა დამოუკიდებლობა ხელს უნდა აძლევდეთ

იმ მეწარმეებსაც, რომლებიც კაპიტალის დაგროვებას კეთილსინდისიერი ბიზნესით აპირებენ, მაგრამ მონოპოლისტებზე მორგებული საგადასახადო და საბაჟო ბარიერები, ბიუროკრატიის კორუმპირებულობა გასაქანს არ აძლევთ და იძულებული ხდებიან უსამართლობას შეეგუონ, ვინაიდან ზარალის კანონიერი ანაზღაურების იმედი არა აქვთ. ამასთან, სავსებით შესაძლებელია, რომ საეჭვო ხასიათის „რეფორმების" და კორუფციასთან ბრძოლის კამპანიის შედეგად, დაზარალებულები სწორედ კეთილსინდისიერი მოქალაქეები აღმოჩნდნენ, თუ ქვეყანაში დამოკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს სახით მათი უფლებების დაცვის ქმედითი გარანტი არ იარსებებს. სასამართლო რეფორმის გონივრული განხორციელება, აგრეთვე მოგვცემს პრივატიზაციის პროცესში დაშვებული დარღვევების ნაწილობრივ მაინც გამოსწორებისა და პარტნიორებს შორის წამოჭრილი დავების სამართლიანად გადაწყვეტის შანსს.

ამდენად, დღეს, თითოეული მოქალაქის, აგრეთვე ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ყურადღება სწორედ იმაზე უნდა იყოს გამახვილებული, რომ კონკურსის საფუძველზე მოსამართლეებად ყოველმხრივ ღირსეული იურისტები შეირჩნენ, კანდიდატურების განხილვა საჯაროდ მოხდეს და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაინიშნონ თანამდებობებზე (თუმცა რაიონულ რგოლში შეიძლებოდა არჩევნების მექანიზმიც გამოგვეყენებინა) ამასთან, მოსამართლედ გამწესებასთან დაკავშირებით, სავსებით ვიზიარებ ბატონ ანგი არსენიშვილის მოსაზრებას, რომელიც ზემოთ აღნიშნულ პუბლიკაციაში იყო მოყვანილი: „ხანგრძლივმა პროფესიულმა და სამსახურებრივმა საქმიანობამ საბოლოოდ დამარწმუნა, რომ მტყუანისა და მართლის გასარჩევად მარტოოდენ სპეციალური ცოდნა და დიპლომი საკმარისი არ არის. მართლმსაჯულების ქურუმი რომ იყო, საამისოდ, უპირველესად, განსაკუთრებული ნიჭი და პატიოსნებაა საჭირო, თორემ დაშტამპული განაჩენებისა და გადაწყვეტილებების წერას ზოგჯერ ისინიც კი ახერხებენ, რომელთა იურისტობაზეც ათასნაირ ანეკდოტად ქცეულ თავგადასავალს ყვებიან ხოლმე".

დიდმა ბერძენმა ფილოსოფოსმა დემოკრიტემ ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე შენიშნა, რომ „მთავარი ბევრის ცოდნა კი არა, არამედ გონივრული ცოდნაა". მოსამართლეების შერჩევისას არც ილია ჭავჭავაძის - ბრძენი იურისტის - შეგონების გაუთვალისწინებლობა იქნება: „ამ ნდობის მოსაპოვებლად ისე კანონების ცოდნა არ არის საჭირო, როგორც ცოდნა ხალხის აზროვნებისა, ხალხის ზნისა, ჩვეულებისა და, ამასთანავე, საჭიროა საკუთრივ კაცსა ჰქონდეს გამჭრიახი გონიერება, პატიოსანი ხასიათი და უჩირქო ყოფა-ცხოვრება", „უფრო საჭიროა ჰქონდეს შინაკაცის საქმიანი სიბრძნე, ვიდრე კანონიერების ცოდნა და

მოსამართლეობის გამოცდილება", „სამართალი უნდა იყოს იმისთანა კაცის ხელში, რომელსაც ხალხი იცნობს, ხალხი ენდობა და ხალხი პატივსა სცემს და რომელსაც თვითონაც გული უნდა შესტკიოდეს, რომ უწესობა, ურიგობა არ იყოს, რომ დანაშაულობა, ბრალი, დაუსჯელად არ ჩაივლის. წანახედი, ზიანი უზღვევლად არ დარჩება".[5]

რეფორმის განხორციელების პროცესში უმთავრესი ყურადღება მოსამართლეობის კანდიდატთა სწორედ ზნეობრივ თვისებებს და მათ მიერ განვლილ ცხოვრებისეულ გზას უნდა დაეთმოს. საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარება, თუ საკვალიფიკაციო ატესტაციის გავლა, ბევრს არაფერს უნდა ნიშნავდეს და მომავალ მოსამართლეზე საზოგადოებამაც უნდა გამოთქვას თავისი აზრი. ყოველმხრივ უნდა იქნას შესწავლილი მისი წარსულიც, რათა შეძლებისდაგვარად გამოირიცხოს ამორალური, მშიშარა, მიკერძოებული, კორუმპირებული ან სხვა მხრივ უღირსი პიროვნების მოხვედრა სასამართლო ხელისუფლებაში. ამდენად, ერთია საკითხის გადაწყვეტა სასამართლო რეფორმის აუცილებლობისა და მისი დაწყების შესახებ, ხოლო მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემაა, თუ როგორ უნდა განხორციელდეს მოსამართლეთა კორპუსის შეცვლა.

განვითარებულ ქვეყნებში მოსამართლის კაბინეტი ბიბლიოთეკას ჰგავს, ხოლო კონკრეტული საქმის შესწავლისას დამხმარე ლიტერატურას ზოგჯერ სპეციალური ურიკებითაც კი ეზიდებიან, ამდენად, გაუმართებლად მიმაჩნია მოსამართლეების საკვალიფიკაციო გამოცდების პირველ ეტაპზე ნორმატიული აქტებით სარგებლობის აკრძალვა. ამასთან, ვერც იმის აუცილებლობას ვხედავ, მოსამართლეობის კანდიდატებს საგამოცდო ტესტები რაც შეიძლება მეტი შევთავაზოთ და საკითხები იმ ახალი კანონების საფუძველზე შევუდგინოთ, რომელთა ნაწილი ჯერ ამოქმედებულიც კი არ არის, სამწუხაროდ, გარდა იმისა, რომ მრავალი ხარვეზია „გაპარული", ჯერ ახალი კოდექსების კომენტარი და დამხმარე ლიტერატურაც საკმარისად არ არის გამოცემული და რიგ საკითხებზე მეცნიერებიც ვერ შეთანხმებულან. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ იგივე ამერიკელი მოსამართლე კონკრეტულ საქმეზე ნაფიც მსაჯულთა მიერ ვერდიქტის გამოტანის შემდეგაც, განაჩენის გამოტანისათვის ზოგჯერ დამატებით რამდენიმე დღეს ითხოვს. ვფიქრობ, 100 „ფაქტობრივ ცხოვრებისეულ შემთხვევაში" გასარკვევად 4-5 საათი არ უნდა იყოს საკმარისი (ახალი კოდექსები გამოსაცდელს თან თუ არ ექნება 4-5 წუთი ყოველ საკითხზე, უდავოდ, არასაკმარისია), მით უმეტეს, რომ საკანონმდებლო საქმიანობაში არსებულმა ხარვეზებმა მოსამართლის კანდიდატს შეიძლება დამატებითი პრობლემები გაუჩინოს და დროის დიდი ნაწილი იმის გახსენებაზე დაეხარჯოს. მაგალითად,

[5] ილია ჭავჭავაძე, ცხოვრება და კანონი, ჟურნალი „ივერია, 1879

სასამართლოში საწარმოთა რეგისტრაციისათვის კანონით თავიდან განსაზღვრული ერთკვირიანი ვადა, შემდგომში ორ კვირამდე გაიზარდა თუ თხუთმეტ დღემდე (რაშიც, საჭიროების შემთხვევაში, შემდგომშიც ელემენტარულად გაერკვეოდა). მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდების წესების მიმართ სხვა შენიშვნებიც მაქვს, მაგრამ ეს ცალკე მსჯელობის თემაა და ამჯერად არ შევჩერდები.

მმართველობითი აპარატის ბიუროკრატიისა და კორუფციისაგან განთავისუფლების გარდა, სახელმწიფოში კიდევ მრავალი პრობლემაა გადასაწყვეტი, მაგრამ უმთავრესად მაინც სასამართლო რეფორმა მიმაჩნია, რადგან მისი გონივრულად განხორციელების გარეშე ყოველგვარი სხვა რეფორმა თავიდანვე იქნება განწირული, ხოლო კანონების რეალიზაციის პროცესში მათი უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიები არ იარსებებს. საქართველოში სამართლებრივი სახელმწიფოს ასაშენებლად რეალურად დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლო გვჭირდება.

კომენტარი:

საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ პირველი „სასამართლო რეფორმა" 1991 წელს განხორციელდა. 1997-1999 წლებში „მოქკავშირელი რეფორმატორების" მიერ ნაუცბადევად განხორციელებულმა და უცხოელი ექსპერტების მიერ მოწონებულმა „რევოლუციურმა რეფორმამ", რომელიც 10 წელიწადზე იყო გათვლილი, შედეგი არ გამოიღო, რის გამოც დღეს საქართველოში არ არსებობს რეალურად დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო. ფაქტია ისიც, რომ „ვარდების რევოლუციის" შემდეგ „ნაციონალურმა მოძრაობამ" მორიგი „სასამართლო რეფორმა" გაატარა, რის შედეგადაც კომუნისტების დროინდელივით ხელისუფლების მიერ სრულად კონტროლირებადი მოსამართლეთა კორპუსი მივიღეთ. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2012 წლის 01 ოქტომბერს ხელისუფლებაში მოსული „ქართული ოცნება" იძულებული გახდა, ფაქტობრივად, მე-4 „სასამართლო რეფორმა" წამოეწყო, რომლის „მესამე ეტაპზე" საქართველოს სასამართლო ხელისუფლებაში ჯერ კიდევ მრავალი არსებითი ხარვეზია აღმოსაფხვრელი...

ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიები სისხლის სამართალწარმოებაში (შურნალი „სამართლებრივი რეფორმა“, 1998, №1)

საქართველოში მიმდინარეობს სამართლებრივი რეფორმა, რომლის პირველ ეტაპს საფუძველი ახალი კონსტიტუციის მიღებით ჩაეყარა, დემოკრატიულმა გარდაქმნებმა კი ლოგიკური განვითარება უმნიშვნელოვანესი კანონების, მათ შორის ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებით შეიძინეს. ამასთან, სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ძირითად სადღეისო ამოცანას ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტურობის ამაღლება წარმოადგენს.

სისხლის სამართალწარმოებაში ადამიანის უფლებათა დაცვისათვის მყარი გარანტიების შექმნის საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს იმ ვითარებაში, როდესაც მსოფლიოს ცივილიზებული საზოგადოებრიობა მიმდინარე წელს აღნიშნავს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღების 50-ე წლისთავს, ხოლო მსოფლიოს დემოკრატიული თანამეგობრობის სრულუფლებიან წევრ - დამოუკიდებლობააღდგენილ ქართულ სახელმწიფოში ჩამოყალიბდა ადამიანის უფლებათა რეალური დაცვისათვის აუცილებელი იმგვარი ინსტიტუტები, როგორებიცაა: მაგ., საკონსტიტუციო სასამართლო და სახალხო დამცველი („ომბუდსმენი“), იქმნება სამართლებრივი რეფორმების გასატარებლად აუცილებელი ახალი საკონმდებლო ბაზა, იწყება მოსამართლეთა კორპუსის შეცვლა და იურიდიული განათლების ტრანსფორმაცია.

ცნობილია, რომ სახელმწიფოს განვითარების დონის, მისი დემოკრატი-ულობისა და ჰუმანურობის უპირველეს მახასიათებელს ქვეყანაში მოქმედი მართლმსაჯულების სისტემა წარმოადგენს, რომელშიც სარკესავით ნათლად აისახება როგორც საზოგადოებაში დამკვიდრებული ყოველგვარი მანკიერებანი, ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის ხარისხი და თუნდაც, ქვეყნის სამომავლო ორიენტირები. ამდენად, სავსებით ბუნებრივია, რომ საქართველოში დემოკრატიისა და ე.წ. საჯაროობის დამკვიდრების პროცესის დაწყების მიუხედავად, სისხლის სამართალწარმოებაში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების სიმრავლე, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე ფართო საზოგადოების სერიოზული შეშფოთების საფუძველი გახდა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მხრიდანაც აქტიურადაც შეიქმნება .

უდავოდ ანგარიშგასაწევი ფაქტია, რომ იურიდიული ფაკულტეტების კურსდამთავრებულთა, აგრეთვე, გარკვეული პრაქტიკული მუშაობის სტაჟის მქონე ადვოკატთა, თბილისის პროკურატურის

თანამშრომელთა და მოსამართლეთა შორის გასულ წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ სისხლის სამართალწარმოების პრაქტიკაში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები განპირობებულია არა მხოლოდ არსებული კანონების რეალიზაციის მექანიზმის არაეფექტურობით, არამედ - თავად საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილებით. პასუხისგებაში მიცემულ პირთა უფლებების დამცავი მექანიზმები სამართლის ნორმებში, რიგ შემთხვევებში, მეტად ბუნდოვნად, ზოგჯერ კი მცდარი სახითაც არის მოცემული. ზოგიერთ საკითხზე კი, დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა თვითონ მეცნიერთა შორისაც და კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი ინსტიტუტები შემდგომ დაზუსტებას საჭიროებენ.

ამდენად, სისხლის სამართალწარმოების პრაქტიკაში ინკვიზიციისა და ტოტალიტარიზმის დროიდან შემორჩენილ რიგ ნაკლოვანებებთან ერთად, ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევების ხელშემწყობ ფაქტორებად სამართლის მეცნიერებასა და საკანონმდებლო საქმიანობაში არსებული ხარვეზებიც გვევლინება.

სამწუხაროდ, საქართველოს კონსტიტუციის ზოგიერთი დებულებაც კი არ წარმოადგენს ცნობილ მეცნიერთა მრავალწლიანი განსჯისა და კოლექტიური შემოქმედების ნაყოფს. საყოველთაო განხილვისათვის გამოქვეყნებულ პროექტში, რომელიც საკონსტიტუციო კომისიის 61 წევრის მიერ იყო მოწონებული (8 წინააღმდეგი იყო), რიგი მუხლები სრულიად განსხვავებული სახით იყო წარმოდგენილი, ხოლო სახელმწიფო კომისიის მიერ შემუშავებულმა ფორმულირებებმა საკანონმდებლო ციტნოტის პირობებში, ე. წ. თვითშემოქმედების გზით, არსებითი ცვლილებები განიცადეს და „გადასხვაფერებული“ სახით იქნენ მიღებულნი. მათ შორის აღმოჩნდა სისხლის სამართლის პროცესში ადამიანის უფლებათა დაცვის ისეთი ქმედითი გარანტი, როგორიცაა უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი, რომლის ამსახველი მუხლი რედაქციულად დაუხვეწავი და შინაარსობრივად გაუმართავია (ა. კახნიაშვილი. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის შესახებ, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1998, N1).

მოთხოვნა, რომ „ყველა სამართლებრივი აქტი უნდა შესაბამებოდეს კონსტიტუციას“, არ გვავალდებულებს კონსტიტუციური ნორმების კანონებში სიტყვა-სიტყვით გადატანას. მთავარია უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფოს უზენაეს კანონში მოცემული ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაოდ აღიარებული ინსტიტუტების ძირითადი არსის სწორად გადმოცემა. მიმდინარე საკანონმდებლო საქმიანობა კი საშუალებას გვაძლევს უმნიშვნელოვანესი კოდექსების მიღების პროცესში გასწორდეს ის კონსტიტუციური ხარვეზები,

რომლებიც პარლამენტის კულუარებში სიჩქარეში იქნა დაშვებული. კონსტიტუციურ დებულებებში გარკვეული კორექტივების შეტანას რომ არც საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ავტორები მიიჩნევენ მიუღებლად, ნათლად ჩანს, თუნდაც იმავე უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის ამსახველი მუხლის კონსტიტუციის შესაბამის მუხლთან შედარებითაც (იგივე შეიძლება ითქვას სისხლისსამართლებრივი დევნის ინსტიტუტზეც).

ამდენად, მართალია კონსტიტუციაში ასახულია ზოგადსაკაცობრიოდ აღიარებული დემოკრატიული ფასეულობები, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ზოგიერთი დებულება შემდგომ დაზუსტებასრულყოფას საჭიროებს, ხოლო იმისათვის, რომ კონსტიტუციაში მოცემული სისხლის სამართლის პროცესთან დაკავშირებული მოთხოვნები არ დარჩნენ მხოლოდ დეკლარაციებად და სათანადო გარანტიებით იქნან განმტკიცებულნი, აქტუალურად რჩება სისხლის სამართალწარმოებაში ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმების, კერძოდ კი ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მოცემული რიგი მოთხოვნების დაზუსტება, მათი ნათლად და ერთმნიშვნელოვნად განმარტება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სისხლის სამართალწარმოების დემოკრატიული პრინციპების კონსტიტუციასა და საპროცესო კოდექსში ფიქსირების მიუხედავად პრაქტიკაში, კვლავაც არც თუ იშვიათად ვხვდებით სამართალდამცავი ორგანოების, როგორც მაღალჩინოსანთა, ასევე რიგით წევრთა და ჟურნალისტთა კორპუსის წარმომადგენელთა მხრიდან ეჭვმიტანილისა თუ ბრალდებულის (განსასჯელის) უფლებების დარღვევის შემთხვევებს.

ფაქტია, რომ სისხლის სამართალწარმოებაში ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებული რიგი ინსტიტუტები, სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში განსხვავებულად განიმარტება. ამასთან, ერთი და იმავე ქვეყნის შიგნითაც, მეცნიერთა შორის დღემდე არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, რაც ლოგიკურად იწვევს ხარვეზებს გარკვეული სამართლებრივი მექანიზმის კანონმდებლობაში ასახვასა და სამართალწარმოების პრაქტიკაში გამოყენებისას. სამწუხაროდ, ადამიანის უფლებათა დაცვის ზოგიერთი საყოველთაოდ აღიარებული ინსტიტუტი, მათ შორის კი ისეთი მნიშვნელოვანი, როგორიცაა მაგალითად, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი და მისგან გამომდინარე არსებითი ხასიათის მოთხოვნები საქართველოს კანონმდებლობაშიც უზუსტოდ არიან მოცემულნი. ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში საქართველოს კონსტიტუციიდან გადატანილი, გარკვეულად სახეცვლილი ფორმულირებები გაუმჯობესებულად ვერ ჩაითვლება. პირიქით, საბაზისოდ აღებული კონსტიტუციური მუხლის თავისთავად ბუნდოვანი დებულებები

ზოგიერთი მცდარი მოთხოვნითაც კი შეივსო (ა. კახნიაშვილი, სადავო „ნოვაცია“ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, ჟურნალი „მართლმსაჯულების მაცნე“ 1998, N 1). ამჯერად, აღნიშნულ საკითხზე არ შევჩერდები და მხოლოდ ერთს შევნიშნავ, რომ საპროცესო კოდექსის ახალი რედაქცია, რიგ შემთხვევებში, თავად ქმნის წინაპირობებს სისხლის სამართალწარმოებაში ადამიანის უფლებების ხელყოფისათვის.

თვალსაჩინოებისათვის ახალ საპროცესო კოდექსში მოცემულ სხვა არსებითი ხასიათის ხარვეზებსაც აღვნიშნავ. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართალწარმოებაში ადამიანის უფლებათა დარღვევების ყველაზე დიდ საშიშროებას მეცნიერები სწორედ წინასწარი გამოძიების სტადიაზე და განსაკუთრებით კი პროკურატურისადმი დაქვემდებარებული გამოძიების პირობებში ხედავენ, ხოლო ერთადერთ გამოსავლად გამოძიებისა და ბრალდების ფუნქციათა გამიჯვნასა და სასამართლო ხელისუფლების მხრიდან კონტროლს მიიჩნევენ, სამწუხაროდ, ახალი საპროცესო კოდექსით პროკურატურა უშუალოდ წარმართავს გამოძიებას, ამასთან პროკურორის უარი ბრალდებაზე სავალდებულოა მოსამართლისათვის. მართალია, კოდექსის ავტორები გამოძიებასთან მიმართებაში „ზედამხედველობის“ ხმარებას მოერიდნენ და „გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელის“ ცნება შემოიტანეს, მაგრამ მისი არსის გახსნისას, პროკურორს თითქოს „სისხლის სამართლებრივი დევნის კონსტიტუციური ფუნქციის განხორციელების უზრუნველსაყოფად“ (მუხლი 56.2) სისხლის სამართლის საქმის აღძვრასთან ერთად, საქმის სრული მოცულობით დამოუკიდებლად გამოძიებისა და სამართალწარმოების შეწყვეტის უფლებამოსილებაც მიანიჭეს, რითაც ბრალდების ორგანოს, ფაქტობრივად, კონსტიტუციის მოთხოვნათა უგულვებელყოფით, გამოძიების წარმართვის ფუნქცია დააკისრეს.

დაუშვებლად მიმაჩნია სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის უფლებამოსილების პროკურატურისადმი მიკუთვნება, განსაკუთრებით კი იმ ვითარებაში, როდესაც საპროცესო კოდექსში შენარჩუნებულია სისხლისამმართლებრივ დევნაზე უარის თქმის ტოტალიტარიზმის დროინდელი ისეთი საფუძვლები, როგორებიცაა მაგალითად: „დანაშაული მცირემნიშვნელოვნად არის ცნობილი“ და „საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების შეცვლის შედეგად ქმედება აღარ არის საშიში“ (მუხლი 28.1, ქვეპუნტები ბ და ჟ). გარდა იმისა, რომ თავად ეს ფორმულირებებია მეტად ბუნდოვანი და რეალიზაციის პროცესში თვითნებობისათვის მეტად ფართო შესაძლებლობებს ქმნიან, კოდექსში მოცემული მექანიზმით სახელმწიფო პროკურატურას ქმედების დეკრიმინალიზაციის („აღარ არის საშიში“,

„მცირემნიშვნელოვანია“), ანუ კანონმდებლის ფუნქციასთან ერთად, ფაქტობრივად, მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოს ფუნქციასაც აკისრებს და პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების უფლებასაც ანიჭებს. ამასთან, როგორც ჩანს, პროკურატურას სავარაუდო დამნაშავისთვის ბრალდების წარდგენისას და მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელებისას სახელმწიფოში შექმნილი „საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების“ გათვალისწინება და შესაბამისი ზომების მიღების უფლებამოსილებაც გააჩნია, რაც მიუღებელია დემოკრატიული სამართალწარმოების თვალსაზრისით.

კოდექსის აღნიშნული დებულებები ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციურ პრინციპებს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და უზენაესობის შესახებ, აგრეთვე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშივე მოცემულ დებულებას, რომლის მიხედვითაც სასამართლო კონტროლს უნდა უწევდეს პროკურორის (გამომძიებლის) გადაწყვეტილებათა კანონიერებასა და დასაბუთებულობას (მუხლი 7.4).

დაუშვებელია მომკვლევს, გამომძიებელს ან პროკურორს კანონით დავაკისროთ დანაშაულის უტყუარად დადგენის მოვალეობა (მუხლი 17.1), ანუ სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა, ფაქტობრივად, გამოძიების სტადიაზევე მოვთხოვოთ, ვინაიდან, ამ სტადიაზე, როგორც ეს სადღეისოდ არის აღიარებული, არავითარ „უტყუარად დადგენილ დანაშაულზე“ და არც „უტყუარ მტკიცებულებებზე“ (მუხლი 19.3) არ შეიძლება ლაპარაკი. ამგვარი, ზედმეტად „პოლიტიზირებული“ ნორმების სისხლის სამართალწარმოების პრაქტიკაში განხორციელებამ, შესაძლოა, ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევები გამოიწვიოს, რისი ნიშნებიც დღესვე შეიძლება შევნიშნოთ: მაგ., უშიშროების სამინისტროს საერთაშორისო დამნაშავეობასთან ბრძოლის დეპარტამენტის თავმჯდომარე ერთ-ერთი ეჭვმიტანილის დანაშაულში მონაწილეობას წინასწარი გამოძიების სტადიაზევე „უტყუარად და ყველა საჭირო ნიუანსით დასაბუთებულად“ თვლის (გაზეთი „ასავალ-დასავალი“, 6.04.1998), რითაც აშკარად არღვევს ადამიანის უფლებას ითვლებოდეს უდანაშაულოდ, ანუ კონსტიტუციით გათვალისწინებულ მოთხოვნას, რომ სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე არ შეიძლება ეჭვმიტანილი (ბრალდებული) სამართალდამცავებმა დამნაშავედ მოიხსენიონ, ან მას დამნაშავესავით მოეპყრან.

საყოველთოდ აღიარებულია, რომ რომ ბრალდებულს (ეჭვმიტანილს) უფლება აქვს უარი თქვას ჩვენების მიცემაზე, ამასთან ის არც ცრუ ჩვენების მიცემაზე აგებს პასუხს და ბრალდებულის აღიარება არ

შეიძლება საფუძვლად დაედოს ბრალდებას, თუ არ დადასტურდება საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით (ახალ საპროცესო კოდექსში აღნიშნული მოთხოვნაც უფრო ნათლად საჭიროებს განმარტებას). მიუხედავად იმისა, სამწუხაროდ, პრაქტიკაში არც თუ იშვიათად ვხვდებით ვითარებას, როდესაც სამართალდამცავთა მიერ საზოგადოებისათვის მიწოდებულ ცნობებში ვხვდებით ფრაზებს: „დაკავებულია მკვლელი (ქურდი, ტერორისტი)...“ შემდეგ, როგორც წესი, ტელეეთერით ვიგებთ, რომ მავანმა (სახელდება კონკრეტული პიროვნების სახელი და გვარი, შესაძლოა, მისი სახეც გვაჩვენონ...) „აღიარა დანაშაული. გამოძიება გრძელდება...“ ანუ, აღიარება, ფაქტობრივად, ე. წ. წინასწარი გამოძიების სტადიაზევეა მიჩნეული „უტყუარ მტკიცებულებად“.

ამდენად, სამართალდამცავი ორგანოები, ერთის მხრივ, ცდილობენ რა საკუთარი „ოპერატიულობისა და პროფესიონალიზმის“ წარმოჩენას, სინამდვილეში უხეშად არღვევენ ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებს, რაც უთუოდ საჭიროებს დროულ რეაგირებას და სათანადო გარანტიების შექმნას. მითუმეტეს, დაუშვებელია აქცენტის გადატანა „დანაშაულის აღიარების“ ფაქტზე იმ ვითარებაში, როდესაც ჩვენში დამკვიდრებული სისხლისსამართლებრივი დევნის პროცედურა, ზოგიერთ შემთხვევაში, ჯერ კიდევ გვაგონებს პროფესორ გიორგი ნადარეიშვილის წიგნში აღწერილ შემთხვევას, როდესაც ჩინეთის იმპერატორის დაცვის მუშაკის მიერ ხაზინიდან ძვირფასი ნივთის ქურდობის ფაქტზე „დაიჭირეს რვა ეჭვმიტანილი პირი. დაკითხვისას სამი შემოაკვდათ ცემისაგან გამომძიებლებს, ხოლო ხუთმა აღიარა დანაშაული“ („ნარკვევები სამართლის ისტორიიდან“, თბილისი, 1986, გვ. 153). საგულისხმოა, რომ მაშინაც კი, როდესაც მოგვიანებით ნამდვილი დამნაშავე იპოვეს, თურმე „ამასთან დაკავშირებით 1195 წელს გამოვიდა ბრძანებულება, რომ ბრალდებულთა დაკითხვის გაუმართლებელი მეთოდები უარეყოთ, ხოლო სიკვდილმისჯილთა საქმე, თუნდაც აპელაციის დროსაც დადასტურდეს დანაშაული, უნდა გადაისინჯოს და კარგად შემოწმდეს ყველა გარემოება, რომელიც ეჭვს ბადებს, რომ ცილისწამების შედეგად მართალი კაცი არ დაისაჯოს“. უდავოდ საყურადღებო და სადღეისოდაც აქტუალური შეგონებაა.

დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის ფიზიკური და მორალური იძულების დაუშვებლობაზე საქართველოს კონსტიტუციასა და ახალ საპროცესო კოდექსშიც არის მითითება. ჯერი სისხლის სამართალწარმოებაში ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით ამ და სხვა უმნიშვნელოვანესი მოთხოვნების პრაქტიკაში განხორციელებაზეა, რისთვისაც მიზანშეწონილად მიმაჩნია, უფრო მკაფიოდ იყოს განსაზღვრული პასუხისმგებლობა

ადამიანის უფლებების ზოგიერთი სახის დარღვევებისათვის, თუნდაც იმავე უდანაშაულობის პრეზუმფციის იგნორირებისათვის. ჯერჯერობით კი, აღნიშნული პრინციპიდან გამომდინარე მოთხოვნებს, პირველ რიგში, სწორედ სამართალდამცავი ორგანოების მუშაკები და არცთუ იშვიათად, ჟურნალისტები არღვევენ.

რამდენადაც პარადოქსულად არ უნდა მოგვეჩვენოს, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის ერთ-ერთ აქტიურ და რეგულარულ დამრღვევად სწორედ ის გადაცემა გვევლინება, რომელიც თითქოს მართლწესრიგის განმტკიცებას უნდა ემსახურებოდეს. „ვიდეოპატრული" გარდა იმისა, რომ ზოგიერთ „დამნაშავეს" უშუალოდ დაკავებისას ან გამოძიების სტადიაზევე გვამცნობს, ამასთან, არცთუ იშვიათად, წარმოგვიდგენს მოქალაქეებს, რომელთა საქმიანობას სახელმწიფო დასჯადად არ მიიჩნევს. ურიგო არ იქნებოდა სტუდია „აუდიენციას" შემოქმედი კოლექტივი და ზოგიერთი სამართალდამცავიც გაცნობოდა „რუსთავი-2"-ით ნაჩვენებ ამერიკელ პოლიციელთა საქმიანობის ამსახველ სერიალს, რომლის ყოველი ფილმი აღნიშნული პრინციპის ძირითადი მოთხოვნის განმარტებით იწყება. ამასთან, ეჭვმიტანილებს არც სახელით მოიხსენიებენ და არც სახით გვიჩვენებენ. მსგავსი პრაქტიკა საქართველოს სამართალდამცავი ორგანოებისა და მასმედიის საქმიანობაშიც უნდა დამკვიდრდეს, როგორც სისხლის სამართალწარმოებაში ადამიანის უფლებების დაცვის ერთ-ერთი ქმედითი გარანტი.

საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 7.2. მუხლის შესაბამისად, თუ ახალი საპროცესო კოდექსის ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი რომელიმე ნორმის ფორმულირება სადავო შეიქმნა და მისი შინაარსი ეჭვს გამოიწვევს, საქმის წარმოება უნდა შეჩერდეს და საკითხი გადასაწყვეტად საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა გადაეცეს, ხოლო საქმე განახლდება სასამართლოდან სათანადო დირექტივის მიღების შემდეგ, რაც აშკარად გამოიწვევს განსასჯელის უფლების დარღვევას და საქმის განხილვას გაუმართლებლად (შესაძლოა, მეტად ხანგრძლივი ვადითაც...) გააჭიანურებს. აღნიშნული საკითხიც მოწესრიგებასა და ჰუმანურ გადაწყვეტას საჭიროებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სისხლის სამართლის პროცესში ადამიანის უფლებების საზოგადოებრივ საწყისებზე დამცველები და ადვოკატები პრაქტიკულ საქმიანობაში მრავალ წინააღმდეგობას წააწყდებიან. გამართლებულად მივიჩნევ, ამ შემთხვევაშიც ყოველგვარი ეჭვი საქმის განმხილველ სასამართლოს განსასჯელის სასარგებლოდ გადაეწყვიტა, ხოლო სადავო შინაარსის ნორმის დაზუსტება უკვე შემდგომ მომხდარიყო.

საქართველოს იურიდიულ საზოგადოებაში აღიარებული ფაქტია,

რომ ახალი სისხლის სამართლის სააპროცესო კოდექსი ერთობ ნაჩქარევად იქნა მიღებული, რის შემდეგადაც მასში მრავალი ხარვეზი იქნა „გაპარული" (იხ. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 31.10.1997; „დრონი", 6.11.1997; „რეზონანსი", 11.11.1997; „დილის გაზეთი", 12.11.1998; „ახალი თაობა", 27.11.1997; „დილის გაზეთი", 22.12.1997; „რეზონანსი", 6.02.1998 და სხვა). მართალია, მისი განხილვის პროცესში გამოთქმულ შენიშვნების გარკვეული ნაწილი გათვალისწინებული იქნა კანონმდებლის მიერ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით ზოგიერთი მეტად პრინციპული საკითხი შემდგომ სრულყოფას საჭიროებს. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ კოდექსში ერთმნიშვნელოვნად არის აღიარებული შეჯიბრებითობის პრინციპი და მხარეების სრული თანასწორობა (მუხლი 15), რიგ შემთხვევებში, დამცველის ინსტიტუტი ბრალდების მხარესთან შედარებით შეზღუდულად არის წარმოდგენილი, რაც უთუოდ უნდა იქნას გათვალისწინებული „ადვოკატურის შესახებ" კანონის მიღების პროცესში და სათანადო ცვლილებების სახით იქნას შეტანილი ახალ საპროცესო კოდექსში.

პარლამენტის მიერ ჯერ 1997 წლის 25 ნოემბერს, შემდეგ კი მიმდინარე წლის 20 თებერვალს, ფაქტობრივად „მეოთხე მოსმენით" მიღებული საპროცესო კოდექსი, რომლის ამოქმედება მომავალი (1999) წლის 20 იანვრისათვის გადაიდო (თავდაპირველად მისი ამოქმედება 1998 წლის 1 მაისისათვის იყო გათვალისწინებული), ბუნებრივია, გამოდგება საბაზისოდ, მაგრამ მასზე მუშაობა არ შეიძლება დასრულებულად ჩაითვალოს. იგი სერიოზულ დახვეწას საჭიროებს, რათა მაქსიმალურად გამოირიცხოს უზუსტობები ფორმულირებებში და ნორმების არასწორი გამოყენება სამართალწარმოების პრაქტიკაში. ამოქმედებამდე კოდექსში, რედაქციულობის გარდა, უნდა შევიდეს არსებითი ხასიათის ცვლილებებიც, რომლებიც რეალურად მიანიჭებდნენ მას დემოკრატიულ ხასიათს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ახალმა კოდექსმა შეიძლება ვერ შეასრულოს ძირითადი დანიშნულება - უზრუნველყოს ადამიანის უფლებების დაცვა და ამავე დროს, საზოგადოებაში დაამკვიდროს კანონისადმი, აგრეთვე ჰუმანიზმისა და სამართლიანობის იდეების მიმართ პატივისცემა, როგორც ეს კოდექსის პირველსავე მუხლშია მოცემული.

ამდენად, დღეს, როდესაც საქართველომ სამომავლო ორიენტირად სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრება აირჩია, ხოლო კონსტიტუციასა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში აისახა ადამიანის უფლებათა დამცავი მექანიზმები, ქვეყანაში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმების პროცესში, კანონის უზენაესობისა და დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების რეალურად

დამკვიდრებასთან ერთად, უპირველესი ყურადღება სწორედ ამ საყოველთაოდ აღიარებული ინსტიტუტების სამართალწარმოების პრაქტიკაში რეალიზაციის საკითხებს უნდა დაეთმოს. ადამიანის უფლებების ეფექტურად დაცვისათვის მყარი სამართლებრივი გარანტიები გვჭირდება!

კომენტარი:

ფაქტია, რომ 1999 წელს ამოქმედებულმა „რევოლუციურმა“ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა, რომლის მიღებისთვის ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციებმა მიშა საკაშვილი 1997 „წლის ადამიანად“ აღიარეს, სულ ათიოდე წელი იარსება. ამასთან, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორების მიერ თავიდანვე დაწუნებული საპროცესო კოდექსის რამდენიმე მუხლი საკონსტი-ტუციო სასამართლომ საქართველოს „უზენაესი კანონის“ მეორე თავში ასახულ ადამიანის უფლებების დაცვის ძირითად სტანდარტებთან შეუსაბამოდ მხოლოდ კოდექსის ამოქმედებიდან 5 წლის გასვლის შემდეგ ცნო... მიუხედავად ამისა, 2009 წელს მიღე-ბული ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიც, ძირითა-დად, ისევ მხოლოდ პროკურატურის ინტერესებზე აღმოჩნდა მორგებული, რაც სავსებით ლოგიკურია, ვინაიდან „ნაციონალური მოძრაობის“ მესვეურთა ინიციატივით მორიგი „რევოლუციური“ კოდექსის მომზადებაში არც ადგილობრივ მეცნიერებს მიუღიათ მონაწილეობა და არც ადვოკატებს...

ამდენად, საქართველოში, ფაქტობრივად, სწორედ ისეთი ვითა-რება შეიქმნა, რომლის წინაპირობები 2010 წლის 1 ოქტომბრამდე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ერთ-ერთმა ავტორმა, ცნობილმა რუსმა მეცნიერმა იგორ პეტრუხინმა საკუთარ სამშობლოში შენიშნა და თანამემამულე რეფორმატორები ჯერ კიდევ 1993 წელს გააფრთხილა: „ვაღიარეთ რა ჰუმანური მიზნები, უპირველესად კი ადამიანის უფლებების დაცვა, მიღებული კანონებით შევქმნით სამართლებრივი გაზა ტოტალიტარიზმის ეპოქის მეთოდების გამოყენებისათვის. სამწუხაროდ, ვრწმუნდებით, რომ ვცილდებით სამართლებრივი სახელმწიფოს იდეალს“.

საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის შესახებ (ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1998, №1)

უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი ყოველთვის იდგა განვითარებული ქვეყნების სამართალმცოდნეთა ყურადღების ცენტრში. მიუხედავად იმისა, რომ მრავალ ნაშრომსა და პუბლიკაციაშია გაანალიზებული სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებაში ადამიანის უფლებათა დაცვის ამ უმნიშვნელოვანეს გარანტთან დაკავშირებული საკითხთა ფართო წრე, „დღემდე არ ამოწურულა მრავალმხრივ პროცესუალურ ინსტიტუტთან დაკავშირებულ თეორიული და პრაქტიკული საკითხები“.[1] ამასთან, აღიარებულია, რომ განვითარებულ ქვეყნებშიც კი უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი „სხვადასხვაგვარად განიმარტება“.[2]

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის მიერ მართლმსაჯულების დემოკრატიული პრინციპების „პრაქტიკაში ფართოდ გამოყენებისა და ცხოვრებაში გატარების მიზნით“ მიღებულ ცნობილ დადგენილებაში, ფაქტობრივად, განხორციელებული იქნა უდანაშაულობის პრეზუმფციისა და მისგან გამომდინარე მოთხოვნების ერთიან სისტემაში მოყვანის მცდელობა.[3]

მართალია, ზემოაღნიშნულ ფორმულირებაში რიგი უზუსტობებია დაშვებული (რომლებზედაც ამჯერად არ შევჩერდები), მაგრამ მათი შინაარსიდან გამომდინარე აშკარა უნდა იყოს, რომ უდნაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი, ერთმნიშვნელოვნად, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირის სწორედ „დამნაშავედ (უდანაშაულოდ)“ ცნობის პირობებს განსაზღვრავს.

როგორც ჩანს, პლენუმის განმარტებები ზოგიერთი მეცნიერისთვის არადამაჯერებელი აღმოჩნდა. მაგ., თსუ-ის პროფესორი გურამ ნაჭყებია ზემოაღნიშნული დადგენილების მიღების შემდეგაც მიიჩნევს, რომ მოცემული პრინციპის აღნიშვნისათვის „იურიდიულ ლიტერატურაში უნდა დამკვიდრდეს „არაბრალეულობის პრეზუმფცია“, არაბრალეულობის პრეზუმფცია საერთოა სამართლის მრავალი დარგისათვის“, „არაბრალეული“, ზოგადი იურიდიული ტერმინია, რომელიც იურიდიული აზროვნების წესითაა „პირობადებული“[4]

[1] Мажилян Дж. Р. Презумпция невиновности и гарантии ее осуществления, Ереван, 1989, стр. 5

[2] Флетчер Дж., Презумпция невиновности, Государство и право, 1989, №11, стр. 132

[3] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1992 წლის 29 აპრილის N14 დადგენილება „უდანაშაულობის პრეზუმფციისა და ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის დაცვის უფლების შესახებ“, ჟურნალი „სამართალი“, 1992, N5, გვ. 40-41

[4] გ. ნაჭყებია, „დანაშაულის შემადგენლობა, როგორც არაბრალეულობის პრეზუმფციის საფუძველი“, ჟურნალი „სამართალი“, 1992, N8-9; გ. ნაჭყებია „დავიცვათ იურიდიული აზროვნების წესი“, ჟურნალი „სამართალი“, 1993 . N11-12; გ. ნაჭყებია, სამოქალაქო და სისხლის სამართალი (შედარებითი ანალიზი) საიუბილეო კრებული, სერგო ჯღარბენაძე 70, თბილისი, 1996.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ჩვენი თვალსაზრისი (ნაჭყებიას პოზიციისაგან სრულიად განსხვავებული), საზოგადოებას უკვე გავაცანით. ამდენად, მის გადმოცემას აღარ შევუდგებით.[5]

ერთი შეხედვით, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპთან დაკავშირებული „უდანაშაულობა-არაბრალეულობის" სადავო საკითხი, თითქოს, საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღებით უნდა გადაწყვეტილიყო. მართლაც, მე-40 მუხლში აღნიშნული პრინციპის არსი და მისგან გამომდინარე ძირითადი მოთხოვნები შემდეგი სახით არის მოცემული:

1. ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.

2. არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს.

3. დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამატყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ"

მოცემული ფორმულირება, მიუხედავად რიგი ხარვეზებისა, ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობებში უნდა გამოიყენებოდეს და პირის „უდანაშაულობის (დანაშაულის არ ქონის)" პირობებს ადგენდეს. სამწუხაროდ, რუსულ ენაზე გამოქვეყნებული საქართველოს კონსტიტუციის ტექსტის გაცნობით ნათელი ხდება, რომ საკითხი შემდგომ შესწავლა-დაზუსტებას მოითხოვს, რადგან ოფიციალურ თარგმანში ლაპარაკი უკვე მხოლოდ „ბრალეულობაზეა" და ზემოთ მოყვანილი კონსტიტუციური დებულების რუსულენოვანი ვერსია არსებითად „გადასხვაფერებული" სახით არის მოცემული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაში კანონმდებელი პრობლემის არსში ბოლომდე არ არის გარკვეული, რის გამოც ტექსტის ორიგინალში ხმარებული „უდანაშაულოს" და „დამნაშავეობის" ნაცვლად რუსულ ვარიანტში მხოლოდ „არაბრალეულობა" და „ბრალეულობა" გამოიყენება, რითაც, პრინციპში ქართულ ენაზე მისაღები დებულებები თარგმნის შედეგად, ისევ ე. წ. „არაბრალეულობის პრეზუმფციად" და, ჩვენი თვალსაზრისით, არამართებულ მოთხოვნებად აქცია. კერძოდ, თუ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპიდან გამომდინარე, მტკიცების მოვალეობა არ შეიძლება დაეკისროს ბრალდებულს

[5] ა. კახნიაშვილი, „პრეზუმფცია: უდანაშაულობის თუ არაბრალეულობის?!", ჟურნალი „სამართალი", 1993, N5-6, ა. კახნიაშვილი „სამართლებრივი პრეზუმფციები და უდანაშაულობის პრეზუმფცია", ჟურნალი „სამართალი", 1996, N1-2.

ანუ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირი „არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა", რაც შეეხება რუსულ ენაზე მოცემულ ფორმულირებას, რომ „არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი არაბრალეულობა", ვფიქრობ, აღნიშნული დებულება ზოგადსამართლებრივ, კონსტიტუციურ პრინციპად ვერ ჩაითვლება, რადგან რიგ შემთხვევებში, მაგ., სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში, მტკიცების მოვალეობა შეიძლება ზიანის მიმყენებელ პირს დაეკისროს.

როგორც ეს ადრე გამოქვეყნებულ სტატიებში განვაცხადე, მართებულად მივიჩნევთ, განსახილველი პრინციპის აღსანიშნავად ტერმინი „უდანაშაულობის პრეზუმფცია" გამოვიყენოთ და მასში სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობებში ეჭვმიტანილის (ბრალდებულის, განსასჯელის) უდანაშაულოდ ცნობის პირობები განვსაზღვროთ და არა, ზოგადად, ბრალის უქონლობის (არაბრალეულობის). ამასთან, პრინციპულად სწორად მიმაჩნია, უდანაშაულობის პრეზუმფციის ძირითადი არსისა და მისგან გამომდინარე უმნიშვნელოვანესი მოთხოვნების ერთ მუხლში მოთავსება, მაგრამ, ვთვლით, რომ საქართველოს კონსტიტუციაში აღნიშნული პრინციპი გაუმართავი სახით აისახა. მასთან დაკავშირებული რიგი დებულებები კი, სამწუხაროდ, მცდარი სახით ჩამოყალიბდა.[6]

კონსტიტუციის მე-40 მუხლის ფორმულირების თაობაზე ჯერ სისხლის სამართლის პროცესის მიმართულებით მოღვაწე აკადემიური წრეების წარმომადგენლები უნდა ჩამოყალიბებულიყვნენ, ხოლო უდანაშაულობის პრეზუმფციასთან დაკავშირებული რიგი პრობლემატური საკითხების გარკვევამდე აღნიშნული პრინციპი კონსტიტუციაში შეიძლებოდა მისი არსის გამომხატველი, თუნდაც, ადრე ხმარებული ზოგადი დებულების სახით მოცემულიყო.[7] მიზანშეწონილად მიმაჩნია, აგრეთვე კონსტიტუციის ადამიანის ძირითადი უფლებების ამსახველ თავში, პიროვნების ხელშეუხებლობის უფლებასთან, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე თავისუფლების აღკვეთის დაუშვებლობასთან და დაცვის უფლებასთან ერთად აღგვენიშნა ადამიანის უფლება უდანაშაულობის პრეზუმფციაზე, როგორც ეს ესპანეთის კონსტიტუციაშია გაკეთებული, ხოლო თვით პრინციპის ასრსი და მისგან გამომდინარე მოთხოვნები სრული სახით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში გადმოგვეცა.

---

6 კონსტიტუციური ნორმების არასრულყოფილების ხაზი გაუსვა პროფესორმა ალექსანდრე შუშანაშვილმაც, რომლის აზრით „ძნელი არაა იმის შემჩნევა, რომ ეს დებულება ვერ ხსნის უდანაშაულობის პრეზუმფციის არსსა და დანიშნულებას" (იხ. ა. შუშანაშვილი, უდანაშაულობის პრეზუმფცია, საიუბილეო კრებული, გივი ინწკირველი 70, თბილისი. 1996, გვ. 151).

7 საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, ძირითადი კანონი, მუხლი 172. 1991.

მისაღებად ვთვლი, კონსტიტუციაში უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპიდან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესი მოთხოვნების შეტანასაც, მაგრამ, ამისათვის, ისინი ჯერ სისხლის სამართლის საპროცესო ნორმებში უნდა აისახოს შეძლებისდაგვარად სრულყოფილი სახით, შემდგომ კი ქვეყნის ძირითად კანონში ყოველი მოქალაქისადმი დაკავშირებულ ლაკონურ ფორმულირებად ჩამოყალიბდნენ. ვფიქრობ, სწორედ ამგვარი გზა აირჩია რუსეთის ფედერაციის კანონმდებელმა, რომელმაც უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის კონსტიტუციაში ასახვა შედარებით სრულყოფილი სახით შესძლო, მაგრამ, რატომღაც, დებულებები წმინდა პროცესუალური სახით, ამასთან, მხოლოდ ბრალდებულთან მიმართებაში ჩამოაყალიბა“: [8]

1. ყოველი ბრალდებული დანაშაულის ჩადენაში ითვლება არაბრალეულად, სანამ მისი ბრალეულობა არ იქნება დამტკიცებული ფედერალური კანონით გათვალისწინებული წესით და დადგინდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით.

2. ბრალდებული არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი არაბრალეულობა.

3. გაუქარწყლებელი (მოუცილებელი) ეჭვი პირის ბრალეულობაში წყდება ბრალდებულის სასარგებლოდ“.

ვინაიდან, მოცემული ფორმულირებები ბრალდებულებს ეხებათ, ცხადი ხდება, რომ ისინი სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების პროცესში გამოიყენებიან და „არაბრალეულობაში“, ფაქტიურად, „დანაშაულის ჩადენაში არაბრალეულობა“ ანუ „უდანაშაულობა“ იგულისხმება. ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ მოყვანილი დებულებები განსახილველ პრინციპში, სწორედ, „უდანაშაულობის“ საკითხს განსაზღვრავენ და არა მხოლოდ „არაბრალეულობისას“.

უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპთან დაკავშირებული ზემომოყვანილი ნორმების ანალიზმა და ერთმანეთთან შედარებამ საფუძველი შეგვიქმნა გვეფარაუდა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის ფორმულირებისათვის საბაზისოდ რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის შესაბამისი მუხლი იქნა გამოყენებული, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის ზემოთ ხსენებულ დადგენილებაში მოცემული რიგი არამართებული დებულებებით იქნა შევსებული. ამასთან, რუსეთის კონსტიტუციისაგან განსხვავებით, რომელშიც ყველა მოთხოვნა

[8] მიმაჩნია, რომ კონსტიტუციაში არ უნდა იყოს აუცილებელი საზგასმა და შეხსენება ყოველი ადამიანისადმი მისი „უდანაშაულობის“ (ისევე, როგორც კეთილსინდისიერების, შერაცხადობის, უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის) შესახებ და, რომ „არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა“. საკმარისი იქნებოდა, ადამიანის ხელშეუხებლობის გარანტიების გაფართოება და მისი დამნაშავედ ცნობის განსაკუთრებული წესის არსებობის დაფიქსირება.

ბრალდებულთან მიმართებაშია ჩამოყალიბებული, ჩვენს ვარიანტში ნორმები უსისტემოდ არის შეტანილი და მათი ადრესატი ხან „ადამიანი", ხან „ბრალმდებელი" და ხან „ბრალდებულია".

ამდენად, მიზანშეწონილად მიმაჩნია, უფრო დეტალურად განვიხილოთ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპთან დაკავშირებით საქართველოს კონსტიტუციაში მოცემული ფორმულილებები, რომლებიც გარკვეულ დაზუსტებას და სრულყოფას საჭიროებს.

როგორც ჩანს, კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის საფუძვლად ყოფილი საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ცნობილი დადგენილებაა გამოყენებული.[9] ჩვენმა კანონმდებელმა წმინდა პროცესუალური მოთხოვნა ყოველ ადამიანთან მიმართებაში ჩამოაყალიბა. ამასთან, გარკვეული კორექტირება შეიტანა და „კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით", რატომღაც, „დამნაშავეობის დამტკიცება" მოითხოვა, რაც გაუმართლებლად მიმაჩნია, რადგან სასამართლო ბრალმდების მხარე არ არის და მტკიცების მოვალეობა არ ეკისრება. როგორც ცნობილია, „სასამართლოს არ გააჩნია თავისი პროცესუალური ინტერესი და წინასწარ წამოყენებულ თეზისს არ იცავს, ის საქმეზე გადაწყვეტილებას იღებს. ამ გაგებით სასამართლო მტკიცებით არ არის დაკავებული."[10]

მართალია, წარსულში ზოგიერთი მკვლევარი (მაგალითად ი. მალხაზოვი, მ. ჩელცოვი) თვლიდა, რომ ბრალდების მტკიცების მოვალეობა სასამართლოსაც ეკისრებოდა, მაგრამ შემდგომში ეს პოზიცია მეცნიერთა უმრავლესობის მიერ საფუძვლიანად იქნა გაკრიტიკებული და უარყოფილი.[11]

მ. სტროგოვიჩის აზრით, „სასამართლო ვერ შეასრულებს ბრალდების ფუნქციას უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დარღვევის გარეშე. სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს საფუძლიანია თუ უსაფუძვლო მოკვლევისა ან წინასწარი გამოძიების ორგანოების მიერ წამოყენებული ბრალდება და დამნაშავეა თუ არა ბრალდებული. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების უფლებამოსილება სასამართლოს მინდობილი აქვს, როგორც მართლმსაჯულების და არა, როგორც ბრალდების ორგანოს".[12]

ვფიქრობ, აღნიშნული ხარვეზები კონსტიტუციურ ფორმულირებაში გამოიწვია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დღემდე არსებულმა ნორმამ, რომლის თანახმად „სასამართლოს, პროკურორს, გამომძიებელსა და მომკვლევ პირს უფლება არა აქვთ მტკიცების

---

[9] Бюллетень Верховного Суда СССР, 1978, №4, стр. 9

[10] Ларин А.М., Презумпция невиновности. Москва, 1982, стр.46

[11] Савицкий В.М., Государственное обвинение в суде, М., 1971, стр 169-184

[12] Строгович М.С., Избранные труды, т. 3., 1993, стр. 51

მოვალეობა ბრალდებულს დააკისრონ" (მუხლი 18). ამ სახის ფორმულირებით მტკიცების მოვალეობა თითქოს სასამართლოსაც შეიძლება ეკისრებოდეს, რის გამოც არაერთგზის გამოითქვა თვალსაზრისი მოცემული დებულების არასრულყოფილების თაობაზე. მაგალითად, ჩ. კასუმოვი თვლიდა, რომ „ამ შემთხვევაში სასამართლოს მოხსენიება სისხლისსამართლებრივი დევნის განმხორციელებელი ორგანოების ჩამონათვალში გაუმართლებელია". გარდა ამისა, „რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ნორმა იცავს ბრალდებულს, რათა მასვე არ დაეკისროს თავისი ბრალეულობის დამტკიცება..."[13] ამდენად, სასამართლომ „დამნაშავეობა" კი არ უნდა „დაამტკიცოს", არამედ სისხლის სამართლის საქმეზე გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს, დაადგინოს დანაშაულის ფაქტი და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირი დამნაშავედ ცნოს. ამასთან, შეიძლება მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა მოპოვებასა და შეაფასებაში, საქმის გარემოებათა ყოველმხრივ შესწავლაში.

გარკვეულ დაზუსტებას კონსტიტუციურ ფორმულირებაში ხმარებული „დამნაშავეობაც" საჭიროებს,[14] ვინაიდან, სადღეისოდ დამკვიდრებული მნიშვნელობით, მოცემული ტერმინი აღნიშნავს „გარკვეულ პირთა სიმრავლის მიერ ჩადენილ დანაშაულთა სტატისტიკურ ერთობლიობას. დამნაშავეობა ისტორიულად ჩამოყალიბებული სოციალური მოვლენაა, რომლის არსებობა უდავოა. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს არსებითი განსხვავება დამნაშავეობასა და დანაშაულს შორის".[15] ამასთან, მიმაჩნია, რომ აღნიშნული დებულება შინაარსობრივი მხარის გარდა რედაქციულ დახვეწასაც საჭიროებს. კერძოდ, მასში უფრო ნათლად უნდა ჩანდეს, რომ პირის დამნაშავედ ცნობისათვის კანონიერ ძალაში სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი უნდა შევიდეს და არა თვითონ სასამართლო.

ამასთან, დასაზუსტებელია სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის „ძალაში შესვლის" მომენტიც. სრულიად მიუღებლად მიმაჩნია, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთანავე ბრალდებული (განსასჯელი) უკვე მსჯავრდებულად, ანუ, ფაქტობრივად, დამნაშავედ მიიჩნევა და დროებითი განთავსების ადგილიდან ციხეში გადაჰყავთ. ვფიქრობთ, კამონმდებელმა მკაფიოდ უნდა გამიჯნოს ერთმანეთისგან ტერმინები „ძალაში შესვლა" და „ამოქმედება". მაგ., პარლამენტმა შეიძლება მიიღოს კანონი (ლოგიკურია, ის ძალაში შესულად ჩაითვალოს), თუმცა მისი ამოქმედება მხოლოდ ერთის წლის შემდეგ

13 Касумов Ч.С., Презумпция невиновности в советском праве, Баку, 1984, стр.56

14 უკანასკნელ წლებში, როგ შემთხვევებში, მის აღსანიშნავად „დანაშაულობაც" იხმარება, რაც უთუოდ გათვალისწინებული უნდა იქნეს და შეძლებისდაგვარად დაზუსტდეს.

15 Ларин А.М.,презумпция невиновности, М.,1982, стр.20

ჩათვალოს საჭიროდ ან პოლიციელმა გამოწეროს საჯარიმო ქვითარი (ცხადია, გამოწერისთანავე კანონიერი ძალის მქონე იქნება), მაგრამ მასში განსაზღვრული პასუხისმგებლობის მექანიზმის ამოქმედება (ჯარიმის დაკისრება) მხოლოდ გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ უნდა იყოს შესაძლებელი, ხოლო თუ სავარაუდო სამართალდამრღვევმა სასამართლოს მიმართა ადმინისტრაციული აქტის „მოქმედებაში მოყვანა“ მხოლოდ საქმეზე საბოლო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა მოხდეს. შესაბამისად, ბრალდებულის მიმართ გამოტანილი პირველი ინსტანციის განაჩენი ძალაში შესულად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ მისი გასაჩივრების შემთხვევაში, სამართლიანი (გონივრულიც) იქნებოდა მსჯავრდებული ისევ უდანაშაულოდ ჩაგვეთვალა და უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს მის მიმართ მხოლოდ ბოლო ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ შეეწყვიტა მოქმედება. შეიძლება, „ძალაში შესვლაში“ სხვა სამართლებრივი შინაარსის ჩადებაც, მაგრამ, ყველა შემთხვევაში, დაუშვებელი უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ვერდიქტის გამოტანამდე მოქმედებდეს და გასაჩივრების შემთხვევაში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე არ იცავდეს ბრალდებულს.

განსახილველი მუხლის მეორე პუნქტში მოცემულია ე. წ. „მტკიცების ტვირთის“ სახელით ცნობილი პროცესუალური დებულება. ფორმულირების პირველი წინადადება „არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა“ მიმართულია ყველასადმი, მაშინ, როდესაც, ფაქტობრივად, მოქალაქეთა მხოლოდ ერთ მცირე ჯგუფს - სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ პირებს ეხება და ამგვარი სახით კონსტიტუციაში მისი შეტანა აუცილებელი არ უნდა ყოფილიყო. ფორმულირების მეორე წინადადება კი უკვე წმინდა პროცესუალური ხასიათისაა და „ბრალდების მტკიცების მოვალეობისა“ და „ბრალმდებლის“ ცნებების სამართლებრივი შინაარსის განმარტების გარეშე მოქალაქეთა აბსოლუტურ უმრავლესობას არაფერს ეუბნება. ამასთან, „ბრალმდებელის“ ცნების ქვეშ გამომძიებლისა და პროკურორის გარდა შესაძლებელია საზოგადოებრივი ბრალმდებელი, თვით დაზარალებული ან სამოქალაქო მოსარჩელეც იქნეს გაგებული, ხოლო, როგორც ეს საპროცესო სამართლის მეცნიერებაშია აღიარებული, ამ უკანასკნელთ ბრალდების მტკიცების მოვალეობა არ აწევთ. არც ის გარემოება უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ სადღეისოდ, სამართლებრივი რეფორმის ფარგლებში, პოლემიკა გამომძიებისა და ბრალდების ფუნქციების თაობაზეც მიმდინარეობს. ამდენად, უფრო გამართლებული იქნებოდა, რომ კონსტიტუციაში მოცემული ეს მოთხოვნა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც ასახულიყო.

გარკვეულ დაზუსტებას საჭიროებს კონსტიტუციური ფორმულირების მესამე პუნქტიც. ჩემი აზრით, წმინდა პროცესუალური ნორმის სახით მოცემულ დებულებაში რიგი, მეტად არსებითი სახის, უზუსტობებია დაშვებული. კერძოდ, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემისას „მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებზე" დაყრდნობა (ისევე, როგორც საბრალდებო დასკვნის შედგენისას), ჯერ ერთი, შეუსაბამობაშია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ ნორმებთან, რომლებშიც ლაპარაკია ბრალდების წაყენებისათვის ან საბრალდებო დასკვნის შედგენისათვის მოპოვებულ არა „უტყუარ", არამედ „საკმაო მტკიცებულებებზე (მონაცემებზე)" (მუხლი 140 და 206) მეორე მხრივ, ამის მიღწევა ყოვლად არარეალურად გვესახება. ვფიქრობ, ამ სტადიაზე არავითარ „მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებზე" ლაპარაკი არ შეიძლება, ეს მხოლოდ სასურველის დეკლარირებაა მისი რეალიზაციის მექანიზმის არარსებობის პირობებში, რამაც აღნიშნული ნორმის პრაქტიკაში გამოყენებისას, შესაძლოა, ერთობ სავალალო შედეგები გამოიწვიოს. იმ შემთხვევაში, თუ სათანადო ორგანოები, ჩვენი აზრით, ზემოაღნიშნულ ზედმეტად „პოლიტიზირებულ" დებულებას სამოქმედო პრინციპად აირჩევენ და დადგენილებას ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნას ან თუნდაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს „მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებზე" დაყრდნობილად მიიჩნევენ და საქმეზე ჭეშმარიტებას, ფაქტობრივად, გამოძიების ან სასამართლოში მიცემის სტადიაზევე დადგენილად ჩათვლიან, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი, ფაქტობრივად, სრულიად გამოიდევნება სისხლის სამართალწარმოების პრაქტიკიდან.

მტკიცებულებები, ერთის შეხედვით, რაც უნდა „უტყუარად" მოგვეჩვენოს, მხოლოდ „გარკვეული ალბათობით მიგვანიშნებენ დანაშაულზე და მის ჩამდენ პირებზე. სანამ საქმის გარემოებები არ იქნება სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოკვლეული, სანამ არ მოხდება მტკიცებულებათა მოპოვება და შეფასება, სანამ ბრალდებული კანონით დადგენილი წესით არ იქნება ბოლომდე მხილებული, არავითარი საფუძველი არ არსებობს იგი დამნაშავედ ჩავთვალოთ".[16] ამდენად, დანაშაულის ჩადენის ფაქტი მხოლოდ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგინდება და შესაბამისად, მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზეც პირი მიცემულ იქნა პასუხისგებაში, შედგა საბრალდებო დასკვნა და განაჩენი გამოიტანეს, „უტყუარ მტკიცებულებებად" ჩაითვლებიან. მიმაჩნია, რომ სისხლის სამართლის საქმის წარმოების არც ერთ სხვა სტადიაზე, „მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებზე", ისევე, როგორც საქმეზე დადგენილ

[16] Ларин А.М., презумпция невиновности, М., 1982, стр. 23

ჭეშმარიტებასა და დანაშაულის გახსნაზე ლაპარაკი არ შეიძლება.

ვფიქრობ, კომენტარს ფორმულირების მეორე წინადადებაც ითხოვს, რამეთუ მისი მართებულად მიჩნევის შემთხვევაში იბადება კითხვა, - ვის სასარგებლოდ გადაწყდება „ეჭვი, რომელიც დადასტურდება კანონით დადგენილი წესით“? ან საერთოდ, რას ნიშნავს „ყოველგვარი ეჭვის დადასტურების კანონით დადგენილი წესი“?! ამ შემთხვევაში, კანონმდებელს მხედველობაში ჰქონდა უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპიდან გამომდინარე ცნობილი წესი, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობს: თუ რომელიმე ფაქტი შეიძლება განმარტებულ იქნას როგორც ბრალდებულის სასარგებლოდ, ასევე მის საწინააღმდეგოდ, მაშინ მიიღება მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილება; თუ ბრალდება საეჭვოა, ანუ ხელთ არსებული მტკიცებულებებით ვერ ხერხდება მისი ერთმნიშვნელოვნად დამტკიცება, პირი უდანაშაულოდ ითვლება; დაუმტკიცებელი ბრალეულობა თავისი იურიდიული შედეგებით უდანაშაულობის ტოლფასია და ბრალდებული უნდა გამართლდეს.

ამდენად, გაუგებარია რას უნდა ნიშნავდეს „ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით“. ისეთი ეჭვია, რომელიც ვერ დასტურდება სისხლის სამართლის საქმეზე ხელთ არსებული მტკიცებულე-ბებით თუ რომლის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვება საერთოდ შეუძლებელი შეიქმნა? ამ უკანასკნელის საფუძველზე კი ლოგიკურად უნდა დავუშვათ „მტკიცებულებებით დადასტურებული ეჭვის“ არსებობაც, რომლის ბედი, თითქოსდა, უკვე სრულიად სხვაგვარად უნდა წყდებოდეს.

როგორც ცნობილია, მტკიცებულებები არის ყოველგვარი ფაქტობრივად მონაცემები, რომელთა საფუძველზე, კანონით განსაზღვრული წესით, მოკვლევის ორგანო, გამომძიებელი და სასამართლო ადგენენ საზოგადოებრივად საშიში ქმედების არსებობას ან არარსებობას, ამ ქმედების ჩამდენი პირის ბრალეულობას და სხვა გარემოებებს, რომელნიც მნიშვნელოვანი არიან საქმის სწორად გადაწყვეტისათვის (სსსკ მუხლი 61). აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ საზოგადოდ „ეჭვის“ ქვეშ, ფაქტობრივად, ყოველგვარი „საეჭვო მონაცემები (გარემოებები)“ არის გაგებული, რომლებიც „კანონით დადგენილი წესით დადასტურების“ ან „ვერ დადასტურების“ შემთხვევაშიც, უკვე „ფაქტობრივ მონაცემებად (გარემოებებად)“ ანუ მტკიცებულებებად იქცეოდნენ. ამდენად, ზემომოყვანილ კონსტიტუციურ ფორმულირებაში მიზანშეწონილად მიმაჩნია მხოლოდ „ეჭვი“, გაუქარწყლებელი (მოუცილებელი) ეჭვი (ეჭვი, რომლის გაქარწყლება კეთილსინდისიერი ცდების მიუხედავად შეუძლებელი შეიქმნა“) ან რაიმე სხვა უფრო მისაღები ფორმა გვეხმარა“[17]

სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობისა და დემოკრატიული

[17] Касумов Ч.С., Презумпция невиновности в советском праве, Баку 1984 стр. 64

სამართალწარმოების დამკვიდრების საწყის სტადიაზე, რომელზედაც ჩვენ ვიმყოფებით, ბუნებრივად მივიჩნევ საკანონმდებლო საქმიანობაში რიგი ხარვეზების არსებობას, მაგრამ, ამავე დროს უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე მოთხოვნების კონსტიტუციასა და სხვა ნორმატიულ აქტებში შეძლებისდაგვარად სრულყოფილი სახით ასახვისათვის აუცილებელი უნდა იყოს სახელმწიფოში არსებული სამეცნიერო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება და საზღვარგარეთული გამოცდილების გაზიარება. მხოლოდ ამის შემდგომ გახდება შესაძლებელი აღნიშნული პრინციპის განუხრელი დაცვის მოთხოვნა, ხოლო მისგან გამომდინარე პროცესუალური გარანტიების იგნორირების შემთხვევაში, დამრღვევ პირებზე სათანადო პასუხიმგებლობის დაკისრება.

ამდენად, რათა უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი არ დარჩეს მხოლოდ დეკლარირებულ ფასეულობად, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტზე მუშაობისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ადამიანის უფლებათა დაცვის ამ უმნიშვნელოვანესი პროცესუალური ინსტიტუტის ფორმულირებისა და მისგან გამომდინარე მოთხოვნების შემდგომი დაზუსტების საკითხებს.

კომენტარი:

სამწუხაროდ, მოვლენები სწორედ ისე განვითარდა, როგორც ეს სტატიაშია ნავარაუდევი. დღესაც, არცთუ იშვიათად, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპიდან გამომდინარე მოთხოვნებს აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალჩინოსნები და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები არღვევენ, სავარაუდო დამნაშავეებსაც ისევ ტელეკამერების წინ აკავებენ და მათ ბრალეულობასაც „უტყუარად დადასტურებულად“ მხოლოდ იმიტომ მიიჩნევენ, რომ „ბრალდებულმა აღიარა დანაშაული“...

ფაქტია ისიც, რომ კანონმდებელმა 2009 წელს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებისას გარკვეულწილად გაითვალისწინა შენიშვნები და კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტი რედაქტირებული სახით გადმოიტანა, მაგრამ პრინციპის არსი, რატომღაც ისევ „პირთან“ და „დამნაშავეობასთან“ მიმართებით ჩამოაყალიბა. მისასალმებელია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ავტორებმა მე-5 მუხლში კონსტიტუციიდან აღარ გადმოიტანეს „უტყუარ მტკიცებულებებთან“ დაკავშირებული ნორმა, თუმცა, სრულიად გაუგებარია აღნიშნულ მუხლში „პირის

თავისუფლების პრეზუმფციის“ ინსტიტუტის სახით მორიგი სადავო „ნოვაციის“ შემოტანა... ამდენად, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის ფორმულირების, მისი არსის მართებულად განმარტების და აღნიშნული პრინციპის გონივრულად გამოყენების საკითხი კვლავ პრობლემატური რჩება, რასაც ადასტურებს საქართველოს სახალხო დამცველის მიერ პარლამენტში წარდგენილი ანგარიში, რომელშიც ხაზგასმულია, რომ „უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა გამოიხატა საქართველოს პროკურატურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გავრცელებულ საჯარო განცხადებებით“. ამასთან, უჩა ნანუაშვილმა აღნიშნა, რომ „საქართველოს კონსტიტუციით დაცული უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა სავალდებულოა, როგორც ბრალდების მხარისთვის, ასევე საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ნებისმიერი წარმომადგენლისთვის“, „საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა და მთავრობის წვრებმა უნდა უზრუნველყონ საჯარო განცხადების გაკეთებისას პირის უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა“ („2015 წელს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის არაერთი ფაქტი გამოვლინდა“, გაზეთი „ახალი თაობა“, 13.06.2016).

როდესაც საქართველოს „უზენაესი კანონის“ მიღებიდან 20 წლის შემდეგ, კონტიტუციის გარდა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცული პრინციპი ასე მასობრივად ირღვევა და სახალხო დამცველს, ფაქტობრივად, სამართლის საფუძვლების („სამოქალაქო განათლების“) პედაგოგის ფუნქციის შეთავსება უწევს, პირველ რიგში, ალბათ, პარლამენტი უნდა დაფიქრდეს, თუ რამდენად გონივრულად არის ფორმულირებული უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი ქართულ სამართალში ან კანონმდებლის მხრიდან რატომ ვერ ხორციელდება ჯეროვანი კონტროლი მთავრობის (აღმასრულებელი ხელისუფლების) საქმიანობაზე?!

კორუფციასთან ბრძოლის საერთაშორისო გამოცდილება და „ქართული“ მოდელი (ჟურნალი „საერთაშორისო სამართალი“, 1998, №3-4)

საუკუნეზე მეტი ხნის წინ, საზღვარგარეთული გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოშიც გადაწყდა მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტის შემოღება. „რუსეთის უკეთეს კაცთაგან და ევროპელ მეცნიერთაგან“ მოწონებული წესი, მაშინდელ ადგილობრივ რეფორმატორებს, ისეთი შეცვლილი სახით შეუთავაზებიათ საზოგადოებისათვის, რომ დიდ ილიას გულისტკივილით აღუნიშნავს: „ჩვენდა სამწუხაროდ, ამასვე ვერ ვიტყვით იმ განსამართლების წესზედ, რომელიც ჩვენში გადაასხვაფერეს, ვითომ შეუსწორეს აქაურ გარემოებას და ისე დაადგინეს... ამ სახით, ტყუილუბრალოდ, ჩვენი ხალხი გამოაკლეს იმ სიკეთეს, რაც განსამართლების წესმა რუსეთს, ცოტათ თუ ბევრად მიანიჭა“.[1]

მსგავსი ვითარება საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგაც არაერთხელ შეიქმნა. ჩვენს კანონმდებელს, ხან ისევ ჩრდილოეთიდან, უფრო მეტად კი დასავლეთიდან გადმოაქვს, პრინციპში, მისაღები მოდელები, მაგრამ, არცთუ იშვიათად ისე უცვლის არსს (ზოგჯერ ამახინჯებს კიდეც...), რომ აპრობირებულ სამართლებრივ ინსტიტუტებსაც კი მიუღებელი სახე ეძლევათ. შედეგად, სამართლებრივი სახელმწიფოს და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის გზაზე მდგარ ქვეყანას, ზოგიერთი „ნოვატორული“ კანონის რეალიზაციის პროცესში მრავალი პრობლემა ექმნება, ხოლო ეფექტს, მოსალოდნელის საწინააღმდეგოს ვიღებთ.

აღნიშნულის ნათელი მაგალითია, თუნდაც მოსკოველი მეცნიერის, იგორ პეტრუხინის დახმარებით შემუშავებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტი საქართველოს პარლამენტმა ჯერ 1997 წლის 25 ნოემბერს მიიღო, შემდეგ არსებითი ცვლილებების შეტანის აუცილებლობის გამო იძულებული შეიქმნა 1998 წლის 20 თებერვალს თავიდან მიეღო. მიუხედავად იმისა, რომ კოდექსი დღემდე აუმოქმედებელია და გაუთავებლად შედის მასში ცვლილება - დამატებები, ზოგიერთი ზოგადსაკაცობრიოდ აღიარებული დემოკრატიული ინსტიტუტი თავად კოდექსის ავტორისთვის, რუსი ექსპერტისთვისაც კი მიუღებელი ფორმით არის ასახული. ამასთან, ჯერჯერობით გაუთვალისწინებელია, როგორც „ჩრდილოეთელ“, ასევე ქართველ იურისტთა რიგი რჩევები სისხლის სამართალწარმოებაში ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით მეტად პრინციპულ საკითხებზე, რაც უთუოდ შეგვიქმნის პრობლემებს ახალი საპროცესო კოდექსის ამოქმედების შემდეგ.

[1] ილია ჭავჭავაძე. „ცხოვრება და კანონი“, ჟურნალი „ივერია“, 1879.

სამწუხაროდ, როგორც ჩანს, მსგავსი ვითარებაა შექმნილი კორუფციასთან ბრძოლის კონცეფციასთან და ახლახან, „შერატონ მეტეხი პალასში“ გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე განსახილველად გამოტანილ კანონპროექტთან („საქართველოს პრეზიდენტთან არსებული კორუფციასთან ბრძოლის სპეციალური სამსახურის შესახებ“) დაკავშირებითაც. ავტორები, ერთი მხრივ, თითქოს ისევ საზღვარგარეთულ, ოღონდ, ამჯერად უკვე აღმოსავლურ (ჰონგ-კონგის) გამოცდილებას ეყრდნობიან, მეორე მხრივ კი, ეტყობა, იმდენად სახეშეცვლილი სახით აპირებენ მის „გადმონერგვას“ თუ „დანერგვას“ (როგორც თავად აცხადებენ, „სრულ იმპლემენტირებას“... თუმცა, გაუგებარია, რა კავშირი უნდა ჰქონდეს საერთაშორისო სამართალში გამოყენებულ ტერმინს აღნიშნული კანონპროექტის განხილვასთან ან თუნდაც მის სრულყოფასთან), რომ ვეჭვობ, კორუფციის სენით მძიმედ დაავადებულმა ჩვენმა ქვეყანამ რაიმე შვება იგრძნოს.

შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჰონგ-კონგის დამოუკიდებელი ანტიკორუფციული კომისიის საქმიანობის გაცნობის შედეგად, კანონპროექტის ავტორებმა „სრულად“, მხოლოდ მთავრობის მეთაურისადმი დაქვემდებარებული კორუფციასთან მებრძოლი დამოუკიდებელი სამსახურის შექმნის იდეა გაიზიარეს. სხვა დანარჩენი, მათ შორის კორუფციასთან ბრძოლის „აღმოსავლური მეთოდი“, სამართლებრივი რეგლამენტაცია და საკანონ-მდებლო ტექნიკა, როგორც ჩანს, უმნიშვნელოდ მიიჩნიეს ან „ქართულ“ მოდელზე მუშაობისას ისე „გადაასხვაფერეს“ და „ვითომ მიუსადაგეს აქაურ გარემოებას“, რომ პარლამენტში განსახილველად გამზადებულ კანონპროექტში მოცემულ სამართლებრივ მექანიზმს უცხოური წარმომავლობა ნამდვილად აღარ ეტყობა.

ვინაიდან, სპეცსამსახურის ამოცანად განისაზღვრა „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა - კორუფციული სამართალდარღვევების თავიდან აცილება, გამოვლენა და აღკვეთა“ (მუხლი 2), ბუნებრივია, პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება ტერმინების „კორუფცია“ და „კორუფციული სამართალდარღვევის“ სამართლებრივი მნიშვნელობის დადგენა-დაზუსტების საკითხს.

1997 წლის 17 ოქტომბერს მიღებულ კანონში „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“, მართალია, ცალკე აღებული ტერმინი „კორუფცია“, რატომღაც, განმარტებული არ არის, მაგრამ კანონის ცალკეული მუხლებიდან გამომდინარე გასაგები ხდება, რომ მასში ნაგულისხმევია „კორუფცია საჯარო სამსახურში“, ანუ „თანამდებობის პირის მიერ, თანამდებობის ან მასთან დაკავშირებული შესაძლებლობის გამოყენება კანონით აკრძალული ქონებრივი ან სხვა სიკეთის მიღების მიზნით, აგრეთვე, მისთვის ამ სიკეთის გადაცემა

ან მის მიღებასა და დაკანონებაში ხელის შეწყობა“ (მუხლი 3.1.). ამავე მუხლის მე-2 პუნქტში კი აღნიშნულია, რომ „კორუფციული სამართალდარღვევა არის ქმედება, რომელიც შეიცავს კორუფციის ნიშნებს და რომლისთვისაც გათვალისწინებულია დისციპლინური, ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა“.

ამდენად, პროექტის მიხედვით, სპეცსამსახურის ძირითად ამოცანას დისციპლინურ, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალდარღვევათა (დანაშაულთა) გამოვლენა-აღკვეთა წარმოადგენს. ამ უკანასკნელთა მიმართ, მოკვლევისა და გამოძიების წარმოების გარდა, სპეცსამსახური ატარებს ე.წ. სამსახურებრივ მოძიებას იმ „კორუფციულ სამართალდარღვევებზე, რომლებიც არ შეიცავენ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან დანაშაულის ნიშნებს“ (მუხლი 5).

შემოთავაზებული კონცეფციის თანახმად, ნებსით თუ უნებლიეთ გამოდის, რომ ანტიკორუფციულმა სპეცსამსახურმა დისციპლინური სამართალდარღვევის (გადაცდომის) ჩამდენიც, შეიძლება „კორუფციული სამართალდარღვევის“ ჩამდენად, ანუ, ფაქტობრივად, „კორუმპირებულად“ ცნოს, რაც ზოგადსაკაცობრიოდ აღიარებული ადამიანის უფლებების, კერძოდ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დარღვევას წარმოადგენს. კონსტიტუციის ძალით, არავის აქვს უფლება ადამიანი, მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, „დამნაშავედ“ (ქურდად, მკვლელად, ტერორისტად...) ან არანაკლებ შეურაცხმყოფელი ფორმით „კორუმპირებულად“ (თუნდაც „კორუფციული სამართალდარღვევის ჩამდენად“) მოიხსენიოს.

აღნიშნულ ვითარებაში, განსაკუთრებით აქტუალური ხდება კორუფციასთან ბრძოლის საერთაშორისო გამოცდილების გაცნობა და თავად კორუფციის ცნების შინაარსის დადგენა. მართალია, ზოგიერთები (მათ შორის, განვითარებულ ქვეყნებშიც) ამ ტერმინს მეტად ფართო (ე. წ. სალიტერატურო) მნიშვნელობით იგებენ და ქრთამის აღებ-მიცემის გარდა, ფაქტობრივად, ყოველგვარი „პატივისცემის“ სინონიმადაც ხმარობენ, მაგრამ თანამედროვე გაგებით (სამართლებრივი მნიშვნელობით) კორუფცია (ლათ. „Corruptio“ -მოსყიდვა) პოლიტიკისა და მმართველობის სფეროში დამკვიდრებული კრიმინალური (სისხლის სამართლებრივი) მოვლენაა და, ძირითადად, ისეთ დანაშაულებრივ საქმიანობას გულისხმობს, რომლითაც სახელმწიფო სამსახურში მყოფი მაღალჩინოსნები ხელისუფლებაში ყოფნას და მათთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს პირადი გამორჩენისათვის იყენებენ.

თანამდებობრივ დანაშაულებთან: ქრთამის აღებასთან, ქრთამის მიცემასთან, მექრთამეობაში შუამავლობასთან, თანამდებობის ბოროტად გამოყენებასთან, უფლებამოსილების გადამეტებასთან და

კანონით აკრძალული საჩუქრის მიღებასთან ერთად, დღეისათვის, კორუფციულ დანაშაულებად მიიჩნევენ განსაკუთრებით დიდი ოდენობის კონტრაბანდას და გადასახადების დაფარვას, საბანკო-საფინანსო მაქინაციებს, ცრუ გაკოტრებას, თაღლითობას მსხვილი ობიექტების პრივატიზაციისას და სახელმწიფო კრედიტების აღებისას, ნარკობიზნესს, იარაღით ვაჭრობას, ე. წ. შავი ფულის გათეთრებას და სხვა უკანონო საქმიანობას (მათ შორის, მაქინაციებს არჩევნებისა ან ე. წ. ტენდერების ჩატარებისას), რომელიც მაღალჩინოსანთა მოსყიდვის გზით ხორციელდება.

ცნობილია, რომ სამართალდარღვევები ხასიათისა თუ სიმძიმის ხარისხის მიხედვით, პირობითად ოთხ სახედ იყოფა. სამოქალაქო სამართალდარღვევების გარდა, ცნობილია დისციპლინური და ადმინისტრაციული სამართალდარღვევები ანუ გადაცდომები და სისხლის სამართალდარღვევები - დანაშაულები. საზოგადოებისათვის განსაკუთრებული საფრთხის შემცველობისა და უმძიმესი შედეგების მოტანის გამო კორუფცია, ძირითადად, სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედებად ითვლება. ისიც ბუნებრივია, რომ შედარებით ნაკლები ზიანის მომტანი ქმედებებისათვის, რომლებიც, შესაძლოა, გარკვეულად ხელს უწყობდეს კორუფციის გავრცელებას და გარეგნული გამოვლინებებით გარკვეულწილად ემსგავსებიან კიდეც მას (შეიცავენ კორუფციის რაიმე ნიშნებს), მათ ჩამდენებს, ადმინისტრაციული ან დისციპლინური პასუხისმგებლობა ეკისრებათ. მაგალითად, დეკლარაციის წარდგენის დაგვიანებისათვის თანამდებობის პირს, შეიძლება სოლიდური ჯარიმა გადაახდევინონ, ხოლო თანამშრომლისაგან საჩუქრის მიღებისა თუ სახელმწიფოს ხარჯზე შედარებით ძვირ სასტუმროში განთავსებისათვის საყვედური გამოუცხადონ ან, თუნდაც, სამსახურიდან გაათავისუფლონ, მაგრამ დამნაშავედ არ ცნობენ (ზოგიერთ ქვეყანაში დიფერენცირება ე. წ. მცირემნიშვნელოვან დანაშაულებადაც ხდება, პასუხისმგებლობის ზომას კი, ყველა შემთხვევაში, მხოლოდ სასამართლო განსაზღვრავს).

კანონმდებელმა საკითხი სხვაგვარადაც შეიძლება გადაწყვიტოს, კერძოდ: ნებისმიერი საჩუქრისა თუ უპირატესობის მიღებაც და დეკლარაციის შევსებაზე უარის თქმაც დანაშაულად ჩათვალოს და მსგავსი სახის გადაცდომების კრიმინალიზაციის გზით (შესაბამისი ქმედებების სისხლის სამართლის კოდექსში შეტანით), მათი ჩამდენების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მექანიზმი აამოქმედოს. ყოველ შემთხვევაში, კორუფციასთან ბრძოლის ამგვარი მეთოდი, უდავოდ, ზედმეტად მკაცრად, თუმცა, შემოთავაზებული „ქართული" მოდელის სამართლებრივ მექანიზმთან შედარებით, მაინც ცივილიზებულად ჩაითვლებოდა.

სწორედ მსგავსი გზა აირჩიეს ჰონგ-კონგში, როდესაც 70-იან წლებში მიიღეს ნორმატიული აქტები („ორდონანსები“) „მექრთამეობის პრევენციის (აცილების) შესახებ“ და „კორუფციისა და უკანონო საქმიანობის შესახებ“. ყოველ შემთხვევაში, ხელისუფლების პოზიცია („პოლიტიკური ნება“) მათში საკმაოდ მკაფიოდ იქნა გაცხადებული. ერთმნიშვნელოვნად განისაზღვრა „საჯარო მოსამსახურის“ ცნება, რომელშიც სახელმწიფოს სამსახურში უშუალოდ მყოფთან ერთად, საჯარო ორგანოს მიერ დაქირავებული პირიც მოიაზრება. ჩამოაყალიბეს „უპირატესობის“ ცნებაც, რომლის შინაარსმა მოიცვა ყოველგვარი სახის საჩუქარი, მომსახურება, მფარველობა, ნებისმიერი ქონებრივი ინტერესი და სხვა სიკეთეები. მხოლოდ ამის შემდეგ, ყოველგვარი „უპირატესობის“ მიღება, შეთავაზება ან გამოძალვა ერთმნიშვნელოვნად ჩათვალეს დანაშაულად, ხოლო მისი ჩამდენი - „ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში“, ანუ დამნაშავედ.[2]

მექრთამეობასთან ერთად დანაშაულად მიიჩნევა „მექრთამეობა კონტრაქტებთან დაკავშირებული დახმარებისათვის“, „მექრთამეობა ტენდერებისა და აუქციონების ჩატარებისას“, „საჯარო მოსამსახურეთა მოსყიდვა იმ პირთა მიერ, რომელთაც საქმიანი ურთიერთობა აქვთ საჯარო ორგანიზაციებთან“ და სხვა. ორდონანსმა მექრთამეობის (კორუფციის) პრევენციის შესახებ (კორუფცია, ხშირად, ყველაზე გავრცელებული კორუფციული დანაშაულის - მექრთამეობის სინონიმად გამოიყენება) „გააფართოვა კორუფციული დანაშაულის ცნება“ და თანამდებობის პირების მიერ ჩადენილ დანაშაულთან ერთად კორუფციად მიიჩნია სხვის ინტერესებში მოქმედ პირთან - „აგენტთან კორუმპირებული გარიგებები“.[3]

საგულისხმოა, რომ დანაშაულად გამოცხადდა „დაუსაბუთებელი ქონების ფლობაც“, ანუ ცხოვრების უფრო მაღალი, არსებულ თუ წარსულში მიღებულ ოფიციალურ შემოსავლებთან შეუსაბამო დონე ან იმ ღირებულების ქონების განკარგვა, რომელიც არ შეესაბამება ოფიციალურ შემოსავლებს, თუ თავად თანამდებობის პირი არ წარუდგენს სასამართლოს დამაკმაყოფილებელ ახსნა-განმარტებას ამ ქონების წარმომავლობასთან დაკავშირებით. ამასთან, იმ გარემოებასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ ქრთამის მიმცემიც და ამღებიც დამნაშავედ ჩაითვალა, მიუხედავად იმისა, განხორციელდა თუ არა დანაშაულებრივი მიზანი.

ჰონგ-კონგის გამოცდილებაში აღსანიშნავია ის უმკაცრესი სასჯელები, რომლებიც დაწესდა კორუფციული დანაშაულის ჩამდენთა მიმართ. 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთასთან და

[2] ჰონგ-კონგის დამოუკიდებელი ანტიკორუფციული კომისია: ჩამოყალიბება, ორგანიზაცია და საქმიანობა, თბილისი, 1999, გვ. 23-24

[3] იქვე. გვ. 26

ქონების კონფისკაციასთან ერთად, დამატებითი სანქციების სახით შემოღებულ იქნა ჯარიმები 20, 50, 100 და 500 ათასი ჰონგ-კონგური დოლარის ოდენობით, ხოლო „დაუსაბუთებელი ქონების" ფლობისა და განკარგვისათვის - 1 მილიონიც კი (დაახლოებით 200000 აშშ დოლარი). ამასთან, ამ სასჯელებთან ერთად, სასამართლოს უფლება მიეცა დამნაშავეს დააკისროს სახელმწიფოს სასარგებლოდ „ნებისმიერი თანხის გადახდა, რომელიც არ აღემატება მის ფულად შემოსავალს" ან „მისი კუთვნილი იმ ქონების ღირებულებას, რომლის წარმოშობის საფუძველს დამაჯერებლად ვერ დაუსაბუთებს სასამართლოს".

მეორე ორდონანსით „კორუფციისა და უკანონო საქმიანობის შესახებ", ერთმნიშვნელოვნად განისაზღვრა, თუ რომელ ქმედებებს მიიჩნევდა კანონმდებელი დანაშაულად საარჩევნო კამპანიების მიმდინარეობის დროს. ასევე, დადგინდა მკაცრი სასჯელები არჩევნებთან დაკავშირებული კორუფციისა და სხვა უკანონო საქმიანობისათვის.

ამის შემდგომ, 1974 წელს ჩამოყალიბებულ დამოუკიდებელ ანტიკორუფციულ კომისიას, მართალია, დაევალა „კორუფციული სამართალდარღვევების" წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ ჩვენში შემუშავებული მოდელისაგან განსხვავებით, ჰონგ-კონგურში ნათლად ჩანს, რომ „კორუფციულ სამართალდარღვევაში" ერთმნიშვნელოვნად ესმით „დანაშაულებრივი ქმედება" - დანაშაული. კორუფციის კვლევის ცენტრიც გვამცნობს, რომ კორუფციის პრევენცია ნიშნავს ისეთ „დანაშაულთა თავიდან აცილებას, როგორიცაა მექთამეობა და სხვა კორუფციული გარიგებები". ამასთან, „კომისია, აგრეთვე, ებრძვის ისეთ დანაშაულებსაც, როგორსაც წარმოადგენს დაუსაბუთებელი ქონების ფლობა, თანამდებობრივი უფლებების ბოროტად გამოყენება და დანაშაულთა დაფარვა. უპირატესობათა გამოძალვა, უპირატესობის მიღება ან სხვებისთვის მინიჭება ყველაზე მთავარი დანაშაულთაგანია, რომლის წინააღმდეგ კომისია აქტიურ ძიებას ახორციელებს".[1]

იმავე პუბლიკაციის მიხედვით, ჰონგ-კონგის ანტიკორუფციული კომისია „მოიკვლევს და გამოიძიებს იმ დანაშაულებრივ ქმედებებს, რომლის თაობაზე შემოსულია ინფორმაცია ან არსებობს საფუძვლიანი ეჭვი". ამასთან, თუ „ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე" (იმ შემთხვევაში, როდესაც კომისიის თავმჯდომარეს „საკმარისი საფუძველი აქვს ივარაუდოს კორუფციული სამართალდარღვევის ჩადენა"), ეჭვმიტანილს (ბრალდებულს) არ ეზღუდება საერთო სამართლით მინიჭებული უფლებები (მაგალითად, ისარგებლოს დამცველის დახმარებით). ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა სავარაუდო დამნაშავის მიმართ აღიძვრება მხოლოდ „გენერალური ატორნეის"

[1] კორუფციის კვლევის ცენტრი, საინფორმაციო ბიულეტენი, 1998, N2, გვ. 6

(განსაკუთრებულ საქმეებზე სახელმწიფო ბრალმდებლის) თანხმობით, ხოლო ბრალდებული პირისათვის გამტყუნებული განაჩენი მხოლოდ სასამართლოს გამოაქვს.

ამდენად, ყოველივე ზემოხსენებულის საფუძველზე, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ჰონგ-კონგში კორუფცია, ერთმნიშვნელოვნად, დანაშაულად (სისხლის სამართალდარღვევად) არის გაგებული და მასთან ბრძოლა სისხლის სამართალწარმოების წესით წარმოებს. ყოველ შემთხვევაში, ნათლად ჩანს, რომ დისციპლინარული და ადმინისტრაციული გადაცდომების „მოძიება“ ან საზოგადოებისთვის ნაკლებად საშიში კორუფციული სამართალდარღვევების ჩამდენთა (მაგ., მექრთამე „ავტოინსპექტორების“ ან „სახლმმართველების“) მხილება ანტიკორუფციული კომისიის ფუნქციებში არ შედის.

ობიექტურობისათვის, ისიც უნდა შევნიშნო, რომ რიგ შემთხვევებში, „შორეულ აღმოსავლეთში“ ადამიანის უფლებები, ე. წ. საბჭოთა სამართალთან შედარებითაც კი, გაუმართლებლად არის შეზღუდული (მაგალითად, გამამართლებელი გარემოებების მტკიცების მოვალეობა თავად ბრალდებულს ეკისრება. ანუ, ე. წ. მტკიცების ტვირთი აწევს).

სრულიად განსხვავებულად წყდება საკითხი ევროპისა და ამერიკის განვითარებულ ქვეყნებში, სადაც დისციპლინარულ გადაცდომებთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება შესაბამისი რეგლამენტებით, პროცედურული რეკომენდაციებით, წესდებებით, საქმიანობისა და ქცევის (ეთიკის) კოდექსებით. ამასთან, რიგ შემთხვევებში, შემუშავებულია დისციპლინური სამართალწარმოების მომწესრიგებელი ნორმატიული აქტები და შექმნილია სპეციალური ორგანოები ეთიკის ნორმების დარღვევისა თუ უდისციპლინობის ფაქტებში გასარკვევად და დამრღვევთა მიმართ შესაბამისი სანქციების გამოსაყენებლად (მაგალითად, შესაბამისი კომისიები, კომიტეტები ან ტრიბუნალები აშშ-ში, საფრანგეთსა და იტალიაში, ან თუნდაც, ეთიკის საქმეთა კანცლერი კანადაში. ეს მაკონტროლებელი ორგანოები, ძირითადად უწყებრივი პრინციპით კომპლექტდება, თუმცა გამორიცხული არ არის მათში საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობაც).

აღნიშნულ ორგანოებში ეთიკის ნორმებისა თუ დისციპლინის დამრღვევთა მიმართ, ფაქტობრივად ჩადენილი გადაცდომის სიმძიმის ხარისხის შესაბამისად, წყდება საკითხი დისციპლინური სანქციების გამოყენების შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დისციპლინური გადაცდომის საქმის წარმოებისას, უფლებამოსილი პირი, ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლებრივი (მაგალითად, კორუფციული სამართალდარღვევის (დანაშაულის) ნიშნებს შეამჩნევს, საქმეს გადასცემს იმ სამართალდამცავ ორგანოს, რომლის

იურისდიქციაში შედის დანაშაულთა თუ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების მოკვლევა-გამოძიება.

ამდენად, კორუფციის (კორუფციული დანაშაულის) წინააღმდეგ ბრძოლა, ყველა შემთხვევაში, მკაფიოდ არის გამიჯნული დისციპლინურ გადაცდომებზე რეაგირებისაგან და, რასაც უაღრესად პრინციპული მნიშვნელობა აქვს, სხვადასხვა სიმძიმის ქმედებები არსებითად განსხვავებული მექანიზმებით რეგლამენტირდება. პირველს ე.წ. სამართალდამცავი ორგანოები ავლენენ და აღკვეთენ (ახორციელებენ სისხლის სამართლებრივ დევნას), მეორეს კი, სრულიად სხვა ორგანოები იკვლევენ (დისციპლინური სამართალწარმოების წესით).

ყველა შემთხვევაში, კორუფციასთან (დანაშაულთან) ბრძოლის გამოცდილება, ფორმები და მეთოდები (ისევე, როგორც ეკონომიკური რეფორმის სამართლებრივი ბაზა), სავსებით შესაძლებელია, დასავლეთიდანაც და აღმოსავლეთიდანაც გადმოვიღოთ. თუმცა, ეს გონივრულად უნდა მოვიმოქმედოთ და ადგილობრივი თავისებურებებიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისევ ილიას დროინდელი „გადასხვაფერება“ არ გამოგვივიდეს (პირადად უპირატესობას „დასავლურ“ მოდელს ვანიჭებ, მაგრამ ჩვენს პირობებში არც ერთგვარი სიმბიოზი უნდა იყოს მიუღებელი, მით უმეტეს, თუ ორივედან პროგრესულსა და სადღეისო ეტაპზე მისაღებს გადმოვიღებთ).

ამასთან, ცხადია ისიც, რომ ან ჰონგ-კონგელებივით უნდა მოვიქცეთ და კანონმდებლის აზრით მიუღებელ ყოველ კორუფციულ ქმედებას დანაშაული ვუწოდოთ (მათ შორის, კორუფციული შინაარსის მქონე შედარებით უმნიშვნელო დისციპლინურ გადაცდომებსაც. მაგალითად, თუ მინისტრმა ოფიციალურ მივლინებაში სახელმწიფოს ხარჯზე მეუღლე ისეთ ვითარებაში გაიყოლა, როდესაც თანხლება არ გამომდინარეობდა სახელმწიფოს ინტერესებიდან ან, თუნდაც უფლებამოსილების პერიოდში წიგნი გამოსცა საკუთარი თანამდებობრივი გამოცდილების შესახებ და ჰონორარი აიღო) და სისხლის სამართლის კოდექსში შევიტანოთ ან ცალკე კანონში უნდა ჩამოვაყალიბოთ ყოველგვარი „კორუფციული სამართალდარღვევები“ და სამართალდამცავებს ან სპეცსამსახურებს ამ „სპეციფიკური“ სახის „კორუფციული დანაშაულების“ აღკვეთაც დავავალოთ.

არსებობს სხვა გამოსავალიც: „დასავლური“ გზა ავირჩიოთ და მკაფიოდ გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადი „კორუფციული ქმედებები“, შედარებით უმნიშვნელო ზიანის მომტანი სხვა დანარჩენებისაგან (ფაქტობრივად, მცირემნიშვნელოვანი კორუფციული ხასიათის გადაცდომების „დეკრიმინალიზაცია“ მოვახდინოთ). ამასთან, შესაძლებელია, ამ უკანასკნელთაც

დიფერენცირებულად მივუდგეთ და ზოგიერთ შედარებით მძიმე გადაცდომებზე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით დავადგინოთ სანქციები, დანარჩენები კი დისციპლინარული წარმოების ან ეთიკის ნორმებით ვარეგულიროთ.

ყველა ზემოთაღნიშნულ შემთხვევაში, „სპეცსამსახურებსაც“ და სხვა სამართალდამცავ ორგანოებსაც ერთმნიშვნელოვნად ეცოდინებათ, თუ რას უნდა ებრძოლონ და რა მეთოდები გამოიყენონ.

ამდენად, თუ ერთის მხრივ, ზემოაღნიშნული ორივე გზით სიარულს შეიძლება გამართლება მოეძებნოს, ყოვლად მიუღებლად მესახება ის მექანიზმი, რომელიც საქართველოს ანტიკორუფციული სპეცსამსახურის შესახებ კანონპროექტის ავტორებმა შემოგვთავაზეს და საკმაოდ მცირერიცხოვანი კადრებით (30-მდე კაცით) მიზნად ისახავს, ფაქტობრივად, ყველას და ყველაფრის (დისციპლინურ, ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ) დევნას თუ „მოძიებას“ (არადა, როგორც ცნობილია, ჰონგ-კონგში კორუფციის აღსაკვეთად თავიდანვე, არანაკლებ ათასი სამართალდამცავი იქნა მობილიზებული...). როგორც ჩანს, კორუფციასთან ბრძოლის „ქართული მოდელი“ მეტად სადავო კონცეფციას ეფუძნება და ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაოდ მიღებული ნორმების იგნორირებასაც დასაშვებად მიიჩნევს.

დაუშვებლად მიმაჩნია, „კორუფციული სამართალდარღვევის“ სახით მეტად ბუნდოვანი სამართლებრივი ინსტიტუტის შემოტანა კანონში „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ დასპეცსამსახურის მხრიდან, ყველა თანამდებობის პირის მიმართ, ფაქტობრივად, ტოტალური მაკონტროლებლის თუ ზედამხედველის ფუნქციის შესრულება.

კორუფციაში („კორუფციულ სამართალდარღვევაში“), ერთმნიშვნელოვნად „კორუფციული დანაშაული“, ანუ სისხლის სამართალდარღვევა (დანაშაული) უნდა გავიგოთ. ამასთან, კორუფციულ ქმედებად, შეიძლება, ნებისმიერი ქმედება მოვიხსენიოთ, ოღონდ, ამისათვის ის ჯერ სისხლის სამართლის კოდექსში უნდა აისახოს. ჯერჯერობით კი (იმედი მაქვს, სამომავლოდაც...) კორუფციის ჩამდენ პირად - „კორუმპირებულად“ მხოლოდ ის პირი იქნებოდა მიჩნეული, რომლის მიერ კონკრეტული დანაშაულის ჩადენა კანონით გათვალისწინებული წესით დამტკიცდებოდა და დადგინდებოდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით.

ამასთან, „კორუფციული დანაშაულები“ (მაგალითად, ქრთამის აღება, თანამდებობის ბოროტად გამოყენება თუ კანონით აკრძალული საჩუქრის აღება) კანონით განისაზღვრებოდა და თავად ტერმინი „კორუფცია“ გაგებული იქნებოდა, როგორც დედუქციური, წმინდა

იურიდიული ტერმინი (უფრო ზოგადის შეზღუდვით მიღებული), რომლის თვალსაჩინო-აღქმით საყრდენად სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულ ნორმათა დისპოზიციებს მოვიაზრებდით. ამასთან, კორუფციული დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტი (თანამდებობის პირი) სპეციალური ნიშნით იქნებოდა გამორჩეული (ბუნებრივია, ზემოაღნიშნული მსჯელობა არ ეხება ტერმინ „კორუფციის" ე. წ. ფართო, ანუ სალიტერატურო გაგებას).

ამდენად, მხარს ვუჭერ რა დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სპეციალური სამსახურის შექმნის იდეას, ამასთან, მისი საქმიანობის შემოთავაზებულ რეგლამენტაციას ერთმნიშვნელოვნად მცდარად მივიჩნევ. სპეცსამსახურის ძირითად ამოცანად კორუფციულ დანაშაულთა გამოვლენა-აღკვეთა უნდა განისაზღვროს, ხოლო დისციპლინური თუ ადმინისტრაციული გადაცდომის ფაქტები (ან თუ ვერ მოხერხდა კორუფციაში ბრალდების წაყენებისათვის საკმარისი მტკიცებულებების მოპოვება) შესასწავლად (მოკვლევა-მოსაძიებლად), შესაბამის სტრუქტურებს ან ორგანოებს (ეთიკის კომისიებს ან თანამდებობის პირებს) უნდა გადაეცეთ.

უკიდურეს შემთხვევაში, ზოგიერთი სახის დისციპლინური სამართალდარღვევა შეიძლება „კორუფციული ხასიათის დისციპლინურ გადაცდომათ" ან სხვა შესაბამისი ტერმინით აღვნიშნოთ. ამასთან, ერთმნიშვნელოვნად უნდა განვსაზღვროთ, რომ ეს „კორუფციული დანაშაული" (კრიმინალი) არ არის და მისი ჩამდენი პირის „კორუმპირებულად" მოხსენიება (სასამართლოს გარეშე) დაუშვებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, თავიდანვე შეიძლება, მაღალი ალბათობით ვივარაუდოთ, რომ კორუფციასთან „ბრძოლის" შემოთავაზებული „ქართული მოდელი" არანაირ შედეგს არ გამოიღებს და როგორც არაერთგზის მოხდარა კამპანიურობაზე, ძირითადად კი „დაგეგმილი" რაოდენობრივი მაჩვენებლების გამოდევნებაზე იქნება ორიენტირებული. შედეგად, გარდა იმისა, რომ კორუფციასთან ბრძოლის საბაბით მოხდება ადამიანის უფლებების გაუმართლებელი ხელყოფა, გამოვლენილ „კორუფციულ სამართალდარღვევათა" ხვედრით წილში აბსოლუტური უმრავლესობა შედარებით უმნიშვნელო დისციპლინური თუ ადმინისტრაციული გადაცდომები იქნება.

არ უნდა იყოს სადავო, რომ კორუფციასთან ბრძოლის სამართლებრივად მოწესრიგების მცდელობის დროსაც, უპირველესად, ისევ ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვაზე და სახელმწიფო ინტერესებზე უნდა ვიფიქროთ. ცხადია ისიც, რომ კანონპროექტი (ისევე, როგორც კანონი) იდეალური ვერ იქნება და მისი სრულყოფა შემდგომშიც შეიძლება. მაგრამ, არც იმაში მეპარება ეჭვი, რომ ცივილიზებული ქვეყნის პარლამენტში მიღებული

კანონი შეძლებისდაგვარად სრულყოფილი უნდა იყოს. საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაცია-დახმარებისათვის საზღვარგარეთელ ექსპერტებსაც უნდა მივმართოთ, მაგრამ, პირველ რიგში, ქართველი სპეციალისტების თვალსაზრისით უნდა დავინტერესდეთ.

ამასთან, იკვეთება საშიშროება, კანონპროექტის წარმოდგენილი სახით დამტკიცების შემთხვევაში, კორუფციასთან ბრძოლამ მორიგი პოპულისტური კამპანიის სახე მიიღო და, ერთი შეხედვით, თითქოს კეთილშობილურ მიზანს, მრავალი უდანაშაულო ადამიანის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია შეეწიროს. საქართველოს პარლამენტის მხრიდან კი, კიდევაც რომ იყოს „პოლიტიკური ნება" და აქტიური ხელშეწყობა, დარწმუნებული ვარ, მოუწესრიგებელი სამართლებრივი ბაზის გამო, კორუფციის დასაძლევად მიმართული ყოველგვარი ძალისხმევა ფუჭი აღმოჩნდება და საზოგადოებაში, შესაძლოა, კიდევ უფრო განმტკიცდეს ისედაც მყარად ფესვგადგმული სამართლებრივი ნაჰილიზმი.

კომენტარი:

მიუხედავად იმისა, რომ 1998-1999 წლებში „საქართველოს პრეზიდენტთან არსებული კორუფციასთან ბრძოლის სპეციალური სამსახურის შესახებ" კანონპროექტიც მომზადდა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობაც თანახმა იყო „ანტიკორუფციული სპეცსამსახური" 5 წლის განმავლობაში დაეფინანსებია, „მოქკავშირელებით" დაკომპლექტებულ პარლამენტში კენჭისყრისას კანონპროექტმა საკმარისი ხმები ვერ დააგროვა და აღარც შემდეგში გამოუხატავს ვინმეს მისი მიღების „პოლიტიკური ნება"... სამაგიეროდ, საქართველოს პრეზიდენტთან (შევარდნაძესთან) ჯერ ანტიკორუფციული „შვიდკაცა" შეიქმნა, შემდგომ 11-კაციან კომისიად გარდაიქმნა, თუმცა ქვეყანაში კორუფციის მასშტაბები არ შემცირებულა... „ვარდების რევოლუციის" შემდეგ კი კორუფცია „ელიტური" გახდა, ანუ, ძირითადად, ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში გადაინაცვლა და სახელმწიფოებრიობას შეუქმნა საფრთხე. ხოლო, 2012 წელს ხელისუფლებაში მოსულმა „ქართულმა ოცნებამ" წინასაარჩევნოდ „სამართლიანობის აღდგენის" თაობაზე გაცემული დაპირებებიც მიივიწყა, „ნაციონალური მოძრაობის" კორუმპირებულ მესვეურებთან ე. წ. კოჰაბიტაცია ამჯობინა და ამჯარად „დაუსაბუთებელი ქონებაც" კი არავის ჩამოართვა...

სადავო „ნოვაცია“ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (ჟურნალი „მართლმსაჯულების მაცნე“, 1998, №1)

მოთხოვნა, რომ „ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას“,[1] არ გვავალდებულებს კონსტიტუციური ნორმების კანონებში სიტყვა-სიტყვით გადატანას. მთავარია, უზრუნველვყოთ უზენაეს კანონში მოცემული ინსტიტუტების არსის სწორად გადმოცემა. საქართველოში სამართლებრივი რეფორმის ფარგლებში მიმდინარე საკანონმდებლო საქმიანობა საშუალებას გვაძლევს კოდექსების მიღების პროცესში გამოვასწოროთ ზოგიერთი კონსტიტუციური ხარვეზი, რომელიც სიჩქარეში იქნა დაშვებული.

კონსტიტუციურ ფორმულირებებში გარკვეული კორექტივების შეტანას რომ არც სამართალმცოდნეები და პარლამენტარები მიიჩნევენ მიუღებლად, ცხადად ჩანს ახლახან მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 და საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლების შედარებისას. სამწუხაროდ, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის ძირითადი მოთხოვნების ამსახ-ველი კონსტიტუციური დებულებების, გარკვეულად სახეცვლილ, საპროცესო კოდექსში შემოთავაზებულ ვარიანტს გაუმჯობესებულად ნამდვილად ვერ მივიჩნევ. პირიქით, საბაზისოდ აღებული, თავისთავად არასრულყოფილი ნორმები, კოდექსში გადატანისას ერთი მიუღებელი მოთხოვნითაც შეიავსო.

ჟურნალის სპეციფიკიდან გამომდინარე, მუხლის მთლიანობაში განხილვას არ შევუდგები და ყურადღებას მხოლოდ იმ „ნოვაციაზე“ შევაჩერებ, რომლითაც კონსტიტუციის მე-40 მუხლის მეორე პუნქტში მოცემულ ფორმულირებას ახალ საპროცესო კოდექსში დაემატა მოთხოვნა, რომ „ბრალმდებელს უფლება აქვს უარი თქვას ბრალდებაზე“. აღნიშნული დებულება თავისთავად საკამათო არაა, ისევე, როგორც, მაგალითად, მოსამართლის უფლება გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი, მაგრამ პრინციპულ მნიშვნელობას სწორედ იმ გარემოებას ვანიჭებ, თუ რამ განაპირობა და რამდენად აუცილებელი იყო ამგვარი შინაარსის ნორმის შემოტანა.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ დებულებას უდანაშაულობის პრეზუმფციის ძირითად მოთხოვნად არ მივიჩნევ, ხოლო ამ პრინციპთან დაკავშირებული, მრავალი სხვა, მსგავსი საპროცესო ნორმაც მოიძებნებოდა, შეიძლებოდა, მისთვის ყურადღება არ მიგვექცია, რომ არა ერთობ საგანგაშო ვითარება. ვფიქრობ, სავსებით გამიზნულად შემოტანილი ამ დებულების ძირითადი დანიშნულება კოდექსის იმ მომდევნო მუხლებში იკვეთება, რომლებშიც პროკურორის,

[1] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 6. თბილისი, 1995.

ერთი შეხედვით, თითქმის, სრულიად ბუნებრივი უფლება, მისი რეალიზაციის შემთხვევაში, რატომღაც, სასამართლოსადმი სავალდებულო ძალის მქონე ნორმებად გარდაიქმნება. კერძოდ, მხედველობაში მაქვს კოდექსის ის მუხლი, რომლითაც „ბრალდებულის უარი ბრალდებაზე ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში იწვევს სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას ან 504-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში - გამამართლებელი განაჩენის გამოტანას“ (მუხლი 14.6). აქვე უნდა შევნიშნო, რომ კანონპროექტში თავდაპირველად საქმის „დაუყოვნებლივ შეწყვეტაზე“ იყო ლაპარაკი, ხოლო შემდგომ კანონმდებელი, როგორც ჩანს, გარკვეულ „კომპრომისზე“ სხვა მუხლების მიმართაც წასულა და მაგალითად, 24-ე მუხლიდან ამოუღია დებულება: „პროკურორის მიერ ბრალდების შეცვლა ამ ბრალდებაზე უარი სავალდებულოა მოსამართლისთვისაც“, თუმცა, ამასთან, მაინც შეინარჩუნა არანაკლებად სადავო მოთხოვნა, რომ „თუ პროკურორი სასამართლოში უარს იტყვის ბრალდებაზე, სასამართლო ვალდებულია შეწყვიტოს სისხლის სამართლის საქმე ან გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი“ (მუხლი 24.8) პროკურატურის „უზენაესობა“ განმტკიცებულია კოდექსის სხვა მუხლებშიც. მაგალითად, 446-ე მუხლის მეოთხე პუნქტის თანახმად, „ბრალდებაზე პროკურორის უარის შემთხვევაში, თუ ბრალდების მხარდაჭერაზე უარი თქვა დაზარალებულმაც, სასამართლო წყვეტს სისხლის სამართლის საქმის წარმოებას“, რაც მიუღებლად მესახება.

წარმოუდგენელია, ეს მექანიზმი საპროცესო კოდექსის პროექტის ავტორად მოხსენიებულ ცნობილ რუს მეცნიერს, იგორ პეტრუხინს ეკუთვნოდეს ან თუნდაც მის მიერ იქნეს მოწონებული, ვინაიდან სასამართლო ხელისუფლებისა და გამოძიების ორგანოების ურთიერთდამოკიდებულებისადმი მიძღვნილ პუბლიკაციაში სრულიად საწინააღმდეგო თვალსაზრისი აქვს გამოთქმული. კერძოდ, განიხილავს რა ფრანგულ მოდელს, სადაც პროკურორი ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის უფლების გარეშე, სტატიის ბოლოს დაასკვნის, რომ „სასამართლო კონტროლი უნდა ვრცელდებოდეს საგამოძიებო ორგანოების საბოლოო გადაწყვეტილებებზე სისხლის სამართლის საქმეების, როგორც არასარეაბილიტაციო, ასევე სარეაბილიტაციო საფუძვლებით შეწყვეტის შესახებ“. იქვე კი, მაგალითისათვის, რევოლუციამდელი რუსეთის სისხლის სამართლის პროცესსაც იშველიებს, როდესაც გამოძიების წარმმართველს შეეძლო აღეძრა სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ მისი შეწყვეტის უფლება სასამართლოს გარეშე არ ჰქონდა.[2]

[2] Петрухин И.Л. Судебная власть и расследование преступлений. Журнал „Государство и право“, 1993, N 7, стр. 90.

ძნელი დასაჯერებელია, რომ მეცნიერი, რომელიც ადამიანის უფლებათა დარღვევის ყველაზე დიდ საშიშროებას სწორედ წინასწარი გამოძიების სტადიაზე და განსაკუთრებით კი პროკურატურისადმი დაქვემდებარებული გამოძიების პირობებში ხედავს, ამასთან, ერთადერთ გამოსავლად გამოძიებისა და ბრალდების ფუნქციათა გამიჯვნა და სამართალწარმოების ამ სტადიაზე სასამართლო ხელისუფლების მხრიდან კონტროლის განხორციელება ესახება, შეგუებოდა პროკურორის გადაწყვეტილების სასამართლოსადმი სავალდებულობის იდეას, რომელიც რეალიზებულ იქნა საქართველოს ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში.

ვფიქრობ, ამ შემთხვევაში, ჩვენი კანონმდებელი ინგლისურ-ამერიკული სამართლის გავლენას განიცდის, მაგრამ, რატომღაც, ისევე როგორც ამ ათიოდე წლის წინ, ყოფილი სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის ავტორებივით, ეს ინსტიტუტი ცალმხრივად გაუგია და მხოლოდ პროკურატურის ინტერესების გათვალისწინებით შემოუტანია, მაშინ, როდესაც რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტში, რომელიც უკვე მესამე წელია იხილება, სრულიად ახლებური მიდგომაა ასახული და გარკვეული საფუძვლების არსებობისას „მოსამართლეს შეუძლია შეწყვიტოს საქმე", მაგრამ სრულებით არ არის ვალდებული ასე მოიქცეს.[3] ამასთან, როგორც ჩანს, ჩვენი კოდექსის ავტორებს (თუ თანაავტორებს) არც გაუთვალისწინებიათ, რომ ამერიკელი მეცნიერებიც შენიშნავენ რიგ ხარვეზებს სისხლის სამართალწარმოების პრაქტიკაში და თვლიან, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი მათთან შეზღუდული სახით მოქმედებს და რომ ყოფილ საბჭოთა სამართალში აღნიშნული პრინციპი გაცილებით ფართოდ იყო განმარტებული.[4]

უდავოდ ანგარიშგასაწევი ფაქტია, რომ რუსი მეცნიერების - ნ. ალექსეევის, ვ. დაევის, ვ. ლუკაშევიჩისა და მ. მარშუნოვის აზრით, „სასამართლო არ არის შებოჭილი პროკურორის პოზიციით, უკავია აქტიური პოზიცია და დამოუკიდებელი ადგილი სისხლის სამართლის საქმეთა გადაწყვეტისას, შინაგანი რწმენისა და სასამართლოზე დადგენილი ფაქტების საფუძველზე. ბრალმდებლის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაში, სასამართლოს ვალდებულება - გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი - ხაზს გადაუსვამდა სასამართლოს დამოუკიდებლობასა და უზენაესობას, ხოლო პროკურორს ჩააყენებდა

[3] Проект УПК РФ, Министерство Юстиции РФ, статья 254, Москва, 1995.

[5] Флетчер Дж. Презумпция невиновности, ж-л „Государство и право,,6 1989, 11, стр. 132. Квигли Дж. Презумпция невиновности и Американского Право, ж-л „Государство и право,, 1990, 12, стр. 156

უპირატეს მდგომარეობაში პროცესის დანარჩენ მონაწილეებთან მიმართებაში".[5] ვ. ბასკოვის აზრით, „გამამართლებელი განაჩენი შეიძლება გამოტანილ იქნას იმ შემთხვევაშიც, როდესაც პროკურორი ითხოვს გამამტყუნებელს და პირიქით".[6]

მსგავსი შეხედულებები გააჩნიათ სხვა მეცნიერებსაც. მაგალითად, ა. ლარინი თვლის, რომ „სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის საკითხი აუცილებლად სასამართლოში უნდა გადაწყდეს, რათა „უზრუნველყოფილ იქნას ჭეშმარიტების დადგენა, ამავე დროს კი დაცული იყოს ბრალდებულის (ეჭვმიტანილის) უფლებები და კანონიერი ინტერესები. ყოველივე ეს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის თანმიმდევრული განხორციელების გარანტიებია. საქმის სასამართლოს გარეშე გადაწყვეტისას ეს გარანტიები არ არსებობს".[7] სისხლის სამართლის საქმეთა შეწყვეტაზე სასამართლო კონტრო-ლის გავრცელებას მხარს უჭერს ი. ლიბუსიც,[8] ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში - ა. ფალიაშვილიც.[9]

ყოვლად დაუშვებლად მივიჩნევ საქმის შეწყვეტის უფლე-ბამოსილების პროკურატურისადმი მინიჭებას, განსაკუთრებით იმ ვითარებაში, როდესაც სრულიად გაუმართებლად, ახალ საპროცესო კოდექსშიც იქნა შენარჩუნებული სისხლისამართლებრივ დევნაზე უარის თქმის ტოტალიტარიზმის დროინდელი ისეთი საფუძვლები, როგორებიცაა: „დანაშაული მცირემნიშვნელოვნად არის ცნობილი" და „საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების შეცვლის შედეგად ქმედება აღარ არის საშიში" (მუხლი 28.1, ქვეპუნქტები პ და ჟ) გარდა იმისა, რომ თავად ეს ფორმულირებებია მეტად ბუნდოვანი და რეალიზაციის პროცესში თვითნებობისათვის მეტად ფართო შესაძლებლობებს ქმნიან, კოდექსში მოცემული მექანიზმით სახელმწიფო პროკურატურას ქმედების დეკრიმინალიზაციის („აღარ არის საშიში", „მცირემნიშვნელოვანია") ანუ კანონმდებლის ფუნქციასთან ერთად, ფაქტობრივად, მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოს ფუნქციასაც აკისრებს და სავარაუდო დამნაშავის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების უფლებასაც ანიჭებს. ამასთან, როგორც ჩანს, აღნიშნულ ფუნქციებს პოლიტიკური პოლიციის - ჟანდარმერიის ამპლუაც ემატება და პროკურატურას, ქმედების საშიშროების შეფასებასთან ერთად, სახელმწიფოში

[6] К разработке проекта основ уголовно-пролцесуального законодательства, ж-л „Государство и право,, 1990, 9, стр. 84

[7] Ларин А.М. Презумпция невиновности. М. 1978, стр. 112

[8] Либус И. А. Презумпция невиновности в советском уголовном процессе. Ташкент, 1981, стр. 194

[9] აპოლონ ფალიაშვილი, უდანაშაულობის პრეზუმფცია, როგორც სისხლის სამართლის პროცესის კონსტიტუციური პრინციპი, ჟურნალი. „სამართალი», 1983, N5, გვ. 37

შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გათვალისწინება და სათანადო ზომების მიღებაც მოეთხოვება (სხვათა შორის, რუსეთის საპროცესო კოდექსის პროექტი საქმის შეწყვეტის აღნიშნულ „რუდიმენტულ" საფუძვლებს არ ითვალისწინებს).

ზემოთ მოყვანილი ფორმულირებები, აგრეთვე, ახალი საპროცესო კოდექსის ის მუხლები, რომლებითაც ბრალმდებლის უარი სავალდებულო ხდება მოსამართლისათვის ეწინააღმდეგებიან, როგორც საქართველოს კონსტიტუციის დებულებებს (მუხლები 82.3 და 84.1), ასევე კოდექსშივე მოცემულ კონსტიტუციურ პრინციპებს სასამართლო ხელისუფლების უზენაესობისა და დამოუკიდებლობის (მუხლი 8) და საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევის აუცილებლობის შესახებ (მუხლი 18). ამასთან, ისიც უნდა შევნიშნო, რომ აშკარა შეუსაბამობა იყო, აგრეთვე, საპროცესო კოდექსის პროექტში მოცემულ მოთხოვნასთან, რომლითაც „სასამართლოს ეკისრებოდა კონტროლის ფუნქცია საქმის შეწყვეტისადმი".[10] სამწუხაროდ, ავტორებმა აღნიშნული ნორმა საერთოდ ამოიღეს კოდექსის საბოლოო ვარიანტიდან, რაც, ბუნებრივია, პარლამენტს შეუმჩნეველი დარჩა. თუმცა, კოდექსში დარჩა დებულება, რომ „სასამართლო ხელისუფლება აკონტროლებს მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლისა და პროკურორის მოქმედებათა და გადაწყვეტილებათა კანონიერებისა და დასაბუთებულობას" (მუხლი 8,4). როგორც ჩანს, კანონმდებელს სასამართლო კონტროლი ი. პეტრუხინისაგან სრულიად განსხვავებულად ესმის და მასში მხოლოდ პროკურორის დადგენილების მოსამართლესთან გასაჩივრების შესაძლებლობას გულისხმობს (მუხლი 399). დიდი ალბათობით შეიძლება ვარაუდი, რომ ეჭვმიტანილები და ბრალდებულები, რომელთა მიმართ შეწყდება სისხლისამართლებრივი დევნა, ამ უფლებით პრაქტიკულად არ ისარგებლებენ.

მიმაჩნია, რომ სისხლის სამართლის საქმეთა შეწყვეტაზე სასამართლო კონტროლის დამკვიდრება, განსაკუთრებით კი რეფორმის შედეგად დამოუკიდებელ მოსამართლეთა კორპუსის ჩამოყალიბების შემდეგ, აუცილებლობით იქნება განპირობებული. მოსამართლეს (სასამართლოს) უნდა შეეძლოს განიხილოს სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტისა თუ ბრალდებაზე უარის თქმის მოტივაცია, დასაბუთებულობა და დაინტერესდეს შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებებით. ამასთან, უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა, საკმარისი საფუძვლების არსებობისას, შინაგანი რწმენით არ დაე-

[10] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტი, მუხლი 15.4 გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 4.09.1997

თანხმოს ბრალმდებლის პოზიციას და უარი თქვას საქმის შეწყვეტაზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში დასვას საკითხი პროკურორის შეცვლისა ან მის მიმართ გარკვეული სანქციების გამოყენების შესახებ. ვფიქრობ, აღნიშნული მექანიზმის განხორციელებით გარკვეული შინაარსი მიეცემოდა საქართველოს კონსტიტუციაში მოცემულ დებულებას, რომ „პროკურატურა არის სასამართლო ხელისუფლების დაწესებულება“, ხოლო მიღებული კოდექსით, როგორც დავრწმუნდით, ზოგიერთ შემთხვევაში, ფაქტობრივად, სრულიად საწინააღმდეგო ვითარება იქმნება.

ამდენად, აუცილებლობად მივიჩნევ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მეორე ნაწილიდან მესამე წინადადების ამოღებას და საპროცესო კოდექსის ამოქმედებამდე მასში რიგი რედაქციული და არსებითი ხასიათის ისეთი ცვლილებების შეტანას, რომლებიც უდანაშაულობის პრეზუმფციის ამსახველ მუხლს და მთლიანობაში კოდექსს უფრო სრულყოფდნენ, შედარებით მეტ დემოკრატიულ ხასიათს მიანიჭებდნენ და სასამართლო ხელისუფლებასაც ღირსეულ ადგილს მიუჩნენდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის შრომა, რომელიც კოდექსის ავტორებს გაუწევიათ და განვითარებული ქვეყნების სისხლის სამართალწარმოებისათვის მისი დაახლოება უცდიათ, შეიძლება ფუჭი აღმოჩნდეს და ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა ვერ შეასრულოს ძირითადი დანიშნულება - უზრუნველყოს ადამიანის უფლებების დაცვა და „დაამკვიდროს საზოგადოებაში კანონის, ჰუმანიზმისა და სამართლიანობის იდეების პატივისცემა“, როგორც ეს კოდექსის პირველსავე მუხლშია დეკლარირებული.

კომენტარი:

მართალია, 1997 წელს „რევოლუციური“ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებისთვის მიშა საკაშვილი ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციებმა „წლის ადამიანად“ აღიარეს, მაგრამ „ახალგაზრდა რეფორმატორების“ მიერ მომზადებულმა „ნოვატორულმა“ კოდექსმა სულ 10 წელი იარსება. ამასთან, კანონმდებლებმა, ფაქტობრივად, „ვარდების რევოლუციისთანავე“ (2004 წლის 6 თებერვალს) კონსტიტუციიდან საერთოდ ამოიღეს მუხლი, რომლითაც

პროკურატურა სასამართლო ხელისუფლების დაწესებულებად მოიაზრებოდა (ფაქტობრივად, კონტროლს მიღმა დატოვეს...). შედეგად, სისხლის სამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანო მართლაც იქცა ტოტალიტარიზმის დროინდელი პროკურატურის მსგავს „მონსტრად“, რომელიც იმ დონეზე აკონტროლებდა სასამართლო ხელისუფლებას, რომ მრალმდებლის არგუმენტაცია უცვლელად ინაცვლებდა სასამართლოს გადაწყვეტილებაში და გამამართლებელი განაჩენი, ფაქტობრივად, აღარ დგებოდა (სტალინის დროსაც კი ვიშინსკის „ტროიკებს“ 10 %-მდე გამამართებელი განაჩენები გამოჰქონდათ, ევროპის განვითარებულ ქვეყნებში კი, სასამართლოები ყოველ მესამე მრალდებულს თუ არა, მეხუთეს მაინც ცნობენ უდანაშაულოდ).

2009 წელს „ნაციონალურმა“ პარლამენტმა პროკურატურის ინტერესებზე აშკარად მორგებული სრულიად ახალი კოდექსი მიიღო და მის ამოქმედებამდე (2010 წლის 1 ოტომბრამდე) ერთი კვირით ადრე მასში 70-მდე ცვლილება-დამატება შეიტანა, რომლებითაც მრალდების მხარეს კიდევ უფრო მეტი საშუალება მისცა თვითნებობისთვის (მაგ., მრალდებულად ყოფნის ვადა შეუზღუდავი გახდა და პროკურატურას უფლებამოსილება მიეცა განაჩენის სრული ვერსია ხელმიუწვდომელი გაეხადა...). ამდენად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ამჟამადაც მრავალი სადავო „ნოვაციაა“, რის გამოც მასში დაუყოვნებლივ უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილება-დამატებები და უნდა დაიწყოს მუშაობა საპროცესო კოდექსის ახალი რედაქციის პროექტის მოსამზადებლად.

ტელევიზია სასამართლო პროცესზე და უდანაშაულობის პრეზუმფცია
(ჟურნალი „მართლმსაჯულების მაცნე", 1998, №4)

მას შემდეგ, რაც ქვეყნის აღმშენებლობის სამომავლო ორიენტირად სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრება განისაზღვრა, ძირითადი აქცენტი გადატანილ იქნა საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული, საყოველთაოდ აღიარებული ე.წ. ზოგადსაკაცობრიო დემოკრატიული ფასეულობების ცხოვრებაში რეალურად განხორციელებისათვის აუცილებელი გარანტიების შექმნაზე.

ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის ეფექტურობის ამაღლებისკენ მიმართული კამპანია განსაკუთრებულ აქტუალობას სწორედ ამ ვითარებაში იძენს, როდესაც მსოფლიოს ცივილიზებული საზოგადოებრიობა ემზადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს მიღებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 50-ე წლისთავის აღსანიშნავად.

საქართველოში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოსა და სახალხო დამცველის („ომბუდსმენის") ინსტიტუტის შემოღება, საკანონმდებლო ბაზის განახლება და უახლოესი მომავლისათვის დაგეგმილი მოსამართლეთა კორპუსის შეცვლა სასამართლო ხელისუფლების რეალური დამოუკიდებლობის, სამართლის უზენაესობისა და კანონის წინაშე ყველას თანასწორობის უზრუნველყოფასთან ერთად, უპირველეს ყოვლისა კი, მიზნად ისახავს სახელმწიფოში ადამიანის ძირითადი უფლებების, მათ შორის - სიტყვის თავისუფლებისა და უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დაცვის მხრივ მდგომარეობის არსებით გაუმჯობესებას.

მაინც რამდენი თავისუფლება უნდა შესწიროს მოქალაქემ ხელისუფლებას ქვეყანაში წესრიგის უზრუნველსაყოფად?! თვით ამერიკელ მეცნიერთათვისაც კარგად ნაცნობი თავისუფლებისა და წესრიგის თანაფარდობის - ამ „თავდაპირველი დილემის"[1] - გარდა, სახელმწიფოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს სხვა არანაკლებ პრინციპული მნიშვნელობის პრობლემების გადაწყვეტა უწევს. კერძოდ, უნდა უზრუნველყოს გონივრული ბალანსი ადამიანის უფლებების გამოყენების ფარგლების დადგენისას, რათა რომელიმე ერთი ფასეულობის კანონით შეუზღუდაობამ მეორეს არ მიაყენოს გამოუსწორებელი ზიანი.

სიტყვის თავისუფლების უპასუხისმგებლოდ და შეუზღუდავად გამოყენებამ შეიძლება, როგორც სახელმწიფო, ასევე მისი ცალკეული

[1] ქენეთ ჯანდა, ჯეფრი ბერი, ჯერი გოლდმენი, ამერიკული დემოკრატია (რედაქტორი: მინდია უგრეხელიძე), თბილისი, 1995, გვ. 12

მოქალაქეები მნიშვნელოვნად დააზარალოს, რაც არანაკლებ საგანგაშოდ მიმაჩნია, ვიდრე ტოტალიტარიზმის პირობებში ამ უფლებით სარგებლობის სრული აკრძალვა. ამრიგად, პრობლემის არსი ძირითადად შემდეგშია: საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტის დამკვიდრების პროცესში როგორ გამოვიყენოთ სიტყვის თავისუფლება ისე, რომ არც უდანაშაულობის პრეზუმფცია დავარღვიოთ და, თუნდაც უნებურად, არ გადავლახოთ ის ზღვარი, რომლითაც კანონი სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას გარედან ზემოქმედებისგან იცავს.

ამდენად, უაღრესად აქტუალურად და სავსებით გამართლებულად მიმაჩნია საქართველოს კონსტიტუციაში მოცემული „სასამართლო საქმიანობაში ჩარევის დაუშვებლობის" მოთხოვნის პირდაპირ გადატანა „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანულ კანონში, რომლის თანახმად „მოსამართლეზე რაიმე ზემოქმედება ან მის საქმიანობაში ჩარევა გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით, აკრძალულია და ისჯება კანონით" (მუხლი 8.2).

სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის დამცავი ნორმა გათვალისწინებულია ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითაც: „არავის არა აქვს უფლება ჩაერიოს მართლმსაჯულების განხორციელებაში და ზეგავლენა მოახდინოს მოსამართლეზე ან მსაჯულზე" (მუხლი 8.8). მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ მოყვანილი ფორმულირებები გარკვეულ სრულყოფას საჭიროებენ (რაზედაც ამჯერად არ შევჩერდები), მიმაჩნია, რომ მათში „რაიმე ზემოქმედება" და „ზეგავლენა", შეძლებისდაგვარად, ფართოდ უნდა იქნას განმარტებული, რათა მაქსიმალურად გამოირიცხოს, როგორც აღმასრულებელი, ასევე ე. წ. „მეოთხე ხელისუფლების" წარმომადგენელთა მხრიდან, თუნდაც, არაპირდაპირი ზეწოლა (ზემოქმედება, ზეგავლენა) მოსამართლეებზე.

უდაოდ ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ ჯერ 1997 წლის 25 ნოემბერს, ხოლო შემდგომ 1998 წლის 20 თებერვალს, ფაქტობრივად, „მეოთხე მოსმენით" მიღებულ საქართველოს ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში „საქვეყნოობის" პრინციპის აღიარებასთან ერთად პირდაპირ არის ხაზგასმული, რომ „მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შეუძლიათ თავისუფლად გააშუქონ სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და შედეგები, ოღონდ ამ დროს მათ უნდა იხელმძღვანელონ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპით" (მუხლი 16.3). ვფიქრობ, კორექტირება აღნიშნულ ნორმასაც სჭირდება, ვინაიდან კონსტიტუციის მე-40 მუხლის მოთხოვნა, რომ „ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება" მანამ, სანამ მის მიერ დანაშაულის ჩადენა არ დადგინდება მის მიმართ გამოტანილი სასამართლოს გამამტყუნებელი

განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, ჟურნალისტებზე, ისევე, როგორც დანარჩენ მოქალაქეებზე, საპროცესო კოდექსში ამის სპეციალურად მინიშნების გარეშეც უნდა ვრცელდებოდეს. ამასთან, შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ჟურნალისტები ვალდებული არ იყვნენ, სასამართლომდელ სტადიებზეც იხელმძღვანელონ აღნიშნული პრინციპით ან თითქოს უფლება არ ჰქონდეთ, თავისუფლად გააშუქონ ნებისმიერი სამართალდარღვევის ან, თუნდაც, კონკრეტულ საქმეზე წინასწარი გამოძიების მიმდინარეობა, რაც, ცხადია, ასე არ არის (გამოთქმული შენიშვნები არაარსებითი ხასიათისაა და არც მათზე შევჩერდები).

საქართველოს კონსტიტუციით „ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით“ (მუხლი 24.1). თუმცა, იქვე, სავსებით მართებულად, მინიშნებულია, რომ სიტყვის თავისუფლება, გარკვეულ შემთხვევაში, შესაძლებელია შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია ადამიანის უფლებათა დანარჩენი კონსტიტუციური გარანტიების, მათ შორის „სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად“ ან „სასამართლოს დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად“ (მუხლი 24.4).

ამჯერად, ყურადღებას სწორედ ამგვარ (ერთ-ერთ გამონაკლის) შემთხვევაზე გავამახვილებ, როდესაც სიტყვის თავისუფლების გონივრულ ფარგლებში შეზღუდვა, ვფიქრობ, უკიდურეს აუცილებლობას უნდა წარმოადგენდეს და ადამიანების ერთი გარკვეული ნაწილის, კერძოდ კი სისხლის სამართალწარმოებაში ბრალდებულად (განსასჯელად) ჩართული პირების უფლებებისა და სასამართლო ხელისუფლების ზეწოლისაგან დაცვას უნდა ემსახურებოდეს.

სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას ფოტო-ვიდეო კამერებისა და ტელევიზიის სასამართლო პროცესებზე დაშვებით საქართველოს პარლამენტმა, ვფიქრობ, გაუმართლებელი ნაბიჯი გადადგა და სიტყვის თავისუფლებას უპირატესობა უდანაშაულობის პრეზუმფციის დაკნინების ხარჯზე მიანიჭა. ამ შემთხვევაშიც, ვგონებ, ისევ თვით რომის პაპზე მეტი კათოლიკენი აღმოვჩნდით და უშუალოდ სასამართლო სხდომის დარბაზიდან ტელეტრანსლაციები იმ დროს დავიწყეთ, როდესაც, რომ არაფერი ვთქვათ ჩვენი სასამართლოების დამოუკიდებლობის ხარისხზე, თანამედროვე დემოკრატიის სამშობლოში - ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი (ინგლისშიც, გერმანიასა და საფრანგეთშიც...), ამისაგან თავს იკავებენ და არცთუ უსაფუძვლოდ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებული აზრი იქაც არსებობს და

ამ საკითხზე სერიოზული დისკუსია მიმდინარეობს.

მაგალითად, ამერიკის ადვოკატთა (იურისტთა) ასოციაციის (ABA) წარმომადგენელი საქართველოში ქალბატონი ბარბარა სვანი, რომელიც საადვოკატო საქმიანობას სწორედ პრესის სამართალში ეწევა, გამართლებულად მიიჩნევს ტელევიზიის დაშვებას სასამართლო სხდომათა დარბაზში და მხარს უჭერს საქართველოს ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილ შესაბამის ნორმებს (მუხლი 16). ამდენად, მართალია, ამ მეტად პრინციპულ საკითხზე ამერიკის კონგრესშიც დღემდე ვერ მიაღწიეს ერთსულოვნებას და სასამართლო სხდომათა დარბაზებში ბრალდებულების გადაღების საშუალებას არავის აძლევენ, სამაგიეროდ საქართველოს პარლამენტმა, უკვე ჩვეულებად ქცეულ ცაიტნოტურ რეჟიმში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებისას, როგორც ჩანს, მეგობარი ქვეყნიდან ჩამოსული სტუმრის თვალსაზრისსაც გაუწია ანგარიში და ამასთან, კომუნისტების ოცნება „დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკას“ ამაში მაინც აქცია რეალობად...

მიუხედავად პატივისცემისა, ქალბატონ ბარბარას პოზიციას ვერ დავეთანხმები. დაუშვებლად მიმაჩნია სისხლის სამართლის საქმეების სხვა სახის სამართალდარღვევათა განხილვის მსგავს რეჟიმში მოქცევა, ვინაიდან სისხლის სამართლის პროცესი მეტად სპეციფიკურ ურთიერთობებს არეგულირებს და სახელმწიფოს მხრიდან სისხლისსამართლებრივ დევნაში მოყოლილ ადამიანთა უფლებებს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი იცავს.

სწორედ ამიტომ, თუ სამოქალაქო, სამეწარმეო და ადმინისტრაციული საქმეების სასამართლოში განხილვისას სხდომათა დარბაზში ტელევიზიის დაშვება სადავოდ შეიძლება არ გაგვეხადა (თუმცა, მიზანშეწონილად ვთვლი, მოდავე მხარეთა თანხმობა ამ შემთხვევაშიც ყოფილიყო გათვალისწინებული), რაც შეეხება სისხლის სამართალწარმოებას, ბრალდებულის (განსასჯელის) პიროვნული ინტერესების (პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის) იგნორირებას სრულიად მიუღებლად მივიჩნევ.

უფრო მეტიც, კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით შექმნილი სიტუაციის სუბიექტური შეფასებისას შეცდომების და სავარაუდო დამნაშავისთვის მორალური ზიანის თავიდან ასაცილებლად ან, თუნდაც ბრალდებულის მხრიდან გადაღებაზე თანხმობის მიღებისათვის ანგარების გამოსარიცხად უმჯობესი (სამართლიანიც და გონივრულიც) იქნებოდა, სისხლის სამართლის საქმეებზე საერთოდ აკრძალულიყო ფოტო-ვიდეოგადაღება და ტელეტრანსლაცია სასამართლოს სხდომის დარბაზიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ფარული თუ ღია გადაღება წარმოებს სასამართლო ხელისუფლების

ინტერესებში ან სხდომათა დარბაზში წესრიგის უზრუნველსაყოფად. ამასთან, გადაღება მხოლოდ საქმის განმხილველი მოსამართლის გადაწყვეტილებით, მისი მითითების შესაბამისად და სპეციალური წესების დაცვით უნდა წარმოებდეს (ფირები დაერთვება საქმეს და გამოქვეყნდება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით). ვიდეო და ტელეკამერები მოსამართლეს კი არ უნდა აკონტროლებდნენ, არამედ პირიქით, საჭიროების შემთხვევაში, თავად მოსამართლეს უნდა შეეძლოს მათი გამოყენება პროცესის კონტროლისათვის.

დარწმუნებული ვარ, რომ სისხლის სამართალწარმოებაში „საქვეყნოობის" უზრუნველსაყოფად აუცილებლობას არ წარმოადგენს უშუალოდ სხდომათა დარბაზიდან, როგორც თეატრალური წარმოდგენიდან (ან თუნდაც პარლამენტიდან), პირდაპირი ტელეტრანსლაციების მოწყობა.

სისხლის სამართლის საქმის მსვლელობა შეიძლება გაშუქდეს პროცესის მონაწილეებისაგან და სხდომაზე დამსწრეებისაგან ინფორმაციის მიღების გზით უშუალოდ სხდომის დაწყებამდე ან მისი დამთავრების შემდეგ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა ეთმობოდეს ინტერვიუებს ადვოკატებთან და პროკურორებთან. მათ მიერ პრესისათვის გაკეთებულ განცხადებებს, რომლებშიც დაფიქსირებული იქნებოდა მხარეთა პოზიცია კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით. სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და სასამართლოში განხილვის პროცესში, შესაძლებელია, დამოუკიდებელი ან ჟურნალისტური გამოძიების ამსახველი მასალების გახმაურება, საკუთარი თვალსაზრისის, ვარაუდის გამოთქმა, თუნდაც მოვლენათა განვითარების პროგნოზირება, მაგრამ ეს ყველაფერი უნდა განხორციელდეს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დაცვით და სასამართლოს კომპეტენციაში ჩარევის გარეშე.

აღსანიშნავია, რომ „სისხლის სამართლის საქმის მონაცემების გაუმჟღავ-ნებლობის ვალდებულება არ შეიძლება დაეკისროთ ეჭვმიტანილსა და ბრალდებულს" (მუხლი 274.2). ამასთანავე, არც განსასჯელს, ანუ იგივე ბრალდებულს, რომელიც წარსდგება სასამართლოში და თავს დაიცავს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით (მუხლი 44.25), არავინ უშლის საკუთარი პოზიციის საზოგადოებისათვის გაცნობას და განცხადების გაკეთებას კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, თუკი მის მიმართ აღმკვეთ ღონისძიებად დაპატიმრება არ იყო გამოყენებული. თუ განსასჯელი სასამართლოში საქმის განხილვის სტადიაზე საზოგადოებისაგან იზოლირებულია, მისაღებად მიმაჩნია, სათანადო შუამდგომლობის საფუძველზე მოსამართლეს უფლება ჰქონდეს, მისცეს განსასჯელს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით

განცხადების გაკეთების შესაძლებლობა და გარკვეული დროით დაუშვას ჟურნალისტები, მათ შორის ტელევიზიის წარმომადგენლები სასამართლო სხდომის დარბაზსა ან ე. წ. საგამოძიებო იზოლატორში.

ვიდეო (ფოტო) და ტელესაშუალებების შეუზღუდავი დაშვება სასამართლო სხდომათა დარბაზში, მით უმეტეს კი დღევანდელ პირობებში, ყოველ ჩვენგანს, ფაქტობრივად კი, მთელ საზოგადოებას გვაძლევს საშუალებას, უკითხავად ჩავერიოთ ადამიანის პირად ცხოვრებაში, გავხდეთ მისი ტრაგედიის მაყურებლები და რაც ყველაზე აღმაშფოთებელია, ადამიანი, რომელსაც კონსტიტუცია და კანონი ერთმნიშვნელოვნად უდანაშაულოდ მიიჩნევს, ხოლო სასამართლოს მიერ მისი გამართლებაც არაა გამორიცხული, შეგვიძლია გალიაში ჩასმულიც კი ვიხილოთ, რაც ყოველი ნორმალური ადამიანისათვის თავისთავად წარმოადგენს კანონით გაუთვალისწინებელი სასჯელის განსაკუთრებულ სახეობას და თავმოყვარე კაცისათვის, მიუხედავად მისი ეროვნების, ქონებრივი ცენზის და სექსუალური ორიენტაციისა, სიკვდილით დასჯის ტოლფასი უნდა იყოს.

გარდა ამისა, არც მეორე უკიდურესობაა გამორიცხული, როდესაც ვიდეო და ტელეკამერებს სასამართლო პროცესზე თავშესაქცევი სანახაობის - შოუს ელემენტები შეაქვთ და განსასჯელები შინაგანი რწმენის თანახმად კი აღარ იქცევიან, არამედ იმის გათვალისწინებით, თუ რას მოელიან მათგან, როგორი იმიჯი აქვთ შექმნილი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით (რაც ყოველთვის ერთი და იგივე ვერ იქნება). ამასთან, განსასჯელმა სასამართლოსადმი ჰეშმარიტების დადგენაში ხელშეწყობისა და გულწრფელი მონანიების ნაცვლად, კიდეც რომ სურდეს ამის გაკეთება, შესაძლოა, ამგვარი სრული „საქვეყნოობის“ პირობებში ქვეყანაში შექმნილი კონიუნქტურის გათვალისწინებით, ძირითადი აქცენტი პოლიტიკურ განცხადებებსა და მისთვის არასასურველი ხელისუფლებისა თუ ცალკეული პირების ლანძღვაზე აიღოს.

არც ისაა გამორიცხული, რომ ტელეობიექტივების წინაშე განსასჯელმაც და მოწმეებმაც თავი შეიკავონ ზოგიერთ გარემოებებზე საუბრისაგან ან საერთოდ უარი თქვან ჩვენების მიცემაზე. გარკვეული უხერხულობა ექმნებათ იმ ადამიანებსაც, რომლებიც სასამართლოში მოწმის სახით არიან გამოძახებულნი და მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულ საქმესთან შეიძლება მხოლოდ უნებურად იყვნენ დაკავშირებულნი, ტელევიზიით გადაცემულ სიუჟეტში, თუნდაც მოკლე დროით მათმა გამოჩენამ, სავსებით შესაძლებელია, საზოგადოებაში გარკვეული ეჭვები აღძრას და მათ სახელს რეპუტაციის შელახვის რეალური საფრთხე შეუქმნას (ბუნებრივია, ზემოთქმული ფოტოგადაღებებზეც ვრცელდება).

მხედველობიდან ნურც ის ზოგიერთი მოსამართლე გამოგვრჩება, რომელიც კონკრეტული საქმის განხილვისას უფრო მეტად, შეიძლება, იმაზე წუხდეს, თუ რა რაკურსით უჩვენებენ საღამოს საინფორმაციო გადაცემებში და მისი რეპლიკებიდან რომელ ფრაზას აირჩევენ გამოსაქვეყნებლად. გარდა იმისა, რომ ფოტოაპარატები, ვიდეო და ტელეკამერები სასამართლოს სხდომის დარბაზში ზედმეტ დაძაბულობას ქმნიან, არც ის არის გამორიცხული, რომ მოსამართლე საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაზე მეტად საკუთარი პერსონის წარმოჩენით იყოს დაინტერესებული (იმიჯსა და მომავალ, თუნდაც პოლიტიკურ კარიერაზე, შეიძლება ფიქრობდეს...) და გადაწყვეტილების გამოტანისას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით საზოგადოებაში წინასწარვე შექმნილ აზრს უფრო გაუწიოს ანგარიში, ვიდრე შინაგან რწმენას.

ტელეკრანებზე გამოჩენისას ჩვენს პარლამენტარებს კანონებში გაპარული შეცდომების (მინისტრებს კი საქმიანობაში დაშვებული აშკარა ხარვეზების) აღიარებაც უჭირთ, ჩვენ კი განსასჯელს, რომელმაც მანამდე, თუნდაც, მართლაც „გულწრფელად და ძალდაუტანებლად" აღიარა ჩადენილი დანაშაული, საქვეყნოდ, ფაქტობრივად, მთელი მსოფლიოს თვალწინ ვთხოვთ ამის გაკეთებას, შემდგომ კი გვიკვირს, თუ რატომ არ აკეთებს ამას ტელეკამერის წინ და რატომ უარყოფს წინასწარი გამოძიებისას ნებაყოფლობით მიცემულ ჩვენებებს.

არც იმაში ვარ დარწმუნებული, რომ თუ საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ყველაზე ეფექტურ საშუალებას - ტელევიზიას დღევანდელ ვითარებაში მოსამართლის გვერდით მივუჩენთ ადგილს, ის მხოლოდ უტყვი მეთვალყურის სტატუსს დასჯერდება და, ფაქტობრივად, ნაფიცი მსაჯულის, ანუ განსასჯელის ბრალეულობის დადგენაში ხმის უფლებასაც არ მოიპოვებს.

უფრო მეტიც, ძნელი დასაჯერებელია რომ საზღვარგარეთელი მეთვალყურეების აღიარებით, ჯერ კიდევ ნაწილობრივ თავისუფალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მქონე ჩვენს ქვეყანაში სასამართლო სხდომათა დარბაზში შეტანილი აპარატურა ტელეკომპანიების ფაქტობრივმა მესაკუთრეებმა საკუთარ ან თუნდაც მოსახლეობის ცალკეული მცირე ჯგუფების (პოლიტიკური გაერთიანებების, „მონოპოლისტების" ან ე. წ. ქურდული სამყაროს) ინტერესებისათვის არ გამოიყენონ და, უმრავლესობის სახელს ამოფარებულებმა, საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებით, სასამართლო ხელისუფლებაზე „ზედამხედველობისა" და ზეწოლის მძლავრ ბერკეტად არ აქციონ.

ვინაიდან, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის თანახმად, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით

დანაშაულის ფაქტისა და მისი ჩამდენი პირის უტყუარად დადგენამდე „ადამიანი (ბრალდებული) უდანაშაულოდ ითვლება“,[2] ამ მომენტამდე, განსასჯელი (ეჭვმიტანილი, ბრალდებული, მსჯავრდებული), ისევე როგორც თითოეული მოქალაქე, სახელმწიფოს (კანონის) მიერ ერთმნიშვნელოვნად და ყოველგვარი გამონაკლისების გარეშე, უდანაშაულოდ მიიჩნევა და შესაბამის ადამიანურ მოპყრობას საჭიროებს. მისი პატივი და ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, უპირველეს ყოვლისა, სამართალდამცავი ორგანოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მხრიდან, თუნდაც უნებლიე შელახვისგან უნდა იყოს დაცული.

იმ ვითარების გათვალისწინებით, რომ კანონის უზენაესობის პრინციპის დამკვიდრება და ჭეშმარიტად დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი სასამართლო ხელისუფლების ფორმირება მომავლის საქმეა, ხოლო შეჯიბრებითობის პრინციპი და ბრალდების მხარესთან უფლებრივად გათანაბრებული ადვოკატურა მხოლოდ ახლა იდგამს ფეხს, გამართლებულად მივიჩნევ, რეფორმების საწყის ეტაპებზე მაინც შეგვეკავებინა თავი ფოტო (ვიდეო, ტელე) კამერების დაშვებისაგან უშუალოდ სასამართლო სხდომათა დარბაზში და სათანადო ცვლილებები შეგვეტანა ახალ საპროცესო კოდექსში.

თუ იმავე ამერიკულ გამოცდილებას გავეცნობით, დავრწმუნდებით, რომ სისხლის სამართალწარმოების საქვეყნოობის ფარგლების განსაზღვრის საკითხი არც ისე მარტივად გადასაწყვეტია, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს და უთუოდ მოითხოვს დამატებით განსჯას უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან. მანამდე კი უპრიანი იქნებოდა, თავად მასმედიას, თუ სულ არ იტყოდა უარს სასამართლოს სხდომათა დარბაზებიდან ტელეტრანსლაციებზე და გისოსებს მიღმა მყოფი განსასჯელების ფოტოების გამოქვეყნებაზე, ამ ეტაპზე მაინც შეეკავებინა თავი აქცენტის გადატანისაგან განსასჯელთა სკამზე აღმოჩენილი ადამიანების გამოსახულებებზე (შეიძლებოდა ობიექტივები თუნდაც პროცესის სხვა მონაწილეებისაგან მიგვემართა), რითაც უდაოდ ხელს შეუწყობდა ადამიანის უფლებების დაცვას და უდანაშაულობის პრეზუფციის ზოგჯერ უნებლიე ხელყოფის შემთხვევებს მაინც შეამცირებდა.

---

[2] საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 40. თბილისი, 1995.
საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მიღებული 1998 წლის 20 თებერვალს, მუხლი 10.

კომენტარი:

თავად „ახალგაზრდა რეფორმატორებიც“ მიხვდნენ, რომ „ნოვაციამ“ არ გაამართლა და საზოგადოებამაც ნათლად დაინახა, თუ რა შედეგი მოჰყვება სისხლის სამართლის საქმის განხილვის ტელეტრანსლაციას. ჟურნალისტ გიორგი სანაიას მკლელობის საქმეზე ერთ-ერთი მოწმის დაკითხვისას გამწარებული სავარაუდო დამნაშავე რკინის გისოსებს ეცა... „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსსა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილება-დამატებებით ფოტო-კინო-ვიდეოგადაღება, არა მარტო სხდომათა დარბაზებში, არამედ სასამართლოს შენობებშიც კი აიკრძალა. ანუ, ერთი უკიდურესობიდან ისევ მეორეში გადავვარდით ... ხოლო, მოგვიანებით, „ნაციონალურ ინტერესებში“ სასამართლოს შენობებს მიმდებარე ტერიტორიებიც დაემატა და „საქმის განხილვის საქვეყნოობა“ იმ დონემდე შეიზღუდა, რომ, მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2012 წლის 19 ივნისის N32 ბრძანებით „სასამართლოს შენობაში (სასამართლოს ეზო, სასამართლოს შენობა) აიკრძალა ფოტო, კინო, ვიდეოაპარატურის, მობილური ტელეფონების და ჩაწერის ფუნქციის მქონე სხვა ტექნიკური საშუალებების შეტანა“. ამ ბრძანების (ფაქტობრივად, „ხუშტურის“...) ტექსტი სასამართლოში ყველას ურიგდებოდა, ხოლო სასამართლოს ეზოში განთავსდა ფოტო და ვიდეო გადაღების ამკრძალავი სპეციალური ნიშნები...

ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლისთანავე სასამართლო სხდომის დარბაზებში კვლავ დაუშვეს ფოტო-ვიდეო და ტელეკამერები... ამ აშკარად პოპულისტური ქმედების ნეგატიური შედეგი ნათლად გამოჩნდა, თუნდაც შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის (ვანო მერაბიშვილის) და თბილისის ყოფილი მერის (გიგი უგულავას) საქმეების გაშუქებისას, როდესაც ბრალდებულები პირდაპირ ეთერში აკეთებდნენ პოლიტიკურ განცხადებებს და შეურაცხყოფას აყენებდნენ ხელისუფლების სამივე შტოს წარმომადგენლებს. ხოლო, ოჯახის წევრების მკვლელობაში ბრალდებულ „მაგდა პაპიძის საქმე“ თვალსაჩინო მაგალითია, თუ რა ზომის მორალური ზიანი (თანაც გამოუსწორებელი...) შეიძლება მიადგეს რიგით მოქალაქეს (არა მარტო ბრალდებულს, არამედ მოწმესაც) სისხლის სამართლის საქმის განხილვის „საჯაროობის (ღიაობის, საქვეყნოობის)“ გონივრულ ფარგლებში შეუზღუდაობით.

უდანაშაულობის პრეზუმფცია, ზეწოლა სასამართლოზე და სიტყვის თავისუფლება (ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1998, №4)

დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე საქართველოს მოქალაქეებმა კონსტიტუციური „ურყევი ნება“ გამოვხატეთ სამართლებრივი სახელმწიფო დაგვემკიდრებინა, რაც ხელისუფლებების დამოუკიდებელ შტოებად გონივრულ დანაწილებასთან ერთად, ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვის ეფექტური მექანიზმების შექმნასაც გულისხმობს. ამასთან, ცნობილია, რომ, თუ ევროსტანდარტებზე ორიენტირებულ სახელმწიფოში სასამართლო რეალურად დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი არ იქნა, არც ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიები იარსებებს. ისიც ბუნებრივია, რომ არ არსებობს ფუნდამენტური უფლება, რომელიც არ საჭიროებდეს გარკვეულ რეგულირებას, მაგრამ პრობლემის არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, თუ რა ფარგლებში უნდა შეიზღუდოს, მაგალითად, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, რომ არც უდანაშაულობის პრეზუმფციის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი დაირღვეს და სასამართლოც დავიცვათ გარედან ზეწოლა-ზემოქმედებისაგან.

ახლახან საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა ჟურნალისტებს, სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად „უარი ეთქვათ მასალების გამოქვეყნებაზე რომელიმე ერთი მოდავე მხარის სასარგებლოდ“ და ისიც შენიშნა, რომ „გაზეთებში ჯერაც არ არის გამორიცხული დარღვევა უდანაშაულობის პრეზუმფციისა“.[1]

უდანაშაულობის პრეზუმფციისა და სიტყვის თავისუფლების ურთიერთმიმართების საკითხმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა მას მერე, რაც 1998 წლის 20 თებერვალს, ფაქტობრივად, „მეოთხე მოსმენით“ (მანამდე „რევოლუციური“ საპროცესო კოდექსი პარლამენტმა 1997 წლის 25 ნოემბერს მიიღო...) მიღებულ საქართველოს ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში „საქვეყნოობის“ პრინციპის აღიარებასთან ერთად პირდაპირ იქნა ხაზგასმული, რომ „მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შეუძლიათ თავისუფლად გააშუქონ სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და შედეგები, ოღონდ ამ დროს მათ უნდა იხელმძღვანელონ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპით“ (მუხლი 16.3). თუმცა, ვფიქრობ, კონსტიტუციის მე-40 მუხლის მოთხოვნა, რომ „ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება“ მანამ, სანამ მის მიერ დანაშაულის ჩადენა არ დადგინდება მის მიმართ გამოტანილი სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის

[1] მინდია უგრეხელიძე. სამართლიანი, სწრაფი და ქმედითი მართლმსაჯულებისათვის, ჟურნალი „სამართალი“, 1998, N1

კანონიერ ძალაში შესვლით, ისევე, როგორც დასარჩენ მოქალაქეებზე, ჟურნალისტებზეც საპროცესო კოდექსში ამის სპეციალურად მითითების გარეშე უნდა ვრცელდებოდეს. ამასთან, შთაბეჭდილება რჩება, თითქოს, ჟურნალისტები ვალდებული არ იყვნენ სისხლის სამართალწარმოების სასამართლომდელ სტადიებზე იხელმძღვანელონ აღნიშნული პრინციპით ან თითქოს უფლება არ ჰქონდეთ თავისუფლად გააშუქონ ნებისმიერი სამართალდარღვევის ფაქტი, ან თუნდაც წინასწარი გამოძიების მიმდინარეობა.

უდანაშაულობის პრეზუმფცია მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესში მოქმედი პრინციპია. ამდენად, თუ სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის უმთავრეს მიზნად კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით აღძრული სისხლის სამართლის საქმის გახსნას მივიჩნევთ და ჭეშმარიტების დადგენის პროცესში სისხლის სამართალწარმოებაში ადამიანის უფლებების დაცვასაც შევეცდებით, ყოვლად დაუშვებელი უნდა იყოს ნებისმიერი ადამიანის, ხოლო მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების სტადიაზე ბრალდებულის (ეჭვმიტანილის) მოხსენიება „დამნაშავედ", ვინაიდან სახელმწიფო (კანონი) მას ერთმნიშვნელოვნად, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე თვლის უდანაშაულოდ. ამასთან, „დამნაშავე" სისხლის სამართლებრივ საპროცესო ურთიერთობათა განხორციელების სავარაუდო შედეგი, ანუ ე. წ. „საბოლოო პროდუქტია", რომელიც შესაძლოა დადგინდეს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით ან არა, ვინაიდან სასამართლოში ბრალდებული შეიძლება გამართლდეს კიდეც.

რაც შეეხება მომხდარ კონკრეტულ შემთხვევასთან (ჩადენილ ქმედებასთან, ფაქტთან) დაკავშირებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს, ბუნებრივია, რომ წინასწარი გამოძიების სტადიაზე ის არ შეიძლება იწოდებოდეს „დანაშაულის საქმედ", ის მხოლოდ „სისხლის სამართლის საქმედ" ან უბრალოდ, „საქმედ" უნდა მოიხსენიებოდეს. სრულიად შესაძლებელია, რომ სისხლის სამართლის საქმე ისეთ შემთხვევაზე (ფაქტზე) აღიძრას, რომელიც შემდგომში არ აღმოჩნდეს დანაშაული (მაგ., გამოძიებამ დაადგინოს, რომ ადგილი ჰქონდა უბედურ შემთხვევას ან ქმედების ჩამდენი შეურაცხადი ყოფილა), თუმცა სამართალდამცავებიც და ჟურნალისტებიც მომხდარ ფაქტს, არცთუ იშვიათად, რატომღაც, უტყუარად დადგენილ დანაშაულად წარმოგვიდგნენ და სავარაუდო დამნაშავის საიდენტიფიკაციო მონაცემებთან ერთად, „დანაშაულის" ჩადენის ადგილსა და დროს გვამცნობენ.

მხედველობაში ის გარემოებაც უნდა მივიღოთ, რომ მოქმედ საპროცესო კოდექსში სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძვლად ისეთი „საკმაო მონაცემებია" ნაგულისხმევი, რომლებიც მხოლოდ

მიგვანიშნებს სავარაუდო დანაშაულზე, ქმედებაზე, რომელიც სისხლის სამართალწარმოების საწყის სტადიაზე გავს დანაშაულს, შეიცავს დანაშაულის გარკვეულ ნიშნებს (ერთს, რამდენიმეს ან, შესაძლოა, ყველა ნიშანსაც), მაგრამ არის თუ არა ნამდვილად დანაშაული, ანუ შეიცავს თუ არა დანაშაულის ყველა ნიშანს (კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობის ყველა ელემენტს) ეს უკვე სასამართლო ხელისუფლების კომპეტენციაში შემავალი საკითხია და უტყუარად მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით დადგინდება. იგივე შეიძლება ითქვას საპროცესო კოდექსის იმ ნორმებზე, რომლითაც ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოსატანად საჭიროა „საკმარისი მტკიცებულებების" მოპოვება, ხოლო რამდენად უტყუარი აღმოჩნდება ეს მტკიცებულებები, საბოლოოდ, მხოლოდ სასამართლოზე დადგინდება.

უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის მოთხოვნათა შესაბამისად, კანონი ეჭვმიტანილსაც და ბრალდებულსაც უდანაშაულოდ თვლის, ბრალდების მტკიცების მოვალეობა ბრალმდებელს აწევს, ხოლო ყოველგვარი ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ წყდება. ანუ, პროკურორის მიერ წარდგენილი ბრალდება მაღალპროფესიულად, ყოველგვარი ეჭვის გარეშე და კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით უნდა დამტკიცდეს. ამასთან, როგორც მტკიცებულებათა უტყუარობა, ასევე, თავად დანაშაულის ფაქტი, საბოლოო ჯამში, მხოლოდ სასამართლოზე დადგინდება.

თანამედროვე სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებულად ცნობის ინსტიტუტი, თავისთავად, წარმოადგენს ისეთ სავარაუდო დასკვნას, რომელიც ბრალდების დამტკიცების შესაძლებლობას „ალბათობის მაღალი ხარისხით" იძლევა, რაც ასახულია კიდეც ახალ საპროცესო კოდექსში (მუხლი 85.2), ხოლო დაკავება, სისხლის სამართლის საქმის აღძრა და ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც არსებობს დანაშაულის ნიშნების შემცველ (დანაშაულის მსგავს ქმედებებზე) მიმნიშნებული საკმაო ფაქტობრივი მონაცემები (მტკიცებულებები), მაგრამ ეს ყველაფერი ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ჩადენილი კონკრეტული ქმედება დანაშაულია, ხოლო მისი ჩამდენი პირი - დამნაშავე. როგორი მაღალი ხარისხის ალბათობაც არ უნდა იყოს მიღწეული, დაუშვებელია, სასამართლოს გამამატყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულებები ან სხვა გარემოებები „უტყუარად" ანუ საბოლოოდ დადგენილად ჩავთვალოთ და არ გავითვალისწინოთ მათი სავარაუდო ხასიათი.

სამწუხაროდ, ახალ საპროცესო კოდექსში, მიუხედავად პარლამენტში მიღების პროცესში მისი გარკვეული სრულყოფისა, ერთგან მაინც დარჩა მოთხოვნა, რომ მომკვლევიც და გამომძიებელიც „ვალდებულნი არიან უტყუარად დაადგინონ მოხდა თუ არა დანაშაული, ვინ ჩაიდინა იგი“ (მუხლი 18.1), რაც სასურველის დეკლარირება უფროა, ვიდრე კანონის ობიექტური მოთხოვნა. შედეგად, ამ ნორმის სამართალწარმოების პრაქტიკაში გამოყენებას უფრო მეტი ზიანის მოტანა შეუძლია, ვიდრე ეს კანონმდებელს წარმოუდგენია.

სრულიად შესაძლებელია, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის მოთხოვნების დარღვევების სიმრავლე, გარკვეულწილად კანონმდებლობაში არსებული ხარვეზებითაც იყოს განპირობებული (ა. კახნიაშვილი, „საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის შესახებ“, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1998, N1 და „სადავო „ნოვაცია“ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში,“ ჟურნალი „მართლმსაჯულების მაცნე“, 1998, N1), მაგრამ მიმაჩნია, რომ უფრო მეტად, საქართველოში გამეფებული სამართლებრივი ნაჰილიზმით და სამართლდამცავთა არაკომპეტენტურობით უნდა იყოს გამოწვეული. შედეგად, მასმედიის საშუალებით გავრცელებულ ინფორმაციებშიც საკმაოდ ხშირად გვხდება უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის მოთხოვნების დარღვევის ფაქტები, რაც სრულიად მიუღებელია დემოკრატიულ ღირებულებებზე და ადამინის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული სახელმწიფოსთვის.

ამდენად, იურისტებმაც და ჟურნალისტებმაც უნდა გაითვალისწინონ, რომ კონსტიტუციისა და საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული ყოველი პირი სისხლის სამართალწარმოების ცალკეულ სტადიაზე, შესაბამისად მხოლოდ ეჭვმიტანილად, ბრალდებულად, განსასჯელად ან მსჯავრდებულად შეიძლება იწოდებოდეს და ამავე ტერმინებით უნდა აისახოს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით შედგენილ დოკუმენტებსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებულ ცნობებში.

სამართალდამცავ ორგანოებს და მითუმეტეს ჟურნალისტებს, არცთუ იშვიათად, გააჩნიათ მონაცემები მხოლოდ მომხდარი ფაქტის თაობაზე, ხოლო ქმედების ჩამდენ კონკრეტულ პირთა შესახებ ინფორმაცია არ მოეპოვებათ, ანუ სავარაუდო დამნაშავე უცნობია. ასეთ შემთვევაში, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი, ლოგიკურად, თითქოს, არ უნდა გამოიყენებოდეს, მაგრამ, თუ ერთი მხრივ მომხდარი შეიძლება ჩაითვალოს და მოიხსენიებოდეს კიდეც დანაშაულად პირად საუბრებსა და არაოფიციალურ გამოსვლებში, მეორე მხრივ, სრულიად

განსხვავებული ვითარება იქმნება, როდესაც საქმე თანამდებობის პირთა განცხადებებს, ოფიციალურ მასალებსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებულ ცნობებს შეეხება. ამ დროს ფაქტის მოხსენიება „დანაშაულად" და მასზე,როგორც უტყუარად დადგენილ დანაშაულზე მსჯელობა, თუნდაც ამ ქმედებასთან მიმართებაში კონკრეტული ეჭვმიტანილისა ან ბრალდებულის სახელის აღნიშვნის გარეშე, მიუღებელი უნდა იყოს, ვინაიდან შესაძლებელი ხდება გარკვეული ზეგავლენის მოხდენა, როგორც საზოგადოებრივ აზრზე მთლიანობაში, ასევე, თუნდაც იმ ცალკეულ მოსამართლეებზე, რომლებსაც შეიძლება წინასწარ ჩამოუყალიბდეთ აზრი მომხდარ ქმედებებზე, როგორც დანაშაულზე, ხოლო მისი ჩამდენი პირი, რომელიც შესაძლოა, შემდგომში გამოჩნდეს საპროცესო ურთიერთობებში, თავიდანვე დამნაშავედ აღიქვან.

უდაოდ გასაზიარებელია თვალსაზრისი, რომ ოფიციალური განცხადებების გაკეთება და სისხლის სამართლის საქმის შესახებ ცნობების (ინფორმაციის) გავრცელება იმ ფორმით, თითქოს დანაშაულის ფაქტი, ერთმნიშვნელოვნად, თავიდანვე არის დადგენილი, დასაშვები უნდა იყოს მხოლოდ სასამართლო განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. ცნობილი რუსი მეცნიერის, ალექსანდრე ლარინის აზრით: „გაზეთის მკითხველთა, რადიომსმენელთა და ტელემაყურებელთა შორის არიან ისინიც, ვისაც შესაძლოა სასამართლოში მოუწიოს ჩვენების მიცემა მოწმის, დაზარალებულის ან ექსპერტის სახით. შეძლებენ კი ისინი თავიანთი შთაბეჭდილებები გამიჯნონ პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მიერ დაფიქსირებული პოზიციისაგან. ეს მომენტი ართულებს ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას. იგივე ეხებათ მოსამართლეებსაც, რომლებსაც ფსიქოლოგიურად გაუჭირდებათ გონებიდან ამოშალონ მიღე-ბული ინფორმაცია".[2]

ამდენად, უაღრესად აქტუალურად და გამართლებულად მიმაჩნია საქართველოს კონსტიტუციაში მოცემული „სასამართლო საქმიანობაში ჩარევის დაუშვებლობის" მოთხოვნის (მუხლი 84.1) პირდაპირ გადატანა ორგანულ კანონში საერთო სასამართლოების შესახებ, რომლის თანახმად, „მოსამართლეზე რაიმე ზემოქმედება ან მის საქმიანობაში ჩარევა გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით" (მუხლი 8.2). სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის დამცავი ნორმა გათვალისწინებულია ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითაც - „არავის არა აქვს უფლება ჩაერიოს მართლმსაჯულების განხორციელებაში და ზეგავლენა მოახდინოს მოსამართლეზე ან მსაჯულზე" (მუხლი 8.8). მიმაჩნია, რომ მოცემულ ფორმულირებაში „რაიმე ზემოქმედება" და „ზეგავლენა" შეძლებისდაგვარად ფართოდ უნდა იქნეს განმარტებული, რათა

2 Ларин А.М. Презумпция невиновности, Москва, 1982, стр. 42

მაქსიმალურად გამოირიცხოს, როგორც ცალკეული მოქალაქეების, ასევე, აღმასრულებელი და ე. წ. მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენელთა, თუნდაც არაპირდაპირი ზეწოლა სასამართლოებზე.

ამასთან, ყოველი განვითარებული ქვეყნისთვის სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის მეტად პრინციპული საკითხია სიტყვის თავისუფლების ფარგლების განსაზღვრისა და ამ უპირველესი კონსტიტუციური უფლების რეალიზაციის ხარისხი, რაც სახელმწიფოს დემოკრატიულობის ძირითად მაჩვენებელს წარმოადგენს.

სიტყვის თავისუფლება საყოველთაოდ აღიარებული ზოგადსაკაცობრიო ფასეულობაა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სურვილი პლურალისტურ საზოგადოებაში გააშუქონ ფართო საზოგადოებისთვის საინტერესო ყველა მოვლენა, ბუნებრივია, ხელისუფლებასაც უქმნის გარკვეულ პრობლემებს. შესაბამისად, არცთუ იშვიათია მისი მხრიდან, თითქოსდა წესრიგის დაცვის კეთილშობილური მიზნით, აღნიშნული უფლების შეზღუდვის მცდელობა, რაც უდავოდ ცალკე მსჯელობის თემაა. ამჯერად, მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ სიტყვის თავისუფლების უპასუხისმგებლოდ და არაკომპეტენტურად გამოყენებამ შეიძლება როგორც სახელმწიფოს, ასევე მის ცალკეულ მოქალაქეებს მიაყენოს გამოუსწორებელი ზიანი, რაც არანაკლებ საგანგაშოდ მიმაჩნია. ამდენად, პრობლემის არსი, ძირითადად, შემდეგშია: საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრების პროცესში, როგორ გამოვიყენოთ სიტყვის თავისუფლება ისე, რომ არც უდანაშაულობის პრეზუმფცია დავარღვიოთ და, თუნდაც უნებურად, არ გადავლახოთ ის ზღვარი, რომლითაც კანონი სასამართლო ხელისუფლებას ზეწოლა-ზემოქმედებისგან იცავს.

საქართველოს კონსტიტუციით „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოსინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით“ (მუხლი 24.1). თუმცა, იქვე, სრულიად მართებულად მინიშნებულია, რომ სიტყვის თავისუფლება, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია ადამიანის უფლებათა დანარჩენი კონსტიტუციური გარანტიების, მათ შორის, „სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად“ ან „სასამართლოს დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად“ (მუხლი 24.4). შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსი დასჯადად მიიჩნევს „სასამართლო საქმეების გარჩევაში ჩარევას“, ანუ მოსამართლეებსა და მსაჯულებზე ისეთ ზემოქმედებას, რომელიც მიზნად ისახავს კონკრეტული საქმის

ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვისათვის ხელის შეშლას ან სასამართლო გადაწყვეტილების უკანონოდ გამოტანის მიღწევას (მუხლი 192). ამდენად, ამ ნორმით გათვალისწინებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა პირს შეიძლება დაეკისროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ აღნიშნული მიზნებით ბრალეულად (განზრახ ან გაუფრთხილებლობით) ჩაერევა მართლმსაჯულების განხორციელებაში.

ვინაიდან ჟურნალისტური (დამოუკიდებელი) გამოძიებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მომხდარი ფაქტების თაობაზე ცნობებისა და საკუთარი თვალსაზრისის გავრცელების ძირითად მიზანს, როგორც წესი, საზოგადოების ინტერესებში ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა, სამართლიანობის მიღწევა და სასამართლოსადმი ხელშეწყობა წარმოადგენს, ვფიქრობ, მასმედიის წარმომადგენლებს, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა მოქალაქეებს, ვერავინ აუკრძალავს კონკრეტული პიროვნების თაობაზე ან კონკრეტულ შემთხვევასთან, თუ სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებით გამოთქვას საკუთარი მოსაზრება, მათ შორის, ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლებისა და სახელმწიფო ორგანოების მისამართით. თუმცა, ჟურნალისტებმა და უფლებადამცავებმა არც ის უნდა დაივიწყონ, რომ თავადვე არიან პასუხისმგებელნი ზეპირად გამოთქმული, წერილობითი ან სხვაგვარი საშუალებით გავრცელებული საკუთარი აზრისათვის და, რომ მათ მიერ მოხსენიებულ ყოველ პირს იმავე კონსტიტუციამ მიანიჭა უფლება, დაიცვას თავისი პატივი და ღირსება (მუხლი 17.1), ხოლო ამ უფლებების შემლახავი, შესაძლებელია, ცილისწამებისთვის კანონით დადგენილი წესით მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში (მუხლი 137).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომლებიც ლახავს მის პატივს, ღირსებას, პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, პირად ხელშეუხებლობას ან საქმიან რეპუტაციას, თუ ამ ცნობების გამავრცელებელი არ დაამტკიცებს, რომ ისინი სინამდვილეს შეეფერება. ამასთან, თუ მოცემული ე.წ. „პირადი არაქონებრივი უფლებების“ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურება, მათ შორის, მორალური ზიანის ანაზღაურებაც (მუხლი 18).

მხედველობიდან არც ის გარემოება უნდა გამოგვრჩეს, რომ კანონი ამ ქვეყნიდან წასულებსაც იცავს. სამოქალაქო კოდექსის თანახმად, გარდაცვლილის სახელი და ღირსება შეუძლია დაიცვას სხვა პირმაც, თუკი სასამართლო მიიჩნევს, რომ მას „საამისოდ აქვს დაცვის ღირსი ინტერესი“ (ამ ფორმულირებას უახლოეს მომავალში, ალბათ,

სპეციალისტები დაგვიზუსტებენ ან მისი შინაარსი სასამართლო პრაქტიკით დადგინდება), ოღონდ, ამ შემთხვევაში, „სახელის, პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა სიკვდილის შემდეგ დაუშვებელია“ (მუხლი 19).

შევნიშნავ, რომ სამოქალაქო, სამეწარმეო, ადმინისტრაციულ, დისციპლინურ და სხვა მსგავს საქმეებთან დაკავშირებით კანონი არ კრძალავს მომხდარი ფაქტის დაფიქსირებას და მის აღწერას, დანახულისა ან სხვისგან გაგებულის თაობაზე საკუთარი ვერსიის გადმოცემას, კონკრეტული ქმედებისა ან საქმის გარშემო შექმნილი ვითარების საკუთარ შეფასებას, თუნდაც ერთ-ერთი მოდავე მხარის სასარგებლოდ. მეორე მხრივ, ამგვარ შემთხვევებში, სასამართლომდელი კონფლიქტებისა და სასამართლოში წარმართული საქმეების კანონიერი გზით გადაწყვეტამდე, ეთიკის თვალსაზრისით გამართლებულია თავი შევიკავოთ კატეგორიული მსჯელობებისაგან, ერთმნიშვნელოვანი დასკვნებისგან და კონკრეტულ პირთა სამართალდამრღვევებად მოხსენიებისგან.

სამწუხაროდ, ზოგიერთი პუბლიკაციისა და გადაცემის გაცნობით შთაბეჭდილება მრჩება, რომ მხოლოდ ერთი დაინტერესებული მხარის (სახელმწიფო ორგანოს, ხელისუფლების წარმომადგენლის, ცალკეული პარტიის, პირთა ჯგუფის ან მოქალაქის) პოზიციაა ასახული, აზრთა პლურალიზმის შესაძლებლობა გამორიცხულია და ჭეშმარიტება თავიდანვე უტყუარად დადგენილად მიიჩნევა. ამასთან, არცთუ იშვიათად, ავტორები მეორე მხარეს მყოფი ცალკეული პიროვნებების უფლებებზე, მათ პატივსა და ღირსებაზე ნაკლებად ფიქრობენ, ერთმნიშვნელოვნად დამნაშავეებად მოიხსენიებენ და მათთვის არც სხვა შეურაცხმყოფელ ეპითეტებს იშურებენ.

ადამიანის უფლებების, კერძოდ კი იმავე უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დამრღვევებად, ხშირად, სწორედ ხელისუფლების წარმომადგენლები, სამართალდამცავები ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები და, არცთუ იშვიათად, ჟურნალისტები გვევლინებიან, რომლებიც თავიანთი კატეგორიულობისა და „დამნაშავისადმი“ აგრესიულობას, ქვეყანაში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისა და წესრიგის განმტკიცების კეთილშობილური მიზნებით ამართლებენ.

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ სხვა სახის სამართალდარღვევებისაგან განსხვავებით, რომელთა მიმართ წინასწარი შეფასებების გაკეთება მხოლოდ მიზანშეუწონელი ან არაკორექტულია, სისხლის სამართალში სრულიად განსხვავებული ვითარებაა, რადგან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით

დანაშაულის ფაქტისა და მისი ჩამდენი პირის უტყუარად დადგენამდე, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის ძალით „ადამიანი (ბრალდებული) უდანაშაულოდ ითვლება“. ამდენად, დაკავებული თუ დაპატიმრებული პირის, ეჭვმიტანილისა თუ ბრალდებულის, ისევე, როგორც ნებისმიერი ადამიანის, თუნდაც ერთი შეხედვით ყველასათვის აშკარა დანაშაულთან მიმართებაში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ერთმნიშვნელოვნად დამნაშავედ მოხსენიება, ამორალობასთან ერთად კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა და დაუშვებელია დემოკრატიული სახელმწიფოსთვის.

ვინაიდან არც ქვედა ინსტანციის სასამართლოს განაჩენი შეიძლება მივიჩნიოთ უტყუარად, კანონი მსჯავრდებულს, ანუ პირს, რომლის მიმართაც გამოტანილია მაგ., პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, აღნიშნული განაჩენის გასაჩივრების უფლებას ანიჭებს, რომლის რეალიზაციას შეიძლება მსჯავრდებულის სრული გამართლება მოჰყვეს (განვითარებულ ქვეყნებში გამამართლებელი განაჩენები 20-50 % შემთხვევებში დგება).

ამდენად, სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი (საზოგადოებისათვის განსაკუთრებულად საშიში, მართლსაწი-ნააღმდეგო და ბრალეული) ქმედების, ანუ დანაშაულის ჩამდენ პირად - „დამნაშავედ“ (ტერორისტად, ყაჩაღად, ქურდად, თაღლითად და სხვა) კონკრეტული ადამიანი მხოლოდ მის მიმართ გამოტანილი სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ შეიძლება მოვიხსენიოთ. ამ მომენტამდე ეჭვმიტანილებიც, ბრალდებულებიც, განსასჯელებიც და მსჯავრდებულებიც, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, კონსტიტუციიის თანახმად, ერთმნიშვნელოვნად, უდანაშაულოდ ითვლებიან და შესაბამის ადამიანურ მოპყრობას საჭიროებენ, ხოლო მათი, ისევე, როგორც თითოეული მოქალაქის პატივი და ღირსება, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო ორგანოების და ე. წ. მეოთხე ხელისუფლების - მასობრივი ინფორმაციის საშუალებების - მხრიდან უნდა იყოს დაცული. შესაბამისად, როგორც ხელისუფლების მაღალჩინოსნებისა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა გამოსვლებში, ასევე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებულ ცნობებში მიზანშეწონილია აისახოს მხოლოდ მომხდარი ფაქტი, ქმედებით გამოწვეული (დამდგარი) შედეგი, ხოლო თვით ქმედების სამართლებრივი შეფასებისაგან მაქსიმალურად უნდა შევიკავოთ თავი. უნდა გავითვალისიწინოთ, რომ სისხლის სამართალწარმოებაში კონკრეტული პიროვნების - ეჭვმიტანილისა თუ ბრალდებულის დამნაშავედ მოხსენიება მოქმედი კანონმდებლობისა და ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების უხეშ დარღვევას წარმოდგენს

და როგორც ზემოთ აღვნიშნე, სათანადო პასუხისმგებლობას უნდა იწვევდეს.

მოქმედი საპროცესო კოდექსით ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის ჩვენება მტკიცებულებად მიიჩნევა, რომელიც „გულდასმით, ყოველმხრივ და ობიექტურად უნდა შეამოწმოს მომკვლევმა პირმა, გამომძიებელმა, პროკურორმა და სასამართლომ“ (მტკიცებულებათა შემოწმებას, მათ ანალიზს და შეფასებას ასალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლებიც ითვალისწინებენ). ამასთან, კრიმინალური ქრონიკის ამსახველ თითქმის ყოველ პუბლიკაციასა და სატელევიზიო სიუჟეტში, სამწუხაროდ, ვხვდებით წინასწარი გამოძიების სტადიაზე კონკრეტული პირის დამნაშავედ მოხსენიებისას, ძირითად არგუმენტად, მის მიერ, თითქოს, ჩადენილი დანაშაულის აღიარების მოშველიებას, რისი მანკიერი პრაქტიკა, ვფიქრობ, ინკვიზიციური და ტოტალიტარული პერიოდის პროცესებიდან ინერციით მოგვყვება.

მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულს (ეჭვმიტანილს) უფლება აქვს, უარი თქვას ჩვენების მიცემაზე, ამასთან, ის არც ცრუ ჩვენების მიცემაზე აგებს პასუხს და ბრალდებულის აღიარება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ბრალდებას, თუ არ დადასტურდება საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით, სამწუხაროდ, პრაქტიკაში, არცთუ იშვიათად, ვხვდებით ვითარებას, როდესაც სამართალდამცავი ორგანოების მიერ საზოგადოებისათვის მიწოდებულ ცნობებში ვხვდებით ფრაზას: „დაკავებულია მკვლელი (ქურდი, ტერორისტი)...“ შემდეგ კი, როგორც წესი, ვიგებთ, რომ მავანმა (დასახელებულია სახელი და გვარი) „აღიარა დანაშაული. გამოძიება გრძელდება...“ ანუ აღიარება, ფაქტობრივად, უკვე წინასწარი გამოძიების სტადიაზევეა მიჩნეული „უტყუარ მტკიცებულებად“ (ცხადია, მტკიცებულებათა სრული, ყოველმხრივი და ობიექტური შემოწმება სისხლის სამართალწარმოების ამ ეტაპზე შესაძლოა ვერ მოხერხდეს).

ამდენად, როგორც სამართალდამცავი ორგანოების, ასევე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, თითქოსდა, „პროფესიონალიზმისა და ოპერატიულობის“ წარმოსაჩენად. მიუღებლად მივიჩნევ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციებში აქცენტის გადატანას ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის მიერ „დანაშაულის აღიარების“ ფაქტზე.

დროა, კანონმდებელმაც, ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენელმაც, ჟურნალისტმაც და ყოველმა მოქალაქემ გაითავისოს საქართველოს კონსტიტუციის ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების ამსახველ თავში მოცემული დებულებები და სათანადოდ გამოიყენოს. დაუყოვნებლივ უნდა

შეწყდეს საართალდამცავი ორგანოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მხრიდან კონკრეტული პირების - ეჭვმიტანილებისა თუ ბრალდებულების, ერთმნიშვნელოვნად, დამნაშავეებად (ტერორისტებად, მკვლელებად, ქურდებად და ა.შ) მოხსენიება. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ დანაშაულის (ბრალის) აღიარება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებაა და ისიც მხოლოდ სასამართლოს მიერ შეიძლება იქნეს მიჩნეული ასეთად.

ახალი საპროცესო კოდექსით „მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების მასალების გახმაურების საკითხს წყვეტს გამომძიებელი ან პროკურორი უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დაცვით“ (მუხლი 16.8). იმ ვითარებაში, როდესაც მასმედია დიდ ადგილს უთმობს სისხლის სამართლის საქმეების გაშუქებას, არა მარტო გამომძიებლები და პროკურორები, არამედ სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელები, აგრეთვე საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები ვრცელ ინტერვიუებში, არცთუ იშვიათად, წინასწარი გამოძიების სტადიაზე, კონკრეტულ შემთხვევებზე, როგორც უტყუარად დადგენილ დანაშაულებზე მსჯელობენ და თავადვე გვევლინებიან უდანაშაულობის პრეზუმფციის უპირველეს დამრღვევებად. ამდენად, მიზანშეწონილად მივიჩნევ, გარკვეულ გარდამავალ პერიოდში შეგვეჩერებინა აღნიშნული ნორმის ამოქმედება და ზოგიერთ საზღვარგარეთული ქვეყნის გამოცდილების გათვალისწინებით გამომძიებლებისათვის (შეიძლება პროკურორებისათვისაც) საერთოდ აგვეკრძალა გამოძიების მასალების გახმაურება მოსამართლის ნებართვის გარეშე ან ამისათვის კვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებული სპეციალური სამსახური გამოგვეყო. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მართებულად მივიჩნევ იმ მეცნიერთა პოზიციას, რომლებიც თვლიან, რომ პოლიციელები, გამომძიებლები და პროკურორები მედიასაშულებებით გამოსვლისას (კონკრეტული შემთხვევის თაობაზე საზოგადოების ინფორმირებისას) არ უნდა ახდენდნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ კონკრეტულ პირთა ქმედებათა შეფასებას. ასეთ შემთხვევებში, სამართალდამცავი ორგანოების სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები სახელმწიფოსთან არიან გაიგივებულნი და მათი შეფასებები საზოგადოების მიერ ოფიციალური, საბოლოო დასკვნის სახით აღიქმება.

კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით სასამართლო განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე გამომძიებელი თუ პროკურორი მხოლოდ ინფორმაციული ხასიათის მასალებით უნდა გამოდიოდნენ ან, აუცილებლობის შემთხვევაში, მასმედიით მოუწოდებდნენ მოსახლეობას დაეხმარონ გამოძიებაში, მოაძებნინონ

სავარაუდო დამნაშავე (ანუ, კონკრეტული ეჭვმიტანილი ან ბრალდებული). ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ ყოველგვარი განცხადება ან მედიით გავრცელებული ინფორმაცია, შესაძლებელია, მიწოდებულ იქნეს მხოლოდ ისეთი ფორმით, რომელიც საზოგადოებას მისცემს სრულიად მკაფიო წარმოდგენას, რომ ლაპარაკია მხოლოდ წინასწარი გამოძიების მონაცემებზე, რომ საქმე ჯერ არაა გადაწყვეტილი, ხოლო ბრალდებულის დამნაშავედ ცნობის უფლება მხოლოდ სასამართლოს ეკუთვნის. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევებში, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპიდან გამომდინარე ამ მოთხოვნებს, პირველ რიგში, სწორედ ხელისუფლების მაღალჩინოსნები, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები და, არცთუ იშვიათად, ჟურნალისტები არღვევენ, რისი მეშვეობითაც, ფაქტობრივად, ცდილობენ სასურველი გადაწყვეტილების მისაღებად გავლენა (ზეწოლა) მოახდინონ სასამართლოზე.

იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ კანონის უზენაესობის დამკვიდრება და დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების ფორმირება მომავლის საქმეა, ხოლო შეჯიბრებითობის პრინციპი და ბრალდების მხარესთან უფლებრივად გათანაბრებული ადვოკატურა მხოლოდ ახლა იდგამს ფეხს, რეფორმების საწყის ეტაპზე გაუმართლებლად მიმაჩნია ფოტო-ვიდეო კამერებისა და ტელევიზიის დაშვება სასამართლოს სხდომათა დარბაზში, რითაც სიტყვის თავისუფლებას პრიორიტეტი უდანაშაულობის პრეზუმფციის ხარჯზე ენიჭება და სასამართლოზე მავნე ზემოქმედების დამატებითი ბერკეტი იქმნება. თუ იმავე ამერიკულ გამოცდილებას გავეცნობით (სადაც არცთუ უსაფუძვლოდ, ჯერ-ჯერობით თავს იკავებენ სასამართლო პროცესებზე ტელეკამერების დაშვებისაგან), დავრწმუნდებით, რომ სისხლის სამართალწარმოების ღიაობის („საჯაროობის", „საქვეყნოობის") ფარგლების განსაზღვრის საკითხი არც ისე მარტივად გადასაწყვეტია, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს და უთუოდ მოითხოვს დამატებით განსჯას პარლამენტში. მანამდე კი უპრიანი იქნებოდა, თავად მასმედიას შეეკავებინა თავი განსასჯელის სკამზე აღმოჩენილ ადამიანებზე აქცენტის გადატანისაგან და ობიექტივები, თუნდაც, პროცესის სხვა მონაწილეებისკენ მიემართა.

ამდენად, დღეს, როდესაც საქართველომ სამომავლო ორიენტირად აირჩია სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრება, ხოლო კონსტიტუციასა და ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მოცემული იქნა სისხლის სამართალწარმოებაში ადამიანის უფლებების დაცვის ქმედითი გარანტი - უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი, სამართალდამცავ ორგანოებში დაგეგმილი რეფორმების პროცესში, სასამართლოს რეალური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფასთან

ერთად, უპირველესი ყურადღება სწორედ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპიდან გამომდინარე მოთხოვნების პრაქტიკაში დამკვიდრებას უნდა დაეთმოს.

ამასთან, პრინციპულ მნიშვნელობას იძენს სიტყვის თავისუფლების გონივრულად გამოყენების საკითხი, რათა ადამიანის ეს უპირველესი უფლება სასამართლო ხელისუფლებაზე ზეწოლა-ზემოქმედებისათვის ან უდანაშაულობის პრეზუმფციის ხელყოფით არ იქნეს გამოყენებული.

კარს მომდგარი სასამართლო რეფორმის წარმატებით განხორციელებაში, როგორც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, ასევე ჟურნალისტებიც, ერთნაირად უნდა იყვნენ დაინტერესებული, ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციაში განმტკიცებული ადამიანის ძირითადი უფლებები, მათ შორის, კი სიტყვის თავისუფლება და უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი ეფექტურად მხოლოდ ზეგავლენისგან თავისუფალი, დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, სამართლიანი და კომპეტენტური სასამართლოს არსებობის პირობებში შეიძლება იყოს დაცული.

კომენტარი:

თუ როგორ შეიძლება გამოიყენონ პოლიტიკურმა ძალებმა კონტროლს დაქვემდებარებული ტელევიზიები სასამართლოზე ზეწოლა-ზემოქმედებისთვის ნათლად გამოჩნდა „რუსთავი-2"-სა და ე. წ. კაბელების საქმეზე, როდესაც საწარმოს პარტნიორებს შორის წილების გადანაწილების თაობაზე და სახელმწიფო შესყიდვის კანონიერებასთან დაკავშირებით სასამართლოში წარმართული დავები საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა, ხოლო საქმის განმხილველ მოსამართლეებზე, ფაქტობრივად, ტოტალური „მორალური ტერორი" განხორციელდა (აღარც უდანაშაულობის პრეზუმფცია გახსენებია ვინმეს...). არადა, იგივე ე. წ. რეიტინგული ტელევიზიები სასამართლო რეფორმის „წარმატებებზეც" რეგულარულად ამზადებდნენ სიუჟეტებს და არც მოსამართლეების თანამდებობებზე გამწესებისას გახსენებიათ „საზოგადოების დიდი ინტერესი", არც „ნაციონალური მოძრაობის" მმართველობის წლებში 99 %-იან გამამტყუნებელი განაჩენებზე აღშფოთებულან ასე და არც 2014 წელს გაყალბებული დოკუმენტებით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის არჩევის ფაქტზე სამივე ინსტანციის სასამართლოებში წარმართულ საქმეზე გაუმახვილებიათ საზოგადოების ყურადღება.

ფაქტია ისიც, როდესაც 1998 წელს საკონსტიტუციო სასამართლოს სამმა მოსამართლემ საერთო სასამართლოს დამოუკიდებლობა დაიცვა

(10 წლით გამწესებულ მოსამართლეთა ვადამდე განთავისუფლება არაკონსტიტუციურად ცნო) და საკამშვილის ნებას არ დაემორჩილა, ე. წ. არასამთავრობოებმა „რეფორმის მტრების“ (საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების) ფიტულები ტელეკამერების წინ დაწვეს, ხოლო როდესაც 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების კონსტიტუციურობის თაობაზე შეტანილი სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოს განახლებულმა შემადგენლობამ საერთოდ არ მიიღო განსახილველად „ნაციონალურ“ ტელევიზიებს ეს „უმნიშვნელო მოვლენა“ საერთოდ არ გაუშუქებიათ, ისევე, როგორც ცესკო-ს შემაჯამებელი ოქმის გაყალბების ფაქტზე სასამართლოში შეტანილი სარჩელების განხილვის პერიპეტიები... მეორე მხრივ, თუ გარკვეული პოლიტიკური ძალების (მედიასაშუალებების ფაქტობრივი მფლობელების) ინტერესებში შედის, ტელევიზიები არათუ სასამართლოში საქმის მსვლელობას, არამედ სარჩელის შეტანის სამზადისსაც კი ფართოდ აშუქებენ, რითაც სასურველი გადაწყვეტილების მისაღებად, ფაქტობრივად, არა-პირდაპირ ზემოქმედებას ახორციელებენ სასამართლოზე. ამის მკაფიო მაგალითია, ე. წ. მაჟორიტარული სისტემის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით ახლახან საკონსტი-ტუციო სასამართლოში შეტანილი სარჩელი.

ცალკე მსჯელობის თემაა ე. წ. ტელედაპატიმრებები, როდესაც სამართლდამცავების მიერ „მობილიზებული“ ტელევიზიები ესწრებიან „კანონიერი ქურდების“ ან სხვა „დამნაშავეების“ დაპატიმრების პროცესს და „საზოგადოების ინტერესებში“ სახელისა და გვარის მითითებით ავრცელებენ „ოპერატიულ ინფორმაციას“... სამწუხაროდ, ახალმა ხელისუფლებამაც არ თქვა უარი ამ „ნეგატიურ მოვლენაზე“, რომელიც არამარტო ხელყოფს უდანაშაულობის პრეზუმფციას, არამედ, ფაქტობრივად, პროკურატურის ინტერესებში ახდენს ზეწოლას სასამართლოზე. ფაქტია, რომ საქართველოს სახალხო დამცველის ბოლო ანგარიშშიც ხაზგასმულია, რომ „2015 წელს მოქალაქეების მიმართ არაერთგზის დაირღვა უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი“ (გაზეთი „ახალი თაობა“, 13.06.2016).

ფაქტია ისიც, „დამოუკიდებელი“ მედია დღემდე აქტიურად გამოიყენება ცალკეული პოლიტიკური ჯგუფების მიერ სასამართლოზე ზეწოლა-ზეგავლენის განხორციელების ეფექტურ პროპაგანდისტულ იარაღად, ხოლო ჟურნალისტური ეთიკით შეუზღუდავი სიტყვის თავისუფლების უკონტროლო გამოყენება არცთუ იშვიათად იწვევს უდანაშაულობისპრეზუმფციისკონსტიტუციურიპრინციპის ხელყოფას არა მარტო ბრალდებულების, არამედ თავად მოსამართლეების მიმართ.

ამასთან, „მაგდა პაპიძის საქმემ“ თვალნათლივ დაგვანახა, რომ სისხლის სამართალწარმოების „ღიაობის“ („საქვეყნოობის“, „საჯაროობის“, „გამჭვირვალობის“) გონივრულ ფარგლებში შეუზღუდაობა საშუალებას აძლევს „რეიტინგულ“ ტელევიზიებს ზემოქმედება მოახდინონ სასამართლოზე და თუნდაც ნაფიც მსაჯულებს წინასწარ ჩამოუყალიბონ რწმენა პროკურატურის პოზიციის უტყუარობის თაობაზე (ე. წ. საზოგადოებრივი აზრის ფორმირების გზით, ფაქტობრივად, მედია ცნობს ბრალდებულს დამნაშავედ და არა სასამართლო...).

ამდენად, კანონმდებელმა საზღვარგარეთული გამოცდილებისა და საქართველოში არსებული რეალობის გათვალისწინებით, დაუყოვნებლივ უნდა თქვას უარი სისხლის სამართლის საქმის განხილვისას სასამართლო სხდომების ფოტო-ვიდეოგადაღებასა და ტელეტრანსლაციებზე, ხოლო ჟურნალისტთა კორპუსი მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ რეალურად გვინდა საქართველოს სასამართლოების რეფორმირება, მოსამართლეებისადმი საზოგადოების ნდობის გაჩენა და სისხლის სამართალწარმოებაში ადამიანის უფლებების ეფექტურად დაცვა, აუცილებლობად მიმაჩნია, კანონმდებლობის ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად იუსტიციის სამინისტროს თაოსნობით დაუყოვნებლივ შეიქმნას სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტებით დაკომპლექტებული კომისია (უმრავლესობას მეცნიერები და ადვოკატები უნდა შეადგენდნენ და არა პროკურორები...), რომელიც, პირველ რიგში, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებების გათვალისწინებით მოამზადებდა 2010 წლიდან ამოქმედებულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილება-დამატებების პროექტს და მომავალ პარლამენტს განსახილველად წარუდგენდა. ამის შემდეგ კი, კომისია ახალ საპროცესო კოდექსზე დაიწყებდა მუშაობას, რომელიც რეალურად უზრუნველყოფდა მხარეთა თანასწორობასა და შეჯიბრებითობას სისხლის სამართალწარმოებაში, რაც შესამჩნევად აუმაღლებდა ავტორიტეტს სასამართლო ხელისუფლებასაც.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-13 მუხლი და მისი ძართული ვარიანტები
(ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია", 2000, №3)

Article 13 – Right to an Effective Remedy

Everyone whose rights and freedoms as set forth in this Convention are violated shall have an effective remedy before a national authority not with standing that the violation has been committed by persons acting in an official capacity.[1]

მუხლი 13 - უფლება ეფექტურ ზომაზე

ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, ექნება ეფექტური ზომის მიღების უფლება ეროვნული ხელისუფლების წინაშე, თუნდაც ეს დარღვევა ჩადენილი იქნეს იმ პირების მიერ, რომლებიც მოქმედებდნენ ოფიციალური უფლებამოსილებებით.[2]

საქართველოს სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისა და ევროპული თანამეგობრობის სრულუფლებიან წევრად ფორმირებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისთვის მყარი სახელმწიფოებრივი გარანტიების შექმნას.

საქართველოს კონსტიტუციით ერთმნიშვნელოვნად იქნა გაცხადებული საერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების უპირატესი ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ და სახელმწიფოს შეზღუდვა საყოველთაოდ აღიარებული უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით (მე-6 და მე-7 მუხლები).

საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანებით ჩვენი მოქალაქეების დაცვის სამართლებრივ საშუალებებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი მიმართვის უფლებაც შეემატა. ამდენად, როგორც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლობისათვის, ასევე მოქალაქეებისათვისაც უაღრესად აქტუალური ხდება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის ცალკეული მუხლების არსში გარკვევა.

ევროპის კონვენციის მე-13 მუხლი მოწოდებულია შექმნას ეფექტური სამართლებრივი მექანიზმები სახელმწიფოების მიერ ევროპული კონვენციის პირველი მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების („ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უზრუნველყოფა")

[1] European Convention on Human Rights, Directorate General of Human Rights, Council of Europe, Strasbourg, 2000.

[2] ევროპის საბჭო და ადამიანის უფლებების დაცვა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გამოცემა, თბილისი, 1998

შესასრულებლად. ამასთან, თუ დარღვეული უფლებების აღსადგენად შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები არაეფექტურია, მე-13 მუხლი საშუალებას იძლევა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ხელმყოფ თანამდებობის პირთა თუ სახელმწიფო ორგანოთა მიმართ გამოყენებულ იქნეს საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები.

მე-13 მუხლის გამოყენებას საფუძვლად შეიძლება დაედოს სილვერისა და სხვათა საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული პრინციპები, კერძოდ:

- თუ განცხადება დარღვევის თაობაზე სადავოა, ეფექტური დაცვის საშუალებები (ზომები) საჭიროა, როგორც თავად დარღვევის ფაქტის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, ასევე, აუცილებლობის შემთხვევაში, სათანადო კომპენსაციის მისაღებად;
- უფლების აღდგენისათვის აუცილებლობას არ წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლება (ორგანო), მაგრამ მისი უფლებამოსილება და გარანტიები განსაზღვრავს დაცვის საშუალებათა (ზომების) ეფექტურობას;
- მე-13 მუხლის მოთხოვნები შესაძლებელია დაკმაყოფილდეს სახელმწიფოში არსებული სამართლებრივი საშუალებების (ზომების) ერთობლიობითაც, თუ ცალკე აღებული რომელიმე საშუალება ვერ უზრუნველყოფს ეფექტურ დაცვას.[3]

მე-13 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე პრინციპული მნიშვნელობის მქონეა ორი მოთხოვნა. პირველ რიგში, პირის უფლება ევროპული კონვენციით აღიარებული უფლებების და თავისუფლებების ხელყოფის შემთხვევაში მიმართოს სათანადო ორგანოებს, მეორე - განმცხადებლის უფლება, გააჩნდეს დაცვის ეფექტური საშუალებები. ამასთან, პირი თავად განსაზღვრავს, დაირღვა მისი უფლებები თუ არა, ხოლო იმის დასადგენად, რეალურად ჰქონდა თუ არა ადგილი დარღვევის ფაქტს, ადამიანს, უპირველეს ყოვლისა, გასაჩივრების უფლება უნდა გააჩნდეს.

არ უნდა ჰქონდეს არსებითი მნიშვნელობა, თუ ვინ გამოდის პირის უფლებების და თავისუფლებების დამრღვევად, მაგრამ აღნიშნულ მუხლში, პირველ რიგში, სწორედ აღმასრულებელი ხელისუფლება, მისი ორგანოები და თანამდებობის პირები იგულისხმებიან. ამასთან, ხელსუფლების წარმომადგენელთა მხრიდან დარღვეული უფლების გასაჩივრებისა და დაცვის ეფექტური საშუალების შესაძლებლობა იგულისხმება იმ შემთხვევაშიც კი, თუ დამრღვევი პირი ოფიციალური სტატუსის გამო განთავისუფლებულია პასუხისმგებლობისაგან სახელმწიფოს შიგნით.

[3] სასამართლო გადაწყვეტილება სილვერისა და სხვათა საქმეზე. 25. III. 1983. Series A. N61. P. 42 Para

ევროპული კონვენციის მე-13 მუხლით აღიარებული უფლების დარღვევად უნდა ჩაითვალოს ისეთი შემთხვევაც, როდესაც კონვენციით აღიარებული რომელიმე კონკრეტული უფლების დარღვევა საქმისწარმოებით არ დადგინდება, მაგრამ დაცვის სამართლებრივი საშუალებები სახელმწიფოში არაეფექტურია. ამდენად, გარდა იმისა, რომ პირს უნდა გააჩნდეს უფლება, შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმებით ეფექტურად აღკვეთოს უფლებების დარღვევა, ამასთან, უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა (ფაქტობრივად, დამოუკიდებელი უფლება) საჯაროდ განუცხადოს ხელისუფლებას ამ დარღვევის შესახებ.[4]

მე-13 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე და ევროსასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით, არსებითად მივიჩნევთ იმ გარემოებას, რომ თუ სახელმწიფო (მმართველობის ან თვითმმართველობის) ორგანოს ან თანამდებობის პირის ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა) სავარაუდოდ არღვევს ევროპული კონვენციით აღიარებულ მის უფლებებსა და თავისუფლებებს, ამ პირს, გარდა იმისა, რომ უფლება ეძლევა საჩივარი შეიტანოს ოფიციალურ ორგანოებში, იმ შემთხვევაში, თუ საქმის განხილვა არაგონივრულად გაჭიანურდება ან შიდასახელმწიფოებრივი დაცვის საშუალებები არაეფექტური აღმოჩნდება, უფლება უნდა გააჩნდეს, მიიღოს სათანადო კომპენსაცია. ამასთან, კომპენსაციის მიღება იმ შემთხვევაშიც იგულისხმება, თუ თავად დარღვევის ფაქტი არ დადასტურდება, მაგრამ დადგინდება დაცვის საშუალებათა არაეფექტურობა.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-13 მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნათა და ევროპული კონვენციის მე-5.4 და მე-6.1 მუხლებთან მათი მიმართების თაობაზე არაერთი სადავო საკითხი წამოიჭრა და ზოგიერთ საკითხზე დღემდე მიმდინარეობს პოლემიკა,[5] უმნიშვნელოვანესად სწორედ იმ გარემოებას მივიჩნევთ, რომ მე-13 მუხლი, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ქმედითი საშუალება, განსაკუთრებით ეფექტურად შეიძლება იქნეს გამოყენებული სწორედ იმ შემთხვევებში, რომლებიც ევროპული კონვენციის თანახმად, არ მიეკუთვნება, არც სამოქალაქო და არც სისხლისამართლებრივ საქმეებს.

კოსტელო-რობერტსის საქმიდან გამომდინარე, შიდასახელმწიფოებრივი დაცვის საშუალებების ეფექტურობის გამოსავლენად შესაძლებელია ორი კრიტერიუმის გამოყენება: სადავო ქმედებათა შიდასახელმწიფოებრივი განხილვის შესაძლებლობა და შესაბამისი ორგანოს კომპეტენტურობა დაზარალებული მხარისათვის სათანადო

[4] სასამართლოს გადაწყვეტილება კლასის საქმეზე, 6IX. 1978, Series A N28

[5] სასამართლო გადაწყვეტილების სპორონგისა და ლერნოტის საქმეზე, 23. IX. 1982, SERIES A. N52

კომპენსაციის მიკუთვნებაზე.[6] ამდენად, თუ შიდასახელმწიფოებრივ ოფიციალურ ორგანოს არ გააჩნია უფლებამოსილება, განმცხადებელს მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი, დაცვის საშუალებები არაეფექტურად უნდა ჩაითვალოს.

როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სამართალწარმოების პრაქტიკა მოწმობს, მე-13 მუხლი არ ითვალისწინებს იმპლემენტაციის აუცილებლობას, ანუ კონვენციის დებულებების (ნორმების) ჩართვას მონაწილე სახელმწიფოების კანონმდებლობაში.[7] თუმცა, მეორე მხრივ, სასამართლო გადაწყვეტილებაში აბდულაზიზის, კაბალესის და ბანკალდალის საქმეზე აღნიშნულია, რომ „ეფექტური დაცვის საშუალებების (ზომების)" არსებობა შეუძლებელი იქნება, თუ „გაერთიანებულმა სამეფომ არ ჩართო კონვენცია თავის ეროვნულ სამართალში".[8]

მართალია, მე-13 მუხლი, კონვენციის 5.4 და 6.1 მუხლებისაგან განსხვავებით, პირდაპირ არ მიუთითებს სასამართლოების მიერ საქმეების „სწრაფ" და „გონივრულ (მისაღებ) ვადაში" განხილვის აუცილებლობაზე, მაგრამ პრაქტიკა მოწმობს, რომ დაცვის ეფექტურ საშუალებად, ძირითადად, სასამართლო ხელისუფლება მოიაზრება (ხშირად მე-13 მუხლთან დაკავშირებული საკითხები მე-6 მუხლთან მიმართებაშიც განიხილება), თუმცა განსახილველი მუხლი გაცილებით ფართო შინაარსისაა და სასამართლოს გარდა, როგორც სახელმწიფო (მმართველობისა და თვითმმართველობის) ორგანოების, ასევე ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მოქმედებების (რომლებიც ახორციელებენ საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას) გასაჩივრების სხვა მექანიზმებსაც გულისხმობს (რომლებზედაც ამჯერად არ შევჩერდებით).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ნათელი ხდება, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ევროპული კონვენციით აღიარებული ადამიანის უფლებებისა და მათი დაცვის მექანიზმების არსში გარკვევა და პრაქტიკაში სწორად გამოყენება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველო ევროსაბჭოს სრულუფლებიანი წევრია.

ამასთან დაკავშირებით. მეტად პრინციპულ ხასიათს იძენს საერთაშორისო აქტებში მოცემული ნორმების ქართულ სამართალში იმპლემენტაციის (გადმონერგვის) საკითხი, რაშიც, უპირველეს ყოვლისა, თარგმნის თავისებურებათა გათვალისწინებაც არის საჭირო. საქართველოს იუსტიციის საბჭოს კრებულში, რომლის

[6] სასამართლო გადაწყვეტილება კოსტელო-რობერტსის საქმეზე. 25.III.1993, Series A. N247-C

[7] სასამართლო გადაწყვეტილება კოსტელო-რობერტსის საქმეზე. 25.III.1993, Series A. N247-C

[8] სასამართლო გადაწყვეტილება აბდულაზიზის, კაბალესის და ბანკალდალის საქმეზე. 25.III.1985,Series A. N94

პასუხისმგებელი რედაქტორია საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე (ყოფილი იუსტიციის მინისტრი), იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლადო ჭანტურია, ევროპის კონვენციის მე-13 მუხლი შემდეგი რედაქციით არის მოყვანილი:

„ამ კონვენციაში მითითებული უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის შემთხვევაში, თუნდაც ეს დარღვევა მოხდეს სამართლებრივი მოვალეობის აღსრულების დროს, ყოველი პირის შელახული უფლებანი და თავისუფლებანი უნდა აღადგინოს ეროვნულმა სახელმწიფო ორგანომ“.[9]

იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად (ფუნდამენტურ) თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ოფიციალური ტექსტი ინგლისურ და ფრანგულ ენებზეა შედგენილი, საქართველოში, მისი მე-13 მუხლის გამოყენების საკითხის შესწავლისას, პირველ რიგში დადგენას საჭიროებს საბაზისო ვარიანტი, ვინაიდან ქართულ ენაზე არსებული რამდენიმე ტექსტი, სამწუხაროდ, ერთმანეთისაგან განსხვავდება არა მარტო ცალკეული ნორმების კონსტრუქციით, არამედ თვით კონვენციის დასახელებაც კი არაერთგვაროვნად არის გაგებული და ნათარგმნი. ქართულენოვანი ტექსტი ორიგინალისაგან, რიგ შემთხვევაში, რედაქციულად, ხოლო არცთუ იშვიათად, არსებითადაც არის განსხვავებული.

ამჯერად, კონვენციის მე-13 მუხლის ზემოთ მოყვანილ ფორმულირებაზე შევჩერდებით, რომელშიც ტერმინი „ეფექტურობა“ საერთოდ არ არის ნახსენები.

აღიარებულია, რომ ევროპის კონვენცია წარმოადგენს ადამიანის უფლებების ეროვნულ დონეზე დაცვის დამხმარე მექანიზმს. მისი ძირითადი დანიშნულებაა, შექმნას დამატებითი სამრთლებრივი გარანტიები იმ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებისათვის, რომლებიც დაცულია მონაწილე სახელმწიფოების სამართლებრივი თუ კონსტიტუციური სისტემებით.

1953 წლიდან ევროსასამართლოში რეგისტრირებული 40 ათასზე მეტი ინდივიდუალური საჩივრიდან, 90%-ზე მეტს განხილვაზე უარი ეთქვა, უმეტეს შემთხვევაში სწორედ იმის გამო, რომ არ იყო ამოწურული უფლებების დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები. მიჩნეულ იქნა, რომ განმცხადებელთა აბსოლუტურ უმრავლესობას არ ჰქონდა საერთაშორისო მექანიზმების გამოყენების საფუძველი, რადგან მათი ქვეყნების შიდა სამართლებრივ სისტემებს გააჩნდა ადამიანის უფლებების დაცვის საკმარისად მაღალი ხარისხი (დონე).

[9] საქართველოს კანონები, ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო აქტები და კონვენციები, საქართველოს იუსტიციის საბჭო, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 1997 წ., გვ. 394 (აღნიშნული კრებულით ხელმძღვანელობენ მოსამართლეები).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ბევრ ადრინდელ გადაწყვეტილებაში განსაზღვრულია, თუ რა გარემოებებში და როდის ჩაითვლება ამოწურულად შიდასახელმწიფოებრივი დაცვის ყველა საშუალება. ერთ-ერთ ასეთ გარემოებად მიჩნეულ იქნა სწორედ შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების „არაეფექტურობა და არაადეკვატურობა".[10]

სწორედ კონკრეტული ქვეყნის სამართლებრივი სისტემის არაეფექტურობის შემთხვევაში შეუძლია განმცხადებელს, არ გამოიყენოს შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები და მათი გვერდის ავლით მიმართოს ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო მექანიზმებს (თუმცა, ძირითადად, თავად მოუწევს იმის მტკიცება, რომ შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმები არაეფექტურია). ამასთან, ევროპის სასამართლოში საქმის განხილვისას, თუ თავად სახელმწიფო დაიწყებს თავის მართლებას დაცვის ეფექტური საშუალებების არსებობაზე აპელირებით, მასვე დაეკისრება მტკიცების ტვირთი ასეთი საშუალებების ქვეყნის შიგნით არსებობის თაობაზე (კონკრეტული ფაქტების მოშველიებით).[11]

ამდენად, ევროპის კონვენციის მე-13 მუხლის ქართულენოვან ფორმულირებაში სიტყვა „ეფექტურს" მეტად პრინციპული, წმინდა სამართლებრივი დატვირთვა გააჩნია და ევროპული კონვენცია სწორედ პირის „ეფექტურ დაცვის საშუალებებზე (ზომებზე)" უფლებას აღიარებს, ხოლო სახელმწიფოში დაცვის სამართლებრივი საშუალებების არაეფექტურობის შემთხვევაში, ადამიანს უფლებას აძლევს საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები გამოიყენოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქართველ მოსამართლეთათვის გამიზნულ კრებულში მოცემული კონვენციის მე-13 მუხლის ფორმულირებაში ტერმინ „ეფექტურის" ამოღება არსებით ხარვეზად მიმაჩნია და დაუყოვნებლივ მოითხოვს გასწორებას (საგულისხმოა, რომ ტირაჟი 3000 ცალს შეადგენს).[12]

ამასთან, ორიგინალურ ტექსტს არ შეესაბამება შემდეგი წინადადებაც: „თუნდაც ეს დარღვევა მოხდეს სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულების დროს", ვინაიდან, ფაქტობრივად, მხოლოდ თანამდებობის პირს გულისხმობს. მაშინ, როდესაც კონვენციის მე-13 მუხლით განმტკიცებული უფლების სავარაუდო დამრღვევებად ხელისუფლების ორგანოებიც იგულისხმება (სამინისტროები, კომიტეტები, საბჭოები,

[10] კევინ ბოილი, სემინარის „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები" მასალები გუდაური, 1999 წ. გვ. 10

[11] სასამართლო გადაწყვეტილება „vereiningung Democratischer Soldaten Osterreichs" და გუბის საქმეზე. 19.XII.1994, Series A, N302

[12] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შედარებით მცირე ტირაჟით გამოცემულ ზემოაღნიშნულ კრებულში აღნიშნული ხარვეზი გამოსწორებულია. თუმცა მე-13 მუხლში უკვე „ეფექტური ზომის მიღების უფლებაზეა" ღაპარაკი.

გამგეობები და სხვა კოლექტიური ორგანოები).

გარდა ამისა, ქართულ ტექსტში მე-13 მუხლის მოთხოვნა ფიქსირებულია, როგორც ეროვნული სახელმწიფო ორგანოს „ვალდებულება" აღადგინოს ადამიანის შელახული უფლებები, მაშინ, როდესაც ოფიციალურ ტექსტში ლაპარაკია მხოლოდ ეფექტური საშუალებების არსებობაზე (დაზარალებულის უფლებაზე) სახელმწიფო ორგანოების წინაშე თავის დასაცავად. ამასთან, განხილულ ქართულენოვან ვარიანტში მე-13 მუხლს, ისევე, როგორც დანარჩენ მუხლებს, ორიგინალისაგან განსხვავებით, არა აქვს დასათაურება.

ამდენად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონვენციის მე-13 მუხლის ქართული ვერსია საჭიროებს საფუძვლიან გადამუშავებას. მასში შეტანილ უნდა იქნეს, როგორც რედაქციული, ასევე არსებითი ხასიათის ცვლილებები.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართულ ენაზე არსებობს ევროპის კონვენციის რამდენიმე ვარიანტი, მათ შორის, როგორც სახელისუფლებო სტრუქტურებში მომზადებული, ასევე ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ (მაგ., საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამოცემა), აუცილებლად მივიჩნევ, იუსტიციის სამინისტრომ დროულად მიიღოს ზომები ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო აქტების ტექსტების დადგენა-დაზუსტებისათვის.

სადღეისოდ შექმნილი ვითარება ყოვლად გაუმართლებელია და დაუყოვნებლივ მოწესრიგებას საჭიროებს. დაუშვებლად მიმაჩნია, ნორმატიული აქტების გამოცემა სათანადო ორგანოს, კერძოდ იუსტიციის სამინისტროს მიერ ტექსტის ვიზირების გარეშე.

როგორც ჩანს, თარგმნის პრობლემა არა მარტო საქართველოში დგას. ევროსაბჭოს ეგიდით რუსულ ენაზე გამოცემულ დომნა გომიენის „ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის მეგზურში"[13] და მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა დამოუკიდებელი ინსტიტუტის მიერ გამოცემულ კრებულში „ადამიანის უფლებების ევროპული კონვენცია და ევროპის სოციალური ქარტია",[14] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის

---

[13] Домна Гомиен, Путеводитель по Европейской Конвенции о Защите прав человека, Совет Европы, Страсбург, 1994, стр. 42

[14] Домна Гомиен, Девид Харрис, Лео Зваак, Европейская Конвенция о Защите прав человека и Европейская социальная хартия, Журнал „Право и практика", Москва, 1998,

შენიშვნა: საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 9 ივნისის N 3250 – Iს დადგენილებით განხორციელდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თარგმანის კორექტირება, რის შედეგადაც აღნიშნულმა მუხლმა შემდეგი სახე მიიღო: მუხლი 13. სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება ყველას ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა.

მე-13 მუხლის დასათაურებაც და შინაარსიც განსხვავებული რედაქციით არის მოცემული.

ამდენად, გამართლებულად მივიჩნევ, თავად ევროსაბჭომ დაუთმოს მეტი ყურადღება მონაწილე ქვეყნების ენებზე ევროპის კონვენციის თარგმნის საკითხს. ამ მიზნით მიიწვიოს სათანადო კვალიფიკაციის ექსპერტები და ქმედითი კონტროლი განახორციელოს სახელმწიფოების შიგნით გამოყენებული ტექსტების ორიგინალთან შესაბამისობაზე.

კომენტარი:

საქართველოში მასობრივად ირღვევა ევროპული კონვენციის მე-13 მუხლი და ადამიანებს არ გააჩნიათ სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებები. მიმაჩნია, ამ მხრივ, ვითარება კიდევ უფრო უარესდება... გარდა იმისა, რომ მოსამართლეების ნაწილს ასეულობით საქმე დაუგროვდა, რის გამოც მათი განხილვა გაუმართლებლად ჭიანურდება (შემიძლია, მოვიყვანო კონკრეტული ფაქტები, როდესაც თაღლითობაში ბრალდებულის საქმის განხილვა თითქმის 5 წელი გაგრძელდა, შპს-ს დავა საგადასახადო ორგანოსთან 10 წელი მიმდინარეობდა, ხოლო საპატრულო პოლიციელის მიერ გამოწერილ საჯარიმო ქვითარზე შეტანილი ადმინისტრაციული საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოში სამი წელი ელოდებოდა განხილვას....), არცთუ იშვიათად სასამართლოს გადაწყვეტილებები სრულიად დაუსაბუთებელია. მოსამართლეები, ფაქტობრივად, აღარ აკმაყოფილებენ მოთხოვნებს სარჩელის შეტანამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, რაც საპროცესო კოდექსში ჩადებული არაგონივრული პროცედურის გამო საერთოდ აზრს უკარგავს გასაჩივრებას (ერთ დღეში მიღებულ განჩინებაზე შეტანილი საჩივარი იმავე მოსამართლეს გადაეცემა და 20 დღე ეძლევა გადაწყვეტილების მისაღებად...).

გარდა ამისა, ე. წ. ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვის ანტიკონსტიტუციური ინსტიტუტი უკვე სააპელაციო ინსტანციაშიც დაინერგა („ვარდების რევოლუციამდე“ მხოლოდ საკასაციო ინსტანციაში გამოიყენებოდა) და საჩივრებიც დაინტერესებული მხარეების დაუსწრებლად იხილება. ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება პირველი ინსტანციის სასამართლოს გამოაქვს („ვარდების რევოლუციამდე“ სააპელაციო სასამართლოში საჩივრდებოდა), ხოლო საარჩევნო დავები მეორე ინსტანციაში სრულდება (ადრე უზენაესი სასამართლო იღებდა საბოლოო გადაწყვეტილებას). საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მიეცა უფლებამოსილება თავად გადაწყვიტოს

რომელი საჩივარი განიხილოს და რომელი არა, რის გამოც საჩივრების აბსოლუტური უმრავლესობა სასამართლოს ეგზავნება და დარღვეული უფლების აღდგენა გაუმართლებლად ჭიანურდება. თუ ადრე ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე საჩივრებს ჯერ თბილისის სამმართველო იხილავდა, შემდეგ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი და ბოლოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ამჟამად მხოლოდ დეპარტამენტის დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც სასამართლოში მხოლოდ ერთჯერადად შეიძლება გასაჩივრდეს.

არცთუ იშვითად, ადამიანის უფლებების ხელყოფა საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში არსებული ხარვეზების, ტერმინოლოგიური შეუსაბამობისა და ნორმების ბუნდოვანობის გამო ხდება. მაგ., ვინაიდან გაურკვეველია ტერმინების „ძალაში შესვლა“ და „ამოქმედების“ მნიშვნელობა, მიუხედავად იმისა, რომ საჩივრის (სარჩელის) შეტანა აჩერებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას, ადმინისტრაციული ორგანოდან უარის მიღებისთანავე სამართალდამცავები იმ სავარაუდო სამართალდამრღვევებსაც აკისრებენ ფინანსურ სანქციებს და უფლებებსაც ართმევენ (მაგ., ავტომობილის მართვის უფლებას), რომელიც სადავო ოქმს (საჯარიმო ქვითარს) კონტიტუციური უფლების საფუძველზე სასამართლოში ასაჩივრებს, რაც აკნინებს სასამართლოს ავტორიტეტს.

სრულიად მიუღებელი ვითარებაა შექმნილი საქართველოს ინტერპოლის ეროვნულ ბიუროში, რომელიც საერთოდ არ იღებს მოქალაქეების განცხადებებს და არ იძლევა ინფორმაციას თუნდაც ძებნილი მანქანების თაობაზე. ამასთან, თაღლითური სქემებით შემოყვანილ ავტომობილებს, წლობით არ უბრუნებენ კეთილსინდისიერ შემძენებს, ხოლო მანქანების ამოღება მესაკუთრეების თანხმობის გარეშე ხდება (მხოლოდ დათვალიერების ოქმზეა ხელმოწერა, რომ მფლობელი მას გაეცნო).

ფაქტია ისიც, რომ ჩამორთმეულ ან გამოძალულ ქონებასთან დაკავშირებით პროკურატურაში ათეულობით ათასობით საჩივარია შესული, რომელთა ავტორები წლობით ელოდებიან „სამართლიანობის აღდგენას“, თუმცა, საუკეთესი შემთხვევაში, მხოლოდ იმას პასუხობენ, რომ გამოძიება მიმდინარეობს... მატერიალური და მორალური კომპენსაცია კი იმ პირებსაც არ მიუღიათ, ვინც პარლამენტის მიერ იქნა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად ცნობილი...

არსებითი პრობლემებია სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების მხრივაც. საკანონმდებლო ბაზა

საშუალებას იძლევა აღსრულების გაუმართლებელი გაჭიანურების, ხოლო, რიგ შემთხვევებში, სამართალდამცავი ორგანოები (მაგალითად, შსს) საერთოდ უგულვებელყოფენ სასამართლოს მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცლებს, რომლებითაც მოქალაქეების სასარგებლოდ ეკისრებათ თანხის გადახდა.

უაღრესად არაეფექტურია სახალხო დამცველის საქმიანობაც, რომელიც. ფაქტობრივად, შერჩევით ახორციელებს დაცვას (ძირითადად, ყოფილი მაღალჩინოსნების და ე. წ. უმცირესობების ინტერესებში მოქმედებს ეფექტურად), ხოლო განმცხადებლების აბსოლუტურ უმრავლესობას დახმარებაზე მხოლოდ იმ მოტივით ეუბნება უარს, რომ ვერ უთითებენ კანონის კონკრეტულ მუხლებს, რომლებიც მათ მიმართ დაირღვა...

ამდენად, კანონმდებელმა დროულად უნდა მიიღოს საგანგებო ზომები სამართლებრივი დაცვის საშუალებების ეფექტურობის მხრივ ვითარების რადიკალურად გამოსასწორებლად.

პირველ რიგში კი, ის არსებითი ხასიათის ხარვეზები უნდა აღმოიფხვრას, რომლებიც სისხლის სამართლის კოდექსშიც გვხდება და აშკარად პოლიცია-პროკურატურის ინტერესებზე მორგებულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც, რაც იმ გარემოებამ განაპირობა, რომ ამ კოდექსებზე დამოუკიდებელი კომისიები ცალ-ცალკე მუშაობდნენ, ხოლო საპროცესო კოდექსის ბოლო რედაქციის შემუშავებაში საერთოდ არ მიუღიათ მონაწილეობა მეცნიერებს და ადვოკატებს. ამდენად, ადამიანის უფლებების ეფექტურად დასაცავად, აუცილებლად მიმაჩნია, დაუყოვნებლივ შეიქმნას სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის სამართლის საპროცესო კოდექსის ახალი რედაქციის შემმუშავებელი კომისია (თუნდაც უზენაესი სასამართლოს „საკონსულტაციო საბჭოს" ბაზაზე), რომელიც ჯერ სისხლის სამართლის ახალ საპროცესო კოდექსს მოამზადებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებების გათვალისწინებით, ხოლო ამის შემდეგ სისხლის სამართლის კოდექსის დახვეწას შეეცდება. ამასთან სრულიად გამართლებულად მიმაჩნია, როგორც განვითარებულ ქვეყნებშია აპრობირებული, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებად მიჩნეული ქმედებები ე. წ. მცირემნიშვნელოვანი დანაშაულების სახით შესულიყო სისხლის სამართლის კოდექსში და მათ განსახილველად გამარტივებული პროცედურები შემოღებულიყო, რაც შესამჩნევად გაზრდიდა სასამართლოსადმი ნდობასაც და, რაც მთავარია, ბრალდებულ პირთა დაცვის გარანტიებსაც.

მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესის სრულყოფისათვის
(ჟურნალი „სამართალი“, 2001, №3)

სამართლებრივი სახელმწიფო საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული სამომავლო ორიენტირია, ჯერჯერობით კი ქვეყანაში გამართულად მომუშავე სახელმწიფო მექანიზმია შესაქმნელი. კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების უპირველეს დამცველად სწორედ ხელისუფლების წარმომადგენლები უნდა გვევლინებოდნენ, ხოლო კანონიერი უფლებების დარღვევისას მოსახლეობას უნდა გააჩნდეს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოსთვის მიმართვის საშუალება.

ვინაიდან, რეალურად დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, აგრეთვე კომპეტენტური და სამართლიანი სასამართლო ხელისუფლების არსებობით თითოეული მოქალაქე სისხლხორცეულადაა დაინტერესებული, სავსებით ბუნებრივია, რომ საქართველოში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმა ზოგადსაკაცობრიოდ აღიარებულ დემოკრატიულ ღირებულებებს მონატრებული საზოგადოების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა.

მოსამართლეთა კორპუსის შეცვლის ერთობ გაჭიანურებული კამპანიის შუქ-ჩრდილებზე ბევრი ითქვა და დაიწერა.

შეიძლებოდა მსჯელობა რეფორმის კონცეფციისა და საკანონმდებლო ბაზის ნაკლოვანებებზე, არსებით ხარვეზებზე საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების მეთოდიკასა და პროცედურაში, მაგრამ, ვინაიდან მორიგი გამოცდები კარს მოგვადგა, მიზანშეწონილად მივიჩნევ, ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, მოსამართლეობის კანდიდატების საგამოცდო ნამუშევრების შეფასების ობიექტურობის საკითხისთვის დამეთმო, მითუმეტეს, რომ მოსამართლეობის კანდიდატთა ნაწილი ადრე ჩატარებული გამოცდის შედეგით უკმაყოფილო დარჩა. ზოგიერთმა საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს მიმართა, ხოლო ერთ-ერთმა სასამართლოშიც კი იჩივლა.

საკითხის აქტუალობას ის გარემოებაც განაპირობებს, რომ მოსამართლე-ობის კანდიდატებთან ერთად, უახლოეს მომავალში, მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის მსგავსად, შესაძლოა, პროკურორებად და ადვოკატებად მუშაობის მსურველებსაც მოუწიოთ გამოცდების ჩაბარება.

იუსტიციის საბჭოს ყოფილი წევრი, ამჟამად ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა მამალაძე ბრძანებდა, რომ: „ტესტური გამოცდისას შემოქმედებითი საქმიანობის უნარის შემოწმება

არ ხდება. ასეთი უნარის შემოწმება ხდება წერითი გამოცდის დროს, თუმცა წერითი გამოცდაც დასახვეწია".[1]

წარმოდგენილი პუბლიკაციის მიზანი სწორედ იმ საკითხში გარკვევაა, თუ რამდენად დასახვეწია მოსამართლეობის წერითი გამოცდის მექანიზმი. ამასთან, გარკვეულ შენიშვნებთან ერთად წარმოდგენილია წინადადებები, როგორც საგამოცდო საკითხების, ასევე მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის წესის შემდგომი სრულყოფისათვის.

იმისათვის, რომ გავერკვეთ, თუ რა მოთხოვნებს უყენებს იუსტიციის საბჭო გამოსაცდელებს, ბუნებრივია, გვერდს ვერ ავუვლით იმ კრიტერიუმებს, რომლებითაც ხელმძღვანელობდა საგამოცდო კომისია, ანუ საქართველოს პრეზიდენტის მიერ 1997 წლის N697-ე ბრძანებულებით დამტკიცებულ „მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესს", რომლის თანახმად:

1. წერითი გამოცდის მიზანია გამოსაცდელის თეორიული ცოდნის, საკანონმდებლო მასალის გამოყენების უნარისა და ცხოვრებისეული მოვლენებისადმი ამ ცოდნის მისადაგების შესაძლებლობების შემოწმება.

2. წერითი გამოცდის საკითხი ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ შესაძლებელი იყოს გამოსაცდელის როგორც თეორიული ცოდნის, ისე ამ ცოდნის პრაქტიკული გამოყენების უნარ-ჩვევების გამოვლენა" (მუხლი 16).

თუ გავითვალისწინებთ, რომ საკვალიფიკაციო გამოცდის პირველი ეტაპის - ტესტური გამოცდის ძირითადი მიზანია გამოსაცდელის „პოზიტიურ სამართალში" გათვითცნობიერების შემოწმება (მუხლი 8), ხოლო წერითი გამოცდის „ბილეთი შედგება 7 საკითხისაგან, სამი საკითხი არის თეორიული, 4 - კაზუსი" (მუხლი 38.3), თავისთავად იკვეთება გარკვეული დაზუსტების აუცილებლობა. კერძოდ, იგულისხმება თუ არა „თეორიულ ცოდნაში" მთლიანობაში აღებული მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამა და წერითი გამოცდის თითოეულ საკითხში უნდა გამოავლინოს გამოსაცდელმა ამგვარი თეორიული ცოდნა (სამართლებრივი აქტები, სამართლის დარგები და დამხმარე ლიტერატურა), თუ კაზუსების ამოხსნისას შეიძლება მხოლოდ „პოზიტიური სამართლიდან" მოიშველიოს სათანადო ნორმები, სხვა - დამატებითი თეორიული არგუმენტების მოყვანის გარეშე.

აღნიშნული გარემოება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ ვითარებაში, როდესაც იმავე წესების მიხედვით: „თეორიულ საკითხებზე პასუხის გაცემისას გამოსაცდელს მოეთხოვება

[1] მამუკა მამალაძე, სასამართლო რეფორმა - გამოცდების მესამე ტურის წინ, გაზეთი „7 დღე", 22.02.1999

საკანონმდებლო მასალის ცოდნა, განსახილველი საკითხის დაკავშირება სხვა სამართლებრივ პრობლემებთან, თეორიული და პრაქტიკული ასპექტების ანალიზი“ (მუხლი 20.2). მიმაჩნია, რომ ზემოთ მოყვანილი მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნის ამგვარი სახით კიდევ უფრო განზოგადება სრულიად გაუმართლებელია, ვინაიდან ყოველ ცალკეულ გამომცდელს საშუალება ეძლევა, საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვროს „საკანონმდებლო მასალის“ თუ განსახილავ საკითხებთან დაკავშირებული „სხვა სამართლებრივი პრობლემების“ სპექტრი და გამოსაცდელისაგან „თეორიული და პრაქტიკული ასპექტების“ მხოლოდ მისთვის მისაღები სახის ანალიზი მოითხოვს.

ამდენად, მიზანშეწონილად მივიჩნევ, რომ აღნიშნული პუნქტი უფრო მკაფიოდ და ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბებულიყო. მაგალითად, თუნდაც შემდეგი სახით: „თეორიულ საკითხებზე პასუხის გაცემისას გამოსაცდელს მოეთხოვება საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებული მასალის (სამართლებრივი აქტების და შესაბამისი ლიტერატურის) ცოდნა“.

ამ შემთხვევაში, გამოსაცდელისათვის ნათელი იქნებოდა, რომ მან თავისი შეხედულებისამებრ კი არ უნდა დაუკავშიროს განსახილველი საკითხი „სამართლებრივ პრობლემებს“, არამედ მხოლოდ პროგრამაში მოცემული იურიდიული ლიტერატურიდან უნდა ისარგებლოს ფორმულირებებით. ამასთან, გამომცდელმა არ უნდა მოახვიოს თავს გამოსაცდელს საკუთარი ხედვა, ვინაიდან სამართლის დარგის „პრობლემების“ თაობაზე თითოეულ იურისტს თავისი თვალსაზრისი გააჩნია და „თეორიული და პრაქტიკული ასპექტების ანალიზსაც“, შეიძლება უაღრესად სპეციფიკურადაც კი უდგებოდეს (მაგ., თსუ-ს პროფესორი გურამ ნაჭყებია „უდანაშაულობის პრეზუმფციის“ კონსტიტუციურ პრინციპს „არაბრალეულობას“ უკავშირებს და მხოლოდ „ვარაუდად“ აღიქვამს, ხოლო სისხლის სამართლის პროცესის კათედრის წევრებს, პროფესორ აპოლონ ფალიაშვილს და დოცენტ გია მეფარიშვილს „სასხლისსამართლებრივი დევნის“ თაობაზე სრულიად განსხვავებული პოზიცია გააჩნიათ...).

წინააღმდეგ შემთხვევაში, საშიშროება ჩნდება მინიმალური შეფასება იმ გამოსაცდელმაც მიიღოს, რომელიც საკითხთან დაკავშირებულ პრობლემებშიც, თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებშიც სიღრმისეულად ერკვევა (შეიძლება არანაკლებად, ვიდრე გამომცდელი), მაგრამ მისი პოზიცია გამომცდელს მიუღებლად ეჩვენება (მერჩივნა, გამოცდების მექანიზმი სწორედ ასეთი კანდიდატების გამოვლენაზე ყოფილიყო ორიენტირებული).

თითქმის ანალოგიური ვითარებაა მე-20 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებაში, რომლითაც: „კაზუსის ამოხსნის დროს გამოსაცდელმა უნდა შეძლოს სამართლებრივი კვალიფიკაცია - სამართლებრივი

ნორმების მისადაგება ამოსახნელ კაზუსში მოცემულ ცხოვრებისეულ სიტუაციასთან. ასევე, მან უნდა შეძლოს ამგვარი გადაწყვეტილების დასაბუთება, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული არგუმენტებით". თუ არ დაკონკრეტდა, რა იგულისხმება კაზუსის ამოხსნისათვის საჭირო „თეორიულ და პრაქტიკულ არგუმენტაციაში", ცალკეულმა გამომცდელმა მათში შეიძლება მოიაზროს ქვეყანაში მოქმედი სამართლებრივი სისტემაც, ცალკეულ დარგებში მოქმედი პრინციპებიც, განსახილავ საკითხთან მეტ-ნაკლებად დაკავშირებული ინსტიტუტებიც თუ ცალკეული ნორმებიც და ამასთან, „პრაქტიკულ არგუმენტებად" სამართალწარმოების პრაქტიკიდან აღებული მაგალითების მოშველიებაც მოითხოვოს.

მივიჩნევ, რომ თავად საგამოცდო წესის არსიდან გამომდინარე, აღნიშნული ნორმის მეორე წინადადებაში, ზოგადაბსტრაქტული ცნებებით მანიპულირების ნაცვლად, უმჯობესი იქნებოდა, გამოსაცდელისაგან, უბრალოდ, საკუთარი არგუმენტაციის მოყვანა მოგვეთხოვა. ფორმულირება კი შეიძლებოდა ამ სახით ჩამოგვეყალიბებინა: „კაზუსის ამოხსნის დროს გამომცდელმა უნდა შეძლოს სამართლებრივი ნორმების მისადაგება ამოსახნელ კაზუსში მოცემულ ცხოვრებისეულ სიტუაციასთან და საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთება".

გამოცდაზე გამსვლელთათვის სავალდებულო თეორიული ცოდნის ფარგლების იუსტიციის საბჭოს მხრიდან მკაფიოდ განსაზღვრის საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს სწორედ იმ გარდამავალ ეტაპზე, როდესაც საქართველოში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმის შედეგად პრინციპულად იცვლება საკანონმდებლო ბაზა, რიგ შემთხვევაში, ერთობ ნაჩქარევად მიღებულ თუ გამოქვეყნებულ კოდექსებში ხარვეზებია გაპარული, კოდექსების ნაწილი ჯერ არ ამოქმედებულა და გაუთავებლად განიცდის ცვლილებებს, დღემდე არ გამოცემულა კომენტარებისა და აუცილებელი დამხმარე ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილი. უფრო მეტიც, თავად იუსტიციის საბჭოს მიერ გამოცემულ (კანონებისა და საერთაშორისო აქტების) კრებულშიც კი გვხვდება არსებითი ხასიათის უზუსტობანი, რომლებმაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს გამოსაცდელი.

აღიარებული ფაქტია, რომ მეცნიერები საქართველოს კონსტიტუციის ცალკეული მუხლების არსის თაობაზეც ვერ შეთანხმებულან და უმაღლესი კვალიფიკაციის იურისტებსაც კი დიამეტრიალურად განსხვავებული თვალსაზრისი გააჩნიათ. სამწუხაროდ, დღემდე კონსტიტუციის კომენტარიც არ გამოსულა. შედეგად, გამორიცხული არ არის გამოსაცდელის პასუხში მოყვანილი „თეორიული არგუმენტების" შეფასება დამოკიდებული იყოს კონკრეტული გამომცდელის სუბიექტურ შეხედულებებზე, ხოლო ვინაიდან ზოგიერთი

საკანონმდებლო ნოვაცია, სავსებით შესაძლებელია, ერთსაირად ახალი აღმოჩნდეს გამოსაცდელისა და საგამოცდო კომისიის წევრებისთვისაც (საგამოცდო კომისიის დებულების 5.2 მიხედვით საგამოცდო კომისიის წევრი შეიძლება გახდეს „პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო ხარისხი ან სპეციალობით პრაქტიკულად მუშაობის 15 წელზე მეტი გამოცდილება"), ამდენად, რიგ შემთხვევებში, პოზიციათა შორის არსებითი განსხვავება სრულებით ბუნებრივიც კი უნდა იყოს. შესაბამისად, ვინაიდან, სამართალი „ცოცხალი და განვითარებადი ორგანიზმია", სავსებით შესალებელია, თავად გამომცდელი - ღვაწლმოსილი პროფესორიც ან „სტაჟიანი" პროკურორიც ცდებოდეს.

ისიც ხომ ცნობილია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს უაღრესად კვალიფიციურ წევრებსაც კი გააჩნიათ განსხვავებული შეხედულებები რიგ პრინციპულ საკითხებზე და არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ ერთსა და იმავე ნაშრომს სრულიად განსხვავებულად შეაფასებენ, მაგალითად, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ზაურ ჯინჯოლავა და იგივე სამეცნიერო ხარისხის მქონე ბიძინა სავანელი, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს გახმაურებულ გადაწყვეტილებას მოსამართლეებისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე კატეგორიულად არ დაეთანხმა და ტელევიზიით გამოსვლისას თუ საგაზეთო პუბლიკაციებში კოლეგის ნაშრომი, ფაქტობრივად, „არადამაკმაყოფილებლად" შეაფასა (მოსამართლე ავთანდილ ჭაჭუას საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლოს ერთმა წევრმაც განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა და მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მისაღებად მიიჩნია).

მსგავსი სახის სადავო საკითხები გარდამავალი პერიოდის საქართველოში საკონსტიტუციო სამართლის გარდა, სხვა დარგებშიც მრავლად მოიძებნება. სამწუხაროდ, სპეციალისტებსაც კი დღემდე არაერთმნიშვნელოვნად ესმით რიგი ცნებები და ინსტიტუტები პროგრამით გათვალისწინებული ისეთი დისციპლინებიდან, როგორებიცაა, მაგ.: სისხლის სამართალი, სისხლის სამართლის პროცესი, სამოქალაქო სამართალი და სამოქალაქო სამართლის პროცესი, სამეწარმეო სამართალი და სხვა, რაც ბუნებრივია, შექმნის გარკვეულ პრობლემებს საკვალიფიკაციო გამოცდაზე გასულთა წერით ნაშრომების შეფასებისას (მაგალითად, დღემდე სადავოა სისხლისსამართლებრივი დევნის, უდანაშაულობის პრეზუმფციის, კორუფციის, სასამართლო სხდომის ღიაობის, საჯაროობის, სამართლიანი განაჩენის, სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის, ამოქმედების და სხვა უმნიშვნელოვანესი ცნებების შინაარსი).

სხვათა შორის, შემფასებელთა შორის სერიოზული უთანხმოების შესაძლებლობა რეფორმატორებმა, როგორც ჩანს, თავიდანვე გაითვალისწინეს და იმ ვითარებაში, როდესაც

„ბილეთის ყოველი საკითხი ფასდება 5 ქულიანი სისტემით, მაქსიმალური შეფასება არის 5, ხოლო მინიმალური - 0 „(მუხლი 21.1), ამასთან, საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის დებულებით: „ნამუშევარს მოცემული საგნის ორი სპეციალისტი ასწორებს“, იქვე მიუთითეს, რომ „თუ კომისიის წევრთა შეფასებებში სხვაობა მნიშვნელოვანია (3-5 ქულა), გადამწყვეტი იქნება კომისიის თავმჯდომარის თვალსაზრისი“ (პუნქტი 13.5).

ამდენად, არ გამოვრიცხავ, თუ რომელიმე გამომცდელი ბრმად ისელმძღვანელებდა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესის მე-20.3 მუხლით, მას შედარებით ფართოდ გაიგებდა და გამოსაცდელისგან „ცხოვრებისეული სიტუაციისადმი კონკრეტული სამართლებრივი ნორმების მისადაგებისას დამატებითი თეორიული და პრაქტიკული არგუმენტების მოშველიებას“ მოითხოვდა, სავსებით შეიძლება, რომელიმე ნამუშევარში, რომელშიც, ფაქტობრივად, სწორი პასუხი იქნებოდა მოცემული და საქართველოს კანონმდებლობის სათანადო ნორმებით იქნებოდა დასაბუთებული, ოთხივე კაზუსისათვის მინიმალური ქულები დაეწერა (თუნდაც 0) და ფორმალურად ვერც ვერავინ შეედავებოდა.

ამასთან, რაოდენ პარადოქსულიც უნდა მოგვეჩვენოს, თუ რომელიმე სხვა გამომცდელი, გამოცდის ჩატარების წესის იმავე პუნქტს შედარებით შეზღუდული მნიშვნელობით (ვიწროდ) გაიგებდა და ცხოვრებისეული სიტუაციისადმი კონკრეტული სამართლებრივი ნორმების მისადაგებისას „დამატებითი თეორიული და პრაქტიკული არგუმენტების მოშველიების“ საჭიროებას ვერ დაინახავდა, სავსებით შეეძლო იგივე ნამუშევარი, ძირითადად, უმაღლესი ქულებით შეეფასებინა (ცხადია, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც პასუხი ეყდნობა კანონს, რომელიც გამოსაცდელს არ უნდა გამოეყენებინა ან მასში არ არის მოხსნიებული ის ნორმები, რომლებიც გამოსაცდელს აუცილებლად უნდა გამოეყენებინა).

ფაქტია, რომ მე-13 პუნქტის მე-5 ქვეპუნქტი არ გამორიცხავს იმ ვითარებას, როდესაც ყველა სხვა საკითხზე შეფასებათა იდენტურობის შემთხვევაში, ცალკე აღებული რომელიმე კაზუსის ამოხსნაში ერთმა გამომცდელმა ხუთი ქულა დაწეროს, მეორემ - 0. ასეთი შემთხვევა პირველივე გამოცდაზე მოხდა, როდესაც საგამოცდო კომისიის წევრმა კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილება არ გაითვალისწინა და გამოსაცდელის სწორი პასუხი 0 ქულით შეაფასა, რის გამოც დავა სასამართლომ განიხილა და ნიშანი „გადაასწორა“...). ამდენად, ვინაიდან, სხვადასხვა გამომცდელთა შეფასებებს შორის არსებითი სხვაობის შესაძლებლობა საგამოცდო კომისიის დებულებითვეა გათვალისწინებული უკიდურეს აუცილებლობად მივიჩნევ, საკვალიფიკაციო წერითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმების

დაზუსტება-დაკონკრეტებას და წესებით დადგენილი მოთხოვნების ერთმნიშვნელოვნად განმარტებას გამომცდელ-გამოსაცდელისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, დავებს ვერც მომავალში ავიცილებთ და დარწმუნებული ვარ, პრეტენზიები საგამოცდო კომისიისა თუ იუსტიციის საბჭოს მიმართ, რიგ შემთხვევაში, არც თუ უსაფუძვლო იქნება.

როგორც ზემოთ ავღნიშნე, კაზუსებით სწორედ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში სწორად გამოყენების უნარის გამოვლენა უნდა ხდებოდეს და გამომცდელმა ნაშრომი იმის მიხედვით უნდა შეაფასოს, თუ რამდენად სწორად გაერკვა გამოსაცდელი პირობაში (მოცემულობაში) და რამდენად მართებულად შეუფარდა ცხოვრებისეულ სიტუაციას შესაბამისი ნორმები. მითუმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საგამოცდო ბილეთში „სამი საკითხი არის თეორიული, ოთხი - კაზუსი“, ამდენად, საკმარისად მივიჩნევ პასუხში პირობის გარკვეულ ანალიზთან ერთად (ცხადია, თუ ამის საჭიროება არსებობს), მხოლოდ სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია იყოს მოცემული და ეს საკმარისად იყოს დასაბუთებული სათანადო ნორმების მოშველიებით. ამასთან, ბუნებრივია, დასმულ შეკითხვებს სრულად უნდა გაეცეს პასუხი.

შთაბეჭდილება მრჩება, თუ განვლილ ტურებში გამოსაცდელებს საგამოცდო კომისიის მოთხოვნებს თავიდანვე შედარებით ნათლად ავუხსნიდით და დავუკონკრეტებდით, დამატებით „თეორიულ და პრაქტიკულ არგუმენტებს“ როგორმე მოიძიებდნენ, თუმცა, კაზუსების ამოხსნისას, ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ.

მართალია, გონივრულად შედგენილი საგამოცდო საკითხებით გარკვეული წარმოდგენა შეიძლება შეგვქმნოდა მოსამართლეობის კანდიდატების ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე („ზოგად უნარებზე“), მაგრამ ე. წ. ტესტური და წერითი საგამოცდო ბილეთების გაცნობით შთაბეჭდილება დამრჩა, რომ იუსტიციის საბჭოს, ძირითადად, გამოსაცდელის მეხსიერების (დაზუთხვის) უნარის გამოვლენა აქვს გამიზნული და მისგან მხოლოდ სამართლებრივი რეფორმის ფარგლებში ერთობ ნაჩქარევად მიღებული ახალი კანონების ფორმულირების სიტყვა-სიტყვით ცოდნას ითხოვს.

ამასთან, „ახალგაზრდა რეფორმატორებს“, როგორც ჩანს, აქცენტი, ძირითადად, გადატანილი აქვთ კითხვა-პასუხის იმგვარ მექანიზმზე, როგორიც წლების განმავლობაში „წარმატებით“ გამოიყენება თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე შემსვლელთათვის. „ტიპიურ“ შეკითხვებზე გამოსაცდელმა „ტიპიური“ პასუხი უნდა გასცეს და იურიდიული ფაკულტეტის პროფესორების მიერვე შედგენილ სახელმძღვანელოში მოცემულისაგან („საპროგრამო მასალისგან“), თუნდაც ოდნავ განსხვავებული თვალსაზრისის გამოთქმას, შეიძლება უარყოფითი შეფასება მოჰყვეს. არადა, სავსებით ლოგიკური (გონივრულიც!)

იქნებოდა, უმაღლეს სასწავლებლებში (იქნებ, მოსამართლეებადაც...) სწორედ ისეთი პიროვნებები მოგვეზიდა, რომლებიც დამოუკიდებლად იაზროვნებდნენ, კონკრეტული სიტუაციის ობიექტური ანალიზის უნარს გამოავლენდნენ და საკუთარ პოზიციას სათანადო არგუმენტებით დაასაბუთებდნენ.

პრობლემის ერთ, მეტად პრინციპულ მომენტსაც უნდა შევეხოთ. თუ წერითი გამოცდის კაზუსებში გარკვეული ტერმინოლოგიური „მახეები“ სრულიად გამიზნულად იყო ჩადებული გამოსაცდელის, როგორც ჩვენი ბრძენი წინაპრები იტყოდნენ, „გამჭრიახი გონიერების“, „მჩხრეკველობის“, „მიმხვდურობის“ თუ „გამსინჯაობის“ გამოსავლენად, უდაოდ მისასალმებელია, მაგრამ თუ ამგვარ „დეტალებს“ (მაგ. ერთ-ერთ კაზუსში ხან დაზიანებულ „ფილაზე“ იყო ლაპარაკი, ხან „ჭერზე“ და ხან „სახურავზე“, თუმცა ქართულ ენაში ამ ტერმინებს სრულიად სხვადასხვა მნიშვნელობა გააჩნიათ) არც საგამოცდო საკითხების შემდგენლები, არც გამოსაცდელები და არც პასუხის შემფასებლები ყურადღებას არ აქცევენ, მაშინ ვითარება გაცილებით საგანგაშო ყოფილა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს და მიმდინარე საგამოცდო კამპანია მართლაც უნდა იქცეს სერიოზული განსჯის საგნად.

სხვათა შორის, იმ გარემოებასაც უნდა გავუსვათ ხაზი, რომ წერითი თუ ტესტური გამოცდის მეშვეობითაც შეიძლებოდა გარკვეული წარმოდგენის შექმნა პიროვნების საქმიან თვისებებსა და გონებრივ შესაძლებლობებზე. მაგრამ ამისათვის საგამოცდო საკითხები სრულიად სხვა პრინციპებით უნდა იყოს შერჩეული. მაგალითად, თუნდაც ისე, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებსა ან ევროპის მოწინავე ქვეყნებში ინტელექტუალური განვითარების კოეფიციენტს (გონებრივი განვითარების დონეს) ადგენენ ან აკადემიურ შესაძლებლობებს ავლენენ.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს კონკრეტული ადამიანის საერთო გონებრივი განვითარების დონის (ინტელექტის) განსაზღვრის, საუკუნის დასაწყისის დროინდელი, ჩარლზ სპირმანისეული მეთოდიკები და თანამედროვე თეორიები (მაგ., ერთ-ერთის მიხედვით ადამიანის ინტელექტი შვიდი მიმართულებით ვითარდება), ჩვენი გამოცდებით სტუდენტობის ან მოსამართლეობის კანდიდატის მხოლოდ დამახსოვრების უნარს თუ დაადგენთ.

ამდენად, საკვალიფიკაციო გამოცდების მექანიზმსაც არსებითად შევცლიდი და საგამოცდო პროგრამებსაც სრულიად სხვაგვარად შევარჩევდი. ამასთან, არც ამერიკაში დაგვჭირდებოდა ტესტების კონსპირაციულად ბეჭდვა და ყოველგვარი „გაჟონვის“ საფრთხეც გამოირიცხებოდა (ერთ-ერთ გამოცდის შემდეგ იუსტიციის საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ საგამოცდო საკითხები უშუალოდ გამოცდის წინ შეადგინეს, ვინაიდან ადრემომზადებული ვარიანტი

გამოსაცდელების ხელში აღმოჩნდა...), არც არაფრის დაზუთხვა იქნებოდა საჭირო და მაღალი ინტელექტით გამორჩეულ ახალ ძალებსაც ფართოდ მოვიზიდავდით გამოცდებზე (რაც ცალკე მსჯელობის თემაა და ამჯერად მასზე არ შევჩერდები).

ერთს კი ავღნიშნავ, რომ ჩვენთან ჩატარებულ საკვალიფიკაციო გამოცდებში წარჩინებულებზე, უდავოდ, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ დამაკმაყოფილებელი მეხსიერება აქვთ (ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ საკითხების „გაჟონვას“ გამოვრიცხავთ...), მაგრამ ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გასაკეთებლად, გამოდგებიან თუ არა მოსამართლეებად, სრულებითაც არ უნდა იყოს საკმარისი და არა მგონია ამ საკითხში ორიგინალური ვიყო. ის გარემოება, რომ „კანონის ცოდნა მისი აზრისა და მნიშვნელობის ჩაწვდომას ნიშნავს“ ბიზანტიელებმა ჯერ კიდევ VI საუკუნეში აღიარეს ჭეშმარიტად და იუსტინიანეს კოდექსშიც ასახეს. ბაგრატ კურაპალატისა და ვახტანგ VI სამართლის წიგნშიც კანონების ცოდნაზე მეტად სხვა პიროვნულ თვისებებზეა აქცენტი გადატანილი (მათ შორის, მაგალითად, „უქრთამობასა და ღვთის მოშიშობაზე“...). ფაქტობრივად, იგივეს ითხოვდა მოსამართლისაგან ილია ჭავჭავაძეც.

ამდენად, ეჭვი არ მეპარება, რომ რიგ სადავო საკითხებში გარკვევის, გამომცდელთა მოთხოვნების დაზუსტების, გამოცდის ჩაბარების უნარ-ჩვევებში გარკვეული გამოცდილების დაგროვებისა და სათანადო კონსულტაციების გავლის (აგრეთვე, ინდივიდუალურად თუ რეპეტიტორების დახმარებით სათანადო ლიტერატურისა და ნორმატიული აქტების შესწავლის) შემდეგ, გასულ წლებში ჩაჭრილი მრავალი კანდიდატი მომდევნო ცდისას წარმატებით ჩააბარებს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდას და დააკმაყოფილებს იუსტიციის საბჭოს მოთხოვნებს (ამასთან, უმრავლესობა, შესაძლოა, ისევ ქალბატონები აღმოჩნდნენ), მაგრამ ამ სახის საგამოცდო ბარიერის დაძლევა საკმარისად არ მიმაჩნია იმისათვის, რომ „წარჩინებულმა“ კანდიდატმა დაიკავოს მოსამართლის უაღრესად საპატიო და საპასუხისმგებლო თანამდებობა.

სასამართლო რეფორმა და რეალურად დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და კომპეტენტური სასამართლო ვინმეს წინაშე თავის მოსაწონებლად კი არა, ისევ მოქალაქეებს გვჭირდება საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს დასამკვიდრებლად. მოსამართლეების (ისევე, როგორც პროკურორების და ადვოკატების) სავარძლები კი არა მარტო კანონების ზეპირად მცოდნე, არამედ განათლებულმა და საღად მოაზროვნე, სანდო და პიროვნული თვისებებითაც ყოველმხრივ გამორჩეულმა იურისტებმა („სამართლის დარგის აღიარებულმა სპეციალისტებმა“) უნდა დაიკავონ.

კომენტარი:

განვლილმა წლებმაც დამარწმუნა, რომ მოსამართლეების შერჩევის კრიტერიუმებიც გადასახედია და მოსამართლეების საკვალიფიკაციო გამოცდის წესიც არსებითად უნდა შეიცვალოს. ფაქტია, რომ მაგ., 1997-1998 წლებში მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უვარგისად იქნა მიჩნეული („რევოლუციურ" კოდექსში, რომლის მიღებისთვის სააკაშვილი ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციებმა „წლის ადამიანად" აღიარეს, ათასობით ცვლილება შევიდა და მოცულობით სამოქალაქო კოდექსს გადააჭარბა...), ხოლო 2010 წლიდან ამოქმედებულ ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც გვხდება არსებითი ხარვეზები და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან შეუსაბამო ნორმები. ამასთან, გარდა იმისა, რომ გაუთავებლად შედის ცვლილება-დამატებები, როგორც სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსსა და „მეწარმეთა შესახებ" კანონშიც, საქართველოს „უზენესმა კანონმაც" იმდენად იცვალა სახე, რომ „კონსტიტუციის მამებიც" კი ვეღარ ცნობენ და ისიც ვერ გაურკვევიათ სახელმწიფოში „პირველი პირი" ვინ არის...

ისიც აშკარა გახდა, რომ „უცხოელი მეგობრების" დაფინანსებითა და მეთვალყურეობით ჩატარებული ე. წ. საკვალიფიკაციო გამოცდებით შერჩეულთა და თანამდებობებზე გამწესებულ მოსამართლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ინტელექტუალური მონაცემებით და მიუკერძოებლობის ხარისხით ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, ხოლო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, არცთუ იშვითად საერთოდ დაუსაბუთებელია (ფაქტობრივად, მხოლოდ ამონარიდებია კანონმდებლობიდან...) ან არასაკმარისად არის დასაბუთებული, რის გამოც ზემდგომ ინსტანციებშიც საჩივრდება და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოშიც. თუ გავითვალისწინებთ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან საგამოცდო საკითხების „გაჟონვის" თაობაზე გახმაურებულ ცნობებს, არ უნდა იყოს სადავო, რომ რეალური რეფორმა მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმებსა და კონკურსების პროცედურებსაც უნდა შეეხოს.

„სამართლებრივი სახელმწიფო“
„სამართლიანი სასამართლოს“ მოლოდინში
(ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2004, №10)

რამდენიმე წლის წინ განხორციელებული თუ ამჟამადაც მიმდინარე (ზოგიერთის აზრით კი, თავიდან ჩასატარებელი...) საქართველოში სასამართლო რეფორმის შუქ-ჩრდილებზე ბევრი ითქვა და დაიწერა. მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოებისადმი ინტერესი სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან მათი ეფექტურობა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს საქართველოს სოციალურ და სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას, ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვისა და თავისუფალი მეწარმეობისათვის ქმედითი გარანტიების დამკვიდრებას.

თუმცა, საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში ასახულ მოქალაქეთა „ურყევ ნებას“ საქართველოში სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო დავამკვიდროთ, როგორც ჩანს, უახლოეს მომავალში ასრულება არ უწერია. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ განვითარებულმა მორიგმა „რევოლუციურმა“ პროცესებმა აშკარა გახადა, რომ ჯერჯერობით, უპირველეს ამოცანად რეალურად დამოუკიდებელი და ელემენტარულ დონეზე მოწესრიგებული სახელმწიფო გვაქვს ასაშენებელი, რომლის მექანიზმი მეტ-ნაკლებად გამართულად მაინც იმუშავებს.

არ უნდა იყოს სადავო, რომ კანონის უზენაესობის პრინციპის უპირველეს გამტარებლებად სწორედ ხელისუფლების წარმომადგენლები უნდა გვევლინებოდნენ, ხოლო ადამიანის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ეფექტური დაცვისათვის ქვეყანაში სამართლიანი (დამოუკიდებელი და მიუკერძოებული) სასამართლო უნდა არსებობდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერც ადგილობრივი წარმოება განვითარდება და ვერც საზღვარგარეთული ინვესტიციები შემოვა, არც კორუფცია აღმოიფხვრება და არც ე. წ. კრიმინო-გენური ვითარება გაჯანსაღდება (ცხადია, მოქალაქისთვის არ უნდა იყოს დიდი შეღავათი, რომ „ქურდული სამყაროს“ ნაცვლად მას სამართალდამცავი ან საგადასახადო ორგანოების წარმომადგენლები ოფიციალურად ან არაოფიციალურად „დაარეკეტებენ“...). შესაბამისად, არსებითად ვერც სახელმწიფო ბიუჯეტი გაიზრდება და, შეიძლება, თვით მრავალათასწლოვან ქართულ სახელმწიფოებრიობასაც შეექმნას რეალური საფრთხე.

ცხადია, სრულიად მიუღებელია, როდესაც მეწარმეები სადაო საკითხების გადასაწყვეტად მოსამართლის ნაცვლად პრეზიდენტსა თუ მის გარემოცვას აკითხავენ, ან, როდესაც სასამართლო

გადაწყვეტილება შინაგანი რწმენისა და კანონის ნაცვლად, მმართველი პარტიის „პოლიტიკურ ნებაზეა“ დაფუძნებული (რაც შევარდნაძის მმართველობის წლებშიც არცთუ იშვიათად ხდებოდა).

საქართველოში დღემდე განხორციელებული ეკონომიკური და სამართლებრივი რეფორმების ხარისხობრივი მხარე ცალკე მსჯელობის თემაა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია, თუ რამდენად ეფექტურად ხორციელდება პარლამენტში მიღებული კანონების ცხოვრებაში გატარება. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო რეფორმა თითქოს ჯერ 1991 წელს, შემდეგ კი 1998-99 წლებში გატარდა, ფაქტია, რომ ჯერჯერობით საქართველოში მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოები დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ხარისხით საბჭოურისაგან დიდად არ განსხვავდებიან.

არადა, სასამართლო ხელისუფლებისათვის თავიდანვე ჯეროვანი ყურადღება რომ დაგვეთმო, მეწარმეებიც უფრო მყარად იდგებოდნენ ფეხზე, პრივატიზაციაც ნაკლები დარღვევებით ჩატარდებოდა, ფასიანი ქაღალდების ბაზარიც ჩამოყალიბდებოდა, ქვეყნის ბიუჯეტსაც დაეტყობოდა და სამართალდამცავებიც ვერ მოახერხებდნენ ადამიანთა უფლებების ასე ხელაღებით ხელყოფას.

ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმისგან განთავისუფლებული სახელმწიფოები რომ არ აღმოჩენილიყვნენ მსგავს მდგომარეობაში, დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრება სწორედ სასამართლო რეფორმით დაიწყეს. მაგალითად, თუ ყოფილ აღმოსავლეთ გერმანიაში მოსამართლეთა კორპუსი, ფაქტობრივად, მთლიანად შეიცვალა განსხვავებული მენტალიტეტის მქონე დასავლეთელი იურისტებით, ჩეხეთში სოციალისტურ სისტემაში ნამსახურები მოსამართლეების მხოლოდ დათხოვნას არ დასჯერდნენ და ამ კონტიგენტს სახელისუფლებო დაწესებულებებში მუშაობაც აუკრძალეს.

ამდენად, არსებულის რეფორმირებისას ან თუნდაც პრინციპულად ახალი სასამართლო სისტემის ფორმირებისას პოლიტიკოსებმა, პირველ რიგში, ადგილობრივი თავისებურებები, ქვეყანაში რეალურად არსებული ვითარება და საზოგადოების ზოგადსამართლებრივი კულტურა უნდა გაითვალისწინონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუნდაც თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი და იდეალურამდე სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის შექმნა საქმეს ვერ უშველის, ხოლო ნაუცბათევად და გაუაზრებლად ჩატარებულმა „რეფორმებმა“, შეიძლება, კვლავინდებურად აღმასრულებელი ხელისუფლების მორჩილი და უუფლებო „მართლმსაჯულების ქურუმები“ შვას.

ამასთან, რეფორმების გატარებისას „პოლიტიკური ნების“ გარდა, აუცილებელია სწორად განისაზღვროს პრიორიტეტები. ისე არ უნდა გამოვი-დეს, სასურველი კვლავ რეალობად წარმოვაჩინოთ ან

სახელდახელოდ მიღებული სამართლებრივი ბაზით მოვლენათა ლოგიკურ მსვლელობას არაგონივრულად გავუსწროთ.

როდესაც, 1995 წლის 1 მარტს ამოქმედებული „მეწარმეთა შესახებ“ კანონით მოსამართლეს უფლებამოსილება მიენიჭა განესაზღვრა, თუ რამდენად „კეთილსინდისიერად“ მოქმედებენ საწარმოთა ხელმძღვანელები და მათთვის ქონებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებინა (მუხლები 9 და 14), რატომღაც მოსამართლეების სამეწარმეო ურთიერთობებში კომპეტენტურობასთან ერთად, არც მათი დამოუკიდებლობისა ან, თუნდაც იმავე „კეთილსინდისიერების“ თაობაზე გამოუთქვამს ვინმეს საფუძვლიანი ეჭვი.

ხშირად, როდესაც ორიენტირებად მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებს (მაგალითად, იგივე აშშ ან გერმანია) ვირჩევთ, რატომღაც მხედველობიდან გვრჩება, რომ იქ საკანონმდებლო ბაზა და სასამართლო ხელისუფლება საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა და კარგა ხანია არც ევოლუციური პროცესების „რევოლუციურ“ წყვეტებს ჰქონია ადგილი. ამასთან, არცთუ იშვიათად, საზღვარგარეთული გამოცდილებიდან არსის ნაცვლად მეორეხარისხოვანი დეტალების (ტესტირება, მანტია...) დანერგვას ვცდილობთ. არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ მიუხედავად წარსულში მდიდარი სამართლებრივი კულტურისა, უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში ქართული სამართალი ძირითადად რუსეთის მეურვეობით ყალიბდებოდა, ხოლო თავად „გამზრდელი“, ცნობილი ფრანგი სამართალმცოდნის რენე დავიდის აზრით, გამოირჩეოდა „იურიდიული ტრადიციების სისუსტითა და განვითარებული მართლშეგნების უქონლობით. იურისტები უფრო მეფის და სახელმწიფოს მსახურები იყვნენ, ვიდრე ხალხისა. მათ საერთო პროფესიული სულისკვეთება არ ჰყოფნიდათ“.

ფეოდალური რუსეთის სასამართლოების კორუმპირებულობაზე მიუთითებს გერმანელი გერბერშტეინი, რომელიც წერს: „უსამართლობისადმი მეფის მკაცრი დამოკიდებულების“ მიუხედავად, მოსამართლეები ქრთამს აშკარად იღებენ და მოჰყავს მაგალითი, რომელიც იმდროინდელ „მოსკოვურ საზოგადოებას ახასიათებს“. ერთ-ერთმა მოსამართლე თავადმა ქრთამი ორივე მხარეს გამოართვა და დავა იმის სასარგებლოდ გადაწყვეტა, ვინც მეტი გაიღო. ამასთან, არც ქრთამის აღების ფაქტი დაუმალავს, რადგან მიაჩნდა, რომ „მდიდარი კაცი მეტი ნდობითა და პატივისცემით უნდა სარგებლობდეს სასამართლოს მხრიდან, ვიდრე ღარიბი“. ნიშანდობლივია ისიც, რომ მეფისადმი ერთგულად ნამსახური სამხედრო პირები მმართველობით თანამდებობაზე დანიშვნის თხოვნაში დაუფარავად წერდნენ: „გთხოვთ, გამიშვათ თავის სარჩენად“, მაშინდელი ხელისუფალი კი განცხადების

ასეთ ფორმას სრულიად ბუნებრივად მიიჩნევდა და, მმართველობის სასიათიდან გამომდინარე, მიუღებელს ვერაფერს ხედავდა.

ჩვენი დღევანდელი ყოფის შედარება და პარალელის გავლება ჩრდილოელი მეზობლის რევოლუციამდელ სამართლებრივ კულტურასთან ცალკე მსჯელობს თემაა. ამჯერად კი ყურადღებას თანამედროვე ქართული სამართლებრივი სივრცისთვის სადღეისოდ აქტუალურ და პრობლემურ რიგ საკითხებზე შევაჩერებ.

1995 წლის კონსტიტუციით ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და თავისუფლებები უპირობოდ არის აღიარებული იმ წარუვალ და უზენაეს ღირებულებებად, რომლებითაც ხელისუფლების განხორციელებისას უნდა იზღუდებოდეს სახელმწიფო (მუხლი 7). ევროსაბჭოში გაწევრიანებამ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოებს დააკისრა, ვინაიდან ამქვეყნიური სამართლიანობის კრიტერიუმები სწორედ მოსამართლეთა გადაწყვეტილებით განისაზღვრება.

როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში, ასევე სხვა საერთაშორისო სამართლის აქტებში ერთმნიშვნელოვნადაა განმტკიცებული ადამიანის უფლება სამართლიან სასამართლოზე, ანუ დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოში საქმის განხილვის უფლება.

მართალია, უკვე მიდის მსჯელობა, თუნდაც ევროკავშირის მასშტაბით ერთიანი სამართლებრივი სივრცის შემოღებაზე, მაგრამ ჯერჯერობით თითოეული სახელმწიფო სამართლის ნორმებს დამოუკიდებლად ადგენს და განმარტავს კიდეც. ამდენად, გასაგები უნდა იყოს, რამდენად პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება დემოკრატიულ ფასეულობებზე ორიენტირებული ქვეყნის თითოეული მოსამართლის პიროვნულ თვისებებსა და მისი დამოუკიდებლობის ხარისხს კონკრეტული საქმის (ფაქტობრივად, ადამიანების ბედის) გადაწყვეტისას. ისიც უდავოდაა აღიარებული, რომ სასამართლოში, როგორც სარკეში მკაფიოდ აისახება სახელმწიფოს სახეც და მისი ორიენტირებიც, საზოგადოების სამართლებრივი კულტურაც და ადამიანის უფლებებისადმი დამოკიდებულებაც.

კონსტიტუციის მიღების შემდგომ წამოწყებული სამართლებრივი რეფორმის არსიც ხომ იმაში მდგომარეობდა, რომ ახალი საკანონმდებლო ბაზით და მოსამართლეთა კორპუსის შეცვლით საქართველოშიც შეგვექმნა მყარი გარანტიები „სამართლიანი სასამართლოს“ ფუნდამენტური უფლების განხორციელებისათვის. ისიც აშკარა უნდა იყოს, რომ, თუ მოსამართლემ რეალური დამოუკიდებლობა ვერ მოიპოვა და მხარეთა მიმართ სრულიად მიუკერძოებელი არ იქნა, ადამიანთა (მათ შორის, მეწარმეთა) უფლებათა ხელყოფის საფრთხე კვლავინდებურად

იარსებებს.

ვინც მართმსაჯულების განხორციელების პროცესს ადევნებს თვალყურს, ბუნებრივია, კითხვები არა მარტო მოსამართლეთა ცალკეული გადაწყვეტილებების სამართლიანობის, არამედ ევროსაბჭოში გაწევრიანებული საქართველოს სასამართლოების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ხარისხის თაობაზეც გაუჩნდება. ვართ კი სადღეისოდ უზრუნველყოფილი საყოველთაოდ აღიარებული იმ უზენაესი ღირებულებით, რასაც ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა სისტემაში „სამართლიანი სასამართლოს უფლება" ჰქვია, ან საერთოდ, როგორ ესმით ქართველ პოლიტიკოსებს ცნებები სამართლიანი სასამართლო და კანონის უზენაესობა?!

ბუნებრივია, თუ ტოტალიტარიზმისაგან თავდაღწეულ ქვეყანაში ადამიანს (პიროვნებას) პრიორიტეტულ ფასეულობად მივიჩნევთ, კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული გადაწყვეტილების სამართლიანობასთან ერთად, არანაკლებ პრინციპული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ იმასაც, თუ რამდენად სამართლიანია თავად სასამართლო, თუ როგორია მისი დამოუკიდებლობის ხარისხი და ავტორიტეტი საზოგადოებაში, რამდენად ენდობიან მას მოქალაქეები.

აღარავისთვისაა დასამალი, რომ 1997 წელს მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიც და „რევოლუციური" სისხლის სამართლის საგადასახადო კოდექსიც დღეს უვარგისადაა აღიარებული, თუმცა, მათში ათასობით ცვლილება-დამატება შევიდა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი პროგრესულად ნამდვილად არ შეიძლება ჩაითვალოს. თავად ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა ალვარო ხილრობლესმა გვამცნო, რომ „ქართულ ვარიანტში აწყობილი კანონები, ევროსაბჭოს აზრით, ადამიანის უფლებათა დაცვისაკენ კი არ არის მიმართული, არამედ პროკურატურისა და პოლიციის ინტერესებსაა მორგებული (გაზეთი „დრონი", 15.06. 2000).

სამწუხაროდ, საერთო სასამართლოების შესახებ 1997 წელს მიღებულმა „ნოვატორულმა" კანონმაც ხელყო მთელი რიგი დემოკრატიული ინსტიტუტები. ჯერ იყო, უარი ვთქვით ცალკე სააპელაციო სასამართლოების შექმნაზე და საოლქო სასამართლოების რიცხვი სამჯერ შევამცირეთ. შემდეგ, დედაქალაქში რაიონული სასამართლოები და მათში მოსამართლეთა რაოდენობა გავანახევრეთ. საქმის განხილვის უწყვეტობის პრინციპი დავიწუნეთ და მოსამართლეს უფლება მივეცით ერთდროულად რამდენიმე საქმე განეხილა. გაზრდილმა დატვირთვამ, ბუნებრივია, უარყოფითად იმოქმედა მიღებული გადაწყვეტილებების ხარისხზე. შესაბამისად, იმატა საჩივრებმა, როგორც საოლქო სასამართლოში, ასევე იუსტიციის საბჭოში, რომელიც სამართალწარმოების კანონით დადგენილი ვადის

გადაცილებას, ფაქტობრივად, დარღვევად აღარც კი მიიჩნევს.

ფაქტია ისიც, რომ ვერც სასამართლოები ვერ უზრუნველვყავით საკადრისი შენობებითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და ვერც მოსამართლეებს შევუქმენით სათანადო პირობები. კერძოდ, ხელისუფლების სხვა შტოების წარმომადგენელთა და კრიმინალური სამყაროსაგან სრულიად დაუცველი დავტოვეთ და დაპირებული ხელფასიც ვერ მივეცით. რაიონული რგოლის მოსამართლეს, ფაქტობრივად, იმის მესამედი დავუნიშნეთ, რასაც თავიდან დავპირდით და იმასაც დროულად ვერ ვაძლევთ. ძველი „ოროსანი და კორუმპირებული“ მოსამართლეების ნაწილი კვლავ ადგილზე დავტოვეთ და საერთაშორისო ნორმების იგნორირებით „თანაბარი შრომისათვის“ ახლებისაგან მნიშვნელოვნად ნაკლები ხელფასი დავუნიშნეთ. შედეგად, „რეფორმირებული“ სასამართლოების რეალური დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობისთვის არასაკმარისი საკანონმდებლო და ფაქტობრივი გარანტიები საფუძვლიან ეჭვს ბადებს მიღებული გადაწყვეტილების სამართლიანობაშიც, რაც სასამართლოებისადმი ნდობის ხარისხზეც უარყოფითად აისახება.

გარდა ამისა, ლოგიკის თვალსაზრისით საერთოდ გაუგებარია თუ რატომ გამოარჩიეს „რეფორმატორებმა“ უზენაესი სასამართლო და მის წევრებზე არ გაავრცელეს დანარჩენი მოსამართლეებისთვის წაყენებული მოთხოვნები, რის შედეგადაც მართლმსაჯულების განმახორციელებელი ბოლო ინსტანციისთვის ცალკე კანონი მიიღეს და მოსამართლეებად „სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტების“ გამწესება ყოველგვარი გამოცდების გარეშე დასაშვებად ჩათვალეს. ანუ, ფაქტობრივად აღიარეს, რომ ე. წ. საკვალიფიკაციო გამოცდები არაფერს იძლევა, გარდა იმისა, რომ შესაძლებელს ხდის მოსამართლეთა კორპუსის ხელისუფლებისთვის სასურველი კადრებით დაკომპლექტებას. ტესტების შემდგენლებისგან ან გამოცდის ორგანიზატორებისგან საკითხების „გაჟონვაც“ რომ გამოვრიცხოთ და საგამოცდო ბილეთები სხვა პლანეტაზეც რომ დავბეჭდოთ, გამოცდებით, ფაქტობრივად, მხოლოდ ისეთ კანდიდატებს ვაელენთ, რომლებიც ტესტებისა და კაზუსების შემდგენელთა პოზიციას მიიჩნევენ სამართლიანად („ჭეშმარიტებად“), ხოლო, თუ რომელიმე ინსტიტუტი თავისი შეხედულებისამებრ „გააფართოვეს“ ან საკანონმდებლო ხარვეზი შენიშნეს და პასუხი, თუნდაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად გასცეს (მაგალითად, „ნორმატიული აქტის „ძალაში შესვლა“ და „ამოქმედება“, „საქმის განხილვის ღიაობა“, „განაჩენის ხელმისაწვდომობა“, „უდანაშაულობის პრეზუმფცია“ ან „მორალური ზიანი“ სხვაგვარად ესმოდეთ), შეიძლება საჭირო ქულების რაოდენობა ვერ დააგროვონ...

არადა, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მოსამართლეობისთვის მხოლოდ კანონების ცოდნა არ არის მთავარი, ამასთან, აღარც ის არის დასამალი, რომ საქართველოს პარლამენტის მიღებულ კანონებში მრავალი არსებითი შეცდომაა „გაპარული“...

სასამართლო რეფორმასთან და სასამართლიანი სასამართლოს უფლებასთან დაკავშირებით, ერთ, ჩემი აზრით, არსებით საკითხზეც მინდა გავამახილო ყურადღება. მიზანშეუწონლად მივიჩნევ მართლმსაჯულების განმახორციელებელი ბოლო ინსტანციის სასამართლოს „უზენაესად“ მოხსენიებას (ისევე, როგორც კონსტიტუციის „უზენაეს კანონად“), თუნდაც იმის გამო, რომ აღნიშნული ტერმინი განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, „იხმარება ღვთის ეპითეტად“. დარწმუნებული ვარ, ყოველი ადამიანისათვის უზენაესი ფასეულობების განსაზღვრის საკითხი სახელმწიფოსა და სამართლის (კონსტიტუციის) კომპეტენციის ფარგლებს სცილდება. ამდენად, გამართლებული იქნებოდა ისევ „უმაღლეს სასამართლოდ“ (კონსტიტუცია - „ძირითად კანონად“) მოგვეხსენიებინა, მითუმეტეს, რომ მიმდინარე ეტაპზე, არა მარტო განაჩენების სამართლიანობის მიმართ არსებობს საფუძვლიანი პრეტენზიები, არამედ გადაწყვეტილებათა აღსრულების საკითხშიც მეტად არასახარბიელო მდგომარეობაა. ამასთან, როგორც „ასანიძის საქმემ“ გვიჩვენა, საქართველოში სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების პრობლემა არა მარტო სეპარატისტების მიერ მიტაცებულ ტერიტორიებზე დგას (საქართველოს წარმომადგენლებმა ვერც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს აუხსნეს, როგორ შეიძლება „უზენაესი სასამართლოს“ მიერ გამართლებული პირი ამავე სახელმწიფოს „რეგიონში“ ციხიდან არ გამოუშვან...).

რაც შეეხება სასამართლო რეფორმის არსებით მხარეს, უნდა გავიხსენოთ, რომ რეფორმატორთა ჩანაფიქრით 1998 წლის 1 მაისისთვის (შემდეგ, ამ ვადამ 1999 წლის 15 მაისისთვის გადაიწია) „უზენაესში“ ისევე, როგორც სხვა სასამართლოებში, „ძველი სისტემის“ („გამოცდაჩაუბარებელი“) მოსამართლე არ უნდა დარჩენილიყო, რაც სავსებით ლოგიკური მოთხოვნა იყო (ცხადია, წარმოუდგენელია, ქვედა რგოლის სასამართლოებში უსამართლობა-უკეთურობა ისე მკვიდრდებოდეს, რომ უმაღლეს ინსტანციებში არ აფარებდნენ ხელს).

მაშინვე, თითქოს საბოლოოდ ითქვა უარი კომუნისტებისდროინდელ „სახალხო მსაჯულზე“, ანუ საქმეთა განხილვაში ე. წ. საზოგადოებრივ საწყისებზე დასაქმებული მოსამართლეების („მუშათა კლასის, გლეხებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლების“) მონაწილეობაზე. ამასთან, უზენაეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პირველი ინსტანციით განხილვის უფლებაც

უნდა ჩამორთმეოდა და განსასჯელს საშუალება უნდა ჰქონოდა მისი საქმე ჯერ სააპელაციო, შემდეგ კი საკასაციო წესით განხილულიყო. მხედველობიდან არც ის გარემოება უნდა გამოგვრჩეს, რომ რეფორმები პროკურატურის ორგანოებშიც უნდა დაწყებულიყო, გამოძიების წარმართვისთვის სპეციალური სამსახური უნდა ჩამოყალიბებულიყო და ადვოკატურის ინსტიტუტიც მყარად უნდა დამდგარიყო ფეხზე. სამართალდამცავთა და უფლებადამცავთა საკადრო გადახალისება, სასამართლო სისტემის გარდაქმნასთან ერთად უნდა ქცეულიყო „სამართლიანი სასამართლოს“ დამკვიდრების საწინდრად.

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობის შესაბამისად, სამართალწარმოება უნდა ხორციელდებოდეს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე (კონსტიტუცია, მუხლი 85), ხოლო სასამართლო არ უნდა იყოს შებოჭილი მხარეთა მოსაზრებებით (სსსკ, მუხლი 15), როგორც ჩანს, საქართველოს არაერთგზის „რეფორმირებულ“ სასამართლოებში პროკურორის სიტყვას ჯერ-ჯერობით მეტი წონა აქვს (სხვათა შორის, შუასაუკუნოვან საფრანგეთში პროკურორებს „მეფის ხალხს“ (gens de rois) უწოდებდნენ). მოსამართლეებს კი, ფაქტობრივად, არასოდეს ეპარებათ ეჭვი იმაში, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი ყოველგვარი დოკუმენტი ემყარება მხოლოდ „უტყუარ მტკიცებულებებს“ (მიმაჩნია, რომ კონსტიტუციის მე-40 და საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისი ნორმები აშკარად არაგონივრულია. გამოძიების სტადიაზე არ შეიძლება ლაპარაკი „უტყუარ მტკიცებულებებზე“. ბრალმდებლის პოზიციისა და მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების უტყუარობა მხოლოდ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან დადგინდება).

ადვოკატისადმი საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულება კი კანონმდებლობის ერთი თვალის გადავლებითაც ხდება აშკარა. თუ საერთო სასამართლოებისა და პროკურატურის შესახებ კანონები ჯერ კიდევ 1997 წელს მივიღეთ, „ადვოკატის შესახებ“ კანონის მიღება ხუთი წლით დავაგვიანეთ, ხოლო, როდესაც „რევოლუციურ“ საპროცესო კოდექსში მომკვლევს, გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს ცალ-ცალკე თავები დავუთმეთ, ადვოკატი მხოლოდ მათ შემდეგ მოვიხსენიეთ და ისიც ბრალდებულის (ეჭვმიტანილის) ინსტიტუტთან გავაერთიანეთ...

შთაბეჭდილება რჩება, რომ „რეფორმირებული“ სასამართლო უწინდელივით ცდილობს დააფაროს ხელი სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ადამიანის უფლებების ხელყოფის ფაქტებს, რითაც ხელს უწყობს აშკარა უსამართლობისა და განუკითხაობის დამკვიდრებას სამართალწარმოებაში. ნაცვლად იმისა, რომ სასამართლო

ხელისუფლებამ რეალურად გამოავლინოს კონსტიტუციური „უზენაესობა და დამოუკიდებლობა“ და ეფექტურად გააკონტროლოს „მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლისა და პროკურორის მოქმედებათა კანონიერება და დასაბუთებლობა“, რაც მას საპროცესო კოდექსით ევალება, მოსამართლეები, კომუნისტებისდროინდელივით, ხშირად გამოძიება - პროკურორის ორგანოებთან ერთიან გუნდად მოქმედებენ.

ის ფაქტი, რომ მოსამართლეები არასაკმარისი ან კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე უყოყმანოდ უფარდებენ ბრალდებულებებს აღმკვეთი ღონისძიებების უკიდურეს ზომას - სამთვიან პატიმრობას (რიგ შემთხვევებში, იმ პირებსაც კი, რომლებსაც თანამდებობრივად არ უნდა დაკისრებოდათ პასუხისმგებლობა. მაგალითად, საწარმოს ხელმძღვანელის - დირექტორის - ნაცვლად, ამავე საწარმოს პარტნიორს, რომელიც მხოლოდ საწესდებო კაპიტალში ქონებრივი შენატანის ფარგლებშია პასუხისმგებელი), კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსამართლეთა აშკარა დამოკიდებულებას აღმასრულებელ ხელისუფლებასა თუ მმართველ პოლიტიკურ ძალაზე.

საქართველოს კონსტიტუციაში 2004 წლის 6 თებერვალს კონსტიტუციის დარღვევითვე შეტანილ იქნა „რევოლუციური“ ცვლილება, რომლითაც ქვეყნის ძირითადი კანონიდან საერთოდ ამოღებულ იქნა ის მუხლი, რომლის ძალითაც პროკურატურა „სასამართლო ხელისუფლების დაწესებულებად“ იყო მოაზრებული. თუ ასე გაგრძელდა, სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანო შეიძლება არა მარტო გამოძიების „საპროცესო ხელმძღვანელად“, არამედ ტოტალიტარიზმის დროინდელის მსგავს „მონსტრადაც“ კი მოგვევლინოს და პირიქით, იქით გაუწიოს კონტროლი სასამართლო ხელისუფლებას (რასაც, ფაქტობრივად, ახორციელებს კიდეც, თუმცა სადღეისოდ კონსტიტუციაში შესაბამისი ნორმის არარსებობა ვეღარ შეუშლის ხელს იურიდიულადაც დააკანონოს პროკურატურის „უზენაესობა“).

სხვა ქვეყნებში აპრობირებული ე. წ. დაუსაბუთებელი ქონებისა და საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტები (მაგალითად, აშშ, ესპანეთი, ჰონგ-კონგი) ჩვენს სამართლებრივ სივრცეში სრულიად „გადასხვაფერებული“ სახით იქნა შემოტანილი, ფაქტობრივად, ქართველ სამართალდამცავთა (შსს, უშიშროება, პროკურატურა) ინტერესებს მოერგო და ქონების ახალ „რევოლუციურ“ გადანაწილებას ემსახურება. ბუნებრივია, შექმნილ ვითარებაში, ხელი არა მარტო ადგილობრივ მეწარმეს ეშლება, არამედ უცხოელ ინვესტორსაც. აბსოლუტურად მიუღებელი იყო ადრე არსებული ვითარებაც, როდესაც უცხოელი ბიზნესმენები, ფაქტობრივად, უშუალოდ ედუარდ შევარდნაძისაგან იღებდნენ დასტურს საქართველოში საქმის

წამოსაწყებად. მეორე მხრივ, არა მგონია კეთილსინდისიერი გზით ნაშოვნი კაპიტალი გონიერმა ადამიანმა იმ ქვეყანაში დააბანდოს, სადაც „რევოლუციური" ცვლილებების გამო, ბიზნეს-პარტნიორი ან თუნდაც „დაინტერესებული" მაღალჩინოსანი მფარველი („კრიშად" შეიძლება, სახელწიფოს „პირველი პირიც" მოგვევლინოს...), თანამდებობის დატოვების შემდეგ ან „საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების" შეცვლის გამო აღმოჩნდეს ციხეში.

როგორც ჩანს, უკეთესად საქმე არც სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაშიც გვაქვს. თუნდაც ის გარემოება, რომ საქმეთა განხილვის ვადები მასობრივად ირღვევა, ნათელყოფს, რომ არ შეიძლება ლაპარაკი „სამართლიან სასამართლოზე", ვინაიდან, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად, დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ საქმე „გონივრულ ვადაში" უნდა განიხილოს. რამდენიმე წლის წინ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილება, რომლითაც მოსამართლეებს მიეცათ საშუალება საქმის განხილვისათვის ადრე დადგენილი ორთვიანი ვადა ხუთ თვემდე გაეზარდათ, ერთმნიშვნელოვნად ისევ აღმასრულებელი ხელისუფლების ინტერესებს ემსახურება, რომელიც ხშირად მოპასუხედ გამოდის და, არცთუ იშვიათად, მოსამართლეების ხელშეწყობით ახერხებს არამართლზომიერი მოქმედებისათვის პასუხიმგებლობისაგან თავის არიდებას. ამასთან, საქმეთა განხილვის ვადების არაგონივრული გაგრძელება-გაჭიანურება, აშკარად, ხელშემწყობი ფაქტორია კორუფციული გარიგებებისათვის, ვინაიდან, ერთი მხარე (განსაკუთრებით, მეწარმე), ყოველთვის დაინტერესებულია საქმის დროული გადაწყვეტით (მით უმეტეს, თუ ზიანის ანაზღაურებას ითხოვს, ქონება აქვს დაყადაღებული ან საგადასახადო ორგანოებთან უწევს დავა). კორუფციასვე უწყობს ხელს საპროცესო კოდექსის ის მუხლიც, რომლითაც პირს, ვისაც მოსამართლემ უარი უთხრა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოპასუხის ქონების დაყადაღებაზე, უფლება არა აქვს გაასაჩივროს გადაწყვეტილება.

გაჭიანურებული საქმეების თაობაზე, პირადი პრაქტიკიდანაც, შემიძლია მოვიყვანო მაგალითი. 1995 წლის აპრილში თბილისის მერიისა და მთაწმინდის რაიონის გამგეობის წინააღმდეგ შეტანილ სარჩელზე საბოლოო გადაწყვეტილება უზენაესმა სასამართლომ 2004 წლის აპრილში (9. წლის შემდეგ!) მიიღო. ამასთან, როგორც ჩანს, მოსამართლეებმა სააპელაციო (16 გვერდიანი) და საკასაციო (10 გვერდიანი) საჩივრების მხოლოდ ბოლო გვერდი ჩაიკითხეს და გადაწყვეტილება ისე გამოიტანეს, დავის არსს, ფაქტობრივად, არც კი გასცნობიან. საყურადღებოა, რომ იმავე საქმესთან დაკავშირებით

სააპელაციო სასამართლოში 2003 წლის ივლისში მიღებული გადაწყვეტილება კანონით გათვალისწინებული ორკვირიანი ვადის ნაცვლად, მხოლოდ ოქტომბრის ბოლოს გაეგზავნა მომჩივანს.

საგულისხმოა მეორე შემთხვევაც, როდესაც მოქალაქემ ოთხი წლის განმავლობაში ვერც ზემდგომ ინსტანციებში მიიღო პასუხი კითხვაზე, თუ კონკრეტულად რომელი კანონით იხელმძღვანელა რაიონულმა სასამართლომ, როდესაც სესხის დადგენილ ვადაში დაუბრუნებლობისთვის თვიური 20%-იანი განაკვეთი „გონივრულად შესაბამისად" ჩათვალა. ესეც არ აკმარეს და მეუღლის (რომელსაც სესხთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა) 10 ათას დოლარად შეეფასებული უძრავი ქონება სხვა ქალაქში „ღია" აუქციონზე ათას დოლარად გაუყიდეს (ზემოაღნიშნული ორივე საქმე გასაჩივრებულია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში).

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლში ჩადებული, აშკარად კორუფციულ ხასიათის ნორმა, რომელიც უზენაეს სასამართლოს საშუალებას აძლევს კონსტიტუციური „ღიაობის" (საქვეყნოობის) პრინციპის დარღვევით „ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილონ" და მხარეების მოუწვევლად, ფაქტობრივად, თავისი შეხედულებისამებრ ცვალონ ქვედა ინსტანციებში მიღებული გადაწყვეტილებები.

იმისათვის, რომ სასამართლო რეფორმა ჯეროვნად ვერ განხორციელდა და ზოგიერთმა ინსტიტუტმა „შებრუნება საუარესოდაც" კი განიცადა, პასუხისმგებლობა, პირველ რიგში, სწორედ იმ კანონმდებლებს უნდა დაეკისროთ, რომელთა პიროვნული და პროფესიული უნარები (თუნდაც, სამართლის საფუძვლებში გათვითცნობიერების დონე) ჯერ-ჯერობით ძალიან შორს არის „ევროსტანდარტებისაგან". ფაქტია, ჩვენი დეპუტატები გაცილებით მეტ დაინტერესებასა და კომპეტენციას ბიზნესის სფეროში ავლენენ. მზად არიან თვეობით იდაონ საწარმოთა მაკონტროლებელ ორგანოებთან და საგადასახადო შეღავათებთან დაკავშირებული ცალკეული ნორმების თაობაზე, სამაგიეროდ, უმნიშვნელოვანეს კოდექსებსა და ორგანულ კანონებში „გაპარულ" ადამიანის უფლებათა აშკარად ხელმყოფ ნორმებში არაფერი აეჭვებთ და „ჩქაროსნულ ტემპში" იხილავენ.

სამართლებრივი რეფორმების სახელმწიფო კომისიის ყოფილმა წევრმა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, ალექსანდრე შუშანაშვილმა თავის დროზე სცადა საზოგადოების ყურადღება იმ გარემოებისთვის მიეპყრო, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ" კანონი კონსტიტუციის დარღვევით იქნა მიღებული და გარკვეული ცვლილება-დამატებები მასში პარლამენტის გვერდის ავლით შეუტანიათ... მართალია, შემდგომში პარლამენტის

იურიდიულ კომიტეტშიც დაუდასტურებიათ „საკანონმდებლო თაღლითობის“ ფაქტი და საკითხში გასარკვევად სპეციალური კომისიაც შუქმნიათ, მაგრამ, როგორც ყოველთვის, არც ამ რბილად რომ ვთქვათ, უმსგავსოებისათვის მოუთხოვიათ დღემდე ვინმესთვის პასუხი.

ბატონ ალექსანდრეს, რომელსაც თავის დროზე იუსტიციის მინისტრის თანამდებობაც ეკავა და გენერალური პროკურორის მოადგილისაც, შესანიშნავად ესმოდა სასამართლო რეფორმის მნიშვნელობა დამოუკიდებელ საქართველოში და ძალისხმევას არ იშურებდა მისი გონივრულად განხორციელებისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ხელისუფლება ყურს უფრო მეტად საზღვარგარეთიდან მოწვეულ კონსულტანტებს უგდებდა, რომლებსაც უფრო პოლიტიკური მიზნები ამოძრავებდათ (საბჭოური სისტემის დემონტაჟი და ე.წ. საერთო-სახალხო ქონების გადასანაწილებლად „საბაზრო ეკონომიკის“ დანერგვა, მიწის ნასყიდობის, კეთილსინდისიერი შემძენის, აქციების იძულებითი გამოსყიდვის, დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის, საპროცესო შეთანხმების და სხვა მსგავსი ინტიტუტების „იმპლემენტირება“ და სხვა), ვიდრე ქართული სახელმწიფოს ინტერესები.

მართლაც, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი მართლმსაჯულების გარეშე, ვერ განხორციელდება „ის უწმინდესი და უმაღლესი დანიშნულება განკითხვისა, რომელსაც ჩვენ მართლიერებას, სამართალს ვეძახით“. ამასთან ილია ჭავჭავაძე „მართლიერებას, სამართალს“ მთელი ერის განწმენდილ სინდისს და ნამუსს ეძახდა, ხოლო მსაჯულად ის „რჩეული კაცი მიაჩნდა, რომელსაც ქონებასთან ერთად ჩვენი სული და ხორცი, ერთი სიტყვით, ჩვენი კაცური კაცობა, ჩვენი ადამიანობა აბარია“ (ილია ჭავჭავაძე, „სამართალი და ზღვევა“).

მოსამართლეთა კადრების შერჩევისას დაშვებული შეცდომები უკვე თავად იუსტიციის საბჭოს ყოფილმა წევრებმა („რეფორმატორებმა“) აღიარეს. მართლაც, „სამართლიანობა, მართლიერება, სამართალი“ მხოლოდ კანონების (თუნდაც იდეალურის) დაზუთხვით და საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარებით, თუ ტესტირების გავლით არ მიიღწევა (მითუმეტეს, თუ საკითხებს იმ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან შევიტანთ, რომელშიც იმდენი ხარვეზია, რომ კომენტარი „რევოლუციური“ კოდესის მიღებიდან 5 წლის შემდეგაც კი არ გამოცემულა და მასში უკვე ათასზე მეტი ცვლილება-დამატებაა შეტანილი).

ამდენად, სამომავლოდ კანონდებლობის სრულყოფასთან ერთად მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმების გადასინჯვაზეც უნდა ვიფიქროთ. ყოველგვარი „ქვენა გრძნობებისაგან“

თავისუფალი და ჭეშმარიტად სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებისათვის მაღალპროფესიონალიზმთან ერთად გამორჩეული პიროვნული თვისებებია საჭირო.

ამასთან, თუ საქართველოში სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრებას ნამდვილად ვაპირებთ, კანონმდებელმა „პოლიტიკური ნება", პირველ რიგში, სწორედ სასამართლო ხელისუფლების რეალური დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობისთვის აუცილებელი პირობების შექმნაზე უნდა მიმართოს. გარდა ამისა, მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი მექანიზმები მოსამართლეზე რაიმე ზეგავლენის განსახორციელებლად, რითაც შეიქმნება საწინდარი სამართლიანი სასამართლოს უფლების ეფექტური რეალიზაციისათვის.

სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, იმ ცნობილ ჭეშმარიტებაში, რომ იაფი მართლმსაჯულება ძალზე ძვირი უჯდება საზოგადოებას. ყველა შემთხვევაში, პიროვნული ფაქტორის გარდა, მოსამართლეთა აუცილებელი რაოდენობის, მათი სათანადო სოციალური დაცვისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფის გარეშე, სასამართლოების დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა ვერ მიიღწევა (დაუშვებელია მოსამართლეს მინისტრზე ნაკლები ხელფასი ჰქონდეს და სამსახურში საზოგადოებრივი ტრანსპორტით დადიოდეს).

ამასთან, ყოვლად მიუღებელია, როდესაც სასამართლოს ან მოსამართლეს რომელიმე მეწარმესთან, ან თუნდაც კონკრეტულ პიროვნებასთან ან არაკომერციულ ორგანიზაციასთან (მაგალითად, „როტარი კლუბთან", ბიძინა ივანიშვილთან ან ჯორჯ სოროსთან) ასოცირებული ფონდი აფინანსებს. მოსამართლის ხელფასი მხოლოდ სახელმწიფოს ბიუჯეტიდან უნდა გაიცემოდეს. ცუდია, როდესაც ამას თავად ხელისუფლება ვერ ხვდება, მაგრამ საგანგაშოა, როდესაც თავად მოსამართლეებიც არ აცხადებენ პროტესტს გაურკვეველი წარმომავლობის „სახელფასო დანამატებზე".

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნევ, „სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტებისგან" შეიქმნას სახელმწიფო კომისია, რომელიც სასამართლო რეფორმის სამართლებრივ ბაზას მშვიდ ვითარებაში შეიმუშავებდა და ოფიციალურ კომენტარებსაც შესაბამის კანონპროექტთან ერთად წარმოადგენდა. ამასთან, მოსამართლეს „ღირსეული არსებობისთვის" აუცილებელი დამატებითი ანაზღაურება მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული მაგალითად „სამართლებრივი რეფორმის ფონდიდან" შეიძლება მიეცეს, რომელშიც ნებისმიერ პირს შეეძლება თანხის შეტანა ან თავად სახელმწიფო შეავსებდა მაგალითად, ჩამორთმეული „დაუსაბუთებელი ქონების" რეალიზაციიდან

მიღებული შემოსავლების ხარჯზე.

სადღეისოდ შექმნილ ვითარებას კი, მართლაც ფრიად საგანგაშოდ მივიჩნევ, მითუმეტეს, რომ გავრცელდა ცნობები სასამართლო ხელისუფლებაში მორიგი „რევოლუციური“ ცვლილებების თაობაზე (მოსამართლეთა და სასამართლოთა რიცხვის შემცირება, საკონსტიტუციო სასამართლოს უზენაესთან გაერთიანება, ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის შემოღება...) რამაც შეიძლება ჩვენში სწორედ ისეთი ვითარება შექმნას, რომლის წინაპირობები დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ერთ-ერთმა ავტორმა, ცნობილმა რუსმა მეცნიერმა იგორ პეტრუხინმა (როგორც „რეფორმის მამები“ ამბობენ, კოდექსის „ჩონჩხი“ მას ეკუთვნის, ხოლო „ხორცი“ ჩვენებურებს შეუსხამთ... ეტყობა კიდეც!) საკუთარ სამშობლოში შენიშნა და თანამემამულე რეფორმატორები დროულად გააფრთხილა: **„ვაღიარეთ რა ჰუმანური მიზნები, უპირველესად კი ადამიანის უფლებების დაცვა, მიღებული კანონებით შევქმნით სამართლებრივი ბაზა ტოტალიტარიზმის ეპოქის მეთოდების გამოყენებისათვის. სამწუხაროდ, ვრწმუნდებით, რომ ვცილდებით სამართლებრივი სახელმწიფოს იდეალს“.**

ამდენად, დროზე თუ არ გამოვფხიზლდით და სამართლებრივი ნაჰილიზმი არ დავძლიეთ, გამორიცხული არ არის რამდენიმე ათასწლოვანი ისტორიის მქონე და თვითმყოფადი ქართული სახელმწიფო სარეფორმო აღმართებზე რომელიმე უფსკრულში თუ არ გადავჩეხეთ, „სამართლებრივი სახელმწიფოსა“ და „სამართლიანი სასამართლოს“ მწვერვალების ნაცვლად, ისევ რომელიმე „კომუნიზმის პიკზე“ ავიყვანოთ.

კომენტარი:

სამწუხაროდ, საქართველოში „სამართლებრივი სახელმწიფოს“ დამკვიდრებას და „სამართლიანი სასამართლოს“ ფორმირებას, მნიშვნელოვანწილად, სწორედ იმ გარემოებებმა შეუშალა ხელი, რომლებზეც ზემოაღნიშნულ სტატიაში იყო მინიშნება. სისხლის სამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანო მართლაც იქცა ტოტალიტარიზმის დროინდელი პროკურატურის მსგავს „მონსტრად“, რომელიც იმ დონეზე აკონტროლებდა სასამართლო ხელისუფლებას, რომ ბრალმდებლის არგუმენტაცია უცვლელად ინაცვლებდა სასამართლოს გადაწყვეტილებაში და გამამართლებელი განაჩენი, ფაქტობრივად, აღარ დგებოდა (სტალინის დროსაც კი ვიშინსკის „ტროიკებს“ 10 %-მდე გამამართებელი განაჩენები

გამოჰქონდათ. ევროპის განვითარებულ ქვეყნებში კი, სასამართლოები ყოველ მესამე ბრალდებულს თუ არა, მეხუთეს მაინც ცნობენ უდანაშაულოდ).

ე. წ. საპროცესო შეთანხებისა და განრიდების ინსტიტუტები იმდენად „გადასხვაფერებული" სახით იქნა დანერგილი სისხლის სამართალწარმოებაში, რომ ახალგაზრდა პროკურორებს, ფაქტობრივად, მოსამართლეების უფლებამოსილება მიენიჭათ და უკვე თავად წყვეტენ „დანაშაულის იარაღის" ბედსაც და ბიუჯეტის სასარგებლოდ „დამნაშავემ" რა ოდენობის თანხა (ფაქტობრივად, ჯარიმა) უნდა შეიტანოს ბრალდებაზე უარის თქმის სანაცვლოდ...

„ნაციონალურ ინტერესებში" განხორციელებული საკანონმდებლო „ნოვაციების" დანერგვის შედეგად, საქართველოში, ფაქტობრივად, სწორედ ისეთი ვითარება შეიქმნა, რომლის წინაპირობები ცნობილმა რუსმა მეცნიერმა იგორ პეტრუხინმა საკუთარ სამშობლოში ჯერ კიდევ 1993 წელს შენიშნა და თანამემამულე რეფორმატორები გააფრთხილა: „ვაღიარეთ რა ჰუმანური მიზნები, უპირველესად კი ადამიანის უფლებების დაცვა, მიღებული კანონებით შევქმნით სამართლებრივი ბაზა ტოტალიტარიზმის ეპოქის მეთოდების გამოყენებისათვის. სამწუხაროდ, ვრწმუნდებით, რომ ვცილდებით სამართლებრივი სახელმწიფოს იდეალს".

„ახალგაზრდა რეფორმატორების" მიერ 1997 წელს წამოწყებული და უცხოელი ექსპერტების მიერ წარმატებულად შეფასებული „სასამართლო რეფორმა" 10 წელზე იყო გათვლილი, თუმცა, როგორც ჩანს, მსვლელობით უკმაყოფილო სააკაშვილმა 2004-2005 წლებში მისი „ნაციონალურ ინტერესებზე" მორგება გადაწყიტა, რის შედეგადაც სისტემაში, ფაქტობრივად, აღარ დარჩა რეალურად დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მოსამართლე.

მოსამართლეებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა შერჩევისას ადრე დაშვებული შეცდომების გამო ახალ ხელისუფლებას სასამართლოებში მორიგი რეფორმის დაწყება მოუხდა, რომელსაც „მესამე ეტაპზევე" შეექმნა სერიოზული პრობლემები... ამდენად, სამართლო ხელისუფლებაში სადღეისოდ არსებული სისტემური კრიზისის დასაძლევად რეალური რეფორმაა გასატარებელი.

საკონსტიტუციო სასამართლო: ბუტაფორიული ფასადი თუ ადამიანის უფლებათა ეფექტური დამცველი?!

(ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2005, №1)

არაერთგვაროვანი შეფასება მოჰყვა პრეზიდენტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტს, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საკონსტიტუციო სასამართლოს „რეფორმასთან“ დაკავშირებულ საკითხებს. ამქვეყნად მუდმივი არაფერია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ კონსტიტუციის სტაბილურობა სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია, ქვეყნის უზენაეს კანონში შეტანილი ყოველი ცვლილება-დამატება კარგად უნდა იყოს აწონილ-დაწონილი და რეალურად უნდა ემსახურებოდეს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და ეფექტურობის ამაღლებას.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ რეალურად დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტია. არც ის არის სადავო, რომ ზოგადსაკაცობრიო დემოკრატიულ ფასეულობებზე ორიენტირებული სახელმწიფოსათვის მეტად მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო კონტროლისა და ზედამხედველობის გამართული მექანიზმის არსებობა.

ამდენად, საქართველოში ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის ისეთი ცნობილი და აპრობირებული ინსტიტუტის დამკვიდრება, როგორიც საკონსტიტუციო სასამართლოა, უდავოდ პროგრესული მოვლენაა, მაგრამ, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ამ უმნიშვნელოვანეს საქმესაც ისევე უპასუხისმგებლოდ მოვეკიდეთ, როგორც დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ განხორციელებულ დანარჩენ „რეფორმებს“. სასამართლო ხელისუფლების პოსტსაბჭოური „გარდაქმნის“ შემხედვარე, შთაბეჭდილება მრჩება, რომ საერთო ჯამში მაინც ძალზე ვაგვიანებთ, სავსებით მისაღები იდეის განხორციელებასაც გაუმართლებლად ვაჭიანურებთ, ბოლოს კი, ისევ ნაუცბათევად და არაგონივრულად ვმოქმედებთ.

მართალია, საქართველოს ადრემოქმედ კონსტიტუციაში გათვალისწინებული იქნა საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტის შექმნა, მაგრამ იმდროინდელ „ხალხის რჩეულებს“ მის დასაფუძნებლად „პოლიტიკური ნება“ არ აღმოაჩნდათ.

საგულისხმოა, რომ მეზობელ რუსეთში ეს ინსტიტუტი ჯერ კიდევ „პერესტროიკის“ წლებში ამოქმედდა, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლო 1993 წელს შეიქმნა, ფაქტია, არც ქართველმა კომუნისტებმა

და არც მათ შემდეგ ხელისუფლებაში მოსულმა ე. წ. ეროვნულმა ძალებმა ვერ დაუშვეს უმაღლეს პოლიტიკურ ორგანოზე მაღლა მდგომი ინსტანციის არსებობა.

საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნისა და მისი საქმიანობის ძირითადი პრინციპები პირველად მხოლოდ 1995 წლის 24 აგვისტოს, ასევე ნაჩქარევად მიღებულ კონსტიტუციაში იქნა მოცემული. ამასთან, კონსტიტუციის ერთ-ერთი გარდამავალი დებულებით დაწესდა, რომ „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონი მიღებულ იქნეს 1996 წლის 1 თებერვლამდე".

უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამისი კანონპროექტი საქართველოს პარლამენტს განსახილველად კონსტიტუციით განსაზღვრული ვადის გასვლამდე მხოლოდ ერთი დღით ადრე წარედგინა და იმავე დღის ბოლოს „გეგმიურ ვადაში" იქნა მიღებული. ამის შემდეგ, 1996 წლის 21 მარტს მიღებულ იქნა კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ", რომელსაც რატომღაც აღარ მიენიჭა „ორგანულის" სტატუსი და შედარებით ნაკლები ხმები დასჭირდა მისაღებად. რატომღაც, მხედველობიდან გამოგვრჩა, რომ სასამართლო წარმოების პროცედურა სწორედ ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით არის მეტად მნიშვნელოვანი და დეპუტატთა სიითი შემადგენლობის ორი მესამედი თუ არა, ნახევარი მაინც უნდა უჭერდეს მხარს (და არა მხოლოდ სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის მესამედისა, როგორც ეს საქართველოს კონსტიტუციით არის დადგენილი).

სამართლებრივი ფუნდამენტის შექმნის შემდეგ ჯერი საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა გამწესებაზე მიდგა. 9 წევრიდან 3 პარლამენტმა აირჩია, 3 - უშუალოდ პრეზიდენტმა დანიშნა, ხოლო 3 - უზენაესმა სასამართლომ. ერთი შეხედვით, თითქოს, ამერიკულის მსგავსი მოდელი დავნერგეთ და მასთან შედარებით დემოკრატიულობის უფრო მაღალი ხარისხიც შევძინეთ (აშშ-ში ხომ ცხრავე წევრის დანიშვნის უფლება აქვს პრეზიდენტს, ჩვენთან კი მხოლოდ სამის...), მაგრამ არსი, ჩვეულებისამებრ, ისე დავამახინჯეთ, რომ როგორც ილია ჭავჭავაძეც იტყოდა მოსამართლედ გამწესების „გადასხვაფერებულ" წესს სიკეთის მადლი სრულიად მოვაკელით.

აშშ-ში მოსამართლე სიცოცხლის ბოლომდეა დანიშნული. ამდენად, თუ უზენაეს სასამართლოში ვაკანსია გაჩნდა, პრეზიდენტს შესაბამის კანდიდატურას იუსტიციის დეპარტამენტი (სამინისტრო) შეურჩევს, ისიც მხოლოდ ამერიკის იურისტთა (ადვოკატთა) ასოციაციიდან დასკვნის მიღების შემდეგ. სახელმწიფო და საზოგადოებრივ (ე.წ. არასამთავრობო) სტრუქტურებთან შეთანხმებით შერჩეულ კანდიდატს აშშ-ის პრეზიდენტი პირადად შეეხმიანება (ტელეფონით),

საპატიო თანამდებობას შესთავაზებს და თანხმობის მიღების შემთხვევაში, სენატის იურიდიულ კომიტეტს წარუდგენს. როგორც კი მოსამართლეობის კანდიდატის შესახებ საჯაროდ ხდება ცნობილი, მასმედია მის შესახებ ყოველგვარი ცნობების შეგროვებას იწყებს და ძირითად აქცენტს მორალურ მხარეზე (რეპუტაციაზე) აკეთებს. იურიდიულ კომიტეტში მოწონებულ კანდიდატურას შემდგომ უკვე სენატორები უყრიან კენჭს და მხოლოდ ხმების უმრავლესობით გასული პიროვნება ინიშნება პრეზიდენტის მიერ სამუდამოდ. როგორც ვხედავთ, რამდენიმე პრეზიდენტს უფლებამოსილების ვადა შესაძლოა ისე ამოეწუროს, რომ აშშ-ის უზენაეს სასამართლოში ერთი წევრიც კი არ შეიცვალოს. შესაბამისად, სწორედ უზენაესი სასამართლოს დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხის გამო აქვს მასვე მინიჭებული კონსტიტუციის დაცვისა და მისი განმარტების უფლებამოსილებაც.

საქართველოში პირველი საკონსტიტუციო სასამართლო მხოლოდ ედუარდ შევარდნაძის გაპრეზიდენტების შემდეგ, ფაქტობრივად, მის მიერვე და იმავე 10 წლიანი ვადით შეიქმნა, რომლის განმავლობაშიც თავად იქნებოდა უფლებამოსილი ემეთაურა სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის. ამდენად, სამართლებრივი ბაზა თუ არ შევცვალეთ, როგორც ჩანს, „ვარდების რევოლუციით" მოსული ახალი პრეზიდენტიც საკონსტიტუციო კონტროლის განსახორციელებლად მალე მოსამართლეთა საკუთარ გუნდს „უზენაესი კანონითვე" განსაზღვრული წესით დააკომპლექტებს.

სამწუხაროდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრობის კანდიდატების თაობაზე არავითარი საჯარო მსჯელობა არ გამართულა და კონკრეტულ პირთა გამოსამართლების შესახებ საზოგადოებამ მხოლოდ თანამდებობებზე მათი გამწესების შემდეგ შეიტყო. ამასთან, თუ 3 წევრი შევარდნაძემ ერთპიროვნულად დანიშნა, ამდენივე მისი („მოქალაქეთა") პარტიის წევრებმა „აირჩიეს", რომლებიც პარლამენტში უმრავლესობას წარმოადგენდნენ (ლოგიკურია, მხოლოდ პრეზიდენტთან შეთანხმებით იმოქმედებდნენ). ხოლო, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ 1996 წელს უზენაესი სასამართლო, ფაქტობრივად, ისევ ტოტალიტარიზმისდროინდელი კადრებით იყო დაკომპლექტებული, ცხადი უნდა იყოს, რომ მათ მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილი მოსამართლეები არც საქართველოს კომპარტიის ყოფილი პირველი მდივნისათვის (შემდგომ კი „მოქალაქეთა კავშირის" პარტიული ლიდერისთვის) იქნებოდნენ მიუღებელნი. ამასთან, საგულისხმოა, რომ მოქმედი კანონმდებლობით უზენაესი სასამართლოს წევრს პრეზიდენტის წარდგინებით ამტკიცებს პარლამენტი. რაც ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, ნათელს უნდა ხდიდეს, რომ დღევანდელ ვითარებაში მოსამართლეთა

კორპუსი ვერც აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენისაგან არის სრულიად თავისუფალი და ვერც კანონმდებლისაგან სრულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებს (ამის დასტურია, თუნდაც შემნახველი სალაროების მეანაბრეთა ჯგუფის მიერ ყოფილი პრეზიდენტის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელის ბედი). ამ მიმართულებით ფრიად შემაშფოთებელია საქართველოს კონსტიტუციაში კონსტიტუციისავე დარღვევით უკვე შეტანილი „რევოლუციური" დამატებაც, რომლის ძალითაც პრეზიდენტს მიეცა უფლებასამოსილება არ მარტო დანიშნოს მოსამართლეები ორგანული კანონით გათვალისწინებული წესით, არამედ გაანთავისუფლოს კიდეც...

მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი საკონსტიტუციო სასამართლო, ისევე, როგორც მთლიანობაში საქართველოს სასამართლო ხელისუფლება, დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით ვერ დაიკვეხნის, განვლილ პერიოდში იყო შემთხვევებიც, როდესაც მესამე ხელისუფლების წარმომადგენელთა შინაგანი რწმენა არ დაემთხვა პირველი ორის მესვეურთა „პოლიტიკურ ნებას", რის გამოც საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებლები „სამართლებრივი რეფორმის მამებმა" და ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციების მესვეურებმა საკმაოდ მკაცრად „დატუქსეს" კიდეც...

გავიხსენებდი გახმაურებულ გადაწყვეტილებას, რომლითაც საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ 1998 წელს არაკონსტიტუციურად ცნო საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის ნორმა, რომლითაც 1991 წელს დანიშნულ მოსამართლეებს ვადამდე უწყდებოდათ უფლებამოსილება. პარლამენტის ზოგიერთ წევრს („რეფორმატორ-რევოლუციონერს") მხოლოდ მაშინ „გაახსენდათ", რომ ის მოსამართლეები, რომლებსაც ორიოდე წლის წინ ხოტბას ასხამდა და პროგრესულად მოაზროვნეებად მოიხსენიებდა, სინამდვილეში თურმე „უვიცები და კორუმპირებულები" ყოფილან. ამასთან, ზოგიერთები, თურმე, პოლიტიკური გარიგებების შედეგადაც კი დაუსვამთ მოსამართლეთა სავარძელში...

თემიდის მსახურთ მარტო საჯაროდ ლანძღვა-გინება არ აკმარეს და მათი ვერდიქტით განაწყენებულ პოლიტიკოსთა მიერ შეგულიანებულებმა ე. წ. არასამთავრობოებმა „დემოკრატიის მესაფლავე" მოსამართლეების ფიტულებიც კი დაწვეს... ამ მართლაც, კარგად ორგანიზებული თეატრალიზებული „მორალური ტერორის" გამო საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი წევრი გულის შეტევით საავადმყოფოში აღმოჩნდა...

ვინაიდან, შეურაცხყოფისთვის ან ხულიგნობისთვისაც კი არავინ დასჯილა, „დატერორებულ" საკონსტიტუციო სასამართლოს,

საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ ხელისუფლებაში წამოწყებული დანარჩენი „რევოლუციური რეფორმებისათვის", ფაქტობრივად ხელი აღარაფერში შეუშლია. თუმცა, მოგვიანებით, საკონსტიტუციო სასამართლომ ერთი „თვითნებობის" ფაქტი კიდევ დაუშვა, როდესაც რამდენიმე ოლქში 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგები ბათილად ცნო და მმართველი პარტიის მაჟორიტარი დეპუტატებისათვის უფლებამოსილების შეწყვეტა საკანონმდებლო ორგანოს მოსთხოვა (უმჯობესი იქნებოდა, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება უშუალოდ პარლამენტის აპარატისათვის დაევალებინა). ამ შემთხვევაში კი, საპარლამენტო უმრავლესობამ აშკარად დაანახვა ამომრჩეველს, თუ რამდენად „უზენაეს კანონად" მიიჩნევს იმ კონსტიტუციას, რომლითაც „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა" (მუხლი 89.2)... უფლებამოსილების ოთხწლიანი ვადა ისე გაილია, სადეპუტატო „ელიტა" ვერ შეელია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ „დაწუნებულ" კოლეგებს და მათი დახმარებით, ჩვეულებისამებრ, აყალბებდა კენჭისყრის შედეგებს უმნიშვნელოვანესი კანონებისა თუ გადაწყვეტილებების მიღებისას (მაგალითად, იმ „დეპუტატებმა", რომლებიც მოქალაქეებს არ აურჩევიათ, ე. წ. ნულოვან ვარიანტსაც დაუჭირეს მხარი, რომლითაც რუსეთს საქართველოსადმი მრავალმილიარდიანი დავალიანება ჩამოეწერა...).

დაუჯერებელია, მაგრამ, ფაქტობრივად, თვითმარქვია დეპუტატები ბოლომდე დარჩნენ პარლამენტში. ამასთან, კონსტიტუციით დადგენილი 4 წლიანი ვადაც არ იკმარეს და „ვარდების რევოლუციიდან" სამი თვის შემდეგ კონსტიტუციასთან ერთად სახელმწიფო სიმბოლოც თვითნებურად შეცვალეს. სამაგიეროდ, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს (ავთანდილ დემეტრაშვილს) თავად მოუწია მოსამართლის სავარძლის დატოვება (უფლებამოსილების ვადის ნახევარი ჰქონდა მხოლოდ გავლილი), როგორც ჩანს, მხოლოდ იმისათვის, რომ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოს მესვეურთა მიერ მისთვის წინასწარ განსაზღვრულ დამოუკიდებლობის ფარგლებს გასცდა და „ზემოთ" შეუთანხმებლად მიიღო გადაწყვეტილება.

ის, რომ, მიუხედავად ერთობ სოლიდური ანაზღაურებისა, საკონსტიტუციო სასამართლოში პროფესიონალებისათვის ყველაფერი მისაღები არ უნდა იყოს, იმითაც დასტურდება, რომ თავმჯდომარემდე თანამდებობა ნებაყოფლობით დატოვა მისმა მოადგილემ (გია მეფარიშვილმა) და გაცილებით დაბალხელფასიან სამსახურში - პროკურატურაში ამჯობინა მუშაობა. ცხადია, იმავე ამერიკაში მის ასაკში უზენაესი სასამართლოს წევრი რომ გახდე, ნებისმიერი იურისტისათვის უდიდესი პატივია და ჯანმრთელ კაცს უზენაესი

(საკონსტიტუციო) მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარი ეთქვა, ალბათ, მართლაც, გაუგებარი იქნებოდა.

შთაბეჭდილება მრჩება, რომ დღევანდელ პოლიტიკოსთა დიდ ნაწილს სამართლებრივი სახელმწიფოს არსი (რომლის დამკვიდრების ურყევი ნება კონსტიტუციის პრეამბულაშია გამოცხადებული) ბოლომდე გააზრებული არ უნდა ჰქონდეთ და არც სასამართლო ხელისუფლების რეალური დამოუკიდებლობა უნდა აძლევდეთ ხელს („რევოლუციას", ამ მხრივ, ფაქტობრივად, არაფერი შეუცვლია და კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტიც ამის მკაფიო დასტურია). წინააღმდეგ შემთხვევაში, სამართლის უზენაესობასაც, ალბათ, მეტ პატივს მიაგებდნენ და კანონშემოქმედებით საქმიანობასაც მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდებოდნენ. ხოლო, ზემოთ მოყვანილ აბსურდულ სიტუაციაში ისევ რომ არ აღმოვჩნდეთ, უპრიანი იქნებოდა, კონსტიტუციაშივე ან შესაბამის კანონშივე განგვესაზღვრა საკონსტიტუციო სასამართლოს არა მარტო ფორმირების ახალი, ე. წ. ევროსტანდარტების შესაბამისი მექანიზმი, არამედ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების წესი და მათი სავალდებულოობა ყველასათვის, მათ შორის, პარლამენტისა და პრეზიდენტისათვის. იმ შემთხვევაში კი, თუ პარლამენტი ან პრეზიდენტი არ შეასრულებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს, საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს უნდა შეეძლოს მათი დათხოვნა და ვადამდელი არჩევნების დანიშვნა.

საქართველოში მყარად ფესვგადგმული სამართლებრივი ნიჰილიზმის დონე, კანონმდებლის დამოკიდებულება საკონსტიტუციო სასამართლოსადმი და თავად საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა ერთგულება კანონის უზენაესობის პრინციპისადმი მკაფიოდ ჩანს, ერთი შეხედვით, თითქოს უმნიშვნელო მაგალითზე. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამის კანონში საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილსამყოფელად ქალაქი მცხეთა განისაზღვრა, საკონსტიტუციო სასამართლო წლების განმავლობაში თბილისში საქმიანობდა... როდესაც, პირველად წარვსდექი მოსამართლეების წინაშე და სხდომის მცხეთაში ჩატარება მოვითხოვე, ისე გაიკვირვეს, თითქოს კანონის შესაბამისად მოქმედებას კი არ ვითხოვდი, არამედ „ხუშტურის" ასრულებას... „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანულ კანონში შესაბამისი ცვლილება მხოლოდ 2002 წელს შევიდა და „მცხეთის" ნაცვლად „თბილისი" ჩაიწერა, ხოლო მიხეილ სააკაშვილმა 2006 წლის 7 სექტემბერს მოაწერა ხელი საკონსტიტუციო სასამართლოს გათუმში „იმპლემენტირების" გრძანებას (როგორც ჩანს, იმ ზაფხულს ზღვიდან დადებითი ემოციებით დამუხტული დაბრუნდა...).

იმ გარემოებამ, რომ შესაბამისმა კანონმა თავიდანვე მკაფიოდ

არ განსაზღვრა როგორც სარჩელთა განხილვის, გადაწყვეტილების გამოცხადების, ასევე მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულების ვადები და მექანიზმები, საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობა ნაკლებად ეფექტური გახადა. მითუმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ კონსტიტუციის შეუსაბამო ნორმატიული აქტების მოქმედებით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად ქვეყნის ბიუჯეტი შესაბამის თანხებს, ფაქტობრივად, არ ითვალისწინებს. ამ მხრივ, ფრიად საყურადღებოა (ალბათ, საგანგაშოც!) მოქალაქე ოთარ ზოიძის მიერ საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი, რომელშიც მოითხოვა მთავრობის მიერ დაწესებული გადასახადის გაუქმება (ვინაიდან, კონსტიტუცია, მხოლოდ კანონით დადგენილი გადასახადის გადახდას ავალებდა). საკონსტიტუციო სასამართლომ გასაჩივრებული ნორმატიული აქტი არაკონსტიტუციურად ცნო. ამის შემდეგ, ლოგიკურია, რომ იურიდიულ პირს, რომლის ინტერესებსაც ზოიძე იცავდა, უკან უნდა დაბრუნებოდა მის მიერ ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილი ჯარიმა, რომელიც მათ უსამართლოდ დააკისრა საგადასახადო სამსახურმა.

დაუჯერებელია, მაგრამ აშკარაა, რომ საწარმომ დღემდე ვერ აინაზღაურა ზიანი... უკანონოდ გადახდილი თანხის დასაბრუნებლად საერთო სასამართლოებსაც მიაკითხა, სადაც იმ მოტივით უთხრეს უარი აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან დარღვეული უფლების აღდგენაში დახმარებაზე, რომ თითქოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე სადავო ნორმატიული აქტი მართლზომიერი ყოფილა... (გამოდის, რომ მთავრობას თამამად შეუძლია ანტიკონსტიტუციური ნორმებით იმუშაოს, ვინაიდან, სანამ „დაზარალებულები" მის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელს შეტანენ და განხილვის რიგი მოუწევთ წლები გავა...)

სამწუხაროდ, აღმასრულებელი ხელისუფლების მანკიერი ზეგავლენა სასამართლო ხელისუფლებაზე და სარეფორმო ხარვეზები, რომლებიც ზემოთ მოყვანილ გახმაურებულ საქმეზეც გამოვლინდა, უარყოფითად მოქმედებს საკონსტიტუციო სასამართლოს ავტორიტეტზე და კიდევ უფრო აღრმავებს ქვეყანაში მყარად ფესვგადგმულ სამართლებრივ ნაჰილიზმს. ამასთან, თუ ბიუჯეტში არა მარტო მოსამართლეებისათვის გასაცემი ხელფასებისათვის, არამედ კონსტიტუციურ უფლებადარღვეულ პირთათვის საკომპენსაციო თანხები არ მოგვეპოვება, სასამართლო რეფორმის წარმატებაზე და სამართალწარმოების დემოკრატიზაციაზე განცხადების გაკეთება, რბილად რომ ვთქვათ, არაკორექტულია.

საკონსტიტუციო სასამართლოსთან თავადაც მქონდა შეხება. წინა მოწვევის პარლამენტის მიერ 1999 წლის ივნისში, უფლებამოსილების

მიწურულს, ასევე უაღრესად ნაჩქარევად მიღებულ კანონში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ, ერთ-ერთი ნორმა ადამიანის უფლებების შემლახავად მივიჩნიე და, ფაქტობრივად, ამოქმედებისთანავე, იმავე წლის ივლისში შევიტანე სარჩელი პარლამენტის წინააღმდეგ, საკონსტიტუციო სასამართლოში განმწესრიგებელ სხდომას 2 წელზე მეტი ველოდე (ბუნებრივია, ამ ხნის განმავლობაში არც სადავო ნორმების მოქმედება შეჩერებულა და ყოველდღიურად ათეულობით ადამიანის უფლებები ირღვეოდა). ამის შემდეგ, სასამართლომ უარი მითხრა საქმის არსებითად განხილვაზე... ამასთან, შესაბამის განჩინებას დასაბუთებულად ნამდვილად ვერ მივიჩნევ, ვინაიდან, სასამართლომ ჩემი მოთხოვნების მხოლოდ ერთ ნაწილზე ჩამოაყალიბა საკუთარი პოზიცია და ისიც კონსტიტუციის შესაბამისი მუხლის არსის ერთობ შეზღუდული სახით განმარტების საფუძველზე.

შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ამ შემთხვევაშიც მესამე ხელისუფლება პირველი ორის ინტერესებში მოქმედებდა. ერთი მხრივ, არ გაამტყუნა ის პარლამენტი, რომელმაც აბსურდული ნორმა საგზაო პოლიციელთა ინტერესებში ჩადო კანონში (ჩვენი დეპუტატების დაბალი სამართლებრივი კულტურა რომ სახელმწიფოს მრავალ პრობლემას უქმნის, ფაქტია, მაგრამ იმის დასაკანონებლად, რომ „შუქნიშნის გამორთული სქცია კრძალავს ამ მიმართულებით მოძრაობას", გარდა იმისა, რომ წარმოდგენა არ უნდა გქონდეს მოძრაობის წესების ევროსტანდარტებზე, ამასთან ელემენტარულ ლოგიკასთანაც უნდა იყო მწყრალად...), მეორე მხრივ, იმ აღმასრულებელ ხელისუფლებასაც გაუწია ანგარიში, რომელიც არაგონივრული ნორმის საფუძველზე მძღოლებისაგან ჯარიმების სახით ერთობ სოლიდურ თანხებს კრეფდა და, ფაქტობრივად, უხელფასო პოლიციელებსაც არაოფიციალურად არჩენდა (საგზაო პოლიცია, თუ პატრული, მართლაც, შეიძლება ჩაითვალოს „მსხვილ გადამხდელებად", ვინაიდან სახელმწიფოს ბიუჯეტში წლების განმავლობაში სტაბილურად შეჰქონდა და შეაქვს მილიონობით ლარი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ არც ხელფასის დაგვიანებისთვის გამოთქვამს პროტესტს და ხელისუფლებისადმი განსაკუთრებული კეთილგანწყობითაც გამოირჩევა).

საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებული მქონდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლში ჩადებული არაკონსტიტუციური, სრულიად არაგონივრული და წმინდა კორუფციული ხასიათის ნორმაც, რომლის ძალითაც უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატას საშუალება ეძლევა თუკი „საქმის ზეპირ განხილვას არ მიიჩნევს საჭიროდ" გადაწყვეტილება მიიღოს „ზეპირი მოსმენის გარეშე" (ფაქტობრივად, მხარეების მოწვევის გარეშე).

აღმოჩნდა, რომ იმ ვითარებაში, როდესაც დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სახელმწიფოსთან შედარებით ადამიანის პრიორიტეტულობაზე ამდენი ვილაპარაკეთ, „რეფორმისტული“ კანონმდებლობით დაგვიდგენია, რომ თუ საკონსტიტუციო სასამართლოს 4 კაციან კოლეგიაში მოსამართლეთა ხმები თანაბრად გაიყო, მოქალაქის სარჩელი პარლამენტის წინააღმდეგ თურმე არ უნდა დაკმაყოფილდეს... (ანუ, შეჯიბრი რომ ფრედ მთავრდება, თურმე არბიტრმა ერთ მხარეს წაგება მხოლოდ იმიტომ უნდა ჩაუთვალოს, რომ ერთი მოქალაქე 235 კაციანი პარლამენტის წინააღმდეგ ბედავს პაექრობას...).

სამართლიანობა მოითხოვს ისიც აღვნიშნო, რომ შექმნის დღიდან საკონსტიტუციო სასამართლომ მრავალი ობიექტური გადაწყვეტილება მიიღო და სადღეისოდ, სახელმწიფო მექანიზმში შემავალ სახელისუფლებო დაწესებულებებს შორის ყველაზე მეტი ნდობით სარგებლობს (ალბათ, ამიტომაც გავრცელდა ხმები საკონსტიტუციო სასამართლოს უზენაესთან შესაძლო გაერთიანების შესახებ...) მაგრამ, მაინც იმ ხარვეზებზე ვამჯობინებ ყურადღების გამახვილებას, რომელთა აღმოფხვრის გარეშე საკონსტიტუციო სასამართლო ვერ შეასრულებს თავის ძირითად დანიშნულებას.

მისასალმებელია, რომ რამდენიმე წლის წინ შესაბამის კანონებში შევიდა რიგი ცვლილება-დამატებები, რომლებიც მნიშვნელოვნად შეუწყობენ ხელს ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლებრივ საშუალებათა ეფექტურობის ამაღლებას და სახელმწიფოში კონსტიტუციის უზენაესობის დამკვიდრებას. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ თავად მოქალაქეებიც და მათი უფლებადამცველებიც ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ იყენებენ საკონსტიტუციო სასამართლოს შესაძლებლობებს. მაგალითად, ძნელია გამართლება მოეძებნოს იმას, რომ მოსამართლეებიც და თვით სახალხო დამცველიც იშვიათად მიმართავენ საკონსტიტუციო სასამართლოს იმ საკანონმდებლო ხარვეზების აღმოსაფხვრელად, რომლებიც კონსტიტუციური დებულების იგნორირებით მოქმედებენ დამოუკიდებლობა აღდგენილ ქართულ სახელმწიფოში.

ამდენად, კანომდებლობაში უნდა ჩაიდოს საკონსტიტუციო სასამართლოს ეფექტურობის ამაღლების გარანტიები. წინააღმდეგ შემთხვევაში, კვლავ და კვლავ აღმოვჩნდებით ისეთ აბსურდულ სიტუაციაში, როგორც ეს, მაგალითად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან დაკავშირებით დაგვემართა.

ჯერ, 1997 წლის 25 ნოემბერს ღამის 11 საათზე, ხოლო შემდეგ 1998 წლის 20 თებერვალს „მეოთხე მოსმენით“ მიღებულ „რევოლუციურ“ საპროცესო კოდექსში საკონსტიტუციო სასამართლომ 2003 წლის თებერვალში კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ ათამდე მუხლი ცნო და

1 მაისამდე მისცა პარლამენტს ვადა ადამიანის უფლებათა ხელმყოფი მუხლების გასაუქმებლად, მაგრამ ჩვენმა პოლიტიკოსებმა მხოლოდ 2004 წლის ზაფხულში „მოიცალეს“ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესასრულებლად.

უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოში სრულმაშტაბიანმა სამართლებრივმა რეფორმამ ძალზე დაიგვიანა, ხოლო ის, რაც დღემდე განხორციელდა ხარისხით ნამდვილად ვერ დაიკვეხნის. (ამას უკვე ყოფილი „რეფორმატორებიც“ საქვეყნოდ აღიარებენ). საკონსტიტუციო სასამართლო, ფაქტობრივად, პირველი მერცხალი გახდა, რომელსაც შემდგომ საერთო სასამართლოების გადახალისება მოჰყვა. ბუნებრივია, ყოველგვარი სიახლის დანერგვისას გარკვეული შეცდომებისაგან დაზღვეული არავინ არის, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს „მესამე ხელისუფლებაში“ სადღეისოდ არსებული ნაკლოვა-ნებები („ნეგატიური მოვლენები“), არცთუ იშვიათად, სწორედ ახალგაზრდა, თუ უფროსი თაობის „რევოლუციონერ-რეფორმატორთა“ არაგონივრული და ნაჩქარევი ქმედებების შედეგია.

სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ ოღროჩოღროებით მიმავალთ, როგორც ჩანს, მხედველობიდან გამოგვრჩა, რომ სამართლებრივ რეფორმას სათანადო დაფინანსებასთან ერთად, არა მარტო პროფესიონალიზმით, არამედ ილია ჭავჭავაძისეული გაგებით „პატიოსანი ხასიათით და უჩირქო ყოფა-ცხოვრებით“ გამორჩეული კადრები სჭირდება. ამასთან, მხოლოდ მოსამართლეთა კორპუსის შეცვლა და სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ე. წ. ევროსტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა საქმეს ვერ უშველის, თუ რეფორმა სხვა სამართალდამცავ ორგანოებსაც არ შეეხო.

ფაქტობრივად, საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნის დღიდან მიდის ლაპარაკი არა მარტო საერთო სასამართლოების, არამედ, პოლიციის, პროკურატურისა და ადვოკატურის რეფორმირებაზე. თუმცა, სამართალდამცავი ორგანოების კოსმეტიკური შეალამაზების რიგ მცდელობებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, შეიძლება ითქვას, ბევრი არაფერი გაკეთებულა. თუმცა, არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ საქართველოში ადამიანის კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის მხრივ მდგომარეობის არსებითად გასაუმჯობესებლად რეფორმა ქვეყნის მმართველობით-ბიუროკრატიულ აპარატსაც უნდა შეეხოს.

ამდენად, რეფორმების გზაზე მეტი დაკვირვება გვმართებს. საზღვარგარეთული გამოცდილების გაზიარებაც გონივრულად უნდა მოხდეს და სათანადო დაფინანსების წყაროების მოძიებასთან ერთად, არა მარტო სამართალდამცავთა ახალი კადრების, არამედ თავად „რეფორმის მამების“ და რეფორმების ორგანიზატორ-განმა-

ხორციელებელთა პიროვნულ თვისებებზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება.

საკონსტიტუციო სასამართლო კი არშემდგარი სახელმწიფოს ბუტაფორიული ფასადიდან უნდა იქცეს რეალურად დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ უზენაეს ხელისუფლებად, რომელიც კონსტიტუციურ წყობასთან ერთად ეფექტურად დაიცავს ადამიანთა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. ამისათვის კი, მართლაც აუცილებელია (და არც არავინ დავობს) სამართლებრივი ბაზის სრულყოფა, მაგრამ დაუშვებელია ამის ნაუცბათევად („რევოლუციურად") გაკეთება.

კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი, რომელშიც მნიშვნელოვანიადგილისაკონსტიტუციოსასამართლოსრეფორმირებას ეთმობა, ცალკე მსჯელობის თემაა, მაგრამ რამდენიმე საკითხს ვერც წინამდებარე სტატიაში ავუვლი გვერდს. პროექტზე თანდართული განმარტებითი ბარათის გაცნობამ დამარწმუნა, რომ კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების პროექტის ავტორებს მკაფიო წარმოდგენა არ უნდა ჰქონდეთ „საკონსტიტუციო კონტროლის", „კონსტიტუციური კონტროლისა" თუ „საკონსტიტუციო ზედამხედველობის" არსის თაობაზე (იხ. ოთარ მელქაძე, „ტერმინ „საკონსტიტუციო კონტროლის" მნიშვნელობის შესახებ", ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია" 1998, N1). წინააღმდეგ შემთხვევაში, საკონსტიტუციო კონტროლზე მსჯელობისას პირველივე წინადადებაში „კონსტიტუციურ კონტროლს" არ ახსენებდნენ.

ერთის მხრივ უდავოდ გონივრულია, თუ დღევანდელ ვითარებაში საკონსტიტუციო სასამართლოს მიეცემა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების კონსტიტუციის მეორე თავთან შესაბამისობის გაკონტროლება, მაგრამ მეტად სადავოა საკონსტიტუციო სასამართლოს სასამართლო ხელისუფლებიდან გამოყვანის მცდელობა, მისთვის არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებული დავების განხილვის უფლების ჩამორთმევა, ზოგიერთი ნორმატიული აქტის (მაგალითად, მარეგულირებელი ორგანოების მიერ დენისა თუ სხვა ტარიფებთან დაკავშირებით მიღებული) კონსტიტუციის მეორე თავთან შესაბამისობის შემოწმების უფლების ჩამორთმევა, მოსამართლეთა ასაკის შემცირება, აგრეთვე დღეს მოქმედი მოსამართლეთა კორპუსისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის და ახალ მოსამართლეთა გამწესების შემოთავაზებული წესი.

აღნიშნული ცვლილება-დამატებების მიღებით საკონსტიტუციო სასამართლოს, სწორედ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაზე კონტროლის ფუნქცია შესუსტდება რეალურად და საკონსტიტუციო სასამართლო, ფაქტობრივად, ერთ პირზე, პრეზიდენტზე და მის პარტიაზე დამოკიდებულ ფორმალურ

ინსტიტუტად იქცევა.

ბუნებრივია, „რევოლუციის" შემდეგ სხვას არც უნდა ველოდოთ (ლენინის განმარტებით, რევოლუცია კანონით შეუზღუდავი ძალაუფლებაა... შესაბამისად, 1917 წლის „დიადი ოქტომბრის" გადატრიალების შემდეგ ყველა მოსამართლე დაითხოვეს და მათ სავარძლებში პროლეტარული წარმომავლობის ერთგული თანაპარტიელები ჩასვეს), მაგრამ, როდესაც სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრების ნებას გამოვთქვამთ და ევროკავშირისკენაც მივისწრაფვით, საკონსტიტუციო სასამართლოს რეალურად უნდა მივანიჭოთ დამოუკიდებლობა და ხელისუფლების ყველა შტოს ქმედითი გაკონტროლების უფლება (კონსტიტუციურ ფარგლებში მოსაქცევად), ხოლო თავად „უზენაესი კანონის" გადასინჯვასაც მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ.

კომენტარი:

აღნიშნული სტატიის გამოყვეყნებისას თუ ცალკეულ ხარვეზებს ვხედავდი, „ვარდების რევოლუციის" შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლო, ფაქტობრივად, პოლიტიკურ იარაღად იქცა. თუ საქმე „ნაციონალურ" ინტერესებს ეხება ოპერატიულად იხილება, ხოლო სხვა შემთხვევაში, შეიძლება სარჩელი არც კი მიიღონ წარმოებაში ან განხილვა გაუმართლებლად გააჭიანურონ.

ფაქტია, რომ უკრაინაში „ნარინჯისფერი კრიზისი" საკონსტიტუციო სასამართლომ აღმოფხვრა, ხოლო საქართველოს საკონსტიტუციო სასა-მართლომ არც 2003 წლის „ვარდების რევოლუციისას" დაიცვა კონსტიტუცია და არც 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების კონსტიტუციურობის თაობაზე შეტანილი სარჩელი განიხილა (მიუხედავად იმისა, რომ ცესკოს შემაჯამებელი ოქმი აშკარად გაყალბებული იყო, მოსარჩელე განმწესრიგებელ სხდომაზეც კი არ მიიწვიეს...). ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილის (ალკოტესტზე შემოწმებისგან თავის არიდების-თვის მართვის უფლების 3 წლით ჩამორთმევა იყო გათვალისწინებული...) კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხზე შეტანილი სარჩელი, თითქმის ორი წელი ელოდა რიგს. საქმის განხილვა 2013 წლის 27 თებერვალს შედგა, მაგრამ გადაწყვეტილება მხოლოდ 6 აგვისტოს გამოქვეყნდა... ამასთან, საქვეყნოდ გამოცხადებულ გადაწყვეტილებაში სადავო ნორმის გაუქმებაზე იყო ლაპარაკი, ხოლო წერილობით გამოქვეყნებულში მხოლოდ სანქცია აღმოჩნდა შეცვლილი და პოლიციის ინტერესებში დაემატა ფულადი ჯარიმა...

აღარ არის დასამალი, გარდა იმისა, რომ საქართველოში საერთო სასამართლოები უაღრესად არაეფექტურად მუშაობენ, საკაშვილის მიერ ბათუმში „გადასახლებული" საკონსტიტუციო სასამართლო, ფაქტობრივად, წინა ხელისუფლების მიერ არის დაკომპლექტებული და ქვეყნისთვის დემოკრატიული ბუტაფორიული ფასადის როლს ასრულებს. ამდენად, მხოლოდ კოსმეტიკური ცვლილებებით არაფერი გამოვა და, საქართველოს მოქალაქეებს თუ მართლა გვინდა სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება და „ევროინტეგრაცია" საკონსტიტუციო სასამართლოსთან მიმართებაშიც რეალური რეფორმაა გასატარებელი.

მედიასაშუალებებით გამოყვეყნდა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის (მისი გამოსამართლებისთვის „უზენაესი კანონიც" კი შეიცვალა...) გამოხმაურება იუსტიციის მინისტრის განცხადებაზე საკონსტიტუციო სასამართლოს რეფორმირების თაობაზე. გიორგი პაპუშვილმა განაცხადა, რომ „განცხადებები ბევრი უნახავს, მაგრამ კონკრეტულად რას გულისხმობენ ეს ჯერ არ იცის". აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნიე საზოგადოებას გავაცნო საკონსტიტუციო სასამართლოს რეფორმირების ერთი კონკრეტული მოდელი...

სამწუხარო რეალობაა, რომ „ვარდების რევოლუციის" შემდეგ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო პოლიტიკურ ინსტრუმენტად იქცა და ადამიანის უფლებებზე მეტად ერთი პარტიის („ნაციონალური მოძრაობის") ინტერესების დაცვაზე ზრუნავს. შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, გამართლებულად მიმაჩნია, საკონსტიტუციო სასამართლოზე საერთოდ უარის თქმა და მისი მიერთება უზენაეს სასამართლოსთან (ამაზე ადრეც იყო ლაპარაკი, თუმცა, მაშინ ამის გაკეთება გაუმართლებლად მიმაჩნდა. ცხადია, ვინაიდან სამართალი ცოცხალი და განვითარებადი ორგანიზმია, იურისტმაც შეიძლება გარემოებების შესაბამისად შეიცვალოს პოზიცია).

კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიღებამდეც შეიძლებოდა მასში, შესაბამისი ცვლილებები შეგვეტანა. ამის შემდეგ, საერთო სასამართლოებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონებების ნაცვლად, პარლამენტი მიიღებდა ორგანულ კანონს „სასამართლოების შესახებ", რომლი-თაც უზენაესი სასამართლოს შემადგენლობაში სამოქალაქო, ადმინისტრა-ციულ და სისხლის სამართლის საქმეთა პალატების გარდა, გათვალისწინებული იქნებოდა საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა საქმეთა ახალი

პალატა (აღნიშნული პალატის კომპეტენცია და დაკომპლექტების წესი აღწერილი მაქვს რეალური სასამართლო რეფორმის განსახორციელებელ წინადადებებში).

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერთებით საქართველოს სასამართლო ბუტაფორიული ფასადიდან უნდა იქცეს რეალურად დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ ხელისუფლებად, რომელიც კონსტიტუციურ წყობასთან ერთად ეფექტურად დაიცავს ადამიანთა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული მოსაზრება ვერ მოიპოვებს მხარდაჭერას და საკონსტიტუციო სასამართლოს შენარჩუნება აუცილებლობად ჩაითვლება, გონივრულად მიმაჩნია მის ადგილსამყოფელად ისევ მცხეთის განსაზღვრა (როგორც ეს თავიდანვე იყო ჩადებული კანონში) ან საკონსტი-ტუციო სასამართლოს ავლაბრის საპრეზიდენტო რეზიდენციაში განთავსება, რაც თუნდაც მოსამართლეებს ააცილებდა იმ დისკომფორტს, რაც ოჯახებთან ურთიერთობაში და მგზავრობასთან დაკავშირებით ექმნებათ და თსუ-ს სტუდენტებსაც მიეცემოდათ მოსამართლე-პროფესორებთან ურთიერთობის მეტი საშუალება.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ჩემი სარჩელი (მოსამართლეთა ხმები თანაბრად გაიყო) და საკასაციო სასამართლოს დაუტოვა უფლება საჩივრები „ზეპირი მოსმენის გარეშე“ (ფაქტობრივად, მხარეების მოწვევის გარეშე) განიხილოს, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მივმართე, ვინაიდან ვთვლი, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული პროცედურა ეწინააღმდეგება საქმის განხილ-ვის „ღიაობის (საქვეყნოობის)“ პრინციპს.

მართალია, სტრასბურგში მოთხოვნა არ დამიკმაყოფილეს (საქართველოდან მცდარი ინფორმაცია მიაწოდეს, თითქოს კასატორს სასამართლომ შეატყობინა, რომ მის საჩივარს „ზეპირი მოსმენის გარეშე“ იხილავდა), თუმცა ამის შემდეგ კანონმდებელმა კოდექსს დაუმატა მოთხოვნა, რომ „სასამართლომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ წინასწარ უნდა აცნობოს მხარეებს“ (13.07.2006. N3435). ცხადია, თუ კასატორის აზრს არ გაითვალისწინებ და საქმეს მაინც მის გარეშე განიხილავ, ადამიანის ძირითადი უფლება დარღვეული დარჩება. შეტყობინების მიზანი უნდა იყოს მხარის ინფორმირება, ხოლო საჩივარი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იხილებოდეს „ზეპირი

მოსმენის გარეშე", თუ კასატორმა თავიდანვე აირჩია განხილვის ეს ფორმა (სარჩელის სპეციალურ გრაფაში გააკეთა შესაბამისი აღნიშვნა) ან შემდგომში გამოთქვა წერილობითი თანხმობა. ფაქტია ისიც, რომ მას შემდეგ რაც საკონსტიტუციო სასამართლომ საჩივრის ავტორის დაინტერესების მიუხედავად მის დაუსწრებლად საკასაციო საჩივრის „ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვაში" მიუღებელი ვერაფერი დაინახა, კანონმდებელმა ეს მანკიერი ინსტიტური სააპელაციო ინსტანციაშიც დანერგა...

ყველა შემთხვევაში, აღნიშნული მაგალითიდანაც მკაფიოდ ჩანს, რამდენად მნიშვნელოვანია სახელმწიფოში რეალურად დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო ხელისუფლების არსებობა. მითუმეტეს, როდესაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეებით არის გადატვირთული და რიგით მოქალაქეებს უმნიშვნელო შანსი აქვთ ძირითადი უფლებების ხელყოფის შემთხვევაში, „სამართლიანობის აღდგენას" სტრასბურგში მიაღწიონ.

ამ ბოლო დროს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან მიმართებით განვითარებულმა მოვლენებმა, მისი თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილის საჯარო განცხადებებმა და მოსამართლეების, ფაქტობრივად, ყოფილი და დღევანდელი ხელისუფლების მხარდამჭერებად დაყოფამ, უკვე საზოგადოებაც დაარწმუნა, რომ საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოში ვითარება იმაზე მეტად საგანგაშოა, ვიდრე შეიძლებოდა წარმოგვედგინა.

ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წინასაარჩევნო პოლიტიზაციის დონისა და შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, გამართლებულად მიმაჩნია, ერთმანეთთან დაპირისპირებულ და დისკრედიტირებულ მოსამართლეებს ნებაყოფლობით დაეტოვებინათ თანამდებობები, რაც პარლამენტს საშუალებას მისცემდა სისტემური კრიზისის აღმოსაფხვრელად გონივრული გზა მოეძებნა.

სიხლის სამართლის პროცესის „საძვეყნოობის" შესახებ
(ჟურნალი „იურიდიული მეგზური", 2005, №1)

დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე, ადრე მოქმედ კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებით საქართველო სამართლებრივ სახელმწიფოდ გამოცხადდა. ვფიქრობ, 1995 წელს ახალი კონსტიტუციის მიღებისას საქართველოს მოქალაქეები გაცილებით გონივრულად მოვიქეცით, როდესაც სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრების „ურყევი ნება" უზენაესი კანონის პრეამბულაში გამოვხატეთ.

ორივე შემთხვევაში, ცივილიზებული სამყაროსთვის ნათელი გახდა, რომ ტოტალიტარიზმისაგან თავდაღწეული ქართული სახელმწიფო კანონის უზენაესობისა და ხელისუფლებათა დანაწილების პრინციპებთან ერთად, ძირითად პრიორიტეტად ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვას მიიჩნევდა. ამისათვის კი მეტად მნიშვნელოვანია მკაფიოდ განისაზღვროს ზოგადსაკაცობრიოდ აღიარებული დემოკრატიული ღირებულებების არსი, თუნდაც ისეთების, როგორებიც არის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, სამართლიანი სასამართლოს უფლება, რაშიც უდაოდ დიდად გვეხმარება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები.

მხედველობიდან არც ის გარემოება უნდა გამოგვრჩეს, რომ ცალკეული სახელმწიფოებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემაა უზრუნველყონ გონივრული ბალანსი თავისუფლებასა და წესრიგს შორის, სწორედ ადამიანის ძირითად უფლებათა გამოყენების სამართლებრივი ფარგლების დადგენისას, რათა რომელიმე ერთი ინსტიტუტის გონივრულად შეუზღუდაობამ, თუნდაც უნებლიეთ არ მიაყენოს მეორეს გამოუსწორებელი ზიანი. მაგალითად, სიტყვის თავისუფლება ზოგადსაკაცობრიო დემოკრატიული მონაპოვარია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მასობრივი საინფორმაციო საშუალებების სურვილი, პლურალისტურ საზოგადოებაში გააშუქონ ყველა საინტერესო მოვლენა, არცთუ იშვიათად, არა მარტო საჯარო ხელისუფლებას, არამედ კერძო პირსაც უქმნის გარკვეულ პრობლემებს. სადღეისოდ ე. წ. განვითარებად ქვეყნებშიც კი აღარავინ დავობს, რომ ინფორმაციის მიღებისა და სიტყვის თავისუფლებასაც ესაჭიროება გონივრული ფარგლების განსაზღვრა, ვინაიდან უპასუხისმგებლოდ გამოყენებამ შეიძლება ფეხქვეშ გათელოს ადამიანის ღირსება და საქმიანი რეპუტაცია.

ზემოაღნიშნულმა პრობლემამ სრული სიმწვავით იჩინა

თავი საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომი სამართლებრივი რეფორმის განხორციელების პროცესში, როდესაც განვიზრახეთ ადამიანის უფლებათა დაცვის ე. წ. ევროსტანდარტებზე გადავსულიყავით და სამართალწარმოების დემოკრატიზაციისათვის მიგვეღწია.

1997 წელს პრინციპულად ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებისას, რომლის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვაც არის დასახელებული, თითქოს შევეცადეთ მეგობარი ქვეყნებიდან გადმოგვეღო ყოველივე პროგრესული, მაგრამ, რიგ შემთხვევებში საზოგადოებისა და პოლიტიკოსთა დაბალი სამართლებრივი კულტურის, აგრეთვე, ნაუცბადეობისა და უპასუხისმგებლობის გამო, გარკვეული შეცდომებიც იქნა დაშვებული, რომელთა გამოსწორებას თანდათანობით ვცდილობთ.

ცნობილია, რომ სისხლის სამართლის პროცესის ძირითადი პრინციპები, როგორც კონტინენტური სამართლის სისტემისათვის საზოგადოდ მისაღები იდეები ფართოდ არის აღიარებული განვითარებული ქვეყნების მიერ და შესაბამისად გამტკიცებულია კანონმდებლობით. თუმცა, რიგ სახელმწიფოებში ვხვდებით თავისებურებებსაც არა მარტო სისხლის სამართლის პროცესის ორიგინალური პრინციპების შემოტანის მხრივ, არამედ ზოგიერთი საყოველთაოდ აღიარებული პრინციპის ადგილობრივი სპეციფიკით ინტერპრეტაციის კუთხით.

ფაქტია, ისიც რომ გარკვეული ხარვეზები არა მარტო სოციალისტური (ტოტალიტარული) სისტემიდან ახლახან თავდაღწეული სახელმწიფოების კანონმდებლობას გააჩნია, არამედ ევროპის ცენტრში მდებარე გერმანულსაც. ამის დასტურად, თუნდაც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განხილული საქმე ექსენი გერმანიის წინააღმდეგ იკმარებდა, რომელშიც სწორედ სისხლის სამართალწარმოების ღიაობა (საქვეყნოობა) იქცა განხილვის საგნად.

საგულისხმოა, როგორც უდანაშაულობის პრეზუმფციის, ასევე საქვეყნოობის პრინციპი გერმანულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ასახული არ არის. სისხლის სამართლის სამართალწარმოების საქვეყნოობის საკითხებს გერმანული სასამართლო წყობილების შესახებ ჯერ კიდევ 1877 წელს მიღებული კანონი არეგულირებს, რომლის თანახმად ფოტო, კინო და ვიდეოგადაღება, ისევე როგორც რადიო-ტელე ტრანსლაციები სასამართლო სხდომათა დარბაზებიდან დღემდე აკრძალულია და მხოლოდ მოსამართლის ნებართვის საფუძველზე ადაშვებული, ისიც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.[1]

[1] Уголовный процесс зарубежных стран, редактор В. Гуценко, Москва, 2002. стр.391.

ამ ვითარებაში, ერთის მხრივ მისასალმებელია, რომ ჯერ 1997 წლის 25 ნოემბერს, შემდეგ კი 1998 წლის 20 თებერვალს „მეოთხე მოსმენით" მიღებულ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში უდანაშაულობის პრეზუმფციაც და საქვეყნოობაც, ცალ-ცალკე პრინციპად არის მოცემული, მაგრამ ამავე დროს არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ ქართველმა კანონმდებელმა ევროპელებთან შედარებით პროცესის საქვეყნოობის ფარგლები არაგონივრულად გააფართოვა, რითაც, ფაქტობრივად, დაარღვია ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს შორის გონივრული ბალანსი და ბრალდებულთა პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფის შესაძლებლობა შექმნა.

სისხლის სამართლის პროცესის საქვეყნოობის მუხლი კოდექსში თავდაპირველად შემდეგი სახით იყო მოცემული:

მუხლი 16. სისხლის სამართლის პროცესის საქვეყნოობა

1. სისხლის სამართლის საქმის განხილვა ყველა სასამართლოში ღიაა.

2. სამართალწარმოების მონაწილეებსა და სხვა პირებს აქვთ პროცესის დროს სტენოგრაფირების, ხმის ჩაწერისა და სხვა ჩამწერი საშუალებების უხმაუროდ გამოყენების უფლება, თუ ისინი ხელს არ უშლიან სასამართლო განხილვას. პროცესის ფოტო, კინო, ვიდეოგადაღება და აუდიოჩაწერა, აგრეთვე რადიოთი და ტელევიზიით ტრანსლაციის აკრძალვა შეიძლება მხოლოდ სამართლოს მოტივირებული გადაწყვეტილებით.

3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შეუძლიათ თავისუფლად გააშუქონ სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და შედეგები, ოღონდ ამ დროს მათ უნდა იხელმძღვანელონ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპით.

4. საქმის განხილვისას სასამართლოს (მოსამართლის) განჩინებით (დადგენილებით) შეიძლება ჩატარდეს მთლიანად ან ნაწილობრივ დახურული სასამართლო სხდომა: სახელმწიფო, სამსახურებრივი ან კომერციული საიდუმლოების დაცვის მიზნით; პირადი მიმოწერის და სატელეგრაფო შეტყობინების სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნებისას, თუ ამის თანახმა არ არის პირი; ბრალდებულის სამართალში მიცემისას. მთლიანად ან ნაწილობრივ დახურულ სასამართლო სხდომაზე მხარის მოთხოვნით განიხილება, აგრეთვე, იმ პირის დანაშაულის საქმე, რომელსაც 16 წლის ასაკამდე არ მიუღწევია; სქესობრივი დანაშაულის და სხვა კატეგორიის საქმე, რათა არ გახმაურდეს ცნობები საქმეში მონაწილე პირის ინტიმური ცხოვრების შესახებ; როდესაც ამას მოითხოვს პროცესის მონაწილის და მისი ოჯახის წევრების ან ახლო

ნათესავების პირადი უსაფრთხოების დაცვა.

5. დახურულ სხდომაზე განიხილება აგრეთვე საგამოძიებო ორგანოების წარდგინება (შუამდგომლობა) სასამართლო ბრძანებისა და დადგენილების გამოთხოვის შესახებ.

6. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა წარმოებს ყველა საპროცესო წესის დაცვით.

7. სასამართლო განაჩენი, განჩინება, დადგენილება ყველა შემთხვევაში საქვეყნოდ ცხადდება.

8. მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების მასალების გახმაურების საკითხს წყვეტს გამომძიებელი ან პროკურორი უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დაცვით.

9. 16 წელს მიუღწეველი პირი სასამართლო სხდომის დარბაზში არ დაიშვება.

10. შეიარაღებული პირი სასამართლო სხდომის დარბაზში დაიშვება მხოლოდ სასამართლოს სხდომის თავმჯდომარის ნებართვით.[2]

სისხლის სამართლის პროცესის საქვეყნოობასთან დაკავშირებით, პირველ რიგში, ტერმინოლოგიურ პრობლემაზე უნდა შევჩერდეთ. სამწუხაროდ, ქართულ სამართალში აღნიშნულ საკითხზეც არ მიღწეულა სამართალმცოდნეთა თანხმობა. შედეგად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ერთის მხრივ ლაპარაკია „საქვეყნოობაზე", ამასთან აღნიშნული პრინციპის ამსახველი მუხლის პირველ ნაწილში ნათქვამია, რომ სისხლის სამართლის საქმის განხილვა ყველა სასამართლოში „ღიაა", რაც შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის პირველ პუნქტთან, რომლითაც „სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე". ამასთან, სსსკ-ის 477-ე მუხლი დასათაურებულია, როგორც „მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების დროს ბრალდებულის მიერ მიცემული ჩვენების საჯაროდ წაკითხვა" და მასში „საჯაროდ წაკითხვა" და „საჯაროდ მოსმენა" არის ნახსენები, ხოლო 2004 წლის 13 თებერვალს ე. წ. საპროცესო შეთანხმების შემოღებასთან დაკავშირებით 679-ე მუხლისათვის დამატებულ დებულებაში სასამართლოს „საჯარო სხდომა" არის ნახსენები, ანუ საკანონმდებლო ორგანო ერთი და იმავე ინსტიტუტის აღსანიშნავად სამ ტერმინს იყენებს „ღიაობას" „საქვეყნოობას" და „საჯაროობას" (ამასთან, „საჯაროობა: საჯარო ინტერესების ანუ ე. წ. ოფიციალურობის აღსანიშნავადაც გამოიყენება და მე-14 მუხლში დამოუკიდებელ პრინციპად არის მოცემული „საჯაროობა და დისპოზიციურობა.").

აზრთა სხვადასხვაობაა სამართალმცოდნეთა შორისაც: მაგალითად, ევროპის კონვენციის მე-6 მუხლის თარგმანში იურიდიულ

[2] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998, მუხლი 16

მეცნიერებათა დოქტორის, კონსტანტინე კორკელიას მიერ „საჯარო მოსმენაზე", „საჯარო განხილვაზე" და „საჯაროდ გამოცხადებაზეა" ლაპარაკი (იხ. კონსტანტინე კორკელია, ირინე ქურდაძე, „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით", თბილისი, 2004, გვ. 155, 164-165). ასევე „საჯაროობაა" გამოყენებული რეფორმირებული სასამართლოებისათვის 3000 ცალი ტირაჟით გამოცემულ კრებულში, რომლის პასუხისმგებელი რედაქტორია, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე ლადო ჭანტურია (იხ. საქართველოს კანონები ადამიანის უფლებათა შესახებ, საერთაშორისო აქტები და კონვენციები, თბილისი, 1998). იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წევრი, მინდია უგრეხელიძე ამავე მუხლის თარგმანში „საქვეყნოდ განხილვის" და „საქვეყნოდ გამოცხადების" გამოყენებას ამჯობინებს (იხ. ევა გოცირიძე, მინდია უგრეხელიძე, თეა წულუკიანი, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, თბილისი 2004, გვ.18), ხოლო იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის, ავთანდილ დემეტრაშვილის პასუხისმგებლობით გამოცემულ ტექსტში, რომელიც ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დირექტორატმა დააფინანსა (მთარგმნელი ლევან ბოძაშვილი) მე-6 მუხლში „ღია მოსმენაც" გვხვდება და „საჯაროდ გამოცხადებაც" (იხ. ევროპის საბჭო და ადამიანის უფლებების დაცვა, თბილისი, 1998 წ. გვ. 46).

ამდენად, თუ გავითვალისწინებთ, რომ ტერმინების შემოღებაც და მათი შინაარსის დადგენაც იურისტების საქმეა, როგორც ჩანს, მომავალი საპროცესო კოდექსის ავტორებს პირველ რიგში აღნიშნულ საკითხზე მართებთ პოზიციების შეთანხმება. არსებითი მნიშვნელობა არ აქვს საბოლოო ჯამში „ღიაობაზე" შეჩერდებიან, თუ „საქვეყნოობაზე", მაგრამ აუცილებელი იქნება კანონმდებლობასა და სპეციალურ ლიტერატურაში ერთი და იგივე ტერმინი იყოს გამოყენებული. (მეც ტერმინ „საქვეყნოობას" ვანიჭებ უპირატესობას, რომელიც საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის დასათაურებაში გამოიყენება, ხოლო „საჯაროობა" უმჯობესი იქნება საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლში მოცემული შინაარსით იყოს გამოყენებული).

ამასთან, სისხლის სამართლის პროცესის საქვეყნოობაზე მსჯელობისას ვერაფრით ავუვლით გვერდს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს, ვინაიდან საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლში, რომელიც საქვეყნოობასთან დაკავშირებულ დებულებებს ასახავს ორჯერ არის ნახსენები უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი

და მისი განუხრელი დაცვა მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლებთან ერთად გამომძიებლებსა და პროკურორებს ევალებათ (ნაწილი 3 და 8). ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნული პრინციპის არსისა და მისგან გამომდინარე მოთხოვნების მკაფიო განმარტებას.

ვინაიდან უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი დღევანდელი განხილვის საგანს არ შეადგენს, მხოლოდ ერთს ავღნიშნავ. მისასალმებელია, რომ საქართველოს კონსტიტუციაში და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი ასახულია, მაგრამ, სამწუხაროდ, ორივეგან ფორმულირებების გარკვეული ნაწილი მცდარი სახით არის მოცემული, რაც განაპირობებს აღნიშნული პრინციპის არასწორ გაგებას და შესაბამისად მრავალრიცხოვან დარღვევებს, როგორც მასობრივი საინფორმაციო საშუალებების, ასევე ხელისუფლებისა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან.

ამ შემთხვევაში, უზუსტო სამართლებრივი ნორმებისათვის პასუხისმგებლობა პირველ რიგში იმ პოლიტიკოსებს უნდა დაეკისროთ, რომლებიც, რიგ შემთხვევებში ქართველ მეცნიერთა თვალსაზრისის იგნორირებით ცდილობენ საკანონმდებლო პროცესის წარმართვას. თუმცა, დარწმუნებული ვარ, ადგილობრივ სპეციალისტებს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის არსის დადგენა-დაზუსტებაში შეუძლიათ ე. წ. მეგობარ ქვეყნებსაც გაუწიონ ქმედითი დახმარება.

ყოველ შემთხვევაში, „საქვეყნოობის" ინსტიტუტის შინაარსში უკეთ გასარკვევად უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის არსი და მისგან გამომდინარე მოთხოვნები საქართველოს კონსტიტუციის მე-40 და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლებიდან გამომდინარე, შესაძლებელია შემდეგი რედაქციით ჩამოვაყალიბოთ:

ადამიანი (ეჭვმიტანილი, დაკავებული, პოლიციაში მიყვანილი თუ წარდგენილი, დაპატიმრებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი, ბრალდებული, განსასჯელი, მსჯავრდებული) ითვლება უდანაშაულოდ, სანამ მის მიერ დანაშაულის ჩადენა დადგინდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული და ამოქმედებული განაჩენით. ამასთან, არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, ვინაიდან ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს (პროკურორს). შესაბამისად, აქვს დუმილის უფლება, ხოლო ყოველგვარი ეჭვი (გარემოებები, რომელთა უტყუარობა, მცდელობის მიუხედავად, ვერ დადგინდა) წყდება მის სასარგებლოდ. მხოლოდ აღიარებაც, თუ არ არის მოპოვე-

ბული სხვა უტყუარი მტკიცებულებები არ არის საკმარისი მისი დამნაშავედ მიჩნევისთვის.

ვინაიდან სსსკ-ის ზემოთ მოყვანილი მე-16 მუხლი, რომელშიც განსაზღვრული იყო სისხლის სამართალწარმოების საქვეყნოობის (ღიაობის) ფარგლები და საქმის განხილვის დახურვის საფუძვლები, არ შეესაბამებოდა ევროპის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნას, რომლის თანახმად საზოგადოება შეიძლება არ დაიშვას საქმის განხილვაზე თუ ამას მოითხოვს „მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვის ინტერესები" (მე-4 ნაწილში მხოლოდ საქმეში მონაწილე პირის ინტიმური ცხოვრების შესახებ ცნებების გაუხმაურებლობაზე იყო მითითება), მოგვიანებით, კოდექსში გაკეთდა სათანადო დამატება, თუმცა განვლილი წლების განმავლობაში არაერთგზის ჰქონდა ადგილი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების ხელყოფის ფაქტებს. მაგ., უზენაესმა სასამართლომ 2002 წლის ბოლოს განიხილა 18 წლის ახალგაზრდის გ. შ-ს საქმე, რომელსაც ბრალად ედებოდა თანატოლის განზრახ მკლელობა დამამძიმებელ გარემოებაში (მეგობარი გოგონას შეურაცხყოფის ნიადაგზე). ადვოკატის (დავით კორკოტაშვილის) მიერ დაყენებულ იქნა შუამდგომლობა ევროკონვეციის მე-6 მუხლის საფუძველზე პროცესის დახურვის თაობაზე, ვინაიდან შესაძლებელი იყო გაჟღერებულიყო განსასჯელისა და მისი მეგობარი გოგონას პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული დეტალები, რაც არ დააკმაყოფილა სასამართლომ იმ არგუმენტის მოშველიებით, რომ თითქოს ინტიმური ცხოვრების დეტალების გახმაურებას ადგილი არ ექნებოდა (რამაც უდიდესი მორალური ზიანი (სულიერი ტრავმა) მიაყენა მოწმის სახით სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წინაშე გამოსულ ინციდენტის მონაწილე ქალიშვილს, რომელსაც საქვეყნოდ მოუწია პროკურორისა და დაზარალებული მხარის ადვოკატის მრავალ, პირადი ცხოვრების ამსახველ უხერხულ კითხვაზე პასუხის გაცემა და ისიც ფოტო-ვიდეო და ტელეკამერების თვალწინ).

მოგვიანებით, განსახილავი მუხლის მე-4 ნაწილმა კიდევ ერთი ცვლილება განიცადა, რომლის ძალით მხარეს მიეცა უფლება მოეთხოვა დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა, თუ საქმე არასრულწლოვანს ანუ 18-წელს მიუღწეველ პირს შეეხებოდა. ამასთან, მე-5 ნაწილმაც განიცადა ცვლილება და დახურულ სხდომაზე განსახილველ საკითხთა ნუსხას დაემატა სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების გამოყენების საკითხი, თუმცა ამას გაუმჯობესებად ვერ მივიჩნევთ, რაზედაც ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

განსაკუთრებით ყურადღებას შევაჩერებ განსახილველი მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებზე, რომლებიც, ჩემი აზრით, არაგონივრული შინაარსით არიან მოცემულნი და სწორედ იმ ვითარების მკაფიო

მაგალითს წარმოადგენენ, როდესაც საჯარო თუ საზოგადოებრივ ინტერესს ერთმნიშვნელოვნად შეეწირა ადამიანის უფლებები. იმ დროს, როდესაც რუსეთში ფოტო-კინო-ვიდეო ტექნიკის სასამართლო დარბაზში დაშვების საკითხს სასამართლო წყვეტს,[3] ხოლო გერმანიაში (ისევე როგორც აშშ-ში, საფრანგეთსა და ინგლისში) გადაღებები სასამართლოში საქმის განხილვისას საერთოდ არის აკრძალული, ჩვენმა კანონმდებელმა „საქვეყნოობის" ფარგლების მაქსიმალურად გაფართოება განიზრახა. თანაც, იმ ვითარებაში, როდესაც სასამართლოების დამოუკიდებლობის ხარისხი ძალზე დაბალია და სადღეისოდ არც საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები გამოირჩევიან მაღალი კვალიფიკაციით, ხოლო უფლებადამცავები ქმედებათა ეფექტურობით.

მივიჩნევ, რომ აღნიშნული „ნოვაციის" ნაუცბადევმა და გაუაზრებელმა დანერგვამ განვლილი პერიოდის განმავლობაში არაერთგზის გამოიწვია ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვა, უდანაშაულობის პრეზუმფციის იგნორირება და არცთუ იშვიათად მასობრივი საინფორმაციო საშუალებები, თუნდაც უნებურად თავად გვევლინებოდნენ ხელისუფლების მხრიდან ადამიანთა უფლებების ხელყოფის ხელშემწყობებად და ლახავდნენ იმ ზღვარს, რომლითაც კანონი სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას ზეწოლისგან იცავს (საქართველოს კონსტიტუ-ციასა და ორგანულ კანონში საერთო სასამართლოების შესახებ მოცემულია ნორმა, რომლის ძალითაც „მოსამართლეზე რაიმე ზემოქმედება ან მის საქმიანობაში ჩარევა გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით").

ვინაიდან, სისხლის სამართლის პროცესი მეტად სპეციფიკურ სამართლებ-რივ ურთიერთობებს არეგულირებს და სახელმწიფოს მხრიდან სისხლის სამართლებრივ დევნაში ჩაბმულ ადამიანს ევროპული კონვენციით აღიარებული უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი იცავს დაუშვებლად მიმაჩნია (მითუმეტეს დღევანდელ საქართველოში) „საქვეყნოობის" ისეთი შეუზღუდაობა, როგორც ეს დღეს მოქმედ კოდექსშია.

თუ სამოქალაქო, სამეწარმეო და ადმინისტრაციული საქმეების სასამარ-თლოში განხილვისას სხდომათა დარბაზში ტელევიზიის დაშვება სადავოდ შეიძლება არ გაგვეხადა (თუმცა, მიზანშეწონილად ვთვლი, მოდავე მხარეთა თანხმობა ამ შემთხვევაშიც ყოფილიყო გათვალისწინებული), რაც შეეხება სისხლის სამართალწარმოებას, ბრალდებულის (განსასჯელის) პიროვნების იგნორირებას მიუღებლად მივიჩნევ. დღევანდელ ვითარებაში, გამართლებული იქნებოდა, სისხლის სამართლის საქმეებზე საერთოდ აკრძალულიყო ფოტო-

[3] Коментарий к УПК РСФСР, Москва, ЮРАЙТ. 1999, გვ. 42

ვიდეოგადაღება და ტელეტრანსლაცია სასამართლოს სხდომის დარბაზიდან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფარული თუ ღია გადაღება წარმოებს სასამართლო ხელისუფლების ინტერესებში ან სხდომათა დარბაზში წესრიგის უზრუნველსაყოფად. ისიც მხოლოდ საქმის განმხილველი მოსამართლის გადაწყვეტილებით, მისი მითითების შესაბამისად და სპეციალური წესების დაცვით უნდა წარმოებდეს (ფირები დაერთვება საქმეს და გამოქვეყნდება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით). ვიდეო და ტელეკამერები მოსამართლეს კი არ უნდა აკონტროლებდნენ, არამედ პირიქით, საჭიროების შემთხვევაში, თავად მოსამართლეს უნდა შეეძლოს მათი გამოყენება პროცესის კონტროლისათვის.

აღსანიშნავია, რომ საპროცესო კოდექსის თანახმად „სისხლის სამართლის საქმის მონაცემების გაუმჟღავნებლობის ვალდებულება არ შეიძლება დაეკისროთ ეჭვმიტანილსა და ბრალდებულს" (მუხლი 274.2). ამასთანავე, არც განსასჯელს, ანუ იგივე ბრალდებულს, რომელიც მიცემულია სამართალში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, არავინ უშლის საკუთარი პოზიციის საზოგადოებისათვის გაცნობას და განცხადების გაკეთებას კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, თუკი მის მიმართ აღმკვეთ ღონისძიებად დაპატიმრება არ იყო გამოყენებული. თუ განსასჯელი სასამართლოში საქმის განხილვის სტადიაზე საზოგადოებისაგან იზოლირებულია. მისაღებად მიმაჩნია, სათანადო შუამდგომლობის საფუძველზე მოსამართლეს უფლება ჰქონდეს, მისცეს განსასჯელს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით განცხადების გაკეთების შესაძლებლობა და გარკვეული დროით დაუშვას ჟურნალისტები, მათ შორის, ტელევიზია სასამართლო სხდომის დარბაზსა ან საგამოძიებო იზოლატორში.

იმ ვითარების გათვალისწინებით, რომ კანონის უზენაესობის პრინციპის დამკვიდრება და ჭეშმარიტად დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი სასამართლო ხელისუფლების ფორმირება მომავლის საქმეა, ხოლო შეჯიბრებითობის პრინციპი და ბრალდების მხარესთან უფლებრივად გათანაბრებული ადვოკატურა საქართველოში მხოლოდ ახლა იდგამს ფეხს, გამართლებულად მივიჩნევ, რეფორმების საწყის ეტაპებზე მაინც შეგვეკავებინა თავი ფოტო (ვიდეო, ტელე) კამერების დაშვებისაგან უშუალოდ სასამართლო სხდომათა დარბაზში და სათანადო ცვლილებები შეგვეტანა ახალ საპროცესო კოდექსში.

თუ იმავე გერმანულ ან ამერიკულ გამოცდილებას გავეცნობით, დავრწმუნდებით, რომ სისხლის სამართალწარმოების საქვეყნოობის ფარგლების განსაზღვრის საკითხი არც ისე მარტივად გადასაწყვეტია,

როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს და უთუოდ მოითხოვს დამატებით განსჯას უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან.

ამასთან, ხაზი იმ გარემოებასაც უნდა გაესვას, რომ განსახილველი მუხლის მე-3 და მე-8 ნაწილებში სრულიად ზედმეტად მიმაჩნია მასობრივი საინფორმაციო საშუალებების, გამომძიებლებისა და პროკურორების დავალდებულება იხელმძღვანელონ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპით, ვინაიდან კონსტიტუციის მე-40 მუხლის მოთხოვნა, რომ სახელმწიფოს მიერ „ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება" მის მიმართ გამოტანილი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ამაზე სპეციალურად მინიშნების გარეშე უნდა ვრცელდებოდეს, როგორც ჟურნალისტებზე, ასევე პროცესის მონაწილეებზე (წინააღმდეგ შემთხვევაში, სისხლის სამართლის პროცესის პრინციპების განუხრელად დაცვის ვალდებულებაზე საპროცესო კოდექსის ყოველ მუხლში უნდა იყოს მინიშნება).

„საქვეყნოობის" არაგონივრულად მოწესრიგების გამო ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების მოძიება მრავლად შეიძლება. ფართოდ გახმაურებული საქმეებიდან შეიძლებოდა მაგალითად მოგვეყვანა ჟურნალისტ გიორგი სანაიას მკვლელობაში ბრალდებულ გ. ხ-ს საქმის სასამართლო სხდომებიდან მიმდინარე პირდაპირი ტელეტრანსლაციები, როდესაც ამის ინიციატორად თავად მოსამართლე მოგვევლინა, ხოლო პროცესზე მოწმეთა თუ განსასჯელის პირით გაჟღერებულმა პირადი თუ ინტიმური ცხოვრების ამსახველმა ინფორმაციამ გამოუსწორებელი მორალური ზიანი მიაყენა არა მარტო დაღუპულის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს, არამედ შეურაცხყო თავად გარდაცვლილის სახელი და დამოუკიდებელ ჟურნალისტთა კორპუსსაც შეულახა რეპუტაცია.

აღსანიშნავია, აგრეთვე 1991-1992 წლის მოვლენათა შედეგად ძალისმიერი გზით დამხობილი ხელისუფლების წევრის გ. ა-ს შემთხვევა, რომელსაც 4 წლის განმავლობაში მედიის საშუალებები გისოსებში მჯდომს დამნაშავედ მოიხსენიებდნენ, თუმცა შემდგომ უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ, ფაქტობრივად ყველა ბრალდება მოუხსნა. დღეს აღნიშნულ პიროვნებას ხელისუფლებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოსტი უკავია.

გაუმართლებლად მიმაჩნია, აგერთვე მე-5 ნაწილში მოცემული დებულება, რომლის ძალით საგამოძიებო ორგანოების წარდგინება (შუამდგომლობა) და სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების გამოყენების საკითხი დახურულ სხდომაზე განიხილება. დღევანდელ ვითარებაში გაცილებით სამართლიანი იქნებოდა მხოლოდ ფოტო-ტელე-ვიდეო აპარატურის დაშვება აგვეკრძალა, ხოლო სხდო-

მები „საქვეყნო" გაგვეხადა, ვინაიდან საკმაოდ ხშირად მოსამართლეები პროკურატურის უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი შუამდგომლობებს, ფაქტობრივად, „დახურულ რეჟიმში" აკმაყოფილებენ (ამის მკაფიო დასტურია თუნდაც ახლახანს თსუ-ის ახალციხის ფილიალის რექტორისათვის ან თანამდებობიდან დიდი ხნის წინ გადაყენებული, 80 წელს მიტანებული ი. ა-სა და შ. მ-თვის აღმკვეთი ღონისძიებების სახით 3 თვიანი პატიმრობის შეფარდება).

ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას ჩვენთან სისხლის სამართალწარმოება შინაარსით მართლაც „საჯაროობის" პრინციპზეა დაფუძნებული და არა „საქვეყნოობაზე", ანუ სახელმწიფოს ინტერესებს ენიჭება პრიორიტეტი და არა ადამიანის უფლებების დაცვას. შედეგად, იქ სადაც ხელისუფლების დაინტერესება იკვეთება სასამართლო დარბაზში დაშვება იზღუდება, ხოლო როდესაც ადამიანის უფლებებს ხელყოფის საფრთხე ემუქრება სასამართლოს სხდომის დარბაზი ფართოდ იღება და ფოტო-ვიდეო-ტელეაპარატურის შეტანაც პრობლემას არ წარმოადგენს. ანუ, სამწუხაროდ არც ერთ შემთხვევაში არ არის გონივრული ბალანსი დაცული.

აუცილებლად მივიჩნევ მე-7 ნაწილმაც განიცადოს არსებითი კორექტირება. მას უნდა დაემატოს სიტყვები, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება საქვეყნოდ მხოლოდ სასამართლო სხდომის დარბაზში უნდა გამოცხადდეს. დღევანდელი ფორმულირება საშუალებას აძლევს მოსამართლეებს სხდომები მცირე მოცულობის ოთახებში ჩაატარონ და გადაწყვეტილებებიც იქვე გამოაცხადონ, რიგ შემთხვევებში კი, დაინტერესებული პირების ნაცვლად სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებით შეავსონ დარბაზი. კურიოზულ შემთხვევასთან გვქონდა საქმე, როდესაც მოსამართლემ კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის საქმეზე საპროცესო ვადის გაშვების შიშით განჩინება ციხის დერეფანში, პროკურორის და ციხის მუშაკის თანდასწრებით წაიკითხა.

განსაკუთრებით მიუღებელია მსგავსი „დახურული სხდომების" გამართვა იმ ვითარებაში, როდესაც დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე განხორციელებული სამართლებრივი რეფორმების ხარვეზების გამო სასამართლო და პროკურატურა, ფაქტობრივად, ისევ ტანდემში მოქმედებენ და საჯარო ხელისუფლების ინტერესებს იცავენ.

ამ შემთხვევაში, იგივე გერმანულ გამოცდილებაზე აპელირება არ იქნებოდა მართებული, ვინაიდან ამ სახელმწიფოში სასამართლო დამოუკიდებელ ხელისუფლებად საუკუნეების განმავლობაში, ამასთან ევოლუციური გზით ყალიბდებოდა და მის მიმართ გაცილებით დიდია საზოგადოების მხრიდან ნდობა, ვიდრე ეს ჩვენშია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად

მივიჩნევ, განსახილველი მუხლის ბაზაზე, სისხლის სამართლის პროცესში საქვეყნოობის პრინციპის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების სისხლის სამართალწარმოების პრაქტიკა და ფოტო-კინო-ვიდეო ტექნიკა, ჯერჯერობით მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში დაგვეშვა სასამართლო სხდომათა დარბაზებში, კერძოდ, როდესაც საქმე გვექნებოდა ტერორიზმთან, ნარკობიზნესთან, ორგანიზებულ დამნაშავეობასა და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციასთან ან საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის და კორუფციის შესახებ კანონში ჩამოთვლილი თანამდებობის პირების მიერ ჩადენილ დანაშაულებთან.

წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ სისხლის სამართალწარმოების გადემოკრატიულობის მცდელობისას ფოტო-კინო-ვიდეო ტექნიკისათვის ანუ, ფაქტობრივად, ჩვენი ნახევრად თავისუფალი თუ ნაწილობრივ დამოუკიდებელი მედიისათვის სასამართლო დარბაზის კარის ფართოდ გაღებისას განსასჯელს (სავარაუდო დამნაშავეს, რომელსაც სახელმწიფო განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ერთმნიშვნელოვნად უდანაშაულოდ თვლის), სახეში ისე ღონივრად მივარტყით, ასეთ „საქვეყნოობას, შეიძლება უმკაცრესი სასჯელი ერჩივნა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ყველა შემთხვევაში (მათ შორის დახურულ პროცესებზეც), გამორიცხული უნდა იყოს განსასჯელთა მიმართ აშკარად არაადამიანური მოპყრობა, რაც გამოიხატება გალიებში მოთავსებაში (მითუმეტეს, როდესაც კონსტიტუციის თანახმად, სასჯელიც კი არ უნდა იყოს არაჰუმანური). აუცილებლობის შემთხვევაში, მათი იზოლირებისათვის შეიძლებოდა ტყვიაგაუმტარი, ორგანული მინისაგან დამზადებული ტიხრები გამოგვეყენებინა, რაც პროცესის მონაწილეთა უსაფრთხოებასთან ერთად თავად განსასჯელთა პატივსა და ღირსებას უკეთ დაიცავდა და გაცილებით ჰუმანური (ადამიანური) იქნებოდა.

გამოვთქვამ იმედს, რომ ყოველივე ზემოთქმული გათვალისწინებული იქნება დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სრულყოფისას.

კომენტარი:

1999 წელს ამოქმედებულმა „რევოლუციურმა“ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა სასამართლო სხდომები სრულიად „გამჭვირვალე“ გახადა, მაგრამ სულ 10 წელი იარსება. მას შემდეგ, რაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ პოზიციები გაიმყარა, პარლამენტმა

2009 წელს პროკურატურის ინტერესებზე აშკარად მორგებული სრულიად ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მიიღო, რომლის ავტორებმა „საქვეყნოობის“ ნაცვლად ტერმინ „საჯაროობის“ გამოყენება ამჯობინეს, „ნაციონალურ ინტერესებში“ სასამართლოს შენობასთან ერთად ფოტო და ვიდეოგადაღება სასამართლოს ეზოშიც („სასამართლოშიც“) აკრძალეს და შესაბამისი მუხლი შემდეგი სახით ჩამოაყალიბეს:

მუხლი 10. სასამართლო სხდომის საჯაროობა და ზეპირობა

1. სასამართლო სხდომა, როგორც წესი, ტარდება საჯაროდ და ზეპირად. სხდომის დახურვა დასაშვებია მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ.

3. სასამართლოში, ასევე სასამართლო სხდომის დარბაზში სისხლის სამართლის საქმის განხილვის ფოტო, კინო და ვიდეოგადაღება და ტრანსლირება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამას ახორციელებს სასამართლო ან სასამართლოს მიერ უფლებამოსილი პირი. სასამართლო უფლებამოსილია გაავრცელოს მის ხელთ არსებული სასამართლო პროცესის ფოტო, კინო და ვიდეოგადაღების მასალები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონს. დასაშვებია სასამართლო სხდომის სტენოგრაფირება და აუდიოჩაწერა სასამართლოს მიერ დადგენილი წესით. ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს სასამართლოს გადაწყვეტილებით.

ამ საკანონმდებლო „ნოვაციის“ საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2012 წლის 19 ივნისის N32 ბრძანებით „სასამართლოს შენობაში (სასამართლოს ეზო, სასამართლოს შენობა) აიკრძალა ფოტო, კინო, ვიდეოაპარატურის, მობილური ტელეფონების და ჩაწერის ფუნქციის მქონე სხვა ტექნიკური საშუალებების შეტანა“. ამ ბრძანების (ფაქტობრივად, „ხუშტურის“...) ტექსტი სასამართლოში ყველას ურიგდებოდა, ხოლო სასამართლოს ეზოში განთავსდა ფოტო და ვიდეოგადაღების ამკრძალავი სპეციალური ნიშნები...

გარდა იმისა, რომ საპროცესო კოდექსებში ე. წ. გამონაკლისიანი („როგორც წესი...“) ნორმები სახელმწიფოს (სამართლდამცავი ორგანოების) ინტერესებში არცთუ იშვიათად გამოიყენება სასამართლო სხდომების დასახურად, როგორც ჩანს, ახალმა ხელისუფლებამ „საჯაროობის“ ფარგლების მაქსიმალური გაფართოება განიზრახა,

რისთვისაც 2013 წლის დასაწყისში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლიდან საერთოდ ამოიღო მე-3 ნაწილი და დაამატა ნორმა, რომლითაც „სასამართლოს შენობაში, ასევე სასამართლო სხდომის დარბაზში სისხლის სამართლის საქმის განხილვის ფოტო, კინო, ვიდეოგადაღება, სტენოგრაფირება და აუდიოჩაწერა ხორციელდება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით“, ხოლო აღნიშნული კანონის მე-16 მუხლი შემდეგი სახით იქნა ჩამოყალიბებული:

მუხლი 16. საქმის განხილვის საქვეყნოობა

1. სასამართლოში ყველა საქმის განხილვა ღიაა.

2. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3. სასამართლო გადაწყვეტილება ყველა შემთხვევაში ცხადდება საჯაროდ.

4. (ამოღებულია).

5. სასამართლოში, აგრეთვე სასამართლო სხდომის დარბაზში საქმის განხილვის ფოტო, კინო, ვიდეოგადაღება ხორციელდება ამ კანონით დადგენილი წესით.

აღნიშნულ წესი კი „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-16 პრიმა მუხლში არის მოცემული და მრავალ სადავო დებულებას შეიცავს, რომელზეც ამჯერად არ შევჩერდები. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ, მართალია, კანონმდებელი, როგორც ჩანს, დღემდე ვერ ჩამოყალიბებულა ტერმინების „ღიაობა“, „საჯაროობა“ და „საქვეყნოობასთან“ მიმართებით, თუმცა მასობ-რივი ინფორმაციის საშუალებებს სასამართლო პროცესის ფოტოგადაღების, კინო და ვიდეოჩაწერის, ფაქტობრივად, შეუზღუდავად განხორციელების უფლებამოსილება მიანიჭა, რითაც „მედია-ექსპერტებს“ კი ასიამოვნა, მაგრამ აშკარად ხელი შეუწყო სისხლის სამართალწარმოებაში ადამიანის უფლებების ხელყოფის ფაქტების ზრდას.

თუ რა გამოუსწორებელი შედეგი შეიძლება მოჰყვეს სისხლის სამართლის პროცესის „საქვეყნოობის“ („საჯაროობის“, „ღიაობის“, „გამჭვირვალობის“, „ტრანსპარენტულობის“) გონივრულ ფარგლებში შეუზღუდაობას ნათლად გამოჩნდა კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე სულხან მოლაშვილის მიმართ „ვარდების რევო-ლუციის“ შემდეგ განხორციელებული თვითნებობისა და ძალადობის შემთხვევაში, როდესაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მას საკუთარი პარტიული ბელადის კორუფციაში მხილება არ აპატია და

ღირსეული ქართველი კაცი სიმართლის თქმისთვის სასამართლოს დარბაზში რკინის გალიაში ჩასმული აჩვენა და ე. წ. დამოუკიდებელი ტელევიზიებით დამნაშავედ (კორუმპირებულად და ნარკომანად) წარუდგინა საზოგადოებას, ხოლო აღკვეთის ღონისძიების თაობაზე განჩინება ციხის დერეფანში წააკითხვინა „რეფორმირებულ“ მოსამართლეს... მართალია, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სულხან მოლაშვილის მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევები დაადასტურა, მაგრამ სახელმწიფოს მიერ გადახდილი ფულადი კომპენსაცია ვერასდროს უზრუნველყოფს მორალურად განადგურებული ადამიანის სახელისა და ღირსების სრულ რეაბილიტაციას.

ამდენად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ამჟამადაც მრავალი სადავო „ნოვაციაა“, რის გამოც მასში დაუყოვნებლივ უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილება-დამატებები და თუნდაც იუსტიციის სამინისტროს ან „სამოქალაქო სექტორის“ ინიციატივით დაიწყოს მუშაობა საპროცესო კოდექსის ახალი რედაქციის პროექტის მოსამზადებლად, რომელიც მომავალში მაინც უზრუნველყოფს სისხლის სამართალწარმოებაში მონაწილე მხარეთა რეალურ თანასწორობას და ეფექტურად დაიცავს ადამიანის უფლებებს, რაც საზოგადოებაში სასამართლო ხელისუფლებისადმი ნდობასაც გააჩენდა.

ყველა შემთხვევაში, თუ 2016 წლის 8 ოქტომბერს არჩეულმა პარლამენტმა, პირველ რიგში, საერთო სასამართლოების საქმიანობისა და სისხლის სამართალწარმოების მარეგულირებელი სამართლის ნორმები თუ არ მოაწესრიგა და საკანონმდებლო გარანტიებით ვერ უზრუნველყო სასამართლოების რეალური დამოუკიდებლობა და ადამიანის უფლებათა ეფექტური დაცვა, მიუხედავად ევროპაში ინტეგრაციის სურვილისა, ფაქტობრივად, ისეთივე ვითარება გვექნება, როგორიც მეზობელ რუსეთშია. საქართველოს პარლამენტის მიერ 1997 წლის 25 ნოემბერს მიღებული და 1999 წლის 15 მაისიდან 2010 წლის 1 ოქტომბრამდე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ერთ-ერთმა ავტორმა, ცნობილმა რუსმა მეცნიერმა იგორ პეტრუხინმა ჯერ კიდევ 1993 წელს შენიშნა, რომ საკანონმდებო ორგანო („დუმა“) წინასაარჩევნო დაპირებებს („რუსულ ოცნებებს“...) არ ასრულებდა და თანამემამულე „რეფორმატორები“ გააფრთხილა: „ვაღიარეთ რა ჰუმანური მიზნები, უპირველესად კი ადამიანის უფლებების დაცვა, მიღებული კანონებით შევქმნით სამართლებრივი გზა ტოტალიტარიზმის ეპოქის მეთოდების გამოყენებისათვის. სამწუხაროდ, ვრწმუნდებით, რომ ვცილდებით სამართლებრივი სახელმწიფოს იდეალს“.

განაჩენის ხელმისაწვდომობის პრობლემა საქართველოში
(„სამხრეთ კავკასიის იურიდიული ჟურნალი“, 2015, №6)

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს კანონმდებლობა სამართალწარმოების ღია (საჯარო, საქვეყნო) პროცედურას აწესებს, საქართველოს სასამართლოები განაჩენებს სრული სახით მხოლოდ პროცესის მონაწილეებს აცნობენ. თაღლითობის ბრალდებით დაკავებული სამი პირიდან ორს თბილისის საქალაქო სასამართლომ 3 წლის წინ განაჩენი გამოუტანა, ხოლო მესამის საქმე ცალკე გამოყო და დღემდე განხილვის სტადიაშია. მიუხედავად ამისა, სასამართლო არა მარტო დაინტერესებულ პირებს, არამედ თავად ამ ბრალდებულს არ აცნობს განაჩენის სრულ ვერსიას, რისთვისაც სამივე ინსტანციის სასამართლოებისთვის დასჭირდა მიმართვა, თუმცა მისი ადმინისტრაციული სარჩელები სრულიად უსაფუძვლოდ (ადამიანის უფლებათა ევროკონვენციის მოთხოვნათა იგნორირებით) არ დაკმაყოფილდა.

I. ინფორმაციის მიღების თავისუფლებისა და სამართალწარმოების ღიაობის (საჯაროობის) ბალანსის პრობლემა

კონსტიტუციის ზოგადი დებულებების თავში მოცემული ნორმების თანახმად საქართველო „ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ღირებულებებს და მათ უშუალოდ მოქმედ სამართლად აღიარებს. ამასთან, საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ ის არ ეწინააღმდეგება ჩვენს ძირითად კანონს, უპირატესი იურიდიული ძალა აქვს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.[1] ამდენად, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, ევროპულ კონვენციასა თუ საერთაშორისო პაქტს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ კონსტიტუციითვე ენიჭებათ უმაღლესი იურიდიული სტატუსი, ხოლო ევროსაბჭოში გაწევრიანებით ხელისუფლებამ (ქვეყანამ) აიღო ვალდებულება ეროვნული კანონმდებლობა შესაბამისობაში მოიყვანოს საერთაშორისო თუ ევროსტანდარტებთან და უზრუნველყოს ყოველი ადამიანის უფლებათა-თავისუფლებათა ეფექტური დაცვა.

ამისათვის კი, მეტად მნიშვნელოვანია სრულიად მკაფიოდ განისაზღვროს ზოგადსაკაცობრიოდ აღიარებული დემოკრატიული ფასეულობების არსი, თუნდაც ისეთების, როგორებიც არის: სამართლიანი სასამართლოს უფლება, პირადი ცხოვრების

[1] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლები 6 და 7

ხელშეუხებლობა, უდანაშაულობის პრეზუმფცია, გამოხატვის თავისუფლება და სხვა, რაშიც უდავოდ დიდად გვეხმარება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები.

ამასთან, მხედველობიდან არც ის გარემოება უნდა გამოგვრჩეს, რომ ცალკეული სახელმწიფოებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემაა უზრუნველყონ გონივრული ბალანსი თავისუფლებასა და წესრიგს შორის, სწორედ ადამიანის ძირითად უფლებათა შიდასახელმწიფოებრივი სამართალწარმოების პრაქტიკაში გამოყენების სამართლებრივი ფარგლების დადგენისას, რათა რომელიმე ერთი ინსტიტუტის გონივრულად შეუზღუდაობამ, თუნდაც უნებლიეთ არ მიაყენოს მეორეს გამოუსწორებელი ზიანი. მაგ., სიტყვის თავისუფლება ზოგადასაკაცობრიო დემოკრატიული ფასეულობაა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მასობრივი საინფორმაციო საშუალებების სურვილი, ისარგებლონ საქმის განხილვის ღიაობით (საქვეყნოობით, საჯაროობით) და პლურალისტურ საზოგადოებაში გააშუქონ ყველა საინტერესო მოვლენა, ბუნებრივია, არცთუ იშვიათად საჯარო ხელისუფლებასაც და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ პირებსაც უქმნის გარკვეულ პრობლემებს.

იგივე შეიძლება ითქვას ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლებაზე. ტოტალიტარული სოციალისტური სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი სრული ინფორმაციული ვაკუუმიდან თავდაღწეულებმა, თითქოს სისხლის სამართალწარმოების პროცედურის მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, შეიძლება იმდენად არაგონივრულად გავაფართოოთ საქვეყნოობის ფარგლები, რომ ბრალდებულს ღირსებაც შეელახოს და საქმიანი რეპუტაციაც (მაგ., როდესაც დაკავება ტელეკამერების წინ ხდება). მეორე მხრივ, სამართალწარმოების ღიაობის ან ინფორმაციის მიღების თავისუფლების არაგონივრულად შეზღუდვამ, შეიძლება არსებითად ხელყოს ადამიანის ძირითადი უფლებები და კანონიერი ინტერესებები, რაც არანაკლებ საგანგაშოდ მიმაჩნია.

ზემოაღნიშნულმა პრობლემამ სრული სიმწვავით იჩინა თავი საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომი სამართლებრივი რეფორმის განხორციელების პროცესში, ანუ, როდესაც ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ განვიზრახეთ ევროსტანდარტებზე გადავსულიყავით და სამართალწარმოების დემოკრატიზაციისათვის მიგვეღწია.

პრინციპულად ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებისას, თითქოს შევეცადეთ გადმოგვენერგა ყოველივე პროგრესული, მაგრამ, რიგ შემთხვევებში, არასათანადო სამართლებრივი კულტურის გამო, გარკვეული შეცდომებიც იქნა დაშვებული, რომელთა

გამოსწორებას თანდათანობით ვცდილობთ. თუმცა, რიგ შემთხვევებში ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვვარდებით. ამის მკაფიო მაგალითია სასამართლო სხდომების ღიაობის საკითხზე კანონმდებლის პოზიციის ხშირი ცვლა, რის შედეგადაც 1998 წელს ფოტო და ვიდეოკამერები სხდომათა დარბაზში დავუშვით, 2004 წლის შემდეგ ჟურნალისტებს სასამართლოს ეზოშიც კი ავუკრძალეთ გადაღება, ახლახან კი (2013-ში) ისევ მივეცით საშუალება ბრალდებულები, რომლებსაც სახელმწიფო და კონსტიტუცია ერთმნიშვნელოვნად უდანაშაულოდ თვლის, პირდაპირ ეთერში გვიჩვენონ...

ცნობილია, რომ სისხლის სამართლის პროცესის ძირითადი პრინციპები, როგორც კონტინენტური სამართლის სისტემისათვის საზოგადოდ მისაღები იდეები, ფართოდ არის აღიარებული განვითარებული ქვეყნების მიერ და შესაბამისად გამტკიცებულია კანონმდებლობით. თუმცა, რიგ სახელმწიფოებში ვხვდებით თავისებურებებსაც არა მარტო სისხლის სამართლის პროცესის ორიგინალური პრინციპების შემოტანის მხრივ (მაგ., იტალია, ბელგია, დანია), არამედ ზოგიერთი საყოველთაოდ აღიარებული პრინციპის ადგილობრივი სპეციფიკით ინტერპრეტაციის კუთხით (მაგ., კანონიერებისა და უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი).

ამასთან, სამართალი ცოცხალი და განვითარებადი ორგანიზმია. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაც მუდმივად სრულყოფის პროცესშია და ყოველივე პროგრესულის იმპლემენტირებისაკენაც ბუნებრივად აქვს მიდრეკილება. მომავალში, ალბათ ჯერ ევროკავშირის, შემდეგ კი ევროსაბჭოს ფარგლებში ერთიანი სისხლისსამართლებრივი სივრცე შეიქმნება, სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტები ერთობლივად შეიმუშავებენ უმრავლესობისათვის მისაღებ და შეძლებისდაგვარად სრულყოფილ საპროცესო კოდექსსაც, რომელშიც დადებითთან ერთად უარყოფითი გამოცდილებაც იქნება გათვალისწინებული. ჯერჯერობით კი, ყოველ დამოუკიდებელ სახელმწიფოს საკუთარი სამართლებრივი ბაზა გააჩნია, ხოლო ნორმების განმარტებაში უმნიშვნელოვანესი როლი სასამართლო ხელისუფლებას ენიჭება.

ფაქტია ისიც, რომ გარკვეული ხარვეზები არა მარტო სოციალისტური სამართლის სისტემიდან ახლახან თავდაღწეულ ე. წ. პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების კანონმდებლობას გააჩნია, არამედ ევროპის ცენტრში მდებარე და საყოველთაოდ პროგრესულად მიჩნეულ გერმანულსაც. ამის დასტურად, თუნდაც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განხილულ საქმე ექსენი გერმანიის წინააღმდეგ იკმარებდა, რომელშიც სწორედ სისხლის სამართალწარმოების ღიაობა (საქვეყნოობა) იქცა

განხილვის საგნად.[2]

ამ ვითარებაში, ერთი მხრივ მისასალმებელია, რომ სასამართლო სხდომის „ღიაობა" საქართველოს კონსტიტუციითაც არის დადგენილი და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში „სხდომის საჯაროობა" ცალკე პრინციპად არის მოცემული, მაგრამ, ამავე დროს, არც ის გარემოება უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ თუ ქართველმა კანონმდებელმა ევროპელებთან შედარებით პროცესის ღიაობის (საჯაროობის, საქვეყნოობის) ფარგლები არაგონივრულად გააფართოვა და სხდომათა დარბაზში მყოფი ბრალდებულები საზოგადოებას პირდაპირი ეთერით წარუდგინა, სამართალწარმოების პრაქტიკამ ცხადყო, რომ მოსამართლეებმა იგივე ინსტიტუტი არაგონივრულად შეზღუდეს და სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დამნაშავედ ცნობილი პირების თაობაზე ინფორმაციის ყველა დაინტერესებულ პირისთვის გაცემაზე უარი განაცხადეს.

II. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და საქართველოს კანონმდებლობა განაჩენის ხელმისაწვდომობის შესახებ

1. ევროპული სტანდარტი განაჩენის ხელმისაწვდომობასთან მიმართებით

დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე, ადრე მოქმედ კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებით საქართველო სამართლებრივ სახელმწიფოდ გამოცხადდა. 1995 წლის კონსტიტუციაშიც მოქალაქეების „ურყევ ნებად" სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრება განმტკიცდა, ხოლო როდესაც საქართველო ევროპული ქვეყნების თანამეგობრობას შეუერთდა, ცივილიზებული სამყაროსთვის ნათელი გახდა, რომ ტოტალიტარიზმისაგან თავდაღწეული სახელმწიფო კანონის უზენაესობისა და ხელისუფლებათა დანაწილების პრინციპებთან ერთად ძირითად პრიორიტეტად ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვას მიიჩნევს.

დღეს საქართველოს სასამართლო ხელისუფლებისთვის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით განმტკიცებული უფლებები და თავისუფლებები უშუალოდ მოქმედი სამართალია, ხოლო ცალკეული ნორმებისა და ტერმინების გონივრულად იმპლემენტირებისთვის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები უნდა დავიხმაროთ.

ამდენად, მართალია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის

[2] კონსტანტინე კორკელია, ირინე ქურდაძე. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვეციის მიხედვით, 2004. გვ 165.

მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სასამართლოში „საქმე ღია სხომაზე განიხილება", ხოლო „განაჩენი ცხადდება საჯაროდ", მაგრამ აღნიშნული ტერმინების შინაარსი სადღეისოდ შესამჩნევად არის გაფართოებული. „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტის შესაბამისი ფორმულირებიდანაც გამომდინარე, დიდი ხანია საყოველთაოდ აღიარებულია, რომ „სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა იყოს საჯარო და არა მარტო ის, რომ „გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ"... [3], ანუ საჯაროობის უზრუნველსაყოფად მხოლოდ განაჩენის საჯაროდ გამოცხადება საკმარისი არ არის და თავად სასამართლოს გამამტყუნებელი უნდა იყოს საჯარო - ყველასათვის ხელმისაწვდომი.

ამასთან, განაჩენებთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულისასამართლოსმიერდამატებით განმარტებულია,რომ„მესამე პირებს გააჩნიათ ევროკონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის მოპოვების უფლება", ხოლო... „საზოგადოებას უნდა შეეძლოს არა მხოლოდ სასამართლოს საქმიანობისთვის თვალყურის დევნება, არამედ, მის მიერ გამოტანილი განაჩენების გაგება". ამასთან, „საზოგადოებას ხელი უნდა მიუწვდებოდეს სასამართლოს გადაწყვეტილებებზე".[4]

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ „შეუძლებელია გადაწყვეტილების ანონიმური ვერსიის მომზადება, ვინაიდან საქმის მონაწილეები ინფორმირებული იქნებიან განსახილველი საკითხის შესახებ".[5]

ფაქტობრივად, იგივეა ნათქვამი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ყველაზე პოპულარულ კომენტარში, რომელიც საქართველოშიც არის გამოცემული. კომენტარში ერთმნიშვნელოვნად არის მითითებული წერილობით ფორმულირებული განაჩენის, არა მარტო მხარეებისთვის, არამედ „პუბლიკისთვის" (ფართო საზოგადოებისთვის) გაცნობის შესაძლებლობა.[6]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ განაჩენი პროცესის მონაწილეებს (მხარეებს) სავალდებულო წესით უნდა გადაეცეთ, ხოლო სხვა დაინტერესებულ პირებს, უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა განაჩენი, დამნაშავის პოზიციის მიუხედავად, მოთხოვნისთანავე, სრული სახით მიიღონ.

---

[3] შტეფან ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009, გვ. 156.

[4] იქვე, გვ. 147-148.

[5] იქვე., გვ. 157.

[6] დონნა გომიენი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოკლე მეგზური, თბილისი, 2002, გვ. 211.

2. სასამართლო სხდომის ღიაობა (საჯაროობა, საქვეყნოობა) საქართველოს კანონმდებლობაში

სისხლის სამართლის პროცესის საქვეყნოობასთან დაკავშირებით, პირველ რიგში, ტერმინოლოგიურ პრობლემაზე უნდა შევჩერდეთ. სამწუხაროდ, ქართულ სამართალში აღნიშნულ საკითხზე იურისტთა შორისაც არ მიღწეულა თანხმობა. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციით დადგენილია, რომ „სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე" (მუხლი 85.1), 1998 წელს მიღებულ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, ერთი მხრივ, ლაპარაკი იყო „პროცესის საქვეყნოობის" პრინციპზე (მუხლი 16), თუმცა ამავე მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის საქმის განხილვა ყველა სასამართლოში „ღია" იყო. ამასთან, „საჯაროობა" საჯარო ინტერესების ანუ ე. წ. ოფიციალურობის აღსანიშნავადაც გამოიყენებოდა და მე-14 მუხლში დამოუკიდებელ პრინციპად („საჯაროობა და დისპოზიციურობა") იყო მოცემული. ვინაიდან, სხვა მუხლებში (მაგ. 477 და 679) „საჯაროდ წაკითხვა", „საჯაროდ მოსმენა", „საჯარო სხდომა" იყო ნახსენები, როგორც ჩანს, კანონმდებელი, ერთიდაიმავე ინსტიტუტის აღსანიშნავად სამ ტერმინს „ღიაობას", „საქვეყნოობას" და „საჯაროობას" მათი შინაარსის ბოლომდე გაუზრებლად იყენებდა.

საქართველოს პარლამენტის მიერ 2009 წლის 9 ოქტომბერს მიღებულ და 2010 წლის 1 ოქტომბერს ამოქმედებულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში უკვე „სასამართლო სხდომის საჯაროობის" პრინციპია მოცემული (მუხლები 10 და 182) და სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, მათ შორის განაჩენიც უკვე „საჯაროდ ცხადდება" (მუხლები 10.2 და 277.1). მიუხედავად ამისა, სასამართლოების გადაწყვეტილებათა ანალიზი ცხადყოფს, რომ პრაქტიკაში სამივე ტერმინი გამოიყენება და თანაც, ფაქტობრივად, იდენტური მნიშვნელობით.

აზრთა სხვადასხვაობაა არა მარტო კანონმდებელთა, არამედ იურისტთა შორისაც: პოპულარულ საიტზე GOOGLE.GE-ზე განთავსებულ ვერსიაში ევროპულ კონვენციაში მოცემული „publik hearing" და „promounced publicly" აღნიშნულია, როგორც „საქვეყნო განხილვა" და „საქვეყნოდ გამოცხადება", ხოლო იმავე მე-6 მუხლს სამართლის დოქტორები კონსტანტინე კორკელია და ირინე ქურდაძე თარგმნიან „საჯარო განხილვად" და „საჯაროდ გამოცხადებად".[7] ასევე, „საჯაროობა" გამოყენებულია რეფორმირებული სასამართლოებისათვის 3000 ცალიანი ტირაჟით გამოცემულ კრებულში,

[7] კონსტანტინე კორკელია, ირინე ქურდაძე, „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით", თბილისი, 2004, გვ. 164-165.

რომლის პასუხისმგებელი რედაქტორია სამართლის დოქტორი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე ლადო ჭანტურია.[8] ამასთან, სამართლის დოქტორი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ყოფილი წევრი მინდია უგრეხელიძე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ევა გოცირიძე და საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, ამავე მუხლის თარგმანში „საქვეყნოდ განხილვის" და „საქვეყნოდ გამოცხადების" გამოყენებას ამჯობინებენ,[9] ხოლო სამართლის დოქტორის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის, ავთანდილ დემეტრაშვილის პასუხისმგებლობით გამოცემულ ტექსტში, რომელიც ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დირექტორატმა დააფინანსა (მთარგმნელი ლევან ბოძაშვილი) მე-6 მუხლში „ღია მოსმენაც" გვხვდება და „საჯაროდ გამოცხადებაც".[10]

ამდენად, თუ გავითვალისწინებთ, რომ ტერმინების შემოღებაც და მათი შინაარსის დადგენაც იურისტების საქმეა, როგორც ჩანს, საპროცესო კოდექსის სრულყოფის პროცესში, აღნიშნულ საკითხზეც გვმართებს პოზიციების შეთანხმება. არსებითი მნიშვნელობა არ აქვს საბოლოო ჯამში „ღიაობაზე" შეჩერდებიან თუ „საქვეყნოობაზე", მაგრამ აუცილებელი იქნება კანონმდებლობასა და სპეციალურ ლიტერატურაში ტერმინები მკაფიოდ განსაზღვრული შინაარსით იყოს გამოყენებული. (პირადად ტერმინ „საქვეყნოობას" ვანიჭებ უპირატესობას, თუმცა, ვინაიდან კონსტიტუციაში „ღიაობაა" ნახსენები, სანამ „უზენაეს კანონში" ცვლილება შევა, გამართებული იქნებოდა აღნიშნული ტერმინით გვესარგებლა).

ამასთან, რაც შეეხება სასამართლოს განაჩენის ხელმისაწვდომობის საკითხს, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნე, მართალია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საქმე ღია (საქვეყნო) სხდომაზე განიხილება", ხოლო „განაჩენი ცხადდება საქვეყნოდ („საჯაროდ")", მაგრამ, ვინაიდან აღნიშნული ტერმინების შინაარსი სადღეისოდ შესამჩნევად არის გაფართოებული, მხოლოდ განაჩენის საჯაროდ გამოცხადება საკმარისი არ არის და თავად სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი უნდა იყოს საჯარო, ანუ ყველასთვის ხელმისაწვდომი. მით უმეტეს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითაც ერთმნიშვნელოვნად არის

[8] საქართველოს კანონები, ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო აქტები და კონვენციები, თბილისი, 1998.

[9] ევა გოცირიძე, მინდია უგრეხელიძე, თეა წულუკიანი, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, თბილისი 2004, გვ 18.

[10] ევროპის საბჭო და ადამიანის უფლებების დაცვა, თბილისი, 1998, გვ. 46.

დადგენილი, რომ არ შეიძლება იმ დოკუმენტის გასაიდუმლოება, რომელშიც ერთ-ერთ მხარეს სახელმწიფო წარმოადგენს (42-ე მუხლი, ზ) ქვეპუნქტი).

ამდენად, თუ ადამიანის ძირითადი უფლებები ჩვენი სახელმწიფოსთვის უშუალოდ მოქმედი სამართალია, უაღრესად გონივრული და სრულიად სამართლიანიც იქნება განვითარებული ქვეყნების პროგრესული გამოცდილება, ჩვენც გამოვიყენოთ და „პროცესის საჯაროობა" სასამართლოს მიერ მიღებული გადაწვეტილებების სრული ვერსიების ხელმისაწვდომობაზეც გავავრცელოთ.

III. საქართველოს სასამართლოების მიერ ღიაობის (საჯაროობის, საქვეყნოობის) შეზღუდული განმარტება და განაჩენის ხელმიუწვდომლობა

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციით „სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე", ხოლო საპროცესო კოდექსში „სასამართლო სხდომის საჯაროობის" პრინციპია განმტკიცებული, სასამართლოები მხოლოდ პროცესის მონაწილეებს გადასცემენ განაჩენის ასლებს, ხოლო ყველა სხვა პირს, მათ შორის დაზარალებულებს, თუ მათ არ წარადგინეს მხარეების (პროკურორის და ბრალდებულის) წერილობითი თანხმობა, განაჩენის ასლს მხოლოდ დამნაშავედ ცნობილი პირის ვინაობის გარეშე (ე. წ. „დაშტრიხული სახით") გადასცემენ, რასაც ადასტურებს ბრალდებულ ე. კ-ს სარჩელთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საქმე, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობს: თბილისში, თავისუფლების მოედანზე მდებარე შენობაში 2011 წლის 16 თებერვალს, თაღლითობის ბრალდებით დააკავეს სამი პირი. ორ მათგანს 2011 წლის 4 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ განაჩენი გამოუტანა, ხოლო მესამის - ე. კ-ს (მისი დაკავების კადრები ტელევიზიებმა გააშუქეს) საქმე ცალკე გამოყო და დღემდე პირველ ინსტანციაში განხილვის სტადიაშია. აღნიშნულმა ბრალდებულმა სასამართლოს თავმჯდომარისგან ოფიციალურად მოითხოვა დანარჩენი ორი ბრალდებულის მიმართ 2011 წლის 4 ნოემბერს გამოტანილი განაჩენის ასლი, თუმცა მას დამნაშავეთა ვინაობა „დაუშტრიხეს", რის გამოც იძულებული გახდა სასამართლოში ადმინისტრაციული სარჩელი შეეტანა.

სადაო საკითხი იმავე სასამართლომ განიხილა, რომლის თავმჯდომარესაც უჩიოდა და 2012 წლის 27 აპრილს უარი უთხრა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე (საქმე №3/704-12, 27.04.2012, მოსამართლე თამარ ონიანი). აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლომაც (საქმე №3ბ/785-12, 15.08.2012, მოსამართლე ნანა

ჭიჭილეიშვილი) და საქართველოს უზენაესმა სასამართლომაც, რომელმაც ე. კ-ს საკასაციო საჩივარი დაუშვებლად მიიჩნია.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით საქართველოს სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არასაკმარისად არის დასაბუთებული და განპირობებულია სამართლის ნორმების არასწორი განმარტებით. ამასთან, სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი, ფაქტობრივად მხოლოდ ერთი მხარის, თანაც წინააღმდეგობრივ არგუმენტებზეა აგებული და მოსამართლეებმა არ გამოიყენეს მოსარჩელის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციიდან მოხმობილი განმარტებები.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში აშკარად გაურკვევლობაა ტერმინების „ღიაობა", „საქვეყნოობა" და „საჯაროობასთან" მიმართებაში. ამასთან, როგორც ჩანს, სასამართლოს არასწორად ესმის სსსკ მე-10 მუხლში მოცემული „საჯარობის" არსი და აღნიშნულ ტერმინს პირის მხოლოდ იმ შესაძლებლობას უკავშირებს, რომ „დაესწროს სასამართლო სხდომებს"..., რაც არ შეესაბამება „საჯაროობის" თანამედროვე განმარტებას მოცემულს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში „საჯაროობის" სახით მოცემული ცნობილი პრინციპი გადაწყვეტილებაში „საქვეყნოობათ" არის მოხსენიებული, ხოლო „სასამართლო აქტების საჯაროობად", რატომღაც გაგებულია მხოლოდ სხდომათა დარბაზში „სასამართლო აქტების საჯაროდ გამოცხადება".[11]

სააპელაციო სასამართლომ, გარდა იმისა, რომ ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი (სსსკ, მუხლი 10), რომლითაც კანონმდებელმა „სასამართლოს სხდომის საჯაროობა" განსაზღვრა (იხ. გადაწყვეტილების მე-6 გვერდის ბოლო აბზაცი და მე-7 გვერდის პირველი და მეორე აბზაცები), სამწუხაროდ, თავადაც აშკარად მცდარად განმარტა (არაგონივრულად შეზღუდა) ტერმინი „პროცესის საჯაროობა", როდესაც განჩინებაში სრულიად დაუსაბუთებლად და არაგონივრულად ჩათვალა, რომ „პროცესის საჯაროობა, მხოლოდ სასამართლო სხდომაზე დასწრების შესაძლებლობაა",[12] რაც ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სტანდარტებს.

ბუნებრივია, სადავოდ არ ვხდით, რომ „პირადი საიდუმლო" დაცული უნდა იყოს, მაგრამ, ევროპული სასამართლოს ცნობილი განმარტებების შესაბამისად სრულიად გონივრულად მივიჩნევთ, რომ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გაეცნოს განაჩენს, რომელშიც იქნება დამნაშავის იდენტიფიკაციისთვის აუცილებელი მონაცემი (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი

[11] თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე №3/704-12, 27.04.2012, გვ.7, აბზ. 2.

[12] თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე №3ბ/785-12, 15.08.2012, გვ.7, აბზ. 3.

ნომერი). თბილისის სააპელაციო სასამართლომ აღნიშნულ საკითხზე სრულიად განსხვავებული პოზიცია დაიკავა, რისთვისაც გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა.[13] კერძოდ, მართალია, სასამართლოს მიერ მოყვანილი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 და „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტის მე-17 მუხლები ადგენენ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გარანტიებს, მაგრამ აღნიშნული მუხლების მე-2 პუნქტები დასაშვებად მიიჩნევენ პირად ცხოვრებაში ჩარევას საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად და დანაშაულის აღსაკვეთად („გადაუდებელი აუცილებლობისას"). ამდენად, პირად ცხოვრებაში სანქციონირებულ ჩარევას, შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს ადამიანის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანვე ან სისხლის სამართალწარმოების სასამართლომდელ სტადიებზეც. ხოლო, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი კი, ის შემაჯამებელი დოკუმენტია, რომლითაც სახელმწიფო, კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე სამართალწარმოების დასრულების შემდეგ, პროკურორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, ღია (საქვეყნო) სხდომაზე პირს დამნაშავედ საქვეყნოდ (საჯაროდ) ცნობს.

ამდენად, ვინაიდან უშუალოდ სასამართლო, ბრალდებულების მიმართ მტკიცებულებების შეგროვებას არ ახორციელებს და მხოლოდ დამნაშავედ ცნობის კონსტიტუციური უფლებამოსილება გააჩნია (მუხლი 40.1), შეუძლებელია, განაჩენის გამოტანა ან კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დამნაშავედ ცნობილი პირთა ვინაობის შესახებ ცნობების გავრცელება ჩაითვალოს მათ პირად ცხოვრებაში ჩარევად. აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ სასამართლო ე. კ-ს მიერ მოთხოვნილი განაჩენის ასლს მას „დაუშტრიხავად" გადასცემდა, აღნიშნული ქმედება ვერანაირად ხელყოფდა კანონით დადგენილი წესით დამნაშავედ ცნობილი პირების პირად ცხოვრებას. მით უმეტეს, რომ აღნიშნულ განაჩენში თავად ე. კ-ც არაერთგზის არის მოხსენიებული.

სასამართლომ გამოიყენა სხვა კანონიც (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 44.1), რომელიც არ უნდა გამოეყენებინა.[14] ზაკ-ის 44-ე მუხლის პირველი პუნქტი „პირად საიდუმლოს" ეხება, ხოლო სასამართლოს გამატყუნებელი განაჩენი არ წარმოადგენს პირად საიდუმლოს და არ შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, გარდა პიროვნების იდენტიფიკაციისთვის აუცილებელი ინფორმაციისა. ამასთან, გამატყუნებელ განაჩენში აუცილებელია დამნაშავის ვინაობის ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრა სასჯელის ე. წ. ზოგადპრევენციული

[13] თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე №3ბ/785-12, 15.08.2012, გვ.4, აბზ. 1.
[14] თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე №3ბ/785-12, 15.08.2012, გვ.11, აბზ. 1.

ფუნქციის უზრუნველსაყოფად, რაც გულისხმობს ფართო საზოგადოების ინფორმირებას კონკრეტული დამნაშავის მიმართ გამოყენებული სანქციის თაობაზე, რომ სხვას არ გაუჩნდეს მსგავსი დანაშაულის ჩადენის განზრახვა.

ამდენად, სასამართლოს მიერ სახელმწიფოს სახელით ღია სხდომაზე საქვეყნოდ (საჯაროდ) გამოცხადებული განაჩენი, ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას, რომლის გასაიდუმლოება ზაკ-ის 42-ე მუხლის ზ) ქვეპუნქტით არის დაუშვებელი.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (მუხლი 6.2), საქართველოს კონსტიტუციის (მუხლი 42.1) და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (მუხლი 5.1) თანახმად, ადამიანი (ბრალდებული) უდანაშაულოდ ითვლება სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით დამნაშავედ ცნობამდე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ღია სხდომაზე საჯაროდ (საქვეყნოდ) გამოცხადებული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი არ შეიძლება წარმოადგენდეს პერსონალურ ინფორმაციას (პირად საიდუმლოს), ვინაიდან მასში მოცემული დამნაშავის საიდენტიფიკაციო მონაცემები და მის მიერ ჩადენილი ქმედების სამართლებრივი შეფასება განკუთვნილია ყველა მოქალაქისთვის გასაცნობად.

ამასთან, დამნაშავეს ეზღუდება მთელი რიგი უფლებები, ხოლო ინფორმაცია მისი ნასამართლობის შესახებ ინახება სპეციალური წესით და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის.

ანალოგიური ვითარებაა, ვალაუვალ პირებთან მიმართებით და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, შეუძლია მოიძიოს ინფორმაცია „მევალეთა რეესტრში". ასევე, ღიაა ინფორმაცია ამომრჩეველთა შესახებ და ყველას შეუძლია ამომრჩეველთა სიაში, რომელიც სახელმწიფოს მიერ საჯაროდ არის გამოფენილი, ამოიკითხოს სხვა მოქალაქის საიდენტიფიკაციო მონაცემები, ამდენად, სრულიად გაუგებარია, რომ, როდესაც სახელმწიფო საჯაროს ხდის ამომრჩევლისა და მევალის სტატუსის მქონე პირთა ვინაობას, როგორ შეიძლება გაასაიდუმლოს გამატყუნებელ განაჩენებში დამნაშავეებად ცნობილ პირთა გვარ-სახელები და დაზარალებულებსაც კი არ გაუმხილოს, თუ ვისგან უნდა მოითხოვონ ზიანის ანაზღაურება. [15]

აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტი, თუმცა რამდენჯერმე ახსენა...[16] . კერძოდ, აღნიშნულ ნორმაში მკაფიოდ არის განსაზღვრული, რომ „საქართველოს მოქალაქეს უფლება აქვს კანონით

---

[15] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით „დაზარალებული" დამოუკიდებელ მხარეს არ წარმოადგენს და ზიანის ასანაზღაურებლად დამნაშავის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი უნდა შეიტანოს.

[16] სააპელაციო სასამართლო, საქმე №3ბ/785-12, 15.08.2012, გვ.2, აბზ. 4, გვ.10 აბზ. 4.

დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე, იქ არსებულ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას".

ამდენად, ვინაიდან 2011 წლის 4 ნოემბერს გამოტანილი განაჩენი უშუალოდ ე. კ-საც ეხება (ფაქტობრივად, „დანაშაულის თანამონაწილედ" არის მოხსენიებული) და არ შეიცავს „სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას", ე. კ-ს სრული უფლება აქვს გაეცნოს მის სრულ ვერსიას.

სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლითაც მოცემულია ის შემთხვევები, როდესაც ოფიციალური ინფორმაციის გაცემას სჭირდება თანხმობა[17] (განჩინების მე-10 გვერდის მეოთხე აბზაცი). მართალია, განჩინებაში მოყვანილია საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის ფორმულირება და საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება, მაგრამ სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ 41-ე მუხლის მე-2 პუნქტი არ გამოიყენება „კანონით დადგენილ შემთხვევებში", ხოლო განაჩენი, რატომღაც იმ „პერსონალურ მონაცემებად" გაიგო, რომელიც „კერძო პირის კერძო საკითხებს"[18] მიეკუთვნება და სახელმწიფოს მიერ დამნაშავედ ცნობილის პირის თანხმობის გარეშე სხვებს მასზე ხელი არ უნდა მიუწვდებოდეთ...

ზემოაღნიშნულ ნორმებს გრამატიკული, ლოგიკური, მიზნობრივი, სისტემური ან ისტორიული მეთოდების დახმარებით თუ განვმარტავთ, ცხადი უნდა იყოს, რომ საქართველოს სახელით გამოტანილი განაჩენი, სწორედ ის გამონაკლისი შემთხვევაა, რომელიც კანონითვეა გათვალისწინებული და ინფორმაციის სწორედ იმ ჯგუფს („პირველს") მიეკუთვნება, რომლის გასაიდუმლოება, გარდა იმისა, რომ კანონითვეა დაუშვებელი (ზაკ-ი, მუხლი 42), სრულიად მიუღებელია ელემენტარული ლოგიკის თვალსაზრისითაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოდის, რომ მას შემდეგ რაც ნორვეგიაში კუნძულ უტოიაზე განხორციელებული მასობრივი მკვლელობისთვის სასამართლომ ანდრეს ბრეივიკი დამნაშავედ ცნო, ჟურნალისტმა განაჩენის ასლი რომ მოითხოვოს, სასამართლოდან დოკუმენტს „დაშტრიხული" სახით მიიღებს?!

ე. კ-ს საქმის განხილვისას საქართველოს სასამართლოებმა არასწორად განმარტეს ზაკ-ის 42-ე მუხლის ზ) ქვეპუნქტიც, რომლითაც დადგენილია „საჯარო ინფორმაცია, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია".[19] ამასთან, თბილისის სააპელაციო სასამართლომ,

[17] სააპელაციო სასამართლო, საქმე №3ბ/785-12, 15.08 2012, გვ.10, აბზ. 4.

[18] სააპელაციო სასამართლო, საქმე №3ბ/785-12, 15.08.2012, გვ.3, აბზ. 2.

[19] თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე №3/704-12, 27.04.2012, გვ.5, აბზ.4 და თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე №3ბ/785-12, 15.08.2012, გვ.4, აბზ.4 და 5.

ისევე როგორც საქალაქომ, ორი სხვადასხვა ურთიერთობის მარეგულირებელი დამოუკიდებელი ნორმები (ერთით დადგენილია საჯარო ინფორმაცია, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია, ხოლო მეორით „პერსონალური მონაცემების საიდუმლოება"...), რატომღაც „ერთობლიობაში" განიხილა და „პირადი საიდუმლოების" განმსაზღვრელი ნორმებიც მოიშველია... შედეგად კი, ჯერ საქალაქო სასამართლომ გამოიტანა მცდარი დასკვნა, თითქოს განაჩენის „ხელმიუწვდომლობა განპირობებულია სწორედ მასში შეტანილი იმ მონაცემების პერსონალური ხასიათით, რომლებიც პირის პირადი ცხოვრების კერძო საკითხებს განეკუთვნება და კონსტიტუციით დაცული ფასეულობაა"[20] , შემდეგ კი სააპელაციომაც „დაადასტურა", რომ, თურმე „ერთი მხრივ, სასამართლო ვალდებულია გასცეს მასალები იმ საქმეებზე რომლებშიც მხარეს სახელმწიფო წარმოადგენს, ხოლო, მეორე მხრივ, თურმე არ უნდა გაახმაუროს დამნაშავის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები..."[21], რაც სრულიად არაგონივრულია... ანუ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ლოგიკით გამოდის, რომ განაჩენის სრული ვერსია საიდუმლო დოკუმენტია, ვინაიდან „კერძო პირის კერძო საკითხებს" ეხება... შესაბამისად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ საქართველოში ადამიანები („კერძო პირები") „კერძო საკითხებისთვის" ისჯებიან...[22], მაშინ როდესაც კონკრეტული დამნაშავის მიმართ გამოტანილ განაჩენში მხოლოდ მის მიერ სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედების დამადასტურებელი გარემოებები და სახელმწიფოს სახელით დაკისრებული სასჯელი უნდა იყოს ასახული... აღნიშნულის მიუხედავად, საქალაქო სასამართლო ასკვნის, რომ განაჩენის სრული ვერსია, სწორედ იმიტომ არ უნდა გადაეცეს მოსარჩელეს, რომ „ცალსახად მიეცემა დამნაშავეების იდენტიფიცირების შესაძლებლობა..." [23] .

სააპელაციო სასამართლომაც დასაბუთებულად ვერ აუხსნა მოსარჩელეს, რატომ არ უნდა მიეცეს მისთვის გადაცემული „დაშტრიხული" დოკუმენტით დამნაშავის ერთმნიშვნელოვანი იდენტიფიცირების საშუალება, მაშინ, როდესაც პირი დამნაშავედ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით არის ცნობილი... სასამართლოს ლოგიკით, გამოდის, რომ „ვინ არის დამნაშავე" პროკურორისა და ბრალდებულის გარდა, მხოლოდ მათ ეცოდინებათ, ვინც სასამართლო სხდომათა დარბაზში მოახერხებს შეღწევას და

[20] თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე №3/704-12, 27.04.2012. გვ.5. აბზ.4 .
[21] თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე №3ბ/785-12, 15.08.2012. გვ.5, აბზ. 1.
[22] სააპელაციო სასამართლო, საქმე №3ბ/785-12, 15.08.2012, გვ.3, აბზ. 2.
[23] თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე №3ბ/785-12, 15.08.2012, გვ.6, აბზ. 3.

განაჩენს საკუთარი ყურით მოისმენს, სოლო განაჩენი სასამართლოს არქივში დაიდებს ბინას და დაინტერესებულ პირებს, თუ ვერ წარმოადგინეს პროკურორისა და დამნაშავის მიერ ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა, მხოლოდ „დაშტრიხული სახით" გადაეცემათ.

ე. კ-ს საქმესთან დაკავშირებით საქართველოს სასამართლოების პოზიციის მართებულად მიჩნევის შემთხვევაში, ლოგიკურია, „პროცესის საჯაროობის (საქვეყნოობის)" ასეთი შეზღუდული განმარტება სისხლის სამართალწარმოების სასამართლომდელ სტადიებზეც ვრცელდებოდეს და, თუ სასამართლო დამნაშავედ ცნობილი პირის ვინაობის კონფიდენციალურად დატოვებას ადამიანის უფლებების დაცვის ჰუმანური მიზნებით ამართლებს, ამ შემთხვევაში, ის მაინც უნდა აუხსნას მოსარჩელს, თუ რატომ დააკავეს სამართალდამცავებმა ტელეკამერების თანდასწრებით და საინფორმაციო გადაცემებში „თაღლითობაში ბრალდებული" სახელისა და გვარის მითითებით ისე მოიხსენიეს, რომ მისგან წერილობით თანხმობა არ ჰქონდათ მიღებული

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ საქართველოს სასამართლოები კანონმდებლობაში მოცემული იურიდიული ტერმინების და სამართლის ნორმების არასწორი განმარტების შედეგად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებების იგნორირებით, არსებითად ხელყოფენ ადამიანების უფლებას სრულად გაეცნონ სახელმწიფოს სახელით გამოტანილ განაჩენებს, რომლებითაც კონკრეტული პირები სასამართლოს ღია (საჯარო, საქვეყნო) სხდომაზე დამნაშავეებად არიან ცნობილნი.

რეზიუმე

ცნობილია, რომ ანალიზი მოვლენის ლოგიკური შემეცნების ერთ-ერთი მეთოდია, ხოლო სამართალი და ლოგიკა იმდენად ურთიერთდაკავშირებული ინსტიტუტებია, რომ „იურისტის (მოსამართლის) არგუმენტაცია თანმიმდევრული, დასაბუთებული, და შინაგანი წინააღმდეგობებისაგან თვისუფალი უნდა იყოს". ამასთან, „იურისტმა (მოსამართლემ) არგუმენტირებულად უნდა დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, დაარწმუნოს მხარეები ამ გადაწყვეტილების კანონიერებასა და სამართლიანობაში"[24]. შტეფან ტრექსელის აზრითაც, „სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების აუცილებლობის მხარდამჭერი ერთ-ერთი არგუმენტი არის ის, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის აუცილებელია იმის ცოდნა, თუ რა უდევს მას საფუძვლად. დასაბუთების ვალდებულება ვრცელდება

[24] გიორგი სუბუა, სამართლის თეორია, თბილისი, 2004, გვ. 18.

არა მხოლოდ განაჩენზე, არამედ სასამართლოს ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე. აღსანიშნავია, რომ იტალიაში სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთების ან მასში ლოგიკის არარსებობა საკასაციო ინსტანციაში გასაჩივრების სპეციალური საფუძველია"[25].

ვინაიდან, სასამართლოების ზემოთ გაანალიზებული გადაწყვეტილებები შეიცავენ აშკარა წინააღმდეგობებს და არასაკმარისად არიან დასაბუთებულნი, მიმაჩნია, რომ დაინტერესებული პირებისთვის სასამართლოს განაჩენების სრული ვერსიის ხელმიუწვდომლობით, საქართველოში, ფაქტობრივად, ხელყოფილია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული ადამიანის უფლება საქმის ღია (საჯარო, საქვეყნო) მოსმენაზე და სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის სრული სახით გაცნობის თაობაზე.

ამასთან, საგულისხმოა, რომ თუ დამნაშავედ ცნობილ პირთა (მსჯავრდებულთა) გვარები განაჩენში „დაშტრიხული" იქნება, როგორ უნდა გაიგონ დაზარალებულებმა, თუ ვინ არის დამნაშავე ან ვის წინააღმდეგ უნდა შეიტანონ სარჩელი სასამართლოში, რომ როგორც ამას საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს, მიყენებული ზარალი დამნაშავეს აანაზღაურებინონ.

ფაქტია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში ნახსენები ტერმინების „ღიაობა (საქვეყნოობა, საჯაროობა)" შინაარსი ევროსასამართლოს მიერ არსებითად არის გაფართოებული და დღესდღეობით მიჩნეულია, რომ სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის მხოლოდ საჯაროდ გამოცხადება საკმარისი არ არის და თავად ეს განაჩენიც უნდა იყოს საჯარო, ანუ ყველასთვის ხელმისაწვდომი. ამდენად, თუ საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის თანახმად, ადამიანის ძირითადი უფლებები ჩვენი სახელმწიფოსთვის უშუალოდ მოქმედი სამართალია, უაღრესად გონივრული და სრულიად სამართლიანიც იქნება, განვითარებული ქვეყნების პროგრესული გამოცდილება საქართველოს სასამართლოებმაც გამოიყენონ და კანონმდებლობაში ასახული „სხდომების ღიაობა" თუ „პროცესის საჯაროობა (საქვეყნოობა)" სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სრული ვერსიების ყველა დაინტერესებულისთვის ხელმისაწვდომობაზეც გაავრცელონ.

[25] შტეფან ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009. გვ. 129 და 133.

კომენტარი :

„სამხრეთ კავკასიის იურიდიული ჟურნალი“ საერთაშორისო თანამშრომლობის გერმანული საზოგადოების (GIZ) და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელშეწყობით წელიწადში ერთხელ გამოდის. სარედაქციო კოლეგიაში ქართულ მხარეს ირაკლი ბურდული, პაატა ტურავა და ლია შატბერაშვილი წარმოადგენენ, ხოლო კოლეგიის ხელმძღვანელი გერმანელი პროფესორი ნორბერტ ბერნსდორფია. ქართველ, აზერბაიჯანელ და სომეხ მეცნიერთა სტატიები კონკურსის საფუძველზე ირჩევა და რუსულ და ინგლისურ ენებზე იბეჭდება.

მორიგი კონკურსის თაობაზე თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ვებგვერ-დიდან 2013 წლის ბოლოს შევიტყვე და სტატია მითითებულ მისამართზე გავაგზავნე. მალევე შემატყობინეს, რომ ნაშრომი მოწონებულ იქნა, ითარგმნა და 2014 წლის მე-5 ნომერში გამოქვეყნდებოდა. ჰონორარის ჩასარიცხად საბანკო ანგარიშის მითითებაც მომთხოვეს.

2014 წლის დასაწყისში საქართველოს პრეზიდენტს სასამართლოში ვუჩივლე. მის მიერ ჩატარებული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის შესარჩევი კონკურსის შედეგები გავასაჩივრე. ვინაიდან კონკურსში გამარჯვებულმა პრეზიდენტს თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს სახელით გაცემული გაყალბებული რეკომენდაცია წარუდგინა, დეკანის ირაკლი ბურდულის მიმართ მედიასაშუალებებითაც გამოვთქვი პრეტენზიები, პროკურატურასაც მივმართე და ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტზე რეაგირება თსუ-ის ადმინისტრაცი-ისგანაც მოვითხოვე. „სამართლიანობის აღდგენის“ მცდელობას შედეგად მხოლოდ ის მოჰყვა, რომ „სამხრეთ კავკასიის იურიდიული ჟურნალის“ რედაქციიდან შემატყობინეს, „გაუთვალისწინებელი ხარჯების გამო“ ჟურნალი დაგეგმილი სახით ვეღარ გამოვიდოდა, რის გამოც ჩემი სტატია მასში ვერ მოხვდებოდა.

რედაქციას წერილობით მივმართე და შევთავაზე პირადად გამეღო სტატიის ჟურნალში ჩასამატებლად აუცილებელი თანხა. ამასთან, შევეცადე ამეხსნა, რომ უხერხულია, როდესაც „გაუთვალისწინებელი ხარჯები“ იმ იურიდიული ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის მიზეზით ხდება, რომელიც არა მარტო თსუ-ის, არამედ მთელი სამხრეთ კავკასიის სახელით გამოდის... იმედი გამოვთქვი, რომ ჩემი ფინანსური მხარდაჭერით მოახერხებდნენ ჟურნალის მორიგი ნომრის დაგეგმილი სახით გამოქვეყნებას, რაც თავიდან ააცილებდათ იმ

პრობლემასაც, რომელიც საერთაშორისო იურიდიულ გამოცემაში „გაუთვალისწინებელი ხარჯების“ თაობაზე ინფორმაციის გახმაურებას შეიძლება გამოეწვია. ჟურნალის რედაქტორის ნაცვლად რატომღაც თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ მიპასუხა, რომ სტატიის გამოქვეყნება 2014 წელს ვერ მოხერხდებოდა...

როგორც ჩანს, ჩემი შეთავაზების შემდეგ რედაქციამ მოაგვარა ფინანსური პრობლემები და 2016 წლის მაისში ორი წლის წინ დაპირებული ჰონორარიც მივიღე და 2015 წლის მე-6 ნომერიც გადმომცეს...

ვინაიდან, სტატიაში აღნიშნულ საქმეზე საქართველოს სასამართლოებმა მოსარჩელის მოთხოვნები არ დააკმაყოფილეს, საჩივარი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაიგზავნა. არაგონივრულად მიმაჩნია, ფაქტობრივად, პროკურატურა წყვეტდეს თუ ვისთვის უნდა იყოს სელმისაწვდომი სასამართლოს მიერ სახელმწიფოს სახელით ღიად (საქვეყნოდ, საჯაროდ) გამოცხადებული განაჩენის სრული ვერსია, თუნდაც იმიტომ, რომ ის სრულიად დაუსაბუთებელია ან მხოლოდ ბრალდების მხარის პოზიციას ასახავს...

ამასთან, არაგონივრულად მიმაჩნია, როდესაც კანონმდებელი გამამტყუნებელი განაჩენის საჯაროდ გამოცხადებისას სასამართლოს სხდომათა დარბაზში ტელეკამერების მუშაობას მისაღებად თვლის და იმავდროულად, კანონით დადგენილი წესით, საქვეყნოდ (ღიად, საჯაროდ) დამნაშავედ ცნობილი პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ფაქტობრივად, უმალავს საზოგადოებას.

პლუტოკრატიული ტირანია თუ სამართლებრივი სახელმწიფო

(სამართლიანობის აღსადგენად პრეზიდენტმა საკუთარი ბარკარბაულებია ბათილად უნდა ცნოს)

(გაზეთი „პრემიერი“ №41, 16 ოქტომბერი, 2014)

საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ცნობა პრეზიდენტის წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოში შეტანილი სარჩელის თაობაზე, რომლითაც მისი 2013 წლის 30 დეკემბრის №30/12/01 განკარგულების ბათილად ცნობას ვითხოვდი. თუმცა, მოკლე ტელეკომენტარებით, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო დავის არსში გარკვევა. მითუმეტეს, რომ ოპოზიციონერმა პოლიტიკოსებმა მარგველაშვილის სასამართლოში გამოძახება, ხან საკაშვილთან, ხან ღარიბაშვილთან მის დაპირისპირებას დაუკავშირეს, ხოლო ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ყოვლისმცოდნე ხელმძღვანელმა საერთოდ დააბნია საზოგადოება, როდესაც საქვეყნოდ განაცხადა, „პრეზიდენტს კონკურსის ჩატარებას კონსტიტუცია არ ავალდებულებს, ყოველგვარი კონკურსის გარეშე შეეძლო დაენიშნა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი და, ამ კუთხით, რთული იქნება პრეზიდენტის წინააღმდეგ რაიმე გადაწყვეტილების მიღებაო...“ გამოდის, რომ პრეზიდენტს საკუთარი განკარგულების შესრულება არ ევალება?!

ყველაზე გონივრული საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლის კომენტარი გახლდათ. გიორგი ვოლსკიმ პრეზიდენტის სასამართლოში დაბარების ფაქტი დემოკრატული სახელმწიფოსთვის ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნია და იმედი გამოთქვა, რომ პრეზიდენტის წარმომადგენელი ყველა კითხვაზე ამომწურავ პასუხს გასცემდა, ხოლო, თუ სასამართლო პრეზიდენტის განკარგულებას გააუქმებდა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად სხვა პირი დაინიშნებოდა.

სამწუხაროდ, პრეზიდენტი სასამართლოში არ მოვიდა, ხოლო მისმა წარმომადგენელმა ვერც სხდომაზე დასმულ კითხვებზე გასცა დამაჯერებელი პასუხი და არც მედიით გამოჩენა ისურვა. სამაგიეროდ, სასამართლოს მიერ „მესამე პირად“ ჩაბმული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახლადდანიშნული წევრის წარმომადგენელმა, ცნობილმა ადვოკატმა დავით ასათიანმა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში პირველივე სხდომის დასრულებისთანავე „საზოგადოებრივი მაუწყებლით“ ამცნო საზოგადებას, რომ, თურმე „სარჩელი ემყარება მოსარჩელის მცდარ ვარაუდებს და დაუზუსტებელ, არაკორექტულ ინფორმაციას და ფაქტობრივ გარემოებებს, რაც არ შეიძლება გახდეს საფუძველი სარჩელის დაკმაყოფილების და ალბათობის მაღალი ხარისხით, შემდეგ სასამართლო სხდომაზე,

როცა პაექრობის ეტაპზე გადავა სასამართლო და დასრულდება საქმის განხილვა, ალბათობის მაღალი ხარისხით, ჩვენ ღრმად გვწამს, რომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქმება, რადგან ბატონი ვახტანგ მჭედლიშვილის დანიშვნა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არის კანონის შესაბამისი და პრეზიდენტის განკარგულება კანონიერი".

მართალია, კონკურსთან დაკავშირებით დასმული კითხვების უმრავლესობას პასუხი ვერც ბატონმა დავითმა გასცა და ვერ ახსნა თუ რამ განაპირობა შეუსაბამობები მარწმუნებლის მიერ კონკურსზე წარდგენილ დოკუმენტებში, მაგრამ მისი „ალბათობის მაღალი ხარისხის ღრმა რწმენა" გამართლდა და, ფაქტობრივად, მისივე რჩევით, პრეზიდენტის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად დანიშნულმა პირმა თანამდებობა შეინარჩუნა (ვახტანგ მჭედლიშვილი კანდიდატად იმ „არასამთავრობო ორგანიზაციამ" წარადგინა, რომელსაც დავით ასათიანი ხელმძღვანელობს). როგორც ვივარაუდე, 2005 წლის მე-5 თვის მე-5 დღეს ნაუცბათევად გახსნილი თბილისის საქალაქო სასამართლოს 5 სართულიანი შენობის ბნელ და დაბზარულკედლებიან სხვენში განთავსებულმა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ „სამართლიანობის აღდგენა" ვერ გაბედა.

ვინაიდან, იმავე „ალბათობის მაღალი ხარისხითვე" ვარ დარწმუნებული, რომ იურისტი, რომელიც კითხვებზე პასუხის საჯაროდ გაცემას თავს არიდებს და საკუთარ საქმეზე სასამართლოში სხვა ადვოკატს აგზავნის, ვერც საზოგადოების და ვერც მოსამართლეების ინტერესებს დაიცავს ეფექტურად, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ზემდგომ ინსტანციაში გავასაჩივრე.

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა „რეიტინგულ" ტელეკომპანიებს ყოველი სხდომის თაობაზე წერილობით ვაწვდიდი ინფორმაციას. სამწუხაროდ, არც „საზოგადოებრივი მაუწყებელი" და არც სხვა „დამოუკიდებელი" ტელევიზიები ამ საქმით აღარ დაინტერესებულან. არადა, პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის წინააღმდეგ სასამართლოში შეტანილი სარჩელის ძირითადი მიზანია, კიდევ ერთხელ მივაპყრო საზოგადოების ყურადღება საქართველოში იურიდიული განათლების სფეროში არსებულ პრობლემებზე, სამართლებრივი კულტურის დეფიციტზე და სასამართლოებში არსებულ საგანგაშო მდგომარეობაზე. ამდენად, პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ ჩატარებულ კონკურსთან მიმართებაში „სამართლიანობის აღდგენაში" საზოგადოებაც აქტიურად თუ არ ჩაერთო მარტოს არაფერი გამომივა, ხოლო თუ კონკურსების და არჩევნების „სამართლიანი კონკურენციის პრინციპის" დაცვით ჩატარება ვერ ვისწავლეთ, სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრებას ვინ ჩივის, მოქალაქეებს იმაზე მოგვიწევს ზრუნვა, საერთოდ არ დავკარგოთ

სახელმწიფოებრიობა... (თუნდაც, ყოფილი იუგოსლავიასავით...)

მართალია, სხდომებში პრეზიდენტისა და მესამე პირად ჩაბმული პირის ნაცვლად, მათი წარმომადგენლები მონაწილეობენ, საქმის განხილვა მეტად საინტერესოდ მიმდინარეობდა და გონიერ ადამიანს მტყუან-მართალი შეეძლო სულ იოლად გაერჩია. ამდენად, მედიასაშუალებების ან ადამიანის უფლებათა დამცველი ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები სხდომებს რომ დასწრებოდნენ, დარწმუნდებოდნენ, თუ რა მასშტაბები მიიღო ჩვენს ქვეყანაში სამართლებრივმა ნიჰილიზმმა (სამართლის ნორმების არცოდნამ და/ან აბუჩად აგდებამ) და რა განუკითხაობაა არა მარტო კონკურსების ჩატარებისას, არამედ სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.

2014 წლის 6 ივნისს შეტანილი სააპელაციო საჩივრის განხილვა მეორე ინსტანციის სასამართლომ მხოლოდ სექტემბრის ბოლოს დაიწყო. ბოლო სხდომა 10 ოქტომბერს გაიმართა და მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლებმა, ისევ ვერაფრით ახსნეს ის წინააღმდეგობები და შეუსაბამობები, რომლებიც ასე მრავლად არის საქმის ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებში. ისევ, ზოგადი ფრაზებით ცდილობდნენ დაერწმუნებინათ სასამართლო პრეზი-დენტის ადმინისტრაციის მიერ ჩატარებული კონკურსის სამართლიანობაში. საქმის განხილვა დასრულდა, თუმცა სასამართლომ, როგორც ჩანს, ის არსებითად რთულად გადასაწყვეტად მიიჩნია და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება ორი კვირით გადადო. გადა-წყვეტილება 24 ოქტომბერს, როგორც ჩანს, „ზემდგომ ორგანოებთან" კონსულტაციების გამართვის შემდეგ გამოცხადდება.

ამჯერად, ყურადღებას სასამართლოებში არსებულ ვითარებაზე გავამახვილებ. ფაქტია, რომ 1991-ის, 1998-ის და 2004 წლის „რევოლუციური", ხოლო 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ ჩატარებული „ხავერდოვანი" „რეფორმის" შედეგად რამოდენიმე საქმეზე მიღწეული „მართლმსაჯულების ზეიმის" მიუხედავად, ძირითადად, ისევ დაშინებული და წინა ხელისუფლების კონტროლს დაქვემდებარებული მოსამართლეთა კორპუსი გვყავს. თბილისის საქალაქო სასამართლოს სხვენიც, რომელშიც სინათლის სხივიც კი ვერ აღწევს, სიმბოლურადაც ასახავს, თუ რა სამართლებრივი წყვდიადია გამეფებული მასში განთავსებულ დარბაზებში და, რომ მოსამართლეები არა მარტო შსს-ს პოლიციელების, არამედ შპს „სი-ტი პარკის" ინსპექტორების მიერ კანონდარღვევით გამოწერილი 10-ლარიანი საჯარიმო ქვითრების გაუქმებასაც კი ვერ ბედავენ. სწორედ ასეთმა მოსამართლემ განიხილა დავა პირველ ინსტანციაში და, ბუნებრივია პრეზიდენტისა და იურიდიული ფაკულტეტის დეკანის ქმედებებში უკანონო ვერაფერი

შენიშნა... ვერც შენიშნავდა, ვინაიდან ხატია არდაზიშვილმა ერთი წლის წინ პატრულ-ინსპექტორის მიერ შეცდომით გამოწერილი საჯარიმო ქვითარი ვერ გააუქმა და შენიშვნის მიცემას კი ვერ გაუბედა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმ ხელმძღვანელს, რომელმაც კონსტიტუციის იგნორირებით წერილობით დაადგინა, რომ მისი „გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება"...

ფაქტია, რომ მოქალაქეებს ვერც სააპელაციო სასამართლო იცავს ეფექტურად პოლიციის, მერიის და არჩევნების გამყალბებლების თვითნებობისგან. ერთდათერთი შემთხვევა მქონდა, როდესაც მერაბიშვილის მინისტრობისას შსს-ს დავა მოვუგე და სააპელაციო სასამართლომ საპატრულო პოლიციელის მიერ კანონდარღვევით გამოწერილი 20-ლარიანი ქვითარი გააუქმა. შედეგად, მოსამართლე ივანე ღლონტი სამსახურიდან გაუშვეს... სამწუხაროდ, დღეს არც მეორე ინსტანციაში და არც „უზენაესში" მეგულება ვინმე, ვინც პრეზიდენტს ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს (მითუმეტეს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მეგობარს...) სიმართლის თქმას გაუბედავს...

ამდენად, მორიგ სასამართლო რეფორმას რეალურად დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოებისთვის სათანადო შენობების შერჩევით დავიწყებდი და მოსამართლეების აბსოლუტურ უმრავლესობას დავითხოვდი (ცხადია, ეტაპობრივად და კანონმდებლობით დადგენილი წესით...), ვინაიდან პიროვნული თვისებებით და კვალიფიკაციით ვერ აკმაყოფილებენ თანა მედროვე მოთხოვნებს. ახალი მოსამართლეები კი, ტესტების ნაცლად, ანალიტიკურად მოაზროვნე „სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტების" მიერ განვლილი ცხოვრებისეული გზის მიხედვით უნდა შეირჩნენ (ძირითადად ადვოკატებიდან და მეცნიერებიდან, ამასთან, ცხადია, „სამართლის დარგის სპეციალისტად" თავად ამ დარგის წარმომადგენლებმა უნდა აღიარონ და არა პრეზიდენტმა...) რაზეც პირველ რიგში, სწორედ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა იზრუნოს.

რაც შეეხება პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ჩატარებული კონკურსის კანონიერების თაობაზე ერთობ გაჭიანურებულ დავას, მიუხედავად იმისა, რომ კონკურსის გაყალბების ფაქტი უტყუარი მტკიცებულებებით დასტურდება და მოწინააღმდეგე მხარე თავს ვერაფრით იმართლებს, ნაკლები შანსია სააპელაციოში „აღდგეს სამართლიანობა", ვინაიდან მომხსენებელი მოსამართლე (ნინო ქადაგიძე) ადრე უზენაეს სასამართლოში მუშაობდა და მიშა სააკაშვილის თვითნებობაზე არაერთხელ დაუხუჭავს თვალი. მაგალითად, „ვარდების რევოლუციის" მეორე დღესვე მხოლოდ პროპორციული სიებით ჩატარებული არჩევნები ცნო გაყალბებულად,

ხოლო მაჟორიტარების არჩევის პროცესში დარღვევები ვერ შენიშნა... თანაც, არჩევნების კანონიერების საკითხი, ფაქტობრივად, ერთპიროვნულად განიხილა, ვინაიდან გვერდს კონსტიტუციით გაუთვალისწინებელი და კომუნისტების დროინდელიდან შემორჩენილი ორი „სახალხო მსაჯული" უმშვენებდა... (დღეში 3 ლარს რომ უხდიდნენ...) ამასთან, ვერც 2003 წლის 30 დეკემბერს დაინახა, რომ კანონით გაუთვალისწინებელი 5-ჯვრიანი დროშა სახელმწიფო დაწესებულებებზე ფრიალებდა და „ზეპირი მოსმენის გარეშე" მითხრა უარი იუსტიციის სამინისტროდან მისი ჩამოსხსნის თაობაზე 2000 წელს შეტანილი სარჩელის დაკმაყოფილებაზე...

რაც შეეხება დანარჩენ ორ მოსამართლეს (მანანა ჩოხელი და ნანა კობახიძე), სამწუხაროდ, მათთანაც მქონდა შეხება, როდესაც შსს-ს წინააღმდეგ შეტანილი რამოდენიმე სარჩელის მიუხედავად, პოლიციის საპატრულო მანქანებიდან სასამართლოს ვერც შპს „ჯეოსელის" და ვერც „ირაოს" რეკლამები, ხოლო ფორმის ტანსაცმლიდან უცხოენოვანი წარწერები ვერ ჩამოვახსნევინე („მადლობა პატრულს!", ბოლოს თავად მიხვდნენ, რომ კანონს არღვევდნენ და ავტომობილებს წინა სანომრები ნიშნები მიამაგრეს...). აღნიშნულის გათვალისწინებით, თავიდანვე მათი აცილება მოვითხოვე, მაგრამ შუამდგომლობა არ დამიკმაყოფილეს...

მიუხედავად ამისა, მოსამართლეების მიერ „ადგილზე თათბირით" მიღებულმა გადაწყვეტილებამ აცილებაზე უარის თქმის შესახებ გამახარა კიდეც, ვინაიდან, შანსი ეძლევათ „გარდაიქმნან" და საქმის გარემოებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური შესწავლა-გაანალიზების შედეგად „სამართლიანობაც აღადგინონ" და შელახული რეპუტაციაც. მე კი მოქალაქეობრივ და პროფესიულ ვალდებულებად მივიჩნევ საქმეს ბოლომდე მივყვე და, მაქსიმალურად შევეცადო, ის განუკითხაობა, რაც სადღეისოდ თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზეა გამეფებული (ცალკე მსჯელობის საგანია...) და, როგორც ჩანს, პრეზიდენტის ადმინისტრაციასაც მეტასტაზებივით მოედო, მას-მედიის, საზოგადოების და პირველი ქართული უნივერსიტეტის მეცნიერების (მათ შორის „ჩარეცხილების"...) ერთობლივი ძალისხმევით დავასრულო.

ნამდვილად გონივრული იქნებოდა, პრეზიდენტსაც მოეცალა, თუნდაც საქალაქო სასამართლოში ვიზიტისთვის და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებიც დასწრებოდნენ სარჩელის განხილვას. თუ კანონმდებლობის ხარვეზებს და კანონის უზენაესობის პრინციპის ხელყოფის ფაქტს ვერ შენიშნავდნენ, იმაში მაინც დარწმუნდებოდნენ, რომ დაუშვებელია ადმინისტრაციული კოლეგია შენობის სხვენში იყოს განთავსებული და სამართლის ძიებაში მოქალაქეს „ლაბირინთების" გავლა უწევდეს... პრეზიდენტი კი იმას მაინც გაარკვევდა, რომელი

„სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტის" რჩევით ინომრება მისი განკარგულებები ქრონოლოგიურად და არა მიმდევრობით, რის გამოც ყოველთვის აქვს შესაძლებლობა რაიმე ჩაამატოს...

მათ კი, რომელთაც დავის არსი აინტერესებთ, მინდა ვაცნობო, რომ პრეზიდენტის 2013 წლის 30 დეკემბრის №30/12/01 განკარგულებით განსაზღვრული პირობებით ჩატარდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის შესარჩევი კონკურსი, რომლის საფუძველზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად დაინიშნა თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი ვახტანგ მჭედლიშვილი. პრეზიდენტის ოფიციალურ ვებგვერდზე კი განთავსდა ცნობა, რომ მან „შესარჩევ კონკურსში მონაწილეთაგან ერთი კანდიდატი შეარჩია".

კონკურსზე შესული დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ კონკურსი ჩატარდა არსებითი დარღვევებით: ვ. მჭედლიშვილს არ წარუდგენია კანდიდატად რეგისტრაციისთვის აუცილებელი ყველა დოკუმენტი (მაგ., არანაკლებ 10 წლის მუშაობის დამადასტურებელი...), თავად კანდიდატი და მის მიერ წარდგენილი დოკუმენტები არ აკმაყოფილებდა პრეზიდენტის განკარგულებით დადგენილ მოთხოვნებს (მაგ., 60-დან 47 გვერდი სხვა ადვოკატების მიერ სასამართლოებში წარმართული საქმის მასალებია...), წარდგენილ დოკუმენტებში გამოვლინდა განზრახ ან უნებლიეთ შეტანილი არასწორი და წინააღმდეგობრივი მონაცემები (მაგ., დასაქმების ვადები და დაკავებული თანამდებობები...), კანდიდატი წარადგინა არაუფლებამოსილმა სუბიექტმა (არა თსუ-ის აკადემიურმა საბჭომ, არამედ ერთ-ერთი ა(ა)იპ-ს გამგეობამ. ამასთან, ა(ა)იპ-ს არა „ხელმძღვანელმა ორგანომ", არამედ „აღმასრულებელმა"...), ხოლო კანდიდატების შერჩევა განახორციელა არაუფლებამოსილმა ორგანომ (არა „შესარჩევმა", არამედ „კონკურსის ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით შექმნილმა კომისიამ"). ფაქტობრივად, როგორც ეს საქართველოში არცთუ იშვიათად ხდება, „სამართლიანი კონკურენციის პრინციპების" იგნორირებით მოხდა წინასწარშერჩეული პირის, კონკურსის პირობების გვერდის ავლით, დანიშვნა.

სამწუხაროდ, პირველი ინსტანციის სასამართლო საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ყოველგვარი ანალიზის გარეშე, ფაქტობრივად, დაეყრდნო მხოლოდ თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ახალგაზრდა დეკანის ირაკლი ბურდულის რეკომენდაციაში მოცემულ, რბილად რომ ვთქვათ, სინამდვილესთან შეუსაბამო მონაცემებს, აგრეთვე ავტობიოგრაფია მიიჩნია სამუშაო სტაჟის დამადასტურებელ დოკუმენტად და ყურადღება არ მიაქცია შეუსაბამობებს წარდგენილ დოკუმენტებში, რის შედეგადაც დაასკვნა, რომ ვ. მჭედლიშვილი სამეცნიერო საქმიანობასაც აქტიურად ეწევა,

წარმატებული ადვოკატიც არის და, როგორც „სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტი", იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად თავად პრეზიდენტმა შეარჩია...

ამდენად, თუ სააპელაციო სასამართლო იგივეს გაიმეორებს და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას სამართლიანად მიიჩნევს, სანამ სარეზოლუციო ნაწილს 24 ოქტომბრამდე ჩამოაყალიბებს მინდა წინასწარვე გავაფრთხილო, რომ შესაბამისი განჩინების დასაბუთება მოუწევს. ამასთან დაკავშირებით მოსამართლეებს მინდა შევახსენო, რომ გიორგი ხუბუას მიერ გერმანულიდან გადმოქართულებულ „სამართლის თეორიაში" სამართლისა და ლოგიკის კავშირის თაობაზე მრავალი, ფრიად საყურადღებო დანაწესია მოცემული: მაგ., „მოსამართლის (იურისტის) არგუმენტაცია თანმიმდევრული, დასაბუთებული და შინაგანი წინააღმდეგობებისგან თავისუფალი უნდა იყოს", „მოსამართლემ არგუმენტირებულად უნდა დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, უნდა დაარწმუნოს მხარეები გადაწყვეტილების კანონიერებასა და სამართლიანობაში". ამასთან, აღსანიშნავია, რომ იტალიის კანონმდებლობით სასამართლო გადაწყვეტილების არასაკმარისად დასაბუთება ან გადაწყვეტილებაში ლოგიკის არარსებობა ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების სპეციალური საფუძველია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის გარემოების, მხარეების მიერ წარდგენილი მტკიცებულებებისა და გამოთქმული თვალსაზრისის გაანალიზებისას, სააპელაციო სასამართლომ, პირველ რიგში, უნდა გაითვალისწინოს, რომ **პრეზიდენტის №30/12/01 განკარგულების თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი უნდა წარედგინა შესაბამისი ორგანიზაციის კოლეგიურ ხელმძღვანელ ორგანოს. არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს უფლება ჰქონდა წარედგინა კანდიდატი, თუ კონკურსის გამოცხადებამდე არანაკლებ ბოლო 2 წლის განმავლობაში მისი საქმიანობის ერთ-ერთი სფერო იყო წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით მონაწილეობა სასამართლოებში განხორციელებულ საქმეთა წარმოებაში. ამასთან, კანდიდატი უნდა ყოფილიყო სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტი და ესარგებლა მაღალი რეპუტაციით. თავად კანდიდატს კონკურსზე, ავტობიოგრაფიის გარდა, უნდა წარედგინა „სპეციალობით არანაკლებ 10 წლის მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი". განკარგულებითვე, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას „კონკურსის ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით" უნდა შეექმნა კომისია და განეხორციელებია კანონმდებლობით გათ-**

ვალისწინებული სხვა საჭირო ღონისძიებები.

ამდენად, თუ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის გადაწყვეტილებას ძალაში დატოვებენ, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებს, ფაქტობრივად, მოუწევთ დაასაბუთონ, რომ:

1. <u>ა(ა)იპ-საც შეეძლო წარედგინა ასისტენტ-პროფესორი ან ადვოკატი,</u> მიუხედავად იმისა, რომ კანონითაც იქნა დადგენილი და ლოგიკურიც იქნებოდა, პროფესორი უნივერსიტეტს წარედგინა, ხოლო ადვოკატი სსიპ - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას (შესაბამისად, უნივერსიტეტებმა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ კონკურსზე საკუთარი კანდიდატები წარადგინეს). ამასთან, ლოგიკურია, რომ პროფესორს და ადოკატს „არანაკლებ ბოლო 2 წლის განმავლობაში სასამართლოებში განხორციელებულ საქმეთა წარმოებაში წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები“ არ მოეთხოვებოდათ;

2. <u>შრომის წიგნაკი წარმოადგენს ძირითად დოკუმენტს, რომლითაც დგინდება დასაქმების ფაქტი და ხანგრძლივობა,</u> მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობამ „შრომის წიგნაკზე“ დიდი ხნის წინ თქვა უარი (ძველმანების ბაზრობებზე იყიდება...);

3. <u>ავტობიოგრაფია წარმოადგენს დოკუმენტს, რომლითაც დასტურდება სპეციალობით მუშაობის ხანგრძლივობა,</u> მიუხედავად იმისა, რომ შემდგენელს მასში არსებითი შეცდომები აქვს დაშვებული, ხოლო პრეზიდენტის განკარგულების თანახმად ვ. მჭედლიშვილს ცალკე ავტობიოგრაფია უნდა წარედგინა და ცალკე „სპეციალობით არანაკლებ 10 წლის მუშაობის“ თაობაზე მასში ასახული ინფორმაციის დამადასტურებელი, კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები;

4. <u>ვ. მჭედლიშვილის ავტობიოგრაფიასა და შრომის წიგნაკში არსებული წინააღმდეგობრივი ჩანაწერები და შეუსაბამობები მითითებულ თანამდებობებსა და დასაქმების ვადებში პრეზიდენტმა მხოლოდ ტექნიკურ შეცდომად ჩათვალა,</u> მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტს საერთოდ არ უნახავს ვ.მჭედლიშვილის მიერ წარდგენილი დოკუმენტები;

5. <u>ე. წ. შრომის წიგნაკი სამუშაოდან განთავისუფლების შემდეგ უნდა ივსებოდეს და არა დაწყებისას,</u> მიუხედავად იმისა, რომ ადრემოქმედი კანონის თანახმად შრომის წიგნაკში შესაბამისი ჩანაწერი საჯარო სამსახურში დასაქმებისთანავე უნდა შესრულებულიყო. ფაქტია, რომ ვ. მჭედლიშვილის მიერ კონკურსზე წარდგენილი „შრომის წიგნაკი“ შევსებულია იუსტიციის საბჭოში

მხოლოდ 2000 წლის 17 აპრილს, თუმცა ჩანაწერის თანახმად, ვ. მჭედლიშვილი იუსტიციის საბჭოს წევრის თანაშემწედ 1998 წლის 26 ოქტომბრიდან 2000 წლის 5 აპრილამდე მუშაობდა, ხოლო 5 აპრილიდან უკვე საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროში მუშაობს...

6. შრომის წიგნაკი სანდო დოკუმენტია და საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროში 2000 წელს არსებობდა „მინისტრის აპარატის მინისტრის სამდივნოს მინისტრის თანაშემწის“ თანამდებობა (შრომის წიგნაკის ჩანაწერის თანახმად, ვ.მჭედლიშვილი ამ თანამდებობაზე 2000 წლის 31 ივლისიდან მხოლოდ 01 სექტემბრამდე მუშაობდა. ანუ, მთელი აგვისტო შრომაში გაატარა...) და საგადასახადო შემოსავლების სამინისტროში 2000 წლის 5 აპრილიდან იმავე წლის 1 სექტემბრამდე, ფაქტობრივად, სულ 4 თვე აქვს ნამუშევარი, მიუხედავად იმისა, რომ ავტობიოგრაფიის მიხედვით „1999-2000 წლები - შემოსავლების სამნისტროს რეფორმების სამდივნოს უფროსი, მინისტრის თანაშემწეა“, „2000 წელი - საქართველოს იუსტიციის საბჭოში საზოგადოებასთან ურთიერთობის სექტორის უფროსია“, ხოლო „2000-2003 წლები - საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ბიუროს უფროსია“ (ანუ, იუსტიციის საბჭოში ფაქტობრივად რამოდენიმე თვით დაბრუნდა...).

7. თსუ-ის კანცელარიის მიერ 2014 წლის 10 იანვარს გაცემული ცნობით შეიძლება იმის დადგენა, თუ რამდენი წელი აქვს ნამუშევარი ვ. მჭედლიშვილს პირველ ქართულ უნივერსიტეტში, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ცნობაში მხოლოდ ის ინფორმაციაა მოცემული, რომ „ვ. მჭედლიშვილი არჩეულია იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე...“;

8. ვ. მჭედლიშვილს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში მხოლოდ ორი კვირა აქვს ნამუშევარი, როგორც ეს ავტობიოგრაფიაში უწერია (06.06.2013-20/06.2014), მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროს მიერ გაცემული ცნობით (სასამართლოში იქნა წარმოდგენილი) მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე ის რამოდენიმე თვე იყო დასაქმებული...;

9. ვ. მჭედლიშვილი „აქტიურ სამეცნიერო საქმიანობას ეწევა“, მიხედავად იმისა, რომ მას კონკურსზე არ აქვს წარდგენილი არცერთი სამეცნიერო ნაშრომი და არც წარმოდგენილ დოკუმენტებში აქვს სადმე ნახსენები, რომ მის სამეცნიერო საქმიანობას რაიმე შედეგი მოჰყვა;

10. ვ. მჭედლიშვილი წარმატებული ადვოკატია, მიუხედავად იმისა, რომ კონკურსზე არ წარუდგენია არცერთი საქმე, რომელ-

შიც ის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით მონაწილეობდა სასამართლოებში განხორციელებულ საქმეთა წარმოებაში (კონკურსზე წარდგენილი 60 გვერდიდან 47 საზოგადოებისთვის ცნობილი ადვოკატების მიერ სასამართლოებში წარმართული საქმეებია);

11. ვ. მჭედლიშვილის მიერ კონკურსზე წარდგენილი 60 გვერდიდან ბოლო 47 გვერდს რაიმე სახის პირდაპირი ან ირიბი კავშირი მაინც აქვს მის პროფესიულ საქმიანობასთან, მიუხედავად იმისა, რომ მათზე ასახულია საზოგადოებისთვის ცნობილი ადვოკატების (როინ მიგრიაულის, დავით ლანჩავას და ირაკლი ყანდაშვილის) მიერ 2010-2013 წლებში სასამართლოებსა და არბიტრაჟებში წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით წარმართული საქმეების მასალები;

12. საქართველოს კანონმდებლობა იურიდიულ პირს სასამართლოებში საქმეთა განხილვაში წარმომადგენლის სტატუსით მონაწილეობის საშუალებას აძლევს (თუ სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 47-ე მუხლის თანახმად „მონაწილეობა სასამართლოებში განხორციელებულ საქმეთა წარმოებაში" კანდიდატს კი არ მოეთხოვება, არამედ მის წამდგენ „იურიდიულ პირს"), მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს სასამართლოებში კანონიერი წარმომადგენელი (რწმუნებული) შეიძლება მხოლოდ ფიზიკური პირი იყოს;

13. ა(ა)იპ „საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის" წევრთა მიერ საკუთარი პროფესიის შესაბამისად განხორციელებული მიმდინარე (ყოველდღიური) საქმიანობა, თავად ამ არასამთავრობო ორგანიზაციის (იურიდიული პირის) საქმიანობად ითვლება, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ორგანიზაციაში გაწევრიანებული ადვოკატები პროფესიულ საქმიანობას სრულიად დამოუკიდებლად ახორციელებენ, ხოლო კონკრეტულ ა(ა)იპ-ში ამ იურიდიული პირის საწესდებო მიზნების განსახორციელებლად წევრიანდებიან.

14. ვ. მჭედლიშვილმა კონკურსზე წარადგინა მისი წარმდგენი იურიდიული პირის მიერ, არანაკლებ ბოლო ორი წლის განმავლობაში სასამართლოებში განხორციელებულ საქმეთა წარმოებაში წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები, მიუხედავად იმისა, რომ კონკურსზე წარდგენილ დოკუმენტებში (სულ 60 გვერდი) მხოლოდ 3 ცნობილი ადვოკატის მიერ 2010-2013 წლებში სასამართლოებსა და არბიტრაჟებში წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით წარმართული საქმეების მასალებია (47 გვერდი);

15. ვ. მჭედლიშვილმა კონკურსზე წარადგინა პრეზიდენტის განკარგულებით გათვალისწინებული „არანაკლებ ბოლო 2 წლის განმავლობაში სასამართლოებში განხორციელებულ საქმეთა წარმოებაში წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები“ (თუ სააპელაციო სასამართლო სამართლის ნორმის განმარტების ცნობილი მეთოდების (საშუალებების) გამოყენების საფუძველზე სავსებით გონივრულად ჩათვლის, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 47-ე მუხლის თანახმად „მონაწილეობა სასამართლოებში განხორციელებულ საქმეთა წარმოებაში“ სწორედ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატს მოეთხოვება და არა მის წამდგენ იურიდიულ პირს), მიუხედავად იმისა, რომ ვ. მჭედლიშვილმა კონკურსზე სხვა ადვოკატების მიერ წარმოებული საქმეების ასლები წარადგინა;

16. ვ. მჭედლიშვილთან მიმართებაში დაცული იყო პრეზიდენტის განკარგულების მე-4 პუნქტით და მე-6 პუნქტის ზ) ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნა, რომლითაც უნდა წარედგინა „კონკურსის გამოცხადებამდე არანაკლებ ბოლო 2 წლის განმავლობაში სასამართლოებში განხორციელებულ საქმეთა წარმოებაში წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები“. მიუხედავად იმისა, რომ კონკურსზე წარდგენილი დოკუმენტებით არც თავად ვ.მჭედლიშვილის მონაწილეობა დასტურდება სასამართლოებში განხორციელებულ საქმეთა წარმოებაში და არც მისი წარმდგენი იურიდიული პირის (ამის დასადასტურებლად წარდგენილ 47 გვერდზე არსად არის ნახსენები ა(ა)იპ „საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის“. წარმოდგენილი დოკუმენტებით მხოლოდ ის დასტურდება, რომ სამი ადვოკატი საკუთარი სახელით, სრულიად დამოუკიდებლად ახორციელებენ წარმომადგენლობით უფლებამოსილებას);

17. ა(ა)იპ-ს „ხელმძღვანელი ორგანო“ და „აღმასრულებელი ორგანო“ ერთი და იგივე ინსტიტუტია (შესაბამისი კანონისა და პრეზიდენტის განკარგულების თანახმად, კანდიდატის წარდგენის უფლება მხოლოდ ა(ა)იპ-ს „ხელმძღვანელ ორგანოს“ გააჩნდა, ხოლო ვ. მჭედლიშვილი წარადგინა „აღმასრულებლმა ორგანომ“), მიუხედავად იმისა, რომ ა(ა)იპ „საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის“ წესდებაში (რომლის წევრი ვ. მჭედლიშვილი არასდროს ყოფილა და ამ ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციისთვის არც სამართლებრივი დახმარება გაუწევია ოდესმე) მკაფიოდ წერია, რომ ამ

ა(ა)იპ-ს ხელმძღვანელი ორგანოა „საერთო კრება“, ხოლო „გამგეობა“ მხოლოდ „აღმასრულებელი ორგანოა“ და ამ ორ ორგანოს სრულიად განსხვავებული უფლებამოსილება გააჩნიათ;

18. თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის ირაკლი ბურდულის მიერ ვ.მჭედლიშვილისთვის მიცემული რეკომენდაცია ნდობას იმსახურებს, მიუხედავად იმისა, რომ უტყუარად დასტურდება, რომ ამ დოკუმენტში ასახული ყველა ინფორმაცია მცდარია (გაყალბებულია);

19. თსუ-დან რეკომენდაცია უფლებამოსილი პირის მიერ არის გაცემული, მიუხედავად იმისა, რომ ვ. მჭედლიშვილს რეკომენდაცია მისცა უშუალოდ ირაკლი ბურდულმა (ფაკულტეტის დეკანმა, სამართლის დოქტორმა), თუმცა დოკუმენტი ისე შეადგინა, თითქოს „იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს სახელით“ მოქმედებდა.

20. არსებობს „იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის“ თანამდებობა, მიუხედავად იმისა, რომ თსუ-ის და იურიდიული ფაკულტეტის წესდებების შესაბამისად, ფაკულტეტის საბჭო ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა, ხოლო დეკანის უფლებამოსილებათა ჩამონათვალში ე) ქვეპუნქტად მითითებულია, რომ „თავმჯდომარეობს საბჭოს სხდომებს“, მაგრამ მისი ეს უფლებამოსილება სულაც არ ნიშნავს, რომ დეკანს ზემოაღნიშნული თანამდებობაც უკავია. ირაკლი ბურდული ფაკულტეტის დეკანია, ხოლო „ფაკულტეტის საბჭოს სხდომის თავმჯდომარის“ (და არა „საბჭოს თავმჯდომარის“!) სახელით, მხოლოდ მაშინ აქვს უფლება ხელი მოაწეროს დოკუმენტს, თუ საბჭოს სხდომა გაიმართება და თავად იქნება თავმჯდომარე. სასამართლოშიც „საქმის არსებითი განხილვის სხდომას წარმართავს სხდომის თვმჯდომარე“ (სსსკ, მუხლი 227), მაგრამ „სასამართლოს თავმჯდომარე“ სრულიად სხვა ინსტიტუტია (ფაქტობრივად, მოსამართლეების „დეკანია“...).

21. იურიდიული ფაკულტეტის საბჭომ რეკომენდაცია მისცა ვ. მჭედლიშვილს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად დასანიშნად (დეკანის მიერ გაცემულ დოკუმენტშია ასე აღნიშნული), მიუხედავად იმისა, რომ ფაკულტეტის საბჭოს აღნიშნულ საკითხზე არასოდეს უმსჯელია, ხოლო მცდარი მონაცემების შემცველი რეკომენდაცია ერთპიროვნულად გასცა ფაკულტეტის დეკანმა ირაკლი ბურდულმა;

22. „ვ. მჭედლიშვილს 1999 წელს სასამართლოს რეფორმის განსორციელებაში შეტანილი წვლილისთვის გამოცხადებული აქვს პრეზიდენტის მადლობა“ (დეკანის მიერ გაცემულ რეკომენდაციაშია ასე არის აღნიშნული), მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი განკარგულებით ედუარდ შევარდნაძეს მისთვის

მადლობა „სასამართლო რეფორმის მიმდინარეობის ორგანიზაციაში პირადი წვლილისთვის“ აქვს გამოცხადებული (მასთან ერთად 20-მდე პირს გამოუცხადა მადლობა, ხოლო საერთო სასამართლოების მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელები ღირსების მედლებით დააჯილდოვა...).

23. პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა არ გადაამეტა უფლებამოსილებას, როდესაც ბრძანებით შექმნა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის „შესარჩევი კომისია“, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის განკარგულების თანახმად, მისი ადმინისტრაციის უფროსს კომისია „კონკურსის ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით“ უნდა შეექმნა.

24. „კონკურსის ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით“ შექმნილი კომისიის წევრები უფლებამოსილი იყვნენ გასაუბრებოდნენ კანდიდატებს და შეერჩიათ მათ შორის საუკეთესო, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის განკარგულებით მხოლოდ კონკურსის ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საჭირო ღონისძიებების განხორციელება ევალებოდათ (საგულისხმოა, რომ პრეზიდენტმა, ფაქტობრივად თავად აღიარა შეცდომა და მომდევნო კონკურსის გამოცხადებისას ადმინიტრაციას უკვე „შესარჩევი კომისიის“ შექმნას ავალებს);

25. „კონკურსის ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით“ შექმნილ ან თუნდაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის „შესარჩევ კომისიას“, უფლება ჰქონდა კანდიდატებთან გასაუბრებაზე კომისიის თავმჯდომარის ნაცვლად გარეშე პირი მოეწვია, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის ბრძანებით 3 კაციანი საარჩევნო კომისია იყო შექმნილი;

26. „სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტობისთვის“ საკმარისია იურისტი იუსტიციის საბჭოსა ან უზენაეს სამართლოში რიგით თანამდებობებზე მუშაობდეს (თუნდაც 2 კვირა გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილედ...), და ედუარდ შევარდნაძისგან 1999 წელს მადლობა ჰქონდეს გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში საკანონმდებლო საქმიანობაში სრული განუკითხაობა იყო, იუსტიციის საბჭოდან „ტესტები ჟონავდა“, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს გამოცდები არ ჩაუბარებით და „ჟვანია-სააკაშვილის სასამართლო რეფორმამ“, ფაქტობრივად, კრახი განიცადა;

27. ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტს სასამართლო რეფორმის ეფექტურად განსახორციელებლად და მოსა-

მართლეების საქმიანობის გასაანალიზებლად იუსტიციის უმაღლეს საბჭოში სწორედ ვ. მჭედლიშვილისნაირი წარმომადგენელი სჭირდება, მიუხედავად იმისა, რომ მას ერთი პუბლიკაციაც არ აქვს გამოქვეყნებული კანონმდებლობის სრულყოფის ან სასამართლო რეფორმის აქტუალურ საკითხებზე. ამასთან, „სამართლის დარგის აღიარებულმა სპეციალისტმა“ ვ. მჭედლიშვილმა სხვისი ნაწერი როგორ უნდა გაანალიზოს და შეცდომები შენიშნოს, როდესაც კონკურსზე წარსადგენი საკუთარი დოკუმენტები ვერ მოუწესრიგებია და ორგვერდიან ავტობიოგრაფიაში „გაეპარა“ შეცდომები... ;

28. იურისტი ვ. მჭედლიშვილი უზენაესი სასამართლოს წევრად ახლახან წარდგენილ სამართლის დოქტორ, პროფესორ ზურაბ ძლიერიშვილზე გაცილებით უფრო აღიარებული „სამართლის დარგის სპეციალისტია“. თუ ამის დაასაბუთებას მოახერხებენ, ამ შემთხვევაში, მოსამართლეებს იმის გონივრულად ახსნა მოუწევთ, თუ როგორ მოხდა, რომ იმავე კონკურსში მონაწილეობას იღებდა ვ. მჭედლიშვილის სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამართლის დოქტორი, პროფესორი ზურაბ ძლიერიშვილი, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტმა და ა(ა)იპ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ წარადგინა, თუმცა მას დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტმა აჯობა, რაც ადასტურებს, რომ პრეზიდენტს და მის ადმინისტრაციას ერთობ სპეციფიკური წარმოდგენა აქვთ როგორც სამართლის დარგის, ასევე იურისტის კვალიფიკაციის შეფასების კრიტერიუმების თაობაზე...

სხვათა შორის, ვ. მჭედლიშვილის წარმომადგენელმა სასამართლოში განაცხადა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის კონკურსთან მიმართებაში იურისტისთვის „სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტის“ სტატუსის მინიჭება მხოლოდ პრეზიდენტის (ფილოსოფოსის!) უფლებამოსილებას შეადგენს და სასამართლოს ჩემი სარჩელი საერთოდ არ უნდა განეხილა... პრეზიდენტის წარმომადგენლის განმარტებით კი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მიერ „კონკურსის ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი შესარჩევი კომისიისთვის“(?!), კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი ე. წ. შრომის წიგნაკიც და იურიდიული ფაკულტეტის დეკანის გაყალბებული რეკომენდაციაც სარწმუნო დოკუმენტები, ხოლო მათში „გაპარული“ შეცდომები, მხოლოდ ტექნიკური ხასიათის ყოფილა. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ 1999 წელს „სასამართლო რეფორმა“, ფაქტობრივად, ჩავარდა, ტესტებსა და კაზუსებში მრავალი (მათ შორის, არსებითი...) შეცდომა იყო „გაპარული“, ხოლო მოსამართლეებისთვის გამოცდების ჩატარებისას იუსტიციის საბჭოდან ინფორმაციამ „გაჟონა“

და მოსამართლეებმა ამაში საკმაოდ სოლიდური თანხა გადაიხადეს (ამის თაობაზე თავად „რეფორმების მამამ" - სააკაშვილმა არაერგზის განაცხადა და ჩვეული რიხით ისიც ამცნო საზოგადოებას, როგორ მოუწიათ მას და ზურა ადეიშვილს მთელი ღამის განმავლობაში ახალი ტესტების შემუშავება...), არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონია, რატომ გამოუცხადა მადლობა ედუარდ შევარდნაძემ ვ. მჭედლიშვილს ან რატომ იმუშავა მან გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილედ მხოლოდ ორი კვირა...

მოკლედ, თუ საპელაციო სასამართლო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას ძალაში დატოვებს და ამის საკმარისად დასაბუთებას მოახერხებს, ანუ უტყუარ მტკიცებულებებზე დაყრდობით დამარწმუნებს გადაწყვეტილების კანონიერებასა და სამართლიანობაში, ვაღიარებ, რომ ახალგაზრდა პრეზიდენტიც, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახალი წევრიც და მისი რეკომენდატორი - იურიდიული ფაკულტეტის დეკანიც - ქვეყანაში „სამართლიანობას აღადგენენ" და „შეწუხებისთვის" საჯაროდ ბოდიშს მოვუხდი. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმის განმხილველ მოსამართლეებსაც იმ ნომენკლატურულ გამყალბებლებთან („აღიარებულ სპეციალისტებთან") ერთად მოვიხსენიებ, ვინც საქართველოში სიცრუისა და უსამართლობის ტოტალურად გავრცელებას უწყობს ხელს.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მაინც თუ გაბედა და ობიექტური გადაწყვეტილება გამოიტანა, კიდევ მექნება იმედი, რომ ქვეყანა სამართლებრივი წყვდიადიდან გამოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვშიშობ, ისევ ის, სააკაშვილის დანატოვარი სასამართლოს ბუტაფორულფასადიანი პლუტოკრატიული ტირანია (ძალადობასა და თვითნებობაზე დაფუძნებული რეჟიმი) შეგვრჩება ხელში, რომლისთვისაც ადამიანის უფლებების ნაცვლად პრიორიტეტული „სახელმწიფოს", მმართველი პარტიის, ან კიდევ უარესი, რომელიმე ერთი „მოქალაქის" ინტერესები იქნება. ყველა შემთხვევაში, თუ კონკურსებისა და არჩევნების ჩატარების სფეროში არსებული განუკითხაობით საზოგადოებაც არ დაინტერესდა და ვითარება არსებითად არ გამოსწორდა, ევროკავშირს ვინ ჩივის, შეიძლება ევრაზიულშიც აღარავინ გაგვიკაროს...

ამდენად, როგორი გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს სააპელაციო სასამართლომ, პრეზიდენტს ვურჩევ, „უზენაესის" გადაწყვეტილებას აღარ დაელოდოს და „სამართლიანობის აღდგენა" საკუთარი განკარგულების ბათილად ცნობით დაიწყოს. ამასთან, ვინაიდან დაუშვებელია იურისტების აღმზრდელი თავად არღვევდეს კანონს ან პროფესიული ეთიკის ნორმებს, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი ირაკლი ბურდული ნებით თუ არ გადადგება თანამდებობიდან გაყალბებული რეკომენდაციის გაცემისთვის, ვადამდე უნდა შეუწყდეს უფლებამოსილება.

კომენტარი:

2014 წლის 10 ოქტომბერს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ დაასრულა „იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად ვახტანგ მჭედლიშვილის დანიშვნის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 16 იანვრის N16/01/01 განკარგულების გათილად ცნობის თაობაზე საჩივრის განხილვა და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება ორი კვირით გადადო. საქმის მსვლელობის შესახებ პერიოდულად ვაქვეყნებდი სტატიებს და საინფორმაციო სააგენტოების („რეპორტიორი", „პრაიმ ტაიმი") დახმარებითაც ვაბარებდი ანგარიშს საზოგადოებას, თუმცა არც ე. წ. რეიტინგული ტელევიზიები და არც არასამთავრობო ორგანიზაციები დაინტერესებულან, თუ როგორ ჩატარდა კონკურსი პრეზიდენტის ადმინისტრაციაში. სასამართლო რეფორმასთან მიმართებაში საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე გადავწყიტე წინამდებარე კრებულში ერთი საგაზეთო პუბლიკაციაც შემეტანა, რომელიც მკაფიოდ წარმოაჩენს საქართველოში სამართლებრივი ნიჰილიზმის (სამართლის ნორმების არცოდნის და/ან აბუჩად აგდების) მასშტაბებს.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის დანიშვნის კანონიერებასთან დაკავშირებით სასამართლოში მიმდინარე დავის თაობაზე გაზეთ „რეზონანსში", შემდეგი სტატიები გამოქვეყნდა:

„პრეზიდენტს მოქალაქის კითხვებზე პასუხის გაცემა სასამართლოში მოუწევს", (02.04. 2014);

„16 აპრილს პრეზიდენტს სასამართლოში ელოდებიან", (14.04. 2014);

„დღეს, 10 საათზე, პრეზიდენტი სასამართლოშია დაბარებული", (16.04. 2014);

„ტესტი დემოკრატიულობაზე", (28.04. 2014);

„მეცნიერი თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანს სიყალბეში ამხელს", (08.08. 2014);

„მოქალაქე პრეზიდენტის წინააღმდეგ", (22.09. 2014);

„მოსარჩელე პრეზიდენტს სასამართლოში მისვლას სთხოვს", (26.09. 2014);

„სამართლის დოქტორი პრეზიდენტს სასამართლოში უჩივის", (20.10. 2014);

როგორც ვივარაუდე, „სამართლიანობის აღდგენა" ვერც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ (თავმჯდომარე: ნინო ქადაგიძე, მოსამართლეები: მანანა ჩოხელი და ნანა კობახიძე) გაბედა და 2014 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით უცვლელად დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის (მოსამართლე: ხატია არდაზიშვილი) 2014 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით

გავასაჩივრე, ვინაიდან საქმე სწორედ სამართლის განვითარებისთვის მნიშვნელოვნად მივიჩნიე.

ვინაიდან ვთვლი, რომ აღნიშნული საქმე სწორედ სასამართლო რეფორმასთან მიმართებით უნდა იყოს საზოგადოებისთვისაც საინტერესო, წინამდებარე კრებულში თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მიერ გაცემული რეკომენდაცია და საკასაციო საჩივრიდან ამონარიდებიც შევიტანე.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი

IVANE JAVAKHISHVILI
TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF LAW

№ 21431-05 "09" 01 2014 წ.

რეკომენდაცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს სახელით მინდა რეკომენდაცია გაგიწიო წვენი აკადემიური წრის წარმომადგენლის ბატონ *გიორგი მჭედლიშვილის* საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობაზე დასანომინებლად.

2005 წლიდან ბატონი გიორგი არის თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი და აქტიურად ეწევა ქვეყნის სამეწარმეო საქმიანობის კურსის სწავლებას მთელი ამ პერიოდის განმავლობაში. მას აქვს დიდი გამოცდილება საერთო სასამართლოების სისტემის საკითხებზე მუშაობაში. 2000-2003 წლებში იგი მოღვაწეობდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში თავმჯდომარის ბიუროს უფროსად. 1999 წელს სასამართლო რეფორმის განხორციელებაში შეტანილი წვლილისათვის გამოცნობებული აქვს საქართველოს პრეზიდენტის მადლობა. ეწეოდა მრავალწლიან წარმატებულ საადვოკატო პრაქტიკას, რაც კოლეგ ერთხელ ადასტურებს მის დიდ გამოცდილებასა და მაღალ პროფესიონალურ უნარ-ჩვევებს ამ სფეროში. ყოველივე ეს კი აუცილებელია უზენაესის უმაღლესი სასამართლოს წევრის სტატუსის დასაკუთებლად.

პატივისცემით,

ირაკლი ბურდული

პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

დეკანი

ამონარიდი საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2014 წლის 04 დეკემბერს შეტანილი საკასაციო საჩივრიდან

კასატორი: ავთანდილ კახნიაშვილი

მოწინააღმდეგე მხარე: საქართველოს პრეზიდენტი

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ოქტომბრის განჩინება (საქმე N 3ბ/817-14).

(მოსამართლეები: ნინო ქადაგიძე, მანანა ჩოხელი, ნანა კობახიძე)

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები (გვ. 3-4):

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ 2014 წლის 24 ოქტომბერს მიღებული მიკერძოებული, უკანონო და სრულიად დაუსაბუთებელი განჩინება უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ა) სააპელაციო სასამართლომ, ფაქტობრივად, პასუხი არ გასცა არც ერთ კითხვას და არგუმენტს, რომლებიც ჩამოყალიბებული იყო სააპელაციო საჩივარში და სასამართლოში შეტანილ განცხადებებში, აგრეთვე გამოთქმული იყო სასამართლო სხდომაზე;

ბ) სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევია ის მტკიცებულებები, რომლებზეც აპელანტი აფუძნებდა თავის პოზიციას;

გ) სასამართლომ არ განმარტა და არ დაასაბუთა, თუ რატომ არ გაიზიარა წარმოდგენილ უტყუარ მტკიცებულებებზე დაფუძნებული აპელანტის მოსაზრებები და დასკვნები;

დ) სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა („საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-6 პუნქტი, პრეზიდენტის 2013 წლის 30 დეკემბრის განკარგულების მე-6 პუნქტის ვ) ქვეპუნქტი და „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის ვ) ქვეპუნქტი);

ე) სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, რომელიც გამოიყენა („საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-5 პუნქტი და საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 30 დეკემბრის განკარგულების მე-2, მე-4, მე-5 და მე-9 პუნქტები);

ვ) სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ დაასაბუთა თავისი განჩინება და საკუთარი პოზიციის დასაბუთებისთვის, ყოველგვარი

გამოკვლევის გარეშე, გამოიყენა მხოლოდ მოწინააღმდეგე მხარის (მოპასუხის) არგუმენტები. შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მოსამართლეები,სააპელაციოსაჩივრისსაფუძვლიანიგაცნობისგარეშე, მხოლოდ პრეზიდენტის შესაგებელში გადმოცემულ მოსაზრებებს დაეყრდნენ. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში მხოლოდ მოწინააღმდეგე მხარის (მოპასუხის) შესაგებლებიდან არის შეტანილი ამონარიდები, ხოლო დანარჩენი ტექსტი, ფაქტობრივად, კანონმდებლობიდან აღებული ისეთი სამართლის ნორმებით არის შევსებული, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა დავის სამართლიანი გადაწყვეტისთვის.

ზ) სასამართლო არ იყო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, ფაქტობრივად, მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის როლში მოგვევლინა და განჩინება, ფაქტობრივად, სააპელაციო საჩივრისა და საქმეში არსებული მასალების გაცნობის გარეშე გამოიტანა. აღნიშნული დასტურდება სასამართლოს პირველივე სხდომაზე მომხსნებელი მოსამართლის მხრიდან ჩემი დავალდებულებით დამემტკიცებინა, რომ ვახტანგ მჭედლიშვილს არ ჰქონდა სპეციალობით 10 წელზე მეტი ნამუშევარი... (არსად მითქვამს, რომ მას არ ჰქონდა 10 წელზე მეტი ნამუშევარი, ვაცხადებდი და შესაბამისი მტკი-ცებულებებით უტყუარად ვადასტურებდი, რომ ამ ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი ვ. მჭედლიშვილს კონკურსზე არ წარუდგენია) და განჩინებაში, თუნდაც იმის აღნიშვნით, რომ „აპელანტი სადავოდ არ ხდის ვ. მჭედლიშვილის წარმდგენი ა(ა)იპ-ს სასამართლოში წარმომადგენლობითი მონაწილეობის ფაქტს" (რომელიმე მოსამართლეს ჩემი სააპელაციო საჩივარი რომ გადაეკითხა, დარწმუნდებოდა, რომ ა(ა)იპ-ს მიერ სასამართლოში წარმომადგენლობითი მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი კონკურსზე წარდგენილი არ ყოფილა);

თ) საქმის განმხილველი მოსამართლეები აშკარად მიკერძოებული იყვნენმოწინააღმდეგე მხარის მიმართ და არ დააკმაყოფილეს საფუძვლიანი შუამდგომლობები მათი აცილების თაობაზე.

დარღვევები, რის გამოც უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (გვ. 4-27)

მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო საჩივარში ჩამოყალიბებული არგუმენტების და სასამართლო სხდომებზე გამოთქმული მოსაზ-რებების, აგრეთვე, სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებების

და კონკურსზე შესული დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე უტყუარად დასტურდებოდა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის შესარჩევი კონკურსი საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ჩაატარა არსებითი დარღვევებით, სააპელაციო სასამართლომ სრულიად დაუსაბუთებლად არ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი და უცვლელად დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ კონკურსში გამარჯვებულ პირს არ წარუდგენია კანდიდატად რეგისტრაციისთვის აუცილებელი ყველა დოკუმენტი (მაგალითად, არანაკლებ 10 წლის მუშაობის დამადასტურებელი...), თავად კანდიდატი და მის მიერ წარდგენილი დოკუმენტები არ აკმაყოფილებდა პრეზიდენტის 2013 წლის 30 დეკემბრის განკარგულებით დადგენილ მოთხოვნებს (მაგ., 60-დან 47 გვერდი სხვა ადვოკატების მიერ სასამართლოებში წარმართული საქმის მასალებია...), კონკურსზე წარდგენილ დოკუმენტებში გამოვლინდა განზრახ ან უნებლიეთ შეტანილი არასწორი და წინააღმდეგობრივი მონაცემები (მაგ., დასაქმების ვადები და დაკავებული თანამდებობები...), კანდიდატი წარადგინა არაუფლებამოსილმა სუბიექტმა (არა თსუ-ს აკადემიურმა საბჭომ, არამედ ერთ-ერთი ა(ა)იპ-ს გამგეობამ. ამასთან, ა(ა)იპ-ს არა „ხელმძღვანელმა ორგანომ", არამედ „აღმასრულებელმა"...), ხოლო კანდიდატების შერჩევა განახორციელა არაუფლებამოსილმა ორგანომ (არა „შესარჩევმა", არამედ „კონკურსის ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით შექმნილმა კომისიამ"). ფაქტობრივად, როგორც ეს საქართველოში არცთუ იშვიათად ხდება, „სამართლიანი კონკურენციის პრინციპების" იგნორირებით მოხდა წინასწარშერჩეული პირის კონკურსის პირობების გვერდის ავლით დანიშვნა. ადმინისტრაციული სარჩელის შეტანით კი, სასამართლო ხელისუფლებას მიეცა საშუალება პრეზიდენტისა და მისი ადმინისტრაციისთვის კანონის უზენაესობის პრინციპის დაცვის ვალდებულება (საქართველოს კონსტიტუციის 44-ე მუხლის პირველი პუნქტი) შეეხსენებინა და დაშვებული შეცდომა გაესწორებინა. სამწუხაროდ, სააპელაციო სასამართლოც საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ყოველგვარი ანალიზის გარეშე, ფაქტობრივად, დაეყრდნო მხოლოდ თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის ირაკლი ბურდულის რეკომენდაციაში მოცემულ, რბილად რომ ვთქვათ, სინამდვილესთან შეუსაბამო მონაცემებს, აგრეთვე ავტობიოგრაფია და შრომის წიგნაკი მიიჩნია სამუშაო სტაჟის დამადასტურებელ დოკუმენტად და ყურადღება არ მიაქცია შეუსაბამობებს წარდგენილ დოკუმენტებში, რის შედეგადაც, 2014

წლის 24 ოქტომბრის განჩინებით, ფაქტობრივად, დაადგინა, რომ ვ. მჭედლიშვილი სამეცნიერო საქმიანობასაც აქტიურად ეწევა, წარმატებული ადვოკატიც არის და, როგორც „სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტი", იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად თავად პრეზიდენტმა შეარჩია...

სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 24 ოქტომბრის განჩინება, თუნდაც იმიტომ უნდა გაუქმდეს, რომ ჩემი სააპელაციო საჩივრის განხილვისას აშკარად დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა (იხ. საქმის მასალები და სხდომების ვიდეოჩანაწერი). სასამართლო არ იყო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი. საქმის განმხილველი მოსამართლეები, ფაქტობრივად, მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატების როლში მოგვევლინენ და განჩინება, ფაქტობრივად, სააპელაციო საჩივრისა და საქმეში არსებული მასალების გაცნობის გარეშე გამოიტანეს. აღნიშნული დასტურდება სასამართლოს პირველივე სხდომაზე მომხსნებელი მოსამართლის (პალატის თავმჯდომარის) მხრიდან ჩემი დავალდებულებით დამემტკიცებინა, რომ ვ. მჭედლიშვილს არ ჰქონდა სპეციალობით 10 წელზე მეტი ნამუშევარი (არსად მითქვამს, რომ მას არ ჰქონდა 10 წელზე მეტი ნამუშევარი, ვაცხადებდი და შესაბამისი მტკიცებულებებით უტყუარად ვადასტურებდი, რომ ამ ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი არ ჰქონდა წარდგენილი კონკურსზე), განჩინების მე-20 გვერდის მე-3 აბზაცში, თუნდაც იმის აღნიშვნით, რომ „პელანტის მხრიდან საქმეში არ არის არცერთი მტკიცებულება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა შრომის წიგნაკში ასახული მონაცემების ნამდვილობას" (საჩივარშიც და სარჩელშიც მკაფიოდ მიწერია, რომ შრომის წიგნაკში მცდარი მონაცემებია შეტანილი და მისი შევსების წესიც კი არ არის დაცული...) ან მე-19 გვერდის მე-4 აბზაცში იმის აღნიშვნა, რომ „აპელანტი სადავოდ არ ხდის ვ. მჭედლიშვილის წარმდგენი ა(ა) იპ-ს სასამართლოში წარმომადგენლობითი მონაწილეობის ფაქტს" (რომელიმე მოსამართლეს ჩემი სააპელაციო საჩივარი რომ გადაეკითხა ასეთ რამეს ხელს არ მოაწერდა).

ამასთან, სრულიად გაუგებარია, როგორ ჩაწერეს განჩინებაში მოსამართლეებმა, რომ „დაუშვებელია პრეზიდენტის დავალდებულება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად დანიშნოს კონკურსის მონაწილე ის კანდიდატი, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობის და პრეზიდენტი 2013 წლის 30 დეკემბრის N30/12/01 განკარგულების მოთხოვნებს" (განჩინების მე-16 გვერდის მე-2 აბზაცი), მოსამართლეთა ლოგიკით გამოდის, რომ თუ პრეზიდენტმა კანონმდებლობის დარღვევით განახორციელა რაიმე ქმედება

(მაგალითად, კონკურსზე სათანადო დოკუმენტების წარდგენის გარეშე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად დანიშნა იურიდიული განათლების არმქონე „ახლობელი"...), სასამართლომ, თურმე არ შეიძლება მას მიუთითოს კანონის (საქართველოს კანონმდებლობისა და თავისივე განკარგულების, ფაქტობრივად კონსტიტუციის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის) დაცვის ვალდებულების თაობაზე?! როგორც ჩანს, მოსამართლეები იმაშიც კი ვერ გაერკვნენ, რომ აღნიშნულ თანამდებობაზე სამართლის დარგის რომელიმე ერთი „აღიარებული სპეციალისტის" (მაგ., ნინო ნიშნიანიძის, ზურაბ ძლიერეიშვილის, მამუკა მდინარაძის) დანიშვნას კი არ ვითხოვდი, არამედ, მას შემდეგ რაც კონკურსში „გამარჯვებული" კანდიდატის დოკუმენტებში და კონკურსი ჩატარების პროცედურაში არსებითი დარღვევების (სიყალბის) დამადასტურებელი დოკუმენტები მოვიპოვე, პრეზიდენტისგან მოვითხოვე უკანონო განკარგულების გაუქმება და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად იმ კანდიდატის დანიშვნა, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს... ანუ, ფაქტობრივად მოვითხოვე დაეცვა კანონი.

ამდენად, თუ უზენაესი სასამართლოც იმავეს გაიმეორებს და საქმის გარემოებების ყოველგვარი განხილვა-გაანალიზების გარეშე სააპელაციო სასამართლოს სადავო გადაწყვეტილებას მართებულად მიიჩნევს,ლოგიკურია,საკუთარიგანჩინებისსათანადოდ(„საკმარისად") დასაბუთება მოუწევს. ამასთან დაკავშირებით, საკასაციო საჩივრის განმხილველ მოსამართლეებს მინდა შევახსენო, რომ „სამართლის თეორიის" სახელმძღვანელოში, რომლითაც თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის პირველკურსელებს სამართალმცოდნეობის შესავალს ასწავლიან სამართლისა და ლოგიკის კავშირის თაობაზე მრავალი, ფრიად საყურადღებო დანაწესია მოცემული: მაგ., „მოსამართლის (იურისტის) არგუმენტაცია თანმიმდევრული, დასაბუთებული და შინაგანი წინააღმდეგობებისგან თავისუფალი უნდა იყოს", „მოსამართლემ არგუმენტირებულად უნდა დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, უნდა დაარწმუნოს მხარეები გადაწყვეტილების კანონიერებასა და სამართლიანობაში" (იხ. გიორგი ხუბუა, „სამართლის თეორია", თბილისი, 2004). ამასთან, აღსანიშნავია, რომ იტალიის კანონმდებლობით სასამართლო გადაწყვეტილების არასაკმარისად დასაბუთება ან გადაწყვეტილებაში ლოგიკის არარსებობა ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების სპეციალური საფუძველია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ საკასაციო სასამართლოს რეალურად სურს „სამართლიანობის აღდგენა", საქმის გარემოებების, მხარეების მიერ წარდგენილი მტკიცებულებების და სხდომებზე

გამოთქმული თვალსაზრისების გაანალიზებისას, მოსამართლეებმა, პირველ რიგში, უნდა გაითვალისწინონ, რომ პრეზიდენტის №30/12/01 განკარგულების თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი უნდა წარედგინა შესაბამისი ორგანიზაციის კოლეგიურ ხელმძღვანელ ორგანოს. არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს უფლება ჰქონდა წარედგინა კანდიდატი, თუ კონკურსის გამოცხადებამდე არანაკლებ ბოლო 2 წლის განმავლობაში მისი საქმიანობის ერთ-ერთი სფერო იყო წარმომადგენლობითი უფლებამოსილებითმონაწილეობასასამართლოებშიგანხორციელებულ საქმეთა წარმოებაში. ამასთან, კანდიდატი უნდა ყოფილიყო სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტი და ესარგებლა მაღალი რეპუტაციით. თავად კანდიდატს კონკურსზე, ავტობიოგრაფიის გარდა, უნდა წარედგინა „სპეციალობით არანაკლებ 10 წლის მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი". განკარგულებითვე „კონკურსის ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით", საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას უნდა შეექმნა საკონკურსო კომისია და განეხორციელებია კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საჭირო ღონისძიებები. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 24 ოქტომბრის განჩინება, თუნდაც იმიტომ უნდა გაუქმდეს, რომ მისი ჩამოყალიბებისას საერთოდ არ იქნა გათვალისწინებული, რომ:

1. შესაბამისი კანონისა და პრეზიდენტის განკარგულების თანახმად, ა(ა)იპ-ს არ შეეძლო კანდიდატად წარედგინა ასისტენტ-პროფესორი ან ადვოკატი, ვინაიდან კანონმდებლობითაც იქნა დადგენილი და ლოგიკურიც არის, პროფესორი უნივერსიტეტს წარედგინა, ხოლო ადვოკატი სსიპ - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას (შესაბამისად, უნივერსიტეტებმა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ კონკურსზე საკუთარი კანდიდატები წარადგინეს). ამასთან, ლოგიკურია, რომ პროფესორს და ადვოკატს „არანაკლებ ბოლო 2 წლის განმავლობაში სასამართლოებში განხორციელებულ საქმეთა წარმოებაში წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები" არ მოეთხოვებოდათ (მხოლოდ იმ პირებს, ვინც ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებს სასამართლოებში საქმეების წარმართვაში ეხმარებოდნენ);

2. შრომის წიგნაკი არ წარმოადგენს ძირითად დოკუმენტს, რომლითაც დგინდება დასაქმების ფაქტი და ხანგრძლივობა, ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობამ მასზე დიდი ხნის წინ თქვა უარი (ძველმანების ბაზრობებზე იყიდება...), ხოლო ვ. მჭედლიშვილს შესაბამისი დოკუმენტები (ცნობები) იმ დაწესებულებებიდან უნდა წარმოედგინა სადაც მუშაობდა. ფაქტია, რომ ვ. მჭედლიშვილის

წარმომადგენელმა კონკურსზე 2014 წლის 10 იანვრამდე წარსადგენი დოკუმენტები (ცნობები იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან და უზენაესი სასამართლოდან) სასამართლოს მხოლოდ მარტში წარუდინა... ანუ, ვ.მჭედლიშვილს კონკურზე არ წარუდგენია პრეზიდენტის განკარგულების მე-6 პუნქტის ვ) ქვეპუნტით გათვალისწინებული დოკუმენტი;

3. ავტობიოგრაფია არ წარმოადგენს დოკუმენტს, რომლითაც დასტურდება სპეციალობით მუშაობის ხანგრძლივობა (მითუმეტეს, რომ შემდგენელს მასში არსებითი შეცდომები აქვს დაშვებული), ვინაიდან პრეზიდენტის განკარგულების თანახმად ვ. მჭედლიშვილს ცალკე ავტობიოგრაფია უნდა წარედგინა და ცალკე „სპეციალობით არანაკლებ 10 წლის მუშაობის" თაობაზე მასში ასახული ინფორმაციის დამადასტურებელი, კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები;

4. ვ. მჭედლიშვილის ავტობიოგრაფიასა და შრომის წიგნაკში არსებული წინააღმდეგობრივი ჩანაწერები და შეუსაბამობები (მითითებულ თანამდებობებსა და დასაქმების ვადებში) არ შეიძლება პრეზიდენტს ტექნიკურ შეცდომად ჩაეთვალა, ვინაიდან, არ დასტურდება რომ მან პირადად ნახა ვ.მჭედლიშვილის მიერ წარდგენილი დოკუმენტები;

5. ადრემოქმედი კანონის თანახმად, ვ. მჭედლიშვილის ე. წ. შრომის წიგნაკი საჯარო სამსახურში დასაქმებისთანავე უნდა შევსებულიყო და არა სხვა სამსახურში გადასვლის შემდეგ. ფაქტია, რომ ვ.მჭედლიშვილის მიერ კონკურსზე წარდგენილი „შრომის წიგნაკი" შევსებულია იუსტიციის საბჭოში მხოლოდ 2000 წლის 17 აპრილს, თუმცა ჩანაწერის თანახმად ვ.მჭედლიშვილი იუსტიციის საბჭოს წევრის თანაშემწედ 1998 წლის 26 ოქტომბრიდან მხოლოდ 2000 წლის 5 აპრილამდე მუშაობდა, ხოლო 5 აპრილიდან უკვე საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროში მუშაობს...;

6. ვ. მჭედლიშვილის ე. წ. შრომის წიგნაკი არ წარმოადგენს კანონით გათვალისწინებულ დოკუმენტს. ამასთან, მასში მცდარი ინფორმაციაა მოცემული და საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროში 2000 წელს არ არსებობდა „მინისტრის აპარატის მინისტრის სამდივნოს მინისტრის თანაშემწის" თანამდებობა. ფაქტია, რომ შრომის წიგნაკის ჩანაწერის თანახმად, ვ. მჭედლიშვილი აღნიშნულ თანამდებობაზე 2000 წლის 31 ივლისიდან მხოლოდ 01 სექტემბრამდე (ერთი თვე) მუშაობდა, ხოლო საგადასახადო შემოსავლების სამინისტროში 2000 წლის 5 აპრილიდან იმავე წლის 1 სექტემბრამდე, ფაქტობრივად, სულ 4 თვე აქვს ნამუშევარი.

სამაგიეროდ, ავტობიოგრაფიის მიხედვით „1999-2000 წლები - შემოსავლების სამინისტროს რეფორმების სამდივნოს უფროსი, მინისტრის თანაშემწეა“, „2000 წელი - საქართველოს იუსტიციის საბჭოში საზოგადოებასთან ურთიერთობის სექტორის უფროსია“, ხოლო „2000-2003 წლები - საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ბიუროს უფროსია“...;

7. თსუ-ის კანცელარიის მიერ 2014 წლის 10 იანვარს გაცემული ცნობით შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რამდენი წელი აქვს ნამუშევარი ვ.მჭედლიშვილს თსუ-ში, ვინაიდან აღნიშნულ ცნობაში მხოლოდ ის ინფორმაციაა მოცემული, რომ „არჩეულია იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე...“;

8. ვ. მჭედლიშვილს ავტობიოგრაფიაშიც მცდარი ინფორმაცია აქვს შეტანილი. კერძოდ, უწერია, რომ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში მხოლოდ ორი კვირა აქვს ნამუშევარი (06.06.2013-20.06.2013), თუმცა მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე ის რამოდენიმე თვე იყო დასაქმებული...;

9. არ დასტურდება, რომ ვ. მჭედლიშვილი „აქტიურ სამეცნიერო საქმიანობას ეწევა“, ვინაიდან მას კონკურსზე არ წარუდგენია არცერთი სამეცნიერო ნაშრომი და არც წარმოდგენილ დოკუმენტებში აქვს სადმე მოხსენიებული;

10. არ დასტურდება, რომ ვ. მჭედლიშვილი წარმატებული ადვოკატია, ვინაიდან მას კონკურსზე არ წარუდგენია არცერთი საქმე, რომელშიც ის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით მონაწილეობდა სასამართლოებში განხორციელებულ საქმეთა წარმოებაში (კონკურსზე წარდგენილი 60 გვერდიდან 47 საზოგადოებისთვის ცნობილი ადვოკატების მიერ სასამართლოებში წარმართული საქმეებია);

11. არ დასტურდება, რომ ვ.მჭედლიშვილის მიერ კონკურსზე წარდგენილი 60 გვერდიდან ბოლო 47 გვერდს რაიმე სახის პირდაპირი ან ირიბი კავშირი მაინც აქვს მის პროფესიულ საქმიანობასთან (ან, თუნდაც იმ ა(ა)იპ-ს საქმიანობასთან, ვინც ვ. მჭედლიშვილი კანდიდატად წარადგინა...), ვინაიდან მათზე ასახულია საზოგადოებისთვის ცნობილი ადვოკატების (როინ მიგრიაულის, დავით ლანჩავას და ირაკლი ყანდაშვილის) მიერ 2010-2013 წლებში კონკრეტულ მოქალაქეთა მიერ გაცემული მინდობილობების საფუძველზე სასამართლოებსა და არბიტრაჟებში წარმართული საქმეების მასალები (ამასთან, კონკურსზე წარდგენილი დოკუმენტებიდან არსად ჩანს, რომ ადვოკატები ა(ა)იპ-ს დავალებით ან, თუნდაც ა(ა)იპ-ს ინტერესებში მოქმედებდნენ);

12. სასამართლო ვერ ჩათვლის, რომ „საერთო სასამართლოების

შესახებ" ორგანული კანონის 47-ე მუხლის თანახმად „მოწაწილეობა სასამართლოებში განხორციელებულ საქმეთა წარმოებაში" კანდიდატს კი არ მოეთხოვება, არამედ მის წარმდგენ „იურიდიულ პირს", ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა იურიდიულ პირს სასამართლოებში საქმეთა განხილვაში წარმომადგენლის სტატუსით მონაწილეობის საშუალებას არ აძლევს (საქართველოს სასამართლოებში კანონიერი წარმომადგენელი (რწმუნებული) შეიძლება მხოლოდ ფიზიკური პირი იყოს);

13. ა(ა)იპ „საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის" წევრთა მიერ საკუთარი პროფესიის შესაბამისად განხორციელებული მიმდინარე (ყოველდღიური) საქმიანობა, არ შეიძლება თავად ამ არასამთავრობო ორგანიზაციის (იურიდიული პირის) საქმიანობად ჩაითვალოს, ვინაიდან აღნიშნულ ორგანიზაციაში გაწევრიანებული ადვოკატები პროფესიულ საქმიანობას სრულიად დამოუკიდებლად ახორციელებენ, ხოლო კონკრეტულ ა(ა)იპ-ში ამ იურიდიული პირის საწესდებო მიზნების განსახორციელებლად წევრიანდებიან;

14. ვინაიდან სააპელაციო სასამართლომაც ჩათვალა, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 47-ე მუხლის თანახმად „მონაწილეობა სასამართლოებში განხორციელებულ საქმეთა წარმოებაში" კანდიდატს კი არ მოეთხოვება, არამედ მის წარმდგენ „იურიდიულ პირს", დადასტურებულია, რომ ვ. მჭედლიშვილს კონკურსზე არ წარუდგენია მისი წარმდგენი იურიდიული პირის მიერ, არანაკლებ ბოლო ორი წლის განმავლობაში სასამართლოებში განხორციელებულ საქმეთა წარმოებაში წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები. ფაქტია, რომ კონკურსზე წარდგენილ დოკუმენტებში (სულ 60 გვერდი) მხოლოდ 3 ცნობილი ადვოკატის მიერ 2010-2013 წლებში სასამართლოებსა და არბიტრაჟებში წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით დამოუკიდებლად წარმართული საქმეების მასალებია (47 გვერდი);

15. თუ უზენაესი სასამართლო სამართლის ნორმის განმარტების ცნობილი მეთოდების (საშუალებების) გამოყენების საფუძველზე სავსებით გონივრულად ჩათვლის, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „მონაწილეობა სასამართლოებში განხორციელებულ საქმეთა წარმოებაში" სწორედ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატს მოეთხოვება და არა მის წარმდგენ იურიდიულ პირს, დადასტურებულია, რომ ვ.მჭედლიშვილმა კონკურსზე არ წარადგინა

პრეზიდენტის განკარგულებით გათვალისწინებული „არანაკლებ ბოლო 2 წლის განმავლობაში სასამართლოებში განხორციელებულ საქმეთა წარმოებაში წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები“ (ვ. მჭედლიშვილმა კონკურსზე სხვა ადვოკატების მიერ წარმოებული საქმეების ასლები წარადგინა), რის გამოც პრეზიდენტის 2014 წლის 16 იანვრის განკარგულება დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს;

16. ვ. მჭედლიშვილმა დაარღვია „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-5 პუნქტით და პრეზიდენტის განკარგუ-ლების მე-4 პუნქტით და მე-6 პუნქტის ზ) ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნა, რომლითაც ვალდებული იყო წარედგინა „კონკურსის გამოცხადებამდე არანაკლებ ბოლო 2 წლის განმავლობაში სასამართლოებში განხორციელებულ საქმეთა წარმოებაში წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენ-ტები“. აქტია, რომ კონკურსზე წარდგენილი დოკუმენტებით არც თავად ვ. მჭედლიშვილის მონაწილეობა დასტურდება სასა-მართლოებში განხორციელებულ საქმეთა წარმოებაში და არც მისი წარმდგენი იურიდიული პირის (ამის დასადასტურებლად წარდგენილ 47 გვერდზე არსად არის ნახსენები ა(ა)იპ „საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის“. წარმოდგენილი დოკუმენტებით მხოლოდ ის დასტურდება, რომ ცნობილი ადვოკატები როინ მიგრიაული, დავით ლანჩავა და ირაკლი ყანდაშვილი საკუთარი სახელით, სრულიად დამოუკიდებლად ახორციელებენ წარმომადგენლობით უფლებამოსილებას);

17. ა(ა)იპ-ს „ხელმძღვანელი ორგანო“ და „აღმასრულებელი ორგანო“ სრულიად სხვადასხვა ინსტიტუტია და განსხვავებული უფლებამოსილებები გააჩნიათ (ერთი ხელმღვანელობს, მეორე კი, უზრუნველყოფს ხელმძღვანელო ორგანოს გადაწყვეტილების შესრულებას - „აღსრულებას“!) . ფაქტია, რომ შესაბამისი კანონისა და პრეზიდენტის განკარგულების თანახმად, კანდიდატის წარდგენის უფლება მხოლოდ ა(ა)იპ-ს „ხელმძღვანელ ორგანოს“ გააჩნდა, ხოლო ვ. მჭედლიშვილი წარადგინა „აღმასრულებლმა ორგანომ“. ა(ა)იპ „საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის“ წესდებაში (რომლის წევრი ვ. მჭედლიშვილი არასდროს ყოფილა და ამ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციისთვის არც სამართლებრივი დახმარება გაუწევია ოდესმე) მკაფიოდ წერია, რომ ამ ა(ა)იპ-ს ხელმძღვანელი ორგანოა „საერთო კრება“, ხოლო „გამგეობა“ მხოლოდ „აღმასრულებელი ორგანოა“;

18. სააპელაციო სასამართლოს არ შეეძლო დაყრდნობოდა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის, ირაკლი ბურდულის მიერ ვ.მჭედლიშვილისთვის მიცემული რეკომენდაციას, ვინაიდან ამ დოკუმენტში ასახული ყველა ინფორმაცია მცდარია (გაყალბებულია);

19. თსუ-დან რეკომენდაცია უფლებამოსილი პირის მიერ არ არის გაცემული, ვინაიდან ვ. მჭედლიშვილს რეკომენდაცია მისცა უშუალოდ ირაკლი ბურდულმა (ფაკულტეტის დეკანმა, სამართლის დოქტორმა), თუმცა დოკუმენტი ისე შეადგინა, თითქოს „იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს სახელით" მოქმედებდა;

20. არ არსებობს „იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის" თანამდებობა, ვინაიდან თსუ-სა და იურიდიული ფაკულტეტის წესდებების შესაბამისად, ფაკულტეტის საბჭო ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა, ხოლო დეკანის უფლებამოსილებათა ჩამონათვალში ე) ქვეპუნქტად და „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 20-ე მუხლის მე-3 პუნქტის ვ) ქვეპუნქტში მითითებულია, რომ დეკანი „თავმჯდომარეობს საბჭოს სხდომებს", რაც არ ნიშნავს, რომ დეკანს „იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის" თანამდებობაც უკავია. ი. ბურდული ფაკულტეტის დეკანია, ხოლო „ფაკულტეტის საბჭოს სხდომის თავმჯდომარის" (და არა „საბჭოს თავმჯდომარის"!) სახელით, მხოლოდ მაშინ აქვს უფლება ხელი მოაწეროს დოკუმენტს, თუ საბჭოს სხდომა გაიმართება და თავად იქნება თავმჯდომარე. სასამართლოშიც „საქმის არსებითი განხილვის სხდომას წარმართავს სხდომის თავმჯდომარე" (სსსსკ, მუხლი 227), მაგრამ „სასამართლოს თავმჯდომარე" სრულიად სხვა ინსტიტუტია (ფაქტობრივად, მოსამართლეების „დეკანია"...). ამდენად, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი („უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 20-ე მუხლის მე-3 პუნქტის ვ) ქვეპუნქტი), რომელიც უნდა გამოეყენებინა;

21. იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს ვ. მჭედლიშვილისთვის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად დასანიშნად რეკომენდაცია არ მიუცია, ვინაიდან ფაკულტეტის საბჭოს აღნიშნულ საკითხზე არასოდეს უმსჯელია, ხოლო მცდარი მონაცემების შემცველი რეკომენდაცია ერთპიროვნულად გასცა ფაკულტეტის დეკანმა ირაკლი ბურდულმა;

22. „ვ.მჭედლიშვილს 1999 წელს სასამართლოს რეფორმის განხორციელებაში შეტანილი წვლილისთვის" კი არ აქვს გამოცხადებული პრეზიდენტის მადლობა, არამედ „სასამართლო რეფორმის მიმდინარეობის ორგანიზაციაში პირადი წვლილისთვის" (ედუარდ შევარდნაძემ შესაბამისი განკარგულებით მასთან ერთად 20-მდე პირს გამოუცხადა მადლობა, ხოლო საერთო სასამართლოების

მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის სელმძღვანელები ღირსების მედლებით დააჯილდოვა...).

23. პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა აშკარად გადააჭარბა უფლებამოსილებას, როდესაც ბრძანებით შექმნა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის „შესარჩევი კომისია“, ვინაიდან პრეზიდენტის განკარგულებით კომისია „კონკურსის ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით” უნდა შექმნა.

24. „კონკურსის ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით” შექმნილი კომისიის წევრები უფლებამოსილი არ იყვნენ გასაუბრებოდნენ კანდიდატებს და შეერჩიათ მათ შორის საუკეთესო, ვინაიდან პრეზიდენტის განკარგულებით მხოლოდ კონკურსის ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საჭირო ღონისძიებების განხორციელება ევალებოდათ (საგულისხმოა, რომ პრეზიდენტმა, ფაქტობრივად თავად აღიარა შეცდომა და მომდევნო კონკურსების გამოცხადებისას ადმინისტრაციას უკვე „შესარჩევი კომისიის“ შექმნას ავალებს).

25. „კონკურსის ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით” შექმნილ ან თუნდაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის „შესარჩევ კომისიას”, უფლება არ ჰქონდა კანდიდატებთან გასაუბრებაზე კომისის თავმჯდომარის ნაცვლად გარეშე პირი მოეწვია, ვინაიდან პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის ბრძანებით სპეციალური 3 კაციანი „საარჩევნო კომისია” იყო შექმნილი და შესაბამისი გადაწყვეტილება პირადად მათ უნდა მიეღოთ და არა თვითნებურად „მოწვეულ პირებს“ (მითუმეტეს, რომ კომისიის ერთი წევრი გასაუბრებას არ დასწრებია).

26. „სამართლის დარგის სპეციალისტად აღიარებისთვის“ უდავოდ არ არის საკმარისი იურისტი იუსტიციის საბჭოსა ან უზენაეს სამართლოში რიგით თანამდებობებზე მუშაობდეს (თუნდაც 2 კვირა გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილედ...) და ედუარდ შევარდნაძისგან 1999 წელს მადლობა ჰქონდეს გამოცხადებული;

27. ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი სასამართლო რეფორმის ეფექტურად განსახორციელებლად და მოსამართლეების საქმიანობის გასაანალიზებლად იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არ უნდა ნიშნავდეს პირს, რომელსაც არასდროს ეკავა პროფესიის შესაბამისი რაიმე მნიშვნელოვანი თანამდებობა, არც საადვოკატო საქმიანობით გამხდარა „ცნობადი” და ერთი პუბლიკაციაც არ აქვს გამოქვეყნებული კანონმდებლობის სრულყოფის ან სასამართლო რეფორმის აქტუალურ საკითხებზე. ამასთან, როგორ შეიძლება სხვისი გადაწყვეტილებები (მსჯელობები) გაანალიზოს და მათში შეცდომები შენიშნოს ისეთმა „სამართლის დარგის აღიარებულმა სპეციალისტმა“, რომელმაც

კონკურსზე წარსადგენი საკუთარი დოკუმენტები ვერ მოაწესრიგა და ორგვერდიან ავტობიოგრაფიაში დაუშვა შეცდომები...;

28. თუ სააპელაციო სასამართლოს განჩინებას სამართლიანად და გონივრულად მივიჩნევთ, გამოვა რომ კონკურსის ჩატარების მომენტში იურისტი ვ.მჭედლიშვილი უზენაესი სასამართლოს წევრად ახლახან დანიშნულ სამართლის დოქტორ, პროფესორ ზურაბ ძლიერიშვილზე გაცილებით უფრო „აღიარებული სამართლის დარგის სპეციალისტი" ყოფილა. თუ უზენაესი სასამართლო საწინააღმდეგოს დასაბუთებას მოახერხებს, ამ შემთხვევაში, საქმის განმხილველ მოსამართლეებს იმის გონივრულად ახსნა (დასაბუთება!) მოუწევთ, თუ რა კრიტერიუმით აჯობა დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტმა ვ. მჭედლიშვილმა მის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ახალგაზრდა სამართლის დოქტორს, პროფესორ ზურაბ ძლიერიშვილს, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტმა და ა(ა)იპ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" წარადგინა კონკურსზე;

29. სასამართლოზეც დადასტურდა, რომ პრეზიდენტს და მის ადმინისტრაციას ერთობ სპეციფიკური წარმოდგენა აქვთ როგორც სამართლის დარგის, ასევე იურისტის კვალიფიკაციის შეფასების კრიტერიუმების თაობაზე... კერძოდ, ვ.მჭედლიშვილის წარმომადგენელმა სასამართლოში ისიც კი განაცხადა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის კონკურსთან მიმართებაში იურისტისთვის „სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტის" სტატუსის მინიჭება მხოლოდ პრეზიდენტის (ფილოსოფოსის!) უფლებამოსილებას შეადგენს და სასამართლოს ჩემი სარჩელი საერთოდ არ უნდა განეხილა... პრეზიდენტის წარმომადგენლის განმარტებით კი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მიერ „კონკურსის ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი შესარჩევი კომისიისთვის" (?!), კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი ე. წ. შრომის წიგნაკიც და იურიდიული ფაკულტეტის დეკანის გაყალბებული რეკომენდაციაც სარწმუნო დოკუმენტები, ხოლო მათში „გაპარული" შეცდომები, მხოლოდ ტექნიკური ხასიათის ყოფილა. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ 1999 წელს „სასამართლო რეფორმამ", ფაქტობრივად კრახი განიცადა, ტესტებსა და კაზუსებში მრავალი (მათ შორის, არსებითი...) შეცდომა იყო „გაპარული", ხოლო მოსამართლეებისთვის გამოცდების ჩატარებისას იუსტიციის საბჭოდან „ინფორმაციამ გაჟონა" და მოსამართლეებმა ამაში საკმაოდ სოლიდური თანხა გადაიხადეს (ამის თაობაზე თავად „რეფორმების მამამ" - სააკაშვილმა არაერგზის განაცხადა და ჩვეული რიხით ისიც ამცნო საზოგადოებას, როგორ მოუწიათ მას

და ზურა ადეიშვილს მთელი ღამის განმავლობაში ახალი ტესტების შემუშავება...), არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონია, რატომ გამოუცხადა მადლობა ედუარდ შევარდნაძემ ვ. მჭედლიშვილს ან რატომ იმუშავა მან გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილედ მხოლოდ ორი კვირა...

სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 24 ოქტომბრის განჩინება უნდა გაუქმდეს, ვინაიდან ფაქტია, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში გამოყენებული და განმარტებული სამართლის ნორმები არ ემსახურება სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების იურიდიული მართებულობის გამოკვლევას და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას. სასამართლომ, ნაცვლად იმისა, რომ დაეცვა მხარეთა თანასწორობა და უზრუნველეყო შეჯიბრებითობა, ფაქტობრივად, მხოლოდ მოპასუხისა და მესამე მხარედ ჩაბმული პირის ინტერესებში მოქმედებდა და მხოლოდ მათ მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს (რიგ შემთხვევებში მცდარს!) და მოშველიებულ არგუმენტებს (რიგ შემთხვევებში საეჭვოს!) დაეყრდნო. შედეგად, მოპასუხისადმი აშკარა მიკერძოების გამო, სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო და არ გაანალიზა სააპელაციო საჩივარში, აგრეთვე ადმინისტრციულ სარჩელსა და საპაექრო სიტყვაში ჩამოყალიბებული, აგრეთვე ვ. მჭედლიშვილის მიერ კონკურსზე წადგენილი, მხარეების მიერ სასამართლოსთვის წარმოდგენილ და სასამართლო სხდომებზე გამოკვლეული, ფაქტობრივად, არცერთი მტკიცებულება და ფაქტობრივი გარემოება, რომლებითაც უტყუარად დგინდებოდა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად დანიშნული პირის ვ. მჭედლიშვილის მიერ, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში 2014 წლის 10 იანვრამდე არ იქნა წარმოდგენილი კანდიდატად რეგისტრაციისთვის აუცილებელი ყველა დოკუმენტი, თავად კანდიდატი და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები არ აკმაყოფილებდა პრეზიდენტის №30/12/01 განკარგულებით დადგენილ მოთხოვნებს, წარმოდგენილ დოკუმენტებში გამოვლინდა განზრახ და/ან უნებლიეთ შეტანილი არასწორი და წინააღმდეგობრივი მონაცემები, კანდიდატი წარადგინა არაუფლებამოსილმალმა სუბიექტმა, ხოლო კანდიდატების შერჩევა განახორციელა არაუფლებამოსილმა ორგანომ („კონკურსის ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით") შექმნილმა კომისიამ (ფაქტობრივად, მოხდა საზოგადოების მოტყუება და წინასწარშერჩეული პირის, ყოველგვარი კონკურსის გარეშე, დანიშვნა, როგორც ამას წინა ხელისუფლება აკეთებდა).

ფაქტია, რომ სააპელაციო სასამართლომაც არ გამოიყენა და/ან არასათანადოდ განმარტა პრეზიდენტის 2013 წლის 30 დეკემბრის N30/12/01 განკარგულების მე-2, მე-4, მე-5, მე-6 და მე-9 პუნქტები,

რომლებითაც უნდა ესელმძღვანელა „საკონკურსო კომისიასაც“ და ყურადღება არ მიაქცია იმ წინააღმდეგობებსა და შეუსაბამობებს, რომლებიც გამოიკვეთა მტკიცებულებების გამოკვლევისას და აღინიშნა, როგორც პირველ ინსტანციაში, ასევე სააპელაციო სასამართლოს სდომებზე და წერილობით მიმართვებში ჩამოყალიბებულ მოსაზრებებშიც. კერძოდ:

ა) სამართლომ საერთოდ ვერ დაასაბუთა და ისე მიიჩნია უტყუარად დადგენილად, რომ „იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის შესარჩევი კონკურსის ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნა შესარჩევი საკონკურსო კომისია“, რომ საერთოდ არ უმსჯელია და არ შეუფასებია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ პრეზიდენტის №30/12/01 განკარგულების მე–9 პუნქტის თანახმად ადმინისტრაციას დაევალა შეექმნა კომისია „კონკურსის ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით“ და არა „კანდიდატის შესარჩევად“. ამდენად, კომისიის შექმნის მიზანი უნდა ყოფილიყო კონკურსის გამჭვირვალობის (ღიაობის, საქვეყნოობის, საჯაროობის) უზრუნველყოფა, კონკურსის პირობების გამოქვეყნება, შემოსული განცხადებების მიღება, კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება და კანდიდატების რეგისტრაცია და, უშუალოდ პრეზიდენტთან ან მის მიერ უფლებამოსილ ექსპერტებთან (შესარჩევ ან საკონკურსო კომისიასთან) იმ კანდიდატების შეხვედრის ორგანიზება, რომელთა მონაცემები აკმაყოფილებდნენ კონკურსის პირობებს. აღნიშნულის მიუხედავად, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა 2014 წლის 3 იანვრის № 424/1 ბრძანებით „კონკურსის ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით შექმნა კომისია“, თუმცა დაარქვა მას შესარჩევი „საკონკურსო კომისია“, რითაც, ფაქტობრივად, თვითნებურად მიანიჭა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის შერჩევის უფლებამოსილება. და კონკურსის პირობების უგულვებელყოფით შეარჩევინა საბჭოს წევრი;

ბ) სასამართლომ საერთოდ ვერ დაასაბუთა და ისე მიიჩნია უტყუარად დადგენილად, რომ „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის შესარჩევმა საკონკურსო კომისიამ უზრუნველყო კონკურსის გამჭვირვალედ ჩატარება და კანდიდატების მიერ წარდგენილი დოკუმენტების პრეზიდენტის განკარგულებასთან შესაბამისობის დადგენა“, ხოლო წარდგენილი კანდიდატებიდან „იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის შერჩევა და თანამდებობაზე დანიშვნა განახორციელა საქართველოს პრეზიდენტმა“. ფაქტია, რომ ვ. მჭედლიშვილის მიერ კონკურსზე წარდგენილი, მხარეების მიერ

სასამართლოსთვის წარმოდგენილი და სასამართლო სხდომებზე გამოკვლეული მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე, უტყუარად დასტურდება, რომ ვ. მჭედლიშვილი ისე დარეგისტრირდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატად, რომ არ წარუდგენია პრეზიდენტის №30/12/01 განკარგულების მე-6 პუნქტით აუცილებელი ყველა დოკუმენტები, ხოლო მისი კანდიდატურა არ აკმაყოფილებდა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ამასთან, პრეზიდენტი არ შეხვედრია კანდიდატებს;

გ) სასამართლომ საერთოდ არ მოახდინა რეაგირება იმ ფაქტზე, რომ „საკონკურსო კომისია" არ იყო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, ამასთან დაირღვა „სამართლიანი კონკურენციის პრინციპი". კერძოდ, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი იურიდიული ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზეა დასაქმებული, ხოლო მისი მოადგილე იმავე ფაკულტეტის სრული პროფესორი და დეკანის მოადგილეა. იმ გარემოებასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ვ. მჭედლიშვილს იმავე ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის თანამდებობა უკავია, ხოლო იუსტიციის საბჭოს წევრად დასანიშნად პირადად ფაკულტეტის დეკანმა, თანაც, რატომღაც „ფაკულტეტის საბჭოს სახელით" გაუწია წერილობითი რეკომენდაცია, ფაქტობრივად, პრეზიდენტის რეზიდენციაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის თანამდებობის დასაკავებლად „საფაკულტეტო არჩევნები" გაიმართა და, როგორც ეს თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე (და, სამწუხაროდ, მთლიანად ქვეყანაში...) ბოლო წლებშია დამკვიდრებული კონკურსში გამარჯვებული წინასწარვე ყოფილა ცნობილი. როგორც საქმის გარემოებიდან ჩანს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი პრეზიდენტს არ შეურჩევია და მან მხოლოდ დანიშნა სხვა პირის ან პირთა ჯგუფის (შესაძლებელია, პოლიტიკური ამბიციების მქონე) მიერ შერჩეული პირი;

დ) სამართლომ საერთოდ ვერ დაასაბუთა და ისე მიიჩნია უტყუარად დადგენილად, რომ საკონკურსო კომისიისთვის ცნობილი იყო, რომ ვ. მჭედლიშვილი თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე არჩეული იყო 2007 წლის 27 სექტემბრიდან. თუმცა, კონკურსზე წარდგენილი ავტობიოგრაფიის მიხედვით ვ. მჭედლიშვილი თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე მუშაობს 2007 წლიდან, დეკანის რეკომენდაციაში მუშაობის დაწყების თარიღად 2005 წელი არის მითითებული, ხოლო თსუ-ის კანცელარიის მიერ 2013 წლის 10 ოქტომბერს გაცემული ცნობაში მხოლოდ ის ფაქტია აღნიშნული, რომ ვ. მჭედლიშვილი „არჩეულია ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე",

ხოლო როდიდან საერთოდ არ არის ნახსენები (საერთოდ გაუგებარია, რა მიზნით უნდა წარედგინა კვალიფიციურ იურისტს - „სამართლის დარგის აღიარებულ სპეციალისტს" კონკურსზე ასეთი დოკუმენტები?!). ამასთან, ცნობა (N722/01/75-09) რომელსაც მოსამართლე ეყრდნობა თსუ-ის კანცელარიის მიერ მხოლოდ 2014 წლის 10 მარტს არის გაცემული და, ბუნებრივია, საქართველოს პრეზიდენტი ან საკონკურსო კომისია 2014 წლის იანვარში გადაწყვეტილების მიღებისას მასში მოცემული ინფორმაციით ვერ ისარგებლებდა;

ე) სასამართლომ საერთოდ ვერ დაასაბუთა და ისე მიიჩნია უტყუარად დადგენილად, რომ ვ. მჭედლიშვილს რეკომენდაცია თსუ-ის იურიდიულმა ფაკულტეტმა ან ფაკულტეტის საბჭომ გაუწია. თუმცა, ფაქტია, რომ ვ.მჭედლიშვილს რეკომენდაცია მისცა უშუალოდ ირაკლი ბურდულმა (ფაკულტეტის დეკანმა, სამართლის დოქტორმა), მაგრამ დოკუმენტი ისე შეადგინა თითქოს მთელი ფაკულტეტის („იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს სახელით") მოქმედებდა და ხელმოწერისას „იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის" არარსებული თანამდებობაც მიუთითა. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ვ" ქვეპუნქტის, აგრეთვე თსუ-ის და იურიდიული ფაკულტეტის წესდებების შესაბამისი ნორმების თანახმად, ფაკულტეტის საბჭო ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა, ხოლო დეკანის უფლებამოსილებათა ჩამონათვალში ცალკე ქვეპუნქტად მითითებულია, რომ „თავმჯდომარეობს საბჭოს სხდომებს", მაგრამ ეს უფლებამოსილება სულაც არ ნიშნავს, რომ დეკანს ზემოაღნიშნული თანამდებობაც უკავია. ირაკლი ბურდული ფაკულტეტის დეკანია, ხოლო „ფაკულტეტის საბჭოს სხდომის თავმჯდომარის" (და არა „საბჭოს თავმჯდომარის"!) სახელით, მხოლოდ მაშინ აქვს უფლება ხელი მოაწეროს დოკუმენტს, თუ საბჭოს სხდომა გაიმართება და თავად იქნება თავმჯდომარე. ვ. მჭედლიშვილი ფაკულტეტს არ წარუდგენია, ხოლო დეკანის მიერ გაცემული რეკომენდაცია, რბილად რომ ვთქვათ, მცდარ ინფორმაცია შეიცავს (მიკვირს, ასეთი „დოკუმენტი" ან ერთმა იურისტმა როგორ გასცა. ხოლო მეორემ როგორ წარადგინა?! მით უმეტეს, რომ სავალდებულო არ იყო...). ამდენად, სასამართლომ არ გამოიყენა „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის, აგრეთვე უნივერსიტეტისა და იურიდიული ფაკულტეტის წესდებების შესაბამისი ნორმები, რომლებიც უნდა გამოეყენებინა;

ვ) სასამართლომ არც ის გარემოება გაითვალისწინა, რომ ვ. მჭელიშვილი, ფაქტობრივად, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მიერ აღმოჩნდა წარდგენილი კანდიდატად, მაშინ, როდესაც

პრეზიდენტის N30/12/01 განკარგულების მე-2 პუნქტის თანახმად, მხოლოდ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წარდგინების საფუძველზე შეეძლო მიეღო მონაწილეობა კონკურსში;

ზ) სასამართლომ საერთოდ ვერ დაასაბუთა და ისე მიიჩნია უტყუარად დადგენილად, რომ ვ. მჭედლიშვილი 2014 წლის 06 ივნისს დაინიშნა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილედ და კონკურსში მონაწილეობამდე იკავებდა აღნიშნულ თანამდებობას (ვინაიდან, სასამართლომ არ მიუთითა როდის დატოვა ვ.მჭედლიშვილმა მინისტრის მოადგილის თანამდებობა...). თუმცა, ვ. მჭედლიშვილის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან მხოლოდ ის ჩანს უტყუარად, რომ აღნიშნულ თანამდებობაზე ის მხოლოდ 14 დღე (06.06.2013-20.06.2013) მუშაობდა (აღნიშნული გარემოებით არც „საკონკურსო კომისია" დაინტერესებულა და არც სასამართლო...);

თ) სასამართლომ არ მიაქცია ყურადღება, რომ პრეზიდენტის №30/12/01 განკარგულების მე-2 და მე-4 პუნქტების თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი უნდა შერჩეულიყო საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოღვაწე პროფესორებისა და მკვლევარებისაგან, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრების ან/და საქართველოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ წარდგენილი პირებისგან. ამასთან, ა(ა)იპ-ის მიერ წარდგენილ კანდიდატს, კონკურსის გამოცხადებამდე არანაკლებ ბოლო 2 წლის განმავლობაში, წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით უნდა მიეღო მონაწილეობა სასამართლოებში განხორციელებულ საქმეთა წარმოებაში. კონკურსის პირობებიდან ლოგიკურად გამომდინარეოდა, რომ აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმებული პირი (მეცნიერი) უნდა წარედგინა იმ უნივერსიტეტს სადაც ის მუშაობდა, ადვოკატი – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას, ხოლო სხვა პირი (იურისტი) უნდა წარედგინა იმ ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციას („სამოქალაქო სექტორს"), რომლის ინტერესებსაც ეს პირი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საფუძველზე, არანაკლებ ბოლო 2 წლის განმავლობაში, სასამართლოებში იცავდა. ბუნებრივია, იმ შემთხვევაშიც კი, თუ დავუშვებთ, რომ ა(ა)იპ-ს ადვოკატის წარდგენის უფლებაც ჰქონდა, წარდგენილ პირს ამ ორგანიზაციის (თუნდაც სხვა პირების) ინტერესები სასამართლოებში, არანაკლებ ბოლო 2 წლის განმავლობაში უნდა დაეცვა და ამის დასამტკიცებლად საკონკურსო კომისიისთვის წარმომადგენლის სტატუსით საქმეთა სასამართლოში წარმართვის დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარედგინა;

ი) ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ ბუნდოვანი

(არაგანჭვრეტადი) სამართლის ნორმით იხელმძღვანელა ("საერთო სასამართლოების შესახებ" კანონის 47-ე მუხლს მე-5 პუნქტი), აღნიშნული ნორმაც დარღვეულია, ვინაიდან იურიდიული პირი ვერ განახორციელებდა წარმომადგენლობით უფლებამოსილებას და მოპასუხეებსაც არ წარმოუდგენიათ რაიმე მტკიცებულება, რომ უშუალოდ ა(ა)იპ-მ განახორციელა წარმომადგენლობა სასამართლოებში;

კ) სამართლის თეორიიდან ცნობილია, რომ როდესაც სამართლის ნორმა ხარვეზიანია (არ არის განჭვრეტადი) მისი განმარტება გრამატიკული, მიზნობრივი, სისტემური და სხვა მეთოდებით უნდა მოხდეს. მოცემულ შემთხვევაში, ცხადი უნდა იყოს, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლეები (ხელისუფლების წარმომადგენლები) საკმარისად არიან წარმოგენილნი, ხოლო მათი დაბალანსებისთვის საჭირო იყო არა ხელისუფლების სხვა შტოების (პროკურორების, პარლამენტარების ან მინისტრებისა და სხვა საჯარო მოსამსახურეების), არამედ საზოგადოების, ხალხის წარმომადგენლების (მეცნიერების, ადვოკატების ან სხვა იურისტების) დამატება. სწორედ ამ მიზნით მიეცა ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წევრების დანიშვნის უფლებამოსილება. მართალია, კონსტიტუციით ერთპიროვნულად შეეძლო დაენიშნა, მაგრამ შემდგომ პარლამენტმა გადაწყვიტა მისთვის კანდიდატის შერჩევის დემოკრატიული მექანიზმის გამოყენება (კონკურსის ჩატარება) დაევალებინა. ამასთან, ცხადია, კონკურსის შედეგად საჯარო მოსამსახურეებიდან კი არ უნდა გაეკეთებინა არჩევანი, არამედ იმ „სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტებიდან", ვინც მეცნიერი, ადვოკატი ან იურისტია და სასამართლოებში საქმეების განხილვასთან აქვს უშუალო კავშირი და არა თანამდებობის პირებიდან, ვინაიდან იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ხელისუფლების (სასამართლოს) წარმომადგენლები ისედაც არიან უმრავლესობაში

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვ. მჭედლიშვილი, როგორც თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი უნდა წარედგინა უნივერსიტეტს, ხოლო თუ ადვოკატიც არის, სსიპ - ადვოკატთა ასოციაციასაც შეეძლო წარედგინა. ვინაიდან ის დამოუკიდებელმა ა(ა)იპ-მ წარადგინა ვ. მჭედლიშვილს ამ არასამთავრობო ორგანიზაციისთვის როდესმე სამართლებრივი დახმარება მაინც უნდა აღმოეჩინა (სხვა თუ არაფერი, მისი წევრი ხომ მაინც უნდა ყოფილიყო?)

ამდენად, მიზნიდან გამომდინარე „საერთო სასამართლოების შესახებ" კანონის შესაბამისი ნორმის დანიშნულება იყო კანდიდატის წარმდგენი იურიდიული პირისთვის კი არ მოეთხოვა „არანაკლებ

2 წლის განმავლობაში სასამართლოებში წარმომადგენლობა (რაც ულოგიკოა!), არამედ იმ პირისთვის ვისაც ა(ა)იპ წარადგენდა. ამასთან, აბსოლუტურად გაუგებარია, როგორ შეიძლება პროფესორი და ადვოკატი წარედგინა იმ ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციას, რომლის წევრიც ეს პიროვნება არ არის და არც მისი წარმომადგენელი ყოფილა სასამართლოებში. სწორედ, კანონის ნორმის ბუნდოვანობის გამო მისი შინაარსი დაზუსტდა პრეზიდენტის განკარგულებაში და მე-2 პუნქტში აღინიშნა, რომ მოთხოვნა კანდიდატს ეხებოდა (თუმცა, ფაქტია, მკაფიოდ მაინც არ არის ფორმულირებული);

ლ) ფაქტია, „კონკურსის ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით" შექმნილმა კომისიამ ვ. მჭედლიშვილი ისე დაარეგისტრირა კანდიდატად, რომ არ მოუთხოვია პრეზიდენტის განკარგულების მე-6 პუნქტის ზ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდებოდა „არანაკლებ ბოლო ორი წლის განმავლობაში წარმომად-გენლის სტატუსით მისი მონაწილეობა სასამართლოებში განხორციელებულ საქმეთა წარმოებაში". წარმოდგენილი დოკუმენტებით მხოლოდ ის დასტურდება უტყუარად, რომ ვ. მჭედლიშვილს ბოლო 2 წლის განმავლობაში საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა სასამართლოებში განხორციელებულ საქმეთა წარმოებაში...

ვ. მჭედლიშვილის კანდიდატურა წარადგინა კავშირმა „თავისუფალი ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის", რომელიც ამ ორგანიზაციის ვებგვერდის ცნობით აერთიანებს 300-ზე მეტ ადვოკატს და, ძირითადად, ადვოკატთა ინტერესების დაცვასა და ადვოკატის პროფესიის განვითარებაზეა ორიენტირებული. როგორც ჩანს, აღნიშნული ა(ა)იპ-ს გამგეობის წევრებმა, არასწორად გაიგეს განკარგულების მე-4 პუნქტში სრულად და მკაფიოდ, ხოლო მე-6 პუნქტის ზ) ქვეპუნქტში სიტყვა „კანდიდატის" გარეშე ჩამოყალიბებული მოთხოვნა (ნორმა), რომლითაც ა(ა)იპ-ს უფლება აქვს წარადგინოს საბჭოს „კანდიდატი, თუ კონკურსის გამოცხადებამდე არანაკლებ ბოლო 2 წლის განმავლობაში მისი საქმიანობის ერთ-ერთი სფერო იყო წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით მონაწილეობა სასამართლოებში განხორციელებულ საქმეთა წარმოებაში". მიუხედავად იმისა, რომ განკარგულების მე-6 პუნქტშიც მკაფიოდ და გასაგებად ეწერა, რომ მასში ჩამოთვლილი მოთხოვნები სწორედ „საბჭოს წევრობის კანდიდატებს" ეხებოდათ, პროფესიონალმა (მართლაც, წარმატებულმა ადვოკატებმა), რატომღაც, ჩათვალეს რომ „მისი საქმიანობის ერთ-ერთი სფერო" თავად წარსადგენ კანდიდატს კი არ ეხებოდა, არამედ იმ

ორგანიზაციას, რომელიც მას წარადგენდა... შესაბამისად, მართალია, ა(ა)იპ-ს წარდგინების თავსა და ბოლოში ხაზგასმულია, რომ „მისი წევრები ინტენსიურად ახორციელებენ სასამართლოში მხარეთა წარმომადგენლობას" და უფასოდ ეხმარებიან სოციალურად დაუცველებს, მაგრამ, ვინაიდან, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, აღნიშნული ორგანიზაცია თვითონ ვერ განახორციელებს სასამართლოებში „წარმომადგენლობით უფლებამოსილებას" (მხოლოდ მის წევრებს ან სხვა იურისტებს შეუძლიათ), განკარგულების მე-4 პუნქტიდან გამომდინარე, აღნიშნულ ა(ა)იპ-ს უფლება არ ჰქონდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატად წარედგინა ის იურისტი ან ადვოკატი, რომელსაც არანაკლებ ბოლო 2 წლის განმავლობაში არც ამ ა(ა)იპ-ს და არც სხვა პირთა ინტერესები არ დაუცავს სასამართლოებში.

სრულიად ლოგიკურია, რომ წარმატებულ ადვოკატთა პროფესიულ გაერთიანებას არ უნდა ჰირდებოდეს საკუთარი ან სხვათა უფლებების სასამართლოებში დასაცავად სხვა იურისტის დახმარება. ამასთან, ცხადია ნებისმიერ ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციას ჰქონდა უფლება მისი ინტერესების დამცველი იურისტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად წარედგინა, თუ დააკმაყოფილებდა კონკურსის პირობებს.

კონკურსზე წარდგენილი დოკუმენტებით კი, მხოლოდ ის დასტურდება, რომ ა(ა)იპ-ს გამგეობის წევრები 2010-2013 წლებში იცავდნენ მოქალაქეთა ინტერესებს სასამართლოებში, მაგრამ არსად ჩანს, რომ ვ. მჭედლიშვილსაც რაიმე ფორმით მიუღია მონაწილეობა რომელიმე კონკრეტული საქმის განხილვაში ან, რომ „კონკურსის გამოცხადებამდე არანაკლებ ბოლო 2 წლის განმავლობაში მისი საქმიანობის ერთ-ერთი სფერო იყო წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით მონაწილეობა სასამართლოებში განხორციელებულ საქმეთა წარმოებაში". ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სრულიად გაუგებარია, თუ რის საფუძველზე დაასკვნეს ა(ა)იპ „თავისუფალი ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის" გამგეობის წევრებმა და ა(ა)იპ-ს სახელით პრეზიდენტისადმი გაგზავნილ წარდგინებაშიც ხაზი გაუსვეს, რომ ვ. მჭედლიშვილი „სრულად აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს" მითუმეტეს, რომ ვ. მჭედლიშვილი საერთოდ არ არის ამ მრავალრიცხოვანი ადვოკატთა კავშირის ა(ა)იპ-ს წევრი, ხოლო სსიპ - ადვოკატთა ასოციაციამ სრულიად სხვა ადვოკატი ჩათვალა „აღიარებულ სპეციალისტად" და წარადგინა იუსტიციის საბჭოს წევრად;

მ) სასამართლომ საერთოდ ვერ დაასაბუთა და ისე მიიჩნია უტყუარად დადგენილად, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ"

ორგანული კანონის 47-ე მუხლის შესაბამისი „ნორმის შინაარსიდან ნათლად („ცალსახად") ჩანს, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში კანდიდატის წარდგენის უფლებამოსილება გააჩნია ა(ა) იპ-ს. თუმცა, ამ ორგანიზაციის საქმიანობის სფერო კონკურსის გამოცხადებამდე არანაკლებ ბოლო 2 წლის განმავლობაში უნდა იყოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით მონაწილეობა სასამართლოებში განსორციელებულ საქმეთა წარმოებაში".

სასამართლომ არ გაითვალისწინა სააპელაციო საჩივარში, სარჩელში და სასამართლოს სხდომის დროს აღნიშნული ის ფაქტობრივი გარემოებები, რომ სამართლის ნორმის ბუნდოვანობის გამო (ფაქტია, საქართველოს კანონმდებლობით იურიდიული პირი ვერ იქნება წარმომადგენელი სასამართლოში. ამასთან, საქართველოში რეგისტრირებულ ფაქტობრივად ყველა ა(ა)იპ-ს უდევს წესდებაში რომ იცავს ადამიანის უფლებებს სასამართლოებში...), პრეზიდენტის განკარგულებაში მოხდა მისი დაზუსტება და მე-2 და მე-4 პუნქტებში ჩამოყალიბდა, რომ ა(ა)იპ-ს უფლება აქვს წარადგინოს „კანდიდატი, თუ კონკურსის გამოცხადებამდე არანაკლებ ბოლო 2 წლის განმავლობაში მისი საქმიანობის ერთ-ერთი სფერო იყო წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით მონაწილეობა სასამართლოებში განხორციელებულ საქმეთა წარმოებაში". ამდენად, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი;

ნ) სასამართლომ საერთოდ ვერ დაასაბუთა და ისე მიიჩნია უტყუარად დადგენილად, რომ ვ. მჭედლიშვილს კონკურსზე წარდგენილი დოკუმენტების თანახმად ჰქონდა „სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება". თუ გავითვალისწინებთ, რომ ე. წ. შრომის წიგნაკი (მითუმეტეს, არასათანადოდ შევსებული) იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს აღარ წარმოადგენს, ხოლო თსუ-ს მიერ გაცემული ცნობით ვერ დადგინდებოდა მუშაობის ხანგრძლივობა, ვ. მჭედლიშვილმა კონკურსზე წარადგინა მხოლოდ ადვოკატთა ასოციაციის მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ „2006 წლიდან 2013 წლის 6 ივნისამდეა" აღნიშნული ასოციაციის წევრი და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილედ 2013 წლის 6 ივნისს მისი დანიშვნის დამადასტურებელი დოკუმენტი. ანუ, ვ. მჭედლიშვილს საკონკურსოდ წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე აშკარად 10 წელზე გაცილებით ნაკლები „სტაჟი" აქვს და მისი კანდიდატურა არ უნდა განხილულიყო. ამდენად, სასამართლომ არ გამოიყენა პრეზიდენტის 30/12/02 განკარგულების მე-6 პუნქტის ვ) ქვეპუნქტი;

ო) სასამართლომ საერთოდ ვერ დაასაბუთა და ისე მიიჩნია

უტყუარად დადგენილად, რომ მხოლოდ ვ. მჭედლიშვილის ავტობიოგრაფიის საფუძველზე საკონკურსო კომისიას დადგენილად უნდა ჩაეთვალა, რომ ის „1997 წლიდან მუშაობდა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, შემდეგ საქართველოს უზენაეს სასამართლოში". ჯერ ერთი, პრეზიდენტის განკარგულების თანახმად, ავტობიოგრაფიის გარდა, კანდიდატს ევალებოდა კონკურსზე წარმოედგინა სპეციალობით მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტებიც, რომლებითაც უნდა ეხელმძღვანელა სასამართლოსაც. აღნიშნული დოკუმენტებიდან კი ერთმნიშვნელოვნად დგინდება, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემდეგ, ვ. მჭედლიშვილს რამოდენიმე თვე (03.04.2000 - 01.09.2000) საგადასახადო შემოსავლების სამინისტროში აქვს ნამუშევარი (თუმცა, ავტობიოგრაფიაში, რატომღაც, 1999-2000 წლებად აქვს შეტანილი...), ამასთან ფაქტია, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2014 წლის 5 მარტს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 2014 წლის 27 თებერვალს გაცემული ცნობებში მოცემული ინფორმაცია, რომლებიც ვ. მჭედლიშვილის წარმომადგენელმა დავით ასათიანმა, სასამართლოს შესაგებელთან ერთად 2014 წლის 10 მარტს წარუდგინა, ბუნებრივია, ვერ იქნებოდა ცნობილი საკონკურსო კომისიისთვის, რომელსაც ჯერ კიდევ 2014 წლის იანვარში უნდა გადაემოწმებინა კანდიდატების მიერ წარდგენილი დოკუმენტების შესაბამისობა პრეზიდენტის განკარგულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. აღნიშნული გარემოება კი უტყუარად ადასტურებს, რომ ვ. მჭედლიშვილს პრეზიდენტის განკარგულებით განსაზღვრულ 10 დღიან ვადაში არ წარუდგენია კანდიდატად რეგისტრაციისთვის აუცილებელი ყველა დოკუმენტი;

ჰ) სასამართლომ საერთოდ ვერ დაასაბუთა და ისე მიიჩნია უტყუარად დადგენილად, რომ ა(ა)იპ „საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის" გამგეობა წარმოადგენს კოლეგიურ ხელმძღვანელ ორგანოს, რომელიც კანონისა და კანონმქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე უფლებამოსილი იყო წარედგინა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის კანდიდატურა საქართველოს პრეზიდენტისთვის" (განჩინების მე-20 გვერდის პირველი და მეორე აბზაცები). ფაქტია, რომ შესაბამისი კანონისა („საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-5 პუნქტი), და პრეზიდენტის განკარგულების მე-2 პუნქტის თანახმად, ა(ა)იპ-ს სახელით კანდიდატის წარდგენის უფლებამოსილება მხოლოდ მის „კოლეგიურ ხელმძღვანელ ორგანოს" გააჩნდა. „საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის" ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული წესდების თანახმად, აღნიშნული ა(ა)იპ-ს

მართვის „უმაღლესი ორგანოა საერთო კრება", სოლო „საქმიანობას საერთო კრებებს შორის პერიოდში წარმართავს გამგეობა, რომელიც აღმასრულებელი ორგანოა და ანგარიშვალდებულია საერთო კრების წინაშე". ამდენად, აღნიშნულ ა(ა)იპ-ს მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატად რომელიმე იურისტის წარსადგენად საერთო კრების („ხელმძღვანელი ორგანოს") გადაწყვეტილება იყო საჭირო და არა გამგეობის, რომელიც წესდების თანახმად „აღმასრულებელი ორგანოა". შედარებისთვის, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წესდებით: „ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოა 21 წევრისგან შემდგარი გამგეობა". ამდენად, საია-ს გამგეობას („ხელმძღვანელ ორგანოს") უფლება ჰქონდა მიეღო გადაწყვეტილება ასოციაციის სახელით, ხოლო „საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის" გამგეობას („აღმასრულებელ ორგანოს") ამის უფლება არ ჰქონდა („საკონკურსო კომისიას" ან პრეზიდენტს თუ არა, სასამართლოს მაინც ხომ უნდა ესმოდეს რა განსხვავებაა „ხელმძღვანელობას" და „აღსრულებას" შორის!) ამდენად, სასამართლომ არ გამოიყენა „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-5 პუნქტი, რომელიც უნდა გამოეყენებინა;

ჟ) სასამართლომ საერთოდ ვერ დაასაბუთა და ისე მიიჩნია უტყუარად დადგენილად, რომ „რეკომენდაციასა და კანდიდატის ავტობიოგრაფიაში მითითებული შეუსაბამობები საქართველოს პრეზიდენტის მიერ შეფასდა ტექნიკური ხასიათის შეცდომად". ჯერ ერთი, საქმის მასალებიდან არსად ჩანს რომ პრეზიდენტი ვ.მჭედლიშვილის მიერ კონკურსზე წარდგენილ დოკუმენტებს გაეცნო და ისე მიიღო გადაწყვეტილება (ამ შემთხვევაში, სასამართლო აშკარად მოპასუხის გამართლებას ცდილობს...), ამასთან, სრულიად შეუძლებელია იურიდიული ფაკულტეტის დეკანის რეკომენდა-ციასა და ვ. მჭედლიშვილის ავტობიოგრაფიაში არსებული შეუსაბამობები და წინააღმდეგობები „ტექნიკური ხასითის შეცდომებად" დაკვალიფიცირდეს, მით უმეტს, როდესაც საქმე „მაღალი რეპუტაციით" გამორჩეულ „სამართლის დარგის აღიარებულ სპეციალისტს" ეხება, რომელიც იუსტიციის უმღლესი საბჭოს წევრად უნდა დაინიშნოს და მოსამართლეები უნდა აკონტროლოს. ფაქტია, რომ ავტობიოგრაფიის მიხედვით ვ. მჭედლიშვილი თსუ-ში ასისტენტ-პროფესორის თანამდეობაზე მუშაობს 2007 წლიდან, რეკომენდაციაში კი 2005 წელია მითითებული. ე. წ. შრომის წიგნაკის მიხედვით, ვ. მჭედლიშვილი 1997 წლის 3 ნოემბრიდან 1998 წლის 26 ოქტომბრამდე იუსტიციის საბჭოს წევრის რეფერენტის, ხოლო 26

ოქტომბრიდან 2000 წლის 5 აპრილამდე იუსტიციის საბჭოს წევრის თანაშემწის თანამდებობაზე მუშაობს. თუმცა, მის ავტობიოგრაფიაში მითითებულია, რომ 1997-1999 წლებში იუსტიციის საბჭოს მდივნის თანაშემწეა. ამასთან, „შრომის წიგნაკი" (რომელიც მუშაობის დაწყებისთანავე უნდა შეევსოთ და მასში ყველა თანამდებობრივი გადაადგილება აესახათ) საქართველოს იუსტიციის საბჭოს თანამშრომლის მიერ, მხოლოდ 2000 წლის 17 აპრილს, ანუ იმ დროს არის შევსებული, როდესაც ვ. მჭედლიშვილი უკვე მეორე კვირაა სხვაგან მუშაობს (ეს ნამდვილად არ არის „ტექნიკური ხასიათის შეცდომა"!). შრომის წიგნაკის ჩანაწერების თანახმად, ვ. მჭედლიშვილი 2000 წლის 5 აპრილიდან უკვე საგადასახადო შემოსავლების მინისტრის თანაშემწეა, იმავე წლის 31 ივლისს კი გადაყვანილია მეტად უცნაური დასახელების თანამდებობაზე „მინისტრის აპარატის მინისტრის სამდივნოს მინისტრის თანაშემწედ", საიდანაც ერთ თვეში განთავისუფლდა... ამასთან, მართალია, ვ. მჭედლიშვილს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროში 2000 წელს, ფაქტობრივად სულ რამოდენიმე თვე მოუწია მუშაობა, მაგრამ ავტობიოგრაში ეს პერიოდი „1999-2000 წლებად" აქვს შეტანილი და თანამდებობაც არანაკლებ გაუგებარია მითითებული ვიდრე „შრომის წიგნაკში", მაგრამ გაცილებით „რეფორმისტული" აქვს მითითებული: „საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს რეფორმების სამდივნოს უფროსი. მინისტრის თანაშემწე". ამდენად, სასამართლომ არ შეასრულა თავის ძირითადი დანიშნულება და არ გამოიკვლია საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და არ გაანალიზა და შეაფასა არსებითი წინააღმდეგობები წარმოდგენილ მტკიცებულებებში;

რ) სასამართლომ საერთოდ ვერ დაასაბუთა და ისე მიიჩნია უტყუარად დადგენილად, რომ „ტექნიკური ხასიათის შეცდომები" ვერ იქონიებდა გავლენას პრეზიდენტის გადაწყვეტილებაზე, ვინაიდან თურმე „ვ. მჭედლიშვილი კონკურსში მონაწილეობის პერიოდისთვის იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი და ეწეოდა სამეცნიერო საქმიანობას". გარდა იმისა, რომ სასამართლო აშკარად მიკერძოებული ჩანს მოპასუხის მიმართ და თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის რეკომენდაციაში მოცემული ინფორმაციის გადამოწმებასაც ვერ ბედავს (ალბათ, საქმის განმხილველი მოსამართლეები დოქტორანტურაში აპირებენ ჩაბარებას...), აშკარად მეტად სპეციფიკური ლოგიკით ხემძღვანელობს, ვინაიდან, არც ვ. მჭედლიშვილს წარუდგენია „საკონკურსო კომისიისთვის" და არც სასამართლო სხდომაზე აღუნიშნავს ვინმეს, რომ ვ. მჭედლიშვილს

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად დანიშვნამდე ერთი სამეცნიერო ნაშრომი მაინც ჰქონდა გამოქვეყნებული... ფაქტია, რომ მიუხედავად, იმისა, ავტობიოგრაფიის მიხედვით ვ. მჭედლიშვილი 2000-2003 წლებში სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტიც ყოფილა, ხოლო 2006 წლიდან თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტია, მან სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოპოვებისთვის აუცილებელი სადისერტაციო (სამეცნიერო) ნაშრომის მომზადება ვერ შეძლო. თუმცა, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პრეზიდენტი, „საკონკურსო კომისია" და მოსამართლე თვლიან რომ ის „აქტიურ სამეცნიერო საქმიანობას ეწევა"...

ამდენად, სასამართლო ყოველგვარი მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე იზიარებს მოპასუხის პოზიციას, რითაც აშკარად ავლენს მიკერძოებას;

ს) სასამართლომ საერთოდ ვერ დაასაბუთა და ისე მიიჩნია უტყუარად დადგენილად რომ „ვ. მჭედლიშვილი „სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტია". თუმცა, არც კონკურსზე და არც სასამართლოში არ წარმოდგენილა არცერთი დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ ვ. მჭედლიშვილი „სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტია" და რომ მან ან „სამართლის დარგში" (მეცნიერებაში) ან პროფესიული კუთხით მიაღწია რაიმე არსებით წარმატებას, რომლითაც ის სხვა იურისტებისგან მნიშვნელოვნად იქნებოდა გამორჩეული, რის საფუძველზეც მათ მიერ „სპეციალისტად" იქნებოდა აღიარებული. ფაქტია, რომ ვ. მჭედლიშვილის მიერ კონკურსზე წარდგენილი დოკუმენტების აბსოლუტური უმრავლესობა (60 გვერდიდან 47) წარმოადგენს რამოდენიმე სამოქალაქო საქმეზე სასამართლოებისა და არბიტრაჟების მიერ 2010-2013 წლებში მიღებული გადაწყვეტილებების ქსეროასლებს, რომლებიდანაც კონკურსთან დაკავშირებით მხოლოდ იმის დადგენა შეიძლება, რომ „წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით" მხარეთა ინტერესების დამცველებად ვ. მჭედლიშვილის კონკურსზე წარმდგენი ა(ა)იპ-ს „საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის" გამგეობის რამოდენიმე წევრი (ცნობილი ადვოკატები დავით ლანჩავა, როინ მიგრიაული და ირაკლი ყანდაშვილი) გვევლინება... თუმცა, თავად ვ. მჭედლიშვილი არსად არის ნახსენები.

სააპელაციო სასამართლომ იმის გამო, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატისთვის რეკომენდაციის წარდგენა სავალდებულო არ იყო, მიუხედავად ამისა, რომ ვ. მჭედლიშვილმა კონკურსზე წარადგინა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მიერ გაცემული, ფაქტობრივად, თავიდან ბოლომდე გაყალბებული

რეკომენდაცია, სრულიად ულოგიკოდ, საერთოდ „გამორიცხა აღნიშნული საკითხის გამოკვლევის საჭიროება" (განჩინების 20-ე გვერდის ბოლო აბზაცი). არადა, შესაბამისი კანონის („საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-6 პუნქტი) და პრეზიდენტის განკარგულების (პუნქტი 5) თანახმად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი არა მარტო „სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტი უნდა იყოს", არამედ „მორალური თვისებებითაც" უნდა გამოირჩეოდეს. აღარაფერს ვიტყვი მისთვის რეკომენდაციის გამცემ პროფესორ ირაკლი ბურდულზე, რომელიც დღეს პირველ ქართულ უნივერსიტეტში იურისტების ახალი თაობის აღზრდის პროცესს მესვეურობს და დეკანის თანამდებობაზე ერთხმად არის არჩეული...

სახელმწიფოში, რომელსაც, პარლამენტის შემადგენლობის და მიღებული კანონების შემხედვარე, საერთოდ არ ეტყობა კვალიფიციური იურისტები თუ ყავს (ტელევიზიები მოვლენების სამართლებივი ანალიზისთვის ექსპერტებად პოლიტიკოსებს, ეკონომისტებს ან ფიზიკოსებს იწვევენ...), მართლაც რთულია „სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტების" მოძიება და მათგან საუკეთესოს არჩევა. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ სამართლის დარგში აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანოების ფლაგმანად დღემდე თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი რჩება, ლოგიკურია, მისი დეკანის თვალსაზრისი, საქართველოს პრეზიდენტისთვის (ალბათ, სასამართლოსთვისაც!) უაღრესად მნიშვნელოვანია. შედეგად, როგორც ჩანს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი პრეზიდენტმა მისი რჩევით (რეკომენდაციით) დანიშნა და დანარჩენ კანდიდატებთან შეხვედრაზე დრო აღარ დაკარგა... მით უმეტეს, რომ „იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ" პირველი ქართული უნივერსიტეტის „აკადემიური წრის წარმომადგენელი ბატონი ვახტანგ მჭედლიშვილი" საქართველოს პრეზიდენტს „ფაკულტეტის საბჭოს (ფაქტობრივად, ყველა პროფესორის) სახელით" წარუდგინა...

პირველი, რითაც ი. ბურდული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის საკუთარ კანდიდატს სხვებისგან გამოარჩევს, როგორც ჩანს, ის გარემოებაა, რომ „2005 წლიდან ბატონი ვახტანგი არის თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენ-პროფესორი და აქტიურად ეწევა აქტიურ პედაგოგიურ-სამეცნიერო საქმიანობას", რასაც, როგორც ჩანს, სასამართლოც ეთანხმება. თუმცა, ფაქტია, რომ ვ. მჭედლიშვილი თითქმის 10 წელია ასპირანტურასა და დოქტორანტურაში სწავლობს, მაგრამ სამეცნიერო ნაშრომის მომზადება ვერ შეძლო... შესაბამისად, ვ. მჭედლიშვილის სამეცნიერო საქმიანობის მხრივ რაიმე სახის

აქტიურობის დამადასტურებელი ინფორმაცია მის მიერ კონკურსზე წარმოდგენილ დოკუმენტებში და არც ინტერნეტში არ იძებნება. აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ გავითვალისწინებთ, რომ 2006 წლის გაზაფხულზე ვ. მჭედლიშვილთან ერთად თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ფასიან დოქტორანტურაში ერთდროულად 300-ზე მეტი სტუდენტი ჩაირიცხა (თავად დოქტორანტურის დებულებაც ნაუცბათევად შედგენილი და სრულიად უვარგისი იყო... ავთანდილ კახნიაშვილი, „თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების სრულყოფისივის", თბილისი, 2006) და იმდროინდელი დოქტორანტების არც თუ მცირე ნაწილმა აკადემიური ხარისხი უკვე მოიპოვა, ამდენად, ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე 2007 წელს და მომდევნო „არჩევნების" ჩატარებისას სამართლის დოქტორებისგან და დანარჩენი დოქტორანტებისგან ვ. მჭედლიშვილის გამორჩეულობა, როგორც ჩანს, მხოლოდ თანამდებობრივმა სტატუსმა (თუნდაც „საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარეობამ") განაპირობა. შესაბამისად, ვინაიდან იუსტიციის საბჭოს წევრად წარდგენამდე ვ. მჭედლიშვილს გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობაც ეკავა (მითუმეტეს, ივანიშვილმა დანიშნა...), როგორც ჩანს, დეკანისთვის და სასამართლოსთვის „სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტად" მისი მიჩნევისთვის საკმარისი ყოფილა.

მეორე, რითაც სასამართლო (დეკანის რეკომენდაციის საფუძველზე) ვ. მჭედლიშვილს სხვა იურისტებზე წინ აყენებს. სავარაუდოდ, ის გარემოებაა, რომ „2000-2003 წლებში იგი მოღვაწეობდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. 1999 წელს სასამართლო რეფორმის განხორციელებაში შეტანილი წვლილისთვის გამოცხადებული აქვს საქართველოს პრეზიდენტის (ედუარდ შევარდნაძის) მადლობა". ვინაიდან, ეს ფაქტი თავად ვ. მჭედლიშვილსაც კი არ აუსახია ავტობიოგრაფიაში, როგორც ჩანს, გერმანიაში განსწავლულმა დეკანმა უკეთესად იცის, რაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატისთვის მიცემულ რეკომენდაციაში... ამასთან, დეკანის აზრით, მნიშვნელოვანი ყოფილა რომ ვ. მჭედლიშვილი „ეწეოდა მრავალწლიან წარმატებულ საადვოკატო საქმიანობას", თუმცა სსიპ – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ, რომელიც 4000-მდე ადვოკატს აერთიანებს კონკურსზე სრულიად სხვა კანდიდატი წარადგინა. ამდენად, ადვოკატთა ასოციაციის მიერ „სამართლის დარგში აღიარებული სპეციალისტი" კონკურსში დამოუკიდებლად

მონაწილეობდა, ხოლო პროფესორები უშუალოდ იმ უნივერსიტეტებმა წარმოადგინეს, სადაც ისინი ლექციებს კითხულობდნენ.

ბუნებრივია, სწორედ სამართლის განვითარების და „სამართლიანობის აღდგენის" ინტერესებშია სამომავლოდ მაინც დაზუსტდეს, რა კრიტერიუმებით უნდა შეირჩეს „სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტი", რაც ცალკე მსჯელობის თემაა. ამჯერად, მხოლოდ იმას აღვნიშნავ,რომ,როდესაც 1999წელს „რეფორმირებული"მოსამართლეები მხოლოდ „ტესტირებით" ინიშნებოდნენ, სპეციალურად უზენაესი სასამართლოსთვის მიღებული „ანტირეფორმისტული" (ამჟამად, ძალადაკარგული...) კანონით, საქართველოს პრეზიდენტს მიეცა უფლებამოსილება უზენაესი სასამართლოს წევრის თანამდებობაზე ყოველგვარი გამოცდების გარეშე ასარჩევად პარლამენტისთვის წარედგინა „სამართლის გამოჩენილი სპეციალისტის კანდიდატურა" (მუხლი 20.2). მაშინ ამ „გამონაკლისი წესით" („შემოვლითი გზით"...) თანამდებობაზე სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი მქონე რამოდენიმე პირი გამწესდა...

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ, ისევე როგორც თბილისის საქალაქო სასამართლომ, არასათანადოდ დაასაბუთა საკუთარი პოზიცია და სამართლის ნორმის მიზნის გაუთვალისწინებლად არასწორად განმარტა „სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტის" შინაარსი და გადაუმოწმებლად დაეყრდნო იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მიერ მიწოდებულ მცდარ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ვ. მჭედლიშვილი „აქტიურად ეწევა სამეცნიერო საქმიანობას".

გარდა ამისა, სასამართლომ საერთოდ ვერ დაასაბუთა და ისე მიიჩნია უტყუარად დადგენილად, რომ „ვახტანგ მჭედლიშვილის კანდიდატურა შეესაბამებოდა საქართველოს ორგანული კანონის და საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით დადგენილ მოთხოვნებს". ფაქტია, რომ კონკურსზე და სასამართლოში წარდგენილი დოკუმენტების (მტკიცებულებების) ანალიზის საფუძველზე, უტყუარად დასტურდება, რომ ვ. მჭედლიშვილი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატად რეგისტრირებულ იქნა პრეზიდენტის №30/12/01 განკარგულების მე-6 პუნქტით აუცილებელი ყველა დოკუმენტების წარუდგენლად, ხოლო მისი კანდიდატურა არ აკმაყოფილებდა პრეზიდენტის განკარგულებით დადგენილ მოთხოვნებს.

სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 24 ოქტომბრის განჩინება უნდა გაუქმდეს, ვინაიდან მისი დაუსაბუთებლობა და ჩემი მოთხოვნების საფუძვლიანობა დასტურდება მოწინააღმდეგე მხარის და მესამე პირის

წარმომადგებლების მიერ წარმოდგენილი შესაგებლების გაცნობიდანაც და სასამართლო სხდომებზე მათი გამოსვლების გაანალიზებითაც. კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ პირველ სხდომაზე მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შემდეგ, კითხვები დავსვი, რომელთა უმრავლესობაზე პასუხები ვერ მივიღე. 16 აპრილს კონკურსზე წარდგენილი დოკუმენტების გამოკვლევა და მხარეთა პაექრობა გაიმართა, მაგრამ პრეზიდენტისა და მის მიერ დანიშნული პირის წარმომადგენლებმა, ფაქტობრივად ვერაფერი თქვეს და ვერც საბუთებში (ვ. მჭედლიშვილის მიერ კონკურსზე წარმდგენილ დოკუმენტებში) არსებული წინააღმდეგობები ახსნეს. სამაგიეროდ სხდომიდან გამოსულებმა ტელეკამერების წინ განაცხადეს, რომ „სარჩელი ემყარება მცდარ ვარაუდებს და დაუზუსტებელ, არაკორექტულ ინფორმაციას და ფაქტობრივ გარემოებებს. ალბათობის მაღალი ხარისხით, ჩვენ ღრმად გვწამს, რომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე ავთანდილ კახნიაშვილს უარი ეთქმება, რადგან ბატონი ვახტანგ მჭედლიშვილის დანიშვნა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არის კანონის შესაბამისი და პრეზიდენტის განკარგულება კანონიერი“ (იხ. 2014 წლის 3 აპრილის საინფორმაციო გადაცემები).

ჩემი სარჩელის საფუძვლიანობასა და თბილისის საქალაქო სასაამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების და სააპელაციო სასამართლოს განჩინების არასაკმარისად დასაბუთებასა (აგრეთვე სასამართლოების მიკერძოებაში) დასარწმუნებლად, აგრეთვე, საკმარისია მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლების მიერ სასამართლოში წარმოდგენილი შესაგებლების გაცნობა. ნაცვლად იმისა, რომ ჩემს სარჩელსა და სააპელაციო საჩივარში მოყვანილ თითოეულ ფაქტობრივ და სამართლებივ გარემოებაზე გაეცათ დასაბუთებული (არგუმენტირებული) პასუხი და პროფესიონალ იურისტებს მეც დავერწმუნებინე ჩემი მოთხოვნების უსაფუძვლობაში, პრეზიდენტისა და მის მიერ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში დანიშნული წევრის წარმომად-გენელები, ფაქტობრივად, მხოლოდ ზოგადი ფრაზებით შეეცადნენ ჩემს ოპონირებას (იხ. სასამართლო სხდომების ამსახველი ვიდეოჩანაწერი).

მართალია, მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლები, როგორც ჩანს, თავიდანვე „ალბათობის მაღალი ხარისხით იყვნენ დარწმუნებულნი, რომ სასამართლო უარს მეტყოდა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე“ (ვინაიდან, საქმე პრეზიდენტს და სასამართლოს მაკონტროლებელ ორგანოს ეხება...), მაგრამ, თუ საქართველოში

სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრებას და „სამართლიანობის აღდგენას" მართლაც ვაპირებთ, იურისტების მსჯელობა ლოგიკის წესებს უნდა ექვემდებარებოდეს, ხოლო არგუმენტები წინააღმდეგობებს არ უნდა შეიცავდეს. მოწინააღმდეგე მხარემ და მესამე პირმა სასამართლოში ვერაფრით დაამტკიცეს და შესაგებლებში, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე განაცხადეს, რომ „ვ. მჭედლიშვილი შეარჩია და დანიშნა პრეზიდენტმა", რომ „მოწვეული პირი" - გიორგი კვერენხილაძე „მხოლოდ ესწრებოდა „საკონკურსო კომისიის" სხდომებს, მაგრამ არ მონაწილეობდა კანდიდატების შერჩევის პროცესში"...

შესაგებლების ავტორები, ფაქტობრივად, არ ეთანხმებიან ჩემს მოყვანილ არცერთ ფაქტობრივ გარემოებას, თუმცა დასაბუთებისთვის თავს არ იწუხებენ. ამასთან, თვლიან, რომ იურიდიული პირი შეიძლება იყოს წარმომადგენელი სასამართლოში და საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 47-ე მუხლს იშველიებენ, ხოლო დოკუმენტებში არსებულ შეუსაბამობებს და წინააღმდეგობებს „ტექნიკური ხასიათის შეცდომებად" მიიჩნევენ, რასაც სამწუხაროდ, სასამართლოც ეთანხმება და გადაწყვეტილებასაც მოპასუხის არგუმენტებზე აგებს... ṛის შედეგადაც, სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე გამოდის, თურმე ვ. მჭედლიშვილის სპეციალობით მუშაობის ხანგრძლივობა („სტაჟი") პრეზიდენტს მისი ავტობიოგრაფიის მიხედვით დაუდგენია, ხოლო შეუსაბამობები „ტექნიკური ხასიათის შეცდომებად" ჩაუთვლია; მიუხედავად იმისა რომ კანდიდატის წარმდგენი ა(ა)ი-ს გამგეობა წესდების თანახმად „აღმასრულებელი ორგანოა", თურმე „ხელმძღვანელობაც" შესძლებია; „სამართლის დარგის აღიარებულ სპეციალისტის" სტატუსის მინიჭებაც ფილოსოფოსი პრეზიდენტის უფლებამოსილება ყოფილა, ხოლო კონკურსის ჩატარების „ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით შექმნილ კომისიას", თურმე კანდიდატების შერჩევა ევალებოდა... თუმცა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახალი წევრი, ბოლოს მაინც პრეზიდენტს „შეურჩევია და დაუნიშნავს"...

მიმაჩნია, რომ აღნიშნული საქმე ქვეყნისთვისაც და მისი სასამართლოს-თვისაც, ფაქტობრივად, ტესტია დემოკრატიულობაზე. გონივრული იქნებოდა პრეზიდენტი და მის მიერ დანიშნული პირი სხდომებს დასწრებოდნენ და ხელი შეეწყოთ „სამართლიანობის აღდგენისთვის". ყოველ შემთხვევაში, იმას მაინც შევიტყობდით, თუ რეალურად ვის ინტერესებს იცავს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ახალი წევრი ან რა კრიტერიუმით ირჩევენ საქართველოში „სამართლის

დარგის აღიარებულ სპეციალისტებს", მითუმეტეს, რომ ბოლოს დაკავებული თანამდებობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბატონი ვახტანგი ბუნებისმცოდნეებში უფრო აღიარებული ყოფილა, ვიდრე იურისტებში.

მოსამართლის სტატუსის და მართლმსაჯულების განხორციელების ხარისხის თაობაზე, პირველ რიგში, სასამართლოს შენობა გვიქმნის მკაფიო წარმოდგენას. ცივილიზებულ სახელმწიფოებში საუკეთესო შენობებში პოლიციის განყოფილებები კი არ არის განთავსებული, არამედ მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოები. ამდენად, როდესაც ადმინისტრაციული საქმეების განმხილველი სასამართლო, რომელიც სახელმწიფოსთან ასოცირდება, დედაქალაქის გარეუბანში ფასადმორღვეული შენობის „მანსარდაშია" განთავსებული, გასაგები ხდება, რა ავტორიტეტი („სტატუსი") აქვს ქვეყანაში... ამასთან, ოთახი რომელშიც სინათლის სხივიც კი ვერ აღწევს, სიმბოლურადაც ასახავს, რომ ქვეყანაში ისეთი სამართლებრივი წყვდიადია გამეფებული, რომ დაშინებული მოსამართლეები არა მარტო პრეზიდენტის განკარგულების, არამედ „სითი პარკის" ინსპექტორების მიერ კანონდარღვევით გამოწერილი 10 ლარიანი ჯარიმების გაუქმებასაც ვერ ბედავენ... ამდენად, ვინაიდან საქალაქო სასამართლომ ვერ მოახერხა და სააპელაციო სასამართლომაც ვერ „აღადგინა სამართლიანობა", თუ საკასაციო სასამართლო მაინც გაბედავს და ობიექტურ გადაწყვეტილებას გამოიტანს, კიდევ მექნება იმედი, რომ ქვეყანა სამართლებრივ ნიჰილიზმს დაძლევს და დემოკრატიული განვითარების პერსპექტივას შეინარჩუნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვშიშობ, ისევ ის სააკაშვილის დანატოვარი ბუტაფორულფასადიანი კარიკატურული რეჟიმი დარჩება, რომელიც ადამიანის უფლებებს ეფექტურად ვერასოდეს დაიცავს.

სამწუხაროდ, პირველ ინსტანციასთან დაკავშირებით მეც „ალბათობის მაღალი ხარისხით, ღრმად მწამდა", რომ სასამართლო პრეზიდენტის და/ან იუსტიციის საბჭოს წევრის წინააღმდეგ შეტანილ სარჩელზე ობიექტური გადაწყვეტილების გამოტანას ვერ გაბედავდა, მითუმეტეს, საქმეს სწორედ ის მოსამართლე (ხატია არდაზიშვილი) იხილავდა, რომელმაც პატრულ-ინსპექტორის მიერ შეცდომით გამოწერილი საჯარიმო ქვითრის გააუქმებაც ვერ გაბედა, ხოლო მის უშუალო ხელმძღვანელს (შსს–ს დეპარტამენტის დირექტორს) შენიშვნა ვერ მისცა იმის თაობაზე, რომ კონსტიტუციის იგნორირებით ჩათვალა, რომ მისი „გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება".

აღნიშნული გარემოების გამო, მოსამართლის აცილება მოვითხოვე. რაც სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

ლოგიკურია, რომ არც სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა ჩემი დასაბუთებული შუამდგომლობები საქმის განმხილველი მოსამართლეების აცილების თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას უტყუარი მტკიცებულებები წარვუდგინე მოსამართლეების არასათანადო დამოუკიდებლობისა და მოწინააღმდეგე მხარისადმი აშკარად მიკერძოების გამო.

სამწუხაროდ, დღევანდელი მოსამართლეების მნიშვნელოვანი ნაწილი პიროვნული თვისებებით და კვალიფიკაციით ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, ხოლო სასამართლო ხელისუფლებაში რეალური რეფორმებია გასატარებელი, რაზეც, პირველ რიგში, სწორედ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა იზრუნოს. ამასთან, პრეზიდენტის წინააღმდეგ სარჩელის შეტანის ძირითადი მიზანია საზოგადოების ყურადღება მივაპყრო სასამართლოებში არსებულ საგანგაშო ვითარებაზე, საკანონმდებლო ბაზის შეცვლის, სტრუქტურული რეორგანიზაციის, სასამართლოებისთვის შესაფერისი შენობების გამოყოფის, მოსამართლეების შერჩევის კრიტერიუმების შეცვლის, აგრეთვე მათი რეალური დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფის აუცილებლობაზე. სწორედ ამ მიზნით გამოვაქვეყნე რამდენიმე სტატია „რევოლუციური სასამართლო რეფორმის" ნაკლოვანებებზე და პრეზიდენტთან მიმდინარე დავასთან დაკავშირებით, რომლებსაც თან ვურთავ წინამდებარე საკასაციო საჩივარს. იმედი მაქვს, აღნიშნულ პუბლიკაციებში მოყვანილი მოსაზრებები დაეხმარებათ საქმის განმხილველ მოსამართლეებს დავის არსის გააზრებაში და სამართლიანად გადაწყვეტაში.

იმისთვის, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით განვითარდეს, პირველ რიგში, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო ხელისუფლებაა ჩამოსაყალიბებელი, რისთვისაც მოსამართლეთა კორპუსიც ძირეულად უნდა შეიცვალოს, ხოლო, თუ საქართველოში კონკურსებისა და არჩევნების ობიექტურად ჩატარებას ვერ ვისწავლით, ყოფილი იუგოსლავიასავით თუ არ დავიშალეთ ნაწილებათ, სამართლებრივი სახელმწიფოს ნაცვლად, მართლაც პლუტოკრატიული ტირანია (ძალადობაზე, თვითნებობაზე და ტყუილებზე დაფუძნებული სახელმწიფო) შეგვრჩება ხელში.

ამჯერად უკვე უზენაეს სასამართლოს მოუწევს დაასკვნას, თუ

რამდენად ემყარება პრეზიდენტის წინააღმდეგ შეტანილი ჩემი ადმინისტრაციული სარჩელი და სააპელაციო საჩივარი „მცდარ ვარაუდებს და დაუზუსტებელ, არაკორექტულ ინფორმაციას და ფაქტობრივ გარემოებებს". მე კი, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის შესარჩევი კონკურსი ფორმალურად ჩატარდა და „კონკურსის ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით" შექმნილმა კომისიამ თავიდანვე იცოდა თუ ვის წარუდგენდა პრეზიდენტს (შესაბამისად, არც ვ. მჭედლიშვილის და არც დანარჩენი კანდიდატების მიერ წარდგენილი დოკუმენტებისთვის, ფაქტობრივად, არავის გადაუხედავს).

მიუხედავად ამისა, ვინაიდან კონსტიტუციით, ჯერჯერობით, სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრებას ვცდილობთ და საჯარო მოსამსახურეთა მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვა მოქალაქეთა პირდაპირ და უშუალო ინტერესებში შედის, საქართველოს კონსტიტუციითვე (მუხლი 44.1) მაქვს უფლება, პირველ რიგში, სწორედ სახელმწიფოს პირველი პირისგან და მისი ადმინისტრაციისგან მოვითხოვო კანონმდებლობის, მათ შორის, პრეზიდენტის გარკვეულების, შესრულება და შესაბამისი მოქმედება, ხოლო „სამართლიანობის აღდგენა" სასამართლოს მეშვეობით შევეცადო. ამით, ჩემს მოქალაქეობრივ და პროფესიულ ვალდებულებას მოვიხდი, ხოლო საკასაციო სასამართლოს შესაძლებლობა ეძლევა „სამართლიანობა აღადგინოს" და საზოგადოებას სამართლებრივი ნიჰილიზმის დაძლევაში დაეხმაროს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოვითხოვ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ოქტომბრის განჩინებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილების სრულად გაუქმებას და უზენაესი სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებას, რომლითაც დაკმაყოფილდება ჩემი სასარჩელო მოთხოვნა საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 16 იანვრის №16/01/01 განკარგულების „ვ. მჭედლიშვილის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად დანიშვნის შესახებ" ბათილად ცნობისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად იმ კანდიდატის დანიშვნის შესახებ, რომელიც აკმაყოფილებს კონკურსის პირობებს.

პრეტენზიები ფაქტობრივ გარემოებებზე (გვ. 28-37)

(საკასაციო საჩივარში მოცემული დასაბუთების გარეშე)

1. სააპელაციო სასამართლომ სრულიად უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად ჩათვალა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ „სწორი შეფასება მისცა საქმის მასალებს, საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები დაადგინა სრულყოფილად, რაც არ იძლევა გადაწყვეტილების გაუქმებისა და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველს";

2. სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია უდავოდ დადგენილად, რომ „იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის შესარჩევი კონკურსის ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნა შესარჩევი საკონკურსო კომისია";

3. სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად, რომ საკონკურსო კომისიისთვის ცნობილი იყო, რომ ვ. მჭედლიშვილი თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე არჩეული იყო 2007 წლის 27 სექტემბრიდან;

4. სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად, რომ ვ. მჭედლიშვილს რეკომენდაცია თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის საბჭომ გაუწია;

5. სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად, რომ ვ. მჭედლიშვილი 2014 წლის 06 ივნისს დაინიშნა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილედ და კონკურსში მონაწილეობამდე იკავებდა აღნიშნულ თანამდებობას;

6. სააპელაციო სასამართლომ, ისევე, როგორც საქალაქო სასამართლომ, არასწორად მიიჩნია უდავოდ, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის შესაბამის ნორმა „არ არის ბუნდოვანი და არ ქმნის თავისუფალი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას" და რომ ის „შეიცავს ცალსახა მითითებას იმის თაობაზე, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში კანდიდატის წარდგენის უფლებამოსილება გააჩნია ა(ა)იპ-ს, თუმცა ამ იურიდიული პირის საქმიანობის სფერო კონკურსის გამოცხადებამდე არანაკლებ ბოლო 2 წლის განმავლობაში უნდა იყოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით მონაწილეობა სასამართლოებში განხორციელებულ საქმეთა წარმოებაში" ;

7. სააპელაციო სასამართლო სრულიად უსაფუძვლოდ ასკვნის, რომ „აპელანტი სადავოდ არ ხდის ვ. მჭედლიშვილის წარმდგენი ა(ა)იპ-ს სასამართლოში წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით

მონაწილეობის ფაქტს";

8. თუ საქალაქო სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად, რომ ვ. მჭედლიშვილს კონკურსზე წარდგენილი დოკუმენტების თანახმად, ჰქონდა „სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება", სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში საერთოდ არ უხსენებია ის გარემოება, რომ ვ. მჭედლიშვილს კონკურსზე არ წარუდგენია კანონით და პრეზიდენტის განკარგულებით აუცილებელი დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდებოდა მისი „სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება".

9. სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია უდავოდ, რომ მხოლოდ ვ. მჭედლიშვილის ავტობიოგრაფიის საფუძველზე საკონკურსო კომისიას დადგენილად უნდა ჩაეთვალა, რომ ის „1997 წლიდან მუშაობდა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, შემდეგ საქართველოს უზენაეს სასამართლოში";

10. გარდა იმისა, რომ საქალაქო სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად, რომ „ა(ა)იპ საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის გამგეობა წარმოადგენს კოლეგიურ ხელმძღვანელ ორგანოს, რომელიც კანონისა და კანონმქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე უფლებამოსილი იყო წარედგინა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის კანდიდატურა საქართველოს პრეზიდენტისთვის", სააპელაციო სასამართლომაც სრულიად დაუსაბუთებლად განაცხადა, რომ „აპელანტის მითითება ვ. მჭედლიშვილის არაუფლებამოსილი ორგანოს მხრიდან წარდგენის თაობაზე არ ემყარება შესაბამის მტკიცებულებებს";

11. გარდა იმისა, რომ საქალაქო სასამართლომ არასწორად მიიჩნია უდავოდ და დადგენილად, რომ „რეკომენდაციასა და კანდიდატის ავტობიოგრაფიაში მითითებული შეუსაბამობები საქართველოს პრეზიდენტის მიერ შეფასდა ტექნიკური ხასიათის შეცდომად", სააპელაციო სასამართლომაც სრულიად უსაფუძვლოდ განაცხადა, რომ „აპელანტის მხრიდან საქმეში წარმოდგენილი არ არის არც ერთი მტკიცებულება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა შრომის წიგნაკში ასახული მონაცემების ნამდვილობას";

12. სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია უდავოდ და დადგენილად, რომ „ტექნიკური ხასიათის შეცდომები" ვერ იქონიებდა გავლენას პრეზიდენტის გადაწყვეტილებაზე, ვინაიდან „ვ. მჭედლიშვილი კონკურსში მონაწილეობის პერიოდისთვის იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ასისტენტ-პროფესორი და ეწეოდა სამეცნიერო საქმიანობას";

13. სააპელაციო სასამართლომ არასწორად და სრულიად დაუსაბუთებლად მიიჩნია უდავოდ და დადგენილად, რომ „ვ. მჭედლიშვილი „სამართლის დარგის აღიარებული სპეციალისტია";

14. სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია უდავოდ და დადგენილად, რომ „ვახტანგ მჭედლიშვილის კანდიდატურა შეესაბამებოდა საქართველოს ორგანული კანონის და საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით დადგენილ მოთხოვნებს";

15. სააპელაციო სასამართლომ, ისევე როგორც საქალაქო სასამართლომ, არასწორად მიიჩნია უდავოდ და დადგენილად, რომ „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის შესარჩევმა საკონკურსო კომისიამ უზრუნველყო კონკურსის გამჭვირვალედ ჩატარება და კანდიდატების მიერ წარდგენილი დოკუმენტების პრეზიდენტის განკარგულებასთან შესაბამისობის დადგენა", ხოლო წარდგენილი კანდიდატებიდან „იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის შერჩევა და თანამდებობაზე დანიშვნა განახორციელა საქართველოს პრეზიდენტმა";

16. სააპელაციო სასამართლომ რატომღაც ჩათვალა, რომ „დაუშვებელია პრეზიდენტის დავალდებულება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად დანიშნოს კონკურსის მონაწილე ის კანდიდატი, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობის და პრეზიდენტი 2013 წლის 30 დეკემბრის N30/12/01 განკარგულების მოთხოვნებს".

კომენტარი:

საგულისხმოა, რომ აღნიშნულ საქმეში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის 5 კანდიდატი ფიგურირებდა... ამასთან, დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის დანიშვნის თაობაზე შეტანილი საკასაციო საჩივრის განხილველი ადმინისტრაციული პალატის შემადგენლობაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანიც „აღმოჩნდა" (როგორც მითხრეს, ვახტანგ მჭედლიშვილი მისი მეგობარია). შესაბამისად, აღარ გამკვირვებია, რომ უზენაეს სასამართლოში საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხზე „ზეპირი მოსმენით იმსჯელეს", არცერთი შუამდგომლობა არ დამიკმაყოფილეს და საკასაციო საჩივარში სამართლის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ვერაფერი დაინახეს... არადა, სასამართლოს დამატებით

წარვუდგინე საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტიდან მიღებული განმარტება (ვახტანგ ხმალაძის წერილი N402/410, 22.01.2015), იმის თაობაზე, რომ იურიდიული პირის სასამართლოში წარმომადგენლობის დასადასტურებლად, „შესაძლოა, გამოდგეს ნებისმიერი სასამართლო დოკუმენტი, რითაც დასტურდება ამ ორგანიზაციის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით სასამართლოში საქმეთა წარმოება“.

ფაქტია ისიც, რომ ასეთი დოკუმენტი ვ. მჭედლიშვილის მიერ კონკურსზე წარდგენილი არ ყოფილა, ხოლო საკასაციო პალატამ ვერც ქვემდგომი ინსტანციიის მიერ დაშვებული შეცდომები შენიშნა და იმითაც კი არ დაინტერესებულა (იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების შესარჩევი კრიტერიუმების მკაფიოდ განსაზღვრის ან თუნდაც სამართლის განვითარების მიზნით...) „კონკურსის გამოცხადებამდე არანაკლებ 2 წლის განმავლობაში წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით სასამართლოში საქმეთა წარმოება“ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად წარდგენილ კანდიდატს მოეთხოვება, თუ მის წარმდგენ იურიდიულ პირს?! ამასთან, სააპელაციო სასამართლო, თბილისის საქალაქო სასამართლოსავით, ისე ენდო თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის გაყალბებულ რეკომენდაციას და განჩინებაშიც აღნიშნა, რომ ვ. მჭედლიშვილი „აქტიურად ეწევა სამეცნიერო საქმიანობას“, რომ მისი სამეცნიერო საქმიანობის ამსახველი რაიმე დოკუმენტი თვალით არ უნახავს.

საკასაციო საჩივრიდან ამონარიდებზე კომენტარის დასასრულს კი საზოგადოებას გავაცნობ უზენაესი სასამართლოს განჩინებას, რომელიც მკაფიოდ წარმოაჩენს საქართველოში სამართლებრივი ნიჰილიზმის მასშტაბებს და რომ სასამართლო ხელისუფლება რეალურად საჭიროებს თავიდან ბოლომდე რეფორმირებას...

საქართველოს უზენაესი სასამართლო
ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
საქმე ბს-779-765 (კ-14)

12 მარტი, 2015 წელი
ქ. თბილისი

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ
შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე: მაია ვაჩაძე (მომხსენებელი)
მოსამართლეები: ნუგზარ სხირტლაძე
ლევან მურუსიძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლისა და 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ზეპირი მოსმენის გარეშე, შეამოწმა ავთანდილ კახნიაშვილის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლების არსებობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ოქტომბრის განჩინების გაუქმების თაობაზე.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

2014 წლის 17 თებერვალს ავთანდილ კახნიაშვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს პრეზიდენტის მიმართ.

მოსარჩელემ მოითხოვა საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 16 იანვრის №16/01/01 განკარგულების ბათილად ცნობა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად საქართველოს პრეზიდენტის მიერ კონკურსში მონაწილე იმ კანდიდატის დანიშვნა, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობითა და საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 30 დეკემბრის №30/12/01 განკარგულებით დადგენილ მოთხოვნებს. მოსარჩელემ ასევე იშუამდგომლა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 16 იანვრის №16/01/01 განკარგულების მოქმედების შეჩერება სასამართლოში საქმის განხილვის დასრულებამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 19 თებერვლის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება ვახტანგ მჭედლიშვილი, ხოლო სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერებაზე მოსარჩელეს ეთქვა უარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით ავთანდილ კახნიაშვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ავთანდილ კახნიაშვილმა, რომელმაც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 26 სექტემბრის საოქმო განჩინებით არ დაკმაყოფილდა ავთანდილ კახნიაშვილის შუამდგომლობა სასამართლოს შემადგენლობის უმრავლესობის, მოსამართლეების - მანანა ჩოხელისა და ნინო ქადაგიძის აცილების თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით ავთანდილ კახნიაშვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ავთანდილ კახნიაშვილმა, რომელმაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ოქტომბრის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილება მოითხოვა.

გარდა აღნიშნულისა, კასატორმა იშუამდგომლა: საკასაციო საჩივრის განსახილველად საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისათვის გადაცემის, საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის განმარტების თაობაზე საკანონმდებლო ორგანოსათვის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტისათვის მიმართვის, საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის, საკასაციო სასამართლოს მიერ მოსამართლეთა აცილებაზე უარის თქმის შესახებ ქვედა ინსტანციის სასამართლოთა საოქმო განჩინებების დასაბუთებულობის საკითხზე მსჯელობისა და

საკასაციო საჩივრის მოსამართლე ნუგზარ სხირტლაძის მონაწილეობის გარეშე განხილვის თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 19 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ავთანდილ კახნიაშვილის საკასაციო საჩივარი. ამასთან, მხარეს განემარტა, რომ საკასაციო საჩივარში მითითებული შუამდგომლობები საკასაციო სასამართლოს მიერ განხილულ იქნებოდა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ავთანდილ კახნიაშვილი შუამდგომლობები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ამასთან, საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს და არ ექვემდებარება დასაშვებად ცნობას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისათვის საკასაციო საჩივრის განსახილველად გადაცემის შესახებ კასატორის შუამდგომლობასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქმის საკასაციო წესით განმხილველ სასამართლოს შეუძლია მოტივირებული განჩინებით საქმე განსახილველად გადასცეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას, თუ: საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას; საკასაციო პალატა არ იზიარებს სხვა საკასაციო პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას); საკასაციო პალატა არ იზიარებს დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის დიდი პალატისათვის იმ საფუძვლით გადაცემის მიზანშეწონილობის საკითხის განხილვა, რომ საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას, განეკუთვნება საქმის განმხილველი საკასაციო სასამართლოს განსაკუთრებულ, დისკრეციულ უფლებამოსილებას, რომლის მიხედვით სასამართლო თავისი შეხედულებით და არა მხარის განცხადების საფუძველზე განსაზღვრავს საქმის საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისათვის გადაცემის საკითხს. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ

არსებობს მოცემული დავის გადაწყვეტისათვის საქმის საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისათვიის გადაცემის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი საფუძველი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ასევე არ არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის განმარტების თაობაზე საკანონმდებლო ორგანოსათვის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტისათვის მიმართვის შესახებ შუამდგომლობის გაზიარების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის განსახილველად დასაშვებობის ამომწურავ საფუძვლებს, როგორიცაა: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით და არსებობს ვარაუდი, რომ მას შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით, რის გამოც საკასაციო საჩივარი არ უნდა იქნეს დაშვებული განსახილველად.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ავთანდილ კახნიაშვილის შუამდგომლობები არ დაკმაყოფილდეს;
2. ავთანდილ კახნიაშვილის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;

3. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ოქტომბრის განჩინება;
4. სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე: მ. ვაჩაძე
მოსამართლეები: ნ. სხირტლაძე
ლ. მურუსიძე

კომენტარი:

კომენტარის ნაცვლად, საკასაციო საჩივრის „ზეპირი მოსმენის გარეშე შემოწმებაში“ მონაწილე მოსამართლეების ზოგიერთ ბიოგრაფიულ მონაცემს გავასაჯაროებ, მით უმეტეს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კონკურსში გამარჯვებულის თაობაზე მკითხველმა სააპელაციო საჩივრიდანაც მიიღო გარკვეული ინფორმაცია.

მოსამართლე ნუგზარ სხირტლაძე 2008 წელს თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე საკონკურსო კომისიის წევრი იყო და პროფესორების მიერ წარდგენილ სამეცნიერო კვლევების კონცეფციებს „ამოწმებდა“, თუმცა თავად აკადემიური ხარისხი დღემდე არ გააჩნია. რაც შეეხება ლევან მურუსიძეს, სანამ მოსამართლე გახდებოდა 2004 - 2005 წლებში გორის რაიონულ პროკურატურაში მუშაობდა. სააკაშვილის 2005 წლის 22 სექტემბრის N784 გრძანებულებით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლედ დანიშნულა. ოთხ თვეში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი გამხდარა, ხოლო პარლამენტის 2006 წლის 14 აპრილის N 2901 დადგენილებით (ფაქტობრივად, მოსამართლედ გამწესებიდან 6 თვეში...) საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრად ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით აურჩევიათ. ამდენად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დღევანდელი მდივნის ჭეშმარიტად „რევოლუციური“ კარიერული წინსვლიდან და დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ვურჩევდი ნებაყოფლობით გადამდგარიყო დაკავებული თანამდებობიდან. იმავეს ვურჩევდი ვახტანგ მჭედლიშვილს და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დანარჩენ წევრებსაც, რაც საშუალებას მოგვცემდა სასამართლოების რეალური რეფორმა „ზემოდან“ - იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან - დაგვეწყო.


ბოლოსიტყვაობა

ნამდვილად გონივრული იქნებოდა, საქართველოს პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციაში სასამართლო სელისუფლებაში შემავალი რომელიმე ინსტიტუტი განთავსებულიყო, რაც თბილისელებს და დედაქალაქის სტუმრებს შენობის წინ არსებულ ტერიტორიაზე შესვლის საშუალებას მისცემდა. იმისთვის, რომ წიგნის გარეკანის გასაფორმებლად საჭირო ფოტო რეზიდენციის ფასადისთვის გადამეღო, პრეზიდენტის სახელზე განცხადების შეტანა მომთხოვეს, პირადობის მოწმობის ასლიც მიმატანინეს, მაგრამ ნებართვა მაინც არ მომცეს... ამასთან, ხაზი იმ გარემოებასაც უნდა გაესვას, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაცია შაბათ-კვირას ისვენებს და მოქალაქეს ქვეყნის პირველი პირისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი ინფორმაციის განდობა რომ სურდეს, არც არავინ მოუსმენს და არც განცხადებას ჩაიბარებენ...


მას შემდეგ, რაც წინადადებები საქართველოში რეალური სასამართლო რეფორმის განსასორციელებლად აუცილებელი ღონისძიებების თაობაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, იუსტიციის მინისტრს, საქართველოს პრეზიდენტს და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს გავუგზავნე, ქალბატონმა ნინომ ჰატივი დამდო, დრო გამოძებნა და რეფორმასთან დაკავშირებულ საკითხებზე სასაუბროდ უზენაეს სასამართლოში მიმიწვია. იუსტიციის სამინისტროდან წერილობით მიპასუხეს, ხოლო პარლამენტიდან და პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან არავინ შემსმიანებია...

როდესაც 2016 წლის 3 ივნისს გამართულ პრეზენტაციაზე „კრიმინოლოგიის ძირითად ტერმინთა განმარტებების“ თავფურცელზე ამოვიკითხე, რომ „წიგნი გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის სელშეწყობით“, გიორგი მარგველაშვილს წინამდებარე კრებულის სრული ან ნაწილობრივი დაფინანსების თხოვნით მივმართე. მის გარდა, გამოცემის სელშეწყობა საქართველოს პარლამენტისა და იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეებს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, იუსტიციის მინისტრს და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს ვთხოვე. „პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის“ თავმჯდომარესაც მივმართე განცხადებით, ვინაიდან ამ პოლიტიკური მოძრაობის მესვეურებმა, ფაქტობრივად, დაფუძნებისთანავე იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სასამართლოების რეალური რეფორმირება მოითხოვეს.


ფაქტია, რომ კრებულის გამოცემის სელშეწყობით დღემდე არავინ დაინტერესებულა. პარლამეტიდან შემატყობინეს, რომ „მიმდინარე წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული არ არის ფინანსური სახსრები კერძო გამოცემათა დასაფინანსებლად“, ხოლო პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან მაცნობეს, რომ ჩემი განცხადება კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გადაუგზავნეს...




საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენცია




თბილისის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი



თბილისის საქალაქო სასამართლო და „ადვოკატურა"...







დაჟანგ'ულ მილებ'ზე დაყრდნობილი და იაფფასიანი „პლასტიკატით“ მოპირკეთებ'ული თბილისის საქალაქო სასამართლო, რომლის ფოტო და ვიდეოგადაღება „ვარდების რევოლ'უციის“ შემდეგ აიკრძალა...




თბილისის საქალაქო სასამართლოს შესასვლელში განთავსებული აბრა კომუნისტების დროინდელ ლოზუნგებს მაგონებს. განსაკუთრებით შთამბეჭდავია წერტილი სათაურის ბოლოს...





თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის ბრძანებაზე ძნელია,
გონიერმა ადამიანმა კომენტარი გააკეთოს...















2005 წლის 5 მაისს
გახსნილი თბილისის საქალაქო
სასამართლოს 5 - სართულიანი
შენობის სხვენში განთავსებული
ადმინისტრაციული კოლეგიის
„სხდომათა დარბაზებში“
მოსახვედრად მოქალაქემ
დაბზარულკედლებიანი
ლაბირინთები უნდა გაიაროს...

ასევე, როგორც საპატრულო პოლიციის ავტომობილებზე სანომრე ნიშნების ნაცვლად, კერძო საშართლის თვრდილული პირის ფირნიშების განთავსებაა დაუშვებელი, ასევე სრულად მიუღებელია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ რომელიმე ერთი საწარმოს პროდუქციის რეკლამირება. უბრალოდ ან მინერალური წყალი მოსამართლეებისათვის შეიძლება სხვა კურკლით დაიდგას.





ამორალური გარიგებები?

საკონსტიტუციო სასამართლო დღეს "რუსთავი 2"-ის ერთ-ერთ სარჩელს თავიდან განიხილავს



მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლო 2007 წელს ბათუმში გადავიდა, შენობის ცენტრალურ შესახვლელთან წლების განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო გერბის 2004 წლის ვერსია იყო გამოსახული. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტმა ის 2005 წელს შეცვალა და სადევიზე ბაფთაზე წითელი ჯვრები მიამატა...



როკო ორემაშვილი. „უსუნაესი სასამართლო", 2008 წელი

იმედი მაქვს, რეალურად რეფორმის შემდეგ მხატვრები უსუნაეს სასამართლოს სხვაგვარად გამოსახავენ...